თინა
ღონქაშვილი

ბონჯაურა

რომანი

თბილისი
„მერანი" 1988

84 Гр 7—4
ლ 744

თინა დონეაშვილის რომანი „ეონჯაურა" გვიხატავს საქართველოს ერთ-ერთი სოფლის ცხოვრებას საკოლმეურნეო მშენებლობის დასაწყისიდან ვიდრე 50-იან წლებამდე.

რომანი 1964 წელს დაიწერა, მაგრამ მისი გამოქვეყნება მაშინ არ მოხერხდა, რადგან სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში არსებული გადასარებისა და დარღვევების კრიტიკა ჯერ კიდევ მიუღებლად ითვლებოდა. რომანის გამოქვეყნება მხოლოდ დღევანდელი გარდაქმნისა და საჯაროობის შუქზე ეახდა შესაძლებელი.

4702017200—77
ლ——————6—88
ᲐᲛ 604(08)—88

© საქართველოს „მერანი"

ნაწილი პირველი

კარი მორიდებული ჭრიალით გაიღო. ალიოშის სუსხი მოლილი-სფრო ტალღებად მიეძალა ოთახიდან ფეხაკრეფით გამოსულ კაცს. კაცმა ღრმად ჩაისუნთქა ბრილი ჰაერი და შავი სატინის ხალათი სალტესავით შემოეკრა მის განიერ გულ-მკერდს. თავი თაღიანი აივნის სვეტს მიანდო და ვიწრო, ღრმადჩამჯდარი თვალები დასალიერს მიაპყრო. იქ ჯერ ისევ ღამე იყო, მაგრამ ის ხედავდა ერთმანეთზე მიჯრით მილაგებული მთების ქარგას, უფრო ბნელშიც დაინახავდა, ძალიან ნაცნობი იყო ეს ქარგა.

მთების გამოღმა ხელისგულივით გაშლილ, თვალუწვდენელ ველზე ალავერდი ილანდებოდა, და მისი სითეთრით შემკრთალი ბინდი უღიმღამოდ ეურჩებოდა გათენებას, ფერწასული ედებოდა ველისპირა ღობე-ყორეს, სახლებს, ხეებს, ბუჩქებს.

სადღაც მჭახედ იყივლა მამალმა. ხმადაუმდგარი მამლაყინწები ძილ-ღვიძილში გაეხმიანენ გათენების სულწასულ მაცნეს და ისევ წასთვლიმეს.

სადღაც ძაღლმა წამოიყეფა, მაგრამ ბურანს თავი ვერ გაართვა და უწყინარი ღრენით ჩაყუჩდა.

ალვის ხეზე ყვავმა წამოიჩხავლა, მასაც ეადრევა და ისევ ჩაძვრა თავის გაწეწილ ბუდეში.

საკვამურები უსაქმურად ისხდნენ სახურავებზე — ადამიანებსაც ეძინათ ჯერ.

ჰო, ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო: თვალმისაწვდომი სამყარო მშვიდობის ღამეს ითევდა და კაცმა აუჩქარებლად ჩაიარა კიბე, ტანშიმველა ვაზებშუა შავად მბზინავ ბილიკს დაადგა. ბილიკზე დავარდნილ უსიცოცხლო ფოთოლს შეასწრო თვალი, დასწვდა და აიღო, ის ხომ ჭადრის ტოტზე უდარდელად მოშრიალე უნახავს... მაგრამ ამ ფიქრს ველარ გაჰყვა, ჩურჩული მოესმა. ჩურჩულს წკრიალი და კისკისიც შეერია. კაცმა ნაბიჯი ააჩქარა. არ შეეცდარა — წყაროს გაღვიძებოდა. ეასიფრიფანებულ ყინულის ნაბზარებში ამოხეთქილი წვრილი ნაკადები, ბრილის ციგებზე შემდგარი

ეშმაკუნებივით მისრიალებდნენ ქვევით, ქვიდან—ქვაზე, ქვიდან-ქვაზე და მოსახვევში უჩინარდებოდნენ. წყაროს უბეებში შერჩენილი თოვლის ჩამუქებულ ქუფთებზე ენძელები ციალებდნენ და კაცმა ხელში შერჩენილ ფოთოლს დახედა. ესეც ძალიან ნაცნობი იყო — სიცოცხლისა და სიკვდილის განუყრელი თანდევნა...

კაცმა ქვიშით მოიხეხა დიდრონი ძარღვიანი ხელები, პეშვით შეისხა სახეზე წყალი, სველი ხელი გადაისვა საფეთქლებთან შეთეთრებულ თმაზე, კისერზე, საკინძეშეხსნილ მკერდზე და წელში გასწორდა. შეიცადა, სანამ სიო შეუშრობდა აწითლებულ-ახორკლილ კანს და მერე ისევ განაგრძო გზა.

მალე ვერდი უქცია თემშარას, ფერდობს აპყვა — დრო დაზოგა და მანძილი დაიმოკლა. იცოდა: სხვა არავინ და არაფერი, მხოლოდ დ რ ო იყო სიკვდილ-სიცოცხლის მომრიგებელი, და სიკვდილისთვის ენანებოდა სიცოცხლის ყოველი წამი. ფერდობის ქიმზე წამომდგარ ნამეხარ მუხას რომ მიაღწია, მაშინ შედგა და პირი იბრუნა.

გარიჟრაჟი ოქროს ხაზებით დატიხრული ფერადი მინანქრის ხატივით ეკიდა სივრცეში და თეთრი კელაპტარივით იწვოდა ალაველდი. ის უძირო და უკიდეგანო, ის ხელთუქმნელი ხატი აღიარებას მოითხოვდა, და ეს კაცი, ალბათ, წარმართი იყო, ალბათ, შორად-შორეულ წინაპრებმა დაანათლეს თავისი რელიგია, — აღქმის უნარის საწყისიდანვე ბავშვი — ბავშვურად, ჭაბუკი — ჭაბუკურად, კაცი — კაცურად, უჩინრად და უთქმელად აღიარებდა ამ რელიგიას.

და ახლა, მუხასთან უძრავად მდგომს, გულგონებით გაშუქებული თვალები სათაყვანებელ ხატისათვის მიეპყრო, და ყოფიერებას მოწყვეტილიი მთელი მისი არსება მოისწრაფოდა იქით, სადაც დიად იდუმალებაში იბადებოდა ახალი დღე...

თავი პირველი

ეს დიდი ხნის წინათ იყო. სოფლის ნებამოდუნებულ, თითქოს ერთიანად დაყრუებულ-დამუნჯებულ კრებაზე ალექსანდრე .რჩეულიშვილიც შავ სიაში შეიტანეს და ირმისიდან აყრა დაუდგინეს.

ოჯახი ქალაქს იხიზნებოდა.

— მე არ წამოვალ, მამი, — თქვა ცამეტიოდე წლის ბიჭმა.

ხმადაბლა თქვა, მაგრამ მისი ნათქვამი მეხივით დაატყდა მამას

და სოფელთან გაყრის ტკივილი დაავიწყა. ის არასდროს გამოტეხილა, რომ ვერ იქნა, გულს ვერ მოერია, ვერ აპატია ბიჭს, თავისი დაბადებით დედა რომ შეიწირა. ჩასახვიდანვე კი ეტრფოდა ამ პირველას. ჯერ დაუბადებელს გულში ყოველდღე დაბადებას ულოცავდა. მის სადღეგრძელოდ ყოველ დღე პირსავსე ჯამს სცლიდა. მის სახელობაზე ხეხილს რგავდა, და როგორც თითოს, უალერსებდა მათ. იმ საათს კი, ბავშვი რომ იბადებოდა, მელოვინის სასთუმალთან ატუზულმა სიკვდილმა უდიერად წამოსდო ცელი მის სიხარულს და ნანატრი შვილის შეყვარება ვაუძნელა.

გლეხკაცის ოჯახი უდედაკაცოდ რას იკარგებდა, და მამამ მალე მეორე ცოლი შეირთო. მეორე ცოლთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მასთან შეძენილი ქალ-ვაჟიც თანაბრად უყვარდა, ეს პირველა კი მუწუკივით შერჩა გულს, უკურნებელი სენივით დაურჩა.

ბიჭმა არ იცოდა, „დედა“ რა იყო, და მამის ცოლი „დედინაცვლად“ არ მიუღია. კეთილი ქალი იყო ნინო, ქმრის პირველა შვილის შეყვარებას ისე ცდილობდა, რომ ბიჭს ის ძალზე ეცოდებოდა. თითქოს მის გასამხნევებლად უმცროსი და-ძმის მოვლაში, საოჯახო საქმიანობაში დაუზარებლად ახმარებდა ხელს, მაგრამ ნინოც და მისი შვილებიც სადღაცა შორს, მამის ნარჩევნობიდან ამოზრდილი კედლის მიღმა რჩებოდნენ. და იზრდებოდა ბიჭი ოჯახში — არც მთლად უცხო, არც მთლად თავისიანი.

ახლა, როცა ოჯახი სოფელს ეყრებოდა, როცა ირმისში რჩებოდა ბაღ-ვენახი, კარ-მიდამო, ხარ-კამეჩი, როცა უხეშად იგლიჯებოდა ნალოლიავებ მამულში გადგმული ფესვები, და ამ უკანასკნელ წუთს მამამ ვაიგო, რომ აქ რჩებოდა მისი პირველაც, — მუწუკის მოულოდნელად აწიწკნამ არარად მოაჩვენა ყველა სხვა ტკივილი.

— რას მიჰქარავ? — შეაკვნესა წარბშეკვრით, ხორხთან გაჩხირული სამსალასავით მწარე ნერწყვი რომ გადაყლაპა.

— არ წავალ აქედან, — ჩუმად ვაიმეორა ბიჭმა. თავდახრილი იდღვა. წინ წამოწეული კოპებიანი შუბლი სახეს უჩრდილავდა. წლოვანებასთან შეუსაბამოდ ბეჭვანიერი უშნოდ მოჭრილ მორევს ჰგავდა.

სიმწრისაგან თვალდაბინდული მამა ვერ ამჩნევდა, რომ ბიჭს, მამის მიალერსების მწველი სურვილის დასამორჩილებლად, თითებით მაგრად შეებოჭა ძირს დაშვებული მკლავები.

— ვერ წამოვალ... — თქვა ისევ და ნელა ასწია თავი.

მის ვიწრო წენგოსფერ თვალებში მამა გაუტესავ ურჩობას შეხვდა. სოფლის სასტიკი განაჩენით გაყინული კაცი ამ ანაზდეულმა ტკივილმა გაალხო, ხმელ ლოყაზე ნამი გადმოადინა.

ბიჭს მოეჩვენა, რომ სიბრალული გულს უგლეჯდა, და ისევ დახარა თავი.

მამამ გამეტებით აჰკრა თითი ლოყაზე დაგორებულ ცხელ კურცსალს, თითქოს ხიდი აჰყარა თავისსა და თავისგარე სამყაროსშუა, უცნაურად გამოცარიელებულ ცისქვეშეთს შეავლო თვალი და ბიჭს გულგრილად ჰკითხა:

— აქ რა ჭირმა უნდა გარჩინოს?

ბიჭმა ეგ არ იცოდა და თავდახრილი უსმოდ იდგა.

— ეგდე, მე რა, კოლექტივს მოჯამაგირედ დაუდგები, — გამოსცრა მამამ კბილებში. არაფრის თქმას აღარ აპირებდა, მაგრამ ენის წვერს თავისთავად მოწყვეტილი სიტყვა სილასავით გაეწნა ბიჭს სახეში:

— გონჯაურავ!

ღმერთმა უწყის, მამა-შვილის ამ მოკლე შესიტყვებას ვინ მოჰკრა ყური, ვინ გაიმეორა „გონჯაურა". ბიჭს ეს სახელი ისე სწრაფად მიეწება, თითქოს ნათლობის ქაღალდი და შიგ ჩაწერილი „ალექსი" სულაც არ ყოფილაო. ბიჭმა იმ დღესვე გაიგონა, კოლექტივის თავმჯდომარემ დიტო ხირსელმა თქვა:

— იმ კულაკმა ალექსანდრე რჩეულიშვილმა თავისი გონჯაურა განზრახ დაარჩინა აქ, რა არი, ჩამორთმეულ კარ-მიდამოს უთვალთვალოსო!

ეს გაიგონა ბიჭმა და მამისეულ სახლს ხელუკუღმა ქვა მიაგდო, მოხუც მეზვრეს, სანდრა-პაპას შეეკედლა.

სანდრა-პაპასთან ადრეც ხშირად უვლია. სხვის გულში ჩამხედი ვინ არი, ისიც, ჯერ პატარა ადამიანის დაუდეგელ გულში; ვინ გაიგებდა, იმ ბიჭს რა იზიდავდა მეზვრის ქოხისკენ?! სანდრა-პაპა მარტოდ ყოფნამ ლაპარაკსაც კი გადააჩვია. სტუმრად მოსულ ბიჭს ისე ხვდებოდა, თითქოს მას ქოხიდან ფეხიც არ მოუცვლიაო. თუ საქმე იყო, საქმესაც ერთად მოაბამდნენ თავს და მერე ბუხართან უსმოდ მსხდომნი ამოკლებდნენ ზამთრის გაჭიანურებულ ღამეს. ზაფხულობით კი გარეთ, ქოხის კედელთან ეიდგმულ მერხზე ჩამომჯდარნი, უსმოდვე უთვალთვალებდნენ შორეული მთების ტეხილ ხაზზე დაბადებულ გათენებას.

არც თვითონ ბიჭმა იცოდა, სანდრა-პაპას ქოხში რა უზღაცდა ნაკლულ ალერსს და სითბოს, ცხრაუცხო მეზვრე რად ერჩივნა სინსლით ახლობლებს, ვულს რად უნდროლებდა ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლით დახატული სურათები, ან იმ შორეულ მთებში დღის დაბადების ხილვა. პატარა იყო, საიდან ეცოდინებოდა, რომ დედის ხორციელი მშვენიერება მისმა სულმა დაიმკვიდრა და სილამაზის სამუდამო მონად აქცია...

იმ დღეს სანდრა-პაპა ქალაქისაკენ მიმავალ, ბოხჩააკიდებულ ხალხს რომ წააწყდა, სირცხვილმა ალი დაუნთო ჩამიჩივით მიმჭკნარ ლოყებზე. თანასოფლელებს თვალი აარიდა, ვულდახურული წამოვიდა შინისკენ. „რა ჰქნეს, ეს რა ჰქნეს... რაც კაი გლეხი იყო, ისინი აჰყარეს სოფლიდან.. ეს რა ჩაიდინეს, კაცოო...“ — მიბუტბუტებდა დაბოღმილი. ბიჭი ქოხთან რომ დახვდა, არ გაუკვირდა, არც არაფერი ჰკითხა. მზეზე ნაფიცხი სურნელოვანი ნამჯა სუფთა ჭილობში ამოუკერა და ლეიბად დაუგო ტახტზე, ზედ ფერადი ნაკუწებისაგან შეკერილი საბანი დააფარა. მერე ბიჭიც აიყოლია, ჩეეულებრივი საქმე ერთად ჩაათავეს და მერხზე ჩამოსხდნენ. ისხდნენ, ვიდრე რძისფერი ორთქლი შეიწოვდა გრძნებით შეკრულ თანავარსკვლავებს, ვიდრე მიბნედილ ტატნობზე ცისკარი აკრიალდებოდა, ვიდრე ხელისვულივით გაშლილ ველზე კელაპტარივით დაინთებოდა თეთრი ალავერდი, ვიდრე მზე ნაცნობი ტაატით წამოვიდოდა მეზვრის ქოხისკენ...

მალე პირველი სექტემბერი ჩამოდგა.

ბიჭმა მზის ამოსვლამდე გაიხეხა ტანი ირმისხევში, აფშეკილ ქოჩორს თუშური ქუდი დაატკეპნა, გაპრიალებულ მესტებს ნაბდის ნაგლეჯი ვადაუსვა და წიგნებით გატენილი ჩანთით ვაკურცხლა სკოლისაკენ, მერვე კლასს მიაშურა.

ქოხის ზღურბლზე გამოსულმა სანდრა-პაპამ ბიჭის გზას ჯვარი გადასახა და სიამით გააქნია თავი: „ეჰ, შე ოხერო, რა ხარ, სწავლის წყურვილო?! ე ბალღმა მთელი ღამე ვერ მოისვენა, სიცხიანივით ბორგავდა, სკოლის კედლებს, კარ-ფანჯრებს, ტოლ-ამხანაგებს, მასწავლებლებს ემასლაათებოდა. ზოგს კეტითაც ვერ ააგდებ ლოგინიდან, ეს კი გულმა აღარ დააყენა, ამ დილაბნელზე სკოლის კარს ვინ გაუღებს, ჰეი-ი, როგორ გარბის!“

ნეტა ასე არ აჩქარებულიყო ის ბიჭი, ეგებ იმ არგასაშვებ, იმ ეშმაკის ფეხს, იმ ენატარტარა გოგოს არ შეჰყროდა. სასსენებელიც

არ იყო ის ერთი ციდა, სულ ერთი ციდა ეოგო ხატულა, შარშან ამ ბიჭმა ხელჩაკიდებული რომ მიიყვანა პირველად სკოლაში. ან ის რაღაც აასტუნა ასე ადრე? ეგეთ დიდი ხნის უსახავი მეზობლის ნახვა ენატრებოდა? ეგეთ თავის რაინდთან და ქომაგთან შეხვედრა ენატრებოდა? მაშ მის დანახვაზე შუბლი რაღად შეიკრა? ეგეთ იფიქრა, ბიჭი მიუხედა ნატვრას და იმიტომ იღიმეიაო? ვინ იცის, რა მოეჩვენა, ან რა იფიქრა სატულამ, შუბლი კი შეიკრა და ქვეყნის მბრძანებელივით ამპარტავნად ჰკითხა:

— შენ აქ რა ვინდა? ეხლაც გაიპრანჭები შენი ხუთიანებით?

ბიჭს ვაეცინა. ენძელის ჭვავდა ის პატარა და თეთრი, ფაქიზი გოგონა.

— რას იცინი?

ბიჭი ისევ იცინოდა. ხომ არ ეტყოდა, რომ სკოლის კართან ენძელებივით ვაბნეულიყვნენ პატარა თეთრი კაბები, თეთრი ბაფთები, ქურციკის ტყავის პატარა თეთრი მესტები...

— რა ვაცინებს-მეთქი? — ვაეკაპასა ეოგო. — შენ ხო კულაკი ხარ! არ იცი, კულაკებს სკოლაში აღარ შეუშვებენო?!

ეოგომ პაწია ცსვირი აბზიკა, თითებით კაბის კალთა შემოიკრიფა და ბაფთების ცანცარით, კალიასავით გადაახტა ჭიშკარს. მერე ეზოში ღადვა და პასუხს დაუცადა, მაგრამ პასუხი იგვიანებდა. პატარა ეოგომ გადაწყვიტა, ბიჭის უყურადღებობა საწყენიაო, და იწყინა. ვაჯავრებული შემოტრიალდა.

ბიჭი აღარ იცინოდა. არც პასუხის თქმას აპირებდა.

— ჰი, ხო ჩაგივარდა ენა! — ვაუხარდა ეოგოს და ვერ მიხვდა, უცებ რაღაც შეაშინა. ეგონა, მისმა ნათქვამმა ბიჭს მართლა ჩაუგდო ენა. ხატულა სულაც ვერ ერკვეოდა სოფელში მომხდარ ამბებში. ვაგონილი ჰქონდა, ალექსის მამაც კულაკებში ჩარიცხესო. ჰო ვაგონილი ვაიმეორა, მერე რა? დიდებმა სადაც უნდა იქ ჩარიცხონ ერთმანეთი, ალექსიმ კი, როგორც ყოველთვის, ეხლაც უნდა დაამშვიდოს ხატულა, ხელი მოკიდოს, მიეფეროს, უნდა ნახოს როგორ შეასრულა სატულამ საზაფხულო დავალება...

მაგრამ ბიჭი ვაუნძრევლად იდგა და ტუჩები მაგრად ჰქონდა მოკუმული. ეოგოს უცებ ისიც მოეჩვენა, რომ ვიღაცამ ანთებული სანთელივით ჩააქრო ბიჭი. უარესად შეშინებულმა ცრემლები ველარ შეიკავა, და რადგან ბიჭი ისევ გაჩუმებული, თვალებჩამქრალი, ვაუნძრევლად იდგა, ანჩხლად მიაძახა:

— უუ, მუნჯო! გონჯა! გონჯაურა!..
მიაძახა და გაიქცა.

კარგად შებინდებული იყო, ბიჭი შინ რომ დაბრუნდა.

„დაილოცოს სწავლა-განათლების მადლი და ძალი! ბიჭი ერთ დღეში ჭაბუკად აქცია. კიდევ ისწავლის და ერთ დღესაც ჭაბუკი ეგრე ერთბაშად დავაუკაცდება!" — ისევ სიამით გაივლო გულში სანდრა-პაპამ და უჩვეულოდ აფუსფუსდა. მერსზე ჩამომჯდარ ბიჭს ჯამით ცივ-ცივი ლეღვი მიუდგა და შინ შევიდა, გაკვეთილების მოსამზადებლად მაგიდა მოუცალა, ლამპა ნავთით აავსო, მესტები დაუკრიალა, დილაზე სკოლაში წასაღებად პური და ყველი შეუხვია და ღამენათევი, სიხარულით დაღლილი, ადრიანად მიწყა დასაძინებლად.

დილით კი, საუზმეც სელუხლებელი ნახა, მესტებიც თაროზე ელაგა, წიგნების ჩანთაც კედელზე ეკიდა. კული ვადაუქანდა მოხუცს. აქეთ ეცა, იქით ეცა, ეძახა და ეძება. ბოლოს შორეულ ზვარში მიაგნო, სადაც კვირა-დღისთვის ჰქონდათ დაპარვა ნავარაუდევი.

ბიჭი საქმეს ისე შეჩმოდა, როგორც ადიდებულ ირმისხევში გადაეარდნილი კაცი შეებმის ზვირთებს. შუბლიდან წურწურით ოფლი სდიოდა, ნარმის პერანგი ბეჭებზე დაჰკვროდა. ბარის თითო დარტყმაზე სამი პელტისოდენა მიწას აწვენდა გულალმა. მისი ყურადღება ისე დაეპყრო იმ ამობრუნებულ მსუყე შავმიწას, რომ მეზვრის ეოსვლა არ გაუგია, ვიდრე მისი ჩრდილი ბარის ტარს არ დაეცა. მაშინ კი წელში გასწორდა; სელით მოიწურა შუბლიდან ოფლი და თვალებით შესცინა, გაამხნევა დაძმარებული მოხუცი, პირი კი თითქოს ამოუქოლესო, და სანდრა-პაპასაც კითხვა ენაზე შეაცივდა. შიხვდა, ბიჭს კვლავ უსამართლო სიტყვა წამოეწია...

იმ დროს სოფელში ვინ დაეძებდა, რამდენი გოგო და ბიჭი დადის სკოლაში, ან რამდენი მოწაფე გამოაკლდა კლასს. მუშასელის ჭესატობა იყო და თუმცა გონჯაურა მეკომურთა სათვალავში არც ირიცხებოდა, მისი ნაადრევად მომძლავრებული მარჯვენა ღვთისწყალობა გახდა სოფლისთვის. სანდრა-პაპას წელმრავალი შრომით გაცვეთილ ძვალ-რბილსაც ეამებოდა მისი მსარი. ხანმა სხეული დაუძაბუნა, გონებას კი ჩინი და გულისყურიც გაუმახვილა, ამიტომ სანდრა-პაპამ ყველაზე ადრე დანახა, რომ უსამართლობა ვერ ჟან-

გავდა ალექსის გულს, რომ თავისი განცდების თავშესაფარს ის შრომაში პოულობდა, ალღოს მიჰყავდა იმ თავშესაფართან, და ეოხუც მეზვრეს თავად ჰქონდა გამოცდილი ამ თავშესაფრის უბადლო სანდოობა.

ის ყველაზე ახლო იყო ალექსისთან, ამიტომ ყველაზე ადრე იგრძნო კიდევ ერთი რამ, რაც თავისი დაკვირვებით მიგნებულ საიდუმლოდ მიაჩნდა: იგრძნო, რომ შრომა ალექსისათვის ჩვეულებრივი შრომა კი არა, სიმღერაა — ქართველი მევენახის სისხლში ოდითვე აყღერებული სიმღერა, რომელსაც სიტყვაძვირი ჭაბუკი უხმოდ გამოხატავდა თავისი ძალოვანი მარჯვენით.

ზაფხულს ზამთარი სცვლიდა, ზამთარს — ზაფხული. ცხოვრება შეუპოვრად მიიკვლევდა გზას ეკლიან ბარდებში.

ალაზნისპირა სოფლები წელს იმაგრებდნენ. ტრაქტორების ხმაური გაუტკბა უნდობლად განზე გამდგარ გლეხსაც. სადღაც ჩაიძირა გუშინდელი წყენაც, უკმაყოფილებაც. თვალდათვალ იცვლიდა სახეს მინდორ-მთა-ველი, იცვლებოდნენ ადამიანები, იცვლებოდა მათი ხასიათი.

მეტი ცვლილება რა იქნებოდა, ტრიბუნაზე სანდრა-პაპა ავიდა! მისი ხმა ვიღას ახსოვდა, ბევრს ეგონა, სიკვდილს მივიწყებულ მოხუცს აღარც ყურთ ესმის, აღარც ამ ქვეყნისა გაეგება რაო. სანდრა-პაპამ კი მათ თვალწინ, თავიდან მოხდილ ნაბდის ქუდთან ერთად თითქოს ორმოციოდე წელიც გასწია განზე და მიმხმარი გულმკერდიდან წამოსული მოულოდნელად ომახიანი ხმით დაიწყო:

— უწინა, სიყმედაბნელებული ბატონი მეზვრეს რომ დაიყენებდა, ის მეზვრე ყმებს იქირავებდის ხოლმე, ისინი იდგამდნენ წელებზე ფეხს, იმათა სძვრებოდათ სული ბატონისეული ზვრების მოვლაში. უწინ იყო-მეთქი ეგრე! მერე ბატონობამაც ჭირი მოვეჭამა, ბურჟუობაც გათავდა, კოლექტიობამ მოგვისწრო...

ხალხი გაინაბა. დიტო ხირსელმა ბეჭებშუა სიცივე იგრძნო: ამ გადაყრუებულს პოლიტიკას ვინ აკითხებს, ემანდ არა შეეშალოს რა, თავში ქვისსასლელი საქმე არ გაგვიხადოსო.

სანდრა-პაპა კი თავისას განაგრძობდა:

— ბნელსა და კაცთაგან საძრახისს საყოველთაოდ ბოლო დაადგა, მარტოკა ჩვენ მივდევთ ძველ გზასა...

— აბა, რას ამბობ? — გააწყვეტინა სიტყვა ხირსელმა, — რომელ „ძველ გზას“ ახსენებ? ყველას ერთი გზა გვაქვს ნაჩვენები და ჩვენც იმ გზით მივდივართ, არც არსაით ვადაგვიხვევია, არც არავის ჩამოვრჩენილვართ!

სანდრა-პაპამ დაცინვით მოჭუტა თვალები და ისევ განაგრძო:

— საით უნდა გადაუხვიოთ, ძლივ სწორ გზაზე ვამოვედით?! არცა ჩამორჩენასთანა მაქვს ეხლა საქმე, მოთმენა და გაგება უნდა იქონიოთ! ძალიანაც უარზე დასდგე, ჩვენო თავმჯდომარევ, მაინც ვიტყვი, რო ზოგ რაღაცეებს ძველ ყაიდაზე ვჩარხავთ! თავდაპირველად არტელი რო შევკარით და ზვრები გავაერთიანეთ, დაგავიწყდა რა იყო? გულგრილობამ, მოუვლელობამ და ერთმანეთის წამხედვარობამ ვაზი ლამის მთლად გაგვიჩანაგა, ეგრე არ იყო? ეხლა კარგა დაფიქრდით და მოიგონეთ, როდიდან ითვლით ამ ჩვენი საკოლექტიო ვენახების სიკეთეს? თქვენ თუ ვერ გაგონდებათ, მე გეტყვით: სწორეთ იმ წლიდან, რა წლიდანაც ალექსი თავისი ნება-სურვილით დაგიდგათ მეზვრეთ. სახელათ „გონჯაურა“ რო მიაკარით, იმას აქეთია პირზე გაკერიათ, გონჯაურას მარჯვენა დალოცა ღმერთმაო, ღმერთმა დიდი დღე მისცესო, ღმერთმა მისცეს სიკეთე და ლხენაო, ეგრე მიაჩვიეთ ყური და დღემდე ღმერთის ხარჯზე გასდიხართ ფონსა! იქნება იმედი გაქვთ, შრომადღეების ანგარიშსაც ღმერთი გაუსწორებსო?

ხალხში მითქმა-მოთქმა ატყდა. თავმჯდომარეს შიშმა ვალაუარა და ახლა უხერხულობისაგან დასცხა. თავისი წინდაუხედავი სიტყვა ახსოვდა, ცუდ-უბრალოდ აწყენინა ბიჭს. იმ ძველს ახლა ეს ახალი დანაშაულიც მიემატა! თავის თავზე გაჯავრებული ხირსელი სანდრა-პაპას წამოუდგა შუბლშეკრული:

— შენ იმის ადვაკატად ვინ დაგაყენა?

— სვინდის-ნამუსმა! — მოუჭრა მოხუცმა, — რაო, ეს ხილი ხო არ დაგძვირებიათ? მაშა, თუ გლეხკაცი თავისი ოფლით უშურველად აპოხიერებდა მიწას და სანდროს მოჯამაგირესაც მოიშველიებდის ხოლმე, იმას კულაკი დავარქვით და სოფლიდან ავყარეთ, და თუ კოლექტივსა ჰყავს მუქთი მოჯამაგირე, ეგ არაფერიაო? აბა, რომელ ახალ კანონში სწერია ეგრე, მაჩვენე!

— რას ურევ, სანდრა-პაპავ, ხალხს ნუ გააცინებ! აბა ვინ არი მოჯამაგირე? — გულში უყოყმანოდ იღებდა მოხუცის სამართლიან საყვედურს და თან ჯავრობდა თავმჯდომარე.

— ვითომ არ იცი, ვინც არი! ეს რამდენი წელიწადია მე თითიც არ გამიმძრევია, ისა მუშაობს. ის ერთი ბიჭი ათი მოჯამაგირის საქმეს ასდის. არ იცი? შენც კარგად იცი და მთელმა სოფელმაც, მაგრამ ძალათ იყრუებთ თავსა. ჩვენი გამგეობა კიდე ძალიან რო წუწურაქობს, განა დიდი ჭკეით მოსდით, რო ალექსი რჩეულიშვილი ღღევანდლამდე კოლექტივში არ ჩაურიცხიათ!

— თითონ სად არი? რას ეაგვირბის, არ ეკეკარება? — ჰკითხა ნირწამსდარმა ხირსელმა.

სანდრა-პაპა ერთხანს დადუმებული ჩასჩერებოდა რაღაც წერტილს და მერე ჩუმად დაილაპარაკა:

— დაბადებითვე ბევრი ცუდი შეხვდა, მაგრამ ძალიან უყვარხარი და ალბათ იმიტომ გერიდებათ, არ უნდა სიყვარული დაიზარალოს. იერეც მოკვდება, ხალხის სიყვარულს და რწმენას არ გაიცულებს...

ხალხი ახმაურდა. ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა, ზოგი ბოლომდე ვერც მიუხვდა სანდრა-პაპას სიტყვას, მაგრამ ერთხმად კი დაადგინეს: ალექსი კოლმეურნეობის წევრად ნაირიცხოს და რაც ერგება, პირწმინდად აუნაზღაურდესო.

ბულალტერმა სანდრა- პაპას თანდასწრებით საანგარიშო კაკლები აახმაურა, გაჩოთქა და გამოჩოთქა. ალექსის იმოდენა სარჩო-საბადებელი ერგო, მთელი ქარავანი დასჭირდებოდა იმის შინ მიტანას.

— სვავებად სომ არ იქცევით შენა და შენი გონჯაურა, — უთხრა ბულალტერმა სანდრა-პაპას, — ამოდენა ნატურას რა მუცელში ჩაიყუდებთ, სჯობია ყველაფერი ფულად გაინაღდითო.

მოხუცს რჩევა ჭკუაში დაუჯდა. ბულალტერი არ დაზარდა, ახლად ეაჩოთქა და გამოჩოთქა, პაპას ქვითრებზე ხელი მოაწერინა და უთხრა, დღეისწორს მოდით ფულის მისაღებათო.

გასარებულმა სანდრა-პაპამ ღვთისნიერ ბულალტერს მადლობა და მაღარიჩიც გადაუხადა. ნამუსიანი, სამართლიანი და კეთილი ადამიანების სადიდებლად თითო ბოთლი ღვინო გამოსცალეს.

შექეიფიანებული მოხუცი ურემს შინისკენ ისე მიარახრახებდა, რომ ცხენის ნალებიდან გამომკრთალი ნაპერწკლები ციცინათელებივით მისდევდნენ მის გამხიარულებულ ფიქრებს.

„მა რა გეგონა, ბიჭო, შენ ამოდენა ხალხის სამსახურს შეეჭიდე და მე ერთ პატარა საქმეს ვერ მოვერეოდი? ან რა ძნელი საქმეა ხალხთან გულგანდობილი ლაპარაკი? მეც გული ვიოხე, იმათაც ვა-

ლი მოიგდებინეს თავიდან. ეხლა ერთი პატარძალიღა გვაკლია. შენ პატრონსა და გულშემატკივარს რო დავიგულებ, მეც არხეინად დავადგები ჩემ შორ გზას. ბარემაც არ მეჭაშნიკება ის გზა, მაგრამ იმ ტიალ სიკვდილს განა ეართლა დავავიწყდი?.. შენ გიშველა ღმერთმა, ჩემო ლექსო, პირნათლად წავალ ამ ქვეყნიდან — სოფლის თავიდათავი საქმე შენისთანა კაცს ჩავაბარე. სხვისა რა მოგახსენოთ, მე რა ვიცი ეს ცხოვრება რას წაჰლეკავს, რას დაარჩენს, ვის ატირებს, ვის გაახარებს, მე ერთი ეს ვიცი, რო ვიდრე ეს ორპირად ნაკერი კაცი ივლის ქვეყანაზე, ირმისის ვენახებს მუდამ სიხარული ექნებათ. ეიი, ბიჭო ლექსო, ეს თხოვნა კი შემისრულე, ისე ნუ დამმარხავ, შენმა პატარძალმა არ მიტიროს! შენი სადარი თუ იქნება, ის ჩემთვინ ცრემლს არ დაიშურებს...“

ეს სიკეთე კი არ დასცალდა სანდრა-პაპას. ამბავი წამოეწია: ბუღალტერმა სოფლის ქონება გაიტაცა და უგზო-უკვლოდ გაქრაო.

კინაღამ გადარია მოხუცი იმ არაკაცად სათქმელი კაცის მუხანათობამ. ერთბაშად დადნა და დაილია. საიქიომდე დარჩენილი გზა ძალზე დაუმოკლდა. ორი დღე უსმელ-უჭმელი, თვალებდახუჭული იწვა და მესამე დღეს, ალექსის ძკლავებზე მისვენებულმა დალია სული...

ისევ კრება იყო და დიტო ხირსელმა თქვა:

— ხალხო, ადამიანის ყადრი არ ვიცით, კაცის დაფასება ვერა და ვერ ვისწავლეთ! აი, ავიღოთ რჩეულიშვილი ალექსი. იმისთანა მშრომელი, საერთო საქმის ერთგული და ვაზის მოსიყვარულე, მეორე არ მეგულება. ცხონებული სანდრა-პაპას თქმისა არ იყოს, ეს ერთი — ათი კაცის საქმეს უსწორდება. მოდით და მევენახე-ბრიგადირად დავნიშნოთ. ისიც ხალხთან უფრო ახლო იქნება და ჩვენც ყოგებული დავრჩებით, ჰა, რას იტყვით?

ისევ ახმაურდა კრება. ისევ ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა, ერთად კი ერთსულოვნად დაიძახეს:

— სწორე ხარ, ჩვენო თავმჯდომარეო!

დაიძახეს და ახალ ბრიგადირს მიეძალნენ. ხნიერ ბრიგადირებს ჯავრიც კი მოერიათ: „ამ ასალს რას ეტმასნებიან, რა ხეირს დააყრის, ჯერ პირზე რძე არ შეშრობიაო!“

მაგრამ ეს ისე, გულცხელზე თქვეს, თორემ განსჯით სამართლია-

ნად სჯიდნენ: „ვენახები მართლაც ისეა მოვლილი, ავ თვალს არ ენახვებაო, რა გასაკვირია ყველას უნდოდეს კაი საქმის მოწილეობა? „კაი საქმე, შემოსავლის გარდა, თვალსა და გულს ახარებსო!"

მერე როცა გამოჩნდა, რომ გონჯაურას ბრიგადა მარტო ვაზის მოვლაში კი არა პირველობს, რასაც მოეჭიდა, ყველგან იმარჯვა, ხნიერ ბრიგადირებს ისევ მოერიათ ჯავრი: „ეგა, ქაჯან, ჯეელია, ღონე ერჩის, დღეღამ მუხლს არ ჩახრის, იმას არა ფიქრობს, რომ ჩვენთვის მაგთენი მუშაობა საძნელოაო!"

მაგრამ ესეც გულცხელზე თქვეს, განსჯით კი ისევ სწორად განსაჯეს: „ღვთის წინაშე, ივარგა ბრიგადირმა, ნამდვილად ივარგა, ყველა საქმეში წინ არი. მართალია, ჩვენთვის საძნელოა, მაგრამ ჩვენც უნდა მივყვეთ, მაშ ემაგ ჯეელს ხო არ უნდა ჩამოვრჩეთო?!"

ისევ დაედევნა ზამთარ-ზაფხული ერთმანეთს.

ალაზნის ველი თვალდათვალ ფართოვდებოდა, თითქოს საზღვარს ეცილებოდა კავკასიონის კალთებს. ალაზნისპირა სოფლები თამამად ქარგავდნენ ველზე ყანების, ბაღების, ვენახების თარგს. უნრდილო სიხარული ლაღად მოლივლივე ალაზანივით უნდა მოსდებოდა კახეთს... აი, როგორი სიხარულით შეხვდა დიტო ხირსელი მეზობელი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ნიკო ხელაშვილს:

— მილიონერებში ჩამდგარხართ, მომილოცნია, ძმაო!

და ვერ მიხვდა, მუხიანელების თავმჯდომარემ უგულოდ რად გადაუხადა მადლობა, რად შეეკრა მაღალი, გადატკეცილი შუბლი. ხელაშვილმა კი ალაზნის ველის საამო თარგში თალხად ჩაგვირისტებულ სოფლებს გახედა და მოგვიანებით დაილაპარაკა:

— ყველასთვის უნდა იყოს ეს სიკეთე, გასახარი და მისალოცი მაშინ იქნებოდა. აი, იმათ ყოველწლიურად უმცირდებათ შრომადღის საფასური, ძალლუმადურად შავშავებენ...

„ჰოო, ეგ მართალია, ჩვენ რაიონში ზოგმა ჯერაც ვერ მოითქვა სული, მაგრამ ჩვენ რა ეაგვეწყობა? ნათქვამია, ყველამ თავისი მიცვალებული იტიროსო", — გაიფიქრა ხირსელმა და ნუგეშივით უთხრა ნიკოს:

— მაგათზე რაიონის ხელმძღვანელებმა იტეხონ თავი, ჩვენ ჩვენი საზრუნავიც არ გვაკლია!

ნიკომ ბეჯითად შეათვალიერა მეზობელი და გულდაწყვეტით თქვა:

— მე სხვა სიტყვა მინდოდა გამეგონა შენგან. ვიცი, წრფელი გულით მილოცავ, მაგრამ გაიგე, მეც მინდა ირმისელებს მოგილოცოთ გამარჯვება.

— ოჰ, რას ამბობ, ნიკო, შენ ვინ გაგიტოლდება?!

— ხო არ ვიცდია, თავს რად იჯაბნი? — უნებურად ჩაეცინა ნიკოს. მოსწონდა დიტოს სიწრფელე, ხშირად მიამიტობას რომ ესაზღვრებოდა, მაგრამ ირმისელები ენანებოდა. ხირსელის მიამიტობა საქმეშიც, ჭარბი ნდობა მეურნეობაში შემთხვევითი ადამიანებისადმი, მისი გულარხეინობა საგრძნობლად აზარალებდა გამრჯე ირმისელებს. მათ მეურნეობას შეეძლო მოწინავე გამხდარიყო, მაგრამ დიდი ხანია ერთ ადგილს სტკეპნიდა.

მეზობლებმა ცოტაც ილაპარაკეს და დაშორდნენ ერთმანეთს.

ხირსელს ირმისელების საერთო კრებაზე ეჩქარებოდა. იმ დღეს გადასაწყვეტ საკითხებზე უნდა ეფიქრა, მაგრამ ნიკოს ნათქვამმა აოფორიაქა. ეგებ მართლაც ღირს ამაზე დაფიქრება? ეგებ კრებაზე გაიმეოროს ნიკოს ნათქვამი? ნეტა რას იტყვიან ირმისელები? იქნება ძალიანაც გაუხარდეთ? ღირს, ნამდვილად ღირს. ვეტყვი, დაე იმათაც იფიქრონ...

მაგრამ ხირსელმა ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო. კრებიდან გაიხმეს. ის იყო და ის, დიტო ხირსელი სოფელში აღარავის უნახავს ვერც ვერავინ გაიგო, ის კაცი ალს მისცეს თუ ქაჯს.

ორი დღის მერე შეკრიბეს ხალხი და ის დაუმთავრებელი კრება განაგრძეს. ტრიბუნაზე ვიღაცა უცხო კაცი გამოვიდა და თქვა:

— თქვენ ყველას თვალები ჯიბეში გქონიათ, ვერა ხედავდით, რომ თქვენი თავმჯდომარე ხალხის მტერი და ქვეყნის ამომგდები ყოფილა!

გლეხებმა შეიცხადეს: ჩვენ თუ ვერა ვხედავდით, ამ უცხო კაცმა შორიდან რა ჯანაბა დაინახაო. გულში შეიცხადეს, თქმით კი ვერაფერი თქვეს და ერთმანეთსაც ვეღარ შეხედეს.

ჩამოსული კი ჰაერში გამეტებით ატრიალებდა მუშტებს და ისეთი გაალმასებით ლაპარაკობდა, რომ სულ ნაქაშურები გადმოსდიოდა. მერე თითო-ოროლა კაცი ხელდადებით წამოაყენა და ათქმევინა:

— ჰო, ჩვენ მართლაც ბრუციანები ვყოფილვართ, მაგრამ ეს ერ-

თი ვეპატიოს და სხვა ღროს აღარ დავბრუციანდებით, ძილშიც კი ფხიზლად ვიქნებით და მტრებსაც ყველანაირ ნიღაბში კარგად დავინახავთ.

ჩამოსულმა თავისი დაეალება შესრულებულად ჩასთვალა, კმაყოფილი ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. რაიონის ხელმძღვანელებიც მას გაჰყვნენ, კრებას კი დაუბარეს, ახალი თავმჯდომარე აირჩიეთო.

ხალხს ლაპარაკი ესიკვდილებოდა. სიჩუმე გახანგრძლივდა. თანდათან ულელივით დამძიმდა. მერე ისე დამძიმდა, რომ ვიღაცამ ვეღარ გაუძლო, ქეჩოზე ხელი დაირტყა და მჭახედ იკითხა:

— ეხლა ვიღა გავიმეტოთ თავმჯდომარედ, ჰაა?

შესაფერისი კაცის ამოსარჩევად ხალხმა დარბაზი შეათვალიერა, მაგრამ მეზობელმა მეზობელს, მეგობარმა მეგობარს, ნათესავმა ნათესავს თვალი აარიდა. ღმერთმა უშველოს, ვიღაცამ გონჯაურა ახსენა. ის დარბაზში არ აღმოჩნდა. ვიღაცამ თქვა, ჩამოსული კაცი სიტყვას რომ აბობდა, მაშინ ადგა და წავიდაო. ჰოდა, კარგია, აქ რომ არ არისო — თქვეს და ბევრიც აღარ უკამათიათ, უცებვე დაადგინეს: ალექსისთანა შესაფერისი მეორე არ იქნებაო. უცოლშვილო, მარტოხელა კაციაო. აფსუსია ბრიგადირობაზე რომ სცდებაო. კოლექტივს რომ გაუძღვება, მარტო ბრიგადაში კი არა, მთელ მეურნეობაში მოისპობიან უქნარები და მცონარებიო. რა დასამალია, ჯერ არ მოლეულან ისეთები, უშრომლად რომ მკიან საამურ ცხოვრებასო, გონჯაურა იმათ არ აბოგინებს, ყალთაბანდებს არ გაახარებს, ჩვენ ნაოფლარს არავის დაატაცინებსო...

დაადგინეს და ოქმიც დაწერეს.

ალექსი კი ამ დროს მხარზე თოხგადებული ირმისხევისკენ მიდიოდა.

ღამეში უხმოდ იკარგებოდა გამშრალი ხევის გაღმა ნაპირი. მხოლოდ სოფლის მომიჯნე ნაპირთან ჩაღრმავებულ კალაპოტში ყრუდ მოჩანჩქარებდა მდინარე და ფერდობის ძირზე მიკრული წისქვილის სარეკელას დაუდეგარი რაკარუკი გაჰქონდა.

იქ წამოეწივნენ ირმისელი თავკაცები. უთხრეს:

— ერთობლივ დავადგინეთ, დღეიდან ჩვენი თავმჯდომარე უნდა იყო!

ხალხის ნება-სურვილს ალექსი ყოველთვის აღიქვამდა, როგორც რაღაც მოვლენას, ძლიერსა და გარდუვალს, თითქმის ისევე, როგორც სტიქიას. მაგრამ სტიქია გასაგები იყო მისთვის, მეტწილად

ღია ცისქვეშ გაზრდილი, ის სმირად შეხვედრია ბუნების დაუმორჩილებელ ძალთა ბობოქრობას, კარგად იცნობდა მის ლომანგრეველ ენინსა და ბოროტებას. იცნობდა, იცოდა, მაგრამ პირისპირ შეყრილი სტიქიონის სილამაზე ატყვევებდა, აჯადოებდა, ავიწყებდა უბედურებას, რომელსაც ის თავს ატეხდა ყველაფერს ცოცხალს. იქნებ მთლად ვერ ავიწყდება, მაგრამ ალექსი სისარულით ემონებოდა მის სილამაზეს.

და ავდრით ტკბობისათვის, მერე, გამოდარებისას ისჯებოდა. კრიჭაშეკრული დასტრიალებდა დასეტყვილ ვაზს და ხეხილებს, უსიტყვოდ ახმარებდა ხელს წყალდიდობით დაზარალებულ ხალხს. ნაპარეკად უალერსებდა ატირებულ ბალღებს და სიბრალული ქორივით უწიწკნიდა გულს...

ახლა იდგა ხევისპირს, თითქოს აღარ ახსოვდა მასთან მოსული თავკაცები, არც მათი მოტანილი ამბავი. გამახვილებული თვალით სწვდებოდა ცისა და მიწის შეერთების ზოლს. მის ფერხთით თვინიერად მიგორავდა ირმისხევი, ვითომ ის არ იყო, ცოფიან ღვარად მოვარდნილი ჭერს რომ სტაცებდა ადამიანს. მსუბუქი ღრუბლის ოეთრი ქუფთები გაფრენილი მტრედებივით დაცურავდნენ ცაში, თითქოს მათ არაფერი ჰქონდათ საერთო შავლეკა ღრუბლებთან, ტყვიასავით გამანადგურებელ სეტყვას რომ აყრიდნენ ადამიანის ნაჯაფარს.

იმ წუთებში, იმ მყუდრო ვარსკვლავიან ღამეში სტიქიონის ჯადოსვან დასსნილმა ალექსიმ თითქოს პირველად შეიგრძნო მისი მრისხანების დამღუპველი ძალა. და ბოროტებას შეურიგებელმა მისმა გულ-ვონებამ მძაფრად აგრძნობინა, რომ სოფლის გადაწყვეტილება საშუალებას აძლევდა მთელი არსებით ჩაბმულიყო ადამიანთა დარდის და ცრემლის მომგვრელ ძალასთან ბრძოლაში. მოწინააღმდეგესთან გადაუდებლად შერკინების სურვილმა აუფორიაქა სული. გარეგნულად კი მშვიდი, უმოძრაოდ მდგომი გაჰყურებდა ცისა და მიწის შეერთების ზოლს. და იქნებ იმიტომ, რომ ხშირად უფიქრია ამაზე — ხედავდა მთის მდინარეთა შემბორკავ ჯებირებს, ხედავდა ხიდებს, ავდრის სათვალთვალო კოშკურებს, სეტყვის ღრუბლის გამფანტავი ზარბაზნების ლულებს, და ელექტროსადგურის ხმაურიც კი ესმოდა...

როდის-როდის გამოეგო ფიქრებს, თვალი მოსწყვიტა საოცარი სიცხადით დანახულ სურათებს და ნელა წამოვიდა მისი პასუხის

მოლოდინში მეწისქვილესთან მოსაუბრე კაცებთან. ახლო მივიდა და მოკლედ მოსჭრა:

— თანახმა ვარ.

იმათაც ვეღარა თქვეს რა. ალექსის სიტყვაძვირობა ცნობილი იყო, მაგრამ ამ მნიშვნელოვან საათს საჭირო სათქმელის უთქმელობამ, მისმა ტუნწმა პასუხმა და მეტისმეტმა სიმშვიდემ მათ ეჭვი დაუბადა: „ხომ არ აჩქარდნენ? ძალზე ახალგაზრდა კაცი აირჩიეს, ვაითუ შესცდნენ ამ ეულცხელზე?!"

თავისი ეჭვი ერთმანეთსაც არ გაუმხილეს, ესმოდათ, რომ ახლა მსჯელობა უკვე დაეკარგებულიც იყო და ჯერ ნაადრევიც იქნებოდა. რჩევა-დარიგებაც უადგილოდ მიიჩნიეს: სხვისი კარნახით არ იმკვიდრებდა გონჯაურა თავის ადგილს ცხოვრებაში!

მათი წასვლის შემდეგ ალექსიმ ტანთ გაიძრო და მდინარეში შევიდა. დილით ჩახერგილი გზა გაუხსნა წყალს ზვრებისაკენ. უცნაური იყო ამ დროს მისი სასე. რა კარგად იცნობდა მიუვალ მთებში დაბადებულ ირმისხევს, იცნობდა მის თვისებებს და ადვილად ეუფლებოდა, თავის ნებაზე ჰყოფდა, ანაწილებდა, აიძულებდა ადამიანისათვის სამსახური გაეწია და გულში მადლობას უხდიდა კეთილი სამსახურისათვის. ადამიანების ზრახვათა გაგება კი ხშირად უჭირდა, მათი მოქმედება ხშირად აკვირვებდა. ისე როგორც ახლა...

— ამოდი, ამო, ადამიანო, ემაგ ყინულივით წყალში როდემდე უნდა იდგე? — ეამოსძახა მეწისქვილე ტიტიკომ.

კარებში ჩამდგარი მეწისქვილის დანახვაზე ალექსის გაეცინა, სანდრა-პაპას ნათქვამი მოაგონდა:

— ის ღმერთძაღლი ტიტიკო ჩემზე დიდი თუ არა, არც პატარაა, სიჯეილითვე ფქვილში სტუცა თავი, სიბერეში ჭაღარა არ შემემჩნევაო. ეგრე დარჩა და დარჩა! მართლაც ვერ გაუგებ, ფქვილშია ამოგანგლული თუ სიბერემ დაათოვა, ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი ადამიანი!

წისქვილის შინასვეტზე დამაგრებული ჭრაქი ტიტიკოს ზურგიდან ანათებდა, და ფქვილში იყო ამოგანგლული თუ სიბერემ უწია, სულერთია, თავით ფეხამდე თეთრად მოქათქათე — კეთილ სულსა ჰგავდა.

— ბარემ აქვე გამათენებინე, — სთხოვა ალექსიმ.

— ეგე ლოგინი, დაისვენე.

— შენა?

— მეწისქვილე — ღამის ყვავიაო, არ იცი? დაძინებამდე კი ეს ხავიწი ეიირთვი. წელან გავაკეთე, ჯერ თავმჯდომარე არ იყავი, თორემ ახლა არ ვაკაღრებდი.

— ხავიწი ერეკლე მეფესაც ჰყვარებია თურმე.

— ეეჰ, ჩემო ლექსავ, ახლა სხვა დროა, სხვა ხალხია. ახლა კაცმა უფროსებს შემწვარ-მოხრაკულით თუ არ აამა, არ იცი, რა ნაწილს ეამოუდებენ, — სევდიანი დაცინვით თქვა მუდამ მხიარულმა მეწისქვილემ. დიტო ხირსელის მეგობარი იყო და ვერ შერიგებოღა მის უეცარ დაკარგვას.

ალექსი ხავიწით სავსე პირმოტეხილ თეფშს ჩააშტერდა, მოგვიანებით თქვა:

— მტერ-მოყვარის მაგისთანა გროშებით გაზომვა დიდი შეცდომა იქნებოდა.

— გროშები ეანა მარტო ზარაფხანაში იჭრება? გული თუ დახურდავდა, იმაზე წვრილ გროშებს ვერა ზარაფხანა ვერ მოსჭრის.

— ეგრე დაუნდობლად ვის გულს აწვრილმანებ, ძია ტიტიკო?

— ნეტა ეგ ვიცოდე...

— მე მეგონა, ხირსელზე ხარ ნაწყენი.

— თუ ის მართლაც რამე ბრალშია, ჰარამი იყოს იმაზე ჩემი ძმობა და მეგობრობა, თუ არა და, ცეცხლად ედინოს ჩვენი ნდობა და სიყვარული იმას, ვინც ალალმართალ კაცს დასაღუპად გაიმეტებს! — თქვა ტიტიკომ და გარეთ გავიდა.

მან თითქოს ვანზრახ დააბრუნა ალექსი იმ ფიქრებთან, წელანღელი დაძახებით რომ შეუწყვიტა. მაგრამ ფიქრები ადამიანთა გაუგებარ ზრახვებზე, ვანსჯაზე და მოქმედებაზე ყოველთვის უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს უბადებდნენ, და იგრძნო, ახლაც ის კითხვები გაიტაცებდნენ, მას კი თავის ხვალინდელ დღეზე უნდოდა ფიქრი. თავისთვისაც შეუმჩნევლად მოცარიელებული თეფში გადადგა და მიწვა, შეეცადა მოესაზრებინა, რით დაეწყო ის ხვალინდელი დღე, მაგრამ სარეკელას რაკარუკმა უმალვე ჩააძინა.

სიჩუმემ გამოაღვიძა. მაშინვე წამოდგა და გარეთ გამოვიდა. პირველი სხივი ახასხასებდა ნამიან ბალასს. თვალებს იფშვნეტდნენ ყვავილები. გამხარებელი ჭიკჭიკით დასრიალებდნენ მერცხლები.

მეწისქვილეს შარვლის ტოტები აეკეცა და სარწყავს ხერგავდა. ალექსი აღარ შეეხმიანა, ფერდობზე შეღმართებულ ბილიკს აჰყვა.

ბილიკი მეზობელი ნატაძრელების გაკვალული იყო. საფქვავით

ალმა-დალმა სიარული ძნელი იყო და თითქოს იმ სიძნელის შუაგამ-ყოფად ფერდობის ქიმზე მუხა დამდგარიყო, მუხის ძირთან კი ვეე-ბა ლოდი იდო, ვინ იცის, როდის და როგორ ამოტანილი, ზედ ჯდო-მისაგან გასიპულ-ვარანდული.

ფერდობის ქიმიდან ირგვლივ შორიდანვე ისინჯებოდა არემარე.

რაიონულ ქალაქ დარიანიდან წამოსული შარაგზა ირმისხევზე ვადმოდიოდა და მოსახვევში იკარგებოდა. გზის პირზე გაწოლილ სოფელ ირმისს თავი ხევის რიყეზე მიედო, ბოლოს კი ნარ-ეკლით შეჭმულ მინდვრისკენ, „ნაბალისკენ“ იზრდიდა. ნაბალზე განმარტო-ებით იდგა მეზვრის ქოხი და მის წინ კენტად აწოწილი, ტოტებგა-ფარჩხული ნაძვი გუშაგივით გაჰყურებდა ირმისელების ზვრებს.

დაჩქლეთილი შარაგზიდან განტოტებული ვიწრო, ოღრო-ჩოღრო შუკები ერთმანეთზე გადაბმულ სოფლებისაკენ უხვევდნენ. სოფლე-ბი მოაჯირივით მისდევდნენ თვალუწვდენელ ველს, და ველის გა-ღმა ნაწიბური იკარგებოდა შორს, ჩამოთოვლილი მთების კალ-თებში.

„უყურე, ლექსავ, უყურე შენს მშობლიურ მხარეს, — ჩაესმა ახალბედა თავმჯდომარეს სანდრა-პაპას ალერსიანი ხმა: „ხედავ, როგორია? ეყო რაც ტანჯვა გადახდენია, რაც შავი დღე დასთენე-ბია. ეხლა შენისთანებმა უნდა მოუარონ და გაახარონ, ორსავ თვა-ლის ჩინივით გაუფრთხილდნენ, კარგად უყურე, საზრიანად უყურე და დაიმახსოვრე ფერიც, სურნელიც, ხმაც. კარგად თუ გეხსომება, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქითაც რო გადაგაგდონ, იქაც დაინახავ, რაც უნდა გასაჭირი დაგადგეს, ეს შენი მშობელი მხარე მოგაგონ-დება, დაინახავ და გული გაგინათდება, ძალაც შეგემატება...“

თავი მეორე

თოვლი ათეთრებდა უმთვარო ღამეს. მსხვილი ფიფქები ფარფა-ტით ედებოდნენ გაუკვალავი ბილიკით მიმავალი ქალის ვიწრო ნა-ფეხურებს.

ნაკვალევის მკვეთრი ნახაზი თანდათან აირია. ქალს მუხლი ეკვეთებოდა. რაღაცა აზრი, ან შეიძლება სრული უაზრობა მისუ-ლიყო იქ, სადაც მიდიოდა. უკან შეჯავრებული სოფელი დარჩა და წინაც მტერი ეგულებოდა. დროდადრო ბილიკს აცდენილს კარგა

მანძილზე უსდებოდა უკან დაბრუნება. დაღლილს და გათოშილს გაბოროტება მატებდა ლონეს, მარტო და მიუსაფარი — უმწეობის სიჯიუტით მიიწევდა წინ.

ეგონა, მის გზას დასასრული დაეკარგაო, და მოსასვეეში, კენტად ნაზარდი ნაძვის ტოტებშუა გამომკრთალი შუქი რომ დაინახა, მიზნის მოულოდნელმა სიახლოვემ შეაკრთო, შეშფოთებულმა მიიხედ-მოიხედა.

მსსვილად ბარდნიდა.

სანდრა-პაპისეული ქოხის სარკმელიდან მშვიდად იღვრებოდა შუქის ზოლი და განათებულ ზოლში ფერად-ფერადად ელვარებდნენ შარიშურით მოფარფატე მხიარული ფანტელები. ქალს თვალები აუჭრელდა. მოეჩვენა, რომ მთელი სამყარო ირხეოდა მოცისფრო ნისლში, და გამთანგავი გულზიდილი მოადგა ყელთან. მან ხარბად ჩაისუნთქა სუსხიანი ჰაერი, ხორკლიან ნაძვს მიეყრდნო და უცებ ვერ მისვდა რა სდებოდა: გაქრა შუქის ზოლიც, მოცისფრო ნისლიც, სამყაროც, ყველაფერი გაქრა და დარჩა მხოლოდ მის შიგნით, სადღაც გულისფიცარს ქვევით ნაგრძნობი რაღაც უცნობი, უცნაური მოძრაობა...

ეაოგნებული ქალი მუხლებმა ვეღარ შეიკავეს. მძიმედ ჩაიკეცა ხის ძირში მიყრილ წიწვზე და თვალები დახუჭა. იმავ წამს სინამდვილემ აიწყვიტა სადავე და ახლო წარსულის სურათები დაედევნენ ერთმანეთს.

საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო იალაღებზე წამოსულ ცხვარს მოჰყვა ტანსარო, პირიმზე მწყემსი. თუში იყო, ვაჟკაცობისა და ნამუსის სარკესავით იყო. ცოდნასაც უხვად იყო ზიარებული, მაგრამ ცხვარს დასდევდა — გრძელი გზა ჭკუა-გონების სალესავიაო. ერთ დღეს სოფელში ფეხი აიტკია. გოგომ კი შეუცდომლად იგრძნო მისი დარჩენის მიზეზი.

მიწის ზურმუხტით, თეთრ-ვარდისფრად მიბნედილი ხეხილის სურნელებით, ტოროლების სალხინობელით გაგიჟებული გაზაფხული დაუკითხავად ითარეშობდა სისხლში. მიამიტ და გულწმინდა გოგოს ვერ გაეგო, თუში რად ირჩევდა მასთან შეხვედრის მალულ გზებს, როცა მთლად ცისქვეშეთი ხარობდა მათი სიყვარულით. ჰკითხავდა ხოლმე, მაგრამ ოჰ, რას არ უპასუხებდა ენამზიანი თუში! სულელ გოგოს ყველაფერი სჯეროდა, ისიც კი სჯეროდა, რომ სატრფოს ნატერფალზე ია და ვარდი ჰყვაოდა...

ერთ დაუვიწყარ, ზღაპარივით ლამაზ, ეშხით დაბანგულ ღამეს მწყემსმა უთხრა:

— მთაში მიბარებენ, ცხვარს უნდა ავხედო, ერთ კვირაზე ჩამოვბრუნდები და პირდაპირ თქვენებს ვეახლები.

უთხრა და წავიდა. გაქრა...

და მერე კი ირმისში ერთი ახმახი, ტარულანა დედაკაცი გამოცხადდა: კასპიისპირეთიდან მოვდივარო. ქმრის გზა-კვალი გამოიძია და თუშს მთაში გაედევნა...

მაგრამ ეს არ იყო ამბის დასასრული. ეს იმ უეცარი, მალული სიხარულის დასასრული იყო. აქედან იწყებოდა გოგოს წამების გზა. სოფელში მითქმა-მოთქმა ატყდა. წინათ იმედგაცრუებული საქორწილო ბიჭები ჯავრს იყრიდნენ, ქარაგმულად და აშკარადაც იკვეხნიდნენ თავის „გამარჯვებას". სხვისი აუგის მოყვარულთ თავვამოდებით გაპქონდათ და გამოპქონდათ ურცხვად წამოსროლილი ტყუილი. ენიდან ენამდე ნაქსოვ ქსელში გაბმული გოგო აღარც უცხომ დაინდო, არც თავისიანმა. შინ საყვედურებით ახრჩობდნენ და მკვდარივით დასტიროდნენ. ეჩვენებოდა თუ მართლაც ასე იყო — ტოლ-ამხანაგები მოერიდნენ. ეჩვენებოდა თუ მართლაც ასე იყო — ყველა ცდილობდა მარჯვეთ ესროლა მისთვის ქვა. და იმ ქვებმა ჩაუქროლეს ყველა სხვა გრძნობა. სიმარტოვისა და გაბოროტების მეტი აღარაფერი დაუტოვეს გულში.

რამაზ მელითაურს კი, „ვაქკაცობისა და ნამუსის სარკეს", არავინ ერჩოდა. იალაღებზე ლალობდა. მას სულაც არ ეხებოდა ბარში დარჩენილი გოგოს ჩვედრი. იმ გოგოს კი ყოველი დღე სიკვდილის ნატვრაში უთენდებოდა, მაგრამ მწარე დღეები შავად ღამდებოდნენ, ის კი ცოცხალი რჩებოდა. მერე კომკავშირის კრება იყო. იქიდან გამოქცეულმა თავის მოკვლა დააპირა, მაგრამ ძალა არ ეყო. მერე? მერე დღეს იყო, ამ საღამოს, ახლახან. დედის მოთქმა-ტირილს ვეღარ გაუძლო და გარეთ გამოვარდა. არც ახსოვს კლუბის ეზოსთან როგორ გაჩნდა. სიცილ-ხარხარით მოგუნდავე თანატოლებს წააწყდა. ვერც დამალვა მოახერხა, ვერც გულგრილად აუარა მათ გვერდი. დადგა და გაასპიტებით დაიძახა:

— ჰეი, კაჭკაჭებო და მაიმუნებო, ჭირსაც წაულიხართ! მძაგხართ ყველანი, მძულხართ! ხომ არ გგონიათ, თქვენ დაგეჭლექინოთ? წავალ, რაც შეიძლება შორს წავალ თქვენგან! საცა წავალ, მე ყველგან თქვენზე უკეთ ვიქნები, თქვენ კი ერთმანეთზე ჭორაობის მეტი სა-

ქმე ნურც გამოგჩენიათ თქვენი დღე და მოსწრება! ჭირსაც წაულიხართ, მეჯავრებით, მძულხართ ყველანი!

ასე მიაძახა და გამოიქცა. აღარც ნათქვამის წაშლა შეიძლებოდა, აღარც უკან დაბრუნება. შინიდან შილიფად გამოვარდნილი პირდაპირ აქეთ წამოვიდა, თავმჯდომარესთან. შრომადღეები ბლომად გამოიმუშავა და ანგარიშის ვასწორება უნდა მოითხოვოს. ახლავე გაუსწორონ ანგარიში. მიიღებს კუთვნილს და მოშორდება, ტაეცლება აქაურობას. არც ერთი წუთიც არ უნდა ირმისში ყოფნა, წავა. წავა?.. სად?.. იმ მოცისფრო ნისლში გაუჩინარდება...

ქალმა თავს ძალა დაატანა, თვალი გაახილა.

ისევ ბარდნიდა. ისევ მშვიდად ირხეოდა სამყარო. სარკმლიდან ისევ იღვრებოდა შუქი და შუქის ზოლში ისევ ელვარებდნენ მხიარული ფანტელები. თოვლზე დაგებული ქოხის სილუეტიც, საკვამურიდან ამოსული მტრედისფერი ბოლიც, სარკმელიც და შუქის სვეტიც სალამივით იყვნენ. ისინი ალბათ ალერსივით ხვდებოდნენ ყველას. და მას? მას კი აქაც დაცინვა და აუგი დახვდება, ან რაც უფრო საზარელია — უშნო გაღლაბუცება დახვდება.

წამით შერბილებული გული ახალი ძალით გაუბოროტდა. დახვდეს! რაც უნდა დახვდეს, მერე რა? თვითონ დაასწრებს და მწარე სათქმელს ეტყვის. დიახ, ეტყვის: „ეი, გონჯაურავ, მე სიმახინჯის საყურებლად კი არ მოვსულვარ! ანგარიში გამისწორე, მეჩქარება, მივდივარ ირმისიდან, მძულხართ ყველანი, მძულხართ!.."

გარეთ თოვლი ათეთრებდა უმთვარო ღამეს და ქოხში ბუხარი გიზგიზებდა. დათვის ტყავზე ჩამუხლული ალექსი რაღაც მანქანის მაკეტს უკირკიტებდა.

გარეთ ვიღაცამ კალთა შემოიბერტყა, კარს მოუთათუნა და შინ შემოსულმა ქალმა თავშალი გადაიგდო, თამამად დაიძახა:

— საღამო მშვიდობისა!

ალექსი გაშრა. საკინძის შესაკრავად აწეული ხელი ყელთან შერჩა, დამძიმებული თავი ზედ დააყრდნო.

უპასუხოდ დარჩენილმა სალამმა ქალს ერთბამად აჰყარა იარაღივით მომარჯვებული სითამამე.

— ველარ მიცანი? — ჰკითხა ჩუმად.

„ხატულა!" — ცხრა მთას გადასძახა მდუმარედ და გაუნძრეველად მღვიმეში ალექსიმ.

— სანქარო საქმე ექონდა, მაშ, სად ეენახე? — უფრო ჩუმად იმარილა თავი ხატულამ.

ალექსი ისევ სდუმდა. შინ შემოსული მზე თვალებს სტკენდა, უწვავდა სახეს, ეხრეებს, ხელებს, გულმკერდს.

ქალი ვერ ჩასწვდა მის დუმილს, მაგრამ მწვავედ იგრძნო, რომ ის არ იყო უბრალო გაჩუმება, და უცებ საოცარი სიცხადით მოაგონდა სკოლის ჭიშკართან მდგომი ტუჩებმოკუმული ბიჭი, ანთებული სანთელივით რომ ჩააქრო ვიღაცამ.

ხატულა შეშკრთალი იდგა, არ იცოდა, რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. იდგა და უხერხულობისაგან ცრემლს ძლივს იმაურებდა. ცდილობდა დამშვიდებულიყო, რომ შესძლებოდა იმ მწარე სათქმელის თქმა და ოთახი შეათვალიერა. ამბობენ, გონჯაურას წაუკითხავი არა რჩება რაი, მართალი ყოფილა — თაროები სავსეა წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით. ამბობენ, იმ მანქანებსაც კი იცნობს, ჯერ სოფელშიც რომ არ გამოჩენილაო, ეგეც მართალი ყოფილა — განჯინა გაჭედილია მანქანების პაკეტებით და ნახაზებით. ამბობენ, იმ ქოსში შემსვლელს დარდი უნასევრდებაო... ალბათ, იმიტომ, რომ თეთრად ქათქათებენ კედლები, თაროები, ჭერი, ნარნარებს აქაურობა, და ამ პატარა სარკმელიდან სალმიანი შუქი იღვრება ღამეში...

დამშვიდების ნაცვლად, მწვავე დარდმა წელში მოღუნა, სახე გაუქვავა ხატულას. მხოლოდ ტუჩებმა თქვეს:

— ბავშვობის წყენა არ დაგვიწყებია, აქამდე მიჯავრდები...

წყვეტილი სიტყვები ხიდივით ეკიბოდნენ ოდესღაც მათ უნებურად გაღმა-გამოღმა ნაპირზე დარჩენილ ქალ-ვაჟს.

ალექსიმ ღრმად ამოისუნთქა და დაბალი სამფეხა ბუხართან მისწია.

— დაბრძანდი, — უთხრა და ხელი შეაშველა.

ალექსის გაეონილი ჰქონდა, რომ სოფელში ხმა დადის: ხატულამ თავი ვერ დაიჭირა, ღვთით მიმადლებული სილამაზე დაუზოგველად დაასიავა. ახლა კი იცოდა: მართალი მხოლოდ ის იყო, რაც ხატულამ უამბო.

ბუხართან ისხდნენ. ცეცხლის გიზგიზი ალექსისთვის ძველთაძ-

ველი მეგობრის ხმა იყო, იმ ხმას სანდრა-პაპას ბუბუნიც ერთოდა ლა ენძელასავით თეთრი, ფაქიზი გოგოს ტიკტიკიც.

ის გოგო კი გლოეით დაღლილი ჭირისუფალივით იჯდა. შავი თავშალიდან, თალხი სამოსიდან სევდა ეღვრებოდა მუხლებზე უმწეოდ დაყრილ პატარა თეთრ ხელებზე. იჯდა და ფიქრობდა, რომ წასვლის დროა, რომ ახლა, როცა სისულელე ჩაიდინა და ამ კაცს გული გადაუშალა, ანგარიშზე ვეღარაფერს ეტყვის. რისთვის მოვიდა აქ? აღსარებისათვის? მოწყალებისათვის? ცოდვის მოსანანიებლად მოსული მაინოვარი ეგონება. იმათაც ასე ეგონათ, იმ კომკავშირის კრებაზე. ეგონათ, მონანიებას და პატიებას ითხოვდა. სწორედაც მოიქცა დღეს რომ ისე მიაძახა, მეტიც ეკუთვნით. წასვლის დროა. ჭირსაც წაუღია ის შრომადღეები, ინუქონ. ხატულა ისეც მონახავს თავის გზას. მონახავს სადმე. იქ სადმე, იმ მოცისფრო ნისლში...

და უცებ წამოდგა.

— სად მიხვალ? დარჩი, — ხმადაბლა თქვა ალექსიმ.

და ხატულას ისეთი სახე გაუხდა, თითქოს მტრადქცეული ქვეყანა დაუდგა პირისპირ. განრისხებულმა დაიხია კარისკენ.

— დარჩი, — ისევ ხმადაბლა თქვა ალექსიმ. — ერთად ვიფიქროთ. თვითონ გადაწყვიტე. როგორც შენ იტყვი, ისე იქნება...

ხატულა შეჩერდა. რაღაცა დაბრკოლება იგრძნო და შეჩერდა. ფიზიკურ დაბრკოლებასავით წაწყდა ალექსის ღიმილს — სკოლის ჭიშკართან მდგომი ბიჭის ნათელ ღიმილს. იმ ღიმილის გრძნეული სითბო სასწაულივით მოხვდა მის გაბოროტებულ სულს. სასწაულად მოეჩვენა, რომ ბედმა მწირსა და უნიათო წუთისოფლიდან უცებ ზღაპრულად მდიდარ ქვეყანაში მოიყვანა, და ბედი ეს იყო — მის წინ მოწიწებით თავდახრილი ვაჟკაცი. მის სმაში არც თხოვნა იყო, არც ბრძანება. თანასწორს ეუბნებოდა, „დარჩიო“.

ხატვლას გაფითრებულ სახეს ჯერ ნელა მოადგა ფერი, მერე უცებ დაჰკრა მწველმა მეწამულმა. ტანჯვით გამასვილებული ალღოთი იგრძნო: ადამიანის პირადი ღირსება იმდენი იყო ამ კაცში, რომ მასაც ეყო, ხატულასაც... და პირადი ღირსების უეცარმა შეგრძნებამ უცებვე უკარნახა, რომ ენამზიანი თუშის ვერაგობამ კი არ დააბეჩავა, თავისმა სისუსტემ მიიყვანა საკუთარი პიროვნების უარყოფამდე. პირველსავე აუგ სიტყვას გაათელინა ღირსება, თვითონვე დაისვა გარიყულის დაღი, და მართალი იყო სოფელი, ასეთს რომ არ უთანაგრძნობდა, აღარც პატივსა სცემდა.

„რა იქნებოდა, გაბოროტებული და ჩინდაკარგული რომ ავცდენოდი ამ კერას", — შეაშინა გაელვებულმა ფიქრმა, და ხატულამ კრთომით შეხედა მასპინძელს. სიხარულით გასხივებულ მის თვალებს შეხვდა, და ისევ იმ ღიმილს — ახლა უკვე იცოდა ხატულამ, — ადამიანის დაუშრეტელი სიყვარულის, უსაზომო სიკეთის გამომხატველ ღიმილს. ცისა და მიწის სილამაზე მოჰფენოდა კაცს, რომელსაც „ჟონჯაურას" ეძახდნენ.

განცვიფრებული შეჰყურებდა ხატულა მის თვალებს, მის ღიმილს, საიდუმლოსავით რომ ხსნიდნენ სულის ზეიმს. უნდოდა იმავ წამს; მაშინვე გაენდო ირმისელებისათვის ის, რაც ახლახან გაიგო თვითონ, მაგრამ მიხვდა, რომ ირმისელებმა დიდი ხანია იცოდნენ ეს საიდუმლო. ალბათ იმიტომ უხდიდნენ სიყვარულით, იმიტომ ვერ ბოგინობდნენ ირმისში ულირსნი, იმიტომ მომძლავრდა ირმისი ასე სწრაფად, იმიტომ ამბობდნენ: „ვინც ამ კაცს გაეცნო, ყველას მოუნდა რაც იყო, იმაზე უკეთესი გამხდარიყოო". განა ხატულაც არ გახდა იმაზე უკეთესი, ვიდრე აქ მოსვლამდე იყო?

ქალს ცრემლი დაეკიდა წამწამზე. შუბლიდან ბეჭებზე დაცურებული თავშალი შეისწორა და თავი დახარა.

ბუხარში ცეცხლი ჩაიფერფლა. ლამპაში ნავთი დაილია. სარკმელიდან შემოსული სითეთრე აშუქებდა მათ სახეებს. ხმადაბლა ლაპარაკობდა ხატულა, და მდუმარედ უსმენდა ალექსი. ეგებ არც უსმენდა. უხმოდ შესტრფოდა შინ შემოსულ მზეს, პატარას და თეთრს, ენძელასავით ფაქიზ ეოეოს. და მისი ტრფობის ძალასთან არარა იყო ხატულას სახეზე ჩამუქებული ლაქები, როგორც არარა იყვნენ ლაქები ცაშიგალაღებულ მზეზე...

სოფელმა თავმჯდომარეს სახლი აუშენა — სართულნახევრიანი, მხიარული კარ-ფანჯრიანი, ფართო აივნიანი, ღაღანა კრამიტით დახურული.

— კანტორაში ჯდომა შენ არ გიყვარს, ბინა შორსა გაქვს და საჩქაროდ რომ დაგვჭირდე, სად გეძებოთო, — უთხრეს.

— სადაც საჩქარო საქმეა, ჩემი ადგილი იქ არი, მე რა საძებნელი ვარ? — გაიცინა თავმჯდომარემ.

— ეეეც არ იყოს, ცოლ-შვილი იმ ქოხში როდემდე უნდა ამყოფო?

— ჩემი შვილი თქვენ შვილებთან ერთად მთელი დღე ამ სახლში იქნება, ცოლი კი თქვენთან ერთად მთელი დღე ღია ცის ქვეშაა, — თქვა ალექსიმ და ხელადას პირი გადაუწმინდა, მშენებლები დალოცა. მერე შინიდან წამოღებული ფუთა ჩამოართვა ხატულას და სახტად დარჩენილი ხალხის თვალწინ ჭიშკარს ლამაზი აბრა მიაჭედა, წარწერით: „საბავშვო ბაღი“.

თავისთვის ისევ სანდრა-პაპას ქოხი უნდოდა. ეგონა, პატარა სანდრას სხვა ბუხართან ისე მშვიდად არ დაეძინებოდა. ეგონა, სახლიდან ბიჭი ისე კარგად ვერ დაინახავდა გათენების სილამაზეს. ეგონა, მერე, როცა ბიჭი გაიზრდებოდა, მისთვისაც აუცილებელი იქნებოდა გათენებისას იმ ქოხიდან გამოსვლა ვენახების შემოვლაზე, როგორც ეს აუცილებელი იყო ახლა მისთვის, ალექსისათვის.

ზამთარსა და ზაფხულს, გათენების ადრიან საათს, ქვეყანა რომ ჯერ დილისძილში იყო, ალექსი ვენახების შემოვლაზე გამოდიოდა. ეს მისთვის ლოცვასავით იყო, ახალი დღის შესწრების, სიხარულის, ბედნიერების სამადლობელო ლოცვასავით. ამ საათს ლოცვის საგალობელივით ეღერდა მის სულში, სისხლში, სხეულში „შენ ხარ ვენახი...“ და თვითეული ვაზი უღიმოდა ხატულას ღიმილით, თვითეული ვაზი შეჰყურებდა სანდრას კვამლისფერი თვალებით. ბედნიერებით აღვსილი უვლიდა ვენახს და ნატრობდა, რომ მშობლიური მიწის წიაღს მარად ეტარებინა ვაზის ფესვი, რომ სამადლობელო ლოცვა მარად სმენოდა მის მიწას.

და ალექსის არ შეეძლო თავისი ლოცვის საათში არავის შეზიარება...

დგას ღაღანასახურავიანი, ფართოაივნიანი საბავშვო ბაღი და მხიარული ფანჯრებით გაჰყურებს ქვეყანას. ოთახები და ეზო-ყურე სავსეა ბავშვებით, აივანზე მერცხლები ბინადრობენ, ეზოში მრავლდება ხეხილი. ფინინსპექტორი ვასილა გარაყანიძე კი ჯიუტად გაიძახის „თავმჯდომარის სახლიაო“. დადის და დადის ირმისში, მთელი დღე კანტორაში ზის, საბუთებს ნერწყვავს, ქექავს, ეძებს და ვერ უპოვნია ამ სახლის აგების დანაშაულებრივი კვალი. არა სჯერა, რომ თავმჯდომარისთვის აგებული სახლი თავმჯდომარეს არ

ეკუთვნის. ვერ დაუჯერებია, რომ ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს, სულ ერთია, ის კოლმეურნეთა საკუთარი დანაზოგით არის აშენებული.

მოანგარიშე გოგონა, ჯაფარაანთ ლიზიკო სალამოობით ირმისელებს უყვება ფინინსპექტორის გაჭირვებას და ხალხს გულიანად აცინებს.

ბოლოს ალექსის შეეცოდა ვასილა გარაყანიძე — კაცი წვალობს და ხალხს კი სასაცილოდ არა ჰყოფნია! კანტორაში მივიდა, დაღვრემილ ფინინსპექტორს უთხრა:

— სხვა შენ ადგილზე აქამდე კამენს მოინაგრებდა.

— კამეჩი რად მინდა, — იუარა დაიმედებულმა ვასილამ.

— მართალი ხარ, კამეჩი რად გინდა, გოჭს მოგართმევდით...

— ნუ შესწუხდები, პატივცემულო ალექსი! — შეაწყვეტინა გახარებულმა ვასილამ.

— ეგ ჩვენ არ შეგვაწუხებდა, მაგრამ გვეჩოთირება. ამდენი დრო და ენერგია დაგვახარჯე და ვაითუ მადლობის მაგიერ, ჩრდილი მივაყენოთ შენს ავტორიტეტს. იტყვიან, გარაყანიძემ ერთი ქეციანი გოჭის ფასად ირმისელების ცოდვები დაფარაო...

უთხრა ალექსიმ და კანტორიდან გავიდა.

ენის მოტრიალება რომ შესძლო, გარაყანიძემ ლიზიკოს უყვირა და უწივლა, მერე დაემუქრა, ჩემი ფეხი აღარ იქნება ირმისშიო, კარი გაირახუნა და გავარდა. დარიანში მისულმა ასევე შეიჯახუნა „კაბინეტის“ კარი.

— მე თქვენ გაყურებინებთ სეირს! მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა კაცის გაბიაბრუება! თვალებს მიხვევთ? გინდათ დამარწმუნოთ, რომ გონჯაურას იმ ქოხში ურჩევნია ცხოვრება? თუ ურჩევნია და, მეტი სიკეთე არ აღირსოს გამჩენმა! მაინც სარაოდ იბადებიან ყველასთვის ურგები ადამიანები, არც თავისთვის ემეტებათ სიკეთე, არც სხვისთვის! — ზაფრამორეული ბუტბუტებდა გარაყანიძე და უჯრაში ჰერიდა ჯიბეებიდან ამოლაგებულ ცარიელ პარკებს.

გულგანდობილ საუბარში ირმისელები მათთვის ჩვეული იუმორით ჰყვებოდნენ, რა მალე და რა იოლად გადააჩვია მათმა ახალგაზრდა თავმჯდომარემ გარაყანიძის მსგავსი „ბეჯითი“ ჩინოვნიკები, არამკითხე „მეურვეები“ და სხვა დაუპატიჟებელი სტუმრები ირმისში „საბალახოდ“ წვევას. ისინი ხშირად ასსენებდნენ ჯიბო ჭიმიაშვილსაც. ჯიბო რაიკომის ინსტრუქტორია. თავის უპირველეს მოვალეობად ყველას ჭკუის სწავლება მიაჩნია. ნაცნობ, არც თუ ისე ნა-

ცნობ, და სრულიად უცნობ თემაზეც ლექციების კითხვას — თავის ფასდაუდებელ ღვაწლად სთვლის. აი ეს ჯიბო, სურვილმა შეიპყრო პირადი კავშირით და რჩევა-დარიგებით გაემდიდრებინა ირმისის ახალი თავმჯდომარე.

ალექსი იცნობდა ჭიმიაშვილს და ერიდებოდა მასთან შესვედრას, მაგრამ ერთსელ ჯიბომ კანტორაში მიუსწრო, მისალმებისთანავე რაღაცა საბაბს წამოედო და მსოფლიო რევოლუციაში პროლეტარიატის როლის შესახებ ლექცია წამოიწყო.

— პატივცემულო ჯიბო, — რბილად შეაწყვეტინა ალექსიმ, — ჩვენ ყოველ ორშაბათს პოლიტმეცადინეობა გვაქვს.

ჯიბომ ხელად შეცვალა თემა, ახლა სოფლის მეურნეობის ეკონებლებთან ბრძოლის აუცილებლობაზე დაიწყო ლაპარაკი.

— მავნებლები ჩვენთან ვერ მრავლდებიან, პატივცემულო ჯიბო, პროფილაქტიკას დროზე ვატარებთ, — ისევ რბილად შეაწყვეტინა ალექსიმ.

ვირეშმაკა ჯიბომ არ გაიკარა სართაული და მთელი საათი ილაპარაკა ამ თემაზე.

შებეზრებულმა და თავატკიებულმა ალექსიმ ვერ დაფარა გაცდენილი დროის დანანება, მაგრამ არც ჯიბომ გაიტეხა იხტიბარი და ორიოდე დღის შემდეგ კვლავ ეწვია ირმისს.

ალექსიმ საფუტკრეში შეიტყო მისი ჩამოსვლა და ციცერო დაიბარა. „ციცერო" — სიკო ადამაშვილს შეარქვეს ახალგაზრდებმა. სიკოს ლაპარაკის ჟინი რომ მოუვლიდა, მტრისასl დაოსებული მსმენელი თუ გაექცეოდა, სიკო ბარს, ნიჩაბს, ხეს, ტრაქტორს ელაპარაკებოდა.

— სტუმარია ჩამოსული, — უთხრა ალექსიმ, ციცერო რომ დაინახა, — მე არა მცალია და შენ მიდი კანტორაში, თუ ძმა ხარ, გაართე ის კაცი.

ციცერომ ხათრი არ გაუტეხა თავმჯდომარეს. ისე იმარჯვა, რომ მისი ლაპარაკისგან თავდასიებულმა ჯიბომ ლაჩრულად დაიხია, გაიქცა, თავმჯდომარის მტვრიან მაგიდაზე თითით მოხაზული თავისი ინიციალებიღა დატოვა. გულში დაიფიცა, რომ ყველაფერს, ძველსაც და ამ ახალ წყენასაც მწარედ გადაუხდიდა გონჯაურას, იმ ყბედ სიკო ადამაშვილსაც და საერთოდ, მთელ ირმისს.

დარიანში მან რაისაბჭოს თავმჯდომარის როსტომ ბიბილურის კაბინეტის კარი შეაღო და აღშფოთებულმა დაიძახა:

— რა თავმჯდომარეა ის ვონჯაურა, თავის დღეში ადგილზე ვერ ნახავ, საქმისთვის ვერ იცლის!

— რჩეულიშვილს საქმე არ უყვარსო, მაგას ვინ დაგიჯერებს, ჩემო კარგო? — ეაქნია თავი ბიბილურმა და კმაყოფილებით გაივლო გულში: „გეტყობა, გამოგაპანჩურეს ირმისელებმა, მამა ვაცხონე იმათი!"

— როგორ თუ ვინ დაიჯერებს?! კანტორაში მაგიდებზე და სკამებზე ერთი ადლი მტვერი დევს! მე ვადასტურებ, რომ ის საქმით თავს არ იწუხებს!

— მტვერი დაგიდასტურებს? — ჩაიცინა ბიბილურმა.

— შენ იცინე, დიახ! საქმისთვის ვერ იცლიან-მეთქი, ვერა! დილიდან საღამომდე ქაქანსა და ყბედობას უნდებიან!

— უყურე შენ! მაშ, რჩეულიშვილი იმიტომ გვედავება ჩაბარების განაწილებაზე? — ჩაუკრა სიტყვა ბიბილურმა ირმისელების პროტესტზე, რომელსაც ისინი აცხადებდნენ გადიდებული გეგმების გამო.

— ეხლა მიხვდი?! ძალიან მხარს კი უჭერდი იმ „კლიაუზნიკებს"! მორჩა, მე იქ ფესის მიმდგმელი აღარა ვარ!

„დაგიჩოქებენ, შეგეხვეწებიან, მოპატიჟეს გაახლებენ", — გაივლო გუნებაში როსტომმა და ჯიბოს მშვიდად უთხრა:

— გულს ნუ იბრუნებ, ჩემო კარგო, თავს გაუფრთხილდი, შენ მთელ რაიონს სჭირდები.

— მე რომელ ერთს გავწვდე, ამდენ უსაქმურებს როგორ მოვუარო? — ბობოქრობდა ჯიბო ჭიმიაშვილი.

მილიციის უფროსი კი, სარდიონ მაღალაშვილი სულ სხვა აზრისაა ირმისელებზე. სარდიონი მაღალი, ჩაფსკვნილი და ეშხიანი კაცია, ქალების მუსუსი და საღვინე ყურძნის ჯიშების ზედმიწევნით მცოდნე. მას საკმაოდ სწორი წარმოდგენა აქვს რაიონის კოლმეურნეობების ქონებრივ მდგომარეობაზე და პურმარილიან თავმჯდომარეებთან მეგობრობას ეტანება.

— იტყვი რაღა! — ეკამათება ჯიბოს, — შენ თვითონ არა გჯერა შენი ნათქვამისა. გონჯაურა თითონაც წელს იწყვეტავს მუშაობით და სხვებსაც სიქას აცლის! შენ სხვა თქვი: ის რჩეულიშვილი ისეთი ბუნწი და წუწურაქია, ცალი არა ჰყავს! წყურვილით რომ იხრჩობოდე, წყალი რა არი, ჭიქა წყალს ვერ გამოსდნები!

— ჩემო კარგო, ასე შორს წყალზე რა გატარებს?—უწყინარი ღიმილით ეუბნება ბიბილური, — ასე რად იწუხებ თავს?

— ოჰ, შენ არ შეწუხდე, თითონ არ მოიტანონ, ეგ რა გამოვა, ჰა? — წრფელად უკვირს სარდიონს.—ყველანი გონჯაურასავით რომ იქცეოდნენ, მაშ მე რა ვქნა, წმინდა მამების არტელი გავხსნა? შენც ერთი, როსტომ, ვაჟკაცი ხარ და ქრისტესა ჰბაძავ!

— ჰო, ჰო, ყოვლისმიმტევებელ ქრისტეს! — წაუსისინა ჯიბომ.

— ე, ე, მაიცათ, ხუმრობა იქით იყოს, ყური მიგდეთ, რა გიამბოთ! ამწინაზე ირმისში მოვხედი. აქეთ ვიარე, იქით ვიარე, თავმჯდომარე ვერა ვსახე...

— აკი ვამბობ, საქმეს ემალება-მეთქი! — ისევ წაუსისინა ჯიბომ.

— დამაცა, კაცო, ნუ მიშლი! ჰოდა, დავადე თავი და შინ მივაკითხე. ცოლი მეუბნება, შინ არ არი, გვიან მოვაო. მე კიდევ ვდგევარ, ადგილიდან ფეხს ვერ ვიცვლი, რეტდასხმულივით გავხდი, მე და ჩემმა ღმერთმა, თვალს ვერ ვაშორებ. კაცო, რა მზეთუნასავი ყოფილა ის ქალი! ბოლოს ვეუბნები, დავუცდი, ძაან საჭირო საქმეა-მეთქი. თქვენი ნებაა, მითხრა და შინ კი არ შემიპატიჟა, სკამი გამომიტანა, დაბრძანდით და დაუცადეთო. როგორ მოგწონთ, ჰა?

— ბარაქალა! — შვებით ამოისუნთქა ბიბილურმა.

— შენა, როსტომ, ნამდვილი იესო-ქრისტე ხარ, ქრისტეს მადლმა! თუმცაღა, უცოდველი არც ის იყო, მარტო ერთი მარია-მაგდალინელი რო ავიღოთ... — გადაიხარხარა სარდიონმა.

— აბა, გეყოთ ლაყბობა, მიშლით, საქმე მაქვს! — ვითომ ხუმრობით დაუტატანა მათ ბიბილურმა და ორივე გარეკა კაბინეტიდან. „ო, როგორა მძულხართ, მაგრამ რა გამეწყობა? — დაღონებული ფიქრობდა როსტომი. — რომ ავჯახირდე, გულვარდიშვილი აღარ დამაყენებს, ოჯახს ულუკმაპუროდ დამირჩენს... აგერა, ანდრო დეკანოსიძე სიმართლის თქმისთვის ლამის გიჟად გამოაცხადოს, ცა უწითლდება, ვიდრე თავიდან მოიშორებს იმ პატიოსან კაცს...“

თუმცა ირმისელები სიცილით ჰყვებოდნენ „უიღბლო სტუმრების“ ამბებს, მაგრამ მათ გაცილებით ესიამოვნებოდათ ლაპარაკი იმათზე, ვინც მათთან დამეგობრება შესძლო. ისინი ხომ ნამდვილი ადამიანები იყვნენ. ავ-კარგის გამგები, საქმის გულშემატკივარი,

აი, როგორიც ანდრო დეკანოსიძეა — რაიკომის მეორე მდივანი. სალამს ვერავინ დაასწრებს, თავმჯდომარეს ვენახში, ფერმაში, სანერგეში ან მშენებლობაზე მიაგნებს, მასთან ერთად დაივლის მეურნეობას, კეთილი თვალით დაინახავს, რაც გაკეთდა სოფელში, რაც კეთდება, და რისი გაკეთებაც თავის ჯერს უცდის.

დაღლილი და შთაბეჭდილებით სავსე დეკანოსიძე „სანდრა-პაპისეულ ქოხში" ისვენებდა. ზოგჯერ ღამესაც იქ ათევდა. მასპინძელთან გულგანდობილ საუბარში იადვილებდა სოფელში დანახული ჩრდილ-ნათელის გარკვევას. უხაროდა, რომ ახალგაზრდა თავმჯდომარე აღწევდა მიზნების ერთიანობით შრომისმოყვარე ირმისელების გატაცებას, რომ მათ ჭეშმარიტ კოლექტიურობას დულაბივით ჰკრავდა სითბო სიკეთისა. დროდადრო ის ბეჯითად აკვირდებოდა ალექსის, თითქოს ცდილობდა ამოეცნო, წინაპართა რამდენმა თაობამ აკინძა მის სულში გულქართლი მარცვლები, და რამ ამძლავრა ეს მადლიანი მემკვიდრეობა ისეთნაირად, რომ ქვენაზრახვებით შეპყრობილთ ეზას და გასაქანს უხშობდა.

„პო, ასეთები ქმნიან ერის ისტორიას...." — ყოველთვის ასე ასკვნიდა ხოლმე თავის ფიქრს ანდრო დეკანოსიძე.

ეს ორი ადამიანი ერთმანეთთან გულგანდობილ საუბარშიც დათქმულებივით ერიდებოდნენ გულვარდიშვილის ხსენებას. რაიკომის პირველი მდივნის საზღვარდაუდებელი თავნებობა, უჯიათობა, სხვისი სიტყვის, აზრის თუ რჩევის სრული იგნორირება საგრძნობ ზიანს აყენებდა დარიანის რაიონს. მეორე მდივნის საქმიანი და სასარგებლო წინადადება მეტოქეობად, მის წინააღმდეგ გამოხდომად მიაჩნდა. დეკანოსიძეს ვერაფერი გაეწყო მასთან და თავის გულს ასკდებოდა. განუწყვეტელმა ნერვიულობამ დაასნეულა კაცი. ალექსისთან რისთვისღა ესსენებინა პროკოფი გულვარდიშვილი — კარგს ვერაფერს იტყოდა მასზე, ზურგსუკან ძრახვას კი არ იყო ჩვეული...

ალექსიმ კი იცოდა, რომ დარიანში, გულვარდიშვილთან უთანხმოება უწამლავდა სიცოცხლეს დეკანოსიძეს, და ამიტომ ერიდებოდა იმ კაცის ხსენებას. უნდოდა, რომ ანდროს აქ, ირმისში ყოფნისას მაინც დავიწყებოდა პირველი მდივნის სახეც და სახელიც...

— ალექსი, — მცირე დუმილის მერე მიმართა ანდრომ მასპინძელს, — მართალია, პრაქტიკული ცოდნა შენ არ გაკლია, მაგრამ... შეწყვეტილი სწავლის გაგრძელებაზე არ გიფიქრია?

ალექსი სდუმდა. ანდრომ იცოდა, რომ რჩეულიშვილის მტკივან

ადგილს შეეხო, მაგრამ არ დაიხია, უფრო დაბეჯითებით განაგრძო:

— შენ გამოცდილებას იძენ, თვალდათვალ იზრდები, მაგრამ განათლება თუ არ გექნება, ზრდა ცალმხრივი გამოვა, არა? დაკარგული დრო უნდა აანაზღაურო. მომავალში შენ ამ პატარა მეურნეობას არ გაკმარებენ...

— ხვალ აღარც პატარა მეურნეობა იკმარებს უსწავლელ ხელმძღვანელს! — თქვა ალექსიმ იმ ხვალინდელი დღის წრფელი მოწონებით.

— ჰოდა, ისწავლე. შენ ძალგიძს მიზნის მიღწევა. ავისმქნელთა შარის მოსადებ საბაბსაც გამოაცლი ხელიდან...

დილაუთენია წასულმა დეკანოსიძემ ალექსის განცხადება წაიღო თან და საშუალო სკოლის კურსის ექსტერნად ჩაბარების ნებართვაც არ დაუგვიანა.

იმ ზამთრის ღამეები ალექსიმ სკოლის სახელმძღვანელოებს შეალია. მთელი დღის მუხლჩაუხრელი კაცისთვის იქნებ საძნელო ყოფილიყო გადენებამდე წიგნის კირკიტი, მაგრამ... კაციც არის და კაციც! ეს ახალგაზრდა კაცი სოფლის სიამ-სიმწრით გაჭედილ ყოველდღიურობას ზურგზე მოკიდებული ტვირთივით სტოვებდა სახლის ზღურბლთან და შინ, როგორც დღესასწაულზე, ისე შედიოდა. რას არ შესძლებდა, რა სიძნელეს არ დასძლევდა ხატულას და სანდრას გასახარებლად?!

გაზაფხულზე ალექსი თბილისში წავიდა გამოცდების ჩასაბარებლად. ატესტატი რომ მიიღო, თავისი და ხატულას საბუთები ერთად შეიტანა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელ სექტორზე.

თავი მესამე

დრო შეუფერხებლად განაგრძობს სვლას.

დღეები შორეული მიზნებისაკენ მიიჩქარიან.

ძნელია გზა ამ მიზნებამდე.

ახალ-ახალი საზრუნავი, დაბრკოლება, თავსატეხი ამოცანები ჯაჭვის რგოლებივით ებმიან ერთმანეთს, მაგრამ ყოველი დღე აახლოებს იმ მიზნებს და მომავლის რწმენა აადვილებს წინსვლას.

თუმცა დარიანის რაიონის ყველა სოფელი ვერ ხვდებოდა ახალ

დღეს სიხარულით. გათენება რას მოუტანდა იმ სოფლებს, თუკი ისინი თავლსად ჩაგვირისტებული რჩებოდნენ ალაზნის ველის წარმტაც ქარგაში. სასიხარულო რა ჰქონდათ, თუ მათი ბელლები გამოცარიელებული იყო, თუ შრომადღეზე მიღებული კაპიკებით ოჯახი ახალწლამდე ძლივს შავშავებდა, მერე კი მარწენალი დღიური სამუშაოს საძებნელად უნდა წასულიყო შინიდან.

ეს სიდუხჭირეს თითქოს სხვადასხვა მიზეზი ჰქონდა.

აი მაგალითად, კირიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დათა ელებრიშვილი განთქმულია დარდიმანდობით და ხელგაშლილობით, ეაგრამ მის შორსგავარდნილ სახელს გლეხის შრომა ასაზრდოებს.

თაფლაურას კოლმეურნეობის თავმჯდომარე მოსე ლაბაძე უძილობით იტანჯება. დღელამ იმის ფიქრშია, უფროსებს როგორ აამოს, რით ამაგროს ანაბრებული მეურნეობის კეთილდღეობაზე ყალბი წარმოდგენა.

ნატაძრის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გაბო ნაცვლიშვილი სულაც არ უქნია ღმერთს. თვითონ რაიონის ხელმძღვანელების მორჩილი მსახურია და ნატაძრელების მეურნეობას ჯიბის ფულად აწყალებინებს გამვლელ-გამომვლელს.

ჰოდა, სინამდვილეში გამოდის, რომ იმ სოფლების სიდუხჭირის მიზეზებს ერთი სათავე აქვს, და რა თქმა უნდა, ვისაც სხვისი გაჭირვება საკუთარ სიხარულს უწამლავს, ის გულგრილად ვერ უყურებს მეზობლის დაღონებას.

— დიტო ხირსელი იტყოდა ხოლმე „იმათზე ხელმძღვანელებმა აიტკიონ თავიო", — გადმოულაპარაკა ალექსის ნიკო ხელაშვილმა.

ხე-ტყის სახერხი ქარხნიდან ბრუნდებოდნენ. შარაგზის გასწვრივ დაკლაკნილ ბილიკზე მისდევდნენ ერთმანეთს.

ალექსიმ არ უპასუხა. გზადაგზა ეკლიანი ღობის გადაღმა იხედებოდა, დაუდევრად შეწამლულ ვენახებს ათვალიერებდა.

— ჩვენი რაიონის ხელმძღვანელებს კი, — განაგრძო ნიკომ, — თავის ტკივილი არა სჩვევიათ.

— მაგისთვის თავი უნდა ჰქონდეს კაცს, — ბოლმიანად ჩაიბუბუნა ალექსიმ.

— რაც მართალია მართალია, თავი საჭირო ნივთია! — გაიცინა ნიკომ. მიხვდა, რომ ალექსის გულს უწუხებდა ნატაძრელების ხელმიშვებული ვენახების ხილვა, ისევე როგორც თვითონ ნიკოს. მაგრამ ნიკო ბევრად უფროსი იყო ალექსიზე და ცხოვრებაში გაცილე-

ბით მძიმე საბუთარს შესწრებია, ისწავლა ამაო გულისტკივილის დანელება, მოვლენების მშვიდი ვონებით განსჯა.

ამოიწნდა მტვრის კორიანტელში გახვეული, ყურწამღები გრიხინით მომავალი მანქანა, თაფლაურას კოლმეურნეობის თავმჯდომარის, უძილობით დატანჯული მოსე ლაბაძის მინგრეულ-მონგრეული „ე-ს" წამოეწიათ და გაჩერდა. შოფერმა უმეტყველო თვალებით გაღმოხედა ქვეით მგზავრებს და ისევ საჭეს ჩაშტერდა. გვერდით თვითონ ლაბაძე ეჯდა. შუახნის კაცი იყო, გრძელცხვირა და გაცრეცილი გრძელსახიანი. ტილოს მაღალი ქუდი სასაცილოდ უგრძელებდა ცხვირსაც და სახესაც.

ლაბაძე მანქანის კარს დაეჭიდა, მაგრამ ვერ გააღო, ხელი ნაიქნია და მინაჩატეხილ სარკმელში გამოყო თავი.

— სასლიკაცებს ვახლავარ! საით? დაბრძანდით, მიგიყვანთ!

— ნუ სწუხდები, მოსე, ჩვენ სხვა გზა გვაქვს, — უთხრა ნიკომ.

— სხვა ეზა რას მიქვიან? გულსაამო ადამიანებთან ჩვენ ყველა ეზა გვაწყობს!

— ნუ იტყვი. შენ გარკვეული გეზი გაქვს აღებული, რა აზრია იმის გამოცვლა, — მოჭუტა ჭკვიანი თვალები და ვითომ ხუმრობით უთხრა ნიკომ.

— ეეჰ, ძვირფასებო, მიწა მრგვალია, რა გეზითაც არ უნდა იარო, სულერთია, მაინც ცენტრში მიხვალ! — ჩაიხითხითა მოსემ თავის ქარაგმულზე.

აქამდე განზე უხმოდ მდგომ ალექსის მოსეს ხითხითმა სახე დაუმანჭა.

— შენი ხალხი ვნახეთ ხე-ტყის ქარხანაში, ქირით სამუშაოს იხვეწებოდნენ, — უთხრა საყვედურით.

— სამუშაოს! იმათთანა მუნიან ნაცარქექიებს იქიდანაც მალე გამოაპანღურებენ, მამიჩემის ცხონებამა! თითის განძრევა ემკვლილებათ იმ სახეძაღლებს!

ალექსი მანქანას მიუახლოვდა, თითქოს უნდოდა ხელი წაეკრა, რომ წასულიყო, აღარ დაენახა ლაბაძის საძულველი სახე.

— შენ აიძულებ გარე-გარე სიარულს, ცილს მაინც აღარა სწამებდე! — უთხრა აღშფოთებით.

მოსემ სწრაფად გადახედა შოფერს და მერე ნაძალადევად გაიღიმა.

— ეშმაკმა იცის, რა ილაშლაშეს, და შენც დაიჯერე?! ვისაც სი-

რბილი ეხალისება, ირბინოს, გზა მშვიდობისა, ჩვენ კი მადლობა ღმერთს, სიღარიბეს არ ვუჩივით!

— პირიქით, არ იცი, იმდენ სარჩო-საბადებელს როგორ მოუარო, ისღაა ეასაკვირი, თქვენ დავალიანებას სხვა რად უხდის სახელმწიფოს.

— მაგას, ჩემო ალექსი, მე და შენ არ გვეკითხებიან, უფროსებს არაფერი შეეშლებათ!

— სხვისი სიბეცით სარგებლობა — უსვინდისობაა!

— შენა გგონია, ჩვენს უფროსებს სიბეცე სჭირთ? — ტუნის კუთხეებში ქაფი მოადგა მოსეს, თავი მანქანაში შემალა და შოფერს წასვლა უბრძანა.

შოფერი ისეთივე უმეტყველო თვალებით გადმოვიდა მანქანის დასაქოქად.

ნიკომ და ალექსიმ გზა განაგრძეს. კარეა ხანს იარეს ხმაამოუღებლად, გზის გასაყართან კი ნიკო ერთბაშად მოუტრიალდა ალექსის.

— სიტყვას ვერ ამოგაძრობს კაცი და იმ ნაძირალას რას გაუბი ლაპარაკი?

— ეგ ნაძირალები ქვებსაც ააყვირებენ.

— არ იცი, როგორ მოაჩუქურთმებს, რას ჩაუკაკლავს პროკოფი გულვარდიშვილს?

— ჰოდა, კარგია, ეგებ შევეშველოთ ამხანაგს, თავის ტკივილი დაეწყოს, — გაუღიმა ალექსიმ და მაგრად ჩამოართვა ნიკოს ხელი.

სოფელი ჭირნახულს აბინავებდა და მომავალი წლის ბარაქაზე ზრუნავდა. ირმისელები საქმეს ვერ აუდიოდნენ, თავმჯდომარე კი მაინც ახერხებდა, ყოველ გამთენიისას ხეგგალმა ნაპირს ზვერავდა. უყვარდა მთებიდან წვრილზვირთიან მდინარესავით მოდენილი ფარების დახვედრა და საზამთრო საძოვრებისკენ მათი გაცილება.

მაგრამ არ ჩანდა ცხვარი და ველარ ისვენებდა ალექსი. ძალზე ადრე ჩამოთოვა მთაში და ო, რა კარგად იცნობდა ის ზამთრის ადრეულა იერიშს მთაში! იცოდა, რომ კუთვნილ დროზე ადრე, არც მზე დასთმობდა ტასტს უბრძოლველად. ასეთ თავგუნება შემოდგომას ცხვარი ადრე უნდა აშლილიყო მთიდან, უნდა გამოესწრო ბუნების მზაკვრულ ილეთისათვის, გამოესწრო, ვიდრე ზამთარ-ზა-

ფხულის ორთაბრძოლაში უცებ ჩამდნარი ლბილი თოვლი მოულოდნელ ღიდროად ჩამოასკდებოდა ბარს, წალეკავდა გზას, საფარს, ცალ-დირე ბონდს, ხიდებს...

ალექსის ელდასავით სცემს მაღლიდან გამოქრილილი სიოს სუსხი და თეთრად ამოქარვული მთების ტეხილი ხაზი. იგვიანებს ცხვარი და ღელავს ადამიანი. ამბის გასაგებად კაცები გაგზავნა მთისკენ და თვითონ რაიონის ხელმძღვანელებს მიაკითხა: ეგებ დაავიწყდათ, რამოდენა ზარალი მოჰყვება ხოლმე სექტემბრის თავნებობის არად ჩაგდებას?!

ღელავს ალექსი და ბრაზობენ უფროსები: რას აგვიკლო იმ გონჯაურამ, ცხვარს ვინ აკითხებს, თავის საქმეს მოუაროსო.

ამასობაში დრო წაგებული აღმოჩნდა. დაგვიანებული ნებართვით წამოსულ მეცხვარეებს გზაში ქარაშოტმა, სეტყვამ, თოვლმა, წვიმამ, წყალდიდობამ უწია. ნესტგამჯდარი, შეციებული ცხვარი საბრალისი ბღავილით მოადგა ადიდებულ ირმისხევს. რის ვაი-ვაგლახით გადმორეკეს ფარები მოფამფალებულ, უშნოდ გაწეწილ ხიდზე პირუტყვს ფეხზე დგომის ღონე აღარ ჰქონდა, რა სული და ხორცი შერჩებოდა წინმდებარე შორ სავალზე?!

— ხალხო!.. — მიუბრუნდა ალექსი თანასოფლელებს და სათქმელი ვეღარა თქვა: ვის გაუგონია? ათასობით ცხვარს სოფელში ვინ შეუშვებს? მოულეველ საშემოდგომო საქმეს ზედმეტ თავსახლელს რაღად მიამატებენ? ეს საცოდავი ნატაძრელები ზოოტექნიკოსს დასევიან, ლამის გაგლიჯონ ვაჟა კვერენჯაძე:

— მაშ, ეს საქმეა? — უყვირიან ისინი ვაჟას, — ჩვენ შვილებს უკანასკნელ ლუკმას ვუყოფდით, შენ გეხმარებოდით, გვინდოდა გესწავლა და გამოგვდგომოდი, შენ კი იმის ცოდნა და მარიფათიც ვერ გამოიჩინე, რომ დროზე წამოსულიყავით! ორიოდე ცხვარი გაგვაჩნდა და ისიც დაღუპვამდე მიიყვანე! ბრძანებას რას უცდიდი, არ იცი, დარიანში ჩვენთვის თავს არავინ გაიცხელებდა?!

— ხალხო!.. — ვეღარ მოითმინა, ისევ დაიძახა ალექსიმ და ისევ გაუწყდა სათქმელი.

მაგრამ მისი დაძახება ყრუ კედელს კი არ შეეხეთქებია, მიუხვდნენ ირმისელები თავმჯდომარეს, დაიძრნენ, კედლად დადგნენ შარაზე, ცხვარს სოფლისკენ უბრუნეს პირი.

ქუჩებს, შუკებს, ორღობეებს, ეზოებს მოედო პირუტყვი. სოფლის სუნი რომ იკრეს, უარესად აბღავლდნენ, მათი საცოდაობით ქვა გას-

კდებოდა. ადგნენ ირმისელები და სადაც ბოსელი, ფარდული, ჯი-სურა, ბაკი, გომური იყო — ყველაფერი დაუთმეს, მაგრამ ვერ დაე-ტია ცხვარი. „თუ მადლია, მარილიც მოვაყაროთო" — თქვეს ირმი-სელებმა და მარნებში, აივნებზე, მერე კანტორაშიც და კლუბშიც შე-რეკეს, ბატკნები კი საბავშვო ბაღის სახელდახელოდ დაცლილ ოთა-ხებში დააბინავეს. ცას მისწვდა სასწრაფოდ დანთებული ბუხრების და ღუმელების ბოლი...

ობილად დაიღამა და გაითენა პირუტყვმა, სული მოითქვა, გაშ-რა და გალაღდა. მეორე დღეს გვიან გათენდა. თითქოს მთაში ნაომარ მზეს ისრები დაუჩლუნგდაო, როდის-როდის გაარღვია მოქრუშული ცა და ვინ იცის, სასიხარულოს რას შეასწრო თვალი, ღრუბლები უცებ მიყარ-მოყარა, აელვარებული დაეკიდა კაბადონს და მცირე ათინათებით მოფინა დედამიწა.

მოსულიერებული ცხვარი შარაზე გაიყვანეს. ისევ ჩვეული მე-დიდურობით მიაბიჯებდნენ ვაცები და რქებდაგრეხილი ყოჩები. ისევ მარჯვედ მისდევდნენ მათ ერკემლები, მიიქნევდნენ დუმას შიშაკები, ქევქევით მიდიოდნენ კოსტაპრუწა თოხლები, მიაბაკუ-ნებდნენ თეთრხუჭუჭა ბატკნები.

ფარა ფარას მიჰყვა. წავიდა ცხვარი. გაუჩინარდნენ ბოლომცვე-ელი ნაგაზებიც, მსარზე გირგილვადებული მწყემსებიც, მოჩარდახე-ბული ცხენურმებიც.

— ისეც ირმისელების წყალობით ვარსებობთ და ეხლაც მაგათ გადაგვირჩინეს ცხვარი დალუპვას, ღმერთმა დიდი დღე მისცეს იმათ ღვთისნიერ თავმჯდომარეს!—ეუბნებიან ნატაძრელები კვერენჯაძეს.

— ჩემო ნატაძრელებო, ჩემო ძვირფასებო, — იცინის ვაჟა, — დი-პლომი ინსტიტუტმა მომცა, ჭკუას თქვენგან ვსწავლობ, გამოცდი-ლებას შეცდომებიდან მივიღებ! ერთი-ორი წელიც მაცალეთ და მე-ცხვარეობაში პირველ ადგილზე თუ არ გამოგიყვანეთ, ბიჭი არ ვი-ყო! — იცინის ვაჟა და ისეთი გადამდები სიცილი აქვს, რომ გულნა-თხრობილი ნატაძრელები ვერ უძალიანდებიან. ერთი-ორი ჭელი მა-ცალეთო! ნატაძრელებს მოთმენის უკეთ სხვა რა სჩვევიათ? დაიც-დიან. ვაჟას სიტყვას განა არ დაიჯერებენ? ვაჟა მაინც ვაჟაა, მათი გაზრდილი, გულთბილი და პატიოსანი ბიჭი!

ვაჟა სირბილით გაეკიდა წასულებს. გამცილებლები ირმისს მი-უბრუნდნენ და სოფლის დასუფთავება-მოწესრიგებას შეუდგნენ.

რაიონის ხელმძღვანელებმა თავის მცნევარებისაგან ყველაფერი

იცოდნენ. ირმისში მისვლა არ ინდომეს, დანაშაულის აღიარებად არავინ ჩაგვითვალოსო, და ფარებს სოფლებიდან მოშორებით, მინდორში დაეწივნენ. ცხვარს დაზარალებისა არა ეტყობოდა რა, და გული რომ დაიარხეინეს, აქეთ გამოედავნენ მეცხვარეებს, ვინ მოგცათ ნება პირუტყვი სოფელში შეგეყვანათო. ოჰ, ისევ გონჯაურა?! საზღვარი აღარ უნდა დაედოს იმ კაცის თავნებობას? ცხვარს სოფელი ააკლებინა, საბავშვო ბაღი ააოხრებინა, გაგონილა?.. ნამდვილად პასუხისგებაშია მისაცემი!

ბობოქრობით გამოგრიალდნენ ირმისში და პირკატა ეცათ — სოფელში „აკლება-აოხრების" კვალი ვერსად დაინახეს. ხალხს საბავშვო ბაღის ეზოში მოეყარა თავი დასასვენებლად. აბა ასე საჯაროდ რა ეთქმოდათ, წინა კბილებით მადლობა გადაიხადეს, ბავშვების სიმღერა-ლექსებსაც მოუსმინეს და ოთახებიც დაიარეს. ერთგან კედელზე მირჩენილი ბოლომოკორტნილი სურათის გამო ერთმანეთს აზრი გაუზიარეს, ჯიბომ კი სურათი ჩამოხსნა, ბეჯითად დაახვია და „ყოველ შემთხვევისათვის" ხელს გააყოლა.

ბოლოს სტუმრები აივანზე გამოდგნენ, რაიონის მიღწევებზე, მეცხოველეობის აღმავლობაზე, თავდადებულ შრომაზე და მომჭირნეობაზე ლაპარაკით გული იჯერეს და წავიდნენ.

ყველამ იცოდა, რომ რჩეულიშვილს თვალის დასანახავად ეჯავრებოდა და დაუნდობლად ჰგმობდა მათ, ვინც ხალხს ცხოვრებას უჭირვებდა. ამიტომ უკვირდათ, რომ ალექსი არ იზიარებდა საერთო აზრს გაბო ნაცვლიშვილზე.

„უხეირო, წყალწაღებული კაციაო", — ამბობდნენ ნატაძრის კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე ისინიც, ვინც ურცხვად სარგებლობდნენ მისი უტყვი მომსახურებით და ისინიც, ვინც იჩაგრებოდნენ მისი სიბეჩავით. ასე ამბობდნენ ირმისელებიც, და ნატაძრელების ბავშვებს სამადლოდ ზრდიდნენ თავის ბაგაშიც და საბავშვო ბაღშიც.

ალექსის კი რატომღაც ეცოდებოდა ის კაცი, თითქოს ვერ იმეტებდა აუგისათვის. ეგებ იმიტომ, რომ თვითონ ნატაძრელები თავისი ხელმოკლეობისა და სიდუხჭირის გამო ნაცვლიშვილს კი არა, ბედს ემდუროდნენ, გაბოს ძვირს რომ გაიგონებდნენ, ამოიოხრებდნენ ხოლმე, ეჰ, თვალი დაუდგა ზოგი კაცის ყისმათსო!"

ერთხელ, ეამთენიისას, ვენახების შემოვლის დროს, ალექსიმ ნატაძრელების ნაკვეთიდან განგაშის მსგავსი ყროყინი გაიგონა. სწრაფად გასწია იქით და დაინახა: ხის ყუთებით დატვირთულ ორთვალაში შებმულ ვირს გაბო ხან ემუდარება, ხან გამეტებით ურტყამს, მაგრამ სახედარი ადგილიდან ფეხს არ იცვლის და უსაშველოდ ყვირის.

მიხვდა ალექსი: გაბოს საკოლმეურნეო ბაღი გაუძარცვავს და ვიღაცასთან მიაქვს ნატაძრელების ერთადერთი სიკეთე და სიამაყე — სანაქებო ჯიშის ადრეული ვაშლი.

აღშფოთებული ალექსი მივარდა ორთვალასთან.

— ახედავ, პირუტყვი შენზე პატიოსანი ყოფილა! — დასჭექა გაბოს პოულოდნელად.

ნაცვლიშვილი აწრიალდა, ღობეს მიაწყდა, თავის აწევა ვერ გაბედა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაილაპარაკა:

— მაშ რა მექნა? რა ვქნა, რა? მითხრეს. ეხლა ნებავთ. ვიდრე იშვიათიაო. მერე რაღათ გვინდაო...

ალექსი დროზე მოვიდა გონს, უნებლიეთ აწეული ხელი დაუშვა და ზედ ისე დახედა, თითქოს სხვისიაო, სული შეუგუბდა.

— ვასწი, დამეკარეე თვალიდან, მასხარავ!—ამოისუნთქა მოგვიანებით.

გაბო ჯერ მორწილად გატრიალდა, ფეხათრევით წავიდა, მაგრამ უცებ ისევ შემოტრიალდა, სწრაფი ნაბიჯით დაბრუნდა, ალექსის წინ დადგა და თვალი გაუსწორა:

— მოგეკალი, შე მადლიანო, მოვრჩებოდი, მოვისვენებდი.

„რა მოსდის, რა ემართება ამ კაცს?“ — მწვავედ გაჰკრა ფიქრმა ალექსის. მარწუხივით ჩაავლო ხელი გაბოს მაჯას.

— მოსვენება თუ გინდა, მოეშვი ნატაძრელებს, შენც მოისვენებ და აღარც ისინი დაიტანჯებიან.

— ჩემზე არ არის ეგ დამოკიდებული.

— გგონია, ნატაძრელები ვერ შეგელევიან?

— არა, იმათ არა ჰკითხავენ, ყურსაც არ უგდებენ.

— რას ამბობ, ვერ გამიგია.

— დიდი ხანია ნათხოვნი მაქვს. ასჯერ ვითხოვე და არაო, არ მიშვებენ...

ალექსიმ ხელი შეუშვა გაბოს მაჯას.

— არ მიშვებენო, და ნაპარავი ვაშლებით კი მხარდაჭერას

პყიდულობ?! სხვები რომ ეგეთ რაღაცეებს აკეთებენ, გასაგებია, გამორჩენა აქვთ, და შენა? ბალღები სამოწყალოდ გეზრდებიან, სახლი თავზე გენგრევა, თითონ კაცი იყავი და ტალახადა ხარ ნაქცევი. რისთვის აკეთებ ამას, რისთვის?

გაბომ წამით ჩამოაფარა თვალებს გათხელებული ქუთუთოები და მერე ისევ პირდაპირ შეხედა ალექსის.

— დამიჯერებ? ნურაფერს კი ნუ შემეკითხები, ისე დაიჯერე, რასაც გეტყვი. მე შენზე უკეთესი თავმჯდომარე ვიქნებოდი, მაგრამ არ ვინდა, არ არი საჭირო, არ შეიძლება, გესმის? არ მინდა, გჯერა?

ალექსის უნდოდა ეთქვა, მჯერაო, მაგრამ ხმას ვერ იღებდა. ის, რაც უცებვე დაიჯერა, საოცარი რაღაც იყო, და გაოცებული, აუხსნელი თანაგრძნობით შეჰყურებდა გაბოს. ის აღარ იყო წელანდელი აწრიალებული „უხეირო". სულ სხვა იყო, სხვანაირი და თითქოს უცნობი.

— ვთხოვ და არ მიშვებენ, — განაგრძობდა ის, — ჩემ ნებაზე მოქცევა კი არ შეიძლია. იყო ისეთი რაღაც ჩემს ცხოვრებაში, რის გამოც, შენ მართალი სთქვი, ტალახადა ვარ ნაქცევი. დამნაშავე კი არაფერში არა ვარ. დამიჯერე, არაფერში არა ვარ დამნაშავე. ნურაფერს მკითხავ, მეტს ვერაფერს გეტყვი. შენთვისაც არ არის საჭირო, სჯობია არ იცოდე. ბუზი რომ გაებმება ობობას ქსელში, ისე ვარ. მოსვენება კი მენატრება, სამუდამო მოსვენება ისე მენატრება... მაგრამ ცოლ-შვილი მეცოდება. ან იქნებ მართლაც ტალახი ვარ, სიბრალულს იმიტომ ვებღაუჭები...

ალექსი გაჩუმებული უყურებდა. გაბოს უყურებდა და უსასრულო შორეთიდან მომავალ, უზომოდ დაღლილ-დამაშვრალ მგზავრს ხედავდა. თვალები ეტკინა და სთხოვა:

— წამოდი, გაბო, წამო, ძმაო, აქვე ფარდულში დავწეროთ განცხადება. პასუხი ითხოვე, ოფიციალური პასუხი მოითხოვე, გესმის? ვიპასუხებენ თუ არ გიპასუხებენ, მერე მოვიფიქროთ, ვნახოთ...

და მზე შუბის ტარზე იყო, ალექსი გაბოს რომ აცილებდა.

— ამას, ამ ტიალ ყუთებს რა ვუყო? — ჰკითხა გაბომ ალექსის და თითქოს მადლობით მოუთათუნა ისევ ისე ჯიუტად მდგომ სახედარს.

— საბავშვო ბაღში წაიღებენ. შენ წადი, გზა მშვიდობისა!

* * *

ვავიდა ერთი დღე, მეორე, მესამე, და გაბო არ გამოჩენილა, არც არავინ იცოდა მისი გზა-კვალი. ალექსი განზრახ ახანგრძლივებდა ზვრების შემოვლას, ეგებ გაბო აქ მოვიდესო, მაგრამ ის კაცი არ ჩანდა და ალექსის მის ბედზე წუხილი უძლიერდებოდა.

მეოთხე დღეს ირმისს პროკოფი გულვარდიშვილი ეწვია. ის ყოველ მოსვლაზე ამბობდა, „გზად შემოვიარე და ძალიან მეჩქარებაო". თავმჯდომარე კაბინეტში თუ არ იყო, რაიკომის მდივანი არც მის დაძახებას ბრძანებდა, არც სათქმელს იტყოდა, ისე გაბრუნდებოდა, და თუ შეხვდებოდა რჩეულიშვილს, მაშინვე ჩივილს იწყებდა: „ისე ვარ გადატვირთული, წუთით მოცლა არა მაქვს, თორემ ირმისში ყოფნას და დასვენებას რა სჯობია?! ზოგიერთი ჩვენი ამხანაგივით, მე ვერ ავყვები პირად სიამოვნებასო".

ათასში ერთხელ გულვარდიშვილი ალექსისთან ერთად, მანქანიდან გადმოუსვლელად დაუვლიდა მეურნეობას, სიტყვასაც არ იტყოდა, რა მოეწონა, რა არ მოეწონა, ისევ გაქცევაზე ეჭირა თვალი.

ამჯერადაც მდივნის მანქანაზე სქლად დადებული მტვერი ადასტურებდა ამხანაგ გულვარდიშვილის უზომო გადატვირთულობას.

ჯაფარაანთ ლიზამ შორიდანვე დაინახა მისი მანქანა, ბიჭები აფრინა თავმჯდომარესთან, თვითონ კი მის კაბინეტში შეეარდა, ქოთნით ყვავილები შეიტანა, მაგიდიდან და სკამებიდან მტვერი გაღაწმინდა.

— რას აუტეხიათ, მტვერიაო? — ბუტბუტებდა თან, — მაგათი მტვერი საქმიანობის მაჩვენებელია და აქაური მტვერი — უსაქმურობისა? ზამთრობით დამლაგებელი გვყავს და მტვერიც არ არის, ზაფხულში, გარეთ როცა თითო მარჯვენა ოქროს ფასია, კანტორაში ასი წლის დედაბერსაც ვერ დააბამ, ესეც თუ არ ესმით და...

„სტუმრის საამებლად" ლიზიკომ გარუჯულ ცხვირზე პუდრიც კი მიიყარა, მაგრამ თავდადება არ დაუფასდა, უფროსი აშკარად ცუდ გუნებაზე იყო. თავმჯდომარის მაგიდაზე ყვავილების ქოთანი რომ დაინახა, ირონიით მოკუმა თხელი ტუჩები და ბოლთისცემა დაიწყო, თან მწითური ბუსუსებით დაფარული თხელი მაჯა წარამარა მიჰქონდა თვალებთან, საათს დაჰყურებდა და იღუშებოდა.

ის რომ იღუშებოდა, ლიზიკო სიცილს ძლივს იკავებდა. სტუმარი ხმელ-ხმელი კაცი იყო და საშუალოზე ოდნავ დაბალი ჩანდა. წვრი-

ლი და მოხდენილი ხელ-ფეხი ჰქონდა. სახეც ლამაზი ექნებოდა, მაგრამ კანი ჰქონდა ისეთი ფერმკრთალი და მოდუნებული, რომ როცა იღუშებოდა, ლიზას ეჩვენებოდა, შუბლი გახუნებული ნარმასავით ეკეცებაო.

მაგრამ აი, გულვარდიშვილმა კვლავ მიიტანა მაჯა თვალებთან და ლიზიკოს სახეზე ღიმილი გაქრა. მოეჩვენა, რომ სტუმარს რისხვამ ჩაუთალხა კანიც, ცისფერი თვალებიც, ხასხასა ჰალსტუხსაც კი დაუკარგა ჰეწი და ლაზათი.

„ასე რა აბრაზებს ამ დალოცვილს, — შეშფოთებით გაივლო გულში მოანგარიშემ და ფანჯრიდან გასცქერა გზას. — სულ ათი წუთია, რაც იცდის. ამ გაგანია მუშაობის დროს თავმჯდომარე აქ ხომ არ იჯდებოდა? ოჰ, მოდის ალექსი, მადლობა ღმერთს, მოდის!"

— შენ მართლაც არასდროს არა ხარ კანტორაში, — უთხრა გულვარდიშვილმა ალექსის, ხელი რომ ჩამოართვა.

— დიახ, იშვიათადა ვარ.

— მაშ, მიმდინარე საკითხებს როდის არჩევ?

— საკითხები ყოველ ნაბიჯზე ჩნდებიან და იქვე გვიხდება მათი გადაწყვეტა. თუ სასწრაფო არ არის, საღამოთი ვიხილავთ გამგეობაზე.

— მაგრამ კანტორაშიც ხომ უნდა იყოს ვინმე?

— დიახ, პატივცემულო ამხანაგო პროკოფი, გამგეობის წევრები მორიგეობენ, მაგრამ ყოველთვის ვერ სერხდება...

— არა, არა, არ შეიძლება, ეგ დაუშვებელია! აქ ყოველთვის უნდა იყოს ვინმე. ვინმე კი არა, უფლებამოსილი, პასუხისმგებელი პირი. რა იცით, ეგებ ჩამოდის ვინმე, ან მოხდეს რამე. ეგეც არ იყოს, კოლმეურნეებზე უნდა ზრუნავდეთ, თქვენ უნდა ემსახურებოდეთ, იმათ ხომ არ უნდა გდიონ? შემოსასვლელთან დაფა მიაკარით, მიღების საათები დააწესეთ და მიიღეთ სალხი, მოუსმინეთ, გამოიჩინეთ ყურადღება, ეს დიდი სანია უნდა გაკეთებულიყო!

— გავაკეთებთ, ამხანაგო პროკოფი, კალოზე ხომ არ წამობრძანდებოდით?

— სამწუხაროთ, არა მცალია, ვერ წამოვალ. აქეთ ვიყავი და ერთი წუთით შემოვიარე. ჰო, მართლა! ამხანაგო ალექსი, კირიანელებს მანქანა რატომ არ ათხოვე? ჩემი ბარათი მიიღე?

— მივიღე.

— მერე?

— მანქანა სახერხი ქარხნიდან მასალას ეზიდება, ბელელის გაფართოება გვეჩქარება.

— შენ ხო იცოდი, რა სამწუხარო ამბის ვამო დასჭირდათ კირიანელებს მანქანა?

— ამბავი სამწუხაროა, მაგრამ ვიფიქრე, კირიანს სასაფლაო ზედვე აქვს, მიცვალებულს ხელით წაასვენებენ-მეთქი.

— კიდევ რა იფიქრე? — სერიოზულად ჰკითხა მდივანმა.

— თავმჯდომარის სიდედრის დაპარსვა და ქელესი კირიანელებს გაუხდათ თავშისახლელი და ირმისელები რაღად უნდა დაზარალდნენ-მეთქი.

— შენ ყოველთვის განსაკუთრებული მოსაზრება გაქვს, — ისევ სერიოზულად თქვა გულვარდიშვილმა.

— დარწმუნებული ვარ, თქვენც გექნებოდათ ეს მოსაზრება, მაგრამ მღებრიშვილის დახმარება და გამხნევება გსურდათ. რაკი ყველაფერმა მშვიდობით ჩაიარა, ამაზე თქვენი ყურადღების შეჩერება აღარა ღირს.

ვერც მის სიტყვებს, ვერც დინჯ კილოს კაცი ვერ შეედავებოდა, მაგრამ რაღაცა იყო ალექსის სიტყვებშიც და კილოშიც ისეთი, რაც გულვარდიშვილს გაუგებარი დარჩა, ისეთი, რამაც მან თავისი თავი უცებ პატარად, ფიზიკურად ძალზე დაპატარავებულად მოაჩვენა და ისეთი საძაგელი გრძნობა განაცდევინა, რომ ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა. მერე შეეშინდა, რჩეულიშვილი არ მიმიხვდეს უცნაურ განწყობასო, ყალბი გულითადობა მიატოვა და ზემდგომის ძალაუფლებიანობით ისარგებლა:

— ამხანაგო ალექსი, მე ბევრჯერ გავუჩუმდი შენს თავნებობას და ეტყობა, ამან ზიანი მოგიტანა. ჩვენი ტრადიციების უპატივცემულობა, ან მეზობლის მწუხარებას გაიზიარებ თუ არა — ეგ პირადი ამბავია, შენი ნებაა, მაგრამ ლაპარაკი გეგმებზე, გადასახადების ვიოთმდა არასწორ განაწილებაზე და სხვა ამისთანებზე კი—უკაცრავად! იქნებ იმასაც ფიქრობ, რომ სახელმწიფო გეგმებიც, დამზადებაც, განაწილებაც და ყველა სხვა საკითხებიც შენი ნება-სურვილით უნდა წყდებოდეს?!

— არა, უბრალოდ, მე არ მინდა, რომ შრომისუნარიანი ხალხი აიძულონ სხვის ხელში შემყურე იყოს, სხვის კმაყოფაზე ცხოვრებას მიეჩვიონ.

— მე ვხედავ, ჩემო კარგო, ამგვარი ლაპარაკი ჩიხში მოგვამწყვდევს და მე მომიხდება შენთვის გამოსავალის ძებნა.

— ეგ ადვილი საქმეა, ძნელი — ჩამორჩენილი მეურნეობისათვის გამოსავალის მოძებნაა.

— გავიგე, შენ ნატაძრელებისათვის გიპოვნია გამოსავალი!

ალექსის არ დაუნახია გულვარდიშვილის დამცინავი ღიმილი. ნატაძრის ხსენებაზე მის თვალწინ უსასრულო შორეთიდან მომავალი, დაღლილი მგზავრის სახემ გაიკრთომა. წარბებშუა ნაოჭი დააჩნდა, ღრმად ჩამჯდარი თვალები აენთო და თითქოს მისმა გულმა ამოიოხრაო:

— რა დაემართა იმ ადამიანს, რა?

გულვარდიშვილი სწორად მიხვდა, ვისზე წუხდა ალექსი და ამ უმისამართო, უნებურად ალმომხდარმა კითხვამ ისე გააკვირვა, თვითონაც უნებურად შეეცვალა კილო:

— ეგ შენ უნდა იცოდე, შენა ჰყოფილხარ იმისი გულშემატკივარი.

ალექსიმ იგრძნო, რომ მდივანმა ნამდვილად არაფერი იცოდა გაბოს შესახებ. დაიჯერა, რომ ნაცვლიშვილის ბედის უკულმართობაში მთავარი ბრალი მას არ მიუძღვის და ამისათვის იმ წამს ბევრი რამ აპატია. რაც შეეძლო მშვიდად თქვა:

— არა ჩანს, მეგონა თქვენ გეცოდინებოდათ, სად არი.

— მე უსაქმურებისათვის არა მცალია, არც მათი გზა-კვალი მაინტერესებს, შენ კი არ გირჩევ სხვის საზრუნავში წილის ჩადებას, სჯობია საკუთარი პოზიციები გადასინჯო. ახალგაზრდა კაცი ხარ, მოასწრებ შეცდომების გამოსწორებას. ჩვენც ანგარიშს გაგიწევთ, ვეცდებით დაგივიწყოთ, რომ ზედმეტი ლაპარაკით ჩრდილს აყენებდი პარტიის რაიონული კომიტეტის ავტორიტეტს. ჩანს, შენ არა ზრუნავ შენი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაზე, სწორეთ აქედან მოდის შენი კერძო მესაკუთრული ტენდენციები, „მანქანა ჩემია და არავის ვათსოვებ“, „სალეწი მე მჭირდება“, და სხვა ამისთანები. მალე საკუთარი ტრაქტორიც მოგინდება!

— სწორედ მაგის თაობაზე ვაპირებდი თქვენთან მოსვლას!

— რის თაობაზე?

— ჩვენმა საერთო კრებამ დაადგინა, ტრაქტორი შევიძინოთო, — ისე მშვიდად მიუგო ალექსიმ, თითქოს მანამდე არავითარი უსიამოვნო სიტყვა არ თქმულა მათ შორისო.

გულვარდიშვილმა უცებ დაბუჟებული თითების ბოლოები დაიზილა და გაოცებით აიჩეჩა მხრები. მერე უსიტყვოდ დაუქნია თავი ალექსის, მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

იმავე ღამეს მდივანს ჩვეულებრივად გაგრძელებული, მრავალსიტყვიანი თათბირი ჰქონდა დარიანში. სხვადასხვა საკითხებზე დაპარებული სალხი რომ გაისტუმრა, სავარძლის საზურგეს მიესვენა, კაბინეტში დარჩენილნი შეათვალიერა, შემთხვევით თუ განზრახ მზერა მეორე მდივანზე შეაჩერა, თითი საფეთქელთან მიიტანა და დაიწყო:

— გულახდილად უნდა გითხრათ, ამხანაგებო, უკმაყოფილო ვარ თქვენით. არ იჭრებით ცხოვრების სიღრმეში, ადამიანების ფსიქიკაში. მე ერთი — ყველაფერს ვერ გავწვდები, ეს ფიზიკურად შეუძლებელია! და რა გამოდის? უკვე შორამდე ფესვებგამდგარი მოვლენები, უცებ მოულოდნელ ამბად გვევლინებიან...

ჯიბო ჭიმიაშვილმა ყურები ცქვიტა: ვის დაატყდება პროკოფი ილარიონიჩის რისხვა? ალბათ, ისევ დეკანოსიძეს, იმას უყურებს...

— აი, ავიღოთ თუნდაც ირმისი და ირმისელები, — პათეტიკურად განაგრძობდა გულვარდიშვილი. — თავის დროზე ჩვენ მივეცით ირმისელებს საშუალება თვითონ აერჩიათ თავმჯდომარე. იმიტომ, რომ მაშინ სხვა პერიოდი იყო, ჩვენ სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეებით ვიყავით გადატვირთული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ მხედველობიდან მაინც არ უნდა გამოგვრჩენოდა, რომ იმათი წინანდელი თავმჯდომარე დიტო ხირსელი ამორალური ტიპი, ხალსის მტერი და სამშობლოს მოღალატე გამოდგა და ირმისელები დიდხანს იყვნენ მისი მავნე გავლენის ქვეშ. არც ახალი თავმჯდომარის არჩევაში ჩავერიეთ, არც მერე წარვმართეთ იმათი მუშაობა სწორი გეზით. მართალია, ისიც კი უნდა ითქვას, რომ რჩეულიშვილმა ჩვენ ძაან ოსტატურად შეგვიყვანა შეცდომაში, თავდაპირველად თვალები აგვიხვია კარგი მუშაობით, და რას ვხედავთ დღეს?

— ვხედავთ, რომ დღესაც შევყავართ მაგ სასიამოვნო „შეცდომაში", — კეთილი ღიმილით თქვა ანდრო დეკანოსიძემ.

— ოჰ, ისეც ვიცოდი, რჩეულიშვილის დასაცავად სიტყვას გამაწყვეტინებდი! — იწყინა გულვარდიშვილმა.

— რჩეულიშვილებისთანებს ჩემი დაცვა არ სჭირდებათ, მაჩვე-

ჩებლები და მუშაობის შედეგები მეტყველებენ მათ ავ-კარგიანობაზე.

— მე ცალკე, კონკრეტულ მაგალითს მოგახსენებთ და შენ კი რატომღაც სცდილობ განაზოგადო ჩემი ნათქვამი. კარგ თავმჯდომარეებს ჩემგან დასაცავად აქვთ ვითომ საქმე? — აჭიმა წარბები გულვარდიშვილმა და შუბლი საოცრად დაუნაოჭდა.

ღეკანოსიძე არ დაჰყვა გამოწვევას და მისმა გაჩუმებამ უარესად გააღიზიანა მდივანი.

— სოფელ-სოფელ ვიზიტად სიარული საქმეს არას არგებს, თუ, ვიმეორებ, ცხოვრებაში ღრმად არ შეიჭერით, ადამიანების ფსიქიკას არ ჩასწვდებით! შენ, ჩემო ანდრო, ირმისში ხშირად ჩაივლი ხოლმე, სწორედ შენა გმართებდა დაგენახა, რომ ის რჩეულიშვილი მთლიანად გაჟღენთილი უცხო იდეებით და კერძომესაკუთრული ტენდენციებით!

— კეიცი გვარზე ხტის! — წამოისროლა ჭიმიაშვილმა.

— ამხანაგო ჯიბო, შენ დიდ-პატარაობა უნდა იცოდე, მეტი თავდაჭერილობა გმართებს, — შენიშნა მას დეკანოსიძემ. ის აშკარად ვერ იტანდა, გულვარდიშვილის მფარველობით გათავსედებულ, უმეცარსა და უქნარა წინამასწარას.

— ბოდიში, — წაიდუდუნა ჯიბომ.

— საბოდიშო არაფერია, — გამოესარჩლა გულვარდიშვილი, — ჩვენ აქ შინაპარტიულ დემოკრატიას ვიცავთ და თავისი აზრის გამოთქმის უფლება ყველასა აქვს, მით უმეტეს, როცა ამხანაგი, ბევრ სსვისაგან განსსვავებით, საღად მსჯელობს.

— რაღა დროს მაგაზე მსჯელობაა, ამხანაგო პროკოფი, — შეესიტყვა ანდრო. — თავის დროზე პარტიამ გაგვისწორა დაშვებული შეცდომები, ალექსანდრე რჩეულიშვილის შავ სიაში შეტანა უხეში შეცდომა იყო და დაგვიანებით მაინც გამოვასწორეთ...

— რჩეულიშვილი თავისი ბუნებით, მთელი თავისი არსით რომ არ ყოფილიყო კულაკი,—შეაწყვეტინა უფრო მეტად გაღიზიანებულმა გულვარდიშვილმა,—ჩვენთვის სავსებით უცხო ელემენტი რომ არ ყოფილიყო, კუდს ყავარზე არ გასდებდა, თავპატიჟს არ დაიდებდა და ნება რომ დართეს, დაბრუნდებოდა!

— დაბრუნება-არდაბრუნება უკვე მისი საქმე და სურვილი იყო! საერთოდ, მე მიმაჩნია, რომ უსაფუძვლო მტკიცება არა ღირს, უხერხულია.

„სწორედ კაი მომენტია უფროსს მხარი გავუმაგრო, იმ გონჯაუ-

რას ვაყურებინებ სეირს!" — გადაწყვიტა გულში ჭიმიაშვილმა და დისტანციის ხაზგასმული დაცვით, წამოდგა.

— თუ შეიძლება, ცნობისათვის ორიოდე წუთი! პროკოფი ილარიონიჩ, პირადად მე ათასჯერ ვყოფილვარ ირმისის კოლმეურნეობაში. ბევრი ვეცადე იმ რნეულიშვილთან საქმიანი კონტაქტის დამყარება, მაგრამ, აბა, რას გაბდები, თუ კაცი თავს გარიდებს, გემალება, პირდაპირ რომ ვთქვათ, გაგირბის?

— აქამდე ვერ ვაიგე, რომ შენ ყველა გაგირბის? — შუბლი შეეკრა დეკანოსიძეს, — ამხანაგო პროკოფი, ამას წინაზეც გაგახსენეთ მშრომელთა საჩივრების შესახებ. ზოგიერთი ჩვენი მუშაკის მოუმზადებელი, არაკვალიფიციური ჩარევა სპეციალისტებისა და თავისი საქმის ოსტატების ფუნქციებში, უკმაყოფილებას იწვევს და ჩრდილს აყენებს რაიკომის ავტორიტეტს.

— მე დიდი ხანია შევამჩნიე, რომ შენ ათვალისწუნებული გყავს პრინციპული და მზარდი ახალგაზრდობა.

— მაგ დემაგოგიურ განცხადებას მე არ ვღებულობ, — ძალიან სერიოზულად თქვა დეკანოსიძემ, — ხოლო თქვენი აუხსნელი სიმპათია-ანტიპათიები მშრომელებისადმი და თანამშრომელებისადმი ხალხში მითქმა-მოთქმას იწვევს. საერთოდ, მე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ ხელმძღვანელმა ორგანოებმა შეისწავლონ ჩვენი რაიკომის საქმიანობა.

— შენი აზრით, რა ან ვინ უნდა შეისწავლონ? — ქედმაღლური ღიმილით ჰკითხა გულვარდიშვილმა.

— ჩვენი მუშაობა შეისწავლონ და სწორად შეაფასონ. უკონტროლობამ თვითნებობის განვითარება იცის და საქმისათვის დიდად საზიანოა. ჩვენ ძალიან ბევრი რამ გვაქვს გამოსასწორებელი.

— მაინც რა გაქვს მხედველობაში?

— ჩვენ არაერთხელ და ორჯერ გვქონია ამაზე ლაპარაკი.

— მე შენთან სასაიდუმლო არასდროს არაფერი მქონია, რაცა გაქვს გულში, ამათთანაც შეგიძლიან გადმოშალო! — აგდებულად უთხრა გულვარდიშვილმა და გულღია მასპინძელივით გადახედა თავის მიყუჩებულ შინაკაცებს.

დეკანოსიძეს ყვრიმალებზე მეწამული ლაქები დააჩნდა. ატეხილი ხველა როგორღაც დაიმორჩილა და თავდაჭერით თქვა:

— კაი, ბატონო, თუკი ამას რაიმე აზრი აქვს... აი, რა ახსნა, რა გამართლება უნდა ჰქონდეს თქვენს არათანაბარ, არანორმალურ

დამოკიდებულებას რაიონში საუკეთესო მშრომელებისადმი? საქმეს-საც რომ თავი დავანებოთ, თქვენთვის, პირადად თქვენთვის რა აზრი აქვს ამას? თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ღღეს ჩვენი რაიონი თუ კარგ შეფასებას იმსახურებს, ეს სწორედ იმ კოლმეურნეობების დამსახურებაა, რომლებსაც თქვენ არა სწყალობთ და არა კირიანისა და თაფლაურას მსგავსთა, რომლებსაც თქვენ ჰფარველობთ და მხარს უჭერთ...

— სუსტსა და ჩამორჩენილ მეურნეობებს დახმარება სჭირდება ღა არა თავში ჩარტყმა და დაბრიყვება! — გააწყვეტინა გულვარდიშვილმა.

— მეურნეობა, მოგეხსენებათ, ხალხია! ხალხის, მშრომელთა კოლექტივების დაბრიყვება გახლავთ მათ ხელმძღვანელებად მღებრიშვილებისა და ლაბაძეების თავს მოხვევა!

— ამხანაგო ანდრო, თქმის უფლება სულაც არ ნიშნავს მაგ უფლების ბოროტად გამოყენებას! — ხმა აიმაღლა პროკოფი ილარიონიჩმა.

— არა, აშკარაა, ჩვენ საერთო ენას ვერ გამოვნახავთ, — წამოდგა დეკანოსიძე. — თქვენ თითქოს საკუთარ საფეოდალოს განაგებთ და არა პარტიის რაიონულ კომიტეტს. გონივრულ სიტყვას, თქმას — ართქმას თქვენთვის არა აქვს ფასი. ამ მდგომარეობას მხოლოდ უფროსი ამხანაგების ჩარევა გამოასწორებს.

— შენდა სამწუხაროდ, შენ უფროსი ამხანაგები არ გიბარებენ ღა არავინ გეკითხება, თქვენ რომ ბრძანდებოდეთ გულვარდიშვილის ადგილზე, როგორ დაალაგებდით საქმესო, აი შენ ეს განერვიულებს, სხვა კი არაფერი, ამიტომ აბამ ინტრიგების ქსელს!

— ოო, თქვენ შეგიძლიათ სიგიჟემდე მიიყვანოთ ადამიანი!

— ზოგს მიყვანა არა სჭირდება, თითონ არის მისული! — ბოროტად დააკვესა თვალები გულვარდიშვილმა.

დეკანოსიძე უსიტყვოდ შეტრიალდა კარისკენ.

— ისე, ამხანაგო ანდრო, ვიდრე პირველი მდივანი არა ხარ, თბილისში წასვლას არ გირჩევ, — დააწია გულვარდიშვილმა.

დეკანოსიძემ კარი გაიხურა.

ბიბილურმა კარს გადახედა და სკამიდან წამოიწია, მაგრამ მდივანმა, ვითომ ვერ მიუხვდა განზრახვას, ღიმილით შეაჩერა:

— რა იყო, როსტომ, გული ხომ არ აგიჩუყდა? თათბირი ჯერ არ დაგვიმთავრებია.

— ცუდად არ გახღეს-მეთქი, — შეკავებულმა აღშფოთებამ აუკანკალა სმა ბიბილურს.

— დაჯექი, დაჯე, ფიქრი ნუ გაქვს. მაგ დალოცვილს რა ძალა ადგია, კამათის შნო თუ არა აქვს, რას გამოიდებს ხოლმე თავს?! — ჩაიცინა გულვარდიშვილმა, თუმცა შინაკაცებმა იგრძნეს — ვაი იმ ჩაცინებას...

— პო, შენ რას ამბობდი? — ჰკითხა მდივანმა ჯიბოს, მთელი ბოთლი ბორჯომი რომ გამოცალა.

— რჩეულიშვილზე მოგახსენებდით, — თითქოს დაუყვავაო ვირეშმაკა ჭიმიაშვილმა.

— გამიჭირეთ საქმე იმ თქვენი რჩეულიშვილით, სხვა აღარაფერი გაქვთ სათქმელი?

— სათქმელი როგორ არა გვაქვს, მაგრამ მე მაინც ის მინდოდა მეთქვა, რომ დიდი ხანია დავინახე იმისი იდეურ-პოლიტიკურ-მორალური სახე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა არც საზოგადოებრივ აზრს, არც ჩემს შეგონებას, არაფერს და არავის ანგარიში არ გაუწია და კოლექტივის ხელმძღვანელმა კაცმა საქვეყნოდ სახელგატეხილი ქალი დაისვა შინ!..

— ეგ რა საკადრისია! — ახლა კი ვეღარ მოითმინა, ვეღარ მოერია ჯავრსა და ნაღველს ბიბილური, — მართლაც სადა გგონია შენი თავი? აქ რა, საჭორაოდა ვართ შეკრებილი?

— უკაცრავად, უკაცრავად! — წამოხტა ნაწყენი ჯიბო, — ჭორი მოგონილ ამბავსა ჰქვია, მე კი საყოველთაოდ ცნობილ ფაქტს მოგახსენებთ, ამას საქმისთვისა აქვს მნიშვნელობა! თქვენ გგონიათ მე მეადვილება ამის თქმა, მაგრამ...

გაცხარებული ჯიბო სიტყვის გაგრძელებას აპირებდა, მაგრამ სარდიონ მაღალაშვილმა აღარ აცალა. მას არც ახლახან მომხდარი ამბავი აღელვებდა, არც ამ ამბის გამომწვევი მიზეზები. დეკანოსიძეს ის თავისებურად პატივსა სცემდა, მაგრამ როცა მის, პარტიის წევრის და მილიციის უფროსის სიტყვას შესაძლოა რაიმე მნიშვნელობა ჰქონოდა, მაშინ ძალაუფლებიან გულვარდიშვილს უჭერდა მხარს. მას მობეზრდა გაჭიანურებულ თათბირზე გასუსული ჯდომა და, უსმინა ღმერთმა, სალაყბო მიეცა. ჯიბოს ტუჩებზე ხელისგული ააფარა და არეხრეხდა, ახარხარდა.

— ნეტა რაზე ჰკამათობთ ან რასა ჰკინკლაობთ? ეგრე თქვი, იგრე თქვი, ის ქალი ძაან ყოჩაღი ყოფილა, მე და ჩემმა ღმერთმა! ვერ

უყურებთ, რა მარჯვეთ წამოუგია ანკესზე თავმჯდომარე? საწყალ გონჯაურას ის ბალღი თურმე თავისი მარიფათი ჰგონეპია, აზრზე ხარი, ხალხო? ხა-ხა-ხა-ხა!..

თათბირი მსიარულად დამთავრდა.

ანდრო დეკანოსიძე ნებისყოფის დაძაბვამ აწყობილი ნაბიჯით კი გამოიყვანა ეულვარდიშვილის კაბინეტიდან, მაგრამ ჰაერზე გამოსულს სველა აუტყდა და ნაბიჯიც აერია...

თათბირის მონაწილენი რომ დაიშალნენ და წავიდ-წამოვიდნენ, როსტომ ბიბილურმა დეკანოსიძის სახლს ჩაუარა. მის ოთახში შუქი და თეთრხალათიანები შენიშნა და შეშფოთებულმა შეალო კარი.

ეულვარდიშვილი ირმისიდან რომ წავიდა, ალექსი ფერდობიდან, მოკლე გზით დაეშვა ნატაძარში.

ნაცვლიშვილების დაფაცხავებული სახლი უკაცრიელი ჩანდა. ეზოში დაბმული ქოფაკის ყეფაზე მარანიდან გაბოს ცოლმა, ციალამ გამოიხედა. ალექსი რომ დაინახა, მკლავზე გადაწვენილი თოთო იქვე შიშველ ფიცრებზე დააგორა, რაღაც ფლასი მიახურა და აცახცახებული მივარდა მოსულს.

— გაბოსი შეიტყვეთ რამე?

— მე შენთან მოვედი ამბის გასაგებათ...

ციალამ თავი დახარა და ნელ-ნელა დაიხია უკან.

„ეს ახალგაზრდა ქალი ასე უცებ რამ დააბერა? რა ემართება ამ ოჯახს, რა?" — აუწრიალდა ალექსის ფიქრი, იმ დღეებში რომ არ ასვენებდა: გაჩუმებული იდგა. არ იცოდა, როგორ, რა სიტყვით დაემშვიდებინა ქალი, აკანკალებული ხელებით რომ ცდილობდა ძველმანში გახვეული ბავშვი მოხერხებულად მოეთავსებინა ფიცრებზე.

— ბაგაში რატომ არა გყავს? — ჰკითხა.

— უფროსს თქვენ ინახავთ საბავშვო ბაღში, არა კმარა? — ცრემლებს ძლივსღა იკავებდა ციალა, — სამოწყალოდ გამიხდა საქმე, სირცხვილით ხალხს პირს ვარიდებ, არ ვიცი, საით დავიკარგო, რა წყალში ჩავვარდე... ჰგონიათ, გაბო ეჭიდება თავმჯდომარეობასო...

— დამშვიდდი, ციალა, სამოწყალო რა გჭირს, ეგ რამ გაფიქრებინა? დაბრუნდება გაბო და მოაგვარებს თავის საქმეს, გულს რად იბრუნებ?

— სად არი აქამდე? ვინ იცის, რა დღეშია? — ატირდა ციალა.

— ეთსოვ, ეესვეწები, ეკრე ნუ სწუხარ, თბილისში ჩასულ კაცს ბევრი საქმე გამოუჩნდებოდა, არ იცი?

— არა, ის სხვა ვერაფერ საქმეს გულს ვეღარ უდებს, ეხლაც თუ ვერ მივაღწიეო მიზანს, თუ არ გამანთავისუფლეს, ჩემი საშველი აღარა ყოფილაო... უნდა მიაღწიოს! ვეღარ ვუყურებ, თვალწინ მიდნება, ჩემი მიზეზით დნება კაცი... — ჩქარ-ჩქარა ამბობდა, თითქოს ისროდა სიტყვებს ციალა და არ ესმოდა თავისი ნათქვამი, მაგრამ წამით სული რომ მოითქვა, იგრძნო, რაღაცა წამოსცდა, ზედმეტი თქვა, ცრემლები უცებ შეაშრა, სახეც უცებ დაუმკვეთრდა, სხეული აიკრიფა და ერთი-ორი წუთი უმოძრაოდ იდგა, მერე ბავშვი აიტაცა და სწრაფად შევიდა მარანში.

ალექსი დაბნეული შეჰყურებდა მარნის მოღრეცილ კარს და ადგილზე უხერხულად ინაცვლებდა ფეხს.

ციალა ძალე გამოვიდა. თითქოს სრულიად დამშვიდებული, დამცხრალი იყო, მხოლოდ გამშრალი თვალები უელვარებდნენ, და როცა დაილაპარაკა, ხმაც მშრალი ჰქონდა, უსიამოვნოდ მჩხვლეტავი.

— ვინ იცის, ჩემი სიგიჟით რა არ გაფიქრებინეთ, ისეთი კი არაფერია. ცოტა წავლაპარაკდით, მე ვაწყენინე და იმაზე ვწუხდი. ეს ყველა ოჯახში ხდება ხოლმე, მე კი უშნოდ გავაზვიადე. სხვაფრივ ჩვენ ძალიან კარგად ვცხოვრობთ, მშვიდად და კარგად. ვაბო დღესხვალ დაბრუნდება, მე ბოდიშს მოვუხდი და ყველაფერი დაავიწყდება. ყველაფერი კარგად იქნება.

— ჰო, რა თქმა უნდა, ყველაფერი კარგად იქნება. დაბრუნდება და მაშინ გამოვივლი, მაპატიე, უდროოდ შეგაწუხე... — არეულად უთხრა ალექსიმ და მორღვეულ ჭიშკარს მიაშურა.

„ეგებ მართლაც ოჯახური ამბავია. ჩემი მოსვლაც ალბათ იმიტომ არ ესიამოვნა, ცნობისმოყვარეობას მიაწერა. ოჯახური ამბავი თუა, მაშინ გასაგებია მისი მდგომარეობაც, საქციელიც..." — თავს იმშვიდებდა ალექსი, მაგრამ ვერ მშვიდდებოდა, ნაცვლიშვილზე და მის ოჯახზე წუხილი არ უნელდებოდა.

საძაგელ გუნებაზე დაბრუნდა ირმისში და ამას ჭიმიაშვილის ჩამოსვლაც დაერთო. ირმისელებს გაუკვირდათ დიდი ხნის უნახავი ჯიბოს დანახვა. უფრო მეტად ის გაუკვირდათ, რომ ჯიბომ იკადრა

თავმჯდომარის ძებნა, კითხვა-კითხვით მიაგნო სანერგეში.

ალექსის აღარაფრის თავი არა ჰქონდა, ჯიბომ კი ნაღველა დაუსია მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით, და ბოლოს, როგორც იქნა, გამოთქვა:

— დოლი ჩინებულად ჩაგიტარებიათ, ძალიან გიმარჯვნიათ, სამალარიჩოთა გქონიათ საქმე!

რჩეულიშვილის ცივმა გამოხედვამ უცებ გაუყინა აღფრთოვანება, მაგრამ ჯიბო საქმეზე იყო ჩამოსული და საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა. ქეჩო მოიფხანა და თქვა:

— ქალაქიდან უფროსები მობრძანდებიან, თათბირი გვექნება.

— ჰო-ო? კარგია.

— მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაზე და საერთოდ, რაიონის აღმავლობის პერსპექტივებზე გვექნება თათბირი.

— ჰო-ო? ძალიან კარგია.

— ეჰ, ჩამოსულების მასპინძლობა კი ყოველთვის ჩემი თავსახეთქი ხდება ხოლმე.

— მა ქრისტიანი კაცი სტუმრებს ხომ არ ამიმშილებს?!

ალექსის ნერგების გადარჩევა არ შეუწყვეტია, კვალს მისდევდა, ჯიბო იძულებული იყო ფეხდაფეხ მიჰყოლოდა მას. უყურადღებობით დაბოღმილმა ჯიბომ თავდაპირველად ნავარაუდევ სამ ცხვარს ერთიც მიუმატა და თქვა:

— შენც უნდა დაგვეხმარო. თათბირისათვის ოთხი ცხვარი უნდა გამოგზავნო.

— აღრევე ვერ მოიფიქრეთ? აბა ეხლა რაღა იქნება, ცხვარი მთაშია, თათბირს ველარ ჩამოუსწრებენ...

„მაგას ჰგონია დავიჯერე, რომ სოფელში ოთხი ცხვარი არ მოიძებნება! — გულზე ერღვეოდა დარიანისკენ მიმავალი, პირშიჩალაგამოვლებული ჭიმიაშვილი. — მიჰქარავს, ვინც იძახის, გონჯაურა ჭკვიანიაო. აბა ჭკუაა? კაცმა იცოდეს, ისეც ბეწვზე ჰკიდია და ქეციანი ოთხი ცხვარის ეულისათვის გასწიროს თავისი მდგომარეობა? შე მართლა ეონჯაურავ, ბედნიერი შემთხვევა მოგეცა უფროსების ეული მოვეგო, არ ინდომე და შენ დიდ ჭკუას დაემდურე, ძალიანაც ინანებ, მაგრამ რაღა დროს...“

დარიანში უარესად დაიბოღმა ჯიბო. ჩამომსვლელნი უკვე ჩამოსულიყვნენ და საზეიმო შეხვედრის შემდეგ გულვარდიშვილს თავის კაბინეტში წამოეყვანა ისინი. დაუბარებლად შესვლა ჯიბომ ვერ

გაბედა, არადა, როგორ მოენელებინა, რომ ირმისში უმედეგო წასვლა-წამოსვლაში ასეთ ზეიმურ აქტს გამოაკლდა. თავის „კაბინეტში“ შეკეტილი, გაგულისებული იკვნეტდა ფრჩხილებს, როცა მდივანმა გოგონამ მიაკითხა, პროკოფი ილარიონიჩი ეიხმობთო.

— ვინ არის მასთან კაბინეტში? — ვითომ ძალზე ეზარებოდა ადგომა ჯიბოს.

— ჩამოსულებში ყველაზე უფროსი და ჩვენები. დანარჩენები ბიბილურმა ეაატარა პლანტაციებისაკენ.

— კეთილი, მოვდივარ!

სიხარულისაგან ნერწყვგამშრალმა ჯიბომ ბორჯომით გაისველა პირი, სწრაფად გაიარა დერეფანში, კაბინეტთან ქოჩორი გადაივარცხნა და კარი შეაღო. მოკრძალებული, თავაზიანი მისალმების შემდეგ ღრმად შეფიქრიანებულმა, დაგვიანება მოიბოდიშა:

— ლამის ეადავყვეთ იმ მეურნეობას, აუარებელ დროს და ენერგიას ვახმართ, მაგრამ...

გულვარდიშვილი ვერ მიხვდა, რომელი მეურნეობა ჰქონდა ჭიმიაშვილს მხედველობაში. ეწყინა, ნუთუ ჯიბო მასთან შეუთანხმებლად წამოიწყებს ვიზედმე ლაპარაკსო. მაინც თავის შეკავება ირჩია, მხოლოდ თითი მიიტანა საფეთქელთან.

— რომელ მეურნეობაში იყავით? — დაინტერესდა სარაიონო თათბირის ჩასატარებლად ჩამოსული, ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, ლადო ნემსაძე.

— ირმისში, — ამოიოხრა ჭიმიაშვილმა.

— როგორ? ჩვენ არაერთხელ გვსმენია მაგ კოლმეურნეობის ქება?!

— დიახ, ვაქებდით. ჩვენ გამიზნულად დავარხიეთ ქების ხმა. ირმისი მთელ რაიონში გამოირჩევა თავისი ბუნებრივი მონაცემებით, შესაძლებლობით, პერსპექტივებით. ის დიდი ხანია რესპუბლიკის საამაყო უნდა გამხდარიყო. ჩვენ ამისი იმედი გვქონდა, დარწმუნებული ვიყავით, რომ ასე იქნებოდა, მზრუნველობას, დახმარებას, თბილ სიტყვას არ ვაკლებდით, ქებაც სტიმულირების ერთ-ერთ საშუალებათ მივიჩნიეთ, მაგრამ... ამაოდ დაშვრა ჩვენი იმედიც და ზრუნვაც!..

— რა უშლით ხელს? — უფრო მეტად დაინტერესდა ნემსაძე.

მრავლისმთქმელი სიჩუმე ჩამოდგა. ადვილი იყო მიზეზების ჩამოთვლა?

— იქნებ, თავმჯდომარე ვერ დგას მოწოდების სიმაღლეზე? — იკითხა ისევ ნემსაძემ.

— მოწოდების სიმაღლეზე... — ისე სევდიანად გაიმეორა ჯიბომ, კაცი იფიქრებდა, კეთილშობილ ახალგაზრდას ესიკვდილება მკაცრი განაჩენის გამოტანაო. მან ფულვარდიშვილს შეხედა, თითქოს უსიტყვოდ შეევედრა, მე ნუ გამხვევთ მაგ ცოდვაში, ეს მძიმე მოვალეობა ხელმძღვანელის ხვედრიაო.

და ხელმძღვანელმა იკისრა მძიმე ხვედრი:

— მე ბოლშევიკური პირდაპირობით უნდა ვაღიარო ჩვენი შეცდომა. ეგ კაცი ირმისელებმა თვითონ აირჩიეს. ჩვენ არც მთლად მოვიწონეთ მათი არჩევანი, მაგრამ ვუხათრეთ, რა ვუყოთ, რომ საეჭვო წარსული აქვს, ახალგაზრდაა, ენერგიული, შეიგნებს დღევანდელ ვითარებას, გადახალისდება...

პროკოფის გაჭირვებამ ტანისამოსიანად დასწვა ჯიბო. საყვარელი ხელმძღვანელის ესოდენ გამწარებისათვის, რჩეულიშვილზე ჯავრისყრის სურვილმა აადუღა და ამიტომ მისი ხმა მეტად მგრძნობიარედ აჟღერდა, როცა მდივანს სიტყვა ჩამოართვა და პირდაპირ ნემსაძეს მიმართა:

— არა! ეს შეცდომა კი არ არის, საქმე იმაში გახლავთ, რომ პატივცემული ამხანაგი პროკოფი, თავისი უსაზღვრო ჰუმანურობის გამო, ყოველთვის ირჩევს კეთილგანწყობით, მეგობრული შეგონებით მოასდინოს ადამიანზე გავლენა. ამხანაგი პროკოფი ეხლაც ვერ იმეტებს იმ კაცს, ალექსი რჩეულიშვილს, მიუხედავად იმისა, რომ ის მრავალმხრივ მსილებულია მაჩვენებლების გაბერვაში, დოკუმენტების სიყალბეში...

— ოჰ! — შეწუხდა უფროსი.

— მაპატიეთ, — განაგრძო ჭიმიაშვილმა, — მაგრამ მე მგონია, რაც არ უნდა საძნელო იყოს, დროა საკითხი პირდაპირ დაისვას, თუნდაც მხოლოდ იმ მატერიალური ზარალისათვის, რომელიც მან საზოგადოებრივ დოვლათს მიაყენა!

— ამხანაგო პროკოფი, თქვენ ამ შემთხვევაშიც მეგობრული შეგონებით განისაზღვრეთ? — გაუკვირვა ნემსაძემ.

ამგვარმა მკრეხელობამ მძიმედ დაახრევინა თავი მდივანს. მდგომარეობა აშკარად გართულდა. ჯიბომ გვიან იგრძნო, რომ ღრმად შეტოპა, მაგრამ უკანდახევა გვიან-ღა იყო და უფროსის უკანასკნელ შეკითხვაზე პასუხიც თვითონ ითავა:

— არა, მიელი რიგი ღონისძიება იქნა ჩატარებული. თათბირის შემდეგ დრო თუ გეკნებათ, დარღვევების შესახებ ჩვენი ფინგანის უფროსი მოგასსენებთ დაწვრილებით და ირმისიდან წამოღებულ ნივთიერ საბუთებსაც წარმოვიდგენთ...

ფინგანის უფროსს — ყოფილ ფინინსპექტორს ვასილა გარაყანიძეს ფერი ეცვალა. „ვიკია ეს შობელძაღლი? თვითონ ლაქლაქის საღერღელი აეშალა და მე რა შუაში ვარ, რის მომსსენებელი ვარ? მაგ მუტრუკსა ჰკონია, ირმისიდან მოპარვით წამოღებული ბოლომოკორტნილი სურათი „ნივთიერ საბუთად" გამოდგება. საქმე საქმეზე რო მიდგეს, რჩეულიშვილს ვინ რა ფეხებს მოსჭამს? საბუთები რო ამოსწიონ, აქეთ შემოუვედავებიან და იქნება ჩაგვაყუდონ კიღეც. საქმისა არა ეაეცება რა, და მეცამეტე ეოჭვით ეამოტყერება ხოლმე..."

ჭიმიაშვილი სედავდა, რომ გარაყანიძე ჭირის ოფლში ცურავდა ღა ედიეანსაც თითი ისევ საფეთქელთან ჰქონდა მიტანილი. ასლაც თვითონ თუ არ იმარჯვებდა, ასე კარგად დაწყებული საქმე თავმოეებელი დარჩებოდა, და ამიტომ საკუთარი შემოქმედებით ფანტაზიას ფართო გასაქანი მისცა. ისევ ნემსაძეს მიმართა:

— უნდა მოგასსენოთ, ეგ არ გასლავთ მთავარი. ის მატერიალური ზარალი სახსენებელი არც იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ჩვენ შევძელით მისი სწრაფი და სრული ლიკვიდაცია. მთავარი სხვა რამ გასლავთ. ეკეკ ვცდები, მაგრამ მე ღრმად მწამს, რომ ყოველ მოვლენაში მთავარია იდეურ-პოლიტიკური მხარე, და თუ ჩვენ ამ საზომით ვისელმძღვანელებთ, დავინასავთ რჩეულიშვილის პოლიტიკურ-მორალურ ღაკნინებას, მისი იდეური მრწამსის მანკიერებას. მაგალითისათვის რალა შორს წავიდეთ? აი დღეს მე თითქმის ნახევარი დღე ირმისს მოვანდომე, დაკინებით ვთხოვდი რჩეულიშვილს წამოსულიყო თათბირზე და მან კი ჩვენს საქმიან შეკრებას „ცხვრების თათბირი" უწოდა!..

ჭიმიაშვილი უცებ შეცბა და გაჩუმდა. ნავარაუდეკი სასურველი შთაბეჭდილების საწინააღმდეგოდ — უფროსმა გულიანად გაიცინა.

— „ცხვრების თათბირიო?" ენამახვილი კაცი ყოფილა, — თქვა და ფანჯრიდან მოედანს მიაჩერდა. „ცხვრების თათბირიო... უმიზეზოდ არ იტყოდა ასეთ რაკეს. ეს ყმაწვილიც, ენათ რომ გაიკრიფა... აქ სსვა რალაცა უნდა იყოს..." — იცით რა? — შემოტრიალდა უცებ, — რაკი იმ ადამიანმა არ ისურვა აქ მოსვლა, მოდით და ჩვენ ვეწვიოთ!

ეულგახეთქილმა ჯიბომ ვერ აიტანა გულვარდიშვილის დამბუ-ვავი გამოხედვა და თავი ჩაქინდრა.

— გავიაროთ ირმისში, კარვი იკნება, არა? — ალუმფოთველად განაგრძო ნემსაძემ. — ოღონდ, იქ წასვლამდე ცოტაოდენი მასალა მომაშველეთ, გადავხედავდი.

ახლა კინაღამ გარაყანიძეს დაეცა დამბლა. თვალწინ აუფარფატ-ლა თავისი სურვილით გადაკეთებულ-გადმოკეთებული მაჩვენებლე-ბი.

სარდიონ მაღალაშვილი ძმაკაცების საცოდაობას რომ უყურებდა, გუნებაში სიცილითა კვდებოდა.

მდივანმა ბორჯომის დასმარებით გულისფრიალი დაიცხრო, ჭიმიაშვილს და გარაყანიძეს სათანადო მითითებანი ჩამოუწერა და დავალების შესასრულებლად დაითხოვა კაბინეტიდან. დანარჩენე-ბიც რაღაც-რაღაცა საქმეებზე გაისტუმრა, თვითონ კი ქანცგამოლე-ული მიესვენა სავარძელს და ნემსაძეს მიაჩერდა.

დივანზე შინაურულად, მყუდროდ მოკალათდა და ღიმილითა თქვა:

— შენ, ჩემო პროკოფი, ეტყობა, კადრების შერჩევა გემარჯვება.

ეულვარდიშვილი გასუსული მისჩერებოდა, ნეტა რა მოჰყვება ამ საამო შესავალსო.

— მაკალითად, შენი ალტრუიზმი მე მხოლოდ მაკვირვებს, იმ ახალგაზრდა ჭიმიაშვილის ცხარე, ქმედითი პროტესტი კი ძალიან მომწონს. და საერთოდ, ის ფრიად ენერგიული ყმაწვილი ჩანს...

უფროსის განწყობილების სასიკეთო ცვლილებით გამსნეებულ-მა პროკოფიმ ჩაასველა. მან ვერ იგრძნო ნემსაძის ნათქვამის ნიუ-ანსი, სიტყვები კი საამოდ სწვდებოდნენ ყურს.

— ეგეც ჩემი სისუსტეა, — თქვა მან, — მიყვარს ნიჭიერი, საქმია-ნი ახალგაზრდები. ბევრს ეს არ მოსწონს, მისაყვედურებენ...

— უმართებულო საყვედურს რა მნიშვნელობა აქვს.

— სამწუხაროდ, აქვს სოლმე. ხშირად მე იძულებული ვსდები ეავუწიო მათ ანგარიში. აი, თქვენ უცებვე შენიშნეთ ჭიმიაშვილის ღირსებები, ის ხომ სავსებით იმსახურებს დაწინაურებას?!

— გარკვეული რაიმე გაქვთ მსედველობაში?

— როგორ გითხრათ? — შეეყოყმანდა გულვარდიშვილი, — თქმაც კი მეძნელება... გეხსომებათ, მე ამას წინაზეც გაგიზიარეთ ჩემი ეუ-ლისწუხილი ანდრო დეკანოსიძის მძიმე მდგომარეობის გამო...

— საბოლოოდ რა დაასკვნეს ექიმებმა, როგორ არსსო საქმე?

— ისე ვერ არის, მე და თქვენ რომ გაგვახარებდა, — თითქოს გული ამოაყოლა ოხვრას მდივანმა, — ჩვენ შორის დარჩეს, ხანგრძლივმა ავადმყოფობამ მის ფსიქიკაზეც იმოქმედა თურმე...

— ოჰ, ეგ რა მითხარით? — შეწუხდა ნემსაძე, წამოდგა, აღელვებულმა გაიარ-გამოიარა: — ნუთუ ასე დაჯაბნა ავადმყოფობამ? არ შეიძლება ვინახულო?

ესღა აკლდა ილარიონინს?! შიშისაგან გული ჩაელია, მაგრამ მისი აღელვებაც ბუნებრივს ჰგავდა, ოხვრით როცა თქვა:

— ჩვენ კატეგორიულად გვიკრძალავენ, მაგრამ თქვენ...

— არა, არც მე შევაწუხებ!.. ოჰ, როგორ მენანება. ანდრო შესანიშნავი პიროვნებაა, სამაგალითო კომუნისტი, პრინციპული...

— მეც სწორედ მაგ თვისებების გამო ვერ შევლევივარ, თუმცა რა ხანია ის მხოლოდ ნომინალურადღა ირიცხება თანამდებობაზე...

— არა, იმედს ნუ დავკარგავთ, ანდრო იყოჩაღებს, ისევ ჩადგება მწყობრში!

— ღმერთმა ქნას, ღმერთმა ქნას!

— თქვენი მდგომარეობა კი ძნელია, ასე ვთქვათ, მხარი გაკლიათ...

გულვარდიშვილმა მიზანი თითქმის მიღწეულად მიიჩნია და უკვე უშიშრად გამოიდო თავი:

— არ ვეგონოთ, ამჰანაგო ლადო, რომ მე მიმძიმს ანდროს გასაკეთებელი საქმის კეთებაც, ოღონდ ის გამოჯანსაღდეს და მე...

ცხადია, გულვარდიშვილი ვერ მიხვდებოდა, რა გაეფიქრა ლადო ნემსაძეს მანამდე, ვიდრე მას სიტყვას შეაწყვეტინებდა.

— თუ მაინც საჭირო გახდა, — თქვა ნემსაძემ, — ჩვენ დაგეხმარებით შესაფერისი ამხანაგის შერჩევაში... მეონია არა ვცდები, თქვენ ახალგაზრდის დაწინაურება გსურთ. ეგ კარგი სურვილია, მაგრამ გულახდით უნდა გითხრათ, ჭიმიაშვილი ვერ შესცვლის ანდრო დეკანოსიძეს.

...დარიანში თათბირი გრძელდებოდა.

გულვარდიშვილი ძლივს ფარავდა თავის უგუნებობას.

ნემსაძე მოთმინებით უსმენდა ერთფეროვან, გაშალაშინებულ, რაიკომის პირველი მდივნის მიმართ საქები ეპითეტებით დაგვირისტებულ მოხსენებებს. მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი ირმისში წასვლა. რჩეულიშვილი უნდა გაეცნო, უნდა ელაპარაკა მას-

თან. მის შესახებ თბილისში ბევრი სიკეთე სმენია, აქ კი... ხვალ ხომ კვირაა, ხვალ მოვახერხებ, გამოვნახავ საამისო დროს..." — საბოლოოდ, დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება.

ირმისში კი ამ დროს ხალისიანი შრომით და უკეთესობის იმედით სავსე ცხოვრება ჩვეული კალაპოტით მიედინებოდა. ირმისელებს განზრახული ჰქონდათ თავისი დიდხნის წადილის შესრულება — თავმჯდომარისთვის სახლის აგება. ხვალ, კვირადღეს აპირებდნენ საძირკვლის ეთხრას სანდრა-პაპისეული ქოხის გვერდით.

მაგრამ იმ „ხვალინდელ" კვირადღეს — 1941 წლის 22 ივნისი იყო. ყველა კეთილი და უკეთური განზრახვის შესრულება განუსაზღვრელი ვადით გადადო საშშობლოს საზღვრებზე დატეხილმა ომმა.

და იმ კვირისსწორს ალექსი რჩეულიშვილი ფრონტზე წავიდა.

თავი მეოთხე

მშვიდობიან სამყაროსთან განუყოფლად შემდნარმა კაცმა ჯარისკაცის მაზარა ჩაიცვა და თითქოს მეომრად იყო გაჩენილი. განსაცდელში ჩავარდნილი მიწის ხმობა მამა-პაპათა ძახილათ სისხლში ისე გაუხმიანდა, რომ მძიმე ლაშქრობაში ამტანობის ზღვარი წაუშალა და ახალ-ახალი ჭრილობაც შერეული ჭირივით გაუხარა.

საბრძოლო წრთობის პირველივე დღეებში ნახა, რომ ამტანობა და გამძლეობა იყო უთვალავ რუხმაზარიანთა საერთო თვისება, მას ბრძოლისუნარიანობა ერქვა, უფრო ქართულად კი — ვაჟკაცობა. და ალაზნისპირა სოფლიდან მისულმა სიტყვაძვირმა, მოკრძალებულმა ჯარისკაცმა, ძმასავით ჩამდგარმა სამშობლოს სიყვარულით შეკრულ ძმათა შორის, იმ პირველივე დღეებში ირწმუნა, რომ ცოცხალთა ღირებულებაც და დაღუპულთა ხსოვნაც სწორედ ამ საზომით იზომებოდა.

ომის პირველივე წელს კაპიტან ნეჩაევს შეეყარა. პერეკოპთან ერთდროულად დაჭრილნი, მედსანბატში შესვდნენ ერთმანეთს. ჯარისკაცს ჭურვის ნატეხით ბარძაყის კუნთები ჰქონდა დაგლეჯილი, კაპიტანისათვის კი სასკდომ ტყვიას ჩაელეწა იდაყვის ძვალი. ჭრილობათა სიმძიმე თითქმის ერთნაირი იყო, და სახელდახელოდ შეკრულ ნარებზე გვერდიგვერდ მოხვდნენ.

ოლეგ ნეჩაევი პროფესიით პედაგოგი იყო, პროფესია მოწოდე-

ბით ჰქონდა არჩეული. მისი ნიჭიერება ხანდახან გულთამხილაობას ჰგავდა. მოსაუბრეს ისე უსმენდა, თითქოს მის ყოველ სიტყვას, აზროვნებაში წარმოშობიდან ენის წვერამდე მოჰყვებოდა და დუმილშიც განაგრძობდა ართქმულ სიტყვათა თანდევნას. სულ ოცდაათი წლისა კი იყო, ლამაზი და ისეთი გულმარხიანი, თითქოს ცხოვრებასთან ერთხელ და სამუდამოდ დასიამტკბილებულიყო.

ერთმანეთისადმი ეანწყობა მარტივად გამოსატეს. ჯარისკაცმა წეკოს ნახვევი გაუკეთა მკლავზე თაბაშირდადებულ კაპიტანს, კაპიტანს კი ცალი ხელიც ეყო მწოლიარე ჯარისკაცთან ფაფით გავსებული ქვაბურის მოსატანად. ქვაბურა ერთი იყო, მოხერხებულად ჩაიდგა მათ ლოგინებს შუა. მერე ნეჩაევმა საველე ჩანთიდან ალუმინის კოვზ-ჩანგალი ამოიღო.

— შენ არა გაქვს ამისთანა? — ჰკითხა მეზობელს.

— ალბათ ჩექმას ეაჰყვა.

— აფსუს! ნეტა ვიცოდე, ეს ჩანგალი რის მაკნისია, არა სჯობდა, სათადარიგო კოვზი მიემაგრებინათ?

— პირიქით, მე სწორედ უჩანგლობა მაწუხებდა, — ჩაიცინა ჯარისკაცმა, ჯაყვა მოიშვილია და უმალვე მოსსნა კოვზის ტარზე ჩანგლის დასამაგრებელი შურუპი.

ფაფა ორივეს ეგემრიელა. კაპიტანმა არყის ულუფის ნასევარი გადაჰკრა და ტოლსა ჯარისკაცს გაუწოდა:

— დალიე, ღმერთმა შეგარგოს, მაგრამ გახსოვდეს, თითო ამ წვეთს თითო ლიტრა ჭაჭით გაზღვევინებ.

— მაშ, იმ სანატრელ დღეს გაუმარჯოს! — გადაჰკრა არაყი ჯარისკაცმაც.

კაპიტანმა წეკო ეაბოლა და ასანთის კოლოფზე დადებულ, მძივივით წერილ შურუპს დააცქერდა.

— შესასედავად კი ხელები ტოპოჩა გაქვს, მოუქნელი, — ისე ჩაილაპარაკა, თითქოს სინაზე და სინატიფე შეუქოო მეზობელს.

— საწნეხელს ვწევდი. ათიოდე იღლია თივით კარგა მოზრდილ ზვინს ვდგამდი... — ხმაღაბლა თქვა ჯარისკაცმა. ხმა და სახე ისეთი ეაუხდა, რომ ნეჩაევმა იგრძნო, ის ახლა აყვავილებულ ვაზს, მოშრიალე ყანას, აფრენილ ხოხობს ხედავდა.

მათი შეხვედრა შემთხვევა იყო, მაგრამ რაკი შეხვდნენ, აუცილებლად დამეგობრდებოდნენ. ორიეეს უკვე საკმაოდ მძიმე ლაშქრობა ჰქონდა ეამოვლილი, და ორივეს ისევ მძიმე გზა ჰქონდა გა-

საკლელი. სათქმელი ძალიანაც ბევრი ჰქონდათ, მაგრამ ომმა ალექსი ლაპარაკს ვერ დაანვია, ნეჩაევს კი ართქმული სიტყვების მიგნება გაუადვილა. ამიტომ მეტწილს სდუმდნენ, მაგრამ მათ დუმილს გაჩუმება არ ეთქმოდა. ერთმანეთის უხმოდ გაგებას ეჩვეოდნენ, ჭეშმარიტი მეგობრობის მომჭირნე ენას ახალასებდნენ.

კაპიტანის მოკლე ნაამბობმა ალექსი სრულიად აზიარა იმ „სიამსიტკბოს", რაც ცხოვრებას ერგუნებინა მისთვის. ალექსიმ იცოდა, რომ სამოქალაქო ომის დროს უპატრონოდ დარჩენილი ოლეგი საბავშვო სახლებში იზრდებოდა, რომ ქალი, რომელიც ოლეგმა სიყვარულით შეირთო, ცრუ და ცბიერი აღმოჩნდა, რომ შორეულ ტაიგაში შრატმა დაიგვიანა და ხუნაგმა დაახრჩო მისი შვილი...

ჯარისკაცის თითო-ოროლა სიტყვით ნეჩაევმა იგრძნო, როგორ ენატრებოდა მას ცოლ-შვილი, როგორ უყვარდა ვაზი. იცოდა, რომ ირმისის კოლმეურნეობას ახლა ისეთი კაცი განაგებდა, რომელსაც ვაზისა არა გაეგება რა, რომ დარიანის რაიონს ჭიამჭამელა ღრღნიდა, რომ ალექსის უთანსმოება ჰქონდა რაიონის ხელმძღვანელებთან...

ფრონტი კი წინ მიიწევდა.

და ერთხელ ღამით, უძილობით შებეზრებული ალექსი თავის დაზიანებულ ფეხს რომ ავარჯიშებდა, ნეჩაევი ლოგინიდან წამოხტა:

— ყოჩაღ, ალექსი, წუსანდელზე უკეთ ამოძრავებ ფეხს!

— ნორმალური ფეხია, მე ზოგიერთივით ძვალი ხომ არა მაქვს დაზიანებული?!

— იტყვი რაღაცას! იდაყვის ძვალი ძვლებში ჩასათვლელია?

— მაშ, დამბლადაცემულებივით რას დავეკარით საწოლს?

— არ ვიცი, ღმერთმანი! ხელი სიარულს არ უშლის.

— ფეხმა კი თუ არ იარა, შეშად იქცევა.

და დილით, ექიმებთან დავიდარაბის შემდეგ, შენიღბული ნახვევებით დასტოვეს მედსანბატი. მის მერე აღარც გაყრილან. ჭრილობას ან კონტუზიას დროდადრო მწყობრიდან გამოჰყავდა ხან ერთი, ხან მეორე, მაგრამ მათ მეგობრობას ბედი სწყალობდა, თუმცა ბედს არ ენდობოდნენ, თვითონ ჩალიჩობდნენ თავის ნაწილში დაბრუნებაზე.

ასე იარეს ომის გზებზე, როგორც იარეს მილიონებმა იმ მძიმე განსაცდელის ჟამს. ქვეყნის ყოფნა-არყოფნას საკუთარი სისხლით

სწყვეტდნენ, და როცა წინახაზმა მკვეთრად იბრუნა პირი დასავლეთისაკენ, იცოდნენ, — ამაში მათი წვლილიც სრულად იყო შეტანილი.

თანდათან გამძვინვარებულ ცეცხლში იწვოდა მესამე წელიც. პოლტავასთან ცხარე ბრძოლის დროს ნეჩაევმა თვალი შეასწრო: ზემდეგი ალექსი რჩეულიშვილი საკაცით გაატარეს. წუთი იხელთა და საკაცეს დაეწია. — უგონოდაა, — მოახსენეს სანიტრებმა. „ნუთუ დავკარგე?." — შესცივდა კაპიტანს, მაგრამ დაჭრილის თავ-პირზე დადებული ნახვევი თვალდათვალ იყლინთებოდა სისხლით და ნეჩაევმა იგრძნო — ალექსის გული ფეთქავს, მაშ, ცოცხალია!

— იჩქარეთ! — სთხოვა სანიტრებს და გამოტრიალდა. „რომ დაბრუნდება, ცოტა ხანს დავასვენებ. ცოლ-შვილს კი ვერ ინახულებს, შორს არიან. უნდა დავასვენო. აუცილებლად დავასვენებ. უფროსებს შევუთანხმებ და დავასვენებ..." — უტრიალებდა ეს ფიქრი და თვითონვე უკვირდა: რა იმედიანად არის, რატომ არის დარწმუნებული, რომ თავში დაჭრილი, უგონოდ მყოფი კაცი განიკურნება, ნაწილში დაბრუნდება...

დაბრუნდა რჩეულიშვილი. მარცხენა საფეთქელთან ღრმა ნაჭდევზე დადებული მსუბუქი ნახვევით. მიაგნო ნეჩაევს—უკვე მაიორს და ქვეითი პოლკის ცალკე ბატალიონის მეთაურს, ოლეგ ნეჩაევს.

ბატალიონი ბელორუსიის სამხრეთ ნაწილში, გაუვალი ჭანჭრობებით და ჭაობიანი ტყით დაფარულ რაიონში იდგა. დროზე მიუსწრო ზემდეგმა. ბატალიონი მეორე დღეს იერიშზე მიდიოდა. საბრძოლო მზადების ცხელებაში ველარ მოასწრო, ნეჩაევს ველარ გაესაუბრა.

წინანდელთან ძალზე განსხვავებულ გარემოში და პირობებში უხდებოდათ ბრძოლა, ალბათ ალექსის იმიტომ ეჩვენებოდა, რომ მანამდე ომი და ბრძოლა არ უნახავს, არც რა სიძნელეს შეხვედრია. სიკვდილისათვის მოუხელთებელი ეგონა თავისი თავიც და მხარში მდგომნიც. ქაჯებად ეჩვენებოდნენ ბიჭები, უკვლოდ მშთანთქავ ჭანჭრობების შხამიან ანაორთქლში, დანაღმულ სილახვავებში, ცეცხლოვან წარღვნაში რომ მიიგლიჯებოდნენ წინ.

ოცდაერთი დღეღამე განუწყვეტელი ბრძოლებით მიიწევდნენ წინ, და რა დაავიწყებდა ნეჩაევის ბატალიონიდან ცოცხლად დარჩენილთ იმ დღეღამეებს?! სიტყვიერად კი ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდნენ.

— ვიბრძოდით ჩვეულებრივად, ოღონდ თვალი ფხიზლად უნდა ეჭეროდა, თორემ ის მურტალი წუნწუხი უმალ გადაგსანსლავდა. აი ზემდეგს ჰკითხეთ, ყველაზე უკეთ იცის, მაგან იწვნია ჭანჭრობი!

— ვეკითხები და მუნჯივით ზის! — უილაჯოდ ასავსავებს ხელებს არმიის გაზეთის კორესპონდენტი.

— მაშ ტროშკამ თქვას, ეგ ოსტატია, ამბავს ისე მოჰყვება, გეგონება, დაწერილს აბულბულებსო!

— ამხანაგო ველიჩკო, გეხვეწები, მიამბე, რა მოხდა იმ დღეს?

— აზრზე არა ვარ! — ამბობს ტროშკა, ომში ნაწრთობ-გამობრძმედილი, ოცდასამი წლის ჯარისკაცი ტროფიმე ველიჩკო. თავპატიჟი არ უყვარდა, ყასიდად იუარა და დაიწყო: — იმ დღესაც ჩვეულებრივად ვიბრძოდით, ვერ შევნიშნეთ, მზე როდის და სად ჩაიყლაპა, ელვაქუხილი და თავსხმა წვიმა ერთბაშად დაასკდა ამ გაუბედურებულ მიწას. ჩვენ კი აბა მზესთან, ჭექა-ქუხილთან, წარღვნასთან რა გეესაქმება, ან ვინ გაარჩევს, ციდან მოდის ის ღრიანცელი, ქვესკნელიდან თუ ფრიცების განლაგებიდან?! ისე კი, ააშენა ღმერთმა ის თავსხმა წვიმა, ციდან ფარდასავით დაეშვა და ჩვენც იმ ფარდის იქიდან, როგორც კულისებიდან გამოვცვივდით. ლხენა მოგეცათ, ჩვენ დღე ვაყარეთ ჰიტლერის შვილობილებს! არა, კანფეტებით არც ისინი გვიმასპინძლდებოდნენ, მაგრამ ბოლოს მაინც გზას ბოლი აადინეს. გაგვექცნენ, მაგრამ იმ ქოქძაღლებმა ერთი შენიღბული საცეცხლე წერტი დატოვეს. ერთი იყო, მაგრამ ის ძუკნა ისე ოსტატურად იყო ჩასაფრებული, გეგონება მარიამ-ქალწულის კალთას არი ამოფარებულიო, არსეინად სცელავს, და სცელავს ჩვენ ბიჭებს. ასლოა — არტილერია ვერა რესვავს, ხელმისაწვდომზეა, მაგრამ მისწვდი თუ ბიჭი ხარ, ჩვენ შუა მყრალი, გაუვალი ჭანჭრობია. შამბნარს ცეცხლი მოვუკიდეთ და ისიც იმისთვის უფრო სასარგებლო აღმოჩნდა. გესმით სიტუაცია?.. ოჰ, ამხანაგო კორესპონდენტო! — უცებ მკერდში მჯიღა იკრა ტროშკამ. — ტვინს მიდუღებს იმ ტბორების მოგონება. ომის მერე დავბრუნდები და სხვა თუ ვერაფერი მოვუხერხე, ძირამდე დავხვრეპავ იმ საზიზღროებას, ფუი, რა ვუთხარი იმათ გამჩენს!

— რას დაიქოქე, გეყო ტრაბახი! — დაუცაცხანეს ამხანაგებმა აქეთიქიდან, — იმ ჭაობებს თავისი მომვლელი გამოუჩნდება, შენ რასაც ჰყვებოდი, ის განაგრძე, თქვი, რაც მოხდა!

— რა ვიცი მე, რა მოხდა! — იყვირა ტროშკამ, — ის ძუკნა ცე-

ცსლს ეეაყრის-მეთქი და ჩვენ კი უმოძრაოდ ვყრივართ მიწაზე. ვყრივართ და ვიღრინებით. ვისაც მოთმინება ელევა და თავს წამოჰ-ყოფს, ადგილზევე რჩება მიკერებული... მერე ჩვენმა ზემდეგმა იმა-რჯვა... ამსანაგო კორესპონდენტო, ძალიან ბოდიში, მარტოკა მე რას მაყბედებთ, ესენიც სო უყურებდნენ, თქვან, მე მეტი არაუერი არ ვიცი!..

ტროშკა მართლაც გაჩუმდა. დანარჩენებიც გაჩუმებული სხედან, ყველა თავისთვის იგონებს თავისებურად დამახსოვრებულ იმ დღის ამბავს. კორესპონდენტი კი ღელავს, ეჩქარება იმ ეახმაურებული ამბის აღწერა.

...იმ დღეს ზემდეგიც დანარჩენებივით გართსმული იყო მიწაზე. ხელყუმბარების ასხმა ჰქონდა ჩაბღუჯული და თვალმოუნაცვლებ-ლად გაჰყურებდა ჭანჭრობის ეაღმა ნაპირიდან ცეცხლითმღვენელფავ წერტს.

„ნუთუ ვერსაიდან მოევლება იმ რჯულძაღლს“ — მეასედ იმეო-რებდა ეულში და გრძნობდა, მოთმინება ეკარგებოდა, ველარ იტან-და ისეც დაცოტავებული ბიჭების კლებას სათვალავში. ისეთი დაძა-ბული იყურებოდა გაღმა, რომ ველარ გაარკვია, მოჩვენება იყო თუ სინამდვილე: იმ წერტის მიღმა, ალმოდებული ჰორიზონტი თაღი-ვით აიწია და კაბადონზე არეკლილ შუქში ღვთიშობელივით პირნა-თელი ხატულა გამოიკვეთა, ხელში აყვანილი ბავშვით... და გაქრა ომიც, ცეცხლიც, დაიკარგა გონიც და განსჯაც, ხელყუმბარების ასხმა მაღლა ასწია, მიწას მოსწყდა და უფიქრელად შეტოპა ჭანჭრობში...

ირგვლივეთს თითქოს სუნთქვა შეეკრა. ნეჩაევმა თვალები და-ხუჭა. ასეა ყოველთვის, ვინც უყვარს, იმას კარგავს. ალექსის დაკარ-გვასაც შეურიგდება, სიცოცხლესთან ისევ „დასიამტკბილებული“ იქ-ნება, მაგრამ ამ წუთს, შხამიანი მწვანე ჭანჭრობი რომ ჩაითრევს, გადასანსლავს ზემდეგს — ამის დანახვა არ შეუძლია.

ხელმიშვებული ჭოგრიტი თასმით ჩამოეკიდა კომბატის კისერს...

ხავსურაში ამოვლებული ზემდეგი კი, მხრჩოლავად აბოლებული შამბნარის საფარქვეშ რის ვაივაგლახით აბობღდა ლორწომოდებულ გაღმა ნაპირზე და იმ ცეცხლის წერტის პირისპირ აღმოჩნდა.

— ეიზუს-მარია, მიშველე, მაჯლაჯუნა! — დაიბღავლა თავზარდა-ცემულმა სნაიპერმა და ვიდრე ის, გონსმოსული, მიზანში ამოიღებ-და „მაჯლაჯუნას“, ზემდეგმა ხელყუმბარების ასხმა დაასალა.

წვიმის ლეგა ფარდა ჩამოეფარა სნაიპერის ამობრუნებულ ბუ-

დეს, ალმოკიდებულ ჰორიზონტს, კაბადონზე გამოკვეთილ სახეებს. ჰაერის ცხელმა ტალღამ წააქცია, დაფარა ზემდეგი, ცოცხალ-მკვდარი მიაგდო სილასვავს და თითქოს გასრესა დაუპირა...

სანიტარმა ვესელოვსკიმ დაამთავრა ზემდეგის დაზელვა წყალგარეული სპირტით, აყრილი ბლინდაჟის ძელზე პირაღმა მწოლიარეს მტკაველით გაუზომა აჭარსლებული ბეჭები და უიმედოდ ჩაუსტვინა.

ბიჭებმა ზედნაცვამი ხალათების, შარვლების, ჩექმების ზვინი დააყენეს, მაგრამ რისთვის? ამ კაცს ვისი რა მოერგება? ან ამისთანა ზემდეგს ეს დაგლეჯილი, მიწაში და ხავსში ამოგანგლული ტანსაცმელი ეკადრება?

ვესელოვსკი გაჯავრებული დაჰყურებდა ტანსაცმლის გროვას. ბრაზობდა, რომ იმ ტურტლიანი ნაფლეთების არც დაწვა შეიძლებოდა, არც მუზეუმში გაგზავნა.

ზემდეგმა თავი წამოსწია და სანიტარი დაინახა. მაღალი, გამხდარი და თავწოპწოპა ვესელოვსკი ტანმოფლაშული იდგა. გაბრაზებულ სახეზე ცხვირი მეხივით დასტეხოდა. თხელი ტუჩები ნაწიბურივით უყოფდნენ წაწვეტებულ ცხვირს და ცხვირისკენ აზნექილ, წვეტიან ნიკაპს.

— დიდება შენდა, ღმერთო, გონჯზე გონჯი არ დაილევა ქვეყანაზე, — წაიბუტბუტა ალექსიმ თანაგრძნობით, და რადგან თვითონ ცუდად ესმოდა, დაუყვირა: — ვესელოვსკი, მოიტა, ჩავიცვა რამე!

— ჩაიცვა რამე! ეგ სათქმელადაა ადვილი... — ჩაიბურდღუნა ვესელოვსკიმ.

ზემდეგმა სანიტრის ხალათი შემოიხვია შიშველ ტანზე და აკოკოლავებულ ტანსაცმელთან მივიდა.

— ეს რა გიქნია შე ღმერთგამწყრალო, ბიჭები დაატიტვლე?

— დავატიტვლე თორემ წითელ მოედანზე სააღლუმოდ იყვნენ გამოწყობილი! თითონ გაიხადეს. მაშ დივიზიის მეთაურს ეგრე ადამივით ხომ არ გამოეცხადები?

— დივიზიის მეთაურს ჩემთვის თვალები დაჰსიებია! ჩემი ტანისამოსი გაგევლო წყალში, რა იქნებოდა?

— აბა წყალი? წინ ერთი ქეციანი მდინარეა, ისიც ჯერ ფრიცების ხელშია.

— წვიმა მაინც ვერ გამოიყენე?

— მე რო წვიმა დამჭირდა, მაშინ მზემ დააჭირა.

— უჰ, რა უიღბლო ჰყოფილხარ, შე ოჯახაშენებულო! მოიტა, როგორიც არის, ისეთს ჩავიცვამ.

— ისეა გაფშეკილი, გეგონება კამეჩის ტყავიაო.

— კამეჩი გინახავს?

— ერთი კაცი ყველაფრის ნახვას ვერ მოასწრებს, ამისთვის ფანტაზიის უნარი მოუცია ღმერთს!

— დაუჩაგრისარ ღმერთს, ჩემო ძმაო, ცოტა გაუმეტებია შენთვის. რაც შენ ტყავს აუტანია, კამეჩი იმის მეასედსაც ვერ გაუძლებდა! — გაეცინა ზემდეგს. რიაზანელი ფერშალიც ომის პირველსავე დღიდან ან წინახაზზე იყო, ან ჰოსპიტალში იწვა დაჭრილი.

ალექსი თავის გაფშეკილ შარვალს დასწვდა. სანიტარმაც მაშინვე წაატანა ხელი იმ შარვალს.

— არ იქნება! ამით ვერ ეჩვენები-მეთქი დივიზიის მეთაურს!

— კაცო, რას აიტეხე, დივიზიის მეთაურიო? სულაც არ ვეჩვენები, თვალში დავაკლდები, თუ რა?

— დააკლდები, დიახ! ჩემ სანახავად კი არ მოდის. ჰო, რას მიკუსავ თვალებს? მთვარეზე ჯერ არავინ აფრენილა, სხვებსაც მაგისთანებზე აჯილდოებენ. ყოჩაღ, ზემდეგო, ჩვენს ბატალიონს კიდევ ერთი საბრძოლო ორდენის კავალერი მოემატა!

— შენ სიცხე გაქვს, იცი? ჩვენები სად არიან?

— შენი წყალობით ჩვენები ათიოდე კილომეტრზე გაშპნენ. შენი ოცეული კი ფეხს ითრევდა, გეგონება, კუკლა ხარო, ისე უნდოდათ შენი ცქერა. ნეჩაევმა ძლივს გალალა ისინი აქედან.

— ეხლა სად იქნება ნეჩაევი?

— შენ რო არხეინად ხვრინავდი, ნეჩაევი ოფლში იწურებოდა შენზე რაპორტის შედგენაში. ისე დაგხატა, იქნება ორდენიც აღარ გაკმარონ!

ზემდეგი უჩვეულოდ აწრიალდა, აღარ დაეძებდა, რაც ხელში ხვდებოდა, იმას იცვამდა.

— ეხლა გეცოდინება განსხვავება ორდენის კავალერსა და უბრალო მომაკვდავს შორის: უბრალო მომაკვდავს დღესასწაულზე თითო ყლუპს ზიარებასავით უბოძებენ ხოლმე, შენ კი — ანატომიური პრეპარატივით ჩაგაბუჟბუჟე სპირტში.

ვესელოვსკი ყბედობას განაგრძობდა, ზემდეგს კი აღარ ესმოდა.

ის თავისიანებისაკენ გარბოდა და მოულოდნელად ნეჩაევს წააწყდა.

— შენ მართლაც მაჯლაჯუნა ეგონები კაცს! — გადაიხარხარა ნეჩაევმა. ზემდეგის აკაზმულობამ კი არა, მისმა უვნებლად დანახვის სიხარულმა გააცინა.

— ამხანაგო კომბატო, თქვენ მართლა ფიქრობთ, მე რაღაცა განსაკუთრებული გავაკეთე?

ნეჩაევი კიდევ უფრო გაახარა უზომო საყვედურმა ზემდეგის ხმაში და გამოხედვაში. დიახ ასეთი იყო მისი მეგობარი!

— ამიხსენი, ალექსი, ის რა იყო, რა მოხდა? კორპის მორები კი ვნახეთ ჭყანტობში, მაგრამ შენ ხომ არ იცოდი, რამ გაგაბედვინა შიგ შესვლა?

— რაამ?.. — გაიმეორა ზემდეგმა და ჩაჩუმდა. აქამდე თვითონაც არ იცოდა, რა იყო ის, რაც მოხდა. ახსოვს, მიწას გართხმული, გულაღრენილი გაჰყურებდა მტრისეული ცეცხლის წერტს. მისი დახშობის სურვილი თანდათან ისე გაუძლიერდა, რომ ვეღარ იმორჩილებდა. ბოლოს, სულ ბოლო წუთს, როცა შინაგანად უკვე ამოქმედებული იყო, და ქვეცნობიერად ემშვიდობებოდა სიცოცხლეს, გულისძახილმა სანდრა და ხატულა მოაჩვენა. და მოეჩვენა, რომ სნაიპერი მათ უმიზნებდა... მერე აღარაფერი იყო. დანარჩენი — შემოსვევა იყო, რომლის მსგავსი ომში ბევრია, მშვიდობიან ცხოვრებაში კი — დაუჯერებელი: ჭყანტობში რომ შესტოპა, ფეხით მორს წააწყდა, მორს, რომელიც არ იძირებოდა...

ჩუმად იდგა ალექსი.

ჩუმად იდგა ნეჩაევიც. „რად ვეკითხები, რა იყო? — ფიქრობდა ის. — ვერ იტყვის, არ იცის, რა იყო. უბრალოდ, ხალასი კაცი აკეთებს იმას, რის არგაკეთებაც არ შეუძლია“.

იერიშიანი დღეების სათვალავი არ გამწყდარა. ოცდამეერთე დღეს მოითქვეს სული. განთავისუფლებულ ქალაქ პინსკთან იყვნენ. ზემდეგს კი სულის მოთქმაც არ დასცალდა. ჯერ შევსება ჩაიბარა, მერე თავისი ოცეულით აბანო, სურსათ-ტანსაცმლის საწყობები დაიარა და ჭამის თავიც აღარა ჰქონდა, თვალები ეხუჭებოდა. ის იყო მიწვა, ნეჩაევთან რომ იხმეს, სრული აკაზმულობით გამოცხადდიო.

— აფსუს, — დაინანა ბატალიონის მეთაურმა, თავით ფეხამდე ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი ზემდეგი რომ შეათვალიერა. — ფრიცებს რომ შეეყარო, არც მაჯლაჯუნა ეგონები, არც საფრთხობელა! ეგეც კარგია, სამხრეებზე ნიშნების დამაგრება რომ ვერ მოგისწრია.

„მივდივარ სადღაცა", — გაიფიქრა ზემდეგმა.

— ჩვენი დივიზია ბრესტზე მიდის, — თქვა ნეჩაევმა.

„ეამარჯვებით ატაროს ღმერთმა. ცოტა წამეძინა და უფრო გავიხარებდი," — გაიფიქრა ზემდეგმა.

— ჩვენმა ბატალიონმა კი მანამდე ერთ პატარა საქმეს უნდა გამოუყვანოს წირვა, — თქვა ნეჩაევმა.

„იმ წირვის დაწყებამდე მძინებოდა, რას მერჩოდი?"—უსაყვედურა გულში ზემდეგმა.

— ამ მიდამოებში ესესელების მოტომექანიზებული პოლკი ჩარჩენილა, გესმის? — თქვა ნეჩაევმა.

„არაფერიც არ მესმის, მძინავს, ვერა ხედავ?" — უხმოდ მიუგო ზეზეურად ბურანში წასულმა ზემდეგმა.

— ადგილობრივი პარტიზანები დაგვეხმარებიან, იმათ აქაურობა თავისი ხუთი თითივით იციან, — განაგრძო ნეჩაევმა.

„მაგას მერე ვერ მეტყოდი?" — გაუკვირდა ძილღვიძილში მყოფ ზემდეგს.

— მაგრამ საქმე ის არის, რომ ოპერაციის დაწყების დრო ახლახან დაგვიზუსტეს, გესმის? ჰოდა, ჩვენ უნდა ვაცნობოთ პარტიზანებს, ალექსი, გესმის?

— ესლავე უნდა წავიდე? — ზედმეტად ხმამაღალი გამოუვიდა კითხვა ზემდეგს.

— მადლობა ღმერთს! მეგონა, საღათას ძილმა შეგიპყრო. [illegible] თქმა უნდა, ესლავე, დაჯექი! — უთხრა ნეჩაევმა და მაგიდაზე რუკა გადაუშალა. — ამ ფერად ზოლებს ხედავ? პარტიზანების მეკავშირეებთან მისასვლელი გზებია. აი ეს ლურჯი ზოლი შენთვის კარგად ნაცნობ ჭყანტობებს ჰკვეთს. უმოკლესი გზაა, მაგრამ ამბობენ, გაუვალიაო. ეს წითელი და ეს ყვითელი ზოლები...

— წითელ-ყვითელი არ არი საინტერესო, მე მოკლეზე მიყვარს სიარული.

— ვიცი. მაშ, ეს ლურჯად აღნიშნული ორიენტირები დაისწავ-

ლე. კარგად უნდა, დაისწავლო. ეს პაროლიც და ეს რიცხვებიც დაიზეპირე, მე ხელს არ შეგიშლი.

ნეჩაევმა მაგიდას ზურგი შეაქცია და ზემდეგის ჩანთას პირი შეხსნა, თავისი ხელუხლები მშრალი ულუფა ჩატენა შიგ. მერე მისი გაკრიალებული ავტომატი გასინჯა და გულში პატრონს გამოელაპარაკა: „ალექსი, ძმაო, კარგად დაიხსომე ეგ ორიენტირები. თუ ერთს მაინც ასცდა, დაიღუპებაო. რომ დაიღუპო, შენ მე ძალიან დამაკლდები. არ იცი, როგორ დამაკლდები. უშენოდ მე ვერ წავალ ირმისში და ვერ ვნახავ შენს სანდრას, შენს ხატულას, შენს მეზობლებს, შენს ვენახებს. შენ თუ იქ არ იქნები, მე იქ ვერ მივალ და ვერასდროს ვერ დავისვენებ შენს ბუხართან, შენი სახლიდან ვერ დავინახავ გათენებას. ხედავ, როგორ დავზარალდები? ამიტომ, გთხოვ, კარგად დაიხსომო ეგ ორიენტირები. გთხოვ, გესმის?"

ზემდეგი წამოღგა. ნეჩაევი მაგიდასთან მივიდა, ისევ რუკაზე აჩვენა:

— უკან წამოსვლა არ გაგიჭირდება. აი ასე ივლი, ამ გზით. აქ სულ სოფლებია, ხედავ, ჩვენი განთავისუფლებული სოფლებია. ამ გზით მოხვალ აი აქ, შტაბში.

— შტაბში რა მინდა?

— ბატალიონი სად იქნება, ვინ იცის.

— მე მოგნახავთ.

— შენ შტაბში მიხვალ!.. ამხანაგო ზემდეგო, ერთხელ მაინც გაიხსენე წესდება, დისციპლინა, სუბორდინაცია! შტაბში ათიოდე დღე დარჩები, ჩვენ მოგაკითხავთ.

„დასვენება შემომაჩეჩა. მე ერთი დღე მეყოფოდა გამოსაძინებლად, დანარჩენი დღეები რა უნდა ვაკეთო?" — უკმაყოფილო სახით იდგა ზემდეგი.

— მერე ერთად განვაგრძობთ გზას და მალე პოლონელი ქალი-შვილები ყვავილებით დაგვხვდებიან, თაიგულებს მოგვართმევენ! რა კუშტად იყურები, შენც ხომ გიყვარს ყვავილები?!

ზემდეგეს გაურკვევლად აჩეჩა მხრები.

— ძალზე ჯიუტი სარ, არ დამიჯერე. კურსებზე რომ წასულიყავი, ახლა ოფიცერი იქნებოდი. ფათერაკი თუ შეგემთხვა, ოჯახს კარგი პენსია ექნებოდა.

— ხატულა ეანმრთელობას არ უჩივის, ქმრის პენსიას იუკადრისებს.

— ცხადია, შენი აუტანელი სიჯიუტე გადაედებოდა! მერე რა, ცოლს თუ არა, შვილს მაინც გამოადგებოდა შენი ოფიცრობა.

— ჩემგან რა ოფიცერი გამოვიდოდა, მიწას ვაზივით ვებღაუჭები... — წაიდუდუნა ზემდეგმა და წასვლა დააპირა. ჩანთა ემძიმა, მაგრამ ამისთვის ახლა არ ეცალა. „ნახვამდისო“, უნდოდა ეთქვა და ჩუმად იდგა.

„ოლეგ სტეპანოვიჩ, რა პენსიაზე მელაპარაკები, გგონია არ დავბრუნდები? უკვდავების წყალზეც რომ გამგზავნონ, მაინც დავბრუნდები. შენ იცი, სანდრას და ხატულას უნახავად მე ვერ მოვკვდები. ჩემი სახლიდან ამსიშორეზე მიწაც არ მიმიღებს. შტაბიდან გავგზავნი შინ წერილს. თუ ვერ გავგზავნე, შენ მისწერ, ამხანაგო მაიორო, მე ვეცდები აგაცდინო ეგ არასასიამოვნო მოვალეობა. თუ ვერ აგაცდინე, მაპატიებ, მკვდარს რა მოეკითხება?..“ — უხმოდ იდგა ზემდეგი და თითქოს იმ სამწუხარო წერილის წერისას ხედავდა ოლეგ ნეჩაევს, ეული თანაგრძნობით ევსებოდა.

„რა ვქნათ, ალექსი, — ფიქრობდა ამ დროს ნეჩაევი, — შენ ხომ იცი, რა ძვირი ჯდება ომში მეგობრობა... თვლა არა აქვს სასწაულმა რამდენჯერ გადაგვარჩინა მე და შენ, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ადამიანები მოკვდავნი არიან. შესაძლოა ამ ოპერაციაში მე დავიღუპო, შესაძლოა შენ ასცდე ორიენტირს ან ფაშისტებს გადაეყარო, რა ვუყოთ, თუკი ეს საჭიროა? ხშირად ჯარისკაცის სახელიც არა რჩება, ხან კვალიც არა რჩება მისი, დაიღუპა და აღარ არის. შენ კი უკვე დაზღვეული ხარ დავიწყებისაგან. შენი სახე ფრონტის გაზეთმა აღბეჭდა, „უშიშარი ზემდეგი ალექსი რჩეულიშვილიო!“ აი, ხომ ხედავ, შენ შესული ხარ დიდი სამამულო ომის ისტორიაში...“

ნეჩაევი გულიანმა სიცილმა გამოარკვია ფიქრებიდან. თვალებს არ დაუჯერა: ჩანთააკიდებული ზემდეგი იდგა და სიცილით კვდებოდა.

— რა დაგემართა, ალექსი? ეგებ... ეგებ სხვა გამეგზავნა?!

— არა, მე სრულ ჭკუაზე ვარ, ოლეგ სტეპანოვიჩ, თქვენ სახე გქონდათ ისეთი სასაცილო, მეგონა, ჩემს დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვას ვუსმენდი.

— აააა... მოგეწონა?

— ოჰ, ძალიან!

— ჰოდა, გეცოდინება, როგორ შეგამკობ.

— მადლობელი ვიქნები.

ნეჩაევმა ასანთი მოუკიდა ქაღალდს, რომელზეც პაროლი და ოპერაციის დაწყების დრო ეწერა, მერე ზემდეგს საველე წიგნაკი გამოართვა.

— ჩემთან იყოს, სამაგიეროდ, ჯიბეში ეს გქონდეს, ერზაცია, მაგრამ მაინც შოკოლადი ჰქვია, გამოგადგება... გზა მშვიდობისა!..

მიდის ზემდეგი. უკვირს, ამდენი ხანი ფრონტზეა და აქამდე თურმე არც საფრთხე არც ნამდვილი სიძნელე შეხვედრია და არც შიში განუცდია. როგორ იარა და როგორ მივიდა დაკალებულ „პაემანზე", ეგებ ოდესმე გაახსენდეს, ახლა კი, იმ ბოროტ და გაუკალ გზაზე მხოლოდ ორიენტირები ახსოვს. ერთხელ უკვე განცდილი ჭანჭრობის ფიზიკური შეგრძნება ზარავს და შიში ეუფლება, გზის აცდენას მტრის ასეულთან შეხვედრა ურჩევნია. მერე ისევ სძლევს შიშს. ხომ გაუვლია აქ ადამიანს და რუკაზე აღუნიშნია ეს ორიენტირები, მაშ გავლა შესაძლებელი ყოფილა!

და მიდის ზემდეგი. თვალით, ხელით, სმენით, ყნოსვით, ალღოთი ეძებს ადამიანის ნაკვალევს, ეძებს ორიენტირს. ისინი შუქურასავით გაუნათებენ ხოლმე ბნელეთს. გასცდება იმ კეთილ შუქურას და ისევ ეძებს მიწაზე ფეხმოსაკიდებელ გოჯს. ო, რა ძნელია ამ ერთი გოჯი მიწის ძებნა. სად არი მიწა, ღაღანა ხავსურით, მანანით, საფლობი ნაირბალახოვანით ვერაგულად შენიღბულ ჭანჭრობში, მაცდურად ამწვანებულ, უკვალოდ მშთანთქავ ტბორებს შორის?!

გასცდება ორიენტირს და ისევ ლაქაშის ან ლერწმის შამბები, ჟოლოს, მაჯაღვერის, გრაკლის, მოცხარის დანაღმული ბუჩქები, ისევ ორიენტირი და მერე ისევ ძაფივით დახლართული მანეულით, ისლით, წნორნარით მოდებული ჯუჯა ფიჭვნარი, შიგადაშიგ არეული ქარქვეტით, ტყისცოცხით, ისევ გველ-ბაყაყების, ჭოტების, ღამურების ბოროტი სამყარო...

მიდის ზემდეგი. ღმერთმა იცის, როგორღა მიდის. ღონე დაელია. შხამიანი ჰაერი მკერდს უგლეჯს. საფეთქლებზე სისხლის ძარღვები ასკდება. სახეს, კისერს, ხელებს კოღოები უღრღნიან, თვალებში, ცხვირ-პირში უცვივიან, მაგრამ ხედავს ორიენტირს და შორიდანვე ულიმის: „შენ ხომ იმიტომა ხარ, რომ მე დამეხმარო. შენ თუ და-

მეხმარები, რატომ ვერ ვიგლი? უნდა ვიარო, უნდა მივაღწიო დანიშნულ ადგილს. აუცილებლად უნდა მივაღწიო...“

და მიდის. ფიქრიც აღარ ძალუძს. ხავერდივით დაფენილი ნაირბალახოვანი სულ უფრო დაყინებით იწვევს, ნეტარებას ჰპირდება, და მუხლები ლამის ეურჩონ, ლამის მიჰყვნენ ანდამატივით მიმზიდველ ცდუნებას...

— მიდის, დამძიმებული, დასიებული ქუთუთოები წარამარა უღობავენ თვალებს, და არა სჯერა, რომ ნამდვილად ხედავს თხემლის ჭანჭრობისაკენ დაზნექილ, ტოტებით ერთმანეთთან შეწნულ სამ იფანს და შუა ხნის განშტოებაზე ამოჭრილ მტრედს...

მაგრამ ირგვლივ რომ არავინა ჩანს?! ძე-ხორციელის ნასახი არსაით არის. მსოლოდ კოღო-მუმლის ზმუილი და ქვეწარმავალთა ფაჩუნი ისმის. ვინ იცის, ამ სატიალოში რამდენია დასამებული იფანი? და ვინ იცის, რამდენ ხეზე ამოჭრა მტრედი ვინმე ვერაგის ხელმა? ნუთუ ასე უსარგებლოდ ჩაკვდება გონჯაურა ამ ბოროტსა და ბნელ სამყაროში?

და სიფრთხილე გადაავიწყდა, უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, შეშფოთებით დაიძახა პაროლის პირველი კითხვა:

— ჰეი-ი, რომელი ხარ, ხმა გამე, „დღეს რა რიცხვია?“

— ბიძაშენის მამულში ხო არა გეონია თავი, რა გაყვირებს? — შეუტია ვიღაც უჩინარმა.

„მოვსულვარ...“ — ველარ მოასწრო გახარება ზემდეგმა, ვერც ფიქრი დაასრულა, როგორღაც უხერხულად დაგვერდავდა და იფნის ძირთან დაეგდო.

...უსიამო ჟრუანტელმა გააღვიძა. ტანისამოსი ნამიანი ჰქონდა. სუნთქვა უჭირდა. ჭრილობები ვაგლახად უკვნესოდნენ. გაჭირვებით აახილა თვალები. გვერდით თავისი ჩექმები დაინახა, გარეცხილი და გაწმენდილი. ხეზე მისი ავტომატი და ჩანთა ეკიდა. მერე ბიჭი დაინახა. ჭინკა, ქონდრისკაცი, მოჩვენება კი არა, ნამდვილი, ცამეტიოდე წლის ბიჭი, თეთრწითურა და ყვითელთვალება. დაფხრეწილი კეპკა კეფაზე ჰქონდა მიგდებული. თავით ეჯდა და კონად შეკრული იფნის ტოტებით კოღოებს უგერიებდა.

— ა-ა, გაიღვიძეთ — წამოსტა ბიჭი. თამამი ჩანდა, ცოტა მოთავხედოც კი. კეპკა შეისწორა, თითებით შეამოწმა ზედ დამაგრებული ვეება ხუთქიმიანი ვარსკვლავი, და ნემსის წვერებივით მჩხვლეტავი

გუგებით მიაჩერდა. — აქ მობრძანებისას თქვენ რაღაცა იკითხეთ, რის გაგება გსურდათ?

— მინდოდა გამეგო, „დღეს რა რიცხვია"?

—„გაიხსენეთ საყვარელი თარიღი!"

— კეთილი, გავიხსენებ, მაგრამ თუ მეტყვი, „როდის გათენდება?"

— „როცა ბულბული სტვენით დაიღლება!"

— შენ ყველაფერი გცოდნია! მაშ ეგებ ისიც მითხრა, „სიკეთე როდის იზეიმებს?"

— როდის და, როცა „სიბოროტე დაისჯება!"

— ყოჩაღ შენ! მაშ, მოიტა ხელი,—რატომღაც გამხიარულდა ზემდეგი და თავიც უკეთ იგრძნო.

— თქვენი ძახილი რომ გავიგონე, მე ჩემი ტოლი მეგონეთ, — მოიბოდიშა ბიჭმა, მაგრამ იმავ წამს სახეზე საყვედური დაეწერა: — აქ დაძინება არ შეიძლებოდა, ჭანჭრობის შხამი ღამით მიწას ეგებ, ახრჩობს ადამიანს, დავიღალე თქვენი ნჯღრევით!

— მაპატიე, ძამიკო, მეც ცოტა დაღლილი ვიყავი და უცებ დამეძინა.

— „ცოტა დაღლილიო", — ჩაიფხუკუნა ბიჭმა.

— რა ახალგაზრდა მეკავშირე ჰყოლია თქვენს რაზმს?!

— დიახ, სწორედ ჩემისთანაა საჭირო! მე ხეზეც ციყვივით ავსტეები, მიწაში თხუნელასავით ჩავძვრები, ჭაობზე ყანჩად ვიქცევი, ბარდებში ხეკლიკივით გავსრიალდები...

— მოიცა, მოიცა, სუ აზვიადებ!

— რას ვაზვიადებ, ეს ხომ გართობასავითაა! მე ნამდვილ საქმეებსაც მანდობენ, იმაზე სიტყვასაც ვერავინ დამაცდევინებს.

— კარგი, ხუ ჯავრობ, მითხარი, შენი რაზმი შორს არი?

— სხვისთვის შორსაა, მე კი ხელათ მივალ, რა გადავცე?

— რიცხვები: 18, 7, 22, 00

— აა, მივხვდი: 18 ივლისი, საღამოს ათი საათი ნოლ-ნოლ წუთი, ესე იგი, ხვალ საღამოს! არის გადავცე, ამხანაგო, ამხანაგო... სამხრეებზე ნიშნები რომ არ გიკერიათ, არ ვიცი, როგორ მოვმართოთ, იქნებ თქვენ კაპიტანი ხართ?

— არა.

— მაიორი?

— არა.

— მაშ, თქვენ... — ბიჭი სარგადაყლაპულივით გაიჭიმა.

— გენერლობას ცოტაღა მაკლია, უკვე ზემდეგი ვარ.

— ზემდეგი-ი... არა უშავს რა, ეგეც ზორბაა! მე ყველაზე უფრო ზემდეგები მიყვარს, ღმერთმანი!

— ძალიან სასიამოვნოა. ეხლა შენ მითხარი, რა გქვია, ვისი ხარ, სადაური ხარ?

— შინაურობაში ლიოშკას მეძახოდნენ, ალექსეი ბოგდანოვიჩი ბოგუჩაროვი ვარ. სადაურიც ვიყავი, იქ ქვა ქვაზე აღარ დარჩა. ვისიც ვიყავი, აღარა ვარ, აღარ არიან...

— ეგ დაღვრემილობა კი არ გიხდება, ალექსეი ბოგდანოვიჩ, მოდი ცოტა წავისაუზმოთ და საქმეს მივხედოთ, ჰა, რას იტყვი?

— კარგი წინადადებაა, და საერთოდ, თქვენ...

ბიჭმა სათქმელი აღარ დაამთავრა, ზემდეგის მუხლს გამეტებით დაჰკრა ხელი და ახტა, ცხვირსახოცში გამოკრული საგზალი ჩამოიღო ხიდან.

— ეგ შეინახე, ჩემი ჩანთა გახსენი, — უთხრა ზემდეგმა.

— არა, თქვენ ჩანთას ხელს ნუ ვახლებთ, — დინჯად და სერიოზულად თქვა ბიჭმა.

— რათა? — ეწყინა ზემდეგს. ეწყინა, რომ ამ პატარა ბიჭმა თავშენახულობა დასწამა.

— იმიტომ რომ... აქედან რომ წახვალთ, თქვენ ბევრ დამწვარ-დანგრეულ სოფლებს გაივლით, დამშეულ ბავშვებს შეხვდებით...

ზემდეგმა ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და მოგვიანებით უთხრა:

— ჰო, კარგი, შენი ბოხჩა გახსენი.

ბიჭი დაფაცურდა.

— ეს ღორის ქონი ჩვენმა რაზმელებმა დაამარილეს, ჭამით ვერ გაძღება კაცი. ზორბაა, არა?

— ეს ორცხობილაც ჩვენი ქალების ნახელავია. თუ კბილები მაგარი გაქვთ, ლამაზად ჩააკნატუნებთ.

— სწორედ საჩემოა. აბა, ალექსეი ბოგდანოვიჩ, ამას თუ მიირთმევთ? — ნეჩაევის მოცემული შოკოლადი გაუწოდა ზემდეგმა.

ეს ცდუნება კი ვერ დასძლია ბიჭმა, ფილა ულაპარაკოდ ჩამოართვა, სიამოვნებისაგან მილულული თვალებით მოსუსნა და ისევ აუშვა ენა:

— გგონიათ, გამიკვირდება? ჩვენ რაზმში, რა გინდა, თვალო და გულო, ყველაფერი გვაქვს. იჯექი არხეინად და თუნდა ჩიტის რძე მოითხოვე. არა გჯერათ? ჩიტის რძე მიქარვაა და მეტი არაფერი,

რა კაცების საქმეა? აი ტკბილი კვერი და გოგლიმოგლი მესმის! ირგვლივ ბათქა-ბუთქია, ფრიცები დაძრწიან, შენ კი ფაფუკ ლოგინში გაშოტილხარ და გოგლიმოგლს მიირთმევ. ზორბაა, არა, ამხანაგო ზემდეგო?

— რა თქმა უნდა, ზორბაა...

— გატყობთ, არა გჯერათ! თქვენ ალბათ მე ცრუპენტელა და მკვეხარა გგონივართ.

— სცდები, ამხანაგო მეკავშირე, მე თავიდანვე დავრწმუნდი, რომ შენ ყოჩაღი ხარ, ნამდვილი ვაჟკაცი.

— თქვენ უფრო ნამდვილი ყოჩაღი ხართ! ჩვენმა რაზმელებმა თქვეს, ამ გზით ეშმაკიც ვერ მოაღწევს ჩვენამდეო. მე ისე, ყოველ შემთხვევისათვის გამომგზავნეს.

— იცოცხლონ შენმა რაზმელებმა შენი აქ გამოგზავნისათვის!

— მართლა გიხარიათ? — გაუბრწყინდა ბიჭს სახე.

— აბა შენისთანა ბიჭს სხვაგან სად შევხვდებოდი?

ბიჭს სახეზე ალი მოედო, ჭორფლი ნაპერწკლებივით გაუღვივდა. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ჩანდა, ეუხერხულებოდა.

ზემდეგი წამოდგა.

— ეხლა კი, ალექსეი, ჩვენი გაყრის დროა. ბარემ გეთქვა, რის თქმაც გინდოდა.

ბიჭი, ჩვეულებრივი პატარა ბიჭი იდგა და დაგლეჯილი ჩექმის წვერით მიწას სჩიჩქნიდა. ძლივს გაბედა:

— მინდოდა მეთხოვნა... ამხანაგო ზემდეგო, თუ თქვენ გინდათ, სახსოვრად დამიტოვეთ რამე!

ზემდეგმა ჯიბეები მოიჩხრიკა, გადმოიბრუნა, ჭირის ოფლში გაევლო კაცი, ვერაფერი აღმოაჩინა. ბოლოს, უბიდან თხელი პაკეტი ამოიღო.

ბიჭმა სწრაფად წაატანა ხელი პაკეტს და გახსნა. გრუზათმიანი ბიჭუნას ფოტოსურათი იყო.

— ოო, თქვენი შვილი! როგორა გგავთ! საოცრადა გგავთ! — დაიძახა და თავი ასწია, ზემდეგს დააკვირდა, მერე ისევ სურათს დახედა: — ეს არაფერია, თქვენსავით ლამაზი რომ არ არის. მამაჩემიც ლამაზი იყო, მე კი არა ვარ ისეთი... თქვენი შვილი ჯერ პატარაა, გაიზრდება და იქნებ მაშინ გახდეს თქვენისთანა.

ბიჭმა ახლა წაღმა-უკუღმა დაატრიალა სურათი და წარწერას მიაგნო.

— სანდრა ალექსის ძე რჩეულიშვილი! აა, მაშ თქვენც ალექსეი პეოფილსართ?! ეს კი მართლაც ზორბაა! ალექსეი... კარგი სახელია არა? აქ მისამართიც სწერია. უცებვე გიპოვნით. ომი გათავდება და მაშინვე მოგძებნით. ამხანაგო ზემდეგო, შეიძლება მოგძებნოთ?

ზემდეგმა მხრებზე მოსვია ხელი.

— ომის დამთავრებას რადღა უნდა უცადო, შენ შენი ვალი ჭარბად მოგიხდია. ეს დავალებაც შეასრულე და წადი ირმისში. ამ ბიჭის ძმა იქნები, მე რომ ჩამოვალ, ორნი დამხვდებით.

— ოჰ, ეგ ძალიან ზორბა იქნებოდა, ისევ მეყოლებოდა ძმა, ერთად დაგხვდებოდით... მაგრამ ცოტა უნდა მოვითმინო. მე ძალიან ვეჭირდები ჩვენ რაზმს, და მე... მე ბოლომდე უნდა ვდიო ფაშისტებს...

ზემდეგს ლაპარაკი არ შეეძლო. შუბლზე აკოცა და სწრაფად განშორდა.

იმდენი ჭირ-ბოროტის გადამტანი კაცი უჩვეულოს რაღას უნდა შეეყროდა, მაგრამ შეეყარა. დარბეულ-გაცამტვერებული სოფლებისა და ქალაქების სათვალავი დიდი ხანია დაეკარგა, მაგრამ ამ ნასოფლარის დანახვამ უჩვეულოდ და უცნაურად შეაძრწუნა. ეგებ იმიტომ, რომ უდაბნოსავით უნაყოფო და უკაცრიელი, უპატრონო მომაკვდავივით იყო მიგდებული და ზენიტს მიღწეულ მცხუნვარე მზეს ჩრდილიც კი წაერთმია მისთვის. ან ეგებ იმიტომ, რომ გიგანტური ნგრევით დაობლებული ლიოშკას სახე, შურისმაძიებელი ბავშვის დაუმთავრებელი კვნესა სდევდა თან...

სადღაც შორს რაღაც ბოლავდა. ცხელ, უმოძრაო ჰაერში ბოლი თალხი სუდარასავით ეფინებოდა მიწას. ნასახლარებზე საფლავის ქვებივით იდგნენ შავად აწოწილი საკვამურები. აქა-იქ შერჩენილ ბოძებს დასეული ყვავ-ყორნების მაძღარი ჩხავილი ლურსმანივით ეჭედებოდა მკვდარ სიჩუმეს, და ბოძებზე ჩამოკიდებული ადამიანები ამოცარიელებული თვალის ბუდეებით იყურებოდნენ წართმეულ სამყაროში.

ნელა მიდიოდა ზემდეგი. ფეხს ფრთხილად აბიჯებდა. ეგონა, მისი სიმძიმე ტკივილს უმწვავებდა წამების ჯვარზე გაკრულ მიწას. ფეხაკრეფით მიდიოდა თითქოს ადამიანთა ბოროტებაზე გამოტანილ განაჩენს უსმენდა. მიდიოდა, ხშირ-ხშირად ისვენებდა. ფიქრი რომ

შესძლებოდა, ინანებდა ამ „იოლი" გზით წამოსვლას, ინანებდა, რომ ისევ იმ ბნელეთით არ ირჩია დაბრუნება.

მაგრამ არაფერს არა ფიქრობდა. ჩამონგრეულ კედელთან იდგა და რაღაცას უსმენდა. გვიან მიხვდა, რომ ადამიანის ხმას უსმენდა. ქალის სუსტი და ალერსიანი ხმა ესმოდა. უფრო გვიან სიტყვებიც გაარჩია, და ბოლოს იმ სიტყვების მნიშვნელობას მიხვდა.

— არ გინდა, მტრედო, ეს არ იჭმევა, ჩემო პატარავ. ეს აი აქ, მიწაში ჩავდოთ. ზევიდანაც მიწა დავაყაროთ. ცოტა მოითმინე, სულ ცოტაც და ერთის ნაცვლად, ოცი გექნება, ოცი დიდი, ლოყაწითელი ვაშლი! მომეცი, მტრედო, ამაში სიკვდილია დამალული. შენ ხომ იცი, ფრიცმა ამ ვაშლებში სიკვდილი დამალა. არა სჭამო, ჩიტო, მომეცი, აი, ასე ჩავდოთ და მიწა დავაყაროთ...

კედლის გადაღმა ზემდეგმა ორნი დაინახა.

ქალი ტარმოტეხილი ბარით უღონოდ სჩიჩქნიდა მიწას. ბავშვი თავისი ხალათის კალთაში ჩალაგებულ ვაშლებს დაჰყურებდა, თითოს იღებდა და პირთან მიჰეონდა. ქალი მას მიწიან ხელს თავზე უსვამდა, ალერსიანი ძალდატანებით ართმევდა ვაშლს, ორმოში სდებდა და ზედ დაყრილ მიწას ფეხით სტკეპნიდა. ქალის და ბავშვის ჩამომჭკნარ სხეულს, ჩანაოჭებულ სახეს ასაკი არ გააჩნდა...

უცნაური წამი წამოეწია ზემდეგს. ომის არაადამიანური ბოროტება მიწის იმ ერთ ადლს დააცხრა უცებ. ქვეყნიერების წალეკვით დამუქრებული შხამიანი ნიაღვარი იმ მოწამლულმა ვაშლებმა ჩაიტიეს. მილიონების ტანჯვამ ამ ასაკწართმეული ბავშვის და ქალის სახე მიიღო... და ჯვარცმული მიწა, ბავშვი და ქალი, საკვამურები, ნანგრევები, ყორნებდასეული ბოძები — ყველაფერი ერთმანეთს შეერია, აინთო, ცეცხლოვანი ბორბალივით დატრიალდა, ცას აასკდა, მერე ისევ მიწას დაეხეთქა. უთვალავმა ნაპერწკლებმა თვალები ამოუწვა ზემდეგს...

წუთები გარბოდნენ. ნელა უბრუნდებოდა გული საგულეს და ჩიხი თვალებს. სიბრალულის ტკივილით დაგლეჯილი სხეული უთრთოდა. არა გრძნობდა, რომ ღრმადჩავარდნილი თვალებიდან ჩამაყებულ ლოყებზე ცრემლი ეღვრებოდა.

— არ გინდა, შვილიკო, შიგ სიკვდილია ჩამალული. ხომ ნახე, ნიკოლკამ არ დაუჯერა დედიკოს და მოკვდა. ცოტაც მოითმინე, მალე ჩვენებიც მოვლენ და შენ გექნება ოცი დიდი, წითელი ვაშლი...

ქალის ოდნავგასაგონი ხმა შუბის წვერივით ღადრავდა ზემდეგის

სმენას. მან ჩანთა მიწაზე დააგდო, ავტომატიც იქვე მიაყუდა და დედა-შვილისკენ წავიდა.

მის დანახვაზე ქალმა ხმადაბლა შეჰკივლა. მანამდე უღონომ, ბარი ღონივრად მოიღერა და ბავშვს აეფარა. ბავშვმა კალთას ხელი უშვა და მკლავებით დედის წელი შემოსალტა.

— მე მტერი არა ვარ, — თქვა ზემდეგმა. განრისხებული სახე ნათქვამს არ უდასტურებდა, მაგრამ მან ეს არ იცოდა, ხვეწნით იმეორებდა: — დამიჯერეთ, მტერი არა ვარ, არა, არა...

ქალმა მძიმედ დაუშვა ბარი.

— ჩვენი ყოფილა, სერიოგა, — წაიჩურჩულა და უასაკო სასეზე თვალები ლურჯად აუკამკამდნენ.

— მაშ მამა სადღაა? — შუბლქვემოდან უნდობლად გამოხედა ბავშვმა.

— მამაც მოვა, — უთხრა ზემდეგმა და არ იცრუა. სჯეროდა, რომ მოვიდოდა. უნდა მოსულიყო. არ შეიძლებოდა, არ მოსულიყო. ამ ბავშვის და ამ ქალის ტანჯვას ერთი მისხალიც ვეღარ მოემატებოდა. — მოვა მამა, — თქვა ისევ, დასწვდა ბავშვს და ფრთხილად აიყვანა, მკლავზე გადაიწვინა, ბანჯგვლიანი ლოყა მის დამჭკნარ ლოყას დაადო: — სანდრა, ჩემო სანდრა...

— მე სერგეი ვარ, — ჩუმად შეუსწორა ბავშვმა. მოცისფრო ქსელით დასერილი სიფრიფანა ქუთუთოები ჩამოაფარა მშიერ, ამოღამებულ თვალებს, — სერიოგა ვარ...

— სერგეი... სერიოგა ხარ...

ბიჭს ღიმილის იერმა დაჰკრა. ღონიერ მკლავებზე რწევა ეამა. თვალდახუჭული მიეკრა მამისმსგავსი კაცის განიერ მკერდს.

— აი ჩვენი ნასახლარი, დაბრძანდი, — თქვა ქალმა და ჩამონგრეული კედლის ძირში, ღია ცისქვეშ დაგებულ ფიცრებზე მიუთითა ზემდეგს.

ღამეა. მთვარიანი ღამეა.

სერიოგას სძინავს. სოფლის ავბედობაზე თხრობით დაღლილ მარიას შვილის ფერხთით ჩაეძინა.

ზემდეგი წამოდგა და ნელა მიჰყვა აოხრებულ ქუჩას. მთვარე აუფერულებდა დასაკარგავში აწეულ ცას, და, სადაც დასალიერი უნდა ყოფილიყო, იქაც სიცარიელეში იკარგებოდა თვალი. აქეთ-იქით

გაფანტული ნანგრევების უსახო ჩრდილები დამფრთხალ ნადირებს ჰგავდნენ და უმოძრაო ჰაერში ბოლი ჩამონგრეული სვეტებივით იდგა აქა-იქ. სიჩუმეს დროდადრო არტილერიის შორეული ზალპი არღვევდა და მაშინ ცეცხლი, მიწიდან ავადნილი ელვასავით ჰკვეთდა სივრცეს.

„ნეტა ვიცოდე, სად რას არი ჩვენი ბატალიონი...“ — ამოიოხრა ზემდეგმა. ბოღმით აღვსილი სული სხეულს უმძიმებდა. სიარული გაუჭირდა, ფეხზე დგომაც უჭირდა და გამობრუნდა, ისევ მარიას სახლის ნანგრევებთან ჩამოჯდა ქვაზე, ჩექმები დაიძრო და შიშველა ფესისგულები მიწას დაანდო.

„ხედავთ, ხალხო, რა ბოროტება დაატყდა მშვიდობიან მიწას?! — უხმოდ გამოელაპარაკა თავის თავს და მთელ სამყაროს. — მაგრამ ბოროტისმქნელნი მისაგებელს ვერ წაუვლენ, ვერა!.. ადამიანი სიკეთის მთესველად და აღმშენებლად რომ არ ჩნდებოდეს ქვეყანაზე, მაშ დედამიწას რა დაამშვიდებდა? მე მიყვარს ჩემი დანიშნულება, ისე როგორც უყვარს ქვეყნად უთვალავ ადამიანს. მე სიცოცხლე იმისათვის მინდა, რომ ჩემი მამულის აყვავებას ვანაცვალო, იმიტომ მძულს ყველაფერი, რაც ამას ხელს უშლის, მძულს ისევე, როგორც უთვალავ ადამიანს მთელ დუნიაზე. აკი იმიტომ ამხედრდა მილიონობით ხალხი იმათ წინააღმდეგ, ვინც უნამუსოდ სთელავს ადამიანის დანიშნულებას... ეჰეი, თქვენ, სიკუდილისა და სიბოროტის მთესველნო, თქვენ რატო არ გიყვართ თქვენი მიწა, თქვენი სახლი, თქვენი ბალღები? არ გიყვართ, არა. რო გიყვარდეთ, არ დაგავიწყდებოდათ, რომ სიბოროტე აუცილებლად ისჯება, ვაი თქვენ, ეს რომ დაივიწყეთ და სასჯელი მოადგება თქვენ კარს... ჰეი, თქვენც, ვინც ბოროტებას მხარს უმაგრებთ, გამაგებინეთ, რისთვის უმაგრებთ, რათ უწყობთ ხელს, რისთვის? იმისათვის, რომ უღირსებმა აგრიონ კეთილი გონებით და მარჯვენით შექმნილი? იმისათვის, რომ გესტაპოელმა ბუღამ მოწამლული ვაშლებით აუვსოს კალთა დამშეულ ბალღს?.. ხალხო, ადამიანებო, მითხარით, რა ფასი აქვს გონიერებას, ნიჭს, პატიოსნებას, თუ ამას ყველაფერს ვაჟკაცობა არ ახლავს, ძალა არ შესწევს ჩანასახშივე მოსპოს ბოროტება?.. რა ვქნათ, მარია, მე რის შემძლე ვარ? თუ ჩემ სიტყვას რამე ფასი აქვს, მე გაძლევ სიტყვას, რომ აი ისინი, ვისი ნაკვალევიც ეხლა შენ თვალწინ ბოლავს, ვერსად დაემალებიან განკითხვის საათს, მისწვდებათ მათ ნეჩაევის რისხვა, მისწვდებათ ლიოშკა ბოგუჩა-

როვის რისხვაც, პარტიზანების აუცდენელი მახვილიც. ჰო, მარია, დამიჯერე, ისინი ვერ წაუვლენ მისაგებელს...“

ზემდეგი მიყუჩდა, მალე ჩასთვლიმა კიდეც, მაგრამ ბურანში რაღაცა სიამე იგრძნო, ისეთი სიამე, რომ უმალვე გამოფხიზლდა, გაკვირვებულმა მიიხედ-მოიხედა.

არაფერი არ შეცვლილიყო. ისევ ანათებდა მთვარე. ისევ დაკარგული იყო ცაც და დასალიერიც. ისევ მშვიდად ეძინა სერიოგას და ძილში კვნესოდა შვილთან მიყუჟული მარია. მაშ ის რა იყო? საიდან იყო შვება და ის სიამე?

გაკვირვებული წამოდგა, ნაბიჯი გადადგა. კიდევ გადადგა ნაბიჯი. კიდევ ერთი. კიდევ. კიდევ... და ვინმეს რომ დაენახა მთვარით გაშუქებული კაცი, თითქოს რაღაცას დაყურადებული და ვაღიმებული რომ ადგამდა მიწას შიშველ ფეხისგულებს, უთუოდ გიჟი ეგონებოდა. ვინ მიხვდებოდა, რომ უხილავი ძარღვებით დედამიწა უბრუნებდა მისგან ანაბრებულ სიკეთეს, სითბოს, სიყვარულს, ჯანღონეს, რაც ამ კაცს დაუზოგავად ჩაელია მისთვის, ვინ მიხვდებოდა, რომ მიწის შენახული მზე ავსებდა მას...

ის აღარ იყო დაღლილი. აღარც საკუთარი სხეულის სიმძიმეს ჯრძნობდა. აუჩქარებლად ინაცვლიდა ფეხს, მთელ გულისყურს ატანდა ყოველ ნაბიჯს. დადიოდა, ჯერ ბოლომდე შეუცნობელ განზრახვას მიჰყვებოდა. იმ განზრახვამ მარიას სახლის ნანგრევებთან მიიყვანა, თვალით მოაზომინა საძირკველი, ჩამონგრეული კედლები, დაასახვა გამოსაყენებელი მასალა.

„ექვსი დღე დამრჩა დასვენებისა. ჩემია ეს ექვსი დღე, ჩემი!“ — თქვა გუნებაში და სურვილს დაჰყვა, ხელები ნებაზე მიუშვა, საშენებლად ვარგისი აგურების გადარჩევას შეუდგა.

თან ბარათი ეწერებოდა გულში:

„ხატულა, ჩემო ხატულა, იხარე და იდღეგრძელე. ირმისელები ამაყობენ შენი ქალობით, შენი დედობით, შენი ვაჟკაცობით. განა არ ვიცი? ენძელაც პატარა და ნაზია, მაგრამ დიდ ზამთარსა სძლევს და გაზაფხულს მოიყვანს ხოლმე. იხარე, ჩემო ხატულა. მე შენთან ისევ ის სათხოვარი მაქვს: დღენიადაგ უნერგავდე სანდრას და სანდრასტოლა გოგო-ბიჭებს ვაზის სიყვარულს, მშობლიური მიწის სიყვარულს, აამაყებდე მისი მშვენებით, ნიჭით, სულის სიმდიდრით...“

ბარათი იწერებოდა, ხელები განაგრძობდნენ საშენებლად ვარგისი მასალის გადარჩევას.

• • •

იაბლონკასთან მცირე დასვენებაზე დამდგარ პოლკს, წინახაზისკენ მიმავალი კონტრდაზვერვის მაიორი მედვედევი წამოეწია. ბელორუსიის განთავისუფლებისათვის მებრძოლი ერთ-ერთი პოლკის მეთაურმა, პოლკოვნიკმა ლიაშენკომ ის თავის კარავში მიიწვია დასასვენებლად, თვითონ კი სალაშქროდ აყრილი ქვეგანაყოფების დასათვალიერებლად წავიდა.

მედვედევმა წაძინება დააპირა, მაგრამ მოახსენეს, იაბლონკას მცხოვრები ითხოვს მიღებასო, სოფელში დეზერტირი აღმოუჩენიათო.

მოხუცს რომ მოუსმინა, მედვედევი მაშინვე წაჯდა ლიაშენკოს „ვილისში", ორი ჯარისკაცი გაიყოლა და იაბლონკას მიაშურა. მან შორიდანვე დაინახა „ასალი" სახლი. მართალია, სახლებს შორის ის სახლად არც ჩაითვლებოდა, მაგრამ დამწვარ-დანგრეულ სოფელში ის ერთადერთი იყო, და ახლადაშენებული. „შეხეთ ერთი, მამალიც კი ასკუპია სახურავზე! ჯადოსნური ძალით ხომ არ გაჩნდებოდა ეს მამლიანი სახლი? გერმანელები გუშინ-გუშინწინ გააძევეს აქედან. გამოდის, რომ მშენებლობა გესტაპოს ბატონობისას დაწყებულა. გამოდის, რომ როგაჩოვი მიამიტი მოხუცი ყოფილა, ის ვიღაცა — უბრალო დეზერტირი არ უნდა იყოს..." — იძლიერებდა ეჭვებს მედვედევი.

ბავშვები ჟრიამულით გამოქანდნენ სახლთან გაჩერებულ მანქანისკენ. აქა-იქ ნანგრევებში მოფუსფუსე ქალებმაც მიანებეს საქმეს თავი და გზაზე გამოვიდნენ. ზემდეგმა დაინანა, რომ ქუდი და ქამარი ხელთ არა ჰქონდა, ტანისამოსი შემოიბერტყა და კიბესთან დადგა.

მანქანიდან მაიორი გადმოხტა, სრულიად ჩვეულებრივი მაიორი. თავით ფესამდე გაკრიალებული, ხმელ-ხმელი, სამკერდე ნიშნებით შემკული კაცი. სახეც ჩვეულებრივი, საკმაოდ ლამაზი ჰქონადა, ოღონდ სალესავი ქვასავით ბრტყელი და უგრძნობელი შუბლი არ უსდებოდა. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი ოფიცერი იყო, მაგრამ მანქანიდან რომ გადმოხტა, რევოლვერზე წაივლო ხელი და აშკარა უნდობლობით მიიხედ-მოიხედა. ალბათ ამის გამო იყო, რომ მისკენ წამოსული დიდი და პატარა უცებ ჩაჩუმებული შერჩა ადგილს.

— ვინ ხარ შენ? — უხეშად ჰკითხა მან კიბესთან მდგომ უქუდო და უქამრო კაცს.

— ზემდეგი ალექსი რჩეულიშვილი.

— სამხრეები გადაგიყრია და აღარც წესდება გახსოვს? — უყვირა მაიორმა.

„მოგხვდა, ზემდეგო? ყველა კი არ გაპატიებს უდისციპლინობას, ყველა ოლეგ ნეჩაევი ხომ არ გგონია?!" — უთხრა თავის თავს ზემდეგმა და ვერ შენიშნა, რომ ნეჩაევის გახსენებაზე, გაელიმა.

„უყურეთ, იღიმება კიდევაც! — აღშფოთდა გუნებაში მედვედევი, — ეტყობა, მაგარი ზურგის იმედი აქვს, და ეტყობა, ძნელად გასატეხი არამზადაა!" — შემიძეხი ოთახში! — ბრძანა მან.

ალექსის ეჩოთირა მისი უტიფარი მიმართვა, მაგრამ კარგად ხედავდა, ამ კაცისაგან უარესიც იყო მოსალოდნელი და უხერხული მდგომარეობიდან რომ ეხსნა თავისი თავიც და მაიორიც, სწრაფად აიარა კიბე.

მაიორი ფეხდაფეხ მიჰყვა, უნდობლად შეათვალიერა თითქმის ცარიელი ოთახი და ზემდეგის პირისპირ ისე ახლო დადგა, რომ ორივემ იგრძნო ერთმანეთის სუნთქვა.

— საბუთები მაჩვენე! — უბრძანა მაიორმა.

„რა საბუთები უნდა ვაჩვენო? ერთი საველე წიგნაკია და ისიც ნეჩაევმა დაიტოვა", — გაივლო გულში ზემდეგმა და, ვიდრე ის ხმას ამოიღებდა, ისევ მაიორმა უყვირა:

— გადაყარე, ცხადია! აბა ერთი მითხარი, სად და როდის დაამთავრე ომი?

„აი თურმე რა მოსჩვენებია ამ დამთხვეულს!" — გაიფიქრა ზემდეგმა, ნაბიჯით უკან დაიხია და კბილები ისე დააჭირა ერთმანეთს, რომ ქვედაყბა თეთრ ზოლად დააჩნდა.

— ხმა ამოიღე, სად მსახურობდი? რომელ ნაწილში?

— ვმსახურობ მაიორ ნეჩაევის ბატალიონში, ამხანაგო მაიორო. — დინჯად მიუგო ზემდეგმა და ვერ მიხვდა, უცებ რამ გააგიჟა მაიორი.

— ნეჩაევის? — მოსხლეტილი ზამბარასავით შეხტა იგი, — „ეს ჯაშუში დაღუპავს ნეჩაევის ოპერაციას!" — გაუელვა თავში და შეშფოთებამ მაჯისცემა აუჩქარა. — შენ იცი, ახლა სად არის ნეჩაევის ბატალიონი?

„მე კი მივაგნებ და შენ თავში ქვა გიხლია“, — გაივლო გულში ზემდეგმა.

— რას გაჩუმებულხარ? გეკითხებიან, იცი, სად არის ახლა ის ბატალიონი?

— მე მოვძებნი ჩვენებს, ამხანაგო მაიორო.

— ვის „ჩვენებს“, ვის? როგორ ბედავ შენ „ჩვენები“ უწოდო იმათ, ვინც სამშობლოსათვის თავს სწირავს, როგორ ბედავ? — ხმ. აეჭრა მაიორს, აზრები ტაშ-ფანდურივით აუხმაურდნენ თავში.

„შლეგიანია, უხეშია, მაგრამ ამაში კი მართალია. ისინი იბრძვიან და მე აქ დასვენება მოვიწყე. ეხლავე მოვტრიალდები და წავალ, მაგრამ ეს გადარეული არ გამიშვებს, საბუთებიო. უნდა მოვითმინო, დაანთხევს თავის სიბილწეს და ცოტა დამშვიდდება, მაშინ ზოგ რამეს ავუხსნი და თავს დამანებებს“, — გადაწყვიტა გულში ზემდეგმა, მაგრამ...

— მუნჯობანას თამაში გადაწყვიტე? — აყვირდა ისევ მაიორი, არაფერია, ეგ გაცვეთილი ოინბაზობა არ გამოგადგება, ამოგადგმევინებ ენას, ყველაფერს იტყვი, დაფქვავ, აქ როგორ გაჩნდი, საიდან, რა დაგავალეს იმ ნამდვილმა „შენიანებმა“, როგორ უკავშირდები მათ, ვინ გეხმარება, ყველაფერს დაგაფქვევინებ!

ეს კი მეტისმეტი იყო! თავზარდაცემულმა ზემდეგმა უნებურად წაიწია მაიორზე, მაგრამ მყისვე დაუჭირა სადავე თავის გრძნობებს და ისე გაიჭიმა, თითქოს გაქვავდაო.

მედვედევმა ხელი წაატანა რევოლვერს. ახლა ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კარგად დაგეშილ, საშიშ ჯაშუშს წააწყდა და მზად იყო ადგილზევე გაექრო იგი, მაგრამ ისიც ისაზრა, რომ ეს გამოუსწორებელი შეცდომა იქნებოდა. ამ ჯაშუშის ჩვენება მას, არასამწყობრო სამსასურის მაიორს საშუალებას მისცემდა ნეჩაევის მებრძოლი ბატალიონისათვის აეცილებინა საშინელი საფრთხე. ამისათვის ჯეროვანი დაკითხვა იყო საჭირო, აქ კი არა, ამდენი ხალხის თვალწინ, ის სასწრაფოდ უნდა წაეყვანა აქედან... და ამიტომ ჩქარობდა მაიორი, ცხარობდა, ასპიტდებოდა, კითხვებს ზედიზედ აყრიდა და პასუხს არ უცდიდა. ის ვერ ხედავდა თავის თავს, ველარ გრძნობდა, რომ მისი შეუსაბამო ამჩატება აბათილებდა მისი შეკითხვების სიმწვავეს და ამშვიდებდა ზემდეგს.

„რა უბედურებამ შემყარა ამ ცერცეტს? როგორ დავაღწიო თავი? ეგებ მაცალოს შტაბში მისვლა. იქ გაიგოს, რაც საჭიროა, სუ-

ლერთია ამ დამთხვეულს მე ვერაფერს შევასმენ..." — ფიქრობდა, ალექსი გამოსავალს ეძებდა, ცდილობდა ღელვა არ დასტყობოდა.

„ო, რა კარგად გაწრთვნილ არამზადას შევხვდი! — გულზე სკდებოდა მედვედევი. — ისე დგას, თითქოს ღალატისათვის ჯილდოს მიართმევენო. მაცალე, დაგაფქვევინებ ყველაფერს! ხუთიოდე წუთსაც დავკარგავ, ეგებ აქაც სასარგებლო რამ შევიტყო", — გადაწყვიტა და ზემდეგს ოთახში დარჩენა უბრძანა, კარზე თან მოყვანილი ჯარისკაცები დაუყენა ყარაულად და თვითონ კიბე ჩაიარა, შორიახლო მდუმარედ მდგომ ქალებს მიმართა:

— რომელია თქვენში ამ სახლის პატრონი?

— პატრონები აქ არ არიან.

„ალბათ ამათი მოტყუება, მოსყიდვა ან დაშინება მოასწრო იმ არამზადამ", — გაიფიქრა, მედვედევმა და მკაცრად იყვირა:

— როგორ თუ არ არიან? მაშ ეს სახლი უპატრონოა?

კაცი პარტიზანებშია, დიასახლისი მეზობელ სოფელში წავიდა, — უხალისოდ უპასუხეს აქეთ-იქიდან.

— არც ნათესავია, არც მეზობელი?

— იმაი აი, ეს ბავშვია...

— ესა? ბიჭუნა მოდი ჩემთან. თქვენ კი, მოქალაქენო, მიხედეთ თქვენ საქმეს, თუ დამჭირდებით, დაგიძახებთ.

მედვედევმა ბავშვი მერხზე დასვა, თვითონაც ეკერდით მიუჯდა და გამოკითხვა დაუწყო.

სერიოგა იჯდა, ჩხირებივით გაწვრილებულ ფეხებს ჰაერში აქანქარებდა, ერთიანად დაძაბულს, შეჭმუხნული შუბლი ოფლმა დაუნამა. ის ცდილობდა ყველაფერი თანმიმდევრულად გახსენებოდა, ჩქარა ეამბნა ყველაფერი, რომ უცნობი ბრაზიანი კაცი მალე წასულიყო მათი სოფლიდან.

— ძია ალექსი მოვიდა, ჩანთით გემრიელი საჭმელი მოგვიტანა, შეეშალა და მე სანდრა დამიძახა, მერე ტახტი გამიკეთა, ზედ დამაწვინა, თითქოს ღუმელის კეთილი დაიწყო. თანაც როგაჩოვების სახლის ნანგრევებში გზა გათხარა, დედამ იმათი სარდაფიდან წიწიბურას და ქერის ბურღული მოიტანა და მე ქაში გამიკეთა...

სერიოგამ ნეკი ჩაკეცა, ცოტა იფიქრა და მერე განაგრძო:

— დედამ ახალ ღუმელზე წყალი გაადინა და მაბანავა, ქვიშით მხეხავდა, მე კი არ ვიტირე, ძია ალექსის ეგონებოდა, მტირალა ბიჭი ვარ და მე არა ვარ მტირალა. მერე ძია ალექსი კედლებს აშენებ-

და, დედა აგურებს აწვდიდა და კედლები ჩქარა-ჩქარა იზრდებოდნენ, მე ტახტზე ვიწექი, ვიცინოდი და მერე ჩამეძინა...

სერიოგამ ახლა უსახელო თითი ჩაკეცა, დაისვენა და კვლავ განაგრძო:

— დედამ გამაღვიძა, ჩქარა ნახე, ჩვენმა სახლმა სახურავი დაიხურაო და მე რო ვნახე სახურავი, სიხარულით ვხტოდი და მერე ვთქვი, რო წინათ ჩვენ სახურავზე ლამაზი ყიყლიყო იჯდა და კუღს აქეთ-იქით იქნევდა. ძია ალექსიმ მითხრა, ის ყიყლიყო მალე ისევ მოფრინდებაო, და მერე ეს მერხი გააკეთა, მე ზედ დამსვა და მიამბო, აქედან ძალიან-ძალიან შორს ერთი პატარა ბიჭი ცხოვრობსო და იმასაც სწორეთ ესეთი მერხი აქვსო, თავის მამასთან ერთად ჯღეება მერხზე და მზის ამოსვლას უცდისო. ძალიან სარგი ზღაპარი იყო და მე როცა დავიძინე, ის ბიჭი მოვიდა ჩემთან...

სერიოგამ შუა თითიც ჩაკეცა და ამბის მოყოლა უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ „ბრაზიანმა კაცმა“ მკაცრად უთხრა:

— ზღაპრები შენ ტოლ-ამხანაგებს უამბე, მე ის ითხარი, მერე რას აკეთებდა შენი ძია ალექსი.

სერიოგამ თავისი სამი ჩაკეცილი თითი მაგრად ჩაიჭირა მეორე ხელით და აჩქარებით განაგრძო:

— დილით რო გამეღვიძა, ჩვენ ფანჯარაში მზე იყო და კარიც ლამაზად ჭრიალებდა და ყველაზე ძალიან ის გამიხარდა, რო ღამე ყიყლიყო მოფრინდა ჩვენ სახურავზე, მერე კიდე როგაჩოვების ბაბუა ლუკიანე მოვიდა, ჩვენი სახლი დაიარა და დედაჩემს ცუდი სიტყვა უთხრა ძია ალექსიზე...

— რა სიტყვა უთხრა, არ გახსოვს?

— მახსოვს... — ჩუმად მიუგო სერიოგამ და ცრემლი დაუგორდა ლოყაზე. — ეგ დეზერტირი აქ საიდან გაჩნდაო...

— დედამ რა უთხრა?

— შენ ავი კაცი ხარ და იმიტო ეჯავრები მთელ სოფელსო, იმიტო ბრაზობ რო მე ოთახი ამიშენაო და მე რო შენი დამალული წიწიბურა და ქერის ბურღული ავიღე ცოტა და სერიოგასთვის ფაფა გავაკეთეო და შენ ყველაზე ცუდის თქმა გიყვარსო...

— მერე, მერე? — დააჩქარა მაიორმა.

— ლუკიანე გაბრაზებული წავიდა, ყვიროდა და თავის სარდაფს ნახვრეტები ისევ მიაყარა და მე ძია ალექსის უთხარი, რომ ლუკიანე ავი ბებრუსანაა და იმას სახლი არ გაუკეთოს და ძია ალექსიმ თქვა,

სხვა სახლს ვეღარ გავაკეთებ, დრო აღარა მაქ, უნდა წავიდეო...

— სად უნდა წავიდეო?

— არ ვიცი...

— კიდევ რა გითხრა შენმა ძია ალექსიმ?

— შენ უფროსებზე არ უნდა თქვა ავი ბებრუხანაო, ძია ალექსიმ ხო არ იცოდა, რომ უფროსები ყველანიც ლუკიანეზე ავი ბებრუხანას იძახიან და მერე ამ დროს სუყველანი ჩვენი სოფლელები მოვიდნენ ფაშისტებს რომ ემალებოდნენ და ვასიუკიც, ნატაშკაც, გლებაც, სხვა ჩემი ტოლებიც მოცვივდნენ და სუყველანი ჩვენ სახში მოვიდნენ, სინჯავდნენ და ძია ალექსის ხელს ართმევდნენ და მერე ქალებმა ჩვენ ბუხარზე სადილი გააკეთეს და როცა ისადილეს, ყველანი უფროსები თავის დანგრეულ სახში წავიდნენ, რო ემუშავათ და ბავშვები კი ჩვენსა დარჩნენ და მერე ყველამ ერთად დავიძინეთ ჩვენ სახლში...

სერიოგამ საჩვენებელი თითიც ჩაკეცა და გაჩუმდა, თავი ჩაღუნა.

მედვედევმა თითით აუწია ნიკაპი და დაჟინებით ჩაჰკითხა:

— სად უნდა წავიდეო, დედაშენს არ უთხრა ძია ალექსიმ?

— არა...

— შეხეთ, ეს ლეკვიც როგორ გაუწვრთნია იმ ნაძირალას! — წაიბურღღუნა მედვედევმა და თითი შარვლის ტოტზე გაიწმინდა. — ჰო, თქვი, მერე რა მოხდა?

— დილას რომ გავიღვიძე, დედა შინ არ იყო და ძია ალექსიმ თქვა, დედა მალე მოვაო, საჩუქარს მოგიტანსო და ჩვენ კი მანამდე მიწა დავბაროთო და მამაშენი რო დაბრუნდება, ვაშლის ხეებს დაგირგავსო, თქვენ სოფელს ხო იაბლონკა ჰქვიაო და სუყველამაც ვაშლის ხე უნდა დარგასო და ჩემი ამხანაგებიც და ყველანიც ვბარავდით და მერე ნატაშკამ დაიყვირა, ვილისი მოდისო და ჩვენ სუყველანი გზისკენ გამოვიქეცით და...

სერიოგა ცრემლებს ვეღარ იკავებდა. ოთხი თითი მაგრად ჰქონდა ჩაკეცილი, მეხუთეს კი — კეცავდა და ისევ შლიდა, ეს მეხუთე დღე მას დამთავრებულად არ მიაჩნდა. ოდნავ გასაგონად განაგრძო:

— და თქვენ მოხვედით, დედაჩემი კი არ მოვიდა. რატო არ მოვიდა დედაჩემი? სად არი, აბა სად არი დედაჩემი?

— თუთიყუშივით ნუ აიტეხე, სად არიო. სად არი და, ალბათ, ძია ალექსიმ გაგზავნა „საქმეზე", დიდი ბიჭი ხარ, უნდა გესმოდეს!

სერიოგა ატირდა. ის ხომ ცდილობდა ყველაფერი ეთქვა, რაც

იცოდა, ცდილობდა, ეს კაცი არ გასწყრომოდა, მაგრამ ის ჯავრობდა. სერიოგამ არ იცოდა, რომ ის გაუგებარი, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, სწორედ იმიტომ ხდებოდა, რომ მისი სათვალავი სწორი იყო, მაგრამ მედვედევი არ იჯერებდა. ატირებულ სერიოგას ოთხი თითი ისევ მაგრად ჰქონდა ჩაკეცილი, მეხუთეს კი კეცავდა და ისევ შლიდა:

— სად არი? აბა სად არი დედაჩემი? — იმეორებდა და ღაპაღუპით წამოსულ ცრემლებს სახელოთი იმშრალებდა.

— მორჩი ტირილს! — მკაცრად უთხრა მედვედევმა და წამოდგა. გადაწყვიტა, დროს დაკარგვა აღარ ღირსო და შეტრიალდა, ყარაულებისთვის უნდა ებრძანებინა, ტუსაღი გამოიყვანეთო, მაგრამ სად იყო სად არა, სახლს მანქანა მოადგა.

მედვედევმა მოსული რომ იცნო, გულში მაგრად შეუკურთხა და თავაზიანად შეეგება საჭესთან მჯდომ პოლკოვნიკ ლიამენკოს:

— მაპატიეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მე იძულებული ვიყავი მესარგებლა თქვენი მანქანით, დრო აღარ იყო თქვენგან ნებართვის მიღების, სასწრაფო საქმე გამოხტა, დაყოვნება არ შეიძლებოდა.

— მე მანქანა კი არ მაინტერესებდა, პოლკი დაიძრა და თქვენ რომ არ გამოჩნდით, შევფიქრიანდი...

— ამხანაგო პოლკოვნიკო! — იჭექა ამ დროს ოთახიდან ვიღაცის ხმამ და ლიამენკომ სიტყვა ველარ დაამთავრა. გადმოხტა მანქანიდან და წამში დასძლია სამსაფეხურიანი კიბე. ორი ყარაულის გადაჯვარედინებული ავტომატების მიღმა საოცარი კაცი დაინახა. ჯარისკაცის გიმნასტურა ეცვა, უქამრო, უქუდო, უიარაღო იყო. შეკავებული რისხვისაგან გაფითრებული სახის ნაკვთები ქვისგან გამოთლილივით ჰქონდა, კიდევ მომდგარი თვალებიდან თითქოს ნაპერწკლები სცვიოდა.

— რა მოხდა? — ჰკითხა პოლკოვნიკმა და იგრძნო, თავისდღეში ვერ დაივიწყებდა ამ კაცის სახეს.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ გთხოვთ, უბრძანოთ მაიორს, ბავშვს თავი დაანებოს, ნუ აწვალებს!

ლიამენკომ ძლივს მოსწყვიტა მზერა იმ უცნაურ კაცს და შემოტრიალდა. მოსვლისას არ შეუნიშნავს ის, რაც ახლა უსიამოდ მოხვდა თვალში: შუბლშეკრული, მდუმარედ მდგომი ქალების ჯგუფი, მათ კალთებს ამოფარებული ბავშვები, მაიორის აჭარხლება, და ბოლოს — მერხზე ჩამომჯდარი ბიჭი...

მან კიბე ჩამოიარა და მერხთან მივიდა. შიშისგან თვალებგაფარ-

თოებული ბავშვის დანაოჭებულ სახეს ნაცრისფერი ედო და სიგამხდრისაგან გაწვრილებულ კისერზე აჩქარებით უფეთქავდნენ მოცისფრო ძარღვები. პოლკოვნიკმა ჯერ არაფერი იცოდა, მაგრამ ოთახის ზღურბლზე დანახული კაცის რისხვა უცებვე და მთლიანად გაიზიარა.

— ბიჭი, გაიქეცი ამხანაგებთან, წადი, ითამაშე, — უთხრა მან სერიოგას და ბავშვს თვალი ვერ გაუსწორა.

სერიოგა ადგა. ზურგუკუღმა ნელა წავიდა სოფლელებისაკენ. წინ იყურებოდა, ოთახისკენ, რომელშიც ალექსი ეგულებოდა.

— გამაგებინეთ, რა მოხდა? — ახლა მაიორს შეეკითხა ლიაშენკო.

— ზოგიერთი მომენტის გარკვევა მინდოდა, მეტი არაფერი, — უარესად აუწითლდა სახე მედვედევს.

ისინი ჯერ მშვიდად და ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, მერე თანდათან გაცხარდნენ და ხმას აუწიეს.

— რასაც თქვენ ამბობთ, მაიორო, მაგას ჯერ დადგენა სჭირია, საიდანა გაქვთ ეგ ცნობები?

— ამ სოფლის მცხოვრებლებმა მომახსენეს.

— მაგ ცნობებს დაზუსტება სჭირდება-მეთქი.

— ის არც მალავს, რომ დეზერტირია, საბუთებიც გადაუყრია...

— კარგით ერთი! ჯარისკაცს რა საბუთები უნდა ჰქონოდა? თვითონ გითხრა, გადაუყარეო?

— წინასწარი დაკითხვიდან გამოირკვა და საქმის ვითარებაც ადასტურებს.

— თქვენი დასკვნები ნაჩქარევი რომ გამოდგეს?

— რაც თქვენ ნაჩქარევად მიგაჩნიათ, ეგ ოპერატიულობა გახლავთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, ეგ ჩვენი მუშაობის სპეციფიკაა!

— მე მაგ სპეციფიკაში ვერ ვერკვევი, თუ ნამდვილად ასეა, როგორც თქვენ ფიქრობთ, მაგას შტაბში გაარკვევენ, დაუშვებელია, რომ თქვენ ერთპიროვნულად აწარმოოთ დაკითხვა!

— იღბლიანი ჰყოფილხარ, ძმაო, — წასჩურჩულა ზემდეგს ერთმა ყარაულმა.

— ჩვენი პოლკოვნიკი დინჯი და სამართლიანი კაცია, — დაუმატა მეორემ.

რით დამთავრდებოდა მისთვის ეს ამბავი, პოლკოვნიკი რომ არ შესწრებოდა. — ამაზე ფიქრს ალექსიმ წაუყრუა. გულზე ცოტა რომ მოეშვა, განცდილმა დაძაბულობამ მაშინ მოჰკვეთა მუხლი. ტახტ-

ზე დაეშვა და სახე სელებში ჩამალა. არც გაუგია, პოლკოვნიკმა ყარაულები რომ მოხსნა და ოთახში შემოვიდა.

— მაინც რამ გამოიწვია ეს ამბავი? — მოესმა მას შეკითხვა და სწრაფად წამოდგა ზეზე.

— მაპატიეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მე ყველაფრის ახსნა არ შეშიძლია. ნაბრძანები მქონდა, დავალების შესრულების შემდეგ დივიზიის შტაბში დამეცადა. ამ სოფელში გზამ მომიყვანა.

— კეთილი, არაფერს შეგეკითხებით, მხოლოდ მითხარით, ეს სახლი მართლა ხუთ დღეში ააშენეთ?

სასაცილო იყო: ზემდეგი ბავშვივით გაწითლდა.

— არა, მთვარიანი ღამეები იყო, დღესავით ნათელი. საძირკველი ეზად იყო და კედლების აღდგენა რა დიდი საქმე იყო?!

— აბოლ... რა დიდი საქმე იყო... — გაბმით გაიმეორა პოლკოვნიკმა და კვლავ იგრძნო, რომ ვერასოდეს დაივიწყებდა ახლა სიხარულით განათებულ ამ კაცის სახეს. — კეთილი, — განაგრძო მან მცირე დუმილის შემდეგ, — მაგრამ რაკი მდგომარეობა ასე დაიხლართა, საჭიროა ამ გაუგებრობის გარკვევა, არა?

— რა თქმა უნდა, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— მაიორის ეჭვს ჰქონდა საფუძველი, არა? როგორ გგონიათ, ამხანაგო ზემდეგო?

— შეიძლება... მე დავაშავე, ამგვარი შეხვედრა რომ ვერ გავითვალისწინე, მაგრამ... ცუდია, როცა ძალაუფლება ალკოჰოლივით უბრუებს კაცს ტვინს.

— მართალი ხართ, მაგრამ ამგვარი სიმართლის აღიარებას არ გირჩევთ, არა ღირს... — შეგონებით, თითქმის თხოვნით უთხრა ლიაშენკომ. — წავიდეთ!

ზემდეგმა სწრაფად მოირგო თავისი პილოტურა და ქამარი, განჯინიდან ავტომატი და ცარიელი ზურგჩანთა აიღო და პოლკოვნიკს მიჰყვა. გარეთ თვალით მოძებნა სერიოგა, თავს ძალა დაატანა და მსიარულად დაუძახა:

— მშვიდობით, სერიოგა! საცაა დედა მოვა, მოკითხვა გადაეცი, მე სამსახურში მივალ, მშვიდობით!

ლიაშენკო საჭეს მიუჯდა და ზემდეგიც თავის მანქანაში მიიწვია.

აპრიალებული ჩალასავით ჩამქრალი მედვედევი მეორე მანქანაში ჯდებოდა, შურდულივით გამოქანებული სერიოგა რომ მიეჭრა, სირბილით და აღელვებით გულამოვარდნილმა მიაძახა:

— ცუდო! ცუდო! ბოროტო! შავო სალამანდრავ!..

— შავი სალამანდრაც არსებობს? — ვითომ გაიღიმა ყბამოყურეცილმა მედვედევმა და მანქანის კარი მიიჯახუნა.

ლიაშენკოს ნერვიულობისგან ცალი წარბი აუთამაშდა. მან ადგილიდანვე გააქრო მანქანა და მტვრის კორიანტელში გაუჩინარდა.

სერიოგას ყვირილი ისტერიულ ტირილში გადავიდა. ბავშვი გალურჯდა, გადაფიჩინდა. შეშფოთებული ქალები ვიშვიშით და ალერსით ეხვეოდნენ, ცდილობდნენ მის დამშვიდებას და აურზაურში ვერ შენიშნეს შინ მიმავალი მარია.

მარიამ სახლთან თავმოყრილი მეზობლები რომ დაინახა და მერე შვილის ტირილიც გაიგონა, ზურგზე მოკიდებული ტომარა დააგდო, აკეცილ წინსაფარს ხელი უშვა, მიწაზე დაგორებულ ვაშლებს გადმოევლო, ქალები მიყარ-მოყარა და შვილი აიტაცა.

— სერგეი, სერიოგა, გადმომხედე, შვილიკო, მე ვარ, დედაშენი ვარ, გადმომხედე, მტრედო!

ბავშვს დედის ხმა ჩაესმა, ტირილი თანდათან დაანელა, სუნთქვაც ნელ-ნელა დაუმშვიდდა, ხელ-ფეხის კანკალიც შეუწყდა. ფერწასულმა მარიამ მეზობლები შეათვალიერა და წყრომით იკითხა:

— რას გაჩუმებულხართ, რა იყო, რა მოხდა?

— არაფერიც არ მოხდა, ზემდეგს გაეტირა...

— ზემდეგს? წავიდა ზემდეგი? თითონ გამგზავნა და აღარ დამიცადა? ეს როგორ? სად წავიდა?

— არაფერი ვიცით, მარია, წაიყვანეს, მანქანით წაიყვანეს! ჯერ მაიორი მოვიდა, მერე პოლკოვნიკი! ერთად წავიდნენ!

— რა ბატებივით ყაყანებთ, ვერ გამაგებინებთ, რა მოხდა?

— დაწყნარდი, ქალო, აბა რა ვიცით, რა მოხდა? მაიორი მოვიდა, ჩვენ არაფერი გვკითხა, ეშმაკმა იცის, საიდან მოეჩვენა, აქ დეზერტირიაო და...

მარიამ აღარ დაამთავრებინა ქალს სიტყვა, ბავშვი მეზობელს გადაუწვინა კალთაში, მერხიდან წამოიჭრა, ჯგუფად მდგომი სოფლელები შეათვალიერა და თავჩაქინდრული ლუკიანე როგაჩოვი დაინახა. მარია წამს ენაწართმეულივით იდგა, მერე მიწაზე გაშლილი ვაშლები წამოკრიფა და მთელი ძალ-ღონით დაუშინა ლუკიანეს.

— აჰა, საზიზღარო! გველო! ბილწო! შენ მოჩმახე! შეგშურდა ჩე-

მი ჭერი! დაგენანა შენი დაჭიანებული წიწიბურა! ვითომ შენც კაცი ხარ! ქეციანო ქოფაკო! აპა შენ, აპა!..

თავპირდაბეგვილი ბერიკაცი ძლივს გააცალეს გაასპიტებულ ქალს. მარიამ ლუკიანეს გზას მიაფურთხა და არაქათგამოლეული დაემვა მერხზე, მოთქმით შესტირა მეზობლებს:

— თავი მომჭრა მაგ ქოფაკმა, ვაი, სირცხვილო, რაღა ვქნა, ქალებო, რას იფიქრებს ის ღვთისნიერი კაცი ჩვენზე? ხვალ მივდივარო, და შემეხვეწა, ოცი ლოყაწითელი ვაშლი მიშოვნეო... ხუთი დღეღამე მუხლი არ ჩაუხრია, ისე მუშაობდა, გეგონება, რაც ფაშისტმა უსახლკარო ბავშვი დატოვა, ეს ჭერი ყველას უნდა გასწვდესო! გვარიც არ ვიცი, სად მოვიკითხო, როგორ ვიკითხო, ზემდეგი ვარ, ალექსეი მქვიანო, მეტი არა ვიცი რა!.. ვაი შენ, ჩემო თავო, ამ ვაშლებით სერიოგას გახარება უნდოდა, არ გაიხაროს ლუკიანე-ქოფაკმა! ის კაცი რას იფიქრებს ჩვენზე, რას? ვაი სირცხვილო...

ბატალიონისა და პარტიზანთა რაზმის მარწუხებში მომწყვდეული მტრისეული მოტომექანიზებული პოლკის ლიკვიდაცია დასასრულს უახლოვდებოდა, ნეჩაევის საფართან ნაღმი რომ გასკდა. იოლად გადარჩა ბატალიონის მეთაური, კონტუზია და კუნთების ზედაპირული ჭრილობები აღმოაჩნდა. განთავისუფლებული ბრესტის ერთ-ერთ ჰოსპიტალში იწვა და ფიზიკურ ტკივილებზე მეტად მწარე ფიქრი სტანჯავდა: ზემდეგი დივიზიის შტაბში არ მისულა, იქ არაფერი იციან მის შესახებო... გუშინ ნეჩაევს თავი ისე უბრუოდა, რომ ხეირიანად ვერ ერკვეოდა დივიზიის მეთაურის ნათქვამში. ახლა აგონდებოდა: „უმნიშვნელო დანაკარგის ფასადო... გილოცავთ წარმატებასო... ბრწყინვალედ შესრულებული ოპერაციაო...“

— „უმნიშვნელო დანაკარგის“ ფასად მიღებულ წარმატებას მილოცავდა... მართლაც საჭირო ა ხანდახან ექიმებს დაუჯერო—მშვიდად და გაუნძრევლად იწვე, თორემ ბალიში გავარვარებულ ნაკვერჩხლებად იქცევა, მწარე ტკივილი თვალს გიბნელებს და გონებასაც... ნუთუ ალექსიც, „უმნიშვნელო დანაკარგში“ ჩაირიცხა?.. იმ გაუვალ გზას გააწია, მეკავშირეს შეხვდა, მერე რაღა დაემართა? „უმნიშვნელო დანაკარგი...“ ასეა, ამხანაგო ნეჩაევ, მტრის მოსასპობად მეგობარიც არ დაინდო—ეს არი სამამულო ომი. არ არსებობდეს მსხვერპლი

რომელსაც ვერ გაიღებ — ეს არი სამამულო ომი. ყურს ლახვარივით რაღად ხვდება ეს „უმნიშვნელო დანაკარგი"? ეს ხომ ომის ერთ-ერთი პირობითობაა, აქამდე ვერ მიეჩვიე? ვერა, ვერ მივეჩვიე. შესაძლებელია ალექსი დაიღუპა, მეც დავიღუპო, მაგრამ მე არ მინდა, ამას „უმნიშვნელო დანაკარგი" ერქვას. იმიტომ რომ, ასე არ არის, ეგ სწორე არ არის. ადამიანთან ერთად იღუპება მთელი სამყარო, მას რომ თან მოაქვს თავისი დაბადებით, დიახ, მთელი სამყარო, იმაზე უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, ცაზე ლამაზ ვარსკვლავებად რომ გვეჩვენებიან... სულელი ხარ, ოლეგ ნეჩაევ, შენ გნებავს, რომ ცივილიზებულმა ხალხმა შეიგნოს, რომ ადამიანის ნაძალადევი სიკვდილი, სამყაროს კატასტროფაზე დიდია და არ შეიძლება მას „უმნიშვნელო დანაკარგი" ერქვას... პირველთავად მომეჩვენა, რომ უშნოა და ძალზე ღრმად ჩამჯდარი თვალები აქვს. მერე მივხვდი, ღრმად ჩამჯდარი კი არა, ჩასაფრებული თვალები აქვს. სიბოროტეს, უსვინდისობას რომ დაინახავენ, უცებვე ანთებული გამოხტებიან საფარიდან. და ეს ძალზე ლამაზია... ირმისში წერილის მიწერა დამევალა? არაფერიც. მე არა მჯერა, რომ ის ცუდი მეგობარია, რომ ირმისში წერილს მიმაწერინებს... მერე რა, შტაბში რომ არ მისულა? თავის დასვენებას ადამიანი ისე იყენებს, როგორც მოეპრიანება. იქნება ის სადმე განცხრომაშია, შტაბზე მიმზიდველ ადგილას ლაღობს, ჩვენ კი აქ გლოვა გავმართეთ... სამხრეებიც მოვახსნევინე, საველე წიგნაკიც ჩამოვართვი, ამ ორომტრიალში მიწას ვინ მიაყრიდა უცნობ, უსახელო კაცს?.. ნეტა ვიცოდე, რით შეაყვარა თავი იმ ლიოშკა ბოგუჩაროვს? პარტიზანები ჩიოდნენ, ყურები გამოგვიჭედაო ზემდეგზე ლაპარაკით, ომი რომ დამთავრდება, ირმისში წავალო... ჰო, ლიოშკა, წავალთ ირმისში, რა თქმა უნდა, წავალთ. წავალთ?.."

დერეფანში ატეხილმა ხმაურმა გაუწყვიტა ფიქრი. არავის ნახვა არ უნდოდა, საბანი წაიხურა და თავი მოიმძინარა.

პალატის კარი ყურთამდე გაიღო. ამ გონჯაურას ომმა მართლაც ვერ შეაჩვია სამხედრო წესს! რის დისციპლინა, რა სუბორდინაცია, დისტანცია, ექიმების გაფრთხლება — ჯანდაბას, ჯანდაბას ყველაფერი! თავნება ზემდეგმა პალატაში შეალაჯა, საწოლთან გაჩნდა, დაიხარა და თავის ტოპოჩა ხელებში მოიქცია საბნის ზემოთ დარჩენილი, ნეჩაევის ფერმკრთალი, ნაიარევი ხელები...

არც ზემდეგს და არც ნეჩაევს არ გაუგია, როდის და ვინ მიხუ-
რა პალატის კარი.

კარიდან გაბრუნებული ოფიცრები ქუჩაში რომ გავიდნენ, პოლ-
კოვნიკი ლიაშენკო მაშინ მიუბრუნდა მედვედევს:

— ახლა რას იტყვით, ამხანაგო მაიორო?

— ასეც ხდება ხოლმე.

— თქვენ უკმაყოფილო ჩანხართ.

— დიახ. მე მაგ ზემდეგს მაინც დავადებდი სასჯელს.

— მაინც? რისთვის?

— თუნდაც, წესდების სრული იგნორირებისათვის.

— თუ იმისათვის, რომ გაგემართლებინათ თქვენი უნდობლობა
ადამიანისადმი?

— არა, მე უფრო მიზანშეწონილად მიმაჩნია დანაშაულის დასჯა,
ვიდრე დამნაშავესთან ნაუცბათევი დამეგობრება!

მედვედევის თავხედურმა გაკილვამ წონასწორობიდან გამოიყ-
ვანა მთელი ამ ამბით ისედაც აღშფოთებული ლიაშენკო.

— ეს ალბათ გემოვნებას გააჩნია, მაიორო, თქვენ კეთილშობი-
ლება გაკლიათ, მაგაშია საქმე, ეგ აუნაზღაურებელი დეფექტია, გეს-
მით?

— მესმის, ამხანაგო პოლკოვნიკო! — მხედრულად გაიჭიმა მედ-
ვედევი და მერე უტიფრად დაუმატა: — მიიღეთ უმცროსის რჩევაც,
ამხანაგო პოლკოვნიკო. სხვა დროს მილოცვას ნუ აჩქარდებით,
ჯილდოზე წარდგენა, არ ნიშნავს მის მიღებას. დარწმუნებული ვარ,
თქვენი ზემდეგი ჯილდოს ვერ მიეწევა. მაქვს პატივი გამოგეთხო-
ვოთ!

მან მოხდენილად მიიტანა ხელი საფეთქელთან და მკვეთრი მხე-
დრული ნაბიჯით გაეცალა ლიაშენკოს.

ნეჩაევის ბატალიონი ახალ წელს ხვდებოდა: 1945 წელს.

არა ჰქონდა მნიშვნელობა — როგორ ხვდებოდა.

მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ოდერთან იყვნენ. და ზემდე-
გისთვის მნიშვნელობა ჰქონდა, სახელდახელოდ შეკრული ტივებით
როგორ გააღწევდა მისი ასეული (მან შესცვალა დაჭრილი ასმე-
თაური) იმ განიერსა და ღრმას, მტრისეულს, მტრისეული ცეცხლით
აღმუილებულ მდინარეს...

...მერე არა ჰქონდა მნიშვნელობა იანვარ-თებერვლის გაძალიანებულ სუსხს, თოვლ-ყინვას, ნემსებივით მჩხვლეტავ გადაუღებელ წვიმას, ნესტიან, გამჭვალავ ქარს; არც იმას, რომ მიტაცებულ უცხო მიწაზე წლობით გამაგრებულ ფაშისტებთან ბრძოლა სულ უფრო მძაფრი და სისხლისმღვრელი ხდებოდა, რომ გააფთრებულ ხელჩარჯულ ბრძოლებში დახოცილთა გორების დაძლევა უხდებოდათ.

მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ უკან დარჩა ყინულსვლით აჭრელებული ოდერი და ახლოვდებოდა მშვიდობისათვის მებრძოლ მილიონთა ოცნების შესრულება, ახლოვდებოდა იმ საერთო ოცნებას შერთული — თვითეულის საკუთარი ნატვრის შესრულება. და ზემდეგისთვის მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მალე ოლეგ ნეჩაევთან ერთად წავიდოდა ირმისში...

...მერე თითქოს სამყაროს აპოკალიფსური დასასრული დაიწყო, მაგრამ მართლა ასეც რომ ყოფილიყო, არც ამას ჰქონდა მნიშვნელობა.

მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რაც იყო თუ არ იყო, ზმანება იყო, თუ სინამდვილე, რაც სამისდღემშიოდ აღიბეჭდა თვითეული მომსწრესა და მონაწილის მეხსიერებაში: ღამეში უცებ აელვარდა უთვალავი მზე, ცამ დაიგრგვინა, დედამიწა აბორგდა და მტრის განლაგება აზვირთებულ ცეცხლოვან ზღვაში ჩაიძირა. თვალი ვერ უძლებდა ელვარებას, ყურს აღარაფერი ესმოდა, მიწა ფეხქვეშ მიდი-მოდიოდა...

დაიწყო ბერლინის შტურმი...

...არც გაზაფხულის დაგვიანებასღა ჰქონდა მნიშვნელობა.

ბრძოლა იყო რკინაბეტონის და კლდოვან მაღალ ნაპირებში ჩასმულ შპრეესთან, იქ, სადაც მტერს დედაქალაქის დასაცავად მთელი თავისი საბრძოლო მარაგი და ჰიტლერს ფანატიკურად დამორჩილებული ძალები მოეზღვავებინა. ვინ შეამჩნევდა იმ ჯოჯოხეთურ ცეცხლში გახვეული გაზაფხულის წვეთს?!

ბატალიონის მებრძოლთა აღქმა ისე იყო გამახვილებული, თითქოს მათი სხეულის თვითეული ნაკვთი აღჭურვილიყო ცნობიერებით. იმ საოცარ შერკინებაში გაცხრილულ ყველა სხვა ენებებიდან ადამიანებს დარჩათ მხოლოდ წინსწრაფვის სურვილი. წინსწრაფვის იმ გიჟურ აზარტში გონებას მთლიანად დაეთრგუნა ინსტინქტები და

რეფლექსები, მხოლოდ გონიერება უნდა ყოფილიყო ყველა გრძნობათა მძღოლი, სხვანაირად — სასწაულებრივი გმირობაც ურგები თავისწაგება იქნებოდა. ეს ყოველ მებრძოლს ესმოდა. ეს ზემდეგსაც ესმოდა, მაგრამ რაღაც წამს, ალბათ, როცა აღქმის ტევადობა საზღვარს სცილდებოდა, მისი გონება ერთბაშად ეთიშებოდა გარემოს, კარგავდა რეალობის შეგრძნების უნარს, სხეული უწონადო ნაწილაკივით ერთვოდა პირველქმნილ ქაოსად ქცეულ სამყაროს და გაშეშებულივით რჩებოდა მოძრაობის რაღაც წერტილში. ეს მხოლოდ ერთი წამი იქნებოდა, უმოქმედობის მეორე წამს ავბედი არ შეარჩენდა და მოახლოებული კატასტროფის მიჯნაზე, გონების ტყვეობიდან აწყვეტილი ინსტინქტი უყვიროდა: „ჰეი, გონჯაურავ, რა ღმერთი გიწყრება?! და შეყვირება მარადისობაში კარგავდა იმ ავად დადარაჯებულ წამს, რეალობას დაბრუნებული სხეული განაგრძობდა გონებით შეკვეთილ მოქმედებას...

...სძლიეს შპრეეც. ზემდეგმა ბუდის კიდეებს მომდგარი თვალებით ეადათვალა გაღმა ნაპირზე ფეხმოკიდებული ასეული. შუბლი შეეკრა, გული ჩაეწურა, ვერ მიხვდა, ეწყინა, რა ახარხარებდა ყოველ მესამე ამხანაგის დამკარგავ, თავით-ფეხამდე გალუმპულ, შეციებულ, გამჭვარტლულ, დენთისა და შლამის სუნით გაჟღენთილ ბიჭებს.

— უყურე, ასმეთაურო, იქით იყურე! — ჩამავებულ ბანდში გასვეული ხელით აჩვენა სიცილისაგან აცრემლებულმა ტროფიმ ველიჩკომ.

და ზემდეგსაც აუტყდა სიცილი. ისევ დაილოცოს ომის შემთხვევითობა! ამხელად ის გადამეტებით დაძაბული ნერვების მკურნალი გამხდარიყო: სისხლით შეფერილ შპრეეს ზვირთებზე დაგდებულ ფიცარს მშვიდად მოქანავე პატეფონი მოჰქონდა, და ვიღაცა თამამის ხელით ჩართული ფირფიტიდან გადამწვარ ჰაერში იღვრებოდა ტკბილი ტენორის სიყვარულში ჩამწვრის ღაღადისი... უთუოდ, კონტრასტი იყო სასაცილო, სიკვდილის ცხარე სამკალში იდგნენ ბიჭები და ხარხარებდნენ...

სძლიეს ქალაქს შემოვლებული არხიც, გვამთა სიმრავლისაგან წყალს რომ ველარ იტევდა კალაპოტში. მოიერიშე გუნდებად დაყოფილი ბატალიონი, ბერლინის გარეუბნებიდან ცენტრისაკენ წავიდა. თითქოს სიკვდილიც მტერივით იყო უკვე დამარცხებული, თითქოს მას ველარ მიუწვდებოდა ცელი გამარჯვებულ მეომრებამდე, და ის მაინც, მტრებთან ერთად ჯერ კიდევ ჩასაფრებული იყო უკანასკნელ ციტადელამდე დარჩენილი მანძილის ყოველ გოჯზე, ყოველ მოედანზე, ქუჩაზე, ხეივანში, ბაღში, სადარბაზოებში, ფანჯრებში, სარდაფში, სახურავზე, მეტროს ჩასასვლელ-ამოსასვლელში, ყოველ ძეგლთან, შადრევანთან, ყვავილის ბუჩქთან...

და აპრილი იწურებოდა.

ნეჩაევის ერთი მოიერიშე გუნდი ალექსანდერპლაცს მიმდებარე პარიკადებით ჩახერგილ ქუჩას მიაწყდა.

ზემდეგმა შერჩეულ ადგილზე დაუდო ხერგს ნაღმი, ასაფეთქებელი სითხით სავსე ბოთლი მოიმარჯვა და თანამებრძოლებს გამოხედა:

— ბიჭებო, ხედავთ, თავდება!

მერე უცებ ნეჩაევს შეასწრო თვალი და მეორედ, უფრო ხმამაღლა, მხოლოდ მას გამოსძახა:

— ამხანაგო მეთაურო, თავდება!

და ნეჩაევმა, წლების სადარ იმ ერთ წამს ზემდეგის სახეზე დაინახა, მის ხმაში იგრძნო, რომ ის შეძახილი-მოზეიმე სულის ძახილი იყო, ძახილი კაცისა, რომელმაც სასიკვდილო ხიფათისაგან იხსნა თავისი ნათელი და მშვენიერი სამყარო, სამყარო, რომელშიც მან სამუდამოდ შეიზიარა ისიც, ოლეგ ნეჩაევი. მას მწვავე სურვილი დაებადა გაეგო, ნამდვილად ასე იყო თუ არა.

— ზემდეგო, ეს წუთი დაიხსომე, მერე გავიხსენოთ! — დაუყვავა და განზე გამდგარ მებრძოლებს შეუერთდა.

ზემდეგმა ბოთლი ნაღმს დაახალა. რამდენიმე ადგილას გარღვეულ ხერგში ბიჭები კისრისტეხით მიჰყვნენ ერთმანეთს და ნეჩაევიც გაატარეს.

ზემდეგი მოკუზული მირბოდა ახორკლილ მოედანზე. ოციოდე ნაბიჯი რომ გაირბინა, შეჩერდა. იმ ღრიანცელში, ბგერათა იმ ჯოჯოხეთურ აღრევაში ყური გაუჩხაპნა ავტომატის გამოცალკევებულმა შა გასროლამ. მოიხედა. ბიჭები მხრებში შესდგომოდნენ ბატალიონის მეთაურს და ფრთხილად მიჰყავდათ უკანვე, ბარიკადისკენ.

— ვნახავ, სად მოხვდა ტიალი, — ხმამაღლა თქვა ზემდეგმა და თითქოს ირგვლივ აღარაფერი ხდებოდა, წელში გასწორდა, გატრიალდა, ფეხათრევით დაბრუნდა ბარიკადასთან.

ნეჩაევი მიწაზე გაშლილ მაზარაზე დაეწვინათ. არსად ჭრილობა არ უჩანდა. იწვა, თითქოს დაღლილ კაცს ძილმა უსწროო. და თითქოს ახლავე, საჩქაროდ უნდა გაეღვიძებინა, ზემდეგმა დაიჩოქა, ფრთხილად შეახო მაჯაზე ხელი.

— ამხანაგო მეთაურო, — დაუძახა ჩუმად, მშვიდად, და პასუხი რომ არ მიიღო, უფრო თამამად მოუჭირა მაჯაზე ხელი, უფრო ხმამაღლა დაუძახა: — ოლეგ სტეპანოვიჩ!

პასუხი არ იყო.

ბარიკადებს მიღმა ბრძოლა გრძელდებოდა...

ნაწილი მეორე

თავი პირველი

კვირაა. დღე ისეთია, ზაფხულის დამლევს რომ იცის ხოლმე — სიცხედანელებული, ოდნავ სევდაშეპარული.

ირმისსევის გაღმა ბაზრობაა. სატვირთო მანქანებით, ურმებით, ცხენებით, ფეხით მიმავალ-მომავალი ხალხი ირევა შარაზე. ჩაყუჩებულ ირმისსევზე უშნოდ გაწელილ, მოფამფალებულ, ალაგ-ალაგ ჩამტვრეულ ხიდს ყველანი ერიდებიან, ფონს ირჩევენ.

ხევს გამოსული დაღლილი მგზავრები ირმისს გვერდს ვერ უქცევენ. გზის პირას ომამდე დარგული ცაცხვები დაზრდილან და შორამდე აფრქვევენ სურნელებას. ტირიფის დახრილი ტოტები ირმისსევისკენ გაქცეულ ნაკადულს დაჰშრიალებენ.

ადამიანები წყალსა და ჩრდილს ეტანებიან. სიმწრით სავსენი, ცრემლშეუშრობელნი ლაპარაკობენ ფრონტზე დალუპულ თავისიანებზე, ომიანობის ზარალზე, კარზე მომდგარი შემოდგომის ჭაპანწყვეტაზე. მაგრამ ტირილ-ჩივილით გულს რომ მოიოხებენ, ნაკადუ-

ლის ალერსიანი ჩუსჩუხი და ტირიფის დამამშვიდებელი შრიალი მაინც აღწევს მათ გულს. ადამიანებს თანდათან ეცვლებათ კილო. ახლა ისინი ლაპარაკობენ სიყვარულზე, ლოცავენ მშვიდობას, მომავალი სიკეთით ანუგეშებენ ერთმანეთს...

შუადღისას ერთმა დათალხულმა დედაკაცმა მსარზე შემოდებული ბოხჩით გადმოიარა ირმისხევი და რაღაცა თქვა. ნათქვამმა მის ირგვლივ მყისვე შეყარა ხალხი. მგლოვიარესა და დაღლილს გული გაუწყალა მათმა ეჭვიანმა შეკითხვებმა და ჯავრიანად დაახეთქა ბოხჩა მიწას:

— ვიჰ, გეთაყვათ! მაშ, ალექსი შემეშლებოდა?! სამძიმარიც მითხრა ჩემ დაღუპულ ქმარ-შვილზე, სცოდნიყო ჩემი უბედურება, ხატულას მიეწერა...

დედაკაცმა შავი თავშლის ბოლოებით ჩამოიწმინდა ღვარად წამოსული ცრემლები, ხელი დაავლო თავის ბოხჩას და გზა განაგრძო.

ახმაურდა ირმისი. ხმა სახლიდან სახლში დაგორდა, ეზოდან ეზოში, ქუჩიდან ქუჩაში და ბოლოს შორეულ ქოხს მიატანა. იმ ხმამ ხატულას მუხლი მოჰკვეთა. მან თითქოს ბურანში გაიგონა ხევისკენ გაქროლილი სანდრას ძახილი:

— მამი-ი!..

ხევგაღმა სატვირთო მანქანა გამოჩნდა. ძარადან გზაზე დემობილიზებული გადმოხტა და თავდაღმართზე დაეშვა.

ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. სოფელი შეხვდა, როგორც ხვდებოდა შინ მშვიდობით დაბრუნებულ ყოველ ჯარისკაცს, მაგრამ ეს კაცი, კოლმეურნეობის ომამდელი თავმჯდომარე ირმისელებისათვის მშვიდობიანი ცხოვრების სახსოვარივით იყო, და მისი დაბრუნება მშვიდობის დამკვიდრების ყველაზე ხელსახები, თვალსაჩინო და დამაჯერებელი დასტური იყო.

დემობილიზებულიც ისე დაბრუნდა, როგორც ბრუნდებოდა ყველა, ხანგრძლივი და მძიმე ლაშქრობიდან შინ გამარჯვებით მოსული ჯარისკაცი. და ალბათ სხვასაც ასე ემართებოდა: მშვიდობის ახლებურმა, ახალი ძალით შეგრძნებამ უცნაურად გააბრუა. მას ხან ეგონა, რომ ის ოთხი წელი ერთი ღამის გაგრძელებული სიზმარი იყო, ცხადად კი ერთი დღითაც არ გაჰყრია აქაურობას; ხან ეგონა, რომ ცხადი იყო ის — ცისა და მიწის ნგრევა, სიზმარი კი ეს არის — შორეული მთების ტესილი ხაზი, თეთრი ალავერდი, ირმისხევი, სანდრა პაპას ქოხი, ხატულას ხელით ზედ მერცხლის ბუდესავით მიშე-

ნებული სანდრიკას ოთახი, და სიზმარია ბიჭი სანდრაც. „ბიჭო, საითა ხარ, როგორა ხარ?“ — უნდოდა ეყვირა, როგორც უყვიროდა ხოლმე გული იქ, ყურწამღებ გრგვინვაში, მაგრამ უცებვე იგრძნობდა, რომ ბიჭი კალთაში უზის, შავი წამწამებით გაწყობილ ლეგათვალება ბიჭი მის მკერდთან სუნთქავს და უმშვიდებს ყელთან მობჯენილ აზავთებულ სულს... უყურებს სატულას და არა სჯერა, რომ ენძელასავით ნაზი და უძლეველი, შუბლზემოთ ატალღებულ თმებში მზის თბილი სსივი რომ ჩასლართვია, ნამდვილად ზის მის გვერდით.

ჰო, ის ოთხი წელი იყო ერთი ხანგრძლივი სიზმარი, თორემ ოთხ წელიწადს რა გააძლებინებდა ამათგან შორს?!

ვერ იქნა, კაცმა თავი ვერ დაიმარტოსელა, რომ თვითონვე გაეფანტა ეს უცნაური ბურუსი. წამსვლელ-მომსვლელი არ ილეოდა. მის სადღეგრძელებლად მოსულებთან სამადლობელო ჯამს სცლიდა და უზომოდ დაღლილს სინამდვილის აღქმა უძნელდებოდა. თან თავის თავს აყვედრიდა, ნებივრობა ნამეტანი გაგიგრძელდაო...

თურმე, სულ ერთი კვირის დაბრუნებული იყო, ილო ლაფიაშვილმა და ნასყიდა ჯაფარიშვილმა საქმეზე სიტყვა რომ შეაპარეს, გეგონება აიაზმის წყალი აპკურესო.

ქვეყანასთან ვალმოხდილ ამ ორ ბერიკაცს ალექსიმ ომამდე ააღებინა ხელი მუშაობაზე, მაგრამ ომმა მოუშალა მათ დასვენება. უვაჟკაცებოდ დარჩენილმა სოფელმა ერთიორად მძიმე საპალნე აჰკიდა მათ.

ამ დილას, ალექსისთან მოსვლამდე, ისინი რამაზ მელითაურს დააცხრნენ. ჭარბად თავაზიანი სალმის, მოკითხვის და ბოდიშების შემდეგ, ილომ ხელისგული ჩამოუსვა თავის სახრეს და თქვა:

— რაღა ბევრი გავაგრძელოთ, შვილო რამზა, შენი კეთილი გულიც გაიხარებდა, მადლობა ღმერთს, ჩვენი პატრონი, ქომაგი და გულშემატკივარი საღსალამათი დაგვიბრუნდა, ეხლა შენც შენი გზა ნახე.

— ჰო, რამზავ, ეგრე გერჩიოს, შენ შენთვის, ჩვენ ჩვენთვის, — დაუმატა ნასყიდამ.

ენამზიან თუშს სიტყვა ყელში გაეჩხირა. დახე, დაასწრეს ირმისელებმა, ამაოდ დაურჩა გამოსათხოვარი სიტყვის მომზადება!.. მან იცოდა, რომ ირმისელები სძრახავდნენ მის უსაქმურობას და რჩეულიშვილის დაბრუნებაზე ოცნებობდნენ, მაგრამ არა სწყინდა. კოლმეურნეობა და მისი საქმიანობა არ ეცხობოდა მის სულსა და გულს.

ბრძანება რაიონის მეცხოველეობის ხელმძღვანელად მისი დანიშვნის შესახებ დაწერილი იყო, და იგი ირმისელებზე არანაკლები მოუთმენლობით ელოდა რჩეულიშვილს. ერთი სული ჰქონდა. სანამ ხალხით გაჭედილ დარბაზში გახსნიდა კრებას, მიულოცავდა ირმისელებს საყვარელი თავმჯდომარის დაბრუნებას და გულაჩუყებული გამოეთხოვებოდა მათ... ეს მოსუცები კი ისე სთავაზობდნენ „გადადგომას", თითქოს ლანგრით მორთმეული საჩუქრის მიღებასა სთხოვენო. აი, დიპლომატია, მესმის!

— დრო რაღაზე დავკარგოთ, რამზავ, დღესვე მოვრჩეთ ამ საქმეს, — დაარღვია დუმილი ილომ და ისევ ჩამოუსვა ხელი თავის სახრეს.

— არხეინად წახვალ, რამზავ, ჩვენ შენ არას შეგედავებით,—დაუმატა ნასყიდამ.

რამაზს კინაღამ სიცილი წასკდა. „არას შეგედავებითო?!" ვითომ რაო, ზედმეტი კაპიკი დაეყვედრება თუ მიაქვს აქედან რამე? თუ სადავო აქვთ, სარდიონ მაღალაშვილს შეედავონ, იმას სჭირდება ერთთავად ზურგის ზურგამდე გამაგრება. მელითაური თუნდ ხმამაღლაც აღიარებს, რომ კოლმეურნეობა არ არის მისი საქმე. მხოლოდ ის ენანება, რომ დაასწრეს ირმისელებმა!

თითქოს ძვირფას ნამსხვრევებს აკოწიწებსო, მან გამოსათხოვარი სათქმელიდან თითო-ოროლა სიტყვა ამოკრიფა და თქვა:

— ჩემო ძვირფასებო, განა მე არ ვიცი, რომ თქვენ თქვენს წიაღში შობილი და გაზრდილი შვილი გირჩევნიათ?

ილომ ჯაგარივით ყალყზე მდგომ თეთრ ულვაშზე ხელი გადაისვა, გაჭირვებით ჩამოიშორა სახიდან ღიმილი და ნასყიდას გადახედა. ნასყიდამ ცალი თვალი მოჭუტა. ასე ჰქონდათ დათქმული. ახლა მეორე ამოცანა უნდა გადაეჭრათ — ალექსისათვის აეცილებინათ მელითაურთან შეხვედრა.

— ჩვენ შენ არც მოხსენებასა გთხოვთ, არც ანგარიშს, — დაიწყო ისევ ილომ. — კრებაზე მოსვლით რაღას შეგაწუხოთ? ერთიც ვნახოთ, ვინმე მეტითქვიამ დაუფიქრებლად წამოროშოს ავი რამ სიტყვა...

— შენმა სიცოცხლემ, რამზავ, ეგრე გერჩიოს, თორე ხო იცი, აუგმა სიტყვამ ხანდროს საქმედ იცის ქცევა, — დააყოლა ნასყიდამ.

— ირმისში შენ არა მოგყოლია რა, აქედან ძნელად წასაღებიც არა ვექნება რა, თორე არ დაგზარდებოდით, შეგეშველებოდით... ჰო-

და, თუ მოიწადინებ, დღესვე შეგეძლება წასვლა, — ძალზე თავაზიანად მოაბა სათქმელს ბოლო ილომ.

— კეთილად გატაროს უფალმა-ღმერთმა, ლხინი და კაი ცხოვრება არ მოგიშალოს ზეციერმა ვამჩენმა! — დაშაქრა ილოს ბოლოსიტყვა ნასყიდამ, და „დიპლომატები“ ბოდიშებით, კეთილი სურვილებით გამოემშვიდობნენ „გადაყენებულ“ თავმჯდომარეს.

„ვერ უყურებთ ირმისელებს, მუქარაც ისეთი თავაზიანი სცოდნიათ, კაცს ეამება,“ — სიცილითა კვდებოდა მელითაური და გაქუცულ ჩემოდანში ალაგებდა ხელბარგს. მაგრამ თანდათან გუნება შეეცვალა. მალე ჩემოდანი ერთ კუთხეში ისროლა, წინდები და პერანგები — მეორეში.

ჭირსაც წაულია ირმისიც და მისი დიპლომატები! წყალსა და მეწყერს წაულია გულვარდიშვილიც, მისი ზრუნვაც და მისი შინაკაცებიც! ჭირს წაულია ყველაფერი, მას ხატულა უნდა, ხატულა! ოთხი წელიწადი მის გვერდით იყო, მაგრამ გეგონება სალი კლდე ჰყოფდა მათ. ის ტანწვრილი და ნაზი, ის დახატული ხატულა ზამთარს და ზაფხულს, დღეს და ღამეს ასწორებდა. ვენახში, მინდორში, მთაში, ტყეში საქმეს ისე ვაჟკაცურად უმკლავდებოდა, რომ მისი ქების ხმა, ჰაუუ, სადამდე წავიდა! რამაზმა კი ერთხელაც ვერ მოახერხა მასთან პირისპირ დარჩენა. მართლაც დიპლომატების საბუდარია ეს ირმისი, თუ რა ჯანდაბაა?! ხატულა ისეთი ტაქტით და ისე ბუნებრივად არიდებდა თავს, რომ არც ამას ხდიდა ხალხის სალაპარაკოდ...

მელითაური მონუსხული დაეშვა ტასტზე. კაცმა ოცდაათ წელს გადააბიჯა და საკუთარ გულში ჩახედვის უნარი კი არ გააჩნდა თურმე!..

...ადრე დაობლებული რამაზი თუშეთიდან თბილისში ჩამოიყვანეს. პროფესორი ბიძის უშვილო ოჯახში იზრდებოდა. „ობლობამ არ დაჩაგროს ბავშვი“, — ერთთავად ესმოდა უფროსების წუწუნი, და ბუნებით კეთილი, ალღოიანი ბავშვი თავისებურად ცდილობდა გაექარწყლებინა ბიძა-ბიცოლას წუხილი. მხიარული — სიმხიარულეს ეტანებოდა, ცელქი და მოუსვენარი — დაუსჯელად ცელქობდა, გულდაუდებელი — ახალ-ახალ ნადილის შესრულებას ეჩვეოდა. სწავლაზეც დიდად არავინ აწუხებდა — არ გადაიღალოსო, მით უმეტეს, რომ ნიჭიერი ბავშვი ადვილად ითვისებდა იმას, რაც თვითონ მოს-

წონდა. ასე ისწავლა ცოტა ფრანგული და გერმანული, ცოტა როიალზე დაკვრა, ცოტა ხატვა და ცეკვა. ლექსებსაც კი სწერდა, აღტაცებაში მოჰყავდა ირგვლივ მყოფნი. ჰოდა, ასეთი გაიზარდა: მხიარული, ენამოსწრებული, თამამი, სასიამოვნო გარეგნობის, მუდამ გემოვნებით ჩაცმულ-დახურული. მიუხედავად თავისი ზერე-ქვერე ცოდნისა, სკოლაში იოლად აღწევდა პირველობას, და მერე ასევე იოლად მოიპოვა საუკეთესო სტუდენტის სახელი მომავალ იურისტებს შორის. გულხელგაშლილი — ამხანაგებისათვის ზედნაცვამს გაიხდიდა, მაგრამ მეგობრობის გასანგრძლივებას არ დასდევდა. გოგონებთანაც ასეთი იყო — დიდხანს ვერავის ემონებოდა, მჯობთა მჯობნი არ ილეოდნენ...

...და ერთ ღამეს ეს ყველაფერი გათავდა. სათნო და პატიოსანი, მშობლიური მიწის და ხალხის ტრფიალი, უკვე ხანშიშესული პროფესორი მელითაური სახლიდან წაიყვანეს, „ხალხის მტერი და სამშობლოს მოღალატეაო", და ბიცოლაც ხელს გააყოლეს.

ბევრი იარა რამაზმა ბიძა-ბიცოლას წამყვანი ყრუდ დახურული „შავი მანქანის" კვალდაკვალ, ბევრი დღე აღამა, გამწარებული და სასოწარკვეთილი ხალხით გაჭედილ „ჩეკას" კომენდატურაში. იარა, ვიდრე დარწმუნდებოდა, რომ ვერც თვითონ და იმ აწიოკებული მილეთიდან ვერც ერთი სხვა ველარასოდეს ვერ მიაგნებდა, სახლიდან თუ პირდაპირ სამსახურიდან, „შავი მანქანით" წაყვანილი თავისიანის შავბნელ გზას და ადგილსამყოფელს. კომენდატურის ვიწრო, გისოსებიან სარკმელთან თხოვნით ან კითხვით მიღწეულთათვის, ერთნაირად აკვალთულ და ერთნაირი უსულგულობით ერთმანეთს საოცრად დამსგავსებულ მორიგეებს მზად ჰქონდათ ერთი, სტერეოტიპული პასუხი: „წაყვანილია ხალხის მტერი და სამშობლოს მოღალატე".

ამასობაში, რამაზის შინ არყოფნის დროს მელითაურების ბინაში ჩასახლებულმა უცნობებმა, რამაზს ტუჩამრეზით გადმოუგდეს ლამაზ ჩარჩოდან ამოგლეჯილი ბიძა-ბიცოლას პორტრეტი, იგი წიგნების ასაღებადაც კი არ შეუშვეს შინ, კარი ცხვირწინ მიუჯახუნეს.

„მაპატიეთ, ძვირფასებო, ჩემი თავქარიანობით თუ გაწყენინებდით ხოლმე..." — უთხრა რამაზმა პორტრეტიდან მოღიმარე ცოლქმარს. პორტრეტი დიდი იყო, თან ვერ ატარებდა, და დაღამებისას

მტკვარს გაატანა. უცებ ყველას მიერ გასხვისებული და უარყოფილი, თუშეთში წავიდა, ცხვარში...

ნებიერი ახალგაზრდის ჩვევებზე მან მალე და ადვილად აიღო ხელი. ახალ ყოფასაც მალე შეეთვისა. მოსწონდა საზამთრო და საზაფხულო საძოვრებსშორის მძიმე გადასვლები, ღია ცისქვეშ ღამეების თევა, მწყემსებთან საუბარი, ჭკვიან და ერთგულ ბოღვერებთან მეგობრობა. არც ხანმოკლე სატრფიალო შეხვედრებს გაურბოდა.

ერთხელ, ცხვრის გადასარეკ ტრასაზე, დარიანის რაიკომის პირველ მდივანს, გულვარდიშვილს შეხვდა. თავის შესაქცევად, რამაზმა ექსპრომტად ქებათა-ქება უძღვნა ჩია და გაბღენძილ კაცს, მერე ჰამლეტის მონოლოგი წაუკითხა, მერე ფრანგული ანეკდოტი უამბო და სამუდამოდ მოინადირა მისი გული. მდივანმა დარიანის საშუალო სკოლის დირექტორობა შესთავაზა. რამაზმა ციკი უარი სტკიცა. მას არც დალაგებული ცხოვრება იზიდავდა, არც კარიერა, არც პასუხისმგებლობა.

კასპიისპირა ზამთრის საძოვრებზე, ერთ მოსაბეზრებლად გაჭიანურებულ ღამეს, მის ცხოვრებას შემთხვევით ჩაეკერა უცხო, ახმახი და აშაღლარა დედაკაცი. მეორე დღეს მმაჩის დავთარმა მოხერხებულად აქცია ის დედაკაცი მელიოაურის კანონიერ მეუღლედ.

გონს რომ მოვიდა, კინაღამ გაგიჟდა რამაზი, არ იცოდა, საით გაჰქცეოდა მოულოდნელად დადგმულ უღელს, როგორ გაჰქცეოდა იმ უსამუსო დედაკაცს. მაგრამ ისევ შემთხვევამ იხსნა. არყიი გამობრუჟულ „ცოლს" ვიღაც მაჯლაჯუნა მწყემსთან შეასწრო. გახარებულმა რამაზმა ქალი უხვად გაამზითვა და სამუდამო დავიწყებას მისცა. არც ერთ ანკეტაშიც კი არ უხსენებია, ცოლი თუ ჰყავდა ოდესმე...

ასე ცხოვრობდა მელითაური. არც დროის მსვლელობას, არც ირგვლივ მომხდარ მღელვარე ამბებს ამჩნევდა, გულგონებასთან ახლო არაფერს იკარებდა. ასე აჯახირებდა თავის წუთისოფელს, ომი რომ დაიწყო.

ომი თუ დიდხანს გაგრძელდებოდა, ან მტერი დიდად ანგარიშგასაწევი იყო — ვერ წარმოედგინა. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ სასტიკად სცდებოდა და ფრონტზე წასვლა გადაწყვიტა.

გულვარდიშვილმა ეს რომ გაიგო, ფრონტზე წასასვლელი ყველა გზა დაუხშო, და თავისი ფარული, უკეთური ზრახვით, ირმისის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობაზე დაითანხმა.

ირმისში ჩასვლისას რამაზს ის შორეული, სურნელოვანი გაზაფხული და ის, გზად ნაპოვნი სიხარული მოაგონდა. მაშინვე განეწყო სასიამოვნო თავგადასავლის განცდისათვის. მოუთმენლად ელოდა ხატულასთან შეხვედრას და, ვითომ მოულოდნელი შეხვედრისათვის ემზადებოდა. მაგრამ ყოველთვის ხალხით შემოხვეულ აგრონომს მართლა შემთხვევით, და მართლაც მოულოდნელად შეხვდა. რამაზმა ვერ მოატრიალა თავისი მოქარგული ენა, არ იცოდა, იმ ქალის დანახვის პირველივე წუთს რამ აგრძნობინა, რომ მათ შუა დაუძლეველი კლდე ჩამდგარიყო. თავი ინუგეშა, ეს მოულოდნელობისაგან დამემართაო, მაგრამ მერეც, როცა კი საქმე მოითხოვდა აგრონომთან შეხვედრას, ასევე ემართებოდა. ის თანდათან მკვეთრად გრძნობდა მათ შორის აღმართულ ზღუდეს.

მოიწყინა რამაზმა. სოფელში საქმიანობის დიდი სურვილი თავიდანვე არა ჰქონდა, და მალე მთლად აიცრუა გული. ხედავდა, რომ უვაჟკაცოდ დარჩენილ ირმისში ქალები, მოზარდები და მოხუცები უმისოდაც უძღვებოდნენ კარგად დალაგებულ მეურნეობას და მადლობელიც იყვნენ, რომ მათ უკითხავად მოვლენილი თავმჯდომარე მათ საქმიანობაში არ ერეოდა. ის დროდადრო კრებას იწვევდა და სჯეროდა, რომ მისი მგზნებარე მოწოდების შედეგად იგზავნებოდა ფრონტზე თვითმფრინავი, ტანკი, სურსათი, საჩუქრები. მომეტებულ დროს კი დარიანში ატარებდა, გულვარდიშვილთან და მის შინაკაცებთან ომის მსვლელობაზე უღიმღამო კამათში ჰკლავდა დროს.

ერთხელ ირმისის საბავშვო ბაღის ბავშვებს წააწყდა, სასეირნოდ გამოეყვანათ. რამაზი აედევნა მათ, თვითონაც გაერთო, ბავშვებიც მოალხინა და მომვლელებიც. მერე ბავშვებმა თვალხუჭუნას თამაში გამართეს და „ძია რამაზსაც" თვალები აუხვიეს. რამაზი მოიქანცა მათ უკან რბენით, და ბოლოს, როგორც იქნა, ერთი ბიჭი დაიჭირა, თვალებზე აკრული ხილაბანდი მოიძრო და სიცილით ჰკითხა:

— ვისი ხარ, ბალღო?

— ალექსი რჩეულიშვილის სანდრა ვარ! — ამაყად მიუგო ბიჭმა.

რაღაც შეუცნობელმა შეაკრთო მელითაური. თვალები აუწვა, პირი და ყელი ამოუშრო. საქმე მოიმიზეზა და სწრაფად გაეცალა იქაურობას. მას მერე საბავშვო ბაღს აღარ გაჰკარებია. ხშირად მთელი დღე უსმელ-უჭმელი იწვა, იმ შორეულ გაზაფხულს და იმ სიხარულს იგონებდა. ვერ ამჩნევდა, ვერა გრძნობდა, რომ თავის სიცო-

ცხლეში არაფერს ისე ფაქიზად არ მოჰქცევია, როგორც იმ მოგონებას...

ჰო, არ იცნობდა თავის თავს მელითაური. თავგუნება, ურწმუნო, უზრუნველი, ყოველგვარი ძალდატანების მოძულე, ის საკუთარ გულშიც არ იხედებოდა, საკუთარ ფიქრთა აფორიაქებას ერიდებოდა. ახლაც ასე იყო. მონუსხული იჯდა ტახტზე და ფიქრობდა, მაგრამ ერთმანეთში არეულ-დარეულ ფიქრებს ბოლომდე არ მიჰყვებოდა. ამიტომ ვერ გაეგო, რომ საქმეს ჯიქურ შერკინებული სათუთი ქალისადმი გულწმინდა თაყვანისცემა აყრევინებდა ფარ-ხმალს; ვერ გაეგო, რომ თვითონ, ომის ხიფათისაგან დაჯავშნულს, ომში წასული ვაჟკაცის რიდი ჰბორკავდა; არ უნდოდა ბოლომდე ჩასწვდენოდა — ერთხელ ნანახი ბიჭის თვალები რად სდევნიდნენ დღედაღამ, რად უფორიაქებდნენ სულს, რად აწყევლინებდა საბავშვო ბაღში მისვლის საათს და შემთხვევას, რომელმაც ლეგათვალებიან ბიჭს შეახვედრა. არ უნდოდა გამოტეხილიყო, რომ სირცხვილი სწვავდა ირმისელი ბერიკაცებისაგან ახლახან მიღებული „გადაყენება“.

შუბლშეკრული, გულდახშული იჯდა და ვერ გაეგო, ერთბაშად ასეთი აუტანელი სიმძიმით რად დააწვა მხრებზე, თითქოსდა იოლად გატარებული ცხოვრება. დარიანში წასვლა ესიკვდილებოდა. გულვარდიშვილთან და მის შინაკაცებთან შეხვედრა ზარავდა. ზარავდა ფიქრი უშინაარსო მომავალზე...

და ისევ შორს, იალაღებისაკენ მიუწევდა გული...

თავი მეორე

მას შემდეგ ბევრჯერ ჩაიქუხა მთაში დამდნარი თოვლით აზვირთებულმა ირმისხევმა.

ქვეყანა ჩქარობდა ომის ნაკვალევის აღმოფხვრას.

ჩქარობდნენ ირმისელებიც. აივნებზე გამოკიდებულ სამგლოვიარო ჩარჩოში ჩასმულ სახეებს — ომში დაღუპულთა სურათებს — მზე, წვიმა, ქარი აუფერულებდა. იცოდნენ ირმისელებმა — შინმოუსვლელთა ხსოვნა სურათებს კი არა, შთამომავლობას უნდა შეენახა, მათ უკვდავსაყოფად მომავალ თაობებს უნდა ეხარა. რა ვუყოთ, თუ იმ მოუნელებელმა დარდმა ხან ხელი ააკანკალოს, ხან ჭვალივით გაჰკრას გულს, ხან ცრემლი ადინოს თვალს. ნუგეშის

სიტყვამ თავისი ძალა შრომას გადაულოცა, და შრომობენ ირმისელები. ყველგან, ყველა საქმეში, ყოველ ახალ წამოწყებაში მხარში უდგანან თავის თავმჯდომარეს. ძვირ თავისუფალ საათსაც ისევ მასთან ყოფნა უყვართ. ახლად უნდათ გაიგონონ მისგან, რას გადაურჩა მათი ქვეყანა, მათი ერი, მათი ალაზნის ველი, მათი ირმისი.

უსმენენ ალექსის, და ხედავენ გაპარტახებულ სოფელ იაბლონკას, ასაკწართმეულ ბავშვს და დედამისს. უსმენენ და დევგმირად ესახებათ პატარა პარტიზანი ლიოშა ბოგუჩაროვი. ალექსისთან ერთად სდუმან ისინი, და დუმილში იზიარებენ მის ტკივილს, თითქოს თვითონ სჭერიათ ხელში, ბერლინის მთავარ მოედანზე დაცემული ოლეგ ნეჩაევის გაციებული მაჯა, თითქოს თვითონ დეანან უცხოეთში დარჩენილ ძმათა საფლავებთან...

დრო კი გარბის, როგორ გარბის! მშვიდობის მეექვსე წლისთავია, მეექვსე მაისობაა უკვე.

ფერდობის ქიმზე მზვერავივით მდგომ ნამეხარ მუხას მიჰყრდნობია ალექსი. მას ადათ-წესად ექცა ყოველ ცხრა მაისს, სისხამ დილას აქ ამოსვლა. აქედან შორამდე ისინჯება მაისიდან მაისამდე ხორცშესხმული ნაოცნებარი, ირმისელების ერთსულოვნებით შექმნილი, აშენებული.

აი, საუკუნოვანი მტრობით დაღლილი, ახლა კი ადამიანს დამოყვრებული, თოვლიანი მთების მკერდიდან მოწყვეტილი ირმისხევი. ურღვევ კალაპოტში ჩასვენებული გიჟმაჟი მდინარე თამაშ-თამაშით ეხეთქება კაშხალს და ურიცხვი შუქიანი ნერტილებით აელვარებს არემარეს, გაღმა-გამოღმა შეფენილ სოფლებს.

აი, ქართული ჩუქურთმით მოპირკეთებული ფართო ხიდი ქამარივით უმშვენებს წელს და მისი ნარიყალის სიგრძე-სიგანეზე, ყველგან, სადაც კი ყამირის ან წუნიანი მიწის ნაგლეჯი ეგდო, ამ ვაზაფხულზე პირველად აყვავილდა ვაზი. უდაბნოსავით მწირ „ნაბაღზე“ მეაბრეშუმე გოგონების ჩურჩულივით შრიალებენ თუთის ხეები.

ახალი ელექტროწისქვილიც მოხერხებულ ადგილზეა, ნატაძრიდან ძველ წისქვილამდე ბილიკი აბალასდა, მაგრამ ჩაშავებული, დაფერდებული ძველი წისქვილი მაინც დგას, ალექსიმ არ დაანგრევინა, დაე, დრომ დაშალოსო...

სიხარულით ევსება ალექსის გული — ნეჩაევის ძეგლებს კი დრო ვერაფერს დააკლებს!

მისი სახელი ამ კაშხალშია ჩაშენებული.

იმ ელსადგურის გულშია ჩადუღებული.
ამ ხიდს უდგია ბურჯებად.
ახარებს ნერგებს.
აყვავილებს ახალ ვენახებს...

„ოლეგ, ძმაო, მე არ დავიღლები შენთვის ძეგლების აგებით. სანამ ცოცხალი ვიქნები, არ დავიღლები. მე რომ აღარ ვიქნები, ამ საქმეს ჩემი შვილი მიჰყვება, შვილიშვილი, შვილთაშვილი... ოლეგ, ხედავ, როგორი მაისობაა ირგვლივ? დღეს ჩვენი დღეობაა, შენ აქა ხარ, ჩემთან, და მე არ მინდა, რომ მოუსვენარი ფიქრი სწამლავდეს დღევანდელ დღეს. არ შემოგჩივლებ იმას, რაზეც ფიქრი და ჩივილი არ მინდა დღეს..."

მაგრამ სწორედ ის ფიქრები ესეოდნენ კრაზანებივით, და ალექსი ქვაზე დაეშვა, თავი ხელებით შემოისალტა. ისევ ნეჩაევს გამოელაპარაკა:

„უზრუნველყოთ საქართველო საკუთარი პურითო!" ეს ხომ კარგი ლოზუნგია. ბევრი პურის მოყვანა ვის არ გაუხარდება? შენ ხომ ბევრი რამ იცი, ზოგი რამ ჩემი ნაამბობითაც იცი, იცნობ საქართველოს ისტორიას. შენ იცი, რომ პური ქართველების მუდმივი საზრუნავი იყო. მტრულ გარემოცვაში, დამპყრობელთა მოგერიებაში ვიყავით. დღენიადაგ თავდასხმის მოლოდინში ჩვენი ხალხი საბრძოლო იარაღით გამოდიოდა პურის სათესად, სამკალშიც. ეგრე იყო მძიმე წარსულში. დღეს კი ხედავ, რას მოვესწარით—ბევრი პური მოიყვანეთო! მაგრამ ვაი, რომ ზოგი უჯიშო კაცი უმწარებს ხალხს ამ სიხარულს. უნამუსოდ ამახინჯებს ამ მოწოდების აზრსა და მიზანს. არაფრის გაგონება არ უნდა, არავის ეონივრულ სიტყვას არ იკარებს. გულვარდიშვილს არც ვაზი უნდა, არც ტყე, არც ადამიანი, არც ხალხის სიხარული. მხოლოდ ქება და ჯილდო უნდა, საკუთარი წარმატება უნდა, სხვა არაფერი... იმიტომ გაჰყვირის, ვაზი ამოვძირკვოთ, ტყე გავკაფოთ, ყველგან პური უნდა ვთესოთო. არამზადა შინაკაცები მოუმრავლდნენ. ვისაც მაგისი სიბეცე და გონების სიჩლუნგე ხელს აძლევს, მხარს უჭერენ, აამებენ და ხარობენ... ძნელია ამ ნამუსგარეცხილთან ბრძოლა. ბევრმა ხელი ჩაიქნია და განზე გადგა, ზოგი ძლიერს მიემხრო — მშვიდი ცხოვრება უნდა, ზოგი უსიტყვოდ დაემორჩილა — ძალა აღმართსა ხნავსო. შეიძლება გაწუმება ან უსიტყვოდ დამორჩილება?.. ვერსაით ხმა ვერ მივაწვდინეთ. ჩვენს წერილებს, განცხადებას, საჩივრებს „შესამოწმებლად" ამასვე უგზავ-

ნიან, წარმოგიდგენია? ეს კი ყვირის, ინტრიგანები ხელს გვიშლიანო, და უფრო აჩქარებს თავისი განზრახვის შესრულებას...

მკერდის მარცხენა არეში ატეხილმა ტკივილმა გაუწყვიტა ფიქრი. ერთბაშად თითქოს დაითალხა ყველაფერი, რაც ახლახან ისე ახარებდა მის თვალსა და გულს. წამოდგა, წასვლა დააპირა, მაგრამ შენიშნა, ნატაძრიდან ვაჟა კვერენჯაძე მოჰყვებოდა ფერდობს, ვაჟა — ნატაძრის კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარე. ალექსის თვალწინ გაბო ნაცვლიშვილის სახემ გაიკრთომა — შორეთიდან მომავალი, უზომოდ დაღლილი მგზავრის სახემ. „ხატულა მწერდა, დაჭრილი დაბრუნდაო, მხარმკლავზე თაბაშირი ედო, მაგრამ იმავ დღეს ცოლ-შვილიანად აიყარა ნატაძრიდან, არავის უთხრა, საით მივდივარო...“

ვაჟა ნელა უახლოვდებოდა მუხას, ომში ნატყვიარი ფეხი უშლიდა სიარულს. ფერდობს რომ ამოაღწია და მუხას მოუახლოვდა, ალექსის საცხრამაისო წაუმღერა ყურთან და ხარხარით ჩამოართვა ხელი. კარგი სიცილი იცის ვაჟამ, გინდა არ გინდა, აგიყოლიებს!

მუხის ძირში ჩამოსხდნენ.

— ალექსი, შე ჩემი ცოდვით სავსევ, რას მერჩოდი, ამ ცეცხლში და ხათაბალაში რად ჩამაგდე?

— არ მოგბეზრდა წუწუნი?

— სუფთა ჰაერით ვსუნთქავდი, იალაღებზე ვნებივრობდი, არხეინად ვიყავი!

— გულარხეინებს ხალხი სიყვარულით არ ანებივრებს.

— შენ რო არ გაგექეზებინა, ნატაძრელებს ჩემი არჩევა აზრადაც არ მოუვიდოდათ.

— მე როცა მკითხეს, შენი არჩევა გადაწყვეტილი ჰქონდათ.

— გულვარდიშვილს რომ სცოდნოდა შენი აზრი, კოლმეურნეობასთან სათოფეზეც არ მიმიშვებდა! — ისევ გადაიხარხარა ვაჟამ, — გახსოვს, ციხით მემუქრებოდა, ექსპერიმენტები როგორ გაბედე, ცხვრის ჯიშიანობას ვინ გაკითხებსო?!

— მერე ხომ შეიცვალა აზრი!

— როცა გაიგო, ზევით მოიწონესო, ხელად გადატრიალდა, იმ დღიდან ჩემი ქებით იქანცება საწყალი! — სიცილით იგუდებოდა ვაჟა.

— რას ერჩი, ცოტა მოგვიანებით მაინც გაიგო შენი ფასი.

— სიტკბოსაგან გამამწარა! გუშინ, სხვა რომ ვერაფერი გავაწყე,

ჯიბოზე ვიყარე ჯავრი, ვითომ ხუმრობით, ერთი ისე ვუთაქე, კინალამ გადაყირავდა. იმ უბედურმა კი, გულვარდიშვილის საამებლად, მაინც გაიღრიჭა, ყოჩაღ, ფოლადის მარჯვენა გქონიაო!

— ჯიბოსთანებს სახეშიც რო მიაფურთხებენ, იძახიან, ცის ნამიაო...

— ალექსი, — დაარღვია დუმილი ვაჟამ, — არ იკითხავ, რის ჯავრს ვიყრიდი?

— თუკი დაიწყე, ალბათ დაამთავრებ კიდეც.

— კისერი მოსტყდეს იმ გულღვარძლიან ბაიყუშს! გაწმენდილ ნაკვეთებზე ვაზის ჩაყრა ამიკრძალა, პური დათესეო...

— შენც პური დათესე, — მშვიდად უთხრა ალექსიმ, — საკუთარი პურია საჭიროო, არ გესმის?

— არა, არ მესმის! გამოდის — მოვატყუე ნატაძრელები? შინ აღარ შესულან, ვიდრე ნაკვეთები არ გაწმინდეს, ნერგებიც კი მოიშარაგეს და ეხლა ვუთხრა, პური უნდა დათესოთ-მეთქი? ეს მეტისმეტი პეიტრობით მოსდით, თორემ რუსეთის პური მთელ ქვეყანას ეყოფა და ჩვენ დაგვეყვედრება? ჩვენ ხომ არ ვეუბნებით მეზობლებს, საკუთარი ღვინო, ჩაი, ციტრუსები, მარგანეცი, მარმარილო იქონიეთო?

— ტარჭრელი კოვზების ძებნა არ გინდა, ვაჟა, გეუბნებიან და ალბათ ასეა საჭირო! — შეაწყვეტინა ალექსიმ.

— მე ყველაზე უფრო შენი სიმშვიდე მაკვირვებს, იცი?! ლამის ტვინი ამერიოს. ადამიანო, უწინ ქართველები რვა მილიონი ვიყავით და ჩვენი პური გვყოფნიდა, ხალხი არც ვაზსა სჩაგრავდა, არც ტყეს ატიალებდა! ეხლა ჩვენში პურის მოყვანა რად გახადეს პრობლემად, რად, რისთვის?

— რა გაცხარებს, ვაჟიკუნავ, ბევრი პურის მოყვანა ურიგო საქმეა? — მშვიდად და შეგონებით უთხრა ალექსიმ. არ უნდოდა, რომ ახალგაზრდა კაცს ოდნავ მაინც დანელებოდა სიფიცხე, რომლითაც ის მოეკიდა თავისთვის ახალსა და ძნელ საქმეს — კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას. არ უნდოდა, რომ რაიონის მესვეურთა საზიანო ღონისძიებებს, უკეთურობას დაღი დაესვა ვაჟას რწმენაზე. და თავის თავსაც იმშვიდებდა, არა სთმობდა იმედს, რომ პურის დამზადების ირგვლივ მათ რაიონში ატეხილი არაჯანსაღი ფართი-ფურთი მალე დაცხრებოდა.

— რა ურიგოა, ვაჟა, — განაგრძო კიდევ უფრო მშვიდად, — რა გაღელვებს? შენც ჯერჯერობით ბევრი და ხარისხიანი პური ჩააბარე, მერე ვნახოთ. ნუ სცსარობ, რა მოსაზრებაც არ უნდა ჰქონდეს გულვარდიშვილს, ის შენ ცუდს არაფერს დაგავალებს...

„იმ აშმორებულ გულვარდს მე უთუოდ თავის კაცად მივაჩნივარ, იმიტომ მიწყობს ხელს და მეფერება, ფუი, სინსილა კი გაწყდა მაგისი!“ — გაიფიქრა ვაჟამ და უცებ დასუსხულივით წამოვარდა. ქვევით, ნარიყალაზე, ვაზებს შორის წითელ კაბას მოჰკრა თვალი. შეეცადა თავი დინჯად დაეჭირა, მაგრამ კუპრივით შავი თვალების აელვარებას როგორ დაფარავდა?!

— ალექსი, უყურე, ხედავ, ვენახს ყაყაჩო მოსდებია!

ალექსიმ ვაჟაზე ადრე დაინახა მეაბრეშუმეების მერგოლური მაკა ხაზირაშვილი და ჩაეცინა.

— ბიჭო, რა დროს ყაყაჩოა, ჯერ იასამნობაა!

— არა, ყაყაჩოა-მეთქი! აბა ვნახავ, გზა სწორედ იქითა მაქვს! — წაილაპარაკა ვაჟამ, ალექსის ხელი დაუქნია და აბალახებულ ფერდობს სრიალ-სრიალით ჩაჰყვა ვენახისაკენ.

„ყაყაჩო აყვავებულა შენს გულში და ნატყვიარი ფეხიც აღარ გიშლის სირბილს, — ჩაეცინა ალექსის, — კარგი ხარ, ვაჟავ, კარგი, და „ყაყაჩოც“ მშვენიერია, სწორედ საშენოა. კეთილად გატაროთ ღმერთმა...“

ამასობაში მზე შუბის ტარზე ავარდნილიყო. ალექსიმ ისევ დააპირა წასვლა, მაგრამ ისევ დაატყვევა ირგვლივ გაშლილმა სურათმა. მართლაცდა, იშვიათ წელს დაებედებოდა კაცს ასეთი სურათის ხილვა. ამ მაისობას ერთდროულად აეფეთქებინა ადრე და გვიან ასაფეთქებელი კვირტი.

თეთრად ვადაპენტილი ვაზი უბადლო სურნელს აფრქვევდა.

ჯერ არ დაეყარა ყვავილი ნუშს, ჭერამს, ატამს, ტყემალს, და უკვე აყვავებულიყო ვაშლი, კომში, მსხალი, შვინდი,

ტბასავით ლიკლივებდა დამუსლული ჯეჯილი.

სათიბიდან ქრელი ყვავილები იჭყიტებოდნენ.

ტოროლა ცას შეჰხარობდა. სადღაცა შაშვი ჭახჭახებდა. გალმა ტყიანში წლებს ითვლიდა გუგული. „გიოს“ ეძახდა მოლაღური.

თეთრ-ვარდისფრად ჰყვაოდა ირმისი, მზე ასხივებდა თეთრ ალაველრდს, და სიყვარული კელაპტარივით სწვავდა ალექსის გულს...

ასეთ წუთებში რაღაც უხილავი კავშირი უცოცხლებდა გარდასუ-

ლი ქარცეცხლის მიმკრთალ სურათებს, და ახლაც, თითქოს კინოკადრიდან მოესმა უკანასკნელად გაგონილი ნეჩაევის ხმა:

„ზემდეგო, ეს წუთი დაიხსომე, მერე გავიხსენოთ!"

რომც დასცლოდათ ერთად ყოფნა, განა ალექსი შესძლებდა ხმამაღლა ეთქვა, რასაც ფიქრობდა იმ წუთს? მაგრამ რომ დასცლოდათ, „გულთამხილავი" ნეჩაევი თვითონ იტყოდა, რომ ალექსი იმ წუთს ოლეგთან ერთად ხედავდა თავის თავს აი ამ ფერდობზე, ამ მუხასთან, რომ სული მისი მიისწრაფოდა იმ ოხრადდასარჩენ რეიხსტაგისკენ, საიდანაც უნდა დაწყებულიყო ირმისში წამოსასვლელი მათი გზა...

„ჰო, ოლეგ, ჩვენ ერთად ვიარეთ და ერთად გავიმარჯვეთ. ეხლაც ერთად ვართ და ყოველთვის ერთად ვივლით სანდრას და მისი თანატოლი გოგო-ბიჭების ბედნიერებისათვის, ამ გზაზე დაღუპულ გმირთა სამახსოვრო ძეგლების შენებისათვის..."

— მამი-ი!.. — მოესმა ალექსის ძახილი და მუხასთან მოულოდნელად გაჩნდა სირბილისაგან გულამოვარდნილი ბიჭი.

— სანდრა! აქ საიდან გამომეცხადე, შე ყურუმსაღო?!

— ვიცოდი, აქა გნახავდი, გეგონა, ვერ გიპოვნიდი?

— კარგია რომ მიპოვნე! მაშ ნუ ხტისარ, დადექი და გაიხედ-გამოიხედე, რასაც დაინახავ, კარგად დაიხსომე, ისე დაიხსომე, რომ არასდროს არ დაგავიწყდეს, თვალები რომ დახუჭული გქონდეს, მაინც ხედავდე, გესმის? — უთხრა ალექსიმ და ჩუმად დაუმატა: — ბრძენი იყო ჩვენი სანდრა-პაპა...

სანდრა კარგა ხანს ათვალიერებდა თვალწინ გაშლილ არე-მარეს და ვინ იცის რა იფიქრა, რატომღაც გულამომჯდარმა იკითხა:

— მამი, სერიოგა დედასა ჰგავდა?

— არა. ამბობდნენ, მამასა ჰგავსო.

— მაშ მე რატო შენ არ დავემსგავსე, ჰა?

— რა კაცი ხარ! ზოგი შვილი დედასა ჰგავს, ზოგი მამას.

— ჰოდა, მე რატო შენ არ დაგემსგავსე?

— გისაროდეს, რომ არ დამემსგავსე, მე ხო გონჯაურას მეძახიან.

— ჰოდა, მინდა მეც გონჯაურა დამიძახონ!

— ფიქრი ნუ გაქვს, დაგიძახებენ! ჩემსავით ჯიუტი და თავისსათქვამა ხარ, თანდათან უფრო დამემსგავსები, გატყობ!

— მართლა? შენსავით სიმღერაც მეცოდინება?

— ეგ რაღა მოგჩვენებია? მე სიმღერისა რა ვიცი?

— ჰო, დიახ, ყველას უმალავ, მაგრამ მე ვიცი, ჩუმჩუმად მღერი ხოლმე, აი ისე, წელანდელივით. მასწავლე რა!

ალექსიმ ბავშვი ჩაბღუჯა და მკლავებზე გადაწვენილი გააქან-გამოაქანა:

— ნუ ხარ ჯიუტი, თორემ ეხლავე ირმისხევში გადაგაგდებ!

— გადამაგდე, მე მაინც მენდომება, რო გონჯაურა დამიძახონ და შენსავით ჩუმჩუმი სიმღერა ვიცოდე!

— კერპო, ჯიუტო, თავისნათქვამავ! — ალექსიმ ბიჭი მიწაზე გადმოახტუნა და სიცილით დაუმატა: — კერკეტი ხარ, კერკეტი!

— კერ-კეტი, კერ-კეტი!.. — ცალფეხზე დატრიალდა სანდრა, მერე ხელებით თვალები მოიჩრდილა და შარაზე გამოჩენილ მანქანას დააკვირდა:—ძია ნიკო მოვიდა! აჩიკოც მოუყვანია, ვაშაა! — დაიყვირა და შურდულივით გაქანდა ფერდობთან გაჩერებულ მანქანისკენ.

„მოსკვიჩიდან" გადმომხტარი სანდრას თანატოლი ბიჭიც სირბილით გამოქანდა ფერდობისკენ. შეხვდნენ თუ არა ერთმანეთს, აჩიკომ ხის ფარი და ხმალი გაუწოდა მეგობარს:

— აჰა, დაიჭი, ხმალში გიწვევ!

სანდრამაც ფარი მოიმარჯვა და ჰაერში ხმლის ტრიალით ეკვეთა „მოწინააღმდეგეს".

ერთმანეთის ნახვით ბავშვებზე არანაკლებ გახარებული ალექსი და ნიკო ხელაშვილი მუხის ქვეშ ლოდზე დასხდნენ და დინჯი, გულგანდობილი საუბარი გააბეს.

ბავშვებმა ერთი თალია გული იჯერეს ფარიკაობით და ჭიდაობით, ხალათები დაესრისათ და შემოეხიათ, ღილები დააწყდათ, გადაყვლეფილი მუხლისკვერები და იდაყვები ეწვოდათ, მაგრამ უზომოდ კმაყოფილი წამოგორდნენ ბალახზე, ცისა და ბარის, ნამდვილი და მოგონილი ამბების გაცვლა-გამოცვლით გაერთნენ.

უფროსების საუბარი კი თანდათან გამწვავდა. რაწამს სიტყვა მთავარ სატკივარს შეეხო, ალექსიმ უცებ დაკარგა ის სიმშვიდე, ახლახან ვაჟას რომ აკვირვებდა.

— პურის გამო კახეთში ვაზი შევიწროვდესო, ეგ უგუნურობის მოწადინებაა! — თქვა აღშფოთებით.

— მერედა, ვანა გაიგებ, სად იწყება ეგ უგუნურება?

— დავუშვათ, საერთო სახელმწიფო გეგმების შემდგენელნი ჩვენგან შორს არიან და არ იცნობენ, ამოდენა ქვეყნის ყველა კუთ-

ხეს ვერ მისწვდა მათი თვალი, ანგარიში ვერ გაუწიეს ყველა კუთხის თავისებურებას, ბუნებრივ პირობებს, გამოცდილებას, ტრადიციებს, მაგრამ მაგისთვის არა ჰყავს ყველა რესპუბლიკას თავისი ხელმძღვანელი?! იმათ არ ეკალებათ გააგებინონ, დაარწმუნონ ის შორსმყოფი გეგმისშემდგენელნი, რით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს რესპუბლიკა სახელმწიფოს?

— შენ ვაზი გიყვარს, ჩემო ალექსი, კახელ კაცს ოდითვე მოსდევს ეგ სიყვარული, მაგრამ... ყველა ხომ არ არის მოვალე უყვარდეს შენი სიყვარული, ამაყობდეს შენი სიამაყით, შენი სატკივარი აიტკიოს?!

— ყველა არა, მაგრამ ხელმძღვანელმა უნდა გაიზიაროს ხალხის სიყვარულიც, სიამაყეც და ტკივილი, მაშ რის ხელმძღვანელია?

— ეჰ, ჩემო ალექსი... — სევდამ უცნაურად დაღარა ნიკოს გაბადრული სახე. — ადამიანი შეიძლება გონებით ეთანხმებოდეს შენს მართალ აზრს, მაგრამ თუ ვაჟკაცობა აკლია, ის საქმის ქომაგი ვერ იქნება.

— მაშ, რად ეჭიდება ისეთ საქმეს, რის შნოც ღმერთს მისთვის არ მიუცია?

— ადამიანში შენ უპირველესად სიკეთეს ხედავ, და მიკვირს, ეგრე სასტიკად რომ ჰკიცხავ იმათ, ვინც გმირად არ დაბადებულა.

— გმირი ნუ იქნება, მაგრამ მითხარი, რა ვიფიქრო ისეთ კაცზე, რომელიც საერთო საქმის ზიანს გაუწუმდება?

— გაუწუმდება... — მწარედ ჩაიცინა ნიკომ და ხმადაბლა განაგრძო, — ცხოვრების სუსხი არც შენ დაგკლებია, მაგრამ მე ბევრად უფროსი ვარ შენზე და მეტის მომსწრე ვარ... ჩემი თაობის თვალწინ ბევრი ისეთი რამ ხდებოდა, რის ახსნაც ვერ შეგვძლებია, გაუგებარი გვრჩებოდა. გაუგებარი კი ყოველთვის იწვევს ეჭვს, დაძაბულობას, ბოლოს შიშსაც... და შიში განა აკეთილშობილებს ადამიანს?

— ნიკო, რად გინდა მაგაზე ლაპარაკი? ჰო, ბევრი სიძნელე იყო, ძალზე ძნელი იყო, მაგრამ მაინც მოვაღწიეთ დღევანდელ დღეს. შენ გიყვარს დღევანდელი დღე, ხვალინდელ დღეზე ზრუნვა გიყვარს და გეჯერა, დადგება უფრო კეთილი ხვალინდელი დღე, გუშინდელი რისთვისღა ვღეჭოთ, რისთვის?

ნიკომ მიიხედ-მოიხედა, ალექსისთან უფრო ახლო მიიწია და თავისი სათქმელი განაგრძო:

— ყველანი ვცდილობთ წავუყრუოთ იმ „გუშინდელ დღეს", მაგ-

რამ ის რომ არ ყოფილიყო, დღეს ჩვენ ეს დარდი და ბოღმა არ შემოგვაწვებოდა, სიმართლის ხმამაღლა თქმას არ გადაეჩვეოდა ხალხი...

— მაპატიე, ნიკო, ასე მგონია, შენ ძალიძალად აკოწიწებ გუშინდელსა და დღევანდელ დღეს, — დაღლილი ხმით შეაწყვეტინა ალექსიმ. ადამიანთა გაუგებარ განსჯაზე ფიქრები, ადრიდანვე რომ აწვალებდნენ, ასლა მოუზღვავდნენ. ის დღე ეოაგონდა, ირმისში ჩამოსული ვიღაცა უცნობი კაცი დიტო ხირსელის მტრობაზე და ღალატზე რომ ლაპარაკობდა; ის ღამე მოაგონდა, ირმისელებმა რომ უთხრეს, დღეიდან ჩვენი თავმჯდომარე ხარო; თავით ფეხამდე ფქვილით შეთეთრებული მეწისქვილე მოაგონდა — ისე მოკვდა ტიტიკო, რომ ვერ გაიგო, იყო თუ არ იყო ხირსელთან მეგობრობაში მოტყუებული; ნეჩაევის ნათქვამი მოაგონდა, „ვერ გამიგია, მედვედევებისთანა ტიპებს რა ჰბადებს ჩვენს დროშიო". ამ დილით უკვე მეორედ დაინახა გაბო ნაცვლიშვილის სახე, „ცოლ-შვილიანად გადაიკარგაო..." რამ აიძულა ის კაცი გადაკარგულიყო? რაზე თქვა ნიკომ, შიში არ აკეთილშობილებს ადამიანსო, ვინა ჰყავდა მხედველობაში?"..

ნიკოს ეუცნაურა ალექსის გახანგრძლივებული დუმილი. გადახედა მეგობარს და განცვიფრდა, უცებ ისეთი გამოცვლილი ეჩვენა, გაზაფხულის მზემოკიდებულ სახეზე გაფითრება ლაქებად აჩნდა, მარცხენა საფეთქელთან ნაიარევის ირგვლივ წვრილი მოცისფრო ძარღვები ამოკემსოდა. ანთებული თვალები ბუდის კიდეს მოსდგომოდნენ.

იგრძნო ნიკომ, რომ ფიქრების ჯაჭვმა მიუვალ უღრანში შეითრია ალექსი და ფრთხილად დაუსვა მხარზე ხელი:

— რა გემართება, რა იყო, მე ახალი გითხარ რამე?

— ახალი არაფერი, ძველ ჭირს აახლებ...

— ეს ძველი ჭირი თავად ახლობს. მაგის გამოა, რომ ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა იცის: სჯობია მყუდრო კაბინეტში წიგნები იკითხო, ვიდრე რომელიმე მნიშვნელოვან საკითხზე საკუთარი აზრი იქონიო და ის აზრი დაიცვა...

— არ მინდა, ნიკო, შენ თვითონ ხომ სთქვი, მე ადამიანებში კარგის დანახვა მინდა, რაღად მიშლი? არ მინდა! — თქვა ალექსიმ, თითქოს შეესვეწა, დამინდეო.

მაგრამ ნიკომ არც ის დაინდო, არც თავისი თავი.

— გიშლი კი არა, აღსარებასავით გეუბნები, ეს საათი აღარ მობრუნდება, გული ვეღარ გაუძლებს. მომისმინე: იმ დაწყეველილ ოცდაჩვიდმეტ წელს თბილისში ვიყავი, სოფლის მოწინავე მშრომელთა აქტივის შეკრებაზე. ეშმაკურ-ქაჯურად მომიწია „სათვალებიან ურჩხულთან" პირისპირ შეხვედრა. იმისი გამოხედვა რომ მაგონდება, ეხლაც ჟრუანტელი მივლის. მეგონა, არა, მეგონა კი არა, ვიგრძენი, ძალზე მწვავედ ვიგრძენი, თითქოს შხამიანი ნესტარი დამასო-მეთქი... ჰოდა, მეც და ჩემისთანა ათასმა ხელები დავიწყვიტეთ იმის სიტყვაზე ტაშის დაკვრით, ვისაც კი ენა უჭრიდა, ქებით ცასზევით ასწია.. ასე იყო — სიტყვების კორიანტელით, ტაშის გრიალით ვიყუჩებდით, ვჩქმალავდით შიშს...

ნიკომ სული მოითქვა და განაგრძო:

— იმან რომ მოსკოვს გადაინაცვლა და აქ, თავის ადგილზე ეს პატიოსანი, ნასწავლი, განათლებული კაცი დატოვა, არ გეგონოს, რომ ეტყოდა, „შენ იცი და აქაურობამო". ა-არა! ალბათ აგრძნობინა, საქართველოს განმგებელი ისევ მე ვიქნებიო, და იმ თავის შხამიან ნესტარს დაასობდა. და მორჩა! ამან ჩემზე და შენზე უკეთ იცის, რამდენი ალალმართალი კაცი შეიწირა იმ ღვთისპირის მკაწრავმა, ჰოდა, დანაშაული რომ არა გაქვს რა, მაგრამ ერთთავად კი დასჯისა გეშინია, სვინდისს მაინცდამაინც რჯულამდე აღარ ჩაჰყვები, მით უმეტეს, თუ კაცს ხელმძღვანელი გქვია, მაგრამ მორჩილების მეტი არაფერი მოგეთხოვება. ჭკვიანი ჭკუით იქცევა, იმიტომ შეარქვა შისმა მწყალობელმა „ნაცადი ბოლშევიკი", ჩვენც კაჭკაჭებივით რომ ვიმეორებთ... ეხლა ნაბრძანები აქვს, საქართველო საკუთარი პურით უნდა უზრუნველყოო. და შეასრულებს, თუნდაც იცოდეს, რომ საზიანოა, მაინც ეცდება, მალე და კარგად შეასრულოს...

ნიკომ მოითქვა სული და განაგრძო:

— აი, ჩემში შენ მხოლოდ კარგსა ხედავ და იმიტომ გიყვარვარ, არა? ჰო, წესიერი, პატიოსანი კაცი ვარ, არც ვაჟკაცობა მაკლია, მაგრამ... მე ამ გულბილწი გულვარდიშვილისაც მეშინია, ტაშსაც ვუკრავ, ხან მის სულელურ აზრსაც ვუჭერ მხარს...

— შენ მაგას ხალხის სიკეთეზე ზრუნვა გაიძულებს... — დანანებით, უხალისოდ თქვა ალექსიმ.

— მერედა, განა ეგ მინელებს სიმწარეს? ოჰ, რომ იცოდე, რამდენჯერ შემბრალებია და შემძულებია ჩემი თავი, მაგრამ სხვა რა ჩარაა? მომაძრობს გულღვარძლი და მუხიანს თავის შინაკაცებს მი-

უგდებს დასატაცად. გაუჭირდება თუ რა? დაჩხაპნის პატარა ქალალდს, ცილს რამეს დამწამებს, მე გამაშავებს და თავის მხარდამჭერებს აამებს...

— ოჰ, ნიკო! — უჩვეულო თავშეუკავებლობით შეაწყვეტინა სიტყვა ალექსიმ. — ისე ლაპარაკობ, გეგონება, წუნკალი ადამიანების იქით გზა და სამართალი არ არსებობსო, გეგონება დაგვიწყებია, რომ ჩვენ ქვეყანას ხალხის სიკეთისათვის ფიქრზე და ზრუნვაზე გადაგებული თავკაცი ჰყავს! შიშმა ხომ არ გაიძულა დარიანის რაიონში პირველი არტელის ჩამოყალიბება?!

— ჰო, დიახ, მეშინოდა მამაშენისთანა მშრომელი გლეხები არ აეყარათ სოფლიდან!

ალექსი წამით დააბნია ნიკოს ნათქვამმა, მაგრამ თავი გაიქნია, ყელს მომდგარ სიმწარეს მოერია და ისევ კითხვები დააყარა ნიკოს:

— შიშისაგან გახდა თქვენი კოლმეურნეობა მილიონერი? შიშით მიაკუთვნეთ თქვენს მეურნეობას სტალინის სახელი? შიშისთვის შეგაქო და დაგაჯილდოვა იმ კაცმა, თუ გულით, სიყვარულით აშენებული მეურნეობისათვის, ჰა?.. თქვი, მითხარი!

— რა ვიცი, ჩვენ იმის მზესა ვფიცულობთ და ირგვლივ კი გაუგებარი რაღაცები ხდება...

— ძმობას გეფიცები, ნიკო, სიცოცხლეს დავთმობდი, ოღონდ ისინი გამასრესინა, ვინც არსაქნელ საქმეებს სჩადის, ვინც ჩრდილს აყენებს იმის სახელს... — ჩმადაბლა თქვა ალექსიმ და ბალახზე წამოწვა, ხელები თავქვეშ ამოიდო. სახე ძალზე დაღლილი, ნაცრისფერი გაუხდა, ბუდეში ღრმად შეკუჭული ჩამქრალი თვალებით ცისკიდის რომელიღაც წერტილს მიაჩერდა.

ნიკოს გული ჩაეწურა. მკერდზე დაადო ხელისგული:

— იცი, რას გეტყვი? სათქმელი თუ არსათქმელი ვთქვით და კმარა. გამარჯვების დღეს მე იმისათვის კი არ მოგძებნე, რომ ვისხდეთ და გული ვიღადროთ. დამშვიდდი და ყური მიგდე. კარგად იცი, ჩვენი გულვარდი ეცდება ამ ლოზუნგს რაც შეიძლება მეტი გამორჩეს.

— კისერი უტეხია! ადამიანების სულს, რწმენას არ უფრთხილდებიან და ვაზი რაა?

— ვაზი უნდა დავიცვათ. მაგისთანა არამზადები მოვლენ და წავლენ, მომავლები კი ჩვენ მოგვკითხავენ, ვაზს რა უყავითო.

— ჰო... — უგრძნობელი ხმით თქვა ალექსიმ. არც განძრეულა.

— წელს საყანე ფართობს ერთი-ორად გავზრდითო.

— ერთი-ათჯერ გაზარდონ...

— აი, ამ ნარიყალაზე ვაზი ჯერ არ მომაგრებულა, საძირკვავი გუთანი ზედ იორღასავით გააჭენებს.

— გააჭენოს, რა მენაღვლება...

— ვაზის ამოძირკვაზე შენ დაგაყენებენ, გეტყვიან, მეტი წილი ირმისელებისაო.

— მეც დაედგები....

— ოჰო-ო, რა სანახავი იქნება! მერე აღარც ნიშანგამოღებული ვაზი გაგიწევს წინააღმდეგობას.

— ჰოდა, საქმე გაადვილდება...

— დავიჯერო, ქართულ გუთანს შენ ჩაადენინებ ამ სიბოროტეს?

— ეხლა შენ მომისმინე, ნიკო, — წამოიწია ალექსიმ, — ომის დაწყებისას საბრძოლო იარაღი, ტყვია-წამალი გვაკლდა, გვშიოდა, გვციოდა, უკან ვიხევდით, მაგრამ ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის სიტყვა გვჯეროდა, „მალე ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაულიო". და ასრულდა კიდეც. იდღესასწაულა ყველამ, ვინც ამ დღესასწაულზე ოცნებობდა, ვინც იმ სიტყვის შესრულებას სწირავდა სისხლსა და სიცოცხლეს. ქეციანი გულვარდიშვილები კი იმ დღესასწაულის ნასუფრალით სკდებიან. ხეთქონ. იაშანი ჩააყოლონ. აისრულონ ნამცეცა გულის წადილი...

— ჰოო? საძირკვავი გუთანი გაატარონ შენს ძვლებზე? ყელზე დაადვებათ, ბიჭო! ადე, ადექი, ლაპარაკს გადავყევით და გვიგვიანდება, ადე, კეჟერაზე მივდივართ!

— კეჟერაზე რა დამრჩენია?

— ადე, დროს ნულარ ვკარგავთ, ნაკვეთები უნდა ავირჩიოთ!

— კეჟერაზე სასიარულოდ ჩვენ არც ტრანსპორტი გვეყოფა, არც დრო, არც მუშახელი, — ცივად თქვა ალექსიმ და არც განძრეულა.

— კეჟერაზე ნაკვეთები გვერდიგვერდ ავიღოთ, ემტეესთან ხელშეკრულება დავდოთ. ტრანსპორტი მე მაქვს და გვეყოფა. მუშაობაზე ასე შევთანხმდეთ: ვიდრე შენი ხალხი ვენახებს აუვა, მუხიანელები საყანეს მოამზადებენ, მერე ირმისელები რომ მოიცლიან, მუხიანელებს შრომადღეებს შრომითვე აუნაზღაურებენ, ურიგო სიტყვაა?

— კეჟერას ვინ დაგვანებებს? — წამოვარდა ზეზე ალექსი.

— თითონ გულვარდიშვილი! არა გჯერა? სიხარულით დაგვანე-

ბებს. იფიქრებს, ვერ მოერევიან და ორივე „საყვარელი" თავმჯდომარე თავისი ნებით გაებმებიან მახეშიო! მე და ჩემმა ღმერთმა, სწორედ ეგრე იფიქრებს, არ იცი, იმისი თხელი ჭკუის ამბავი?!

— ნიკო, ეგ კეთილი საქმე შენმა გულმა გიკარნახა, მაგრამ მუხიანელები დათანხმდებიან?

— კეჟერაც იმათ მიკარნახეს და ეს გეგმაც! ირმისელები კი რა ვიცი, რას იტყვიან.

— ულეველი დღე და სიხარული მიეცეს ნიკო ხელაშვილსო!

— ძალზე მიყვარს, როცა მლოცავენ.

— არ მოგბეზრდა?

— შე კაი კაცო, სიკეთე ვის მობეზრებია?

ლაპარაკით ჩაჰყვნენ ფერდობს. ნიკო ძლივს უსწორებდა ნაბიჯს თავქვე სწრაფად წასულ ალექსის.

სანდრა და აჩიკო უკვე მანქანაში მოკალათებულიყვნენ. ერთს ყვრიმალი ჰქონდა ჩალურჯებული, მეორეს — ქვედაყბა.

— რა ბევრი გვალოდინეთ! ვიგვიანებთ კეჟერაზე! — ერთხმად იყვირეს ბიჭებმა.

— კუდიანებო, ვინ გითხრათ, კეჟერაზე მივდივართო? — გაიცინა ალექსიმ.

— მამაჩემმა უთხრა დეიდა ხატულას და მე გავიგონე! — დაიტრაბახა აჩიკომ.

— თქვენისთანა მიგლეჯილ-მოგლეჯილ მეომრებს კეჟერაზე არ მიუშვებენ! — ვითომ დაიმკაცრა ხმა ნიკომ.

— დედაჩემი ხელათ დაგვიკერებს ღილებს! — გამოაცხადა სანდრამ.

— როდისღა? დეიდა ხატულაც მოდის, კეჟერას ჯერ პირველად აგრონომმა უნდა დახედოსო! დაავიწყდა, რომ ეს ორივენიც აგრონომები არიან! — ჩაიფხუკუნა აჩიკომ.

— დაავიწყდა კი არა! ღედაჩემს ყამირი გააგონე და ასი აგრონომიც რო იყოს, ყველას გაასწრებს! — ამაყად გამოესარჩლა დედას სანდრა.

საუცხოო შემოდგომა დადგა. გულუხვ ჭირნახულს გრძნეულთა საწირავივით მიმოეფანტა ირგვლივ სიმწიფის მსუყე ფერები. ველ-მინდვრები, ბაღ-ვენახები, მთაც და ბარიც უკუაფრქვევდა მუშა-ხელის მადლსა და ნაჯაფარს.

მარნებში მაჭარი დუღს. მოხარატებული აივნების ბოძებზე ხახვის და ნივრის გალა, ჯაგნები და აკიდოები ჰკიდია, ბოძებს შორის ხალიჩებივით გამოფენილი ჩურჩხელა-ჩირეული შრება. სხვენი, სარდაფი, საკუჭნაო გაჭედილია საზამთროდ დაბინავებული მარაგით. დილ-დილაობით თრთვილსა ჰკრეფს საშემოდგომო ბოსტნეული. ხელახლად აჭრელებულა სათიბი. აქა-იქ შავად ბზინავს ანეული. დამტკბარ ჰაერში ზუზუნით ირევიან ძილშეპარული ფუტკრები. მოლილისფრო ბურში ხეები მშვიდად ანანაებენ ყვითელ-წითელ-ლურჯფოთლებიან ტოტებს.

გვიანობამდე ხმაურობს ირმისი. დღეობა, დაბადება, ნიშნობა, ქორწილი, ნათლობა — ყველაფრისათვის ახლა მოიცალა ხალხმა. წკრიალა ჰანგებით, ხმაშეწყობილი სიმღერებით, სიცილ-კისკისით გადაჭედილია ქუჩები, შუკები, ეზოები, სახლები.

ალექსი ხშირ ბინდისას წამოვიდა მეფრინველეობის ფერმის მშენებლობიდან. არ ეთმობოდა იქაურობა, მაგრამ ამაღამ ვაჟას ქორწილია. ვაჟას და იმ „ყაყაჩოს“ ჯვარისწერაა ამაღამ.

ალექსიმ გახედა ფერად-ფერადი ფანრებით განათებულ ნატაძარს და სიცილი ძლივს შეიკავა: ნეფე-პატარძალს ქვეყნის ძმობილი, დობილი, მეგობარი, ამხანაგი, მოყვარე და ნათესავი აღმოაჩნდა. მოდის და მოდის ხალხი ქორწილში. გული უსკდებათ ნატაძრელებს: სტუმარი ღვთისაა, მაგრამ რა გვეშველება, თავი არ მოგვეჭრასო!

„უსაშველო რა გჭირთ, ნატაძრელებო?! — ეღიმება ალექსის, — ნეფე-დედოფალი გიბედნიეროთ და დაე, წლისწორს ნათლობაზე ორი ამდენი ხალხი გეწვიოთ, ირმისელებიც თქვენი სტუმრების მასპინძლები არ არიან?“ — ეღიმება ალექსის. ჩქარობს, უნდა მოასწროს შინ მისვლა, სანდრას ტკბილი ძილი უსურვოს. რა მეჯვარეა, ქორწილში თუ დაიგვიანა? ჩრდილ-ჩრდილ მიდის და უხარია, რომ ხმაურობს ირმისი. იმხიარულონ. ღირსნი არიან. პირნათლად გამოჭიდნენ სახელმწიფოსთან, რაიონთან, კოლექტივთან. პური, ღვინო,

ხილი, ბოსტნეული, მატყლი, ერბო, ყველი, აბრეშუმი — ყველაფრის ანგარიში გასწორებულია, ახლა მუხიანელებს უხდიან ვალს, კეჟერაზე პურს სთესენ.

ჩქარობს ალექსი. აი ირმისის მთავარი ქუჩა, პროსპექტივით ფართო „მშვიდობის ქუჩა". მას ორსავ მხრიდან უერთდებიან მომცრო ქუჩები და შუკები. აი დოდაშვილების ქუჩა — დოდაანთ უბანი. ოთხმოცამდე დიდი და პატარა დოდაშვილი ცხოვრობს ამ ქუჩაზე, თორმეტი, ერთმანეთზე უკეთესი ვაჟკაცი ალარ დაბრუნებულა ომიდან. იმიტომ დაარქვეს ამ ქუჩას „დოდაშვილების ქუჩა"...

მიდის ალექსი, ეჩქარება და ჩრდილს აფარებს თავს, შემხვდურებს ერიდება, მაგრამ ვეგონება, წინ მაცნე მიუძღვისო — გასცდება ერთ სახლს და ახლა მეორე სახლთან ეგებება მასპინძელი:

— ალექსი, ერთი წუთით შემოიარე ჩვენთანაც!

„ჩვენთანაცო" ისე ამბობს, თითქოს ეუბნება: თუ კაი კაცი ხარ, მეზობლებში ნუ გამომარჩევო...

— ეს ბურვაკი სამი ფუთი გამოვიდა, — თავმომწონედ აუწყებს მასპინძელი, — შაშხსა ვდებ, აბა, ნახე, ივარგებს?

ეცინება ალექსის. მას თავის დღეში არც საკლავისთვის უყურებია, არც შაშხი უკეთებია, თვითონ მასპინძელი კი შაშხის ისეთი ოსტატია, რომ ალექსი გულდამშვიდებით უდასტურებს:

— ზორბაა, ძალიან ზორბაა! — ამბობს და მაშინვე თვალწინ დამდგარი ლიოშკა ბოგუჩაროვის სახე ულვიძებს მიყუჩებულ სევდას: ომს რომ გაღარჩენოდა, ირმისს უეჭველად მოაგნებდა ის ბიჭი...

— ალექსი, აგრეთვე შემოგევლება ჩემი თავი, ერთი შემოგვხედე ქვრივ-ობლებს! — ესვეწება ჭიშკართან დადარაჯებული, დოდაანთ ნატალია, სანშიშესული, ჭკვიანივალება, ქალთა მეხილე ბრიგადის ბრიგადირი.

დოდაანთ ნატალიას ხვეწნა რად უნდა, როდის იყო ალექსი გვერდს უქცევდა ფრონტიდან არდაბრუნებული მეგობრის ოჯახს?!

— თონე გაგიხურებიათ, პურის სუნი ბნიდავს აქაურობას!

— ამ არგასაშვებმა ბიჭებმა ალარ დამაყენეს, თითის განძრევაზე გასამრჯელოს თხოულობენ! — ვითომ ჯავრობს ნატალია.

— ვეება ტომარა მოათრიეს წისქვილიდან, — თქვა თავმომწონედ თავისი ტყუპი ბიჭის მისამართით ოჯახის რძალმა, მოხდენილმა,

შავთვალწარბა ოლინკამ, ეგებ არც ქვრიემა — ომში დაკარგული ელიზბარის ცოლმა.

— ახალი ფქვილის ნაზუქები დაგვიკარი, — განაგრძობს ნატალია. — ალექსი, აბა გასინჯე, როგორ მოგეწონება.

ალექსი სინჯავს მსუყე, სურნელოვან ნაზუქს და იღიმის. ნატალიასაც ქება კი არა, ეს უნდა, მისი გაღიმება.

— ძია ალექსი, ეს ჩემი ნაზუქია, სანდრას წაუღეთ რა! — ეტმასნება პატარა ნატო და ჯიბეში მოურიდებლად უჩურთავს ცხელ ნამცხვარს. ამ პატარა ლოყაწითელ ნატუკას გამობოდიშება არ სჭირდება. ის მთელი ოჯახის ნებიერაა, მთელი უბნისაც. ამ კოკანდარას ომში წასული მამა არ უნახავს და იმიტომ.

— ალექსი, ალექსი! — ეიახიან აქეთ-იქიდან, სთხოვენ „ერთი წუთით". ყველას უნდა ჩაიზიაროს, უნაწილოს სიხარული, სითბო, სინათლე და სიკეთე, რაც ამ კაცის გულმა და გონებამ შეატანინათ ოჯახში.

ალექსი ჩრდილს აღარ ენდობა, ოდნავ საჩენი ბილიკით იმოკლებს გზას შინისკენ, მაგრამ ეს რაღაა? პირი ხომ არ შეკრეს ირმისელებმა, განზრახ ხომ არ უგვიანებენ მეჯვარეს ქორწილში მისვლას? ბილიკი გოგოს და ბიჭს გადაურაზავთ.

— შენ, არ იძახდი, დალის დიპლიპიტოს ჯოხებს უგავს ფეხებიო? — უწყრება ვიღაცას ოზბეთელაანთ გოგო.

— ვიძახდი. — ჩაიბუსუნა ბიჭმა, და ალექსიმ მეჩუქურთმე სამებას შვილი მალხაზი იცნო, ტრაქტორის საბმურის მიმბმელი ბიჭი, მთელ დღეს შამვივით რომ სტვენს.

— შენ არ იძახდი, დალი ისეთი ყარაჩია, ირმისხევიც ვერ დაჰბანსო?

— ვიძახდი.

— შენ არ იძახდი, დალის თვალები ნამიანი ბალახიაო?

— ვიძახდი, ჰო, ვიძახდი, მერე რა?

— ჭირი და დარდუბალა! ეხლა სიყვარულზე ლაპარაკს მიბედავ?

— შენ გირჩევნია მკითხო, ეგრე რათ ვიძახდი!

— რათა? აჰა, გეკითხები, რათა-მეთქი?

— მამწონს ეგ ყველაფერი და იმიტომა! სხვანაირად როგო მეთქვა, ვინც რა ჭრელა-ჭრელა სიტყვებით გაამოს, ტყუილია, ჩემსავით არავის დაეხატები!

— „დაეხატები!“ — გამოაჯავრა გოგომ და, ჩანს, სიხარული ვეღარ დაფარა, გადაიკისკისა.

„ჩემთვის დახატული ხატულა კი დილითვე გააქანეს ნატაძრელებმა, სადედოფლოს დაგვიმშვენებსო“, — ჩაეცინა ალექსის და ბილიკზე გააბოტა, დაიფრთხო შეყვარებული გოგო და ბიჭი.

ახლა მშენებლობას უნდა ჩაუაროს შეუმჩნევლად, თორემ აქაც გააჩერებენ. მუხიანელი კალატოზები მუშაობენ. ნიკო ხელაშვილს დაუშინებია: „ახალწლისათვის რჩეულიშვილის სახლი მზად რომ არ იყოს, მუხიანში აღარ მოგიშვებთო“. ალბათ იმიტომ ისმის ამ გახშირებულ ბინდშიც ჩაქუჩების გამალებული რაკუნი. უხარია ალექსის, სანდრა-პაპისეული ქოხის გვერდით აუგეს სახლი, ოზბეთელაანთ მეზობლად იცხოვრებენ, ტკბილი და პატიოსანი ოჯახია. ეჰ, რა ბიჭი დაეღუპათ ომში! საცოდავი ივანიკა შვილის დარდმა ჩაალოგინა. თუმცა ელიზბარისა არ იყოს, დაღუპვის უწყება არც ამათ მიუღიათ...

როგორც იქნა, გამოჩნდა ნაძვიც და განათებული სარკმელიც.

სანდრა ალბათ წევს და მამას ელოდება, თან ჯაფარაანთ ლიზას ამღერებს. ლიზას ამბავიც უკვირს, ბავშვებისათვის თათანებს, მთხოვნელებიც არ აკლია და უქმარ-შვილოდ რასა ზის ნეტა?! ხატულა აბრაზებს ხოლმე, „შინაბერაო“...

ალექსი ნაძვთან რომ მივიდა, ქოხის კარი გაიღო და გარეთ სანდრა გამოსრიალდა, გაოცებულ მამას მივარდა:

— სადა ხარ აქამდე, მამი, არ იცი, როგორ გიცდიდი! — აღელვებისაგან სულს ძლივს იბრუნებს ბიჭი. — წამო ჩქარა, ბიძაჩემი მოვიდა!

— ვინ ბიძაშენი?

— შენი ძმა არ იცი, ძია ლევანი? რაღას დადექი, წამოდი! ფაშისტების ბანაკებზე ისეთი რაღაცები გვიამბო, რო ლიზა მოკვდა ტირილით!

— დიდი ხანია?

— მთელი საღამო ტირის და ტირის, ეგრე აქვს თვალები დასიებული!

— ლევანი, დიდი ხანია ლევანი მოვიდა?

— ჯერ მზე არც იყო ჩასული.

— კარგი, სანდრა, წადი, მე ეხლავე მოვალ.

— რაღას დადექი, წამო რა! ნატაძრელებიც წარამარა გკითხულობენ, არ გესმის, მამი?

— მესმის, შვილო, შენ წადი, გაართე, მეც მოვალ, წადი, ძალიანა ვთხოვ.

— მეცა გთხოვ, მალე მოდი! — უთხრა სანდრამ და უხალისოდ გატრიალდა.

ალექსი ნაძვს მიეყრდნო, ხელისგულით დაიზილა მკერდის მარცხენა მხარე. არ შეიძლება იცინოს. სიცილმა ატკინა გული. არა, ცუდი შვილი რომ იყავი, მან გატკინა გული. მერე რა, მამამ ირმისში დაბრუნება რომ არ ინდომა? შენ უნდა გცოდნოდა მამის ხასიათი. უირმისოდ ვერა სძლებდა, მაგრამ არ დაბრუნდა. მერე რა, ქალაქში რომ მიაკითხე და არ მიგიღო? „ცეროდენამ უარი თქვა ჩემს მამობაზე და ეხლა ჰგონია, მაგის სამოწყალოდ გამიხდა საქმეო". სიკვდილის პირს ხომ დაგიბარა? ისიც ხასიათის გამო იყო — დაგიბარა და შუბლი კი არ გაგიხსნა. ხმა აღარა ჰქონდა, ჩურჩულით გითხრა, „მოხვედი, გონჯაურა?" ისე გითხრა, რომ შენ მაშინლა მიუხვდი მის სიყვარულს, ლევანი და მარინეც იქ იყვნენ, მაგრამ მარტო შენ გიყურებდა, მარტო შენ უნდოდი. და შენ ცუდი შვილი იყავი, გვიან მიუხვდი... მაგრამ არც შენა ხარ ჩემთან მართალი, მამაჩემო. სანამ ცოცხალი მეგულებოდი, შენი პირველად ნათქვამი, დამცინავი „გონჯაურა" მტანჯავდა. აღარ იყავი და, სიკვდილისპირს სიმწრით თქმული „გონჯაურა" დამრჩა შენგან სახსოვრად. ძალიან დავისაჯე. მთელი სიცოცხლე მაკლდი. სულიმწარედ მინდოდა შენს შვილებში მაინც მეპოვნა შენი ნასახი, მაგრამ არც ძმას ვუნდოდი, არც დას. არ ვიცი, რატომ არ ვუნდოდი... ეხლა კი ლევანი ჩამოსულა. არც მინდა ვიცოდე, აქამდე რატომ არ ვუნდოდი. დაილოცოს აქ მოსვლისათვის. ჩანს, სიხარულსაც სცოდნია გულის ატკიება. მაგრამ ეხლა ტკივილის დროა?..

ალექსი სახლისკენ გაეშურა.

— ლევან! — შესძახა კარიდანვე.

ბუხართან მდგომ ახალგაზრდას სახეზე ალმა აჰკრა. უხერხულად დაიწია უკან, ზურგით ბუხართან დადგა და დამცინავი პრანჭვა-გრეხით უთხრა:

— ბოდიში მომიხდია ამ თქვენ სასახლეში შემოჭრისათვის!

ძმისკენ გაწეული ხელები დაუცვივდა ალექსის. ოთახი შეათვალიერა. მაგიდაზე ხელუხლებლად დარჩენილიყო ვახშამი. მხოლოდ ღვინის ბოთლი იდგა ცარიელი. ლიზა თაროს ქვეშ შეკუჭულიყო და ჭრელი ყელსახვევი აეფარებინა სახეზე. სანდრა უმოძ-

რაოდ იჯდა ტახტზე და შეშფოთებული შეჰყურებდა ხან მამას, ხან ბიძას.

ალექსიმ ისევ ძმას შეხედა. ლევანს წელანდელი სიწითლე გადასწმენდოდა და მის შეშუპებულ სახეს ახლა მკვეთრი სიყვითლე დაჰკრავდა. ყველაფერი არაბუნებრივი იყო მასში. არაბუნებრივად მოხრილიყო წელში, არაბუნებრივი იყო მისი დამცინავი ღიმილი, კილოც, და მხოლოდ თვალები... ალექსის არასდროს არ ენახა ისეთი თვალები. შიგ ტბასავით დაგუბებული სევდა ისე ლაპლაპებდა, თითქოს ველარ ეტევა და ეს-ესაა გადმოიღვრებაო.

ალექსი მძიმედ დაეშვა სკამზე.

— გაკვეთილები მოამზადე? — ჩუმად ჰკითხა ბიჭს.

— ხვალ ხო კვირაა...

— მაშ, წადი, დაწექი, ვეიან არის.

— ძია ლევანი? ძია ლევანი სად დაწვება? — ჩიტივით შეფრთხიალდა სანდრა, ბუხართან მიირბინა, ორივე ხელით ლევანს ხელები დაუჭირა და ხვეწნით ჰკითხა: — დილაზე რო გავიღვიძებ, ხო დამხვდები?

— არ ვიცი... — დააბნია ბავშვის კითხვამ ლევანი და უცებ არაბუნებრივი არ დარჩა მასში არაფერი. — არ ვიცი, სანდრა. შენ დაიძინე, — უთხრა დაბნეულადვე და გაუღიმა. თვალები კი ისევ ისეთი ჰქონდა, თითქოს ვერც ღიმილი, ვერც სიხარული ვერ დასძლევდა შიგ დაგუბებულ სევდას.

— ლიზა, შენ ეახარებას, მიხედე ბიჭს, — სთხოვა ალექსიმ ქალს და თავი მაგიდაზე დაყრდნობილ ხელებს დაანდო.

სანდრა და ლიზა უსიტყვოდ გავიდნენ პატარა ოთახში. ლიზამ კარი მიიხურა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს იმ კარის არც აქეთ და არც იქით არავინ იყო. მერე ალექსიმ დაარღვია სიჩუმე.

— დაჯექი, ლევან, სათქმელი არაფერი გაქვს?

— არა.

— რად მიჯავრდები?

— გიჯავრდები? — გაბმით ჩაიკითხა ლევანმა და ისევ არაბუნებრივად დაეპრანჭა სახე. — სულაც არა. აქეთობას ვჯავრობდი, მერე კი გადამიარა. ეხედავ, კაცი თავის თავისთვისაც არ ვარგებულა, სხვას რა იმედი უნდა ჰქონდეს მისი.

— შენ სიტყვასიტყვით იმეორებ ზოგიერთების აზრს ჩემზე.

იმათ ვიცი, რაც აწუხებთ, მაგრამ შენ? რის იმედი უნდა გამემართლებინა?

ლევანმა კითხვაზე არ უპასუხა, თავისი განაგრძო:

— თავმჯდომარედ შენ არ ვარგებულხარ, გემდურის რაიონის ხელმძღვანელობა. რა მეოჯახეც ხარ, თვითონ ვხედავ, თუმცა რა ვიცი, ეგებ ცოლ-შვილი ამ ქოხში იმისთვის დაგიმწყვდევია, ნათესავებმა არ შემაწუხონო.

— წესიერ სახლში უკეთ მოგასვენებდი, მაგრამ ამ ქოხშიც უთენებია კეთილ ადამიანებს, განა ეგ არი მთავარი?

— სასახლე რომ დაეხვედროდა, არც შემოვიდოდი!

— გულს რად იავებ, ბიჭო, რა დაგიშავე?

— დამიშავე, დიახ! შენცა და შენისთანა „გმირებმაც!"

ლევანმა დაცლილი ბოთლიდან ორიოდე წვეთი ღვინო ჩამოწურა და ტუჩები გაისველა. მერე ისევ ბუხართან დადგა, ხელები ცერებით დაიკიდა ქამარზე და ღვარძლიანად დაილაპარაკა:

— ჯერ იმაზე მქონდა სიცოცხლე გამწარებული, შავსიელის შვილი ხარო. სხვაზე კარგაც ვსწავლობდი, კარგადაც ვმუშაობდი, მაგრამ თუ ჩემთვის სიკეთე გამოჩნდებოდა საითმე, მაშინვე ვინმე გამომიხტებოდა, შავსიელიაო. ბოლოს დაადგინეს, რომ არც შავსიელი ვიყავი, არც თეთრსიელი, და ჯარშიც გამიწვიეს. ის იყო ომიც დაიწყო...

ლევანი სიტყვებს ჩქარ-ჩქარა ისროდა, თითქოს ეშინოდა, ლაპარაკი არ ამიკრძალონო. სმაში ღვარძლი ერია, აუტანლად სევდიანი თვალები კი მოუნაცვლებლად ჰქონდა ერთ წერტილს მიპყრობილი.

— დათვივით მივამტვრევდი. ვიძახდი, ამის პატრონიც არ იყოს, ან გავიმარჯვებთ და ყველანი გავთანასწორდებით, ან ჩამაძაღლებენ და ამ ჯასირს დავეღწევი-მეთქი...

— რომელ ნაწილში იყავი?

— მესანგრეთა ბატალიონში. წინ-წინ ჩვენ მივძვრებოდით. მაქებდნენ, მაჯილდოებდნენ, მაგრამ უბედურება რა იქნებოდა, ამოჩემებულ ადამიანს ღდინი თუ არ გააცალა?! ერთი ხელისგულისოდენა მინდორს ვნაღმავდით, ზედ სევასტოპოლთან იყო, და იმ მინდვრიან-ნაღმებიანათ აგვაფეთქეს რჯულძაღლებმა. რაღა გონს მოსასვლელი ვიყავი, ტყვეობაში მოვედი გონს... აქეთ-იქით გვათრიეს, გვათრიეს და ბოლოს ბუხენვალდში ჩაგვყარეს...

განთავისუფლებული „სიკვდილის ბანაკებში“ ნახული სურათების მოგონებამ შეზარა ალექსი. „ის საწამებელი აუტანია და მერე რაღამ გაამწარა ასე, რამ?“ — გაიფიქრა მწველი თანაგრძნობით.

— ბევრჯერ ვკვდებოდი, მაგრამ ამხანაგები მიბრუნებდნენ სიცოცხლეს... — განაგრძობდა ლევანი, — ბოლოს ჩვენებმა გვიხსნეს. განა მატარებლით, ფრთებით მოვქროდი სამშობლოსაკენ, თურმე რა გაჩქარებს, შე ოხერო?.. თუ იცოდით, რომ ტყვეობაში ნამყოფს შინ აღარ მიესვლებოდა, იქვე რატომ არ ჩაგვაძაღლეთ, ჰა? გმირებო! თავი ისახელეთ, სალხი ტყვეობიდან ვიხსენითო! თქვენ თავი ისახელეთ, და ჩვენ? მე? სიკვდილამდე დაბადების დღე უნდა ვიწყევლო?

— რას ამბობ, ლევან, რა სისულელეს ამბობ, გესმის? ტყვედნამყოფი აქაც არიან, არვინ ერჩით, დანარჩენებივით ცხოვრობენ და მუშაობენ. თენგიზი, შენი ბალღობის მეგობარი, თენგო ლალიაშვილიც ტყვედ იყო და აბა ინახულე, ერთი საუკეთესო ბრიგადირია.

— მე მარინესთან მეჩქარებოდა, გავაბედნიერებ ჩემ დას, ცოცხალს დამინახავს-მეთქი... — ლევანი ჩაჩუმდა. ეტყობოდა, ყველაზე მეტად ამის გახსენება და თქმა უმძიმდა. ზაფრანისფერი დაედო.

— რაო? — დაჟინებით ჩაეკითხა ალექსი. უნდოდა ყველაფერი სცოდნოდა.

— ჩემმა სიძემ... ტყვეობაში ნამყოფს, ჩემს ოჯახში ვერ მივიღებო და გირჩევ, ნურც სხვაგან გაამხელ, ტყვედ რომ იყავიო...

ალექსიმ სკამი მიიტანა ბუხართან, ძმას მხრებზე ხელები დაადო, ძალით დასვა და უთხრა:

— შენ კარი შეგშლია, ჩემო ლევან, იქ არ მისულხარ, სადაც უნდა მისულიყავი.

— შენ გგონია მარინეს ქმარმა მარტო თავისი სახლიდან დამითხოვა? ის ხომ „სელმძღვანელი პარტიული მუშაკია, ნომენკლატურული?!“ იმისი რჩევის მერე ვისლა გავკარებოდი? რისთვის გავკარებოდი „რჩევა-დარიგების“ მისაღებად?

— შენ მამისა არც ჭკუა დაგყოლია, არც ნების სიმტკიცე. ის სიძე-კაცი უაზროდ, უშინაარსოდ გაფრთხილებია თავის „ნომენკლატურას“, ალბათ, იმიტომ რომ, მაგის იქით არაფერი გააჩნია. და შენ კი, შენ? რეგვენმა სიტყვამ ეგრე უნდა გაგაბოროტოს? მერე რა ჰქონი, სადღა წახვედი?

— ყარაიაში დავდექი შავ მუშად. კარგი ბიჭები იყვნენ. დღესაც

იმათთან ვიქნებოდი, მაგრამ ბრიგადირი უნამუსოდ ითვისებდა ჩვენ ნამუშევარს და ვერ მოვითმინე. ერთი წვრილშვილი მუშა გვყავდა, იმის გულისთვის ვეჩხუბე და იცი, რა მითხრა? „შენ რა გალაპარაკებს, ჯაშუში რომ არა ჰყოფილიყავი, ფაშისტები ტყვეობიდან ცოცხალს არ გამოგიშვებდნენო", გესმის? ქურდმა, ნაძირალამ მითხრა. კინალამ შემომაკვდა, ძლივს გამაგდებინეს ხელიდან, ციხესაც ამაცდინეს, მატარებელში ჩამსვეს, წადიო. ჰოდა, მაშინ ვიფიქრე, მოდი ერთსელაც შევხედავ იმ მხარეს, სადაც „საამური ცხოვრებისათვის" დავიბადე და მერე რაც იქნება იქნება-მეთქი...

— რამდენი არამზადა დადის ქვეყანაზე, იმათ კერძად გახდომა რა ბედენაა?

— იმ არამზადას ნებადართული აქვს ისე მოიქცეს, დიახ! ომი არ უგემია, მაგრამ იცის, ნაბრძანები იყო, მტერს ცოცხალი არ დანებდეთო.

— ძალიან გაგბოროტებია გული, ლევან, განა მაგ ბრძანებაში არ არის ვაჟკაცობა? ომის დასაწყისი არ გახსოვს? ფაშისტური არმიის უძლეველობა მთელ მსოფლიოსა სჯეროდა. რა იქნებოდა, ეს ჩვენ ჯარისკაცსაც რომ დაეჯერებინა? რაც უნდა გმირი იყოს, ადამიანი ადამიანია, ეგებ გაფიქრებაც ვერ მოასწროს, ისე დაყაროს იარაღი „უძლეველი" მტრის წინაშე...

— მე ეგეთი ჯარისკაცი არ შემხვედრია! მე რომ მე ვიყავი, ჩემ ქვეყანაში ხმა და უფლებაწართმეული, ასი სიცოცხლე რომ მქონოდა, ასივეს ჩვენ გამარჯვებას შევალევდი. არ ენდობოდნენ თავის ხალხს?

— განა არ იცი, ტყვეობაში ზოგი ვერ უძლებდა ტანჯვა-წამებას და მტრის დავალებით ბრუნდებოდა?

— მერედა, შეიძლება თითო ლაჩრისა და მოღალატის გულისათვის ათასი ერთგული გასწირო? საქმეც ეგ არის, თურმე შეიძლება...

— ნუთუ შენმა ტანჯვამ მთლად დაგივსო თვალები? ნუთუ მთელ სიცოცხლეში მხოლოდ შენი გაჭირება დაიხსომე? სხვაც არა იყოს რა, შენ ჯავრი ვიყრია, ის ერთი ქურდი და ნაძირალა მაინც დაგისჯია, მე... მე ეგეც ვერ მოვახერხე...

ახლა ლევანი დააკვირდა ძმას და დამცინავმა ღიმილმა უარესად დაუპრანჭა სახე.

— ვერც მოახერხებ.

— ეგრე უმწეო გგონივარ? — ჩუმად ჰკითხა ალექსიმ.

— არა, იმიტომ რომ, თქვენ აზრადაც არ მოგივათ არამზადის დასჯა! თქვენ ყველანი ერთმანეთთან შეთქმულებივით, დაყრუებას, დაბრმავებას, დამუნჯებას ირჩევთ. რაც თავი მახსოვს, სულ ეგრეა. მე ალბათ ჩემმა ტანჯვა-წვალებამ ამიხილა თვალები და ენაც ამილაპარაკა. მე უცებვე დავინახე დარიანში ის, რაც შენ არ გინდა დაინახო. მახსოვს... ბავშვობაში მამა ლოყაზე ხელს რომ მომითათუნებდა, მეეონა, ფოცხი გადამატარეს-მეთქი, მუშაობისაგან ისე ჰქონდა ხელი დაკოჟრებული. თუ მამაჩემს თავისი შრომისმოყვარეობის გარდა, ქვეყანასთან სხვა ბრალიც მიუძღოდა, მე ერთი-ათასად მოვიხადე სასჯელი. არა? შენზე ამბობენ, მართალი კაციაო, თქვი, ვარ თუ არა ვარ ვალმოხდილი?

— მაგაზე ნულარ ფიქრობ, გულს ნუ იჭამ, ლევან, ჩვენი მამა ცამდე ალალი კაცი იყო, აკი უთხრეს, დაბრუნდიო...

— აა, უთხრეს! ჯერ გეგმა შეასრულეს, კოლექტივიზაცია ჩავატარეთ და რაც გვევალა, იმაზე მეტი განვაკულაკეთო, მერე თქვეს: უკაცრავად, სოციალიზმის მშენებლობის წარმატებისაგან თავბრუ დაგვეხვია და ცოტა შეგვეშალა, შეგიძლიათ, დაბრუნდეთო. მამაჩემი ძალიან სწორედ მოიქცა, რომ არ დაბრუნდა, ყველას გული სპილენძისა ხო არ არის, მოიკალოს და ისევ აპრიალდეს?!

— რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია, როდის მაგან ჩაიარა, რაც იყო, წყალმა წაიღო.

— და ხალხმა იმ წყალს გააყოლა თავისი სიტყვა, სიმართლე, ვაჟკაცობა?

— ახალი საქმე იყო, უცნობი, უჩვეულო, ხალხი ერთბაშად ვერ გაერკვია, ნუ დაადანაშაულებ, ნუ ემდური, ნუ...

— ის ხალხი, შენ რომ გინდა ემაგ შენი ტკივილით დაიცვა ჩემგან, მე შენზე მეტად მყვარებია, მე არ ვაკადრებ „ვერ გაერკვიაო ეგ ტყუილია. მაშინ თუ ვერ გაერკვია, მერე? როცა ერთ ძმას მტრად და მოღალატედ აცხადებდნენ და მეორეს ტაში უნდა დაეკრა, მაშინაც ვერ ერკვეოდნენ?

— რად გინდა, ბიჭო, რისთვის ინახავ გულში მაგ ბალღამს? — თხოვნით უთხრა ალექსიმ.

— სულაც არ მინდა, მაგრამ რა ვქნა, დასავიწყებელი წამალი ვერ ვიპოვნე.

— ცუდად გიძებნია, აი აქ იცხოვრებ, ხალხში იცხოვრებ და...

— ჰოო?.. — დაცინვით გააწყვეტინა ლევანმა, — ეგებ მართლაც

იოლი იყოს შეთქმულად ბრმა-ყრუ ხალხში ყოფნა, მე დარიანშიეე გავმხიარულდი!

— დარიანში რას უნდა გაემხიარულებინე?

— მაშ, სასაცილო არ არის? რაც მამაჩემისთანა ორმოც გლეხს, ერთად აღებულს გააჩნდა, ის ერთ თქვენ გულვარდიშვილს წვრილმან სახარჯოდ, კბილის ქარად არ ეყოფა!

— მაგას მალე მიმხვდარხარ, მაგრამ ეგ სასაცილოა?

— ძალიან! ეს თურმე ყველასა სცოდნია და ძველი ამბავიც სწორედ ამან გამახსენა. ეხლაც „ვერ ერკვევა" ხალხი და იმიტომ არი გაჩუმებული?

— იქნებ არ არიან გაჩუმებული... — მოგვიანებით თქვა ალექსიმ.

— ოო, ვითომ ბედავთ ხმის ამოღებას? ტყუილია. შენც იცი, ეგ თავის მოტყუებაა. შენ გიყვარს ხალხი და საკუთარ თავსაც არ გინდა გაუმსილო მათი გაჩუმების ნამდვილი მიზეზი. მეც მიყვარს ჩემი ხალხი და იმიტომ მინდა ვოქვა მიზეზი: „ვერ გაერკვია" კი არა, მაშინაც და ეხლაც შ ი შ ი ჰკრავს ადამიანს!

ალექსის უცებ ნაცრისფერი დაედო. ცხრა მაისის დილას ნიკო ხელაშვილთან საუბარი მოაგონდა. პირი, ხახა ამოუშრა, როგორც მაშინ, გამშრალი ენა ძლივს მოატრიალა:

— დაუშვათ არ ეშინია, რა უნდა ქნას ადამიანმა, რა? — ჰკითხა და წამოდგა, წყალს წაეტანა, მაგრამ კოკურას ხელი უშვა და შემკრთალი შემოტრიალდა.

ლევანი იცინოდა. ტუჩებზე ხელები აეფარებინა და უცნაურად იცინოდა. მხოლოდ ხმით იცინოდა და სახის კუნთები აწყობილიყვნენ სიცილად, თვალებში კი ისევ სევდა ულივლივებდა.

— ალექსი! — დაიძახეს გარედან.

ალექსის კარისკენ არც გაუხედია, ძმასთან მივიდა, ხელები აართვა ტუჩებიდან და ღონივრად დაუწია ძირს.

— რა იყო, რა გემართება? რამ გადაგრია?

— სიხარულმა! ჩემი ბედი, გაჩუმებული რომ ხარ, თორემ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ძმა არ მეყოლებოდა, ვისღა შევეკედლებოდი?

— დამშვიდდი! — აუწია ხმას ალექსიმ.

— არ გესმის, რა ბედნიერებაა, გაჩუმებული რომ ხართ?! ღმერთმა ნუ ქნას, ხმა ამოიღოთ, მაშინ ხომ მიზეზი ექნებათ, მთლად, ერთი ხელის მოსმით მთელი ქართველობა აყარონ საქართველოდან!

— ალექსი! — კართან მოდგა ძახილი და ხმაური. — ჰეი, მეჯვარეევ, სად დაგვეკარგე? მართალია, ლევანი ჩამოვიდაო?

— შენ ავადა ხარ, ლევან, — კინაღამ მაჯები დაულეწა ალექსიმ ძმას. — დაისვენებ, დამშვიდდები, ადამიანებში მოტრიალდები და ნახავ როგორა სცდები! — უთხრა და ხელი უშვა, კარისკენ წავიდა.

ოთახში ხმაურით შემოლაგდნენ ვაჟას გამოგზავნილები, შეძახილებით შემოეხვივნენ ლევანს, ყველაზე წინ მას თენგო ლალიაშვილი მივარდა.

— მოგაგონდით, შე სახეძაღლო? მოგაგონდით, შე გაგარეულებულო?! დაგავიწყდით, შე უჯიგრო? — გაღაეხვია აცრემლებული.

— რაებს იძახი, კაცო, ირმისი და ირმისხევი დაავიწყდებოდა? — ეულაჩუყებული ესვეოდნენ ლევანს სხვებიც, ზოგნი კი ალექსის ულოცავდნენ ძმის ჩამოსვლას.

მოსულებს კითხვები და შეძახილები აღარ ელეოდათ და ბოლოს ერთმა სანდაბმულმა ნატაძრელმა იყვირა:

— ხალხო, ნეფე-დედოფალი ხო არ დაგავიწყდათ, ჰაა? აბა, მეჯვარეევ, გაგვიძეხი, წავიდეთ, დანარჩენი სათქმელი იქა ვთქვათ!

ლევანი უარზე იყო, ქორწილში წასვლის არც თავი ჰქონდა, არც სურვილი. იყო გაწევ-გამოწევა, დავა, კამათი. თენგო ეჩხუბებოდა, სხვები ეხვეწებოდნენ და ვერ ითანხმებდნენ.

ამ აურზაურში ხატულა შემოიჭრა ოთახში.

— მართალი ყოფილა! — დაიძახა, ხალხი მისწი-მოსწია და ბუხართან მიირბინა, ლევანს ჯერ ხელი ჩამოართვა, მერე გადაეხვია და აკოცა, მერე ოდნავ უკან დაიხია და ბეჯითად შეათვალიერა.

— დაღლილი ჩანხარ, ეტყობა, შორი გზა გქონია... — თქვა თითქოს თავისთვის და ისევ მიუახლოვდა, მხრებზე ხელი მოსვია: — ძალიან დაღლილი ხარ? — ჰკითხა მოფერებით.

— ძალიან.... ხატო... — თავისით მიაგნო ლევანმა ძმისცოლის, მინაურულად შემოკლებულ სახელს.

— სულერთია, მაინც არ დაგაყენებენ, ნეფე თვითონ მორბოდა, მე დავპირდი, თუ მართლა ჩამოსულა, შოვიყვან-მეთქი. ალექსი, ასეთი რამ გაგონილა? ლამის ატირდეს დედოფალი, მეჯვარე დაგვეკარგაო. აბა, წავედით! — მეთაურობდა სიხარულისაგან აღელვებული ხატულა.

თენგომ ახლა კი ულაპარაკოდ გამოსდო ლევანს მკლავი და გაიყვანა. დანარჩენებიც გალაგდნენ ოთახიდან.

— არა ვძინავს? — გაუკვირდა სანდრასთან შესულ ხატულას.

— ესლა დავიძინებ, ძია ლევანის დარდი აღარა მაქვს.

— ერთი ამ მაიმუნს უყურეთ! ძია ლევანს შენი სადარდებელი რა აჭირს?

— შენ არაფერი არ იცი, მე კი ყველაფერი მესმოდა!

— არამკითხე მოამბე ნუ სარ, ესლავე დაიძინე!

— ჯერ პირობა მომე, რო ძია ლევანს აქ მოიყვან. რას იცინი? ლიზას უნდა რო თავის სახლში წაიყვანოს, და რათ უნდა წაიყვანოს? ლიზას პაპა ნასყიდა ჰყავს და ეყოფა, ჩემი ძია მე თვითონა მჭირდება!

— რა ენა ენაზე გამოიბი, შე ეშმაკის ფესო, დაიძინე!

— პირობა მომე და მაშინვე დავიძინებ, თუნდა ჩემ საწოლს მივცემ და მე ტახტზე დავწვები.

— ძია ლევანი ამ შენ საწოლში ჩაიკარგება და ველარ მოვძებნით! არხეინად იყავი, ლამაზად დავაძინებთ, ღამე მშვიდობისა!

ხატულამ თავის თავს გაულიმა სარკეში და სანდრას ოთახიდან გამოვიდა.

— იმოდენა სახლი მიგდია ცარიელი... — ეუბნებოდა ლიზიკო ალექსის და უმოწყალოდ ჭმუჭნიდა თავის ჭრელ ყელსახვევს.

— პაპა ნასყიდა რა იქნა? — გაუკვირდა ალექსის.

— ჩივილით ამიკლო, ამ გამოყრუებულ სახლში ველარა ვძლებო, ბალიკოსთან გამექცა, ბალღებს გულს გადავაყოლებო... თქვენ კი ეგრე ვიწროთა ხართ, თქვენი ძმა იფიქრებს, იგრეც ქალაქში წავალო, და ცოდოა, იქ ვინ მოუვლის, მარტოხელაა, ავადმყოფი... მე სახლი ცარიელი მიგდია, იცხოვროს, თანაც მივხედავ, ვინც რა უნდა თქვას, მოვუვლი, მოვამჯობინებ... პაპაც გაისარებს...

— ესეც თქვენი „შინაპერა"! — გადაიხარხარა ხატულამ.

ალექსისაც ეცინებოდა, მაგრამ თავს უხერხულად გრძნობდა, ხმას ვერ იღებდა. ისევ ხატულამ ისსნა. ლიზა მაგრად ჩაკოცნა და უთხრა:

— ამაღამ ლევანი ნატაძრელების სტუმარია და ხვალ ვნახოთ!

ალექსიმ შვებით ამოისუნთქა, თავისი დაბამბული ჯუბაჩა ცოლს მარებზე მიახურა და ორივენი გაეკიდნენ წასულებს.

ალექსი მიზეზს არ ილევდა, რაიონულ თათბირებს რომ არ დასწრებოდა. დარიანში დამკვიდრებული მაამებლობა და ფარისევლობა, ტყუილისა და ბაქიაობის კორიანტელში სავალალო სინამდვილის მიჩქმალვა, რაიონის პარტიული ხელმძღვანელის ულაზათო ადმინისტრირება და მისი შინაკაცების თავგასულობა სავსებით გამორიცხავდა საქმიანი ლაპარაკის, პრინციპული კამათის საშუალებას, და საქმის ჭეშმარიტად გულშემატკივარნი ალექსისავით ერიდებოდნენ გულვარდიშვილის უნიათო, არაფრისმაქნის თათბირებს.

მაგრამ იმ დღეს ალექსი საგანგებოდ დაიბარეს დარიანში.

„ახლა რა შარს მომდებს ჩვენი „გულის ვარდი"? კეჟერა დავძლიეთ, პირველი კვალი გავიტანეთ, პური დაითესა. მიჰყვეს და დანარჩენი ფართობი სხვა მეურნეობებს დაუნაწილოს, მეტი რა უნდა? რეალური საფუძველი ექნება მის ტრაბახს". შიგადაშიგ ეცინებოდა კიდეც თათბირზე მიმავალ ალექსის.

გულვარდიშვილი იმ დღეს არც აპირებდა კეჟერაზე ლაპარაკს. დარწმუნებული იყო, რომ ორი კოლმეურნეობა თავს ვერ გაართმევდა საკუთარი ინიციატივით წამოწყებულ საქმეს, მაგრამ რაკი გაართვეს — კარგია! კეჟერას მაშინ აახმაურებს, როცა უფროსებს რაიონის მიღწევებზე უპატაკებს. კეჟერას ათვისებას მაშინ კი ჩასთვლის რაიონის ხელმძღვანელობის დიდ მონაპოვრად...

მდივანი აუჩქარებლად უახლოვდებოდა თავის მოხსენების დასასრულს:

— ჩვენმა რაიონმა ღირსეულად უნდა შეასრულოს ლენინ-სტალინის პარტიის ეს ისტორიული გადაწყვეტილება, ჩვენ რაც შეიძლება მალე უნდა უზრუნველვყოთ საქართველო საკუთარი პურით, რათა მალე მივიყვანოთ ჩვენი ძლევამოსილი სამშობლო კომუნიზმის დიად კარიბჭესთან, ჩვენი მამა და მასწავლებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის, ყველა დროის გენიოსთა უდიდესი გენიოსის იოსებ ბესარიონის ძე სტალინის წინამძღოლობით!..

ტაში ეცოტავა. უკვე გაღიზიანებულმა მოსვა წყალი და ხმა დაიმკაცრა:

— მაგრამ ეს დიადი ამოცანა ჯერაც არა აქვს შეგნებული ზოგიერთ ჩვენ ამხანაგს. ზოგს ჰგონია, რომ კეჟერა აღმოაჩინეს! კეჟერა საუკუნობით იდო თავის ადგილზე და არავითარ აღმოჩენას

არ საჭიროებდა. ეს ჩვენ რეზერვში გვქონდა, ჯერჯერობით მიზანშეწონილად არ მიგვაჩნდა ტექნიკის, საწვავის, ეუშახელის დაბანდება ყამირის გატეხაზე, მაგრამ რაკი ზოგიერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარეებმა მოიწადინეს, ჩვენც აღარ ვეწინააღმდეგეთ, ნებაც მივეცით და ხელიც შევუწყეთ ახალი ნაკვეთების ათვისებაში. ძირითადში კი ჩვენ განზრახული გვქონდა კეკერას მოშველიება მაშინ, როცა მთლიანად გამოვიყენებდით კულტურულად დამუშავებულ მიწებს. ამრიგად, ჩვენს გეგმებში მცირე გადანაცვლება მოხდა დროის მიხედვით. ვიმეორებ — დროის მიხედვით. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აქაოდა კეკერას მივწვდითო, კულტურული მიწები შეიძლება სხვადასხვა სურვილის მისედვით იყოს გამოყენებული. არა, ასეთი თვითნებობის უფლებას პარტია არავის აძლევს! იქნება ზოგიერთი ამხანაგები ფიქრობენ, „მე ვარ და ჩემი მეურნეობა, მიწაც ჩემია და როგორც მომესურვილება, ისე გამოვიყენებო". ნურას უკაცრავად! ჩვენ ერთსულოვნად უნდა დავირაზმოთ ამ ისტორიული ამოცანის გადასაჭრელად. ყველგან, სადაც კი ხელი მიგვიწვდება, ყველგან პური დაითესება. იქაც, სადაც ფართობი სხვა კულტურებს აქვს დაკავებული, იქაც პური უნდა იყოს!

— არ იქნება! — შეარხია ალექსის ხმამ დარდიანად მიყუჩებული დარბაზი.

— აი, გესმით? ეს ერთი იმათთაგანის ხმაა, ვინც შეეცდება შეაფერხოს ჩვენი მშობლიური პარტიის დავალების შესრულება!

ამგვარი მკრეხელობით აღშფოთებულმა მაამებლებმა ბორჯომის წყალი მოიშველიეს. ორატორმა დარბაზი შეათვალიერა, იგრძნო — დიდი უმრავლესობა არ იზიარებდა მის გულისწყრომას და უფრო მეტად გაღიზიანებულმა განაგრძო:

— დიდი დარაზმულობა, დიდი ბრძოლა და თავდადება დაეჭირდება, მრავალი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის დაძლევა მოგვიხდება ამ სანუკვარი მიზნის შესრულებისას. ზოგიერთ ამხანაგებს ჰგონიათ, მათ ყველაზე მეტი ესმით და პატრიოტული საქმისათვის ბრძოლა მარტო მათ ეხერხებათ. ეს იდეურ-პოლიტიკური ჩამორჩენილობის შედეგი გასლავთ. დიახ, მათ არ იციან, რომ არ არსებობს ისეთი სიბნელე, რომელსაც ბოლშევიკები ვერ დასძლევენ! ავიწყდებათ, რომ ჩვენი პარტიის გზა — მუდამ ძლევამოსილი გამარჯვების გზაა. აი, ამხანაგ რჩეულიშვილს კი თავი ისე უჭირავს, თითქოს ბრძოლა მარტო მაგან იცის, ომი მარტო მაგან მოიგო და სხვები

ეულხელდაკრეფილი ისსდნენ. ჯერ ეგეც საკითხავია, თვითონ როგორ იბრძოდა!

ალექსის უსვეულოდ ვაუჭირდა თავის შეკავება. ღარბაზი ყრუდ ახმაურდა. ეაჟა კვერენჯაძე აღგილიდან წამოიჭრა, მაგრამ ნიკო ხელაშვილის მკაცრ გამოსედვას დაემორჩილა, ვითომ სწყუროდა, წყალი დალია და ხმაამოუღებლად დაჯდა.

— ამხანაგებო! — გაუღიმა დარბაზს გულვარდიშვილმა, — მე ვიცოდი, რომ ფრონტზე ნამყოფ კაცზე ძვირის თქმა თქვენს კეთილშობილურ რეაქციას გამოიწვევდა. მეტსაც გეტყვით, მე მახარებს ეგ თქვენი კეთილშობილება, მაგრამ... ბოლშევიკური პრინციპულობა გვაიძულებს ვიყოთ მართალნი და მწარე სათქმელს არ დავერიდოთ. თქვენ მშვენივრად იცით, როგორი გულისხმიერებით ვეპყრობით ფრონტზე ნამყოფ ადამიანებს, ჩვენი ქვეყნის საამაყო შვილებს, როგორ ვცდილობთ ხელი შევუწყოთ, დავაწინაუროთ ისინი ყოველ უბანზე. აიღეთ თუნდაც ვაჟა კვერენჯაძე. ჩვენ რისკზეც კი წავედით, როცა ეს ახალგაზრდა კაცი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დავაწინაურეთ. დიდი რისკი იყო, რომ გაბო ნაცვლიშვილის უხეიროობით ჩავარდნილი მეურნეობის ფესზე დაყენება ვანდეთ, მაგრამ არ შევცდით. რისკი გაგვიმართლდა. მარქსისტული იდეებით გამსჭვალული ჩვენი ახალგაზრდობა მუდამ მსარში ედგა თავის სათაყვანებელ პარტიას და კვლავადაც გაამართლებს ჩვენს ნდობასა და იმედებს! და თუ ჩვენ უფლებას ვაძლევთ ჩვენ თავს ზოგიერთი ამხანაგის საქმიანობაში ეჭვი შევიტანოთ — ამის საბაბი და საფუძველიც გვაქვს!

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. გარედან ფანჯრის მინას ღამურა შეეხეთქა და ვიღაცამ ნერვიულად, ხმამაღლა შეუკურთხა.

ალექსი თითქოს მშვიდად იჯდა, მხოლოდ ტუჩები თანდათან ისე მაგრამ ეკვროდა, რომ ჩანდა, უჭირდა ყელთან მობჯენილი გრძნობების შეკავება.

მცირე პაუზის შემდეგ გულვარდიშვილმა თითი საფეთქელთან მიიტანა და აუჩქარებლად განაგრძო:

— ამხანაგებო, მიუხედავად იმისა, რომ ირმისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მუდამ კრიჭაში ედგა რაიონის ხელმძღვანელობას, ყოველ საკითხის გადაწყვეტისას მეტისმეტ უდისციპლინობას და თავგუნებობას იჩენდა, ჩვენ მაინც ვაფასებდით მას საკმაოდ კარგი მუშაობისათვის და მის აუტანელ თვითნებობას არა ვხდიდით

ფართო მსჯელობის საგნად. მით უმეტეს, ფრონტიდან დაბრუნებულს ვხათრობდით. დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენი ძლევამოსილი საბჭოთა არმიის რიგებში ყოფნა ბევრ საძრახის თვისებებს მოაშლევინებდა და უყოყმანოდ დავაბრუნეთ ომამდელ პოსტზე...

— ჩვენ მოვითხოვეთ ჩვენი თავმჯდომარე! — დაიძახეს დარბაზიდან.

— დიახ, ჩვენ ანგარიში გავუწიეთ ირმისელების თხოვნას, რაკი სიტყვამ მოიტანა, მოგახსენებთ, რომ ანგარიში გავუწიეთ რამაზ ონისიმოვიჩ მელითაურის რეკომენდაციასაც...

დარბაზში მყოფნი შეაძრწუნა ქარაგმულად თქმულმა სისაძაგლემ და ყველამ ერთი კაცივით იგრძნო, რომ აღშფოთების სულ მცირე გამოხატვაც კი მნიშვნელობას მისცემდა იმ ნათქვამს და აამებდა მთქმელს. ისინი ნირშეუცვლელად უსმენდნენ მდივანს და ვერავითარი მისი ულაზათო სიტყვა ველარ გააკვირვებდა მათ.

„მადლობა ღმერთს, მელითაური აქ არ არი, თორემ ყბაში მეცემოდა", შვებით გაივლო გულში ორატორმა, რაღაცა ფურცელი ასწია მაღლა და ვითომც ეძნელებოდა თქმა, მაგრამ იძულებული იყო ეთქვა:

— რჩეულიშვილს კი თურმე იქაც გამოუჩენია თავისი ხასიათი, უდისციპლინობა, და ჯარშიც ჩვენსავით ხომ არ მოუთმენდნენ?!

ვერავინ, ვერც თვითონ ორატორი ვერ დაადასტურებდა, რომ ალექსიმ გაიგონა ნელანდელი ქარაგმა. ის გაუძრევლად იჯღა, თითქოს გულგრილად შესცქეროდა ჰაერში აფრიალებულ ქაღალდს.

— თურმე, — განაგრძობდა მდივანი, — ერთ-ერთი საბრძოლო ეპიზოდის შემდეგ რჩეულიშვილი უმაღლეს ჯილდოზე წარუდგენიათ, მაგრამ კონტრდაზვერვის მაიორის დროზე ჩარევას ეხსნია იმ ნაწილის მეთაურები სავალალო შეცდომისაგან...

„ოლეგ, გესმის, რა ხდება?" — გასძახა გულში ძეგობარს გაუნძრევლად მჯდომმა ალექსიმ.

დარბაზში ისეთი დუმილი იყო, რომ ზომიერების გრძნობას მთლად მოკლებული ორატორიც კი მიხვდა, გადავაჭარბეო, და ანქარებით განაგრძო:

— მაგრამ, ამსანაგებო, ჩვენი თათბირის დღის წესრიგში რჩეულიშვილის ასავალ-დასავალის ძიება არ შედის, ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ თქვენც უნდა იცოდეთ, რას წარმოადგენს სინამდვი-

ლეში ზოგიერთი ადამიანი, როგორ გვახრჩობს თავისი, ვითომდა დიდი დამსახურებით!

— ბოდვაა ეგ ყველაფერი! — ხმამაღლა მოკვეთა ალექსიმ.

— რჩეულიშვილო, სადა გგონიათ თქვენი თავი? — მკაცრად, შუბლშეკრული წამოხტა კრების თავმჯდომარე ჯიბო ჭიმიაშვილი.

— ჰოდა, რეებსა ჰკადრებთ ამ ადამიანს? — წამოდგა, ადგილიდანვე დაიძახა ნატალია დოდაშვილმა, — თუ დაგვიძახეთ, ანგარიშიც უნდა გაგვიწიოთ. თქვენი სათქმელი მოვისმინეთ, ეხლა ალექსიმა თქვას!

— თქვას ალექსიმ! — აპყვნენ ნატალიას ირმისელები.

— მიეცით სიტყვა რჩეულიშვილს! — დაიძახეს მუხიანელებმა და მით აპყვნენ სხვა ბეურნეობებიდან მოწვეულებიც.

— მიეცით სიტყვა! — დაჟინებით მოითხოვა დარბაზმა.

— ბრძანე, ამხანაგო ალექსი, თქვი, თუ გაქვს რამე სათქმელი, ყურადღებით მოგისმენთ, — ღიმილით მიმართა ალექსის გულვარდიშვილმა.

ალექსი ადგა, ადგილიდანვე მიუბრუნდა დარბაზს და დაილაპარაკა. იშვიათად თუ ენახა ვინმეს იგი ისეთი, როგორიც იმ წუთებში იყო, როგორიც უნახავს გაბო ნაცვლიშვილს, ნიკო ხელაშვილს, ოლეგ ნეჩაევს, პოლკოვნიკ ლიაშენკოს. ბუდის კიდეებს მომდგარი თვალების ელვარება, სახის დამკვეთრებული ნაკვთები და მთრთოლვარე ხმა ისეთ შინაგან რისხვას ამხელდნენ, რომ დარბაზმა სუნთქვა შეიკრა.

— ვიყო, როგორიც ვარ, მდივანმა მართალი ბრძანა, დღეს აქ ჩემი ასავალ-დასავალის გამოძიების დრო და ადგილი არ არის. მე ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა იმაზე, რისთვისაც დღეს აქ შეგვკრიბეს. ხალხო, ნუთუ ისეთი გიჟი გეგულებათ სადმე ვინმე, თავისი ხალხის სიკეთე არ უნდოდეს, ბევრი პურის მოყვანა არ უსაროდეს? ან მე ისეთს რას გეტყვით, რაც თქვენ ჩემზე უკეთ არ იცოდეთ? მე იმათ მოვაგონებ, ვინც არ იციან, არ გაუგონიათ, ან დაჰვიწყებიათ, რამდენი ძალა და ენერგია, რამდენი შრომა, რა საკვირველი ნიჭი და უნარი შეულევია ჩვენ სალხს ვაზის მოშენებისათვის. ქართველებმა ძველთაგანვე იცოდნენ, რა მნიშვნელობა ჰქონდა ვაზს თავისი ერის ეკონომიკური ძლიერებისათვის, იცოდნენ, რომ ქართული ღვინო საგარეო ვაჭრობის ძვირფასი საგანი იყო. ეხლა ჩვენ მემკვიდრეობით მიღებული ჯიშების გაახალგაზრდავებაზე, ვაჯანსაღებაზე უნდა

გვეზრუნა, შამპანური და საკონიაკე ჯიშების დანერგვაზე, ყენახების გაფართოებაზე უნდა გვეფიქრა...

— პურით უზრუნველყოფის წინააღმდეგი ხარ? — შეაწყვეტინა მდივანმა.

— პურის შესახებ ჩემი აზრი მე უკვე მოვახსენე დარბაზს.

— ის ზოგადი ფრაზებია, მე კონკრეტულად გეკითხები: „უზრუნველყოთ საქართველო საკუთარი პურითო" — შენ ამის წინააღმდეგი ხარ?

— ამ ერთი მუჭა ქართველ სალხს განა რამდენი პური სჭირდება? ჩვენ კეკერა ავოთვისოთ, მეზობელ რაიონებმა შირაქს მოუარონ და პური თავპირსაყრელად გვეყოფა. ან განა რუსეთი პურს გვამადლის და გვაყვედრის? თუ სხვისთვისაც გვჭირდება პური, ჩვენ სახელმწიფოში ცოტაა თვალუწვდენელი ტრამალები? მილიონობით ჰექტრებია, სადაც პურის მოყვანა შეიძლება...

მდივანი ტრიბუნიდან გადმოვიდა, სცენის ნაპირს მიუახლოვდა.

— რჩეულიშვილო, შენ ძალიან გიყვარს სახელმწიფოს დიდ საქმეებში ჩარევა, მაგრამ საბედნიეროდ, იმ საქმეებს თავისი მომვლელი ჰყავს, ჩვენ კი იმის განაღდებაზე უნდა ვიზრუნოთ, რაც ჩვენ გვეკალება, ჩვენ, დარიანის რაიონს! ამისთვის კი კეკერა არ არის საკმარისი, ყველგან პური უნდა დაითესოს, ყველგან, გესმის?

— კახეთში ვაზის ნაცვლად პურის მოყვანა — მტრის გასაცინი საქმეა!

მდივანი კიდევ უფრო მიუახლოვდა სცენის ნაპირს, დაიხარა, თვალი თვალში გაუყარა ალექსის და დამარცვლულად ჰკითხა:

— შენ არ იცი, ვის ეკუთვნის ეს ლოზუნგი?

— თქვენ ამახინჯებთ მაგ კარგ ლოზუნგს. კახეთში ვაზი პურს ვანაცვალოთო — ეგ აზრი საქმეში ჩახედულ კაცს არ დაებადებოდა.

— რაო, რა სთქვი? — ისარნაკრავივით გადაზნიქა წელი მდივანმა. — საქმეში ჩაუხედავიო? კიდევ ბრძანე, ბრძანე, განაგრძე!

— საუკუნეების მანძილზეც ასე იყო: მტერი, რომელიც კი შემოგვივარდებოდა, უპირველესად ვაზისა და ტყის გაკაფვა-ამოგდებას ბრძანებდა... ასე აკეთებდა თემურ-ლენგიც, შაჰ-აბასიც...

— მე გიკრძალავ სიტყვას, გესმის? — ხმა აეჭრა, ენა წაუბორძიკდა გადაფითრებულ გულვარდიშვილს. — შენ სასტიკ პასუხს აგებ მაგისთანა ლაპარაკისათვის! სიტყვას გიკრძალავ, გესმის?

ალექსის ოდესღაც ჭანჭრობში განცდილი ის ამაზრზენი გრძნო-

ში დაეუფლა. არც იქ, არც აქ უკან დასახევი გზა არ იყო. იქ სასწაულმა ვადაარჩინა, აქ...

— მე სათქმელი ვთქვი და გავათავე. ცოცხალი თავით, ერთი ვაზის ამოძირკვასაც არავის დავანებებ.

— გიკრძალავ-მეთქი სიტყვას, არ გესმის? — დაიწივლა გულვარდიშვილმა.

ალექსი არც ერთი სიტყვის დამატებას აღარც აპირებდა. მხრჩოლავი ხავსურა ტანს უწვავდა, ამის ატანა აღარ შეეძლო. თავჩაღუნული, სწრაფად წავიდა გასასვლელისაკენ.

— ემაგ სიტყვაში გენაცვალე, ლექსო!

— ჩვენც შენთან გვიგულე, ძმაო!

— ჩვენ შენთანა ვართ, ალექსი! — დააღევნეს შეძახილები დარბაზში ფეხზე წამომდგარმა თათბირის მონაწილეებმა.

— ვინ? ვინ ბედავს? — წიოდა მდივანი.

სკდებოდა ზარი ჯიბო ჭიმიაშვილის ხელში.

ხმაურობდა დარბაზი.

ვარეთ წყვდიადი იყო. ქარს დაეწყვიტა მავთულები. დარბაზიდან გამოსვლისას, წყვდიადი შავბნელი კედელივით ეღობებოდა თვალს. ქარი აჟღარუნებდა მიწაზე დაყრილ მავთულებს. ჰყინავდა.

ალექსიმ ფეხის წვერით მოაფათურა ქვის განიერი კიბისთავი და ხელა ჩამოჰყვა საფეხურებს. ბრმა-ყრუსავით მოდიოდა. შავბნელი კედლის გარღვევა სსეულს სტკენდა. საფეთქლებს ჩაქუჩებით უმტვრევდნენ. ყურებში ძველი წისქვილის სარეკელას გაჰქონდა რაკარუკი: იქ-აქ! იქ-აქ! იქ — უკვლოდ მშთანთქავი ჭანჭრობი, აქ — განათეული დარბაზი. იქ — სასწაული, აქ — ჩემი ხალხი. ტიტიკო, ადამიანი არა ხარ? დააყე სარეკელა, ყურები მეტკინა...

მის ზურგსუკან შუქის ვიწრო ზოლი დაეცა კიბეს. შუქიანმა ზოლმა წყვდიადს ხაზი გაუსვა და გაქრა. დარბაზიდან ვილაცა გამოვიდა. კიბეზე წამოეწია ალექსის, ბეჭებზე და მხრებზე შემოავლო მკლავები.

— ხატულა... — ვაუსარდა ალექსის გაღეღილი ჯუბაჩის ქვეშ, მკერდზე მიიკრა მისი ხელები.

კიბის ზოლო საფეხურზე ჩამოსხდნენ.

სიბნელეში ვილაცამ ვილაცას გასძახა. მერე ჯიბის ფანარი აინ-

თო. ჩაქრა, ისევ აინთო. მოედნის შორეული ელექტრობოძი დაილანდა. კაცი წრიაპების ჩხარაჩხურით ადიოდა ბოძზე. ქარი აგლეჯდა მაზარის კალთას. მეორე კაცი ძირს იდგა. დროდადრო ფანრით აშუქებდა ბოძს.

— მალე გაანათებენ, — თქვა ხატულამ.

— ნეტა რამ ჩააქრო?

— ქარია.

— გცივა?

— არა.

— გაკანკალებს.

— უმწეო და მშიშარა ვარ...

მოედანზე და ქუჩის გასწვრივ ნათურები აციმციმდნენ. იციმციმეს, იციმციმეს და ისევ ჩაქრნენ.

— მალე გაანათებენ, — თქვა ხატულამ.

— გულადია ჩვენი აგრონომიო?!

— ომი იყო, მე ვცდილობდი შენსავით ვყოფილიყავი...

მოედანზე და ქუჩის გასწვრივ ნათურებმა უფრო მეტ ხანს იციმციმეს და ისევ ჩაქრნენ.

— ომი იყო. ახლა უმწეო და მშიშარა ვარ.

— რა გაშინებს, ხატო?!

— შენ აღარსად არ უნდა წახვიდე.

— სად უნდა წავიდე?

— ჩემთან უნდა იყო. არ მინდა „გულადი აგრონომობა". მინდა ჩვეულებრივი ქალი ვიყო.

— შენ არა ხარ ჩვეულებრივი.

— უსათუოდ უნდა გეთქვა, თორემ ბოღმა დაგახრჩობდა...

ქარი ალექსის ჯუბაჩის კალთას ეკვეთა. ვერ წაგლიჯა და დაჭიმულ მავთულებს ეცა ზმუილით.

— შენ კარგად ილაპარაკე, — თქვა ხატულამ.

— ნუ ჰკანკალებ.

— უსათუოდ უნდა გეთქვა.

— ხატო მყავს და სანდრა მყავს, სხვა რაც იქნება იქნება.

— სანდრა და მე... ეს ცოტაა შენთვის.

— ეგ ყველაფერია ჩემთვის... სხვა რაღა მინდა?

მოედანი განათდა. ქუჩაც განათდა. იმ ქუჩის იქით კი ისევ ბნელოდა. დაჭიმულ მავთულებში ქარი გაასპიტებული წიოდა. ბოძი-

დან წრიაპების ჩხარაჩხურით და ვინებით კაცი ჩამოვიდა. ქარი აგლეჯდა მაზარის კალთებს. მეორემ მიწაზე გაშლილი იარაღი ხის ყუთში ჩაალაგა და ყუთი განიერი თასმით მხარზე ვადაიკიდა. ორივემ რაიკომის შენობას გამოსედა.

— ეგ ღამის ყვავები გათენებამდე ითათბირებენ, — თქვა ერთმა.

— რა ეჩქარებათ, სვალაც ამ თვისაა, — ვაიცინა მეორემ.

— ეჰ, რამდენი ელექტრონი იწვება ტყუილუბრალოდ?!

— შენ ელექტრონი გენანება და, ემაგ თათბირებისაგან გულვარდს ტვინი საჯდომში გაჰპარვიაო!

— ხმა ჩაიწყვიტე, ჯო, ემანდ ხათაბალას არ ვადამკიდო! — გაუწყრა მას ამხანაგი.

ლაპარაკით ჩაიარეს. ახლა შორეული ქუჩიდან მოისმა წრიაპების ჩხარაჩხური.

— მეწისქვილე ტიტიკო იცინოდა ხოლმე, ღამის ყვავი ვარო, — თქვა ალექსიმ.

— კარგი ხუმრობა იცოდა.

— მინდს სათითით იღებდა...დიტოს დაკარგვამ მოიდნო კაცი...

მოედნის ცალპირზე დაყენებულ მანქანებში ირმისის „მოსკვიჩი" მოძებნეს.

— გაიყინებოდა, — თქვა ალექსიმ.

— არა, წელან თბილი შალი მოვახურე.

— ჭკვიანი ხარ, გულადი აგრონომიც და კარგი შოფერიც, — გაუღიმა ალექსიმ.

სატულამ მანქანა ეზაზე გამოიყვანა. გაიარეს შუქიანი ქუჩები, მერე ბნელი. მერე დარიანი გათავდა. შარაზე გავიდნენ.

— მე და სანდრა — ცოტაა შენთვის. ვაზიც გჭირდება, ხალხიც, ოცნებაც, სისარულიც...

— სანამ თქვენა სართ, ვაზიც იქნება, და სიხარულიც...

— ჩვენ რომ აღარ ვიქნებით?

— სხვა ალექსი იქნება, სხვა სატო და სანდრა ეყოლება...

— კარგადა სთქვი ყველაფერი. უსათუოდ უნდა გეთქვა.

— არ იციან, ნვენი მიწა გაშრება, ვაზი რომ ააგლიჯო...

მანქანის ფარებმა გზაზე გამოსული შველი დააბნიეს. დაფეთებული მიხტოდა შუქის ზოლში. სატულამ ფარები ჩააქრო. შველმა თავს უშველა, გაიქცა.

— სანდრას ცალფეხზე უყვარს ხტომა, — თქვა ალექსიმ.

— დაილოცოს ლევანის ჩამოსვლის საათი. ლიზა ეხლა ორივეს უმღერის იავნანას.

— ორივეს ერთნაირად უყვარს ლიზას იავნანა.

ირმისხევი მშვიდად ფშვინავდა. ხიდმა ფარების შუქზე ორნამენტების პრიალით გაისრიალა მანქანის ბორბლებქვეშ.

ირმისელებსაც ეძინათ.

— იზრდება ჩვენი ირმისი, — თქვა ალექსიმ.

— ჩვენი სახლიც გაიზარდა, სახურავიღა აკლია.

— ლამაზი გამოდის.

— სანდრა ამბობს, სანდრა-პაპას ქოხი უფრო ლამაზიაო.

— სანდრა-პაპას ქოხში ისევ მეზვრე იცხოვრებს.

ტოტებგაფარჩხული ნაძვი გამოჩნდა. მანქანიდან გადმოვიდნენ.

„ხმელი ყინვაა", — გაიფიქრა ალექსიმ.

„გათოშილი მოვედი პირველად ამ ნაძვთან", — მოაგონდა ხატოს.

„ხატო რომ მოვიდა, იმ ღამეს თოვლი ათეთრებდა აქაურობას", — გაიფიქრა ალექსიმ.

„ამ კერამ მიმიღო და გამათბო", — გაპყვა თავის მოგონებას ხატულა.

„იმ დღეს ვეება ჯირკი მოვათრიე შინ, მთელი ღამე მღეროდა ცეცხლი ბუხარში", — ხედავდა იმ სურათს ალექსი.

— ალექსი, ერთ საიდუმლოს გაგიმხელ, გინდა? — ჩუმად ჩაიცინა ხატულამ. — შენ არ გეხსომება. მე რომ მოვედი, იმ ღამეს ბუხარში ვეება ჯირკი იწვოდა. მე იმ ჯირკიდან ნაკვერჩხალი შევინახე და ჩავუთქვი. იცი, რა ჩავუთქვი?

„ჩემისთანა ბედნიერი კაცი მეორე არ იქნება ქვეყანაზე", — გაიფიქრა ალექსიმ. მკერდის მარცხენა მსარეს ხანჯლის წვერივით დაესო ტკივილი.

— თუ ამ ნაკვერჩხალს შევინახავ, ბედნიერი ვიქნები-მეთქი, — ისევ ჩუმი სიცილით განაგრძობდა ხატულა.

ის აუწერელი ტკივილი მკერდიდან ბეჭს ეხეთქა, სუნთქვა შეუკრა, დაამუნჯა კაცი.

— მერე, ომში რომ წასვედი, ჩავუთქვი: თუ ამ ნაკვერჩხალს შევინახავ, შინ მშვიდობით დაბრუნდება-მეთქი...

ქმრის ალერსიანი ხელი უცებ მოდუნდა ხატულას მაჯაზე.

— უყურე საკვამურს, ბუხარში ეხლაც ის ცეცხლი ანთია! — იცი-

ნიდა ხატულა. ცერებზე აიწია, ალექსის დახუჭულ თვალებს შეხედა, ხელი შუბლზე დაადო და ჩასჩურჩულა: — ლექსო...

„ალბათ, ასე კვდება ბედნიერი ადამიანი, — გაუელვა ფიქრმა ალექსის. — ჩემისთანა ბედნიერი სხვა არ იქნება ქვეყანაზე, არასდროს არ მითქვამს ხმამაღლა. ეხლა ვეტყვი..."

ლაპარაკი ისევ არ შეეძლო, ხმა არა ჰქონდა. ხატულა ტუჩების მოძრაობაზე მიუხვდა სათქმელს, და უცებვე მიხვდა, რატომ არ იღებდა ხმას ალექსი. შეშინებულმა დაიყვირა:

— ალექსი!

იქნებ ამ საოცარმა დაყვირებამ, იქნებ ნაძვში გახლართული ქარის ზმუკუნმა, ან იქნებ ქოხის ზღურბლზე გამოსული ლევანის გამოხმიანებამ დააფრთხო ტკივილი. უეცრად აწენილი, უეცრადვე გაქრა. სრულიად გაქრა, თითქოს ბეჭიდან დასაძვრენს მიაგნოო. ალექსიმ სული მოითქვა.

— მართლაც მშიშარა ჰყოფილხარ, ხატო... — უთხრა ჩუმად. სისუსტესთან ერთად უხერხულობაც იგრნო, თითქოს მოატყუა სიკვდილმა, მოატყუა, რომ სიყვარულზე აელაპარაკებინა.

— ჭირსაც წაუღია ყველაფერი! — ცრემლები ჩაეღვარა სმაში ხატულას, — შენ თავს შეაკლავ და ვაზიც ოხრად დარჩება!

— სანდრას ჩემზე მეტად უყვარს ვაზი, არ შეგიმჩნევია? — გაუღიმა ალექსიმ.

თავი მეთაუთე

...ნვეულებრივი დილა გათენდა. ცისფერ კაბადონს ცხრათვალა შზე დაეკიდა — ყინვით შეკრულ მიწას ვერ ათბობდა, თვალისმომჭრელად აელვარებდა მხოლოდ.

კარზე მომდგარი ახალწლის დასახვედრად ფაციფუცში მიილია ის დღე.

მოსაღამოვდა. ლურჯად ჩამკვრივებულ ცაზე აციმციმებული ვარსკვლავები გუნდ-გუნდად შემოუსხდნენ ირმის ნახტომს.

დაღამდა. ხეებმა ხალიჩები დაფინეს დედამიწაზე.

ძველი და ახალი წლის მესაზღვრესავით უვლის ირმისს ალექსი. ქუჩებში არავინაა. ჰაერში აცეკვებულა საკვამურებიდან ასული ბოლი. თბილა იმ სახლებში. სინათლეა იმ სახლებში. საახალწლო მზა-

ღებაა. გააცილებენ სრულად ვალმოხდილ ორმოცდამეთერთმეტე წელს. დაუხვდებიან იმედებით კალთასავსე ახალ წელს. ვის რას დააკლებენ გულღვარძლიანი არსებანი? აფსუსია, ღვთიშობლის ნაკურთს მიწას სტკეპნიან. მაინც მოეღება ბოლო მათ თვითნებობას. მისწვღება ხალხის ხმა, სადაც საჭიროა. მოიცლიან დარიანის რაიონისთვისაც. გაასწორებენ გამრუდებულს. უსათუოდ გაასწორებენ...

აი, ნაძვიც და განათებული სარკმელიც. საკვამური ნაპერწკლებით სუნთქავს, აუუ, როდინდელი ნაკვერჩხლის შთამომავალი არიან ეს ნაპერწკლები! აქედან ახალ სახლშიც შეიტანს ხატულა და შეინახავს გალვივებულ ნაკვერჩხალს. ახალწელი დალოცავს მათ ახალ ჭერს. ახალ სახლში აინთება სანდრას ნაძვის ხე!..

— ჰეი, ძმაკაცო, არა ვძინავს? — ვითომ უკვირს შინ შესულ ალექსის, ვითომ არ იცის, რომ „ძმაკაცი" არ დაიძინებს, ვიღრე მაია ტკბილ ძილს არ უსურვებს.

— რა ზემი ბრალია, ეოგოებმა გამიჭირეს საქმე! — თავს იმართლებს სანდრა. — დოდაანთ ნატუკას დათუნიას ბიჭებმა თათები დააგლიჯეს და ნატუკას ღრიალმა მთელი ირმისი აიკლო, ძლივს დავაწუმე, დავპირდი, გაგიკეთებ-მეთქი, ჰოდა, ვაკეთე, ვაკეთე და ვერ ვავაკეთე, დედამაც ვერ გააკეთა!..

— უხეირო დასტაქრები ჰყოფილხართ ორივენი! — იცინის ალექსი და დათუნიას მკურნალობას იწყებს. კარგა ხანს უნდება ამ სათუთ საქმეს და — თეთრი ხავერდის დათუნია სრულიად ჯანსაღი გამოდის „საავადმყოფოდან".

გახარებული სანდრა ცალ ფეხზე ხტის და ბზრიალასავით ტრიალებს. ალექსი დარწმუნებულია, რომ ქვეყანაზე ვერცერთი ბიჭი ასე ვერ იტრიალებს ცალ ფეხზე!

მერე სანდრას თავის ოთახში მიჰყავს მამა. ჩაცუცქული სინჯავენ იატაკზე დახვავებულ ნაძვის მოსართავს და საჩუქრებს. სანდრა ღელავს. 31 დეკემბერს ახალ სახლში მასთან მთელი კლასი მოვა. აჩიკო ხელაშვილიც ჩამოვა მუხიანიდან. ნაძვს აანთებენ, მერე ყველა მიიღებს საჩუქარს. სანდრა ღელავს, ვაითუ, ყველას არ ეყოს საჩუქარი!

— ადამიანო, რამდენნი ხართ კლასში? ოცდათორმეტნი, არა? ჰოდა, რა გაღელვებს, აქ იმდენია, მთელ ასეულს ეყოფა! — ამშვიღებს მამა სანდრას, — არ შეიძლება ეს მელია-კუდიგრძელია მე ვაჩუქო დოდაანთ ნატუკას? შეიძლება? მადლობთ, დიდი მადლობა!

— ჩვენი პირობა ხო არ დაგავიწყდა? — ეკითხება სანდრა.

— პირობის დავიწყება შეიძლება? როგორც დავთქვით, ისე იქნება: კეჟერაზე პურის აღება რომ დაიწყება, შენც შენი კომბაინით გამოხვალ.

— ხო ნამდვილი კომბაინი იქნება?

— აბა, როგორა? ზოგიერთი ნაწილები უკვე შევუკვეთე, შენი კომბაინი ნამდვილზე ძნელი გასაკეთებელია.

— აჰა, წამოეცდა! ჩანს, ჩემი კომბაინი არ იქნება ნამდვილი!

— დაიცა, კაცო, არ წამაქციო! ნამდვილი იქნება-მეთქი, ხოლოთ სერიული, სტანდარტული კი არა, როგორსაც ქარხნები აკეთებენ, სხვანაირი, სხვა ყალიბისა იქნება, არ გესმის?

— თავიდანვე ეგრე გასაგებად უნდა გეთქვა! — ისევ ხტის სანდრა და ბზრიალასავით ტრიალებს ცალ ფეხზე.

— აბა, გეყოთ! — დაუცაცხანა ქმარსა და შვილს ხატულამ, — რა ამბავია, შუაღამე წამოვიდა, ზოგს ძილი დაუგვიანდა, ზოგს საქმე! მე ვის ვეუბნები? სანდრა, ალექსი, მორჩით-მეთქი!..

...და გული არავის უგრძნობდა, რომ მიმავალი წლის იმ ხალისიან დღეს, იმ სასიამოვნო ფუსფუსში შემოღამებას საოცარი ამბავი მოჰყვებოდა.

საღამოს რვა საათზე, დარიანის რაიონის ოპერრწმუნებულმა რაფიელ ბრეგაძემ გულვარდიშვილის კაბინეტის კარი შეიკეტა, დაბარებულნი ბეჯითად შეათვალიერა და მდივანს უთხრა:

— ილარიონიჩ, გახსენი თათბირი, ოღონდ მოკლედ!

იმ ორის მეტმა ჯერ არავინ იცოდა, რისთვის იყვნენ დაბარებული, ხედავდნენ კი — მდივნის კაბინეტში ახლა ბრეგაძე უფროსობდა და პროკოფი გულვარდიშვილი აშკარა მზაობით ემორჩილებოდა მას.

— ამხანაგებო, დღეს აქ მოგიწვიეთ განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირები, რომ გაუწყოთ ფრიად მნიშვნელოვანი ამბავი, — დაზეპირებულივით დაიწყო გულვარდიშვილმა, — ზემდგომი ორგანოების მითითებით, ამ ისტორიულ ღამეს ხდება საბჭოთა რესპუბლიკების გაწმენდა სოციალისტური საზოგადოების ყოველგვარი ხორცმეტისაგან, კომუნიზმის მშენებლობის ხელისშემშლელ პირე-

პისაგან, ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და მთავრობის მოწინააღმდეგე ელემენტებისაგან, აგრეთვე ფაშისტებთან ტყვედნამყოფი, კაპიტალისტურ სამყაროში მცხოვრებ ნათესავებთან ურთიერთობის მქონე, და საერთოდ, ყველა საეჭვო ელემენტებისაგან. ეს საგანგებო ღონისძიება ტარდება ჩვენს რესპუბლიკაშიც და, მაშასადამე, ჩვენს რაიონშიც. ამ ისტორიულ, დიდად საპატიო საქმეში მონაწილეობისათვის მოგიწვიეთ თქვენ, რაიონის ყველაზე მოწინავე, მაღალი იდეური შეგნების მქონე, ჩვენი განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი ამხანაგები. ეხლა კი ინფორმაციისათვის სიტყვა ეძლევა ამხანაგ რაფიელ ბრეგაძეს.

ბრეგაძემ პირდაპირ საქმეზე დაიწყო ლაპარაკი:

— აქ დამსწრე ამხანაგებიდან, ჩვენ, ამხანაგ პროკოფთან ერთად, შევადგინეთ ჯგუფები, რომელთაც ევალებათ აღნიშნული ღონისძიების ოპერატიული განხორციელება. სიებში მოხსენებული პირები ოჯახებიანად სტოვებენ აქაურობას და ამიტომ, ნება ეძლევათ თან წაიღონ თავისთვის საჭირო საოჯახო ნივთები! ყოველ ჯგუფს დასახმარებლად ეძლევა ორი სალდათი და ერთი სატვირთო მანქანა. უნდა იმოქმედოთ სწრაფად და უხმაუროდ, დაცული უნდა იყოს სრული სიმშვიდე, რათა არ იქნას დარღვეული დანარჩენი მშრომელების ძილი და მოსვენება. ოპერაცია უნდა დასრულდეს ორ საათში. ზუსტად თორმეტისთვის მანქანები უნდა იყვნენ გურჯაანის გადასასვლელთან, საიდანაც ჩვენი კოლონა წავა სადგურისკენ. შეკითხვები არის?

— სად მიდიან? — დაარღვია ვიღაცამ სამარისებური სიჩუმე.

— ეგ ჩვენ არ გვეხება! — მოსჭრა ბრეგაძემ. — მგონია, ყველაფერი გასაგებია. ეხლა კონკრეტულად გეტყვით, რომელი ჯგუფი საით მიდის და სიასაც ჩაგაბარებთ. ილარიონიჩ, შევუდგეთ საქმეს!

„სადა ვარ? რა ხდება? მე აქ რა მინდა?" — თავი სიზმარში ეგონა ვაჟა კვერენჯაძეს. რაც გაიგონა, რასაც ხედავდა — კოშმარი ეგონა, ვერ დაეჯერებინა, რომ ეს სინამდვილეში ხდებოდა, რომ თვითონაც ამ კოშმარის მონაწილეა, რომ ცხადად ესმის გულვარდიშვილის სიტყვები:

— ჩემო ვაჟა, შენ მუსიანში მიდიხარ. შენთან გარაყანიძე წამოვა, ვასილა ენერგიული კაცია, კარგად დაგეხმარება. წადით, წარმატებას გისურვებ! — სია შეაჩეჩა გაოგნებულ ვაჟას და მაღალაშვილს მიუბრუნდა.

„თავზე გადაეახევ ამ სიას! — ეადადგა ნაბიჯი ვაჟამ და უცებ მოეგო ეონს. — არა! უნდა წავიდე. უსათუოდ უნდა წავიდე ეუხიანში. ვარაყანიძის მარტო გაშვება არ შეიძლება. პროვოკაციას მოაწყობს, ვაჟელებს ხალხს, უბედურებას დაატრიალებს. უნდა წავიდე. ნიკოსთან მე უნდა წავიდე. ნიკო გამიგებს. უნდა წავიდე!“ — არწმუნებდა, უბრძანებდა თავის თავს, მაგრამ ადგილიდან ვერ იძროდა.

— სარდიონ, რაღას იეეიანებ? — შეუყვირა მდივანმა, მაღალაშვილს, — მოჰკიდე ხელი შენს მეწყვილეს და გზას ბარაქა დააყარეთ!

— „გზას ბარაქა დააყარეთ,“ — ჩაიბურტყუნა მაღალაშვილმა, — ავად არის ის კაცი, ვერ უყურებ? გზაში ეგაც ჩემი თავშისახლელი ეახდება.

— ავად კი არა! მაგის ფიქრი ნუ გაქვს, ნამეტანი მაღალი მატერიებით რომ უჩურიავს ტვინს მოწაფეებს, რეალური ცხოვრების ნახვა არ აწყენს, პირიქით, წამლად შეერგება! — გაამხნევა მდივანმა სარდიონი და ახლა მის მეწყვილეს, საშუალო სკოლის ახალგაზრდა დირექტორს და ისტორიის მასწავლებელს, ვახტანგ მუმლაძეს მიუბრუნდა: — რა დაგემარია, ავადა ხარ?

— შაკიკი მკლავს, — თითქოს ხავსს ჩაეჭიდაო მუმლაძე.

— ვაჟკაცს შაკიკი რას დაეაკლებს? კირიანი არც ისე შორაა. სარდიონმა კარგად იცის იქაური ასავალ-დასავალი, ხელათ მოუვლით საქმეს, აბა, ყოჩაღად, გზა მშვიდობისა!

— მაშ, გავუდგეთ გზას! — უთხრა მაღალაშვილმა მუმლაძეს.

კარისკენ წასულ სკოლის დირექტორს ზურგიც კი უცახცახებდა.

ვაჟა ძლივს მოერია სურვილს ეყვირა. ტუჩს კბილი დააჭირა და მიიხედ-მოიხედა. კაბინეტი თითქმის დაცარიელებულიყო. „წახულან ჩემსავით „ნდობით აღჭურვილი პირები“, წუნკალი გულვარდის მიერ ერთი ყულფით ჩამოსახრჩობად დაბარებულნი...“ — გაიფიქრა და ნატყვიარი ფეხის თრევით წასული კარისკენ, უცებ გავარდა გარეთ.

— აბა, ეხლა კი ჩვენც წავედით, — უთხრა ბრეგაძემ ჯიბო ჭიმიაშვილს და წამოდგა. — ილარიონიჩ, შენ აქ იყავი, ამ დავიდარაბას რომ მოვრჩებით, მოვალ...

...სანდრას სძინავს.

ბუსარში ცეცხლი გიზგიზებს.

მაგიდაზე სტამბური ანაბეჭდებია გაშლილი. წაკითხული და გა-

სწორებული სტატია „საკონიაკე ვაზის ჯიშების გამორჩევა-მოვლა“ საჩქაროდ უნდა დაუბრუნდეს თბილისის სტამბას. ფინჯნებში დასმულ მაგარ ჩაის ორთქლი ასდის.

— პირობები რომ გვქონოდა, ჩვენი კონიაკი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე გამოვიდოდა — სმაშაღლა იოცნება ხატულამ.

— ჰო, დიახ, ჩვენი გულვარდი დღელამ მაგისთანა სიკეთეზე ზრუნავს, — ჩაიცინა ალექსიმ და წამოდგა, დაღლილი წელი და ხელფეხი ვაავარჯიშა.

— ძალიანა გთხოვ, ჩვენს ოცნებაში მაინც ნუ შემოვუშვებთ საძაგელ ტიპებს... იაბლონკელი სერიოგა ალბათ მავასაც „შავ სალამანდრად“ მონათლავდა, არა? — ვაიცინა ხატულამ.

— ნამდვილად, — დაუდასტურა ალექსიმ და წარმოიდგინა ვაზაფხულობით ახლა უკვე მოზრდილ, თეთრ-ვარდისფრად გადაპენტილ ვაშლის ხეხილებში ჩაფლული იაბლონკა, რომანიუკების პატარა სახლის სასურაეზე დასკუპებული ბოლოქანქარა ყიყლიყოც კი დაინახა...

— ოი, ალექსი, არ გესმის? ჩვენ სახლთან მანქანა ვაჩერდა, სტუმრები გვეწვივნენ!

ალექსიმ საკინძე შეიკრა და კარი გამოაღო. მობრძანდითო ვერ მოასწრო ეთქვა, ოთახში რაფიელ ბრეგაძე და ჯიბო ჭიმიაშვილი შემოვიდნენ, კართან თოფიანი ჯარისკაცი დააყენეს.

ალექსიმ უკან დაიხია.

— რა მოხდა? — უცებ ჩახლეჩილი ხმით იკითხა მიტკალივით ვათეთრებულმა ხატულამ.

— გაეცანით ამას, — ცივი თავაზით თქვა ბრეგაძემ და რაღაცა ქაღალდი გაუწოდა ალექსის.

ხატულამ ქმართან ერთად წაიკითხა „მოწერილობა“. წაკითხულის მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ მიხვდა, როცა მთელი არსებით იგრძნო ალექსის მძაფრი გულისცემა, იგრძნო, როგორ ცდილობდა ის მორეოდა, დაეფარა, არ გაემხილა თავისი აზვირთება, და მიეშველა, გრილი ხელი დაადო ხელზე, რომელზეც ძარღვები ისე ამობურცულიყვნენ, თითქოს ეს-ესაა დასკდებიანო.

ჯიბომ ჯიბის მოზრდილი საათი დადო მაგიდაზე.

— ოცდაათი წუთი გაქვთ, მოემზადეთ, რაც გინდათ, შეგიძლიათ წაიღოთ თან, გარეთ მანქანა დგას, — დააყოლა თან.

ბრეგაძე მაგიდიდან წამოკრეფილ ანაპეჭდებს დაუდევრად სტენიდა თავის პორტფელში.

ჯარისკაცი სარგადაყლაპულივით იდგა კართან.

— დროს ნუ კარგავთ, მოემზადეთ! — ბრძანა ბრეგაძემ და ახლა, თაროებზე დალაგებული წიგნების ქექვას შეუდგა.

უძრავად მდგომი ცოლ-ქმარი მაგიდაზე დადებულ საათს დასჩერებოდა. ორივეს ეჩვენებოდა, რომ საათის სიმძიმეს მაგიდა ჩაეზნიქა და წამის მაჩვენებელი ისარი ციებცხელებიანივით ძიგძიგებდა.

„ნეტა, სად შეინახა ლიზამ სანდრას თბილი წინდები?“ — გაეფიქრა უცებ ხატულას და ამაზე ფიქრს ვეღარ დააღწია თავი, ნელა მოშორდა ალექსის და ტახტზე ჩამოჯდა.

ალექსიმ თვალი მოსწყვიტა საათის ისარს და ხატულასთან მივიდა.

— მოვემზადოთ, — უთხრა ხმადაბლა და დამნაშავესავით დახარა მის წინაშე თავი.

— წინდები? — გათეთრებული ტუჩებით ჰკითხა ხატულამ და გაფართოებული, გამშრალი თვალებით მიაშტერდა ბრეგაძეს.

— „ჰოო, კი ჩაიწვებოდა მელითაური, მეგონა, მატყუებს-მეთქი ილარიონიჩი“, — გაივლო გუნებაში ბრეგაძემ, თვალი აარიდა ხატულას და სანდრას ოთახისაკენ გაემართა.

ალექსი განიერი ნაბიჯით დაეწია.

— ბავშვს არ შეეშინდეს, — უთხრა მშვიდად და თვითონ შეუძღვა, მიეხმარა სათამაშოების, ნაძვის მოსართავების ჩხრეკაში.

შუაკარში ჩამდგარი ჯიბო კისერწაგრძელებული უყურებდა მათ.

— მოემზადეთ, — ჩუმად უთხრა ხატულას შემოსასვლელში მდგომმა ჯარისკაცმა.

— რისთვის? — უაზროდ ჰკითხა ხატულამ.

— ყველგან ზამთარია, სათბილობლები იქნება საჭირო.

— აჰ, სათბილობლები?! — გაიცინა ხატულამ.

და ისეთი უადგილო იყო ის გაცინება, ისეთი შეუფერებელი იყო ქალის გამშრალ, უცებ ამოღამებულ თვალებთან, რომ ჯარისკაცმა კონდახით იატაკზე დაბჯენილ თოფის ლულას დააყრდნო თავი, მაგრამ მყისვე სმენაზე გაიჭიმა — ჯიბომ გამოიხედა და მაგიდაზე დადებული საათი აიღო.

— ამხანაგო რაფიელ, ათი წუთიღა დარჩა, — უთხრა „ნადავლით“ გამოსულ ბრეგაძეს.

თეთრი სავერდის დათუნიას გაფატრული მუცლიდან იატაკზე ნახერხი იპნეოდა.

— მოქალაქე რჩეულიშვილო, აი რა: — დათუნია დააგდო და ფეხებგაჩაჩხული, ზურგით დადგა ბუხართან ბრეგაძე. — მიუსედავად თქვენი დიდი დანაშაულისა პარტიის, ხელისუფლების, საქართველოს საამაყო შვილის წინაშე, თქვენს მიმართ ფრიად რბილი და ჰუმანური გადაწყვეტილება იქნა მიღებული. იმედია, თქვენ ამას სათანადოდ შეაფასებთ და, სადაც უნდა იყოთ, ეცდებით შემდგომი საქმიანობით გამოისყიდოთ თქვენი დანაშაული. გამონაკლისის სახით, თქვენ გეძლევათ უფლება ცოლ-შვილი აქ დატოვოთ!

— არა! — დაიყვირა ხატულამ.

— ჩუმად! — უბრძანა ცოლს ალექსიმ, როგორც ზემდეგი უბრძანებდა თავის ოცეულს. — ვისარგებლოთ „ჰუმანურობით". შენ აქ დარჩები!.. — და მერე სრულიად უმეტყველო სახით, ხმით, სავსებით მშვიდად, შეურაცხმყოფელი გულგრილობით ჰკითხა ბრეგაძეს:

— მე არ გამაცნობთ ჩემს დანაშაულს?

— როგორ არა! — ველარ მოითმინა ჩაურევლობა უფროსების გაჭირვების ტალკვესმა, ჯიბო ჭიმიაშვილმა: — ჩვენი სოციალისტური საზოგადოება უნდა გაიწმინდოს კომუნიზმის მშენებლობის ყველა ხელისშემშლელ ელემენტებისაგან, ჩვენი დიადი ლენინ-სტალინის პარტიისა და...

— გეყო! — შეაწყვეტინა ბრეგაძემ აშკარა უადგილო ყბედობა ჯიბოს და მერე ალექსის მიმართა: — თქვენს დანაშაულს სათანადო ინსტანციაში გაეცნობით...

ალექსიმ იატაკზე დაგდებული ჩანთა აიღო. პირსახოცი. საპონი. კბილის ჯაგრისი. ერთი ხელი საცვალი. მეტს რას მოიფიქრებს გონება ამ განშორების ჟამს? რა იცის, რა დასჭირდება გზაზე, რომლის არც სიგრძე იცის, არც დასასრული...

ჩანთა დახურა და თითქოს ოთახში არავინ იყო, გახევებულ ხატულას ბავშვივით მოჰკიდა ხელი, სანდრასთან შეიყვანა.

გულგაღეღილ ბიჭს მშვიდად ეძინა.

ალექსიმ ზემდეგად ველარ ივარგა. ხმასაც ველარ დაეუფლა.

— გონს მოდი, ხატო, რამ წაგასდინა? ყველაფერი გაირკვევა. მთავარია, შენ აქა რჩები. სანდრას გაუფრთხილდი. ცრემლს ნუ ანაცვებ, გულს ნუ გაუბოროტებ, ამას გთხოვ, ჩემო ხატო, გთხოვ, გავალებ...

ხატულას ვაუსაძლისდა მისი ოვალეების, მისი ხმის ატანა.

— გაიღვიძებს და რა ვუთხრა? — ჰკითხა თავდახრილმა.

— გათენება ვიკარნახებს. გონიერი ბიჭია, ზოგს თითონაც მიხვდება... — შეისვენა და მერე ჩასჩურჩულა: — დილითვე ნასე ნიკო ხელაშვილი, ირმისელებს ურჩიოს, ნატაძარი შეიერთონ, მაშინ ვაუას დატოვებენ თავმჯდომარედ. ნუ სტირი, სატო, ისევ ჩაუთქვი ნაკვერჩხალს და მალე დავბრუნდები. მალე ვნახავთ, მალე, ხატო...

ალექსიმ ჩანთა აიღო და გასასვლელისკენ წავიდა.

— ლოგინი? — ჰკითხა ჯარისკაცმა.

— ძმობილო, სად გინახავს სალაშქროდ მიმავალი ჯარისკაცი ლოგინს დაათრევდეს თან?! — უთხრა ალექსიმ და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

— მეზობლებს ნუ მოუშლით დასვენებას, ამაღამ ნუ შეაწუხებთ, — თავაზიანი ურცხვობით გააფრთხილა ბრეგაძემ სატულა.

...მანქანის ხმაური მინელდა, მინელდა, მინელდა, მისწყდა... გზა, სახლები, ხეები, ცა, ყვლაფერი შთანთქა წყვდიადმა. მხოლოდ წყვდიადი იყო — დაცლილი, ცარიელი წყვდიადი. სხვა არაფერი. და უცებ იმ შავ არაფერში, იქ სადაც ნაძვი უნდა მდგარიყო, ვეებერთელა ურჩხული აღიმართა. ბანჯგვლიან სახეზე ცალი თვალი უბრიალებდა. მკლავებგამლილი ნელა წამოვიდა ქოხისკენ.

ხატულას სისხლის ნაცვლად ყინულმა დაუარა ძარღვებში. „არ შეგიშვებ, ამ კარს იქით ჩემი შვილია, სანდრაა იქ!“ — დაიყვირა უხმოდ და მოახლოებულ ურჩხულს ხვადის ბრჭყალებადქცეული, სახსრებჩარკინებული ხელები შეაგება...

ურჩხულს თვალი აუკიაფდა, მისწყდა, წყვდიადი გაარღვია და გაქრა. მის ნაკვალევზე დაინახა ხატულამ: საიდანაც ურჩხული წამოვიდა, იქ ნაძვი იდგა, ვეება, კეთილი მეგობარი, ალექსის და ხატულას ერთადერთი მაყარი, სანდრას აკვნის უნაცვლებელი დარაჯი.

— აი სანდრა! — თქვა ხატულამ, შინ რომ შევიდა, და უაზროდ დააშტერდა ემძინარე ბიჭს. მოეჩვენა, რომ საწოლიდან რბილი და მსუბუქი ტალღები იღვრებოდნენ. გაუკვირდა, რომ პატარა საწოლიდან ტალღები იღვრებოდნენ, იღვრებოდნენ და მისკენ მოისწრაფოდნენ, ეხვეოდნენ, ელამუნებოდნენ, თითების, მაჯების, მხრების ტეხვას უამებდნენ, და იმ მსუბუქმა რბილმა ტალღებმა არაფრის გარკვევა აღარ აცალეს, ჩაიხვიეს, ჩაიძირეს და ფრთხილად დაარწიეს...

• • •

მელითაურს თავისი სახლის პატრონი ვაფრთხილებული ყოფილა, თუნდ შინ ვიყო, ვინც უნდა მიკიოხოს, უთხარი, შინ არ არი და არ ვიცი, სად არის-თქო. მშვიდი და მოკრძალებული მოხუცი დემეტრე აქამდე პირნათლად ასრულებდა თვალ-გულთან მისული, კეთილი და ხელგაშლილი მდგმურის დავალებას, იმ ღაღამებისას კი, ჩანს, აღელვებისაგან გაკაღნიერებული შეიჭრა მის ოთახში.

— დღეს მთელი დღე შინ რამ დაგსვა? ბარე ათჯერ ვიკითხეს რაიკომიდან, რატო არ გაიხედავ, არ ვაიგებ, რა ხდება!

— ვითომ რა უნდა ხდებოდეს ამ ჩვენ „სატასტო“ ქალაქში? — ჩაიცინა მელითაურმა და წიგნი ვადადო, მოხუცის უჩვეულო ქცევით გაკვირვება არ შეიმჩნია. — მაინც რა, ძია დემეტრე, რა ხდებაო?

— რაღაცა ჯანდაბის ჯგუფები დაუეზავნიათ სოფლებში, ჩვენ პარპაშა რაზბონიკებს ხალხის აყრა დაუპირებიათო... — თვალები ცრემლით ეესებოდა მოხუცს.

— დაიცა, დაიცა! — თქვა რამაზმა. მოაგონდა: იმ დღეებში მდივანი არავის ღებულობდა, კაბინეტში ოპერწმუნებულთან ჩაკეტილი რაღაცას „ჩხირკედელაობსო“, გუშინ კი ნასვამმა სარდიონ მაღალაშვილმა წაუბჟუტურა, ხვალ მდივანი თავის სანდო ხალხს საიდუმლო თათბირზე დაგვპატიჟებსო... დღეს სწორედ ამიტომ განმარტოვდა, გულვარდიშვილის დანახვა და მის შემაწუხებელ თათბირზე დასწრება ეზარებოდა, აა...

— ძია დემეტრე, დამშვიდდი, ტყუილი იქნება... — ნაღვლიანი მოფერებით მოუთათუნა მხარზე ხელი მოხუცს და სწრაფად გავიდა სახლიდან.

მან ჩვეულებრივად ყურთამდე შეაღო გულვარდიშვილის კაბინეტის კარი.

— სად დაჰქრიხარ, ეშმაკიც ვერ მოაგნებს ხოლმე შენს ეზაკვალს! — რაღაცსაირი მხიარული საყვედურით შეეგება მდივანი.

— ქვემოთ ჭალებში ვიყავი სანადიროდ, — იცრუა მელითაურმა.

— უჩემოდ რომ გაიპარები ხოლმე, გგონია, ხეირი დაგეცრება? აი, ძალზე საინტერესო სიტუაციას გასცდი!

— უშენოდ როცა მივდივარ, ყოველთვის ხელცარიელი ვბრუნდები! — დროს იეებდა, თავს იმშვიდებდა მელითაური. — ჰო, მაინც რა იყო, რას გავცდი?

— რაფიელ ბრეგაძეს უნდოდა დამსწრეთ წაეყვანე.

— რაფოს ამალაში ყოფნაა „საინტერესო სიტუაცია“?

— კაცო, შენ ნუ ხარ ღიდ-პატარის აბუჩად ამგდები.

— რა ვქნა, ცუდადა ვარ გაზრდილი. სად მამაჩემთან მიდიოდა?

— ერთხან წავიდა, რწეულიშვილთან წავიდა.

— ვინ რწეულიშვილთან? — შეეკრა შუბლი ბელითაურს.

— სსეა ვინ იქნება, გონჯაურასთან!

— გონჯაურასთან?.. — წყალს მისწვდა რამაზი, მაგრამ გაკვესებული ჭიქა დაავიწყდა. ხმადაბლა თქვა:—არ მოასვენე ის ადამიანი, მაინც ვამოსდე სრიკი?

— ეხლა კარგად მოისვენებს და ჩვენც მოგვასვენებს!

„უსამუსო, ღორო პროკოფინა!“ — უნდოდა ეყვირა რამაზს და ისევ ხმადაბლა ჰკითხა:

— ეგ როგორა?

— როგორადა, ჭალებში კი არ უნდა გეკრიალა, აქ უნდა ჰყოფილიყავი, გეცოდინებოდა, როგორა?! როგორადა, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებაა, ჩემო კარგო, რესპუბლიკა უნდა გაიწმინდოს ყოველგვარი ხორცმეტისაგან, ტყვედ ნამყოფი, ეჭვმიტანილი, ნღოპაგატეხილი პირებისაგან. ჰოდა, მაგისთანები ჩვენ რაიონშიც ბლომად არიან!

„უსამუსო, ღორო პროკოფინავ, ეს დღეები რაფოსთან ჩაკეტილი ამაზე თათბირობდი? იმიტომ ღამსვდი კარგ გუნებაზე? ბრეგაძეს მეტი რა მოეთხოვება, ეს მაგისი ხელობაა, მაგრამ შენ?.. ღმერთო, მომეც მოთმენა!..“

— საით უკრავთ თავს? — ჰკითხა, სული რომ მოითქვა.

— ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ, რა ვიცი?

რა თქმა უნდა, იცოდა, და რამაზს უნდა გაეგო ის, რაც გულვარდიშვილმა იცოდა. განსჯის დაუხარჯავი უნარი მოიშველია, და რამდენადაც შესძლო, აღუშფოთველად ჰკითხა:

— მარტო თითონ ხორცმეტები თუ... ოჯახებიც? — ჰკითხა და პასუხის მოლოდინში წამი უსასრულო ეჩვენა, თვალები აეწვა, ყურებში წივილი აუტყდა. სული კბილითღა ეჭირა გულვარდიშვილის ქირქილი რომ გაიგონა.

— შორიდან ნუ უვლი, ვიცი სადაც უკაკუნებ! დანარჩენები კი ოჯახებით მიემგზავრებიან, გონჯაურა კი... გონჯაურამ თუნდ მთელ

ყინულოვან ოკეანეზე გააშენოს ვენახი, კარგი აგრონომი კი ჩვენ აქაც გვჭირდება! მადლობა თქვი, ბრეგაძე ძლივს დავიყოლიე!

რამაზი ბეწვის ხიდზე გამოვლილივით, ღონეგამოლეული მიესვენა სკამის საზურგეს. გაოფლილი საყელო შეიხსნა და თვალები დახუჭა. „ჩამოსახრჩობი ხარ, ღორო-პროკოფინა, მაგრამ თოკი აფსუსია შენთვის. ბოსელში ხარ დასამწყვდევი, პირუტყვი ხარ, ბოსელშია შენი ადგილსამყოფელი. ამ კაბინეტში რა გინდა? ვინ განდო? ვინ?..“

— ეხლა იმ ოჯახის პატრონობა შენ მოგიწევს...—ისევ ჩაესმა რაეაზს გულვარდიშვილის ჩაქირქილება და ყელს მომდგარი ბოლვერისებური ღრენა უხიაკ ხორხოცად აქცია, მეტი კი ველარ შესძლო, წამოდგა.

— სხვა „ხორცმეტი“ ბევრი აღმოაჩინეთ? — ჰკითხა ხმაწასულმა.

— ეგ სტატისტიკა ბრეგაძეს მოჰკითხე! რა მოგდის ყმაწვილო, ეშხით მთვრალო, ფერი არ გადევს?

— იმ ტიალ ჭალებში კოღოებმა დამხრეს, მაციებს.

— ქინაქინს მოვცემ, გინდა? — მზრუნველობით შეეკითხა მდივანი.

— შინა მაქვს, მივალ და დავლევ.

— არაყიც დააყოლე და ჩაწექი, ოფლი იდინე! მე კი აქ უნდა ვიჯდე ყველას მონა-მორჩილი, უნდა ვიცადო, ვიდრე მაცნობებენ, რომ ყველაფერმა მშვიდად და მშვიდობიანად ჩაიარა. მე არც ავად ყოფნის უფლება მაქვს, არც ნადირობისა, არც დასვენებისა... — გულვარდიშვილმა ველარ განაგრძო თავის მოუსვენარ მოღვაწეობაზე წუწუნი, შეამჩნია, რომ კარისკენ წასულ მელითაურს მუხლები ეკეცებოდა. — დაიცა, ვინმეს გამოგაყოლებ!

ზიზღი, უმწეობა, სასოწარკვეთილება ჰკვეთდა მუხლს მელითაურს, აღარ შეეძლო საძულველი ხმის გაგონება, ღონე მოიკრიბა და სწრაფად გავიდა გარეთ.

შინ მისული რამაზი ისე ცუდად გრძნობდა თავს, ეგონა, ყოველი ნერვი სათითაოდ აწყდებოდა. ოთახში თითქოს ვიღაცა იყო და ჩასჩიჩინებდა: „ირმისში უნდა წახვიდე. ეგებ მოგატყუა იმ არაკაცმა, უნდა ნახო, დარწმუნდე, რომ სანდრა და ხატულაც არ გაუყენეს იმ უცნობელ გზას. ნუ აყოვნებ, გათენება თუ გისწრებს, ვინღა არ იცნობს შენ ტრედანას? იჩქარე, წადი!“

იმდენი უნიჩინა იმ ვიღაცამ, რომ რამაზი ტასტიდან წამოიჭრა, მხრებზე ნაბადი მოიგდო, თავ-პირი ყაბალახით შეიბუდნა, წუთში შეკაზმულ ტრედანას მოასტა, ხელუკარეპას გამეტებით გადაუჭირა მათრახი და ირმისისაკენ გააქროლა.

„თუ მომატყუა იმ არაკაცმა, რა ვქნა? — გაუელვებდა ხოლმე ღა ამ აზრით ვაციკებული, ტრედანასაც აციკებდა. დამთხვეულებივით მიჰქროდნენ, სად ცხენი იყო, სად მხედარი — ღღეც გაჭირდებოდა გარჩევა. ცხენის ზურგს გაკრული რამაზის სახეს უმოწყალოდ სერავდა ქროლვით აყრილი ფაფარი, მაგრამ მისი ტუჩები ვერ შორდებოდნენ ტრედანას კეფაზე მიტკეცილ ყურებს: — ჩქარა ვნახოთ, ტრედანავ! და თუ ბედმა გვიმტყუნა, თუ მოგვატყუა იმ არაკაცმა, თუ ღავიგვიანეთ, მაშინ გადავვარდეთ საითმე, სადმე შორს, მთებში მოვიტეხოთ კისერი — ავი ფიქრი არავინ ჰკადროს იმ ხატულას, იმ სანდრას, ჩქარა, ჩქარა!..“

ირმისსხვეს რომ გადააფრინდნენ, ცხენი ნარიყალაზე დატოვა და თვითონ სოფლისკენ გაიქცა. ქურდივით ღობე-ღობე აკრული მირბოდა მიყრუებული ქუჩებით და სიბნელეში უხმოდ, ხელებით იგერიებდა აქეთ-იქიდან ღრენით და ყეფით გამოვარდნილ ძაღლებს. კაცის ჭაჭანი და შუქის წერტილი არსად იყო. ჩანს „ოპერაცია“ სწრაფად და უხმაუროდ ჩაუტარებიათ. ღმერთო, თუ ხარ სადმე, რამ დაგაყრუა და რამ დაეთხარა თვალები?!“

ნაძვს მიაღწია, ხის დაკლაკნილ ფესვზე დაეცა, ქოხს დააკვირდა. დახურული დარაბიდან გამოპარული შუქის ზოლი წინდის ჩხირივით ეგდო მიწაზე. საკვამური მქრქალად ბოლავდა.

„იქ არიან? სინათლე რად ანთია? რატომ არ ჩააქრეს? ელდამ დაავიწყათ? იქნებ სიჩქარეში დარჩათ ანთებული...“

ფანჯარასთან მისულს, თვალწინ დარაბა აეფარა. ყური მიუგდო, მაგრამ საკუთარი გულისცემის მეტი ვერაფერი გაიგონა. სიფრთხილემ კინაღამ ულალატა და კარი რომ არ შეელეწა, ხელი ჯიბეში ჩამალა. სახლს დაუარა და ავაზის მახვილი თვალით გაარჩია მიშენებული ოთახის კედელში, ჭერთან ახლო დატანებული სარკმელი.

ღობესთან მილაგებულ აგურებს და კუნძებს მიაგნო, კედელთან მიათრია, ერთმანეთზე დაალაგა, ზედ შედგა და ხელებით მონრდილული სახე მინას ააკრა. წინა ოთახიდან გამოსულ შუქზე თანდათან გაარჩია: კედელთან პატარა საწოლი დგას... დაისვენა და მერე ცერებზე აიწია, კუნთები, სახსრები დაჭიმა, მთელი სხეული აზიდა,

და როგორც იქნა, ღაინახა: საწოლში ბავშვს სძინავს, საწოლთან ღაგებულ ხალიჩაზე ქალი წევს... სატულა!..

დალეწილი, მოდუნებული იჯდა კუნძზე და გრძელ გზას უჩვევი მისი ფიქრი უსასრულო გზას მოჰყვებოდა. გზა ამ ქოხიდან ძალიან შორს, ჯერ კიდევ ბავშვის გონების თვალსაწიერს შერჩენილ, თუშებით სავსე მამისეული სახლიდან, შენაქოში იწყებოდა და უსაშველოდ გრძელდებოდა იმიტომ, რომ ყოველ გზაჯვარედინიდან ისევ ამ ქოხს, სარკმლიდან დანახულ სურათს ეჯინებოდა, ლამობდა ჩასწვდენოდა ძალას, რომელმაც ეს ქალი — დედა, საკუთარ ჭერქვეშ თავგანწირულ მცველად მიაგდო მძინარე შვილის საწოლთან...

ღამე გაბაცდა. ფიქრის გზა კი ისევ დახლართული, გაუვალი იყო. როდემდე შეიძლებოდა სხვის სახლში ქურდულად მისული კაცის ჯდომა სალოცავადქცეულ სარკმლის ძირას?

აგურებისა და კუნძების ადგილზე მილაგებამაც წაართვა დრო, და თეთრად ინათა, მელითაურმა გაქაფული ტრედანას აღვირი ძილდამფრთხალ დემეტრეს რომ შეაჩეჩა.

— მე შინ არა ვარ! — უთხა მოხუცს და თავის ოთახში შეიკეტა, ნაბდიან-ყაბალახიან-ჩექმებიანად მიეგდო ტასტზე.

სატულა უცებვე გამოეგო ისე უცებ დაუფლებულ ძილს. ეათენება? სანდრა იღიმის. აჰ, საათს ციებცხელება სჭირს. რას ულიმის სანდრა? გარეთ ჯერ ისევ ღამეა. „მეზობლებს ნუ შეაწუხებთო“!

აწეწილ-ანგრეულ ოთახში მუცელგაფატრული დათუნია მოხვლა თვალში. ყუთით ნახერხი გამოიღო, ბუხართან დაჯდა და თავი არ აუწევია, სანამ „დაჭრილს“ უკანასკნელი ნაკერი არ დაადო.

„აკი დასტაქრად არ ვარგებულხართო?!“ — ეაულიმა ქმარს და წამოდგა, დარაბა გამოაღო.

ეათენებულა! გაგიჟდი, სატულა, ეართობის დროა? აქამდე არ უნდა გაგეგო, საით წაიყვანეს ის კაცი? ღამე არ შეაწუხე მეზობლები, მაგრამ გათავდა ღამე, ეხლა შეიძლება ჰკითხო. ვის ვკითხო? რა ვკითხო? საით წაიყვანეს?.. ვინ მეტყვის? რა იციან? საით გაიტაცეს? ლევანს შევატყობინებ. წამომყვება. ხელათ დავბრუნდები. მოვასწრებ, ვიდრე სანდრას სძინავს, ვიდრე ძილში ულიმის მამას...

ეარეთ ჰყინავს. ყველაფერს ჭირხლი მოსდებია. ჭირხლმოდებული სიჩუმეა. ალექსის უყვარს ასეთი გათენება. იმ ჯუბაჩის ამარა

ნად წავიდა? სანდრას ეუბნებოდა: „უყურე, გათენებისას მთები ბროლისა ხდებიანო“. ეს პატარა მაიმუნიც აპყვება ხოლმე: დედი-ი, უყურე, ბროლის მთებზე მზის მზვერავები გამოჩნდნენო!.. ნაბადი მაინც წაელო. გუშინ ამ მერხზე ისხდნენ და სანდრას ეუბნებოდა: „ხედავ, მზე როგორი სიცილით ამოდის? იცი რა აცინებს? ადამიანები ერთმანეთის სამტროდ ათასნაირ იარაღს იგონებენ, მე კი გაჩენის ღღიდან შუბოსნების ლეგიონებს ვეზავნი მიწაზე, ხალხს გული გაუთბონ და გაუხარონო“... საით წაიყვანეს? ოჰ, როგორ იწვიან მთები. ცასაც ცეცხლი ეკიდება. ხანძარია ცაში! ალექსი, ხომ არ ეძინავს, ხედავ ამ გათენებას? ირმისელებო, რამ დაგაძინათ, ვერა ხედავთ, იწვის ცა?.. იქნებ არა სძინავთ, იქნებ ისინიც „მეზობლებს არ აწუხებენ“?! მაგრამ გათავდა ღამე, გაიღვიძეთ, მითხარით, სად წაიყვანეს ალექსი! ვისა ვკითხო?..

ვიღაცის მოთქმამ დააფრთხო სიჩუმე. იმ ხმამ ხატულას მეხსიერებაში ჩარჩენილ ბრეგაძის ფუნჩულა ხელს და წვრილად ჩამოწერილ სიას მიაგნო. სია აყვირდა, მათრახივით დაპკრა ხატულას.

და ხატულა გაიქცა.

მირბოდა, არსაით იხედებოდა. არც შაშვის სტვენა გაუგონია. ოზბეთელაანთ დაცარიელებული სახლის კარს კლიტეს ადებდა ტრაქტორის მიმბმელი ბიჭი მალხაზი. „სადაც უნდა დამიმალოთ, სულერთია, მოვძებნი...“ — დარდიანი შაშვივით სტვენს და სტვენს ბიჭი.

ხატულა კი მირბის.

მოთქმას უახლოვდება. მის დანახვაზე, მოთქმაც ძლიერდება. მოთქმა ძალზე ძლიერდება დოდაანთ უბანში. ნატალიას გამოყრუებულ, უპატრონოდ დაგდებული სახლ-კარის დანახვაზე ხატულას თითქოს გულისბუდე დაუცარიელდაო, და გული რომ აღარ უშლიდა, გონებამ სძლია აზრთა დამქანცავ არეულობას. ყველაფერმა მკვეთრი, რეალური სახე და მნიშვნელობა მიიღო: დოდაანთ ნატალიას მიმართ „პუ-მა-ნუ-რო-ბა“ არ გამოუჩენიათ. არა ჩანს სანდრას მეგობარი, ის პატარა, საყვარელი ნატო-ნათუკა...

არავის რას ეკითხება, ეშინია თვითონ მას არა ჰკითხონ, შენ რაღად დაგინდესო...

და ისევ მირბის ხატულა. ჯაფარაანთკენ მირბის. რძალ-მაზლი უნდა წამოიყვანოს. სანდრა მარტოა!.. ამათ კი არხეინად სძინავთ. ჭიშკარიც ღია დაუგდიათ. ბაღჩაში გოჭები დანავარდობენ. საქათმე-

ში დამშეული ქათმების კრიახია. მთელი ირმისი ფეხზეა, ამათ კი სძინავთ, გაგონილა?..

— თავს რად იტყუებ, ხატულა? — თქვა ხმამაღლა და კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. — ლევან, ძმაო, ცუდი მასპინძლები გამოელექით, ჯერ სიხარულს არც კი შესჩვეოხარ და... ჩემო „შინაბერავ“, სანდრას იავნანავ, ასე ხანმოკლე იყო შენი ბედნიერება?.. თუმცა, რა სისულელეს ვამბობ, თქვენ ძალზე ბედნიერები ხართ, თქვენ ერთადა ხართ, ერთად! მე კი ალექსიმ მიბრძანა, „დარჩიო“, „სანდრას გაუფრთხილდიო“, „გული არ გაუბოროტოო“. ამსიმძიმე დავალება მე როგორ ვზიდო?.. ოჰ, ხატულა, შენ მართლა გაგიჟდი, ბიჭი მარტო დატოვე, გაიღვიძებს ცარიელ, აყრილ-დაყრილ სახლში, შეეშინდება. დაგავიწყდა, რისთვის მოხვედი? ვიღას ვკითხო, საით წაიყვანეს ალექსი?.. ვაჟას ეცოდინება! ჰო, ჰო, ვაჟას უსათუოდ ეცოდინება. ფერდობით ხელათ ჩავირბენ ნატაძარში!..

წამოდგა. კლიტედადებულ კარს გახედა და ახლაღა შენიშნა აივანზე მირჩენილი ბოხჩა. აიღო და გახსნა. სათბილობლები, ბოხჩა შეუკრავთ და წაღება დავიწყებიათ... ლევანი ძალზე მცივანაა, ღმერთო, ნუ გამაგიჟებ!..

და ჯაფარაანთ ეზოდან გამოსული, ისევ გაიქცა. ფერდობისკენ გადასახვევთან მაკა და ვაჟას უმცროსი ძმა ალე დახვდნენ, გეგონება, მას უცდიდნენო. ალემ რაღაცა ჩამოართვა და ხატულამ მის ხელში დაინახა ჯაფარაანთ აივნიდან წამოღებული ბოხჩა. გაეცინა. ასეთი ბოხჩით მაკას ქორწილში საჩუქრები მიიტანა. შექეიფიანებული ალექსი კი თავისთვის ღიღინებდა: „ყაყაჩო აყვავებულა, ვარდი გაშლილა მიამა“..

ხატულამ ისევ გაიცინა და მერე უცებ იკითხა: — ვაჟა შინ არი?

— ეხლახან დაბრუნდა, ჩვენ შენთან მოვდიოდით.

— მაშ ალექსიც დაბრუნდებოდა, წავიდეთ ჩქარა!

— დაიცა, ხატულა, ნუ გარბიხარ, ალექსი შინ არ იქნება! — ტირის მაკა.

— ვაჟა ხო დაბრუნდაო, ალექსიც დაბრუნდებოდა!

— ნუ გარბიხარ-მეთქი, ნუ! ვაჟას გაუცილებია...

— ვინ გაუცილებია? საღ?

— გურჯაანიდან გაუცილებიათ ეშელონი... ალექსი იქ შემთხვევით დაუნახავს...

— ოჰ, ღმერთო ჩემო, რა უთავბოლოდ ლაპარაკობ, მაკა! გამიშვი, ვაჟას ვკითხავ.

— დაიცა, სატულა, დაიცა-მეთქი, სად გარბიხარ, ვაჟა ეხლა ვე-
რაფერსაც ვერ ვეტყვის! გაუცილებია და მერე ისე დამთვრალა,
უეცრად, უგრძნობელი მოიყვანეს ბიჭებმა. იმათ გვითხრეს, ეშელონი
თბილისში გაისტუმრესო. ხმა ამოიღე, თქვი რამე, რამ გაგაშეშა? ხა-
ტო!

— დამაცა, მომაფიქრებინე... ვაჟა იქ როგორ გაჩნდა? გურჯაან-
ში რა უნდოდა? როდის წავიდა?

— ეხლა შენ არ გამაგიჟო, არაფერი ვაგიგია? წუხელ ორ საათში
დასვეტეს ხალხი მთელი რაიონიდან. ვაჟას მუხიანელები ჩაუყვანია
გურჯაანში, ალექსის ამბავი არა სცოდნია, იქ შემთხვევით...

— დაიცა, დაიცა! — გააწყვეტინა ხატულამ, თავი მკლავებით შე-
მოისალტა და ერთხანს უძრავად იდგა, მერე მკლავები ჩამოყარა და
თითქოს სიზმარს გამოეგოო, იკითხა: — რა სთქვი? ვაჟას მუხიანე-
ლები ჩაუყვანიაო?

— ჰო... — უფრო მწარედ ატირდა მაკა.

— რაღა გატირებს? ირმისელები რაფიელ ბრეგაძემ და ჯიბო ჭი-
მიაშვილმა ჩაიყვანეს, მუხიანელები — ვაჟა კვერენჯაძემ...

— შენ გაგიჟდი? — ორივე მაჯაში ჩააფრინდა მაკა.

— გა-ა-ცი-ლა!..

ხატულამ ხელები გამოსტაცა მაკას, ჰაერში გაასავსავა, უცებ
მოსწყდა ადგილს და გაიქცა, თითქოს უცნაური ფრინველი აფრინ-
დაო, გააპო ჰაერი და გაუჩინარდა.

— ვაჟაც მაგიტომ მიეძალებოდა ღვინოს, — თქვა ალემ. მეათე-
კლასელმა ბიჭმა ბებრული ტეხვა იგრძნო ძვალ-რბილში.

— შენც გაგიჟდი? „მაგიტომ" რაღაა? გამოფხიზლდება ვაჟა და
თითონ მივა, ხატულასთან, ყველაფერს აუხსნის!

— თუ აგრეა, მა რაღა გატირებს?

— რა იფიქრა ვაჟაზე, ეგ როგორ იფიქრა?

— აბა შენა ჰყოფილიყავი! გაფიქრებინებენ და იფიქრებ. ლამის
ადამიანები მგლად აქციონ, ისეთს ასწავლიან, რო...

— რა სისულელეს ამბობ? მეორედ აღარ გაბედო მაგის თქმა!
ვინ რას ასწავლის? მალე ჩვენი ხმა მისწვდება, და ვინც მასწავლე-
ბელია, ის მოუვლის ამ არამზადებს, ჰო, ჰო, ნახავ, ნახავ, რა დღე
დაადგებათ!

— მისწვდება... — ალემ არ იცოდა, საით წაეღო ხელში შემორჩე-
ნილი ბოხჩა.

იდგნენ და არ იცოდნენ, საით წასულიყვნენ.

ხატულა კი მართლაც უცნაური, დაჭრილი ფრინველივით მიფრთხიალებდა შინისკენ.

„როგორ დავტოვე ბიჭი მარტო, რა ღმერთი გამიწყრა, მარტო რად დავტოვე? ჩვენ კარს საკეტი არა აქვს. დაკეტილი კარი შველის ადამიანს? „გული არ გაუბოროტოო". ვაიღვიძებს სანდრა და მკითხავს. რა ვუთხრა, რა? ამდენი სიბოროტე მე როგორ გავუკეთილო? „სანდრას გაუფრთხილდიო", მე კი ღვთის ანაბარა დავაგდე..."

— სანდრა! — დაიყვირა კარიდანვე და გიჟივით შევარდა შინ.

ბუხართან ნიკო ხელაშვილი იჯდა.

სანდრა და ანიკო წიგნებს ალაგებდნენ თაროზე...

იმ დღეს სოფელში უსამძიმრო გლოვა იყო.

იმ დღეს სკოლა დაკეტილი იყო, დირექტორი პლატონ შიშნიაშვილი და მისი ფრანგი ცოლი, ხატვის მასწავლებელი ლინა არ ჩანდნენ.

იმ დღეს ხალხმა შეიტყო, ეშელონები ნავთლულში იკრიბებიანო.

იმ დღეს ირმისელებმა სატვირთო მანქანაზე დაახვავეს საახალწლოდ დამზადებული ხორაგეული და მარჯვე ბიჭებმა მანქანა ნავთლულისკენ გააქანეს.

იმ დღეს ნიკო ხელაშვილმა ირმისელები და ნატაძრელები მოინასულა.

იმ ღამეს სანდრას ესიზმრებოდა, რომ ეშელონს მიპქონდა ლამაზად მორთული, ანთებული ნაძვის ხე და მამა კომბაინით ეძებდა სანდრას. სანდრას უნდოდა ეყვირა: „მე აქა ვარ, მამიი!", მაგრამ სკოლის დირექტორი პლატონ-მასწა და ხატვის მასწავლებელი მასწალინა ეხვეწებოდნენ, არ იყვირო, დოდაანთ ნატუკა ავად არისო, და სანდრა ხმას ვერ აწვდიდა მამას, ხელებს უქნევდა, წვალობდა, ტრიალებდა ლოგინში.

ის ღამე ხატულამ, ნიკო ხელაშვილმა, ვაჟა კვერენჯაძემ სანდრა-პაპისეულ ბუხართან გაათენეს...

...და მეორე დღეს ვაჟა დარიანში წავიდა.

ვაჟა არ იყო დარწმუნებული, რომ გულვარდიშვილთან საუბარი წარმატებით დასრულდებოდა. წარმატებისთვის მას უნვეულო და ძალზე საჩოთირო ილეთები უნდა გამოეყენებინა და ეშინოდა — საამისო უნარი და ნებისყოფა არ ეყოფოდა, დავალებულ საქმეს წაასდენდა.

— ოჰ, მობრძანდი, ყმაწვილო, გუშინ გელოდებოდი და დღეს მობრძანდი? — ცოტა არ იყოს, უკმაყოფილოდ შეხვდა მდივანი.

— მაპატიეთ, პროკოფი ილარიონიჩ, გურჯაანელებმა დამლუპეს, ისე დამათვრეს, დღესაც ვერა ვარ გონზე მოსული! — გამეტებით შემოიკრა თავში ხელი ვაჟამ.

— ვიცი, ჰო, ვიცი, ყმაწვილო! — მოლბა გულვარდიშვილი, ერთობ შეწუხებული ჩანდა ვაჟა.

— იცით? საიდან?

— ჩიტმა ჩამიჭიკჭიკა!

— ოჰ, დარიანის ენატანია ჩიტუნები!... სიტყვას გაძლევთ, ეს აღარ განმეორდება!

— მჯერა, ჩემო ვაჟა, ვიცი, შენ სასმელებს არ ეტანები.

— არ ვეტანები იმიტომ, რომ თქვენ ეს არ მოგწონთ!

— რაც კომუნისტის სახეს არ უხდება, არ მომეწონება, არ იცი?

საკმაოდ წყალი რომ დანაყეს, გულვარდიშვილმა გული რომ იჯერა საკუთარი ოხუნჯობით, ვაჟამ მორცხვად დახარა თავი:

— მე საქმეზე მოვედი, პროკოფი ილარიონიჩ, თხოვნით მოვედი...

— ალბათ, დასვენება გინდა მთხოვო.

— პირიქით! მეც თქვენსავით არ მიყვარს გადადებული საქმე, თქვენი სტილი დამჩემდა: მიყვარს ოპერატიულობა, კონკრეტულობა, მაღალიდეურობა. ეს თქვენი სკოლაა, თქვენი სტილი!

— ჩემი კი არა, — მდივანმა მაგიდის მოპირდაპირე კედელზე დაკიდულ, სათვალებიანი კაცის პორტრეტზე მიუთითა, — ეს საქართველოს საამაყო შვილის სტილია და სკოლა!

— და ამიტომ თქვენი არის!—წამოიძახა ვაჟამ და შეეშინდა, ხომ არ ვაჭარბებ, ასეთი აშკარა და უხეში მლიქვნელობა შეურაცხყოფად არ მიიღოსო, და ცოტა არ იყოს, გაუბედავად განაგრძო: — ვოცნებობ, ოდნავ მაინც დაგემსგავსოთ. მივაღწევ ამას ოდესმე?

გულვარდიშვილი სკამზე შესწორდა, გამელოტებულ თავზე ხელი გადაისვა და თითი შუბლთან მიივიწყა. გრძნობით აღესილმა თქვა:

— მე სწორედ მაგას ვაფასებ შენში, ჩემო ვაჟა. ვაფასებ, რომ შენ არ ჰკმაყოფილდები შენი წარმატებებით, ზოგიერთებივით არა ჰყოყოჩობ მიღწევებით. ამიტომ იზრდები დღითიდღე, განუხრელად მიდიხარ აღმავლობისკენ, ჩვენც იმიტომ გიწყობთ ხელს წინსვლაში.

ვაჟა თავჩაღუნული უსმენდა. შეიძლება ითქვას, ხელით მოათრია საჭირო ჟამი, და ახლა კი ისე გაუჭირდა თვალთმაქცობა, რომ... მაგრამ მან ხელაშვილის მკაცრი და ხატულას გამამხნევებელი გამოხედვა მოიშველია, თავი ასწია და ყოყმანით თქვა:

— ეხლა, როცა ის რჩეულიშვილი მოვიშორეთ, მე მგონია, მიზანშეწონილი იქნებოდა ნატაძრის და ირმისის გაერთიანება...

— ყოჩაღ შენ! მე ეგ აზრი ბევრჯერ მომსვლია, მაგრამ შენ გიფრთხილდებოდი, ის გონჯაურა არ გადაეკიდოს-მეთქი!

— ეხლა ეგ მიზეზი მოიხსნა... — ენა ძლივს მოატრიალა, თვალები დახარა ვაჟამ.

— გუშინ სწორედ მაგისთვის გიბარებდი! რაღას ვავაჭიანურობთ? დაე, ირმისელებმა საახალწლოდ საჩუქარი მიიღონ! ხვალვე ჩავატაროთ გაერთიანებული კრება, ბევრი ლაილაი არ დაგვჭირდება.

— თქვენ თუ ინებებთ მხარდაჭერას, თქვენი აზრი—საერთო აზრი იქნება! თან მეფიქრება, ვაითუ, ასეთ დიდ საქმეს ვერ გავუძღვე, არ გაგიმართლოთ იმედი...

— ნუ გეშინია, ჩემო ვაჟა, საყრდენად მე მიგულე, განა არსებობს ისეთი ციხე-სიმაგრე, ბოლშევიკებმა რომ ვერ აიღონ?!

ახლა კი დარწმუნდა ვაჟა, რომ ამ კაცთან აშკარა, ცინიზმამდე მისული მლიქვნელობაა საჭირო. ჩაახველა, ყელი ჩაიწმინდა და აღებული გეზი განაგრძო.

— რაკი თქვენი სახით მე ბედნიერი ვარსკვლავი მინათებს, ერთ აზრსაც მოგახსენებთ, ეგებ მოგეწონოთ.

— დარწმუნებული ვარ, მომეწონება, შენ უჭკუოს არაფერს იტყვი.

— თქვენ იანვრიდან აპირებთ ზვრების ამოძირკას...

— ჰო, უეჭველად დავიწყებთ, აუცილებლად!

— მე კი ვფიქრობ, ჯერჯერობით ვენახებს ხელს ნუ ვახლებთ.

— რატომ? — აჭიმა წარბები გულვარდიშვილმა.

— თქვენ კარგად მოგეხსენებათ, მე ზოგიერთებივით არა ვარ

ვაზზე გაგიჟებული. ჩემი ნება რომ იყოს, ვენახების ადგილს მთლად საძოვრებად ვაქცევდი, მაგრამ სჯობია ვადროვოთ ხალხს. დაე, ვაზის შენარჩუნების იმედით, კეჟერას მიაწვნენ.

— ეაგ იმედით, ტყეებსაც ხელათ გასჩეხავენ! — გაიცინა გულვარდიშვილმა.

ვაუამ ხმაურით დასწია სკამი უკან. გაგიჟდა ეს რჯულძაღლი, გასაჩეხი ტყე საღლაა კახეთში?! ისევ დასჭირდა ნიკოს და ხატულას მოშველიება.

— ძვირფასო ილარიონიჩ, ჯერ კეჟერა და ეგ მერე იყოს!

— მაგაში კი ვერ დაგეთანხმები, ვითომ რათაო — მერე?

— ტყე რას მოგვცემს, ეგ წვეთია ზღვაში, კეჟერამ კი პირველივე წელს საქვეყნოდ გაგითქვათ სახელი! კეჟერაზე მოვიპოვეთ თქვენი ორდენი! და თუ ჩვენ მთელ ჩვენ ყურადღებას ისევ კეჟერას მივაპყრობთ, დარწმუნებული ვარ, სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მოგენიჭებათ!

— განა მე მაგაზე ვზრუნავ?

— საქმეც ეგ არის, თქვენ არა ზრუნავთ, მე კი ეს აზრი აღარ მასვენებს! მე უკვე ვხედავ, რომ კეჟერას საშუალებით თქვენ დაამშვენებთ მთელი ჩვენი ქვეყნის გმირთა სახელოვან გალერეას, თქვენ საქვეყნოდ გაუთქვამთ სახელს ჩვენს დარიანს!

გულვარდიშვილს სიამისაგან გული მუცელში ჩაეპარა.

— გმადლობთ, ჩემო ვაუა! — თქვა გრძნობამორეულმა მდივანმა, — მაგრამ ხანდახან შენც უნდა გამიგონებდე. ტყე რა დასანანია? დღეს გაიჩეხება, ხვალ ისევ გაიზრდება!

— მართალსა ბრძანებთ, ხვალ ისევ გაიზრდება! მე ტყე კი არა, თქვენი დრო, ენერგია, თქვენი ნიჭი და უნარი მენანება, მე თქვენ ნერვებს ვუფრთხილდები!

— რას იზამ, ჩემო ვაუა, ჩვენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავსატეხადა ვართ გაჩენილი! საკუთარი პურის უზრუნველსაყოფად თავიც არ უნდა დავზოგოთ...

— დიახ, როცა საქმე მოითხოვს, უნდა შევეწიროთ, მაგრამ...

— დაიცა-დაიცა, ვაუბატონო, შენ მუხიანებს ხომ არ იცავ?

— ღმერთო კი მომკალი, მუხნარებს რა ჩემი დაცვა სჭირდება, მათი დაცვა — ჩვენი მთავრობის ბრძანებაა, რესპუბლიკის მთავარი მეტყევის ნებადაურთველად თურმე ერთი ხეც ვერ მოიჭრება! — ეთელი თავისი შთაგონებით იცრუა ვაუამ, გაუხარდა გულვარდი-

შვილს გუნება რომ გაუფუჭდა, და ექსპრესიით განაგრძო: — „ჩიტი ბღლვნად არა ღირს“ ტყე, ვაზი — წიკომაკოა, ჩვენ დიდი მასშტაბებით, მაღალი კატეგორიებით უნდა ვიაზროვნოთ! ამ ასპექტში ჭსოლოდ კეკერა უზრუნველყოფს რესპუბლიკაში თქვენს პირველობას, კეკერა შეიტანს ისტორიაში თქვენი მოღვაწეობის წლებს. თქვენი ძეგლი! — ეს არის დარიანის მშრომელების უპირველესი ამოცანა.

ამ აღფრთოვანებული შეძახილით დაემშვიდობა ვაჟა მდივანს და კაბინეტიდან გამოსული, პირდაპირ აბანოსაკენ გაეშურა.

„აი, თურმე რა შესძლებია ადამიანს! — თავის თავზე და მთელ ქვეყანაზე აღრენილი, უმოწყალოდ იხეხავდა კანს შხაპისქვეშ შემდგარი, — „თქვენი სახით ბედნიერი ვარსკვლავი მინათებს“, „მასშტაბები“, „მაღალი კატეგორიები“. ენა როგორ არ მოგტყდა ვაჟა კვერენჯაძე? ხომ ნაგახედა ცხოვრებამ ბნელი სულის ჯურღმულებში?

ხომ ვამოეცადა ტყუილში, ფლიდობაში, თვალთმაქცობაში, არამზადობაში? მოგილოცავ, გამოცდა ბრწყინვალედ ჩააბარე, ნიჭიერი ტიკიმასხარა ჰყოფილხარ! ახლა მაინც მიხვდი, შტერო, იდიოტო, რაპ ეოამრავლა დარიანში არამზადები, რად ემტერება თვითგანდიდების მანიით შეპყრობილი კრეტინი იმათ, ვინც არ თვალთმაქცობს და საკუთარი მხრებით ზიდავს რაიონის სიძნელეებს?.. არა, შენ მაინცდამაინც დიდად ნუ მოიწონებ თავს შენი აქტიორული ნიჭით. შენ უსეშად ასრულებდი დაკისრებულ როლს და ნაღდად ჩაფლავდებოდი, პარტნიორი ჭკუასუსტი, თვალდავსილი, გულღვარძლიანი კაცუნა რომ არა გყოლოდა. იმას უნდა უმადლოდე, ტვინი რომ არ ეყო, პირველსავე წუთს პანღურით არ გამოგაგდო კაბინეტიდან. ხალხო-ო, ადამიანებო, შემიბრალეთ, მითანაგრძნეთ, გაიეთ რა ასატანი ავიტანე!..“

მეაბანოვეს უკვირდა, ისე რამ გაატურტლიანა ვაჟა კვერენჯაძე, რომ ვერ იცნა, ვერ დაიბანა, შხაპი აღარ გაანთავისუფლაო...

სითბოზე გაძუნწებული მზე უშურველად აელვარებს ქვეყანას. ბრილის ჰაერს სხივები ალიანდაგებენ. ოქრომკედით ნაქსოვსა ჰვავს დათოვლილი მთების ქარგა. ბრჭყვიალებს ყინვის ქერქლით მოფენილი მიწა. ალმასივით მოკამკამე ქობას მიარხევს ჩადინჯებული ირმისხევი. ირმისის თავზე ცა კი არა, ოქსინო გადაჭიმულა.

თვალისმომჭრელი სილამაზეა, ირმისელებს კი სისხლს უყინავს სამყაროს ცივი იალ-ციალი.

— ბიჭო, არ იცი, რამ დახუთა ჰაერი, ჰა? — ეკითხება სახლის დირეს მომჯდარი, ცხვრის ტყაპუჭში გახვეული, თავზე ხილაბანდ-წაკრული ილო წელში მოღუნულ ნასყიდას.

ნასყიდა წლების სიმრავლემ კი არა, სვინდისის ქენჯნამ მოღუნა წელში: ლიზას და ლევანის ირმისიდან აყრა რომ გაიგო... სიხარულმა აიტანა! ჰო, ჰო, გაუხარდა ბერიკაცს, გეგონება, ფრჩხილში ჩაიხედაო, დროზე გაეცალა თავის კარ-მიდამოს, თორემ სიძე-შვილიშვილთან ერთად უკრავდნენ თავს, და ვინ იცის, სადაური ტურები დახრავდნენ მის ბებერ ძვლებს. მაგრამ სიხარულსაც სცოდნია სიცოცხლის გამწარება. ამისათვის შეაბერდა ცას ნასყიდა, რომ უკულმართ სიხარულს ნაწვიმარი ირმისხევივით აემღვრია მისი სვინდისი? ეგებ გამოუტყდეს ილოს? ეგებ დაამშვიდოს მეგობარმა, უთხრას: მაგას უნდა მოადნობინო თავი, მეც შენსავით გამიხარდებოდაო?! არა, სხვამ ვინც უნდა გაიგოს, ილოს კი ვერ გაუმხელს, ილოს მოუკვდეს ნასყიდას თავი, ლიბრმა დაუბნელა ორსავ თვალი, თორემ თითონაც დაინახავდა, როგორ დატანჯა ნასყიდა იმ ეშმაკისეულმა სიხარულმა. არა დააცალოთ რა მამაჩემის სალოცავმა, არ დააცალეს გონჯაურას, დაპირებული იყო, იანვარში ილოს ქალაქს წავიყვან, ოპერაციას გაუკეთებენ, სინათლეს დაუბრუნებენო...

— ბიჭო, შენ გეკითხები, არ გეყურება? ჰაერი რამ დახუთა-მეთქი, ჰა? — ისევ ეკითხება ილო.

— ეშმაკმა და ქაჯმა, მე რა შავი ქვა ვიცი! — ოხვრას გულს ატანს დაძმარებული ნასყიდა. — სიბერემ დაგვხუთა ალბათ.

— ისე შენ რა გითხრა!

სიჩუმეში მხოლოდ კრიალოსანის დამარცვლა ისმის. ილომ გადათვალ-გადმოთვალა ქარვა და თქვა:

— ერთი პირუტყვი ყოფილა, ფუთობით რკინას ინელებსო...

— სხვა რაღა იყო! დაიწყე? სიტყვას რას მიგორებ, რა გინდა ჩემგან? — ჯავრობს ნასყიდა, სულ დაცინვა და ქარაგმული ეჩვენება.

— მართალი იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა, — განაგრძობს ილო. — რაც ადამიანი დარდს ინელებს, რკინა — ფოლადის გადახარშვა იმასთან მიქარვაა. აგრე დახუთულ ჰაერსაც, ადამიანის მეტი, ვერა სულდგმული ვერ აიტანს.

— ენის ქავილი აგიტყდა? აი ჯანდაბაში გადაგქაჯავენ და ჰაერს შაშინ გაიგებ!

— რა ურიგოა?! კაი ხალხს დროდადრო იქით მიერეკებიანო, მეც იმათში ჩავითვლებოდი.

— კაი ხალხში შენ მაინც ვერ ჩაითვლებოდი, და სამგზავროდ კი გაემზადე. ხმა გავარდნილა, ილო ლაფიაშვილი გონჯაურას კაციაო.

— შე ენამადლიანო, აქამდე რატო არ გამახარე, სიმართლის მთქმელი კიდევა ყოფილა ქვეყანაზეო?!

— დაგწყევლოს ღმერთმა, დღეს რა წერას აუტანიხარ!

— მაგის მთქმელი დამანახვა, შუბლზე ვაკოცებდი, — ინატრა ილომ.

— ერთს მაგრა რო შეგანჯღრევენ, „თქვი, გონჯაურა რა საღალატო საქმეს გავალებდაო", შუბლზე კი არა, მე ვიცი სადაც აკოცებდი!

— თუნდ შემანჯღრიონ, თუნდ ამკუწონ, მე რალა დრო დამრჩენია, ყელამდე მომდგარ სულს, ამოსვლისას ხო არ გავიმრუდებ, — მშვიდად დამარცვლა ილომ ქარვა.

მის სიტყვებში ნასყიდას აშკარა ორლესული მოეჩვენა და ამ დღეში ჩავარდნისთვის არ იცოდა, ჯავრი ვისზე ეყარა.

— გველს შორიდანვე ხედავ — ჭრელია, კაცი სულში ჩაგიძვრება და მაინც ვერ გაიგებ, ჭრელია თუ ბნელი...

— ვიზე იძახი ემაგას? — შეუწითლდა მუშტისოდენად მილეული სახე ილოს, — რას გაიტრუნე, ვიზე იძახი-მეთქი?

— ეჰ, — ხელი ჩაიქნია თავჩაქინდრულმა ნასყიდამ, — ის კაცი სვინდის-ნამუსის სასწორი გვეგონა, იმისი სიტყვა ჩვენთვინ კანონიც იყო და განაჩენიც. შიგნით რა იყო, საიდან უნდა გვცოდნოდა?

თქვა და გაუკვირდა — ილოს პასუხმა დაუგვიანა. თავი ასწია. ილო წამომდგარიყო, ლიბრგადაკრული თვალებით მას მისჩერებოდა.

— ერთიც ვნახოთ, გკითხოს ვინმემ მართლა მაგრე ეტყვი?

— ნეტა რა გაწიწმატებს? მა ხო არ ვეტყვი, ეს ცამდე მართალია, მტყუვნები თქვენა ხართ, თქვე ძაღლი-მამაძაღლებო-მეთქი?!

ილო თვალსხილულივით მიუხტა ნასყიდას:

— რატო ვერ ეტყვი? ნამუსი შიშს მიპყიდე? ვაი შენ ჩემო თავო, ოთხმოცი წელიწადია ნასყიდა ჯაფარაშვილს შეჰყურებ და ვერ გიც-

ვნია, თურმე ყველაზე ჭრელი ევა ყოფილა!.. არა გაცოდინა რა გამ-ჩენმა, ვითომ არ იცი ის კაცი რაზე გამოგვაცალეს ხელიდანა!

— ე ბერიკაცი ცერცვივით რასა ხტუნავ? — სირცხვილისაგან ალ-მოდებული წამოსტა ნასყიდაც. — ყრუ ხო არა ხარ, ვერ გაიგე, რა-ღაცა ქაღალდი მოსულა, იმაში წერებულა, რაც დაუშავებიაო...

— ასი ქაღალდიც რო მოსულიყო, შენ არ უნდა გაბრიყვებული-ყავი! რაფაელა და ჯიბო-გულღვარძლიანები მარტო დარიანში რო იყვნენ, ქვეყანას რა გაუჭირდებოდა?!

შეშინებულმა ნასყიდამ მიიხედ-მოიხედა.

— სსუ, ადამიანო, ამ კედლებსაც ყური აქვთ, გაგიჟდი? შენი თქმით იგრე გამოდის, ჩვენ ჭკვიანები ვართო და ზევ-ზევითა თავკა-ცები შეცდომაში ხართო! არაფრის გაგება არა გაქვს!

— მე ყველაფრის გაგება მაქვს, შენ შენი იკითხე! ჭრელისა და ბნელის დასანახი თვალები თვალსილულებსა გაქვთ დავსილი!

— რატო ენას არ ჩაიგდებ, ჩემი რა ჯავრი გჭირს, ჰა? ის ერთი გოგო ხო გადამიგდეს დასაკარგავში, ეს ერთიღა დამრჩენია და გინდა ესეც მართალ სიტყვას ვანაცვალო? მე არცა სიტყვა მსმენია შენი, არცა რის გაგონება მინდა, აგრემც მალე მოვმკვდარვარ! აღარ დამაცლი ეს ჩემი ნაოფლარი მიწა დამეყაროს გულზე?

ილო დათუთქა ნასყიდას ვაებამ, მაგრამ საკამათოში დათმობას არ იყვნენ ჩვეულნი.

— ყოჩაღ ბერიკაცო, ალიხანაანთ ქვრივს აჯობებ მოთქმაში! ოზბეთელაანთ ივანიკა ფიცრებზე დაწვენილი წაიყვანესო და ერთიც არ წაუჩივლიაო, შენ რამ აგაწუწუნა? ლიზა კი არა, შენ უნდა წაეყ-ვანე, შე სულძაღლო, შენა!

— მოიფხანე გული? ესლა მე მიგდე ყური: ეგეთი გულადი ბიჭი მაშინ სადა ბრძანდებოდი, ორივ ძმა რო გამოგაცალეს; ჰა? ხმაჩა-წყვეტილი იჯექი, სარდაფიდან არ ამოდიოდი, თვალში არ მოვხვდე, მეც არ მიმაყოლონო. მაშინ ის დარჩეული ხალხი პირწმინდად გა-აქრეს, ეხლა საჩივლელი რა გვაქ, ხმა გამოვიდა, სხვაგან დაასახ-ლებენო, მალე ამბავი მოგივათო. მე ავჯანყდე? სამართალი მე დაგი-დგინო? რაც ეხლა შენ მე მაკადრე, ჩემ სამარესთან რო დადგები, მაშინ მოგაგონდეს!.. — ნასყიდამ წასვლა დააპირა, მაგრამ ბრმა მე-ეობრის მიმჭკნარ ლოყაზე დაგორებულმა ცრემლმა ახლა მას მოუ-კლა გული. როგორც გუშინ, გუშინწინ, იმისწინ — ახლაც ვერ წავი-

დოდა დამდურებული. მხრებზე მოხვია ილოს ხელი, დასვა და დაუ-ყვავა:

— ერთმანეთს მაინც ნუ გავამწარებთ, ბიჭო. გვეუბნებიან, ბრმე-ბი ხართო, და ჩვენც თვალებს ვითხრით, მა რა ვქნათ? გმირობას გვალვა დაუდგა, შიმს კიდე, აბა როდის ვინ გაულამაზებია? უშე-ნოდ მე ცხონებაც ნუ მღირსებია, შენიანად კი პატასანს ვიყოთ, ვი-ცადოთ, ეგებ გასჭრას ცოდო-მადლმა, შევესწროთ სიკეთეს. ჰო, ილო, დამიჯერე, ალილო და ხვალაო...

ნაწილი მესამე

თაეი პირველი

ეშელონით თოთხმეტი დღე-ღამის სავალი გზა აშორებს კაცს თა-ვის ოჯახს, თავის ირმისს, ირმისსევს, თავის ვენახებს, თეთრ ალა-ვერდს, მთების ნაცნობ ქარგას, და არ არის წამალი, წუთით მაინც რომ მიუყუჩოს სიშორის მძაფრი ტკივილი.

თან სირცხვილიც სწვავს. დეკემბრის იმ უკუღმართ ღამეს ცეც-ხლივით წაკიდებული სირცხვილი სწვავს და არც ამასა აქვს წამალი. რამ უნდა დაუნელოს ის სიმწვავე, თუ დამსჯელის ხელით გაღებუ-ლი მოწყალების ღირებულება დღითიდღე მატულობს და ყოველი დღე არწმუნებს, რომ მოწყალების გამღები ხელის კოცნა უსასრუ-ლოდ მცირე საფასურია იმ მოწყალებისა...

ჰო, მიილო მოწყალება, ცოლ-შვილი შინ დატოვა. სწორად მოი-ქცა. თავმოყვარეობა, სიამაყე, ღირსება მარწუხებით უნდა ჩაიჭირო, დაჩოქილი უნდა ემთხვიო რაფიელას და ჯიბოს მოწყალე ხელს იმის გამო, რომ შენს ცოლსა და შვილს ასცდა ის ჯოჯოხეთური თოთხმე-ტი დღე-ღამე ქალებით, კაცებით, ბავშვებით გაჭედილ, პირუტყვთა გადასაზიდ თბილისაში მოგზაურობა, იმის გამო, რომ შენ ცოლსა და შვილს ასცდა სამშობლოდან განდევნილთა ავბედი...

გათენებიდან დაღამებამდე დაათრევს ჯვარს იმ დღის არსებობი-სას, დაღამებისას ჰეონია, აბა, ააღწია გოლგოთას, მაგრამ ღადარი ღამე უძინარს სდევნის იქიდან, რომ გათენებიდან ისევ ახლად შეს-დგომოდა იმ გზას.

დადნა კაცი, დაილია. საფარიდან ბუდის კიდეებს მომდგარი თვა-

ლები მოყვითალოდ უელვარებენ. ჩარაზული ტუჩის კუთხეებს სიმწრის ხაზები ჩაეყინა. ძვლებს დაკრული გამშრალი კანი ვაგლასად აყვირებს ნაიარევს საფეთქელთან. მისი სახე, დაშვებული მხრები, პებრულად მოწყვეტილი წელი და მთელი მისი არსება ისეთი უზომო ტანჯვის გამომსახველია, რომ ირგვლივ მყოფნი ვეღარ ბედავენ საკუთარ ბედზე ჩივილ-ტირილს.

თუმცა სადღაა ცრემლი, ან სად არის მოთქმა-ჩივილის დრო?! იმ საათიდან, რა საათსაც უცნობელმა ძალამ გატეხა დეკემბრის მშვიდი ღამე და ლოგინიდან აყრილი ხალხი არსაითისკენ მიმავალ გზაზე დააყენა, როცა ის ხალხი მიხვდა, რომ ადამიანთა კანონი მათ აღარ იცავდა — იმ საათიდან ამოქმედდა ბუნების კანონთკანონი — არსებობისათვის ბრძოლა, ბრძოლა მწვავე, უთანაბრო და თავისებური. ეს იყო ავბედით გაერთიანებულ ადამიანთა ერთობლივი ბრძოლა თვითეულის არსებობისათვის, რადგან ეს იყო საკუთარი არსებობის შენარჩუნების ერთადერთი საწინდარი.

და მხოლოდ ერთი კაცი, მხოლოდ ალექსი რჩეულიშვილი არ ერთვოდა იმ ბრძოლაში. ყველასგან და ყველაფრისგან განდგომილი იყო. ლუკმა პურისათვის მებრძოლად მან ვერ ივარგა, იმიტომ, რომ პური არასდროს ყოფილა მისი არსებობის წყარო და დასაბამი. და ახლა, მოწყურებულს წყალს რომ აწოდებდნენ, მოშიებულს პურს რომ უნაწილებდნენ—ეს მის გონებაში, მის გულისყურში არავითარ კვალს არ სტოვებდა.

გარემოს მთლიანად გამოთიშული მისი გონებაც, გულისყურიც და განსჯაც, მთელი მისი არსება შეკეტილიყო შიგნით, ღრმად, მიუვალში, და უსმო პროტესტი სწვავდა მის სულს. სწვავდა ისეთივე დაუნდობელი ცეცხლით, როგორითაც მანამდე სწვავდა ეშელონით თოთხმეტი დღე-ღამის საკალზე დარჩენილი სიცოცხლის სიყვარული...

დროდადრო მაინც იგრძნობდა, გაიფიქრებდა ხოლმე, რომ თავისი არსებობით სსვებსაც უმძიმებდა გაძაღლებულ ყოფას, რომ უნდა მოშორდეს, გაეცალოს მათ, გაანთავისუფლოს ზედმეტი ტვირთისაგან, ეაიფიქრებდა, მაგრამ ამის შესასრულებლად ღონე და ნება აღარ ჰყოფნიდა.

ასე ღონე და ნებაგამოცლილი, დღეთა სათვალავდაკარგული იჯდა კუთხეში, როცა მის ყურს ტაშ-ფანდურის ხმა მისწვდა. მოეჩვენა, რომ ფანდურზე თენგო ლალიაშვილი უკრავდა დავლურს, ლე-

ვანსაც ხელით ტაბურეტის ზედაპირზე გამოჰყავდა საცეკვაო, სხვები ტაშით აგულიანებდნენ წრეში მოფარფატე წვრილნაწნავებიან გოგოს.

ალექსის ეგონა, სიგიჟემდე მისულს ჰალუცინაცია დაეწყო, თვალები მოისრისა, მაგრამ ისევ დაინახა წრედდამჯდარი ხალხი, წრეში მოფარფატე გოგონაც, თენგოც, ლევანიც, სხვებიც... დაიჯერა და ნელა წამოდგა, სათითაოდ შეათვალიერა ყველანი და დაინახა: მას უხმობდნენ, ეძებდნენ მიუვალში შეკეტილს, განრიდებულს, მას ეძახოდნენ. ის გოგოც ეძახოდა. ხელებგაშლილი, ფარფატით მიუახლოვდა, დაჭრილი ნუკრის მსგავსი თვალები შეანათა, დაღლილი იყო, სმირად სუნთქავდა, გამხდარ ლოყებზე მეწამული ლაქებად აჩნდა, და ეს თურმე დოდაანთ პატარა ნატო იყო, ის ლოყაწითელი ნატუკა, სურნელოვან ნაზუქს რომ უტენიდა ჯიბეში...

ალექსის თითქოს ყულფი წაეჭირა ყელზე. ბავშვს მხრებზე ხელები დაადო, მკლავები დააშვებინა და ბრმასავით ფეხების ფლასუნით კარისკენ წავიდა.

— სად მიხვალ, ალექსი? — უცებ ჩამოვარდნილ სიჩუმეში, შორიდან დააწია კითხვა დოდაანთ ნატალიამ. — რა ვემართება, ადამიანო, აღარ უნდა მოგვხედო?

— გამიშვი, ნატალია, — ყრუდ გაეპასუხა ალექსი და კარი გამოაღო, აღარც დაძახებაზე, არც შეკითხვაზე უკან აღარ მოიხედა.

წავიდა.

ბნელი და ქარიანი ღამე იყო.

მიდიოდა იმ ბნელში და იმ ქარში. გაჩერება არ შეეძლო და მიდიოდა. ქარის მეტი, გზას არავინ უღობავდა. მიარღვევდა ქარს, გაურბოდა იმ ბარაკს, იმ ხალხს, იმ ტაშ-ფანდურს. გაურბოდა ნუკრის ნამიან თვალებს, რაღაცას რომ ეხვეწებოდნენ.

გზას დასასრული არა ჰქონდა. არც ბნელ ღამეს ჰქონდა დასასრული. ქარი თანდათან ძლიერდებოდა. სიბნელეც თანდათან მკვრივდებოდა. ბნელში და ქარში გზას დასასრული არა ჰქონდა. ნუკრის თვალები რაღაცას ეხვეწებოდნენ.

ეხვეწებოდნენ?..

კი არ ეხვეწებოდნენ, უსაყვედურებდნენ!

ალექსი მეხდაცემულივით შერჩა ადგილს. ჰო, ჰო, უსაყვედურებდნენ! ბრმა იყო და ვერ დაინახა. მაგრამ რას უსაყვედურებდნენ?

ალექსის რას უსაყვედურებდა ის პატარა გოგო?.. ალექსიმ ვინ ას უსაყვედურის?

ალექსიმ? ალექსი ხომ დიდია, ვაჟკაცია, ცეცხლში და ღვართქაფში გამოვლილია, თვითონ გაიგოს, ვის უნდა უსაყვედუროს, იმ პაწაწინა გოგოს თავშისახლელი რად უნდა გახდეს?.. ოო, როგორი საყვედურია პატარა გოგოს თვალებში. „მე მამა არ ვიცი, არ ვიცი რა დააშავა მამაჩემმა. ჩემი სახლი ირმისშია, მე აქ რა მინდა? სანდრა ირმისშია, თავის სახლშია, შენ კი გინდა, მე გაგართო. ეე როგორ გაგართო? არ მინდა ცეკვა, ვერა ხედავ, არ მინდა!“

ჰო, უსაყვედურებდნენ.

ეს ისე მოულოდნელად და ისე მკვეთრად შეიგრძნო ალექსიმ, როგორც მოულოდნელი და მკვეთრი იყო ხოლმე მის სხეულში შეჭრილი ტყვიის ან ჭურვის ნატეხის შეგრძნება. რატომ აქამდე შორეულადაც არ გაპფიქრებია, რომ ის დანარჩენებზე ბედნიერია? ბედნიერია, რომ მისი ცოლი და შვილი არ ურევია ამ კანონგარეშე დაყენებულ ხალხში, ერთხელაც არ უფიქრია, რომ იმ ხალხსაც — მშობლიური მიწიდან აგლეჯილ ადამიანებს, მასავით სწიწკნიდა ტკივილი? რომ უსამართლო სასჯელის სირცხვილი სხვებსაც სწვავდა? რომ თავმოყვარეობის და სიამაყის ჩაჭერა მარწუხებში იქნებ მათ უფრო ძლიერ უჭირდათ?.. ერთხელაც არ გაპფიქრებია, რომ მისი განდგომა სრულიად ჩვეულებრივი თავკერძაობაა, ჩვეულებრივი, საძულველი ეგოიზმია...

— ჰეი, გონჯაურავ, აღარა ხარ ადამიანი? სულ ეგ იყო შენი ავლადიდება? — თქვა ხმამაღლა და სადაც იდგა, იქვე ჩაიჩოქა, ხელები სახეზე აიფარა. გულისკენ გზაშებრუნებულმა ცრემლმა მისი ბედისგამყოფი ხალხის ნაღველი, ტკივილი, გაჭირვება შეიდნო და შეიდუღა. ადამიანის კეთილშობილ გრძნობათა უშრეტ მარაგში, რვალივით მძიმე სიძულვილმა ნახა ადგილი.

უიარაღოს — სიძულვილი იარაღად გამოადგება. მაგრამ ვის წინააღმდეგ? რაფიელა, ჯიბო, გულვარდიშვილი? ეგენი ხომ ჭილყვავები არიან, ბოროტების უდღეური ნაშიერნი? გონჯაურას აქამდე ვერაფერი ვერ გაუგია. აქამდე არ იცის, ვის ეკუთვნის დამსჯელი ხელი. დღემდე არ იცის. ეხლაც არ იცის!

— არ ვიცი! — ყვიროდა მისი ტვინი, სხეულის ყველა უჯრედი. ისე ყვიროდა, რომ კარგა ხანს სხვა არაფერი ესმოდა.

და თავი რომ ასწია, შეკრთა.

სად იყო? სად იყო ზღვა? საიდან იყო ზღვის მიმოქცევის ხმა? თუ ადიდებული ირმისსევია? არა. უცნობი და უცნაური, არაფრის მსგავსი და მანამდე არგაგონილი ხმა იქვე, მის ფერხთით იბადებოდა. ყრუ და მძიმე შრიალს წააგავდა. ცოტა მოშორებით, შრიალს წყვეტილი ჟღარუნი ერთვოდა. უფრო მოშორებით ის ხმა საოცარ ძალას იძენდა. ზღვის მიმოქცევის ხმაურს ჰგავდა, მაგრამ სხვა იყო. ტალღების დგაფუნს ჰგავდა, მაგრამ ტალღები ვერცხლისწყლისა უნდა ყოფილიყვნენ, ასე მძიმედ რომ შეხეთქებოდნენ ერიმანეთს, ასეთ მკვრივ წინწკლებად რომ დაღვრილიყვნენ და უცნობი ლითონივით აჟღარუნებულიყვნენ.

იმ უცნობსა და ძლიერ ხმაში ალექსიმ უცებ ისეთი დაუნდობელი მუქარა იგრძნო, რომ წინა ფიქრების ძაფები ერთიანად დაუწყდა. შემკრთალი მოსწყდა ადგილს და გაიქცა. გზის ან ბილიკის მსგავსი არაფერი ისინჯებოდა. კოჭებამდე ეფლობოდა ვეშაპის ზურგივით ხაოიან და მოძრავ ქვიშაში. ალექსი ისევ შესდგა და ქარმა ზურგიდან დააჯახა ტალღა, წვრილ და მძიმე წვეთებად დაატეხა თავზე. კბილებში, თვალებში, ყურებში, კისერში, ბეჭებშუა ნალვრილი ქვიშა იგრძნო და გაუკვირდა: თავიდანვე რატომ ვერ მიხვდა, რომ უდაბნოში იყო, რომ ის უცნობი ხმა, ქარიანი უდაბნოს ხმა იყო?! გაეცინა. განსხვავებაც და მსგავსებაც იყო: ვიდრე ფიზიკურად არ შეეჩეხა, წელან, ბავშვის საყვედურს, ახლა კი ქვიშიან ქარიშხალს, მანამდე ვერ მიხვდა სინამდვილეს!

მაგრამ წელანდელმა დაგვიანებულმა მიხვედრამ სიძულვილი შვა, რომელმაც მთლიანად შეიდნო ბადესავით შემოკრული უღიმღამო გრძნობები და შვება მისცა მის შებორკილ სულს, ასლა? ნუთუ ეს დაგვიანება საბედისწერო გახდება მისთვის?.. ირგვლივ სიბნელე, ქარი და ქვიშა. სამი ვერაგი, დაუნდობელი თანამგზავრი. თავკერძაობამ შეჰყარა ამ თანამგზავრებს და ახლა თუნდ ეძმოს მათ, თუნდ ემტროს.

ზღვის მიმოქცევის მსგავსი ხმა ხან ახლოვდებოდა, ხან შორდებოდა. ძლიერდებოდა ქარი. ძლიერდებოდა ქვიშის ტალღების ყრუ დგაფუნი. სადღაცა შორს სიბნელე გაბაცდა. ალექსიმ ცას შესედა. ჩამოწოლილი, ჩაბნელებული კაბადონის ვიწრო ნარღვევში, ყვითელ ბურუსში გახვეულმა მთვარის ნალევმა გაიკრთომა და ალექსიმ უდაბნოს გახედა.

შუქნრდილის გიჟურ როკვას წააგავდა ქარის და ქვიშის უცნაუ-

რი თამაში. ყოველ ახალ შემოქრილვაზე ქარი ბუმბულივით იტაცებდა ვეებერთელა ბორცვებს, ტალღებივით აგორავებდა, გზადაგზა შლიდა, ჰფანტავდა, მერე ბორცვების ნადგომზე ეავაკებულს უვლიდა, მოჟღარუნე ზანზალაკებიანი ფრთებით ხვეტავდა ქვიშას და ახალ ადგილზე აზვინებდა. მერე ამ ზვინებს ბურთებივით აგორავებდა, ისევ შლიდა და ისევ ასალ-ახალ ბორცვებად სდგამდა.

ყოველ შემოქრილვაზე ძლიერდებოდა ქარი. ძლიერდებოდა უდაბნოს ღელვა. უფრო ჩქარ-ჩქარა იშლებოდნენ და იდგმებოდნენ ბორცვები, უფრო ძლიერად ეჯახებოდნენ ბორცვები ერთმანეთს. ქარი ხან გრიგალივით წამოუვლიდა უდაბნოს, აიტაცებდა უზარმაზარ ბორცვს, ჰაერში დაატრიალებდა, ჰაერშივე შლიდა და ქვიშის წარღვნასავით უშენდა დაბლა.

მალე კაბადონმა ისევ შავად შეიკრა პირი და უფრო დაბლა დაიწია. აღარაფერი ჩანდა. ალექსი ახლა უკვე, როგორც ოდესღაც თვითმფრინავიდან წამოსული ყუმბარების დაცემას, სმენით ვარაუდობდა მოახლოებული ტალღის მიმართულებას და საოცარი სისწრაფით გადარბოდა ადგილიდან ადგილზე. მაგრამ ქარის მიმართულება ცვალებადი იყო. ის ხან ოთხივე მხრიდან მოაგორებდა ტალღებს და ზანზალაკების ჟღარუნს ისე აძლიერებდა, თითქოს კაცზე გამარჯვების საზეიმო ზარებს რეკდა უდაბნოში...

რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ბრძოლა, რომელსაც ძალთა უთანაბრობით, ბრძოლა არც ეთქმოდა? აღზევებულ უდაბნოსაგან თავდაცვაში კაცი აშკარად მარცხდებოდა. ქვიშით ნაგვემი მისი სხეული სისხლისაგან იცლებოდა. ღონე ელეოდა. ქარი კი მძლავრობდა. ძლიერდებოდა უდაბნოს ხმაური. აჰა, საცაა ჩაითრევს ადამიანს, დაფქვავს, გახეხავს, ნამცეცებად აქცევს, ქვიშას შეურევს. არავის ეცოდინება, სად, რომელ ადგილზე ახარა ძეძვი მისმა სისხლმა და ხორცმა, ვერავინ მიხვდება, რად ეგემრიელა ის ძეძვი ქარავნიდან ჩამორჩენილ აქლემს...

ოჰ, არა! მისი სიცოცხლე ვერ შესწყდება ირმისიდან ასე შორს. ეს იცის სიკვდილმა. ბევრჯერ დაუხევია უკან იმიტომ, რომ იცოდა: ეს კაცი ვერ მოკვდებოდა ირმისიდან შორს. ახლაც ასეა. თოთხმეტი დღე-ღამის სავალზეა ირმისიდან! და ვერ მოკვდება კიდევ იმიტომ, რომ ჯერ უნდა ნახოს, რას მოუტანს ქვეყანას უსამართლო მართლმსაჯულება, უნდა შეესწროს ჭილყვავთა დასამარებას...

მაგრამ ღონე გამოელია. ის სულ უფრო ხშირად, და უფრო ხან-

ვრძლივად რჩებოდა ამოძრავებულ ქვიშაზე გართხმული. და თუ დროდადრო, ვიდრე გონს იყო, ცდილობდა წამოდგომას, მხოლოდ იმისათვის, რომ არ უნდოდა სიკვდილი დაცემულს დაუფლებოდა...

და ფეხზე იდგა, როცა ქარმა ზარებს ჩამოჰკრა, გაშლილი ფრთებით ბორცვები მოხვეტა, ჰაერში აიტაცა, ბურღივით დაატრიალა და ციდან დაშვებულ ღრუბელს შეაგება. ქაჯურად დაკლაკნილ ქარბორბალაში შეჭდობილი ზეცა და უდაბნო კაცისკენ გამოქანდნენ.

— აა-ა!.. — დაიბღავლა ალექსიმ და პირქვე დაეცა.

ქვიშა, ქვიშა, ქვიშა...საითაც გაიხედავს, სადამდეც თვალი მისწვდება, ყველგან ქვიშაა. ქარია, და ყრუ დგაფუნს უთვალავი ზანზალაკების ჟღარუნი ერთვის. ქვიშის ზღვა ღელავს, ბობოქრობს. დოლაბებივით მოგორავენ ტალღები, უბეგვავენ ცხვირ-პირს, ხელ-ფეხს, ტანს. სალეწი მანქანებივით მოგრუხუნებენ ტალღები, ლეწენ, სრესენ, ფქვავენ. ქარბორბალაში შეერთებული ზეცა და უდაბნო იერიშით მოდიან, მოდიან, მოდიან...

— აა-ა!.. — ყვირის ალექსი და ლამობს გაგლიჯოს მარწუხები, მაგრამ მიწა პირს ხსნის და ალექსი უძირო ქვესკნელს მიექანება.

ვილაცის ხელები ხსნიან მარწუხებს. თითები სათუთად ეკვლებიან მის სახეს, თვალებს, გულ-მკერდს, ხელ-ფეხს, ბეჭებს. ალექსი საამო სიგრილეს გრძნობს. ცხელებიანი აღგზნება თანდათან უნელდება. ის იძინებს ღრმა და ხანგრძლივი ძილით.

მერე ყველაფერი თავიდან იწყება:

ბობოქრობს ქვიშის ზღვა. ტალღებს ებრძვიან ეშელონები. ორთქლმავლის საკვამურიდან ამოსული შავი კვამლი ზეცას უერთდება. თბილანას საჭვრეტელიდან სანდრას და ხატულას ისვრიან ქვიშის ზღვაში და მათკენ მიდის ქარბორბალა, მიდის, უახლოვდება...

— აა-ა!.. — ყვირის ალექსი და ცდილობს გაგლიჯოს მარწუხები, მაგრამ ნემსის ჩხვლეტას გრძნობს და ბორგვა თანდათან უცხრება. ალექსი ჩუმად კვნესის და უდაბნოს მინელებულ ხმაურში ადამიანების ხმა ესმის.

— რამდენ ღონეს კარგავს ამ ჭიდილში, — დარდიანად აქნევს თავს დოდაანთ ნატალია და დალურჯებულ მაჯებს ისრესავს.

— მადამ, ეს ძალიან, ძალიან კარგი ჭიდილი არის, კაცი არ გა-

უშვებს ხელიდან სიცოცხლეს, — ამბობს მსრებვიწრო, წვრილი და მაღალი კაცი, გამჭვირვალე სითხეში ამოვლებულ საფენებს უცვლის ალექსის სახეზე და ტანზე, თან განუწყვეტლივ ლაპარაკობს დამტვრეული რუსულით. ჩანს, რუსული სიტყვების დიდი მარაგი დაუგროვებია და თითქოს ჩქარობსო მთელი მარაგის გამოყენებას. ამასობაში ზოგი ზედმეტი და უადგილო სიტყვა აზრს უმახინჯებს, ზოგი სიტყვა სულაც გაუგებარია, მაგრამ ირმისელები და ეს კაცი ერთმანეთში იოლად მიდიან.

— თქვენი შფოთი მეტი საჭირო არ არის, — ეუბნება ნატალიას, — პულსი კარგი არის, თვალები სუფთა გასდა, უკვე იცის სინათლე თუ ბნელი არის, ხან უკვე ნორმალურად არის და რამეს თქმა უნდა, ეს ნიშანი არის, რომ გონება მოდის.

— თავის დღეში არ გამიგონია, კაცი ამდენ ხანს უგონოდ იყოს.

— რატო არ გამიგონია, მადამ?! მე ძალიან-ძალიან ბევრი ვიცი, ადამიანი სულ არ მოდის გონებაზე! — თქვა კაცმა და გაუკვირდა, რომ მისმა ნუგეშმა დარდიანად შეუკრა ნატალიას შუბლი. — რის გამოთ ეხლა არის თქვენი დარდი? თქვენი კაცი ძალიან-ძალიან ენერგია აქვს, დღეს ან ხვალე სუმთლად იპოვნის თავის გონებას!

— ბრძანოს ღმერთმა, — ამოიოხრა ნატალიამ.

— ნუუ, ღმერთი არის ღმერთი, მაგრამ შენი სიხარული შენი სელით უნდა აიღო, მადამ!

მან ყვითელი ფესი გადაიძრო თავიდან და აჩეჩილი, შავი ხშირი ქოჩორი შუბლზე ჩამოუვარდა. ზედმეტი საფენები, წამლები მიალაგა და ისევ ნატალიას მიმართა:

— აქა და იქა პატარა-პატარა, როგორც შავი ყვავილი დარჩება, მაგრამ მე ფიქრობ, ეგ არ არი ტრაგედია, თქვენი კაცი არ იყო სილამაზის ღმერთი, ხომ?

— ნეტავი, შენი ვახარებით, მალე წამოდგეს, ერთი თავისებურად შემოგხედოს, ერთი გაგიღიმოს და მაშინ დაინახავ, ლამაზია თუ არა! — წყენაც კი გამოერია ნატალიას ხმას.

— ო-ო, მე უკვე ვიცი, მადამ, ირმისელი ხალხს ძალიან-ძალიან უყვარს ეს კაცი, მიტომ თქვენ მეტი ფასი მიეცით მაგას.

— არა, შენ არ იცი! მაგისთანა ძლიერი ადამიანი იქნება მეორე არც იყოს, ყველაზე ძლიერია და ყველაზე ძალიან იმიტომ მოერია ჯავრი და ნაღველი!

— მადამ, ეგ ძალიან-ძალიან საინტერესო ფილოსოფია არის! მე

ფიქრობ, თქვენ მართალი ბრძანდებით. როცა კიზილკუმში სამუმი არი, მაშინ აქლემიც არ დარჩება ცოცხალი. ხოლო ფიზიკური ძალა არ უშველის, სხვაც კიდე ძალა არი საჭირო!.. — მან ალექსის დახედა და გახარებულმა თქვა: — ნორმალური ძილი მოვიდა, მე ფიქრობ, შემეძლება მოლოცვა!

მან გალანტურად დაუკრა თავი დოდაანთ ნატალიას, მერე დაიხარა და ხელზე აკოცა. ნატალია ჯერ გაშრა, მერე ქალიშვილივით ვაწითლდა, მერე ალექსის გახედა და ფეხის წვერებზე აიწია, სადამდეც მისწვდა იმ მაღალ კაცს, ლავიწზე თუ მხრისთავზე აკოცა.

— დღეს კიდევ დაგჭირდებათ რამე? — ჰკითხა, ჭურჭელი და გასარეცხი თეთრეული ჩანთაში რომ ჩაილაგა.

— არა! და მე კატეგორიულად ვამბობ, თქვენები არ უნდა მოვიდა-წავიდა, თელი დღე ბამბა იმუშაო, მერე რვა კილომეტრი მოვიდა-წავიდა, მერე ჩემი პაციენტი იქნება! კარგად ბრძანდებოდეთ, მადამ, კეთილი გზას გისურვებთ!

ნატალია რომ გააცილა, კაცი ოთახში დაბრუნდა, ისევ დახედა ალექსის, კმაყოფილმა მოისრისა გრძელი, კეხიანი ცხვირი და კედელზე დაპაგრებულ ლამპას შუქფარი ჩამოაფარა. მერე თავისი გრძელი ფეხები გადააჯვარედინა და ჩვეული მოძრაობით ჩაიკეცა იატაკზე აკოკოლავებულ წიგნებს შორის დაგებულ ლეიბზე.

„ისევ ღამეა...“ — გაიფიქრა ალექსიმ, ანთებული ლამპა რომ დაინახა. შორეულ ბავშვობაში დაბრუნებულმა, სანდრა-პაპას გაუღიმა და თვალები დახუჭა. მაგრამ აღარ ეძინებოდა. უხაროდა, ზღვის დგაფუნი და ზანზალაკების ჟღარუნი რომ აღარ ესმოდა. უკვირდა, სანდრა-პაპა ძალზე გამოცვლილი ეჩვენებოდა. სწყინდა, რომ სარკმლის რაფაზე, თიხის ქილაში ისევ იდგა ქაღალდის ჭრელი ყვავილების თაიგული. სიხარულს, გაკვირვებას, წყენასაც რომ მოერია, თიხის კედლები და დაბალი ჭერი შეათვალიერა. თვითონ ვიწრო ტასტზე იწვა და ტასტის პირდაპირ დიდი მაყალი იდგა. ზედ დაპირქვავებული ძაბრივით მორგებული საკვამური ჭერში ადიოდა. მაყალში ცეცხლი ღვიოდა. შუქფარით შეკრული ლამპის შუქი იატაკზე დაგებულ ლოგინში წამომჯდარ კაცს დაჰნათოდა. კაცი ფეხმორთხმით იჯდა, მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო, ირგვლივაც წიგნები ჰქონდა შემოლაგებული. კაცი კითხულობდა. სტრიქონებს მხო-

ლოდ თვალებს კი არა, თავსაც ადევნებდა, თითქოს კისერში ზამბარა ჰქონდა ჩადგმული და ის უტრიალებდა თავს აქეთ-იქით...

ალექსი ერთბაშად მიხვდა, რომ რაღაცა აერია, რომ არც თვითონ იყო ბავშვი, და არც ეს კაცი იყო სანდრა-პაპა. ლამპაც სხვა იყო, და მაყალიც სულ არ ჰგავდა ბუხარს. მაგრამ რასაც ხედავდა, ესეც ნაცნობი იყო. ამ კაცსაც იცნობდა, ახსოვდა მისი ყვითელი ფესი, სქელშუშებიანი სათვალეებით შეკაზმული გრძელი, კეხიანი ცხვირი და წვრილი კისერი. სად უნახავს? საიდან იცნობს? ვის სახლშია ალექსი? აქ როგორ მოხვდა?

კითხვებმა მოქანცეს და ჩააძინეს.

...თვალები რომ გაახილა ეგონა ახლახან ჩავთვლიმეო. ისევ ენთო ლამპა. ის კაცი ისევ იჯდა იატაკზე დაგებულ ლოგინში. აჩეჩილი ქოჩორი შუბლზე დავარდნოდა. სათვალე გადაშლილ წიგნზე ედო. თავი გვერდზე გადაეწია და ფიქრობდა. მისი მოყვითალო გუგები ცხვირთან შეყრილიყვნენ. კაცი აფხორილ, ჭკვიან ჩიტს დამსგავსებოდა.

მან ალბათ იგრძნო დაჟინებული მზერა, სათვალე გაიკეთა, უცებ ჭოკივით აღიმართა და ტახტთან გაჩნდა.

— სალამი, კამარად, მე ვიფიქრე, შენ სამუდამოთ ძილში წახვედი! — დააყარა სიტყვები ერთმანეთს და ალექსის მაჯა გაუსინჯა. — სუმთლად ნორმა არი!

ალექსიმ იცნო მისი ხმაც, მისი დამტვრეული რუსულიც.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ჩუმად.

— ოო, ნახეთ ეს ჯენტლმენი! ჯერ უდაბნოში არ დაუძახეს და თვითონ წავიდა, მერე ამ სახლში მოკდომა უნდოდა, მე არ გაუშვი მოკდომა, დღეც, ღამეც ყარაული ვიყავი, ახლა თვალები გააღო და პირველი სიტყვა არი: შენ ვინა ხარ? კამარად, შენ მეოცე საუკუნის სუფთა-სუფთა ეგზემპლარი ხარ!

ღიმილმა მტკივნეულად დაუმანჭა ალექსის სახე. ესიამოვნებოდა ამ კაცის ხმა, ვითომდა დამტუქსავი კილოც და მისი მრავალსიტყვაობაც კი. გასუსული იწვა. კაცმა თეთრი, მოტკბო სითხე დაალევინა და თავის ლოგინთან დაბრუნდა, უცებვე ფეხმორთხმით ჩაიკეცა და წიგნი დაიდო მუხლებზე.

— ვინა ხარ? — ისევ ჰკითხა ალექსიმ.

— შენთვის ექიმი ვარ და პლუს ფილოზოფიის მაგისტრი ვარ,

ბერძენი, კოსტა ილეტაქსა. დაიძინე, შენ უკვე ბევრი-ბევრი ჩემი დრო წაიღე.

მაგრამ ალექსი თავს კარგად გრძნობდა და აღარ ეძინებოდა. გაღიმებული უყურებდა ილეტაქსას. უკვირდა, რა ვაძლეშა ქონდა მის წვრილ კისერს, განუწყვეტლივ რომ ატრიალებდა თავს აქეთ-იქით. ბოლოს ველარ მოითმინა და ჩაასველა. ილეტაქსამ ერიხანს განაგრძო კითხვა, მერე წიგნი უცებ დახურა, ალექსის შეხედა და სერიოზულად ჰკითხა.

— უდაბნოში როცა წახვედი, თვითმოკდომა გინდოდა?

ალექსი შეცბა. კითხვა მოულოდნელი იყო, თითქოს უადგილოც და უდროოც. არაფერი არ უპასუხა.

— თვითმოკდომის ეს ფორმა ორიგინალური არი და პოეტური, მაგრამ ტასანბაევი ფიქრობს, შენ გაიპარო გინდოდა, ხოლოთ მაგ-ანს ფანტაზია არა აქვს. მე ძალიან-ძალიან მაინტერესებს, თვით-მოკდომა გინდოდა, თუ გაიპარო გინდოდა?

ალექსი ხმას არ იღებდა.

— მე მაინტერესებს პათოლოგიური ფსიქიკა. სომატერად—ორი-ვე მიზეზის გამოთ მოკდომა ერთნაირი არი! — მან წიგნი გაღაფურ-ცლა და განაგრძო: — თუ ადამიანი ერთი ცოდოს აკეთებს ხოლოთ, — თვითმოკდომას, მაშინ ის ჯოჯოხეთში იქნება უსარგებლიანო ხე, სუმთალათ არ ეკნება ჩრდილი. მაგრამ!.. თუ თვითმოკდომა და პლუს კიდე სხვა ცოდო, მაშინ ადამიანი ჯოჯოხეთში მძიმე კამერაში დაჯ-ღეპა და ლუციფერის კერძი იქნება. შენ იცი, ვინ არი ლუციფერი?

— არა, — ჩაიბურტყუნა ალექსიმ და გაიფიქრა: ნეტა ალექსიმ ისეთი რა ცოდვა ჩაიდინა, რომ ჯოჯოხეთის ყველა „კამერა" მოი-არა.

— ლუციფერი იყო ანგელოზი, ღმერთს აჯანყება გაუკეთა და და-სჯა მიიღო — ჯოჯოხეთში სულ მძიმე კამერა, სამი სახა და სუმუდამ ერთი მენიუ: ძალიან ცოდოიანი ადამიანი!

— უცოდველებით ვინც იკვებება, იმას რაღა ჰქვია?

— შენი პარალელი ორი მხარეს გალესილი დანა არი და მე არ მინდა! უცოდო ადამიანი სამოიხეში მიდის.

— მაგ წიგნებში სწერია? — დაცინვით ჰკითხა ალექსიმ.

— დიახ! შენ არ წაიკითხე „ღვთაებრივი კომედია"? არა? მაშინ მე არ ვიცი, რათ გინდა ჩქარა მოკდომა, თუ დანტეს გენიამ არ მოგცა შუქი?

— გენიები სულაც არ უნდა იბადებოდნენ.

— შენი გული არ ამბობს მაგას! გენია თუ არ იყოს, პლანეტა არ იქნება საინტერესო. დანტე რო შენი ნაცნობი იყოს, მაშინ თქვამდი: სალუტ, გენია!

— ჩვენ ბიბლიოთეკაში მინახავს დანტე, მაგრამ არ წამიკითხავს.

— ჰო, არ წაიკითხე! დანტეს რელიგიური მოტივები აქვს, ფილოზოფიაც ღვთისმეტყველება აქვს და კომუნისტები რელიგიას ძმამეგობარი არა ხართ.

— რა იცი, კომუნისტი ვარ?

— საბჭოს ქვეყანის მოქალაქე სუმთლათ კომუნისტი ხარი.

— მე ისიც არ ვიცი, საბჭოთა მოქალაქე ვარ თუ არა.

— ოო, კამარად, შენ ისევ დაკარგე გონება! რათ გაგიჩნდა ეგ ეჭვი?

ალექსიმ შუბლი შეიკრა. სიკვდილივით ეზარებოდა ამაზე ლაპარაკი, არადა, ამ კაცის შეცდომაში შეყვანაც არ უნდოდა.

— მე იძულებითა ვარ აქ გადმოსახლებული... — თქვა ბოლოს.

— ოო, შენ ფიქრობ, ეგ დიდი ახალი ამბავი არი?! მაგას არა აქვს მნიშვნელობა, კამარად.

— რაო, რა სთქვი?

— დაწექი, დაწექი, შენთვის ანტრაშა გააკეთო, ადრე არი. ვამბობ, სუმთლად არა აქვს მნიშვნელობა.

„გიჟი ყოფილა", — დაინანა ალექსიმ და ბალიშს მიესვენა.

— ძალე ფლავს მოგცემ! — წამოდგა ილეტაქსა, მაყალზე ქვაბი შედგა, თან ლაპარაკობდა: — ცხელი უნდა გახდეს. ფლავი არი ბრინჯი და ქიშმიში, ძალიან-ძალიან გემრიელი, მისთვინ რო, მადამ ნატალიმ გააკეთა...

უცებ სიტყვა გაუწყდა და შეშინებული მოტრიალდა.

ალექსი ამდგარიყო, მაგრამ ეტყობა, ღონე არა ჰყოფნოდა, საწოლზე უხერხულად დავარდნილი, სისუსტის ოფლად დაღვრილი, გამხდარ-გაწვრილებულ მკლავებს ვედრებით იწვდიდა მისკენ.

— იწამე ღმერთი... მითხარ, სად არიან ჩვენები?

მკაცრად შუბლშეკრულმა ილეტაქსამ უსიტყვოდ მიაწვინა ალექსი ბალიშზე, რაღაცა წვეთები დაალევინა, რაღაცა სითხეში ამოვლებული ტილოთი სახე გადაუწმინდა, მერე საწოლს მიუჯდა, გულდაწყვეტილმა წყენით უთხრა:

— ძე გითხარი, შენთვის ანტრაშა ადრე არი. მე ბევრი-ბევრი

დრო შენ არ გაგიშვი მოკდომა, შენ ეხლა ვინდა მოკდომა, გინდა, შენი ირმისელები ხალხი ამბობდეს, კოსტა ილეტაქსამ სიტყვა არ აასრულა...

— მაპატიე, კოსტა... — ჩუმად თქვა ალექსიმ და გაინაბა. მართლა ხომ არ გაგიუდა, ქვაბი რომ იცნო და ნატალიას გაკეთებული კერძი შესთავაზეს, ვერ მიხვდა, თუ გონჯაურა ცოცხალია, ირმისელები უთუოდ სადღაცა ახლო არიან მასთან! ვონს რომ მოვიდა, იმ პირველივე წუთს ვერ მიხვდა ამას?..

ილეტაქსამ სათვალე მოიხსნა და კარგახანს იჯდა აფხორილი, ჭკვიან ჩიტს დამსგავსებული. მერე საოცრად გამოცვლილი, რაღაცნაირად ჩაღრმავებული ხმით დაილაპარაკა:

— შენი ირმისელები ხალხი ეხლა ჩემი მეგობარიც ხალხი არი... მადამ ნატალი და იმისი ოჯახი, შენი ძმა ლეონ და იმისი ცოლი ლიზიკო და კიდე შენი ძმა თენგო, კიდე ძმა ციცერონი გა კიდე სხვებიც... შენ მემრე სუმთლათ ყველაფერს გაიგებ. ეს ძალიან-ძალიან მაღალი პოეზია არი... ირმისელები ხალხის ამბავი მეტად ტრაგედიაც არი, ხოლოთ ძმა-მეგობარის ტალანტი დიდი-დიდი პოეზია არი, მე მართალს ვამბობ...

ილეტაქსამ თავი ბეჭებისაკენ გადასწია, თვალები ჭერს მიაპყრო და ფთლიანად ჩაიძირა იამბიკური ლექსთაწყობით დაუწერელი პოემის შექმნაში.

ალექსი კი თვალღახუჭული, გაუნძრევლად იწვა. ნელა უმკლავდებოდა მოზღვავებულ გრძნობებს და სინდისის ქენჯნას: თავკერძობამ დაატანჯინა ის ახლობელი ადამიანები.. განა ღირსია გონჯაურა მათი სიყვარულისა და მეგობრობის?..

დაეწვრის სუნისგან ორივე ერთად მოეგო გონს.

— ფლავი!—დაიძახა ილეტაქსამ, ზეზე წამოიჭრა, ქვაბი გადმოიღო ცეცხლიდან და აფუსფუსდა, ალაპარაკდა: — ეხლა ჩვენი ერთად პრემიერ-ვახშამი იქნება. ამის გამოთ ჩვენ უნდა მივიღოთ ასი-ასი გრამი ქინძ-მა-რაული! ძნელი სახელი არი, ხოლოთ მეტად ლამაზი. შენ თუ ისეთი ხარ, როგორც შენი ძმა ლეონ ფიქრობს, როგორც შენი ირმისელები ხალხი ფიქრობს, მე გათხოვებ ჩემ ჰომეროსს, დანტეს, ვერგილიუსს!..

— ვერგილიუსიც გენიოსია?

— დიახ! ვერგილიუსი რომში დაიბადა, ქრისტეზე უფრო წინ და მემრე, თოთხმეტი საუკუნე მემრე მოვიდა დანტესთან და წაიყვანა

ჯერ ჯოჯოხეთში, მემრე სამოთხეში. თუ გინდა, მე შემეძლება ვიყო შენი ვერგილიუსი.

— არ მინდა.

— რა არ გინდა?

— შენი ვერგილიუსობა.

— ოო, ეგ ძალიან-ძალიან საინტერესო არი! რატომ არ გინდა?

ალექსიმ არ უპასუხა. თავისთვის გაიფიქრა, რომ სამოთხემდე ვერ მიიყვანდა კაცი, რომელმაც მასთან ერთად არ გაიარა ჯოჯოხეთი.

— შენ სუმთლათ არ იცი ირაციონალური მოვლენა, ხოლოთ კომუნისტური რეალიზმი იცი! — უსაყვედურა ილეტაქსამ.

— მე კი მგონია, შენ დაბადებით, ბუნებით ხარ კომუნისტი.

— არა! მე პარტია არ ვიცი, მე თავისუფალი ადამიანი ვარ, ხოლოთ ანტიფაშისტი ვარ. რატომ არ დალიე ქინძ-მა-რაული?

— შენი დღეგრძელობისა მინდა დავლიო, მაგრამ არ ვიცი, ვინა ხარ, რა კაცი ხარ.

— მე ასი ანკეტა დავწერე, კამარად, მეტი არ მინდა! — გაბრაზდა ილეტაქსა და ფლავს მიეძალა.

— ანკეტა არა მჭირდება, მინდა ვიცოდე, აქ როგორ მოხვდი, რა კაცი ხარ.

— ძალიან-ძალიან კარგი კაცი ვარ! ფაშიზმის წინააღმდეგი სალდათი ვარ, ომის პოლოში დაჭრა მიეიღე და ყაზახი სალდათმა თავისი ზურგით წაიღო თქვენი საბჭოთა ქვეყნის ჰოსპიტალში, მიუხედავათ რო უფრო მეტად დაჭრა ჰქონდა. მემრე ევაკუაცია მოხდა და მე ყაზახი სალდათით ერთათ ყაზახეთის რესპუბლიკაში მოვედი. ის სალდათი — ჩემი ძმა მაგუან ტასანბაევი არი, დიი-ი-ახ! სატანა მაგუანმა ბრძანა, აქ იცსოვრე, ჩემი აბაი-ბაზარ რაიონში. ეხლა აქ ექიმი უნდა — მე ექიმი ვარ, წამალი უნდა — მე პროვიზორი ვარ, როცა მანქანა როგორც ჯორი გახდა — მე მანქანას სპეციალისტი ვარ, ხოლოთ ფილოზოფია არცვის უნდა, ხოლოთ მე მინდა! ეხლა იცი, როგორი კაცი ვარ და დალიე ქინძ-მა-რაული! ირმისელი ხალხი ამბობს, ქინძ-მა-რაული ზიარება არი! შენ იცი ზიარება?

— დაიცა, სამშობლო არ გენატრება?

— ჩემი სამშობლოს უფალებს ანტიფაშისტი სალდათი არ უნდა, ჩემი მამა, დედაც მოკდომილი არი, ჩემი ცოლი სხვა კაცით წავიდა... — თქვა და უცებ წამოდგა, სუფრა აიღო, ჭურჭელი მიალაგა. თან

ბუზღუნებდა: — მედიცის აზრით შენ უნიკუმი ხარ, ვფიცავ ღმერთებს! ეხლა მოკდომა გინდოდა, ეხლა დიდი-დიდი დოზა ლაპარაკი გინდა. ეხლა შენ არა ხარ პაციენტი, ეხლა შენ ეამოთ მე ვარ ავათ გახდომილი და არ გამიშვებ ეიძინო, და დილათ ვერ წავალ სამსახურში...

ისევე უცებ ჩააქრო ლამპა და იატაკზე დაგებულ ლოგინში ჩაწვა, საბანი თავზე წაიფარა და გაისუსა.

ცოტა ნატალიას გაკეთებული ფლაკი, ორი ყლუპი, მართლაც, ზიარებასავით ღვინო, და კოსტა ილეტაქსას გამოუთქმელი მომხიბვლელობა ძალზე ყუათიანი აღმოჩნდა. ალექსის მალე დაეძინა ჯანსაღი კაცის მშვიდი ძილით.

ფრთხილმა ფეხუნმა გამოაღვიძა. ოთახი ნაჭედილი იყო დღის ხასხასა შუქით.

„ნუთუ ასეთი შუქი იმ პაწია სარკმლიდან?" — გაკვირვებით გახედა ალექსიმ ეოპირდაპირე კედელს.

სარკმელთან მიდგმულ ტაბურეტზე შემდგარი, ჭრელწინდებიანი გოგონა დაინახა. თიხის ქილაში ყვავილების თაიგულს სცვლიდა, ცოცხალი ყვავილების თაიგულს. „საიდან?"—გაოცდა ალექსი. გოგონამ თაეი გვერდზე გადახარა, თაიგულს შეხედა და ხელები ასწია, ქილა ოდნავ შეატრიალა. გამხდარი იყო და ბეჭები კაბისქვეშ შეკეცილი ფრთებივით დააჩნდა... წყვილი წვრილი ნაწნავი ბეჭებშუა, როგორც კალაპოტში ჩალაგდნენ. ალექსიმ ქერა ნაწნავები იცნო.

— ნატო! — დაუძახა ჩუმად.

გოგონა შეკრთა, მერე გამოიხედა, ეახარებული გადმოხტა იატაკზე და ტასტთან მიირბინა.

კარგა ხანს უსიტყვოდ ათვალიერებდნენ ერთმანეთის. ალექსის საოცარი გრძნობა დაეუფლა. განვლილი ცხოვრების თითოეული მონაკვეთი ცალ-ცალკე დასრულებულ სიცოცხლედ მოეჩვენა. თითქოს ბევრჯერ უცოცხლია. უხსოვარ დროიდან მოდიოდა ერთი სიცოცხლიდან მეორეში, ყოველთვის ახალ, უცნობ სამყაროში, და თვითონაც სხვა იყო, სხვანაირი. მოეჩვენა, რომ ამ გოგონას ოდესღაც შესვედრია, ერთ-ერთ გარდასულ ცხოვრებაში, როცა თვითონ ახალგაზრდა და ბედნიერი იყო, ეს კი — ნებიერა, ლოყაწითელა ბავშვი. სხვა ცხოვრებაშიც შეხვედრია, როცა თვითონ მიხრწნილი, ნებაგა-

მოცლილი მოხუცი იყო, ეს კი — ულრან ტყეში ნაკარგული, საყვე-ლურით სავსე თვალებიანი ნუკრი. და მერე მოეჩვენა, რომ უწინდე-ლი ცხოვრებიდან მოვიდა ამ ახალ სამყაროში იმისათვის, რომ ამ ფერმკრთალ, გამხდარ გოგოს, აი ამ პატარა ნატოს მოუაროს და უპატრონოს...

ვოგონა გახარებული უყურებდა.

ალექსიმ უკვე იცოდა, რომ მართლაც სახადიანსა ჰგავდა. მთელი სხეული, მეტადრე სახე და ხელები დაფარული ჰქონდა სხვადასხვა სიღრმის, სიდიდის, მოყვანილობის წყლულით. ზოგი ჯერ ისევ ჩირ-ქიანი იყო, ზოგი გაწმენდილიყო, ზოგს პირი შეეკრა და მოთეთრო ნაწიბურივით აჩნდა.

— რო მიყურებ, არ გეშინია?

— მივეჩვიე.

— რა ძალა გედგა?

— დიდედამა თქვა, ბოდვაში სუ ამ გოგოს ასსენებსო და ეგება გაეხარდესო, გონზე რო მოვა და დაინახავსო. ძია ალექსი, მართლა გაგიხარდა?

— ვერ გეტყვი, როგორ გამიხარდა!.. ნატო, ეს ყვავილები საი-დან?

— იცი, გარეთ რამდენია? იმდენია, იმდენია, ქვეყნისა!

— მაჩვენე.

— ძია კოსტამ მითხრა, გარეთ არ გაუშვაო.

— ხედავ, ძია კოსტას სცოდნია, რომ ავდგებოდი. უეჭველად უნ-და ავდგე, ნატო. მე ერთი ისეთი წამალი ვიცი, ხელად მომარჩენს. ხოლოდ ეს წამალი მზემ უნდა მომცეს. გარეთ თუ არ გავედი, აბა როგორ მომცეს, ჰა?

— ტანისამოსი? თქვენი ტანისამოსი ნაკუწ-ნაკუწად იყო დაგლე-ჯილი, დიდედამ ახლები შეგიკერათ, იქ არი, ბარაკში.

ნატოს შეეცოდა დაღონებული ძია ალექსი, ტაბურეტი კედელ-თან მიდგა, კაუჭზე დაკიდულ ხალათს მისწვდა და ჩამოიღო.

— ეს ჩაიცვით, ძია კოსტასია.

— არ ეწყინება?

— ძია კოსტას მეორეცა აქვს ამისთანა.

ალექსის ჩაეცინა. ქრისტესავით განსაკუთრებული პატარა გოგომ. მერე ნატოს გაეცინა — ვიწრო და გრძელ ქლამიდაში გამოწყობილი ძია ალექსი ძალიან სასაცილო იყო!

ნატოს მსარზე ღაყრდნობილი ალექსი კარისკენ წავიდა. ვარეთ ვამოსულს შავი წერტილები აულიცლიცდა თვალებწინ. შეისვენა და მერე დაინახა: უსასრულოდ შორეულ ჰორიზონტამდე მიწა საოცარი ხატაურით იყო მოფენილი. ყაყაჩო, ტიტა, ზამბახი; ყაყაჩო, მაია, ზაფრანა; ყაყაჩო, ცისთვალა, მანიტა; ბექანდარა, ვვირილა, სოსანი; და ყაყაჩო, ყაყაჩო... ჰყვაოდნენ ნაზი და მყვირალა, ხასხასა და ჰაეროვანი, ნაცნობი და უცნობი ფერის, ელფერის, იერის ყვავილები. მზე აელვარებდა მათ, ნიავი აელვებდა მათ, მიწაზე ფერთა აჯანყება იყო.

ალექსი ვაუნძრევლად იდგა. მისი გონება ხარბად აღიქვამდა წყალივით მოწყურებულ სილამაზეს. მის სხეულს პურივით აძლობდა თვალით ათვისებული მშვენიერება. იდგა და მართლაც უებარი წამალივით ეღებოდა მზის სხივიც, ნიავიც, სურნელებაც.

— ნატო, რა ხდება, ხედავ, რა ხდება? რა საოცრებაა, ხედავ? — თქვა და წელგაშლილი შევიდა ყვავილოვანში, ეთლიანად შეეზიარა ფერთა ფანტასტურ აღლუმს.

— ძია ალექსი-ი! შორს ნუ მიდისართ, დაბრუნდი-ით!.. — ალექსიმ შიში და შეშფოთება იგრძნო ნატოს ძახილში, გამობრუნდა და მხოლოდ მაშინ შეხედა ქოხს, რომლიდანაც გამოვიდა.

ყვავილთა თვალუწვდენელ სამეფოში კენტად იდგა ალიზის ქოხი. მაგრამ ქოხი იყო? ალბათ თავის დროს ნიავით მოტანილი ყვავილების მტვერი მოეკიდა მის სახურავს, კედლებს, და ახლა ნაირფრად გადაშლილ ყვავილებს ზღაპრულ სასახლედ ექციათ იგი.

— ნატო, ვისია ეს სახლი, მე აქ რათა ვარ, თქვენთან ერთად რატომ არა ვარ?

— ეს არავისი სახლი არ არი, სახურავიც არა ჰქონდა, სუმთლად მინგრეულ-მონგრეული იყო. ძია მაგუან ტასანბაევმა თქვა, ჩვენი ხალხი წინათ რო მეჯოგე და მომთაბარე იყოო, ეს ქოხიც იმათთვინ იყოო, ხან ღამეს რჩებოდნენო, ხან ავდარში შეეფარებოდნენო. შენ რო გიპოვნეს, ბარაკამდე შორი არიო, და ძია კოსტამ ბრძანა, აქ დავაწვინოთო. ძია მაგუანმა კიდე ბრძანა, მასალა წაიღეთ, სახურავიც დახურეთო და მანგალიც დადგიეთ.

— უყურე შენ!.. ნატო, ძია მაგუანი ვინ არი? ღიპიანი კაცი როა, და ძალზე წვრილი ხმა აქვს, ის ხომ არ არის?

— შენ საიდან იცი? — ვაუკვირდა ნატოს.

— ავად რომ ვიყავი, მაშინ დამახსოვდა, შემოვიდა და იკითხა,

თქვენი მომაკვდავი მოკვდა თუ ჯერ არაო? მახსოვს, ღიპიანი იყო.

— რათ ამბობ, ღიპიანიო? იმ კაცმა თავისი მონადირე ძაღლი სერონა წაიყვანა შენ საძებნელად და კინაღამ თითონაც დაიღუპა იმ უდაბნოში, ვიპოვნა, როცა შენ აღარცკი სუნთქავდი... — ნატოს ცრემლებით აევსო თვალები.

— მაპატიე, ნატო, აბა მე რა ვიცოდი? მე ეგრე დამახსომდა, რა ვიცოდი, ვინ იყო? მაპატიე... ეხლაც არ ვიცი, ვინ არი.

— წინათ თურმე მეჯოგე იყო, მერე ომში იყო და იქ ძია კოსტა იპოვნა, ეხლა ბამბის მეურნეობის დირექტორია, შრომის ვმირია და ბოლოლა ვოვო ჩემოდენა ჰყავს, სალიმა ჰქვია. სალიმა თურმე ისე ავად იყო, დიდ-დიდ ექიმებს ეთქვათ, არაფერი ეშველებაო, და მერე ძია კოსტას მოურჩენია თავისი წამლებით. იმიტომაც ძია კოსტა ძია მაგჟან ტასანბაევის ღმერთია, რასაც ძია კოსტა სთხოვს, ყველაფერს უსრულებს, თანაც შაითანს ეძახის. იცი, სალიმა რა კარგი ვოგოა?!

— ჰოო?.. — ალექსიმ პეშვით მიწა აიღო, ხელისგულზე დაიფხვიერა, ვასინჯა, დაყნოსა. თიხიანი ნეშომპალა იყო, ყამირი!..

ნატომ ტაბურეტი გამოუტანა და თვითონ პეპლებს გაეკიღა.

შთაბეჭდილებით მოღლილი ალექსი ჩამოჯდა, თავი ბეჭებისკენ გადასწია, სახე სიავს მიანდო და თვალები დახუჭა. ვერ შეატყო, როდის იცვალა ვეში მისმა ფიქრმა. იქნებ წეღანვე, როცა პეშვით მიწა აიღო, ან უფრო ადრე, როცა ფერთა მღელვარე ზღვა დაინახა... თვალები რომ გაახილა და ისევ იმ ყვავილოვან მდელოს გახედა, სწორ მწკრივებად ღამდგარი ვაზი მოესეენა...

ველარ მოითმინა, ქოხში შეეიდა, სსვა ვერაფერი ნახა და ქარცახი გამოიტანა. რამდენიმე ადგილს ორმო გათხარა, ბეჯითად გასინჯა მიწის ფენები და დაღლილი რომ ჩამოჯდა, ვაზის მწკრივები ფეხადგმულ ლეგიონებად შემოულაგდნენ ირგვლივ...

ფიქრებიდან ნატოს ხმამ გამოარკვია.

— უყურე, ბია ალექსი, ამისთანა პეპელა ვინახია? იცი, როგორ ვეწვალე, ძლივს დავიჭირე. ფიცარზე დავაკრავ და სანდრას გავუგზავნი, სკოლაში ექნებათ, ნორჩი ნატურალისტების მუზეუმში!

— პეპლების დასაჭერად პადეს გავიკეთებ და მუზეუმში გასაგზავნად, ყუთსაც ვაგიკეთებ.

„როგორ ვაუსარდა! ნეტავი ცალფეხზე დატრიალდეს," — მწველმა ნატვრამ გული ატკინა ალექსის.

— და ეგეთ სახლსაც აკიშენებ, გინდა?

— ნამდვილს?

„ნამდვილ კომბაინს, მამი-ი?“ — მკერდის მარცხენა მხარეს ლაზეარივით ეცა, რომელიღაც გარდასული ცხოვრებიდან შემოჭრილი ხმა. ჩუმად, სვენებ-სვენებით უთხრა ვოგოს:

— ნამდვილს. აი ასეთს, როგორიც ეს არის. მზე რომ ეაათბობს, ზღაპრულ კოშკს დაემსგავსება, და შენ ყვავილების დეღოფალივით ოჯდები შიგ.

გახარებული ნატო ბზრიალასავით დატრიალდა ცალფეხზე. ალექსიმ თვალები ღახუჭა. „ირა, არ შეიძლება“, — მკაცრად უთხრა თავის თავს და მტკიცედ ალიკვეთა იმ გარდასული ცხოვრების სურათების ხილვა. ნელა წამოდგა, ისევ ჩუმად უთხრა:

— შევიდეთ შინ, ნატო. შენა ხარ ჩემი ვერგილიუსი...

ნატოს ეგონა, „ვერგილიუსი“ ყაზახების ენაზე საალერსო სიტყვაა, და მხიარულად გაღიკისკისა.

საღამოს სამუშაოდან ღაბრუნებულ ილეტაქსას ირმისელებიც მოპყვენენ. ალექსი ლოგინში დასვღაო, მაგრამ თავისი თვალით რომ არა ჰქონოდათ ნანახი, ვერ დაიჯერებდნენ, რომ ახლახან ის ვადადებული ავადმყოფი იყო. რა თქმა უნდა, ალექსი ისეთივე ვამხდარი და ფერმკრთალი იყო, მაგრამ ნიავმა წყლულები მოუშუშა, მზემ საფეთქელთან ნაიარევი მოუჩქმალა, თვალებს ზაფრა გაღასცლოდა და ბუღეში ჩამსხდარნი მშვიდად სხივოსნობდნენ.

— გეტყობა მალე წამოხვალ ჩვენიან, — უთხრა ნატალიამ წასვლისას და გაუკვირდა — ალექსიმ პასუხი დაუგვიანა:

— არ ვიცი, ვნახოთ. ლევანმა ტანისამოსი მომიტანოს...

ილეტაქსამ ირმისელები რომ გააცილა და ოთახში დაბრუნდა, მის ხალათში ვამოწყობილი ალექსი ზეზე დახედა.

— ძალიან-ძალიან მშვენიერი სპექტაკლია! ნამდვილი ჰამლეტი ბძანდები და სახეზეც მსოფლიოს პრობლემა დაგიწერია!

— მსოფლიო პრობლემებს თავისი ვადამწყვეტი ჰყავს, მე ერთი პატარა აზრი დამებადა, შენი დახმარება მჭირდება, მომისმენ?

— ვიქნები როგორც სფინქსი! — დაჰპირდა, ილეტაქსა და მუხლმორიხსით წამოჯდა ტახტზე, მაგრამ წუთის შემდეგ დამუშხულივით ახტა.

— შენ გიჟი ხარ! შენ კიზილკუმში ვაგიუდი! არა, კიზილკუმი არ არი შუაში, შენ გიჟი დაიბადე!

ყვირილით ვული რომ იჯერა, ბოლთისცემა და ხელების ქნევა დაანელა, ალექსის წინ დადგა და დამრიგებლის კილოთი უთხრა:

— შენ დაგავიწყდა, კამარად, შენი ცხოვრების რადიუსი ხოლოთ სამი კილომეტრი არი. დაგავიწყდა, შენ ორი ხელები ვაქ, მეტი არაფერი. დაგავიწყდა, შენი ორი ხელები ბამბის პლანტაციას უნდა, დაგავიწყდა, თქვენი კომენდანტი ძალიან-ძალიან ძაღლი კაცი არი!

მან ფესი გადაიძრო თავიდან და სათვალე მოიხსნა. ჭკვიანი და აფსორილი ჩიტი ძალზე ჯავრობდა:

— ირმისელი ხალხი ძალიან-ძალიან შეცდომაში არი! შენ დინჯი კაცი არა ხარ, საქმეანი კაცი არა ხარ. მე ვფიქრობ, კარგი მევენახე არა ხარ! ისე ამბობ, როგორც ჩემოდანი გააღო და ყურძენი აიღო. მე შენზე მეტად ვიცი, რა არი ვენახი!

— უნდა იცოდე. საბერძნეთში ვაზი ჩინებულად სარობს, მეტადრე საჩამიჩე ჯიში „კორინთული“.

— შენ საიდან იცი? — უცებ ჩაცხრა ილეტაქსა.

— სად რა ჯიშის ვაზი ხარობს, მაგის მეტი რა ვიცი?!

— და მაშინ რატომ არ იცი, ვენახს მარქანა უნდა, მუშა უნდა, ფული უნდა, სუფსიდია! შენ გიჟი ხარ, შენი ფიქრიც ქიმერა არის, ბოდვა არის, ბოდვა!

— ეს ბოდვა სიკეთით რომ ახდეს, არ გინდა?

— მე ყელამდე სავსე ვახდი შენი ბოდვით! ოცი და ერთი დღე ბოდვა, ბოდვა, ბოდვა, მეტი არ მინდა, მადლობთ ვარ!

— ის ოცდაერთი დღე მე არ მითხოვნია, მე ერთ საათსა გთხოვ.

„ერთ საათსაო“, — თქვა ალექსიმ, მაგრამ ქოხში ლამპის შუქი დღის ნათელმა შესცვალა, ისინი კი განაგრძობდნენ მუშაობას. იყო ჩხუბი, ყვირილი, კამათი. შიგადაშიგ სიმშვიდეც იყო. ილეტაქსას საესრეთ ყაზახეთის სამხარეო მუზეუმის გამოცემული წიგნიც აღმოაჩნდა, წიგნს რუკა და სარწყავი ქსელის სქემა ჰქონდა დართული.

დილით ილეტაქსას წასაყვანად მარქანა რომ მოვიდა, კოსტამ სათვალე მოიხსნა და მისანი-ჩიტივით წარმოსთქვა:

— შენ საგიჟე ჰოსპიტალში იზოლაციაში დაჯდები!

მერე კარებიდან დაბრუნდა და დაუმატა:

— მთავარი მაგუანი არის. თუ მაგუან ტასანბაევმა თქვა — „არა“, მემრე იქნება მაგუანის ჯორცხენამ ბიბლია ისწავლოს, ხოლოთ არ იქნება მაგუან თქვას — “ჰო“!

* * *

მართალი რომ ითქვას, ანტიკური პოეზია არცთუ ისე ხიბლავდა ალექსის, მაგრამ ილეტაქსას ხათრი და პატივისცემა აიძულებდა ჰომეროსის დაძლევას.

„ალბათ ჩემი გონება ვერ ჩასწვდომია ამის სიღრმეს, — გულდაწყვეტილი დაუშვებდა ხოლმე წიგნს, როცა სტრიქონებს შორის წერაქვები, თოხები, ნერგები აირეოდნენ. — ვინა თქვა, ოლიმპი ეოსვენებისა და განცხრომის ადგილი იყოო? სწორეთ იქიდან, იმ ღმერთებისგან წამოსულა შური, ღალატი, ვერაგობა, ერუშობა. ჰომეროსი რომ გაცოცხლდეს, გაოცდებოდა: ადამიანის გონება და ხელი ცის, მიწის, ზღვის სიღრმეებს მისწვდომია და იმ ძველთა-ძველი დროიდან წამოყოლილ ბნელ ზრახვებს კი ვერ მოჰრევიაო...“

ამგვარ ფიქრებში იყო, როცა ქოხთან ჯორცხენა გაჩერდა. უნაგირიდან კაცმა გადმოიწია ჩამოსასვლელად, მაგრამ მისმა სიმძიმემ უზანგის გაცვეთილი თასმა გაწყვიტა. კაცმა წონასწორობა ძლივს შეინარჩუნა და ჯორცხენას წვრილი, მაღალი ხმით შეუკურთხა.

ალექსიმ მაგჟან ტასანბაევი იცნო და მისვდა, რომ მისი მოსვლისათვის ილეტაქსას უნდა უმადლობოს.

ერთხანს შორიდან ათვალიერებდნენ ერთმანეთს რჩეულიშვილი და ტასანბაევი.

ვიწრო და გრძელ, თალხ ქლამიდაში გამოკრული ალექსი ყვავილოვანში იდგა, გადაშლილი წიგნით ხელში.

ტანმორჩილ მაგჟანს შავი კიტელისა და ჩექმებში ჩატანებული შარვლის ზემოთ წითელნაყშებიანი ფარფარა სალათი ეცვა და თავზე ჭრელი ოთხკუთხა ქუდი ეხურა. ჯორცხენის გავას მიყრდნობილმა, გადაჯვარედინებული ხელები გულისფიცრის ქვემოდან ზეგანივით ამოზრდილ ღიპზე დაასვენა.

ალექსი ქოხისკენ წამოვიდა. ტასანბაევმა ირიბი, შორი-შორ დასმული, მძივივით წვრილი და ბრჭყვიალა თვალებით ახედ-დახედა, ქოსა სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— გამოჯანსაღებას გილოცავ, ამხანაგო, — თქვა მან მისალმების შემდეგ.

— ემადლობთ, არც კი მჯერა, ავად თუ ვიყავი.

— იოი!.. — მოკლე და ფართო ცხვირის ნესტოები დაბერა, მომრგვალებული ტუჩებით უცნაური, მოკლე ბგერა გამოსცა ტასანბაევმა.

— შინ შემობრძანდით, — შესთავაზა ალექსიმ.

— არა. ბამბის ყურებამ მომკლა, მეც მინდა თვალს წყალი დავა-ლევინო, დავტკბე ყვავილების სილამაზით, — ორლესულად თქვა მე-ბამბეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა. ველისკენ წასულ ჯორცხენას თვალი ეააყოლა და ჩამოჯდა, საცოდავად ააჭრიჭინა ტაბურეტი. ხალათის ჯიბიდან ჩიბუხი და ქისა ამოიღო.

— მოიცა, — უთხრა ალექსიმ და შინ შევიდა, თამბაქოს დამატი გამოუტანა. — ეს გასინჯე, ჩვენებურია.

— ქრთამია? — აჭიმა ტასანბაევმა მოკლე, გაფრენილი წარბები. თამბაქოს ფოთოლი დაფშვნა, ჩიბუხი დატენა და ვრძელი ნაფაზი დაარტყა. სველა აუტყდა, თვალებზე ცრემლი მოადგა და მუცელზე შეკრულმა ღილმა კილო ეაკლიჯა, პზრიალით დაგორდა მიწაზე.

— მაგარია! — ძლივს მოითქვა სული.

— ქრთამი მაგარი უნდა იყოს.

— იოი! — ისევ გამოსცა ის თავისებური ბგერა ტასანბაევმა და ველს მიაჩერდა. ხმა აღარ ამოუღია, პატარ-პატარა, ფრთხილი ნაფა-ზებით ჩაფერფლა თუთუნი, მერე ჩიბუხი გამოწმინდა, შეინახა და ისევ ყვავილოვან მდელოს მიაჩერდა.

თავშეკავებაში და მოთმინებაში ერთმანეთის გამოცდა კარგა ხანს გაგრძელდა. პოლოს ტასანბაევმა ტაბურეტი ააჭრიალა, ალექ-სის მოუტრიალდა.

— არ გამოვა! — მოკვეთა ცივად და ეიშრის წვრილი ბურღებივით დაასო თვალები.

„ნეტა რა უთხრა, როგორ უთხრა კოსტამ, — ნირშეუცვლელად გაუსწორა თვალი ალექსიმ. — სიტყვა ძალიანიაო, მაგრამ მე ისეთი რა სიტყვა გამოვძებნო, ამ კაცმა რომ ვამიგოს და დამიჯეროს.“

— არ გამოვა, ამხანაგო, — ისე გაიმეორა ტასანბაევმა, თითქოს ამის სათქმელად მოვიდა, თქვა და საქმე დამთავრებულად ჩათვა-ლაო.

„არც სიტყვის ძებნა დამჭირდა, არც დიდი მჭევრმეტყველება“, — მწარედ ჩაიცინა გულში ალექსიმ და სახის შეუვალი გამომეტყველე-ბით თქვა:

— რას ვიზამ, მეც ბამბას მოვუვლი.

— აი, ეგ სწორი გადაწყვეტილებაა! — ვითომ გაუხარდა ტასან-ბაევს, სინამდვილეში კი ალექსის გამომეტყველებამ და კილომ შეა-ცბუნა: ეს კაცი რას იფიქრებს, უარის სათქმელად ამ სიშორეზე რას

მოდიოდაო. ასე მოკლედ ნათქვამ თანხმობასაც კი არ ექნებოდა ლაზათი. უარის თქმას დინჯი საუბრის ბოლოსაც მოვასწრებდი...

— შენ და ილეტაქსას ქაღალდი ბლომად დაგიხარჯიათ. მე ქაღალდები არ მინდა, მოდი იქ მაჩვენე, — თავი გაღააქნია ველისკენ.

ალექსი ისე შეუძღვა ყვავილოვანში, თითქოს ვენახის ჭიშკარში გაატარაო. ვინ იცის, რამდენი კილომეტრი მოიარეს ალექსის ნავარაუდევ ნაკვეთებზე. მევენახე დაწვრილებით უამბობდა მებამბეს ვენახის გაშენების თანმიმდევრულ პროცესებს. ორივეს ხვითქი სდიოდა. დაიქანცნენ კითხვა-პასუხით, ტკბილი საუბრით და კვიმატიანი ქარაგმებით.

ბოლოს ტასანბაევმა უბიდან საათი ამოიღო. სამახსოვრო წარწერას ხელი გადაუსვა და სახურავი ახადა.

— იოი, მთელი დღე დამეკარგა! — ვაჯავრდაო თითქოს, სწრაფი ბუნძულით წავიდა ქოხისკენ, ილაჯგაწყვეტილი დაეშვა ტაბურეტზე და თან მოტანილი მუცლიანი დოქი მიიყუდა. ბლომად დალია და მერე დოქი ალექსის გაუწოდა, თანაც ყვავილოვანში გალაღებულ ჯორცხენაზე უჩვენა:

— ამისი დედის რძეა. კარგი ჯიშისაა. ამან გაგაცოცხლა.

— ჰა? — ფერი ეცვალა ალექსის.

— ცოტა მქონდა მათარაში, აი მაშინ, უდაბნოში რომ გიპოვნეთ.

ალექსი ცდილობდა გულისრევა დაემორჩილებინა, ტასანბაევი მოკატუნებით უთანაგრძნობდა:

— სამკურნალოდ რომ ჩამოდიან, პირველ დღეებში თითი სულ პირში აქვთ. მერე ენვევიან, ძალიან მოსწონთ და პევრსაც სვამენ. შენც ბევრსა სვამდი. ასეთ დოქს ორ დღეში სცლიდი. დალიე, ახალთახალი კუმისია, სიცოცხლეა, დალიე!

ალექსი თავისი გაჩენის დღეს სწყევლიდა, მაგრამ ტასანბაევის დაჟინებულ თხოვნას ასრულებდა, ცდილობდა კუმისი მშვიდობიანად ჩაეცილებინა ყელში. თან ილეტაქსაზე ბრაზობდა, იცნო თეთრი მოტკბო სითხე, უხვად რომ ასმევდა — წამალიაო.

— აი ასე, ყოჩაღ! — მოეწონა ტასანბაევს ცარიელი დოქი რომ დაიბრუნა. მერე ჩიბუხი მუხლებზე დაჭკრა და საქმიანად უთხრა: — მესანები, მაგრამ უნდა გითხრა: არ გამოვა.

ალექსიმ თავის გამხდარ ხელებს დახედა, აღარ ხედავდა ტასანბაევის განზე გაწეული ყვრიმალებით გაფართოებულ სახეს, ეშმაკურად აციმციმებულ თვალებს, მხოლოდ მისი წვრილი ხმა ესმოდა:

— შენ ბუთანი ბინდა, ბუთანს ტრაქტორი უნდა. არა მაქვს. შენ წყალი ბინდა, არხი უნდა. არხი აქ არ არის. შენ ქარსაფარი ბინდა, აქ ორი-სამი ხე დგას, აქ არსად ტყე არ არის. შენ მუშები გჭირდება, მუშები ბამბას არა ჰყოფნის. ჩვენს აბაი-ბაზრის რაიონში ვაზი არ არის, ჩვენებურებმა ვენახის მოვლა არ იციან. ძალიან ვნანობ, მაგრამ არაფერი არ გამოვა, გაიგე?

„გავიგე, — ბულში უპასუხა ალექსიმ, თავი არ აუწევია. — რაღას მღლიდა ლაპარაკით ეს ღმერთძაღლი? გავიგე, ზედმეტ თავსამტვრევს ერიდები. მე ჩემს ბულს ვერაფერი მოკუხერხე, აღვირი ვერ ამოვდე, სულ საითკენღაც მიიგლიჯება, ტიალი...“

— გაიგონე, ამხანაგო, რა ბითხარი?

— გავიგონე.

— მაშ, ჩუმად რადა ხარ?

— რაღაა სალაპარაკო.

— შენი სიტყვა ოქრო ხომ არ არის?! ბეგონა, ერთი სთქვი და მორჩა, დიდი საქმე გავაკეთეო?! — აღშფოთდა ტასანბაევი.

ალექსის რატომღაც იმედი მიეცა და თავი ასწია. ტასანბაევმა ქოსა ნიკაპი მოიფხანა და თქვა:

— კოლმეურნეობის თავმჯდომარე ხარ, ამბობენ, პატიოსანი კაცი ხარ, მითხარი, დაუკითხავად შეიძლება ასეთი საქმის გაკეთება?

— დაუკითხავად რათა? შენ დირექტორი კაცი ხარ, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხარ, შრომის ემირი ხარ, უარს რად ბეტყვიან? ეს ტრამალი უსაქმურადა ბდია, ამის გამოყენებას ვინ აგიკრძალავს?

— უსაქმური მიწები იქაც ბევრია, ჩვენი პლანტაციების ახლო. მეტყიან, ის აიღე, ბევრი და კარგი ბამბა გვექნებაო.

— შენ ბამბა გიყვარს, მაგუან. როცა კაცს თავისი საქმე უყვარს, ის იგრძნობს სხვასაც როგორ უყვარს თავისი საქმე.

— ვიგრძენი, მერე რა რომ ვიგრძენი? რა ვქნა? რა შემიძლია?

— ჩვენები, ვინც დარიანის რაიონიდან არიან, ყველანი მევენახეები არიან, თავისი საქმის ოსტატები არიან, ჩვენგან მებამბე არ გამოვა.

— რას ნიშნავს „მებამბე“? როცა ბამბას სჭირდება, ასტრონომიის პროფესორიც რომ ჩამივარდეს ხელში, ბამბაზე ვამუშავებ!

— მე წელან ბითხარი, როცა ბამბას დასჭირდება, ჩვენ შენთან ვიქნებით-მეთქი, ჩემს სიტყვას არ ენდობი?

— შენს სიტყვას რატომ არ უნდა ვენდო, მაგრამ...

— დაიცა, საქმე მარტო მებამბეობა კი არ არის, აი აქ უყურე! შეაწყვეტინა ალექსიმ. ქარცახის ტარით მიწაზე ყურძნის მტევანი მოხაზა. — ეს ფრანგული ჯიშის ყურძენია „კაბერნე". აქედან მზადდება ბორდოს ღვინო, მსოფლიოში საუკეთესო ღვინოდ რომ ითვლება. ეს „კაბერნე" აქ უკეთესად იხარებს, ვიდრე საფრანგეთში.

„კაბერნეს" გვერდით ალექსიმ მეორე მტევანი დახატა.

— ესლა უყურე: ეს ქართული საღვინე ჯიშია „საფერავი". ალბათ ღაგილევია. აქ უფრო კარგი პირობები ექნება, ჩვენ გვაჯობებ.

ალექსიმ მესამე მტევანიც დახატა.

— ეს კი აქაური, შუა აზიური ჯიშია „ბაიან შირეი". რომ გეუბნები, ვაზს აქ უკეთესი პირობები ექნება-მეთქი, არ გეგონოს, ვაჭარბებდე. საქმე ის არის, რომ აქ არც ჭრაქია, არც ფილოქსერა—ვაზის დამღუპველი სენი. აქ ჰაერი სუფთაა, მზე ბევრია. ვაზი ისე იხარებს, რომ ეხლა თუ ცნობილი მებამბე ხარ, ვენახითაც გაითქვამ სახელს.

— რათ მინდა? სახელი — ხათაბალაა, მოუსვენრობაა.

— შენი მოუსვენრობა ხალხს არგებს.

— ხალხი, ხალხი, ყველაფერი ხალხს, მე რაღა? ხუთი შვილი მყავს, ისე იზრდებიან, ვერა ვხედავ. ნადირობისთვის სული მელევა და წელიწადში ერთი დღეც ვერ მომიცლია სანადიროდ. არ გამოვა-მეთქი, გითხარი, არა!

— რა ეშმაკებად მოიცალე იმ დღეს, ჩემთვის დროს რად კარგავდი, რისთვის მომნახე უდაბნოში, რისთვის?

— იოი... — გაბმით თქვა ტასანბაევმა და ჩიბუხი გააწყო. — შენმა ხალხმა მთხოვა, ილეტაქსამ მთხოვა. კარგი კაცი აფსუსია, რად უნდა დაიღუპოს? ნუ მიწყრები, ჩემო კარგო, ბამბა მთხოვე, რამდენსაც გინდა, მოგცემ. სხვა არაფერი არა მაქვს, გაიგე.

— გუთნები და ტრაქტორები გაქვს, მე ვიცი.

— წყალი?

— სირ-დარიაში წყალი გაშრა?

— შენ იცი, სირ-დარია სად არის?

— შენს სახლშია მოყვანილი. კიროვის სახელობის არხიდან მოედის წყალი. კიროვი რომ ცოცხალი იყოს, დაინანებდა?

— წყალი არც მე მენანება, მაგრამ არხი?

— არხს ჩვენ გავიყვანთ-მეთქი, ჩვენ! თორმეტიოდე კილომეტრი არხის გაყვანა, რა დიდი აბავია? მე შენ მუშახელს არა გთხოვ, არც ბამბისთვის საჭირო დროს დავხარჯავთ.

— ჩვენ ვენახის მოვლა-მოშენებისა არა გაგვეგება რა!

— შე დალოცვილო, წელან რომ გელაპარაკე, დაგავიწყდა? შენი ხალხი თავისუფალ დროს გამოვზავნე, ჩვენ ვასწავლით. ახალგაზრდები საქართველოში გაგზავნე, კურსებზე გაგზავნე, ახალგაზრდებს უყვართ ვაზი, სიხარულით ისწავლიან მის მოვლა-მოშენებას. ჩვენ რომ წავალთ, ისინი დამოუკიდებლად აითვისებენ ამ ტრამალებს.

მაგჟანმა ცერად გამოხედა ალექსის.

— თქვენ სად აპირებთ წასვლას?

— შინ, სამშობლოში.

— იოი... თქვენ არსადაც არ წახვალთ, სამუდამოდ დარჩებით აქ!

— არა, მაგჟან, ნუ გეგონება, ქვეყანაზე სიმართლე დაიკარგოს. პო, ზოგჯერ ნაძირალა იმარჯვებს, მაგრამ შენც იცი, ეგ წარმავალი ამბავია. საბოლოოდ ჩვენი სიმართლე გაიმარჯვებს, მანამდე კი სტუმრად გვიგულე.

— სტუმრად! სტუმრად! — გაჯავრდა მაგჟანი, — მე გეძახოდით სტუმრად? ჩამოხვედით აქ, და რაც თქვენ სახლში გქონდათ, აქაც ის მოგინდათ!

— შენ არ გვეძახოდი, მაგრამ არც ჩვენ მოვიმტვრევედით აქეთ თავ-პირს. ჩვენი შეყრა არც შენი ბრალია, არც ჩვენი. შენი მეურნეობის პარაკში ცხოვრებას, ჩვენ ჩვენი ცის ქვეშ ყოფნას ვირჩევდით!

— შენ არაფერი არ იცი! — ბურთივით ახტა მაგჟანი, — მითხრეს, ყაჩალი და მოღალატე ხალხი უნდა მიიღოო, მე რა უნდა მექნა? სასასლეში არც მე ვცხოვრობ, თქვენთვის რა მომეცა?

— ჩვენ დიდი მადლობელი ვართ შენი! ყიამათ ზამთარში გარეთ გამოყრილი ბალღებისათვის ეგეც დიდი მადლი იყო, იმათ ისეთი მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი, რომ ალიზის ქოხის ღირსიც არ არიან!

— რა გინდა ჩემგან, რა? — შეჰყვირა აჭარხლებულმა ტასანბაევმა, ბრაზი უელვარებდა თვალ-მძივებს.

ბრაზი ახრჩობდა ალექსისაც. რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს? თავის უკიდეგანო ქვეყანაში ყველგან ჩიხს უნდა წააწყდეს?

— მე არაფერიც არ მინდა! — თქვა აღშფოთებით, — მე შენ არც იმას გაბრალებ, რომ ეს შენი მიწა უთვალავი ქართველის საფლავად იყო ქცეული! ვიფიქრე, მოდი, იმ ქართველების სახელით აქ ვაზს ვახარებ, ყაზახებს მხოლოდ ძვლები კი არა, ჩვენი ცოცხალი გულის ფეთქვაც დარჩებათ-მეთქი. ეს ვიფიქრე, არ გინდა და ნუ!

ალექსი წამოდგა.

— ხვალ გამოვალ ბამბის პლანტაციაზე, დირექტორო, — უთხრა ყინულივით ცივი ხმით და მოშორდა ტასანბაევს, ბინდის იდუმალებაში მთვლემარე ყვავილოვანს შეერია...

ილეტაქსას ალექსი ლოგინში დახვდა. კედლისკენ პირშებრუნებული იწვა, მის შემოსვლაზე არც განძრეულა.

კოსტა ყველაფერს მიხვდა.

— აბა, რა გეგონა, კამარად? მე გითხარი, ტასანბაევი სახელიანი კაცი არი, დირექტორი არი, პალატის დეპუტატი არი, ბამბის გმირი არი, არ უნდა შენი ვენახი. გითხარი, მელია არი, სატანა არი!.

ალექსიმ ხმა არ გასცა და კოსტასაც მალე დაეკარგა ლაპარაკის ხალისი. წაკითხვაც ვეღარ შესძლო. ბუტბუტით ჩააქრო ლამპა და დაწვა.

დილით ილეტაქსას წასაყვანი მანქანა ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა. საყვირიც ჩვეულებრივზე ხანგრძლივი, განგაშივით ყურწამღები და გაბმული იყო.

— ჯერ დრო არ არი! — გაბრაზდა ილეტაქსა. არ უყვარდა შინიდან უნაწილო გასვლა, ჩაიდანი შემოდგა მაყალზე და საუზმე გააწყო.

— ბამბის პლანტაციამდე ჩამიყვანეთ, — სთხოვა ალექსიმ და სწრაფად წამოდგა, ჩაცმა დაიწყო.

კოსტას ლუკმა ყელში გაეჩხირა. „საგანგაშო“ საყვირმა კი არემარე აიკლო. სარკმელში ვიღაცამ შემოიძახა. ორიენი გაცვივდნენ. ალიზის სახლების საშენებელი მასალით დატვირთული სამი მანქანა მოსულიყო.

— ოო, კამარად, მე გითხარი, მაგჟან ტასანბაევი მელია არი, სატანა არი! — აყვირდა, აწრიალდა, ალაპარაკდა კოსტა ილეტაქსა, — შენ ფიქრობ, შენზე კარგი არ არი პლანეტაზე არცვინ, მე გითხარი, მაგჟანი, როგორც შენ, ისე გიჟი კაცი არი და შენ მაგჟანის კამპანიაში ერთად დაჯდებით საგიჟე ჰოსპიტალში!..

კოსტა ყვიროდა, ალექსის აღარ აცლიდა, შოფრებს ფეხდაფეხ დასდევდა, უჩვენებდა მომავალი დასახლების დაგეგმარების მიხედვით, სად რა და რამდენი მასალა გადმოეტვირთათ.

„...ოლეგ, გილოცავ ცხრა მაისს! ჩვენი გამარჯვების დღეა და შენ აქა ხარ, ჩემთან. რა უშავს, აქ რომ არ არის ფერდობი და ბებერი მუხა, სამაგიეროდ აქ აი, ეს პატარა, ლამაზი აკაციაა, და აქედან უყურე, ხედავ, რა საქმეს შევეჭიდეთ ამ უცხო მხარეში?

ოდერთან შევსება რომ მივიღეთ, შენ მითხარი: „ეს ბიჭები ისე ჰგვანან ერთმანეთს, გეგონება, ყველანი ერთ დედას გაუჩენიაო". ჩვენ ვიცოდით, რა ამსგავსებდა ერთმანეთს იმ სულ სხვადასხვა ბიჭებს. ეხლაც ეგრეა, ოლეგ. არ შეიძლება ადამიანები უფრო მეტად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, როგორც ირმისელები განსხვავდებიან აქაურებისაგან, როგორც ბერძენი კოსტა ილეტაქსა განსხვავდება ყაზახ ტასანბაევისაგან, მაგრამ ესენიც ოდერთან მდგომი მშვიდობის ჯარისკაცებივით არიან, სიკეთეს ემსახურებიან, ალბათ იმიტომ ჰგვანან ერთმანეთს. ჩვენ ვცდილობთ დავიმეგობროთ მიწა, წყალი, მზე და ქარიც კი. იყავი ჩვენთან, ოლეგ, ძმაო, ჩვენთან იყავი და გვისურვე გამარჯვება...

ჩვენი ფილოსოფოსი კოსტა ილეტაქსა ავადმყოფების და დაზიანებული მანქანების მკურნალი და უებარი წამალია. ოქროს ხელი აქვს, ყველგან და ყველას სჭირდება, მთელ რაიონს უვლის და იმიტომ ჩვენი მზვერავი და მეკავშირეა, ფხიზლად ადევნებს თვალყურს, საით იმაგრებს პოზიციებს ჩვენი მოწინააღმდეგე. მაგჟან ტასანბაევი ჩვენი მესაფრეა და მოიერიშე რაზმის მეთაური. ის „დიდ მიწაზე" იბრძვის. იმ „დიდ მიწაზე" ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგე, ჭილყვავების მოდგმის კაცუნაა — კომენდანტი, შიგნით და გარეთ გარეცხილი, გაპრიალებული კაცუნა, საქმე-სიცოცხლედ ამ გადმოსახლებული ხალხის შევიწროება, დამცირება, მათი ნამუშევრის წაგლეჯა რომ გაუხდია. ის დარწმუნებულია, რომ გარდა „მხილებული დანაშაულისა", ყოველი ჩვენგანი მომავალში უფრო დიდი ბოროტების ჩამდენია და ცდილობს არა გამოეპაროს რა. მაგჟან ტასანბაევი მას „ხოლერას!" ეძახის, ილეტაქსა—„ვირუსულ მიკრობს", მე კი მგონია, ის ჩვეულებრივი ჯიბოა, რაფიელაა, მედვედევია, გულვარდიშვილია. ისინი ყველგან ყოფილან ჩათესილი. მე ისიც მგონია, რომ ომის ცეცხლს მშვიდობით, უვნებლად, გულარხეინად გადარჩენილ ამათთანა ჭილყვავებს მეტი გამძლეობა და გამრავლების უნარი შეუძენიათ...

ოლეგ, ძმაო, არ გესმის ჩემი ხმა?.. მე არ ვიცი, და შენც ვერ მე-

ტყვი, კიდევ რამდენ მაისობას შევხვდებით მე და შენ აქ, ამ აკაციასთან, მაგრამ მე გთხოვ, ძალიანა გთხოვ, შენ მუდამ, განუყრელად იყო ჩვენთან, შენ უეჭველად უნდა იყო ჩემთან, ჩემს გვერდით. ამას წინათ სადღაც დაგკარგე და მე კინაღამ უდაბნოში დავრჩი... როცა შენ ჩემთანა ხარ, მე ვერც ჭყანტობი, ვერც უდაბნო, ვერც ვირუსები და ჭილყვავები ვერ დამაკლებენ ვერაფერს. შენა გწამს, და მეც მიმტკიცებ რწმენას, რომ ირმისიდან შორს ვერ მოვკვდები, სხვაგან არსად არ მიმიღებს მიწა... და როცა კვლავ გიპოვნე, ოლეგ, ხომ ხედავ, უყურე, ტრამალებში ეს პატარა დასახლება დაიბადა. ბავშვებმა მას „ყვავილოვანი" დაარქვეს. ეს უბრალო დასახლება არ გეგონოს, არც უბრალო, ალიზის ორმოცი ქოხი. ეს სიკეთის მონაპოვარია... ყოველ ქოხში ბუხარი ანთია, და ყოველ ბუხართან შენ ისეთივე სასურველი სტუმარი ხარ, როგორიც იყავი ირმისში...

ოლეგ, მინდა ჩვენსაკით გაგახარო: ნება დაგვრთეს წერილები გაგვეგზავნა შინ, ორ თვეში ერთხელ შეგიძლიათ გაგზავნოთო. წავიდა ჩვენი პირველი ფოსტა და ეხლა პასუხს ველით. ხალხმა იცის, რომ საქმით დაღლილს მოლოდინის ჩრჩილი ვერ ეკიდება და ისე შუშაობენ, გაგიკვირდება. ჩვენი ქალები დილა-საღამოს ისეთი სასოებით სწყევლიან ჩვენს ამწიოკებლებს, გეგონება, ლოცულობენო, და მე ხანდახან მინდა ვიყვირო: ამინ! ამინ!.."

ყაზახეთიდან მოსულმა პირველმა წერილებმა შეაზანზარეს დარიანის რაიონი. ნანატრი სიკეთის მაცნედ მიიღეს ის პირველი წერილები. შორ მანძილს ვიღა დაეძებდა, მაცნე — სიცოცხლის მაუწყებელი იყო!

მალე მიწერ-მოწერა და მერე ყაზახეთში ამანათების გზავნაც ისე გახშირდა, რომ ჩვეულ ამბად ჩაეკერა სოფლის ყოველდღიურობას. მძლეთამძლე სიცოცხლე ეძებდა და ნელ-ნელა ჰპოვებდა თავისათვის საჭირო კალაპოტს.

ირმისის და ნატაძრის გაერთიანებულ კოლმეურნეობა „ირმისხევში" ყველა სამუშაო დროზე და კარგად კეთდებოდა. მოსავალს სწონიდნენ, ზომავდნენ, ითვლიდნენ, სახელმწიფოს პირნათლად აბარებდნენ კუთვნილს, ხალხს შრომას უნაზღაურებდნენ, მოგებით — საერთო სალაროს ამდიდრებდნენ.

ვაჟა კვერენჯაძე კარგი თავმჯდომარე იყო. ვაჟა ყველასათვის საყვარელი ვაჟა იყო, მაგრამ...

მაგრამ ირმისელები სულ სხვა რაღაცას იყვნენ ჩვეული. შემოსავლის ზრდას ისინი, რა თქმა უნდა, ახლაც ცდილობდნენ, მაგრამ აკლდათ „ის რაღაცა", რაც ყველაფერ მატერიალურს — სიხარულის საბადოდ აქცევდა ხოლმე. ისინი ვერ ახსნიდნენ, გონჯაურამ რა წაიღო თან ისეთი, ურომლისოდაც დოვლათი მხოლოდ შრომადღეების ამსახველად დაურჩათ, გეგმების შესრულება — გამოსყიდული თამასუქივით გაუხდათ, და ტყუპებივით დამსგავსებული დღეები მხოლოდ სამუშაოთა სახეობითღა განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

„დაგვიბრუნდება სიკეთე, გამოიდარებს!.." — ერთთავად უმეორებდა თავის თავს ხატულა. ცდილობდა დამშვიდებულიყო, რომ შესძლებოდა მუშაობა, ხალხთან შესვედრა, სანდრას არაბავშვური წყენის დანელება, მისი საყვედურიანი გამოხედვის ატანა.

ძნელად გამოიზამთრა ბიჭმა. იმ საახალწლო ნაძვის ხსენებაც აიკრძალა. სათამაშოები და მოსართავები სკოლაში წააღებინა ამხანაგებს, თავისთვის მხოლოდ თეთრი დათუნია და მელია-კუდიგრძელია დაიტოვა. ახალ სახლისკენ არც იხედებოდა. სკოლაშიც აღარ უნდოდა წასვლა. ბედად, ახალი დირექტორიც კარგი და გულისხმიერი კაცი აღმოჩნდა. მოწაფეებს კარდაკარ დაუარა, ყველას საჭირო სიტყვა მოუძებნა და კარგად სწავლის სურვილი გაუორკეცა.

„დაგვიბრუნდება სიკეთე, გამოიდარებს!.." — ცდილობდა ხატულა ეს რწმენა, ეს იმედი ამოეკითხა ყაზახეთიდან მოსულ წერილებშიც.

ალექსი წერილების წერაზე ყოველთვის ძუნწი იყო და ახლა კიდევ უფრო გაძუნწებულა. ალბათ, იცის, რომ მის ამბავს სხვისი წერილებიდანაც გაიგებენ, — ყაზახეთიდან მოსულ წერილებს ერთი საერთო მისამართი აქვთ: „ირმისელებს". ალბათ იცის, რომ უფროსები ბავშვების დღიურებიდანაც ამოიკითხავენ თავისიანების ამბავს. ეს პლატონ შიშნიაშვილის და მისი მეუღლის მასწა-ლინას თაოსნობაა: ყაზახეთში წასული და ირმისში დარჩენილი ბავშვები ერთმანეთში დღიურებს სცვლიან.

პატარა ნატოს დღიურს ჯერ სანდრა დაიზეპირებს ხოლმე, მერე მას მთელი კლასი და მთელი სკოლა კითხულობს, იქიდან დოდაანთ უბანში გადადის. ბოლოს, ხელიდან ხელში ნატარი, დაჭმუჭნილი, თითებისა და ცრემლების უხვი ნაკვალევით ისევ სანდრას უბრუნდება.

წერილებიდან და დღიურებიდან ამოკრეფილი მარცვლები ირმისის დღეთა აე-კარგთან იკინძებიან და სოფლიდან სოფელში ამ-ბად გადადიან, თითქოს ხალხი თანაზიარად წიგნსა სწერს დარიანის რაიონზე.

ირმისელებმა რომ შეიტყვეს, ყაზახეთში ვენახების გაშენება და-უპირებიათო, დიდი ბჭობა და თათბირი გამართეს, მერე ავრონომი დასვეს და უკარნახეს:

— დაწერე, ხატულა, სიტყვა-სიტყვით დაწერე, ასე გააგრძელე: „...ნერგებზე ფიქრი ნუ გექნებათ, დროზე მოგაშველებთ-თქო. დაგ-ვპირდნენ, თვითმფრინავით გაგიგზავნითო. რაც კახეთში საუკე-თესო ნერგებია თითო-თითოთ ავარჩევთ და იმას გამოგიგზავნით-თქო, მაშ მაგ კაი ხალხთან ხო არ უნდა შევრცხვეთ ქართული მევე-ნახეები-თქო, აბა, თქვენ იცით, ვინძლო გვასახელოთ-თქო...“ დასწე-რე? ეხლა დასწერე: „... აქაურობის ფიქრი ნუ გექნებათ, უცხოს არა-ვის გავაჭაჭანებთ და არც არავის სახლ-კარს უპატრონოთ არ დავაგ-დებთ-თქო...“ ეხლა კიდევ დასწერე: „...ჩვენო ლექსო, ჩვენო ალექსი, ჩვენო სისხლო და ღვიძლო, შენ ხო იცი, არც ერთ ლენცოფანაჭამ ჟამს ჩვენი მამა-პაპა ქედს არ უხრიდა, და თქვენც ყველას მხნეობა და ვაჟკაცობა გევალებათ-თქო...“ ეხლა ყველასაგან სათითაოდ მოკი-თხვა ჩამოწერე, „ჩვენ ერთობლივ კარგადა ვართ-თქო და განუყრე-ლათ თქვენთანა ვართ-თქო!“ დასწერე? გაიხარე ჩვენო ხატო, დილა-ზევე გაგვიგზავნე, შენ გახარებას!..

ხატულამ დარიანის ფოსტიდან გაგზავნა წერილები, ბავშვების დღიურები და ქუჩაში გამოვიდა.

— როგორა ხარ, ხატულა? — შეიჭრა მის ფიქრში ვიღაცის ხმა.

მელითაური ეკითხებოდა, რამაზ მელითაური.

ხატულას წყენისაგან სახეზე ალმურმა აჰკრა.

— გმადლობთ, კარგად, — მიუგო და გზა განაგრძო.

გამწარდა მელითაური. ისევ იმ ტიალ კლდეს შეეჩეხა, მათ შო-რის რომ ჩამდგარიყო.

— სალაპარაკო მაქვს შენთან, — თქვა ჯიქურ.

— გამეცალე, მელითაურო, ხალხი გვხედავს, უხერხულია.

— მე წლობით ვუწევდი ამას ანგარიშს, ეხლა მომისმინე, ორი სიტყვა მაქვს შენთან.

— მე რომ გავტრიალდე, უხერხულია, ნუ მომდევ.

— თუ არ მომისმენ, შინ მოვალ სალაპარაკოდ.

— დარიანელებს გჩვევიათ სხვის სახლში შევარდნა.

ახლა მელითაურს მოეკიდა სახეზე ცეცხლი.

— სცდები, მაგრამ ეხლა ამის დრო არ არის, სათქმელი უნდა გითხრა და მიბრძანე, როცა გენებოს, საცა გენებოს, იქა განახავ.

მელითაურს შუბლი შეკრული ჰქონდა. თვალები ყომრალი ნისლის ნაფლეთებივით ჩასწოლოდნენ წამწამთშუა. დათმობას არ აპირებდა.

„ამ კაცს არ უნდა ეგონოს, რომ ვემდური, ან ვადანაშაულებ რამეში. პირიქით, რაც იყო, ის რომ არ ყოფილიყო, ალექსის ვერ შევხვდებოდი, და ქვეყანაზე სხვა ვერაფერი ვერ ამინაზღაურებდა ამ დანაკლისს!.. ეთქვა სათქმელი და გამოცლოდა, თორემ დარიანელ ავყია ენებს მეტი საბაბი არ დასჭირდებათ...“ — ფიქრობდა აჩქარებით მიმავალი ხატულა.

„გამხდარხარ, ხატო, უფრო მეტად დამსგავსებიხარ ციურს. მოგწვდები განა?! ნეტა მე ვიყო ეგ ნიავი, ბრინჯაოს ნარანდივით დაყრილ თმებს რომ გეფოფინება, უმტვერო თოვლივით შუბლს რომ გიგრილებს. ნუ გამირისხდები, ციურო. მე ხომ არ გიჯავრდები, შენზე ფიქრმა რომ დამადნო კაცი, რომ შენი თვალების სითბოს გარდა, სხვა წამალი ჩემთვის არ არი, შენ კი რისხვით მარიდებ თვალს...“ — სევდიანად ფიქრობდა ხატულას გვერდით მიმავალი რამაზი, და რადგან ხატულა პასუხს უგვიანებდა, თვითონვე უკარნახა:

— ზოოტექნიკოსების თათბირს დავნიშნავ და აგრონომებსაც მოვიწვევ. უსათუოდ მოდი, გაჭირვებიდან იხსნი თავსაც და მეც...

თქვა და გაეცალა.

თათბირი საქმიანი აღმოჩნდა. პურმა საძოვრებიც მიითვისა და მეცხოველეები გამოსავალს ეძებდნენ. აგრონომები კი რაიონის ხელმძღვანელებთან კინკლაობით ისე იყვნენ შებეზრებული, რომ პურის სათესად საკარმიდამოსაც ედავებოდნენ ხალხს. ცხარე კამათი იყო. მელითაური გულახდილ, გაბედულ სიტყვაში იწვევდა ხალხს და ბევრი რამ ითქვა ისეთი, რის თქმასაც სხვა თათბირებზე ფიქრადაც კი აიკრძალავდნენ.

ხატულა შორიდან უყურებდა მელითაურს და უკვირდა, რომ თუშის მიმართ არც ჯავრი, არც სიძულვილი არ აწუხებდა. არც პირისპირ შეხვედრის შიში და კრთომა ბორკავდა. თითქოს არ ახსოვდა,

თითქოს არც ყოფილიყო თავქარიანი სიყმაწვილის ის გიჟური გატაცება. უკვირდა, რომ არავითარ კარგ ან ცუდ გრძნობას არ ულვიძებდა ამ ლამაზი და ვაჟკაცური კაცის დანახვა.

— რის თქმა გინდოდა? — ჰკითხა უმალვე, გააცილა თუ არა მელითაურმა თათბირის მონაწილენი.

— დაგღლიდა ეს ყაყანი, მაპატიე.

— რის თქმა გინდოდა?—ჰკითხა ისევ ხატულამ და უგრძნობელმა მისმა კილომ დააბნია მელითაური.

„რის თქმა გინდაო? განა ადვილია ჩემი სათქმელის თქმა? განა ეგ კითხვა და ეგ კილო მიადვილებს სათქმელის თქმას? მაგრამ უნდა უთხრას, მაშ როდისღა? სადღა ნახავს? ვერც ერთ უძილო ღამეს ვეღარ აიტანს. შუბლს შეახლის იმ ტიალ კლდეს, ან კლდეს შეამტვრევს ან თავის მოძულებულ თავს...“

— მინდა გითხრა, მოშორდი-მეთქი ბარის აურზაურიან ცხოვრებას. თუშეთში წაგიყვან, მშვიდად და მოსვენებით იქნები.

ხატულამ გაცინება სცადა, მაგრამ ვერ გაიცინა. თითქოს საყრდენს ეძებსო, კარის სახელურს ჩაეჭიდა.

— მაგას რად მეუბნები? — ჰკითხა ხმადაბლა.

მელითაურიც ძლივს იდგა ფეხზე. ისიც კარს ჩაეჭიდა.

— მეტი გაჩუმება აღარ შემეძლო. მაკმარე ის დანაკარგი, რაც ჩემმა უჭკუობამ დამაკარგვინა.

— სხვა სათქმელი თუ არა გაქვს, წავალ, მიღამდება.

— დამიგდე ყური, ხატო, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ მოკლედ გეტყვი. მე ბიძაჩემი მზრდიდა და ერთ ღამეს წაიყვანეს. ჭაბუკი ვიყავ, მაგრამ ამ მარჯვენას უყოყმანოდ დავთმობდი, ოღონდ დაეჯერებინათ, რომ იმ კაცის ერთადერთი დანაშაული ამქვეყნად — ჩემი განებივრება იყო. ამერია გზა-კვალი... შენ რომ შეგხვდი, მაშინ მე უკვე სიკეთეს არსად ვეძებდი, არც მინდოდა, ვერიდებოდი. უფიქრელად, ოხრად, ტიალად გავატარე ჩემი ცხოვრება. ეხლაც არაფერი მინდა, ოღონც შენ დამიჯერებდე, რომ მე ამ სიმარტოვეს ვეღარ ავიტან. სულ ხალხში ვტრიალებ და სულ მარტო ვარ. აი აქ, გულში ვარ მარტო, და ვეღარ ვუძლებ...

სიტყვებს არ ეძებდა, არც უკვირდებოდა. გამშრალი ტუჩებით, დაღლილი თვალებით ნელა ლაპარაკობდა, თითქოს სიტყვებს კი არ ამბობდა, დაგუბებული სამსალა წვეთავდა მისი გულიდან.

ხატულა უმოძრაოდ იდგა. მის სახეზე არაფერი არ აღბეჭდილა.

„როდის გახდა ასეთი“? — უკვირდა გულში. მის არც ერთ სიტყვაში არ დაეჭვებულა. უცებვე დაიჯერა: კაცი, რომლის ნაკვალევზე მას ოდესღაც ია და ვარდი ეჩვენებოდა — უბედურია. მაგრამ ის გული, სატრფოს ია-ვარდად რომ ეფინებოდა, ენამზიანმა თუშმა იმ ალიონზე წასვლისას წაიღო თან და იალაღზე მიმავალმა სადღაცა გადააგდო. ხატულა კი ბედმა სანდრა-პაპას ქოხში მიიყვანა...

ასოციაციებმა ხატულა უცებ დეკემბრის იმ წყეულ ღამეში გაღაისროლა და ალექსის იმღამინდელი სახე დაანახა. მაშინ ხატულას ალბათ ელდა უშლიდა, ახლა უკეთ, ნათლად დაინახა ის სახე, და ახლა, ამ წუთს ჩასწვდა ალექსის მაშინდელ სულისკვეთებას. საკუთარი სიკვდილ-სიცოცხლის არჩევანი რომ ყოფილიყო, ალექსი სიკვდილს ირჩევდა, მაგრამ მათთვის — ხატულასთვის და სანდრასთვის მორჩილად დახარა თავი, თქვა: „ვისარგებლოდ ჰუმანურობითო“, და საძულველი მომხდურების წინაშე თავისი მორჩილებით გასრესილი წავიდა, თავდახრილმა გადააბიჯა თავისი კარის ბჭეს... ახლაღა მიხვდა ხატულა, რომ შემთხვევამ კი არა, იმ მორჩილების სირცხვილმა, გათელილმა ღირსებამ, აუტანელმა წყენამ მიიყვანა ალექსი ქარიან უდაბნოში...

ყვირილი ძლივს შეიკავა და მელითაურმა ხელის შეშველება დააპირა, მაგრამ ოდნავ შესამჩნევმა მისმა მოძრაობამ ხატულა უცებ მოსწყვიტა საოცარ ხილვას. „მარტოობას ვეღარ ვიტანო. როდის გამხდარა მელითაური ასეთი?“ — დაუბრუნდა პირვანდელ განაფიქრს და სახე ისევ არაფრისმთქმელი გაუხდა.

მელითაური მიხვდა, რომ შესცდა. ქალის გაფერმკრთალებულ სახეს ახლახან ალმა რომ აჰკრა, გულისცემამ კაბის საყელო რომ აუთრთოლა, ფართოდ გახელილ თვალებში მუქი წერტილები რომ აირივნენ — ის ყველაფერი სხვაზე ფიქრი იყო...

— ჯერ ახალგაზრდა ხარ, ოჯახს მოეკიდე და მარტო აღარ იქნები, — უთხრა ხატულამ და იგრძნო თავისი ნათქვამის უნიათობა.

ნაოჭები ნაჭდევებივით დააჩნდა მელითაურის სახეს. თავი კარს მიაყრდნო. „მაშ რა გეგონა? რის იმედი გქონდა?“ — გაუელვა კითხვამ და უხმოდ ჩაეცინა. მერე მხრები აიწურა და თითქოს სიტყვები ყელს უჩხაპნიდნენ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა:

— იცი, რის თქმა ა-რ მინდოდა?

ავმა წინათგრძნობამ ბრჭყალები დაასო ხატულას. „ნურც იტყვიო“, სთხოვა კინაღამ, მაგრამ წელში გასწორდა და სახე ისეთი

უმეტყველო გაუხდა, რომ თმების წაბლისფერსაც კი დაეკარგა სითბო.

— ბიძაჩემივით უცოდველია ალექსი რჩეულიშვილი, მაგრამ... — თითქოს ღონე მოიკრიბა მელითაურმა და ხმამაღლა დამარცვლა: — მაგრამ მე არ მინდა, ჩემი შვილი უმამოდ იზრდებოდეს, გესმის?

ხატულამ ფრჩხილები ჩაასო თავის ხელისგულებს, კარს მოშორდა, მახლობელ სკამზე ჩამოჯდა. არაბუნებრივად წელგამართული იჯდა. მხოლოდ კაბის საყელოს თრთოლვა ამხელდა ისევ აჩქარებულ მის გულისცემას. მელითაურს მიპყრობილ გაფართოებულ თვალებში, საოცრად გამჭვირვალე გუგებში ისევ უთავბოლოდ აირიენენ მუქი წერტილები.

— მე ნუ დამადანაშაულებ. არ მინდოდა მეთქვა. შენ მაიძულე მოგაგონო ის, რაც ადვილად დაგვიწყებია. შენ მათქმევინე.

ხატულა გაუნძრევლად იჯდა, სანამ გრძნობების სადავეს ჩაიჭერდა, მერე თქვა:

— ენამზიანს მოქარგული სიტყვები უფრო გშვენის, ვიდრე შხამის ნთხევა. ჩემი შვილი — ალექსის ძეა, რჩეულიშვილი.

— ბიჭი ჩემი ორეულია.

ხატულა არ განძრეულა.

— სანამ რჩეულიშვილი იყო, მე ბავშვის სიკეთეს ვწირავდი თავს, ვითმენდი მარტოობას. შენს სიმშვიდეს ვწირავდი თავს. ეხლა კი...

— ალექსი დაბრუნდება! — ხმადაბლა შეაწყვეტინა ხატულამ, და უცებ სადავე დაუსხლტა, ზეზე წამოიჭრა, სმაც აიმაღლა: — თუ არა და, თავში იხალეთ შენ და შენმა მფარველებმა ეს ვაზიც, ეს მიწაც! ჩვენ, მე და ჩემი შვილი ალექსისთან წავალთ, გესმის?

— განა შენ იცი, ან მე ვიცი, ან იცის ვინმემ, რა მოელის ალექსის? ბიჭი უმამოდ არ უნდა იზრდებოდეს, როცა ვარსებობ მე, მისი შამა.

წინათგრძნობამ ახლა თითქოს ათასი ბრჭყალი დაასო ხატულას სხეულს, ტკივილისაგან თვალებში ბინდი შეეცილა შუქს. ის კაცი ახლა ხან უაზროდ დაბორიალებულ აჩრდილად ეჩვენებოდა, ხან ისევ მკვეთრად ეხატებოდა კართან უმოძრაოდ მდგომი. და როცა დალაპარაკება შესძლო, თითქოს სხვისი ხმა მისწვდა მის ყურს:

— ქვის გული გქონია, მელითაურო, ადვილად შეეძლებია ადამიანის ამოშლა ცოცხალთა სიიდან.

ახლა ხატულა სცდებოდა. მელითაურის გულში იმედის მკრთალი ნაპერწკალიც ჩაქრა, და მარტოობის წყვდიადში, სადღაც შორს, მიუწვდომელზე, მისი სიტყვებით დახანჯლული ხატულას სახე გაუკრთა. განა ამაზე ოცნებობდა წლობით?

— არა, ციურო, ცოცხალთა სიიდან მე ჩემი თავი ამოვშალე ადრევე. სწორედ იმიტომ, რომ ადამიანის ნებაზე ძალადობის მოძულე ვარ. შენ გეგონა, მე მართლმსაჯულებას მოვიშველიებდი? იძულებით გამოგტაცებდი დასტურს? არა. შენ და ჩემი შვილი მენატრებით. უფლებით კი არა, გულით. რომ იცოდე, რა ტანჯვაა...

თვალები მშრალი ჰქონდა. ტუჩებიც. ხმა უტიროდა ჩუმად, ძალიან ჩუმად.

— ნუ იფიქრებ, დრო გიპოვნე, უმწეო ვნახე, იმიტომ გითხარი ჩემი სათქმელი. ყველაფერში ჩემზე იღბლიანი ხარ. გჯერა, ალექსი დაბრუნდება. მე არაფერი არა მჯერა. არაფერი. არც ალექსის დაბრუნება. იმიტომ გაგიბედე. ნუ მიწყენ, ხატო, ნუ შემრისხავ...

ხატულა ნელა წავიდა კარისკენ.

— მე ვილოცებ, რომ რჩეულიშვილი დაბრუნდეს. იმ ჩვენი გაყრის დაწყევლილ დღიდან შენ შენს შვილზე ზრუნვით იოკებდი გულს. მე ეგ სიხარული გამოვწირე ჩემ თავს. ჩემი ზრუნვა ეს ლოცვაღა იქნება, ურწმუნო კაცის ლოცვა. ვილოცებ, რომ ჩემ შვილს მამა მალე დაუბრუნდეს...

დამძიმებული ქუთუთოები ჩამოეფარნენ ყომრალი ნისლივით ჩაწოლილ თვალებს. უსინათლო, უსიცოცხლო სახე თაბაშირის ნიღაბივით გაუხდა, და ნიღაბი სიკვდილის ნატვრას დაემსგავსა...

ხატულა სწრაფად გავიდა ოთახიდან.

თავი მესამე

ყვავილოვანში კი დღიურის წერას განაგრძობს პატარა ნატო.

„ოთხშაბათი, 27 დეკემბერი.

ყოველდღე ყველაფერს რო ვწერამ, გამოდის, მე ძალზე ცუდი გოგო ვარ და ამას სანდრა კითხულობს და მთელი ჩვენი კლასიც და რას იფიქრებენ ჩემზე? დღეს პლატონ-მასწამ მითხრა, გაკვეთილი უკეთესად უნდა გესწავლაო და რა ჩემი ბრალია, კარგად რო არ ვიცოდი. სკოლიდან შინ რო მოვედით, ჯაფარაანთ ლიზამ მითხრა,

პატახან იასთან იყავიო და თითონ წავიდა, საცა დედაჩემიც და სხვა ქალებიც ბამბისათვინ ტომრებსა ჰკერავენ, ჩემთან კიდე ოსიკო მოვიდა, გაკვეთილები უნდა მოგვემზადებინა და იამ კიდე ტირილი მორთო და ჩვენ გვეგონა, შიანო და კუმისი დავალევინეთ, მთელი სავსე ჭიქა ლამაზად გადაყლურწა და მერე ერთბაშათ სუმთლად უკან ამოუვიდა. მე და ოსიკოს ძალზე შეგვეშინდა და ყვირილი დავიწყეთ, ყველანი მოცვივდნენ და ლიზას კინაღამ გული შეუღონდა და დედამ მითხრა, მოსაკლავი ხარო. დიდები ყველაფერს მე მაბრალებენ და მე ძალიან დარდიანათა ვარ, არც ახალი წელი მინდა, არც აქ ყოფნა მინდა, არც ეს თოვლი მინდა, რო საითაც გაიხედო, მარტო თოვლი და თოვლი და სხვა მეტი არაფერი, მე ირმისში მინდა. მემრე ძია ალექსიც მოვიდა და ყველაფერი როცა გაიგო, მე სხვების უწუმრა მითხრა, შენ რო ჩემი ვერგილიუსი ხარ, ტირილი არ შეიძლებაო. წინათ მე მეგონა, ვერგილიუსი აქაური სიტყვაა და მემრე ძია კოსტამ მიამბო, რო ვერგილიუსი კაცსა ჰრქმევია, უწინდელ დროს უცხოვრია, სამოთხე როცა ყოფილა და იმ სამოთხეში მიმსვლელების გამცილებლათ უმსახურია. მე ძია ალექსის ვუთხარი, თუ ძია სტალინი კარგია, რატო ირმისელი ბავშვების წერილზე არ გვიპასუხა. მე არ ვიცი, იგეთი საწყენი რა ვთქვი, რო ძია ალექსიმ სახეზე ხელები აიფარა და იგრე იჯდა დიდ ხანს და მემრე მითხრა, ალბათ, წერილი არ მიუღიაო, იმიტო, რო ავსულები დგანან დარაჯათო და იმასთან კაი კაცებს და კაი წერილებს არ უშვებენო და იმას შენისთანა ვერგილიუსი არა ჰყავსო. მე კიდე უთხარი, რო მე პატარა ვარ და იმას შენისთანა ვერგილიუსი უნდა ან ძია კოსტასთანა ან ძია მაგუან ტასანბაევისთანა მეთქი და ძია ალექსიმ გაიცინა და მითხრა, ძილის დროა და დაიძინეო...“

„ხუთშაბათი, 28 დეკემბერი.

დღეს, როცა სკოლაში მივდიოდით, ქარმა ჩარდახი ააგლიჯა ჩვენ მანქანას და ბავშვები კინაღამ ქარმა წაგვიღო და ძია კოსტამ ცოტას გადარჩა არ გაგლიჯა შოფერი, რატო კარგა არ დაგიმაგრებიაო და მემრე თავისი ქამრით დამიჭირა და სხვებიც ერთმანეთს მიამაგრა და სკოლაშიც დავიგვიანეთ, მაგრამ არავინ არ გაგვიჯავრდა, პლატონ-მასწა და მასწა-ლინა და ყველანიც მოვარდნენ თურმე ძალზე შეეშინებიყოთ რო დავიგვიანეთ და მაშინვე ცხელ-ცხელი ჩაი დაგვალევინეს თაფლით და ფუნთუშებით, ჩემ კლასში როა სალიმა ტასანბაევა, იმან თავისი შალი მომხვია და მე მალე ჩავთბი

და ჩაიც ბევრი დავლიე. აქაური ჩაი არაუშავრა, გემრიელია, ხოლოთ რაღაცნაირი მწვანე ფერი აქვს. მალე ახალი წელი იქნება და მემრე სამი იანვარი იქნება და მე თერთმეტი წლისა გავხდები, შარშან, როცა ათისა გავხდი, ჩვენ ეშელონში ვიყავით და იგრე ძალიანა ციოდა, თუ ვინმეს მოსწყურდებოდა, ცულით უნდა მოეტეხნა ვედრაში წყალი. ეხლა ჩვენ ყვავილოვანში, ძია ალექსიმ რო ააშენა, ყველას სახლში ბუხარი გვაქ და ქვეყნის წივა გვაქ და ისე თბილა, ისე, რო ჰა! დიდედამ მითხრა, გეყოფა დაწერა, ნავთი დაილევაო და დედამ კიდე თქვა, ჯანდაბას ნავთიო, ხვალე ელექტრონი გვექნებაო, დიდედამ კიდე უთხრა, რა იცი ან იქნება ან არაო, ეგება ამ წყეულმა ქარმა არ დაანებოს ხალხს მუშაობაო. ვინცის ჩვენი ირმისი ეხლა როგოა გაბდღრიალებული, ნეტა ცალი თვალით მაინც მანახვა, სუყველანი ალბათ ემზადებიან ახალი წლისთვინ, მაგრამ ჩემი კლასელები უჩვენოთ იგრე მხიარულად არ იქნებიან. მალე სანდრიკას დღიური მოვა და ყველაფერსაც გავიგებთ, ეწერება, ვისთან იყვნენ ნაძვის ხეზე..."

„ქარასკევი, 29 დეკემბერი.

ნიშნები დაგვირიგეს და მე ყველაფერში ხუთიანები მივიღე. ხოლოთ პლატონ-მასწამ მითხრა, წერის დროს სასვენ ნიშნებს თუ არ დაუკვირდები, ორიანს მიიღებო. ამას იქით ბეჯითად ვიქნები და ბევრ სასვენ ნიშნებს დავსვამ, და სანდრას დღიურსაც კარგად შევამოწმებ, ვნახო, იმას როგორა აქვს საქმე წერტილ-მძიმეებში. ოსიკომ არითმეტიკაში სამიანი მიიღო და იტირა, რა ჩემი ბრალია, მე ქართულად ვიციო და რუსულად მეშლებაო და ჩემ დღიურს ირმისში ალარ გავგზავნიო, ბიჭები დამცინებენო. მემრე პლატონ-მასწამ უთხრა, არაუშავრა, მე გასწავლიო და შენც ხუთიანზე გეცოდინებაო. დიდედამ მითხრა, ძია ალექსი ეგრე ძალიან რო გიყვარს, აჩვენე შენი ნიშნები და გაახარეო. დიდედამ არ იცის, რომ მე ძია ალექსის ვერგილიუსი ვარ და ძია კოსტაც ძალიან მიყვარს იმიტომ, მეცოდება, რო იმას არც ვერგილიუსი ჰყავს, არც სანდრა, არც დეიდა ხატულა, არც სახლი აქვს ირმისში და არც დოდაანთ ქუჩა იცის, და იქნება მამაჩემიც ეგრე კარგი ყოფილიყო და მე იმისი გახარებაც მდომნიყო. მემრე ძია ალექსიმ ბავშვები თავისთან მიგიყვანა და ირმისიდან გამოგზავნილი დიდი ყუთი გასხნა. ვაიმე, დედილო, შიგ ჩემოდენა ნაძვის ხე იყო, სათამაშოებიც და მოსართავიც. ნაძვის ხე ყველას ძალიან გაუხარდა, იმიტომ რომ აქ არცრო-

გოთი ხე არ არის და ძია ალექსიმ ქარისსაჭერად ძალიან შორიდან ჩამოიტანა პაწაწკინა ალვის ხეები და ყველანი მოჭრილი თითივით უვლიან იმ ხეებს და საზამთროთ დაბამბული ტომრებიც კი ჩააცვეს. იმ ყუთში ცალკე ჩემთვინ დიდი დედოფალა იყო და წერილში ეწერა ნატოს ეგზავნება დაბადების დღეზეო, დეიდა ხატულამ გვიყიდა ქალაქში და გულნაზი ჰქვიანო. უიმე დედილო, როგორ მიყვარს ჩემი კლასი და სანდრაც და დეიდა ხატულაც და ირმისიც, და დიდედა გამიჯავრდა, რა გატირებსო, მე რა ვქნა რო თავისთავათ მეტირება. მემრე ძია კოსტასთან ვიყავით, პარკები დავაწებეთ და ჩამიჩით, ჭერმის და ნესვის ჩირით გავავსეთ ირმისელი ბავშვებისათვის. მე ძია კოსტას უკარნახებდი და აწერებდა სახელებსა და გვარებს, ძია კოსტა სუყველაფერს ხელათ იზეპირებს ხოლმე, ქართულსაც ძალიან მალე იზეპირებს, ირმისელი ბავშვების სახელებიც და ქუჩების სახლებიც სუ ზეპირად იცის...“

„შაბათი, 30 დეკემბერი.

მე სირბილი და ხტუნვა მინდა, ყველასაც სიცილი უნდა, იმიტომ, რო ელექტრონი მოვიდა, სუყველგან ქუჩაშიც და სახლებშიც ისე განათდა ისე რო ჰა! აქ რო ძალიან გამუდმებით ქარია და ბოძები არ არის, ელექტრონი მიწაშია გაყვანილი და ზემოდან არც სუ არა ჩანს. გოგო-ბიჭები ჩვენსა ისე ძალიან ვხტუნაობდით, რო ჭერში ჩამოკიდებული ერთი დიდი ნესვი ჩამოვარდა და პატიკოს ზედ თავზე დაეცა და ვეება კოპი დაუსვა, ზურიკომ თქვა, ეს ნესვი ყაჩაღი ყოფილაო და უნდა დაისაჯოსო და დავჭერით, ძალიან ტკბილი გამოდგა, კაი სუნიც ჰქონდა, ყველანი იძახდნენ ნეტა ირმისელებსაც მისცათ ამისთანაო. ზაფხულში ბამბის კრეფა როცაა, ბუჩქებში ერთბაშათ ნესვი ან ყარფუზი გამოჩნდება ხოლმე, წინწინ იმათი ძებნა არ შეიძლება, ბამბის კრეფის დროს რო სწყურდებათ მუშებს, მაშინ უნდა იპოვნონ და პირი გაისველონ. დიდები ახალწლისთვის რალაცეებს ამზადებენ და ჩუმჩუმათ ტირიან, მითომ ჩვენ არა ვხედავთ, იმათაც უნდათ ირმისი და იმიტომა ტირიან. ძია ალექსიმ ყვავილოვანი როცა ააშენა, ყველას უთხრა, და ეხლაც ყველას უთხრა, ღორი არ გააჭაჭანოთ, აქაურებს ღორი არ უყვართ და ჩვენც ხათრით ნუ გვინდაო. დიდედამა თქვა, დაილოცოს აქაური ხალხი, აქ მაინც ვიყოთ ულორებოთო. ყველამ გაიცინა და ძია კოსტამ თქვა, მადამ ნატალი ფილოზოფი არიო და მე მეწყინა, რა თქვა ჩემ დიდედაზე, მაგრამ დედამ მითხრა, ეგ საწყენი სიტყვა არ არიო. ძია

ჯოსტა ყველას სახელებს უგონებს და დედაჩემსაც ბეატრიჩე დაარქვა. ჩვენი ნაძვი ოსიკოანთსა დავდგით, ოსიკოს პაპა — ივანიკა რო მოკვდა, ეხლა იქ მეტი ადგილია. ძია კოსტა, პლატონ-მასწა და მასწა-ლინა იქ არიან, რთავენ ნაძვს და ჩვენ გამოგვლალეს, მერე დაგიძახებთო...“

„ხუთშაბათი, 4 იანვარი და ახალი 1953 წელი.

უიმე, უიმე, უიმე, დედილო, როგორ გამეპარა დღეები, რამდენი გამოვტოვე დღიურში და ეხლა რომელიერთი დავწერო, ყველაფერი ამერია-დამერია. მაშინ რო დაგვიძახეს, ნაძვის ხე ძალზე ლამაზად ენთო და ჩვენ იმის ტოტებს ხელს ვართმევდით, იმიტომ რომ ის ხე ირმისელია. ჩვენთან ბამბის მეურნეობიდანაც ბევრი სტუმრები იყვნენ და ძია კოსტას დიდი ტომარა ეკიდა ზურგზე, ვითომ თოვლის პაპა იყო და ყველას საჩუქრებს ურიგებდა. მემრე ვიღაცამ დაიძახა, ალექსი რაიქნაო, და მე ჩუმად გავიპარე. ძია ალექსი თავისთან მარტოკა იჯდა და მე რომ ამასწინაზე სანდრას დღიური დამეკარგა, ის დღიური ეჭირა, და მითხრა მაპატიე, არა გკითხე, იგრე ავიღეო. მე კიდე უთხარი, ეგ დღიური სულაც მიჩუქნია შენთვის, და ნაძვის ხეც ვისაც უნდა იმისი იყოს, რაკი მე შენი ვერგილიუსი ვარ, შენთან უნდა ვიყო მეთქი. ძია ალექსიმ რაღაცნაირად გაიცინა, ამოდენა გოგო ხელში ამიყვანა და ორივენი ერთად წავედით ნაძვის ხეზე. ისე ვიმხიარულეთ, ისე, ისე, რო ჰა! სალიმაც იყო, დეიდა კულიაშიც და ძია მაგჟანიც, თავიანთებური ჩასაცმელი მაჩუქეს, ყვითელი აბრეშუმის შალვარი, ზემოთ ალისფერი ხალათი და ზედაც ჭრელი სარტყელი. როცა ჩავიცვი, ძია კოსტამ სურათი გადამიღო და მზად რო იქნება, ირმისში გავგზავნი, ჩვენ კლასში ჰქონდეთ ჩემ ჩასვლამდე. ჩემი კლასელები არ გამებუტებიან დღიურში რომ ბევრი გამოვტოვე, ოსიკო სწერამდა და მე აბა როდის დამეწერა, ისე ვიღლებოდი ისე, ისე რო საღამოს თვალები თავისთავათ მეხუჭებოდა. ორშაბათიდან ისევ ყოველდღე დავწერამ ხოლმე და სასვენ ნიშნებსაც კარგად ვადევნებ თვალყურს...“

ნატოს კალმისტარი დაუვარდა ხელიდან. არც გაუგია, დიდედამ როდის გახადა და დააწვინა სიზმარში გაღიმებული სალიმას გვერდით.

• • •

თოვდა. ჰყინავდა. მოსაღამოვებული იყო და ხალხი თავის დათოვლილ სახლებში იყო შეყუჟული. მხოლოდ ბოლის წვრილი ზოლები ამხელდნენ იმ უკიდეგანო თოვლიან ტრამალებში სიცოცხლის არსებობას.

კოსტამ ალექსის კარზე დაარახუნა და ოთახში შეაბოტა.

მთლად შეჭირხლული იყო, უჩვეულოდ აწყობილ-აკვალთული. კართანვე გაიძრო კოშებამდე გრძელი, ბეწვის ქურქი, ირმის ტყავის ჩექმები, ცეცხლს მიუჯდა და უჩვეულოდ მოკლედ, ორიოდე სიტყვით გაანდო ალექსის თავისი გულისნადები. მერე სათვალე მოიხსნა და გაღვივებულ წივას მიაშტერდა. მოთმინებით უცდიდა პასუხს.

მაგრამ ალექსიც მდუმარედ შეჰყურებდა ცეცხლს. მან იცოდა, რომ ილეტაქსას გაცნობის დღიდანვე მოეწონა და მალეც შეუყვარდა ირმისელები; იცოდა, რომ ირმისელებმაც ასევე მალე და უყოყმანოდ შეითვისეს ეს წოპწოპა, შეუხედავი კაცი, საოცრად მიმზიდველი თავისი კეთილშობილებით. ურთიერთპატივისცემა უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა მას შემდეგ, რაც ილეტაქსამ თავისი ბარგი-ბარსანა გადმოიტანა ყვავილოვანში და ერთ-ერთ ალიზის ქოხში დასახლდა.

მისმა ვაჟკაცურმა თანაგრძნობამ და დაუნელებელმა ყურადღებამ მთლად თავისიანად გახადა, აუცილებელი გახადა იგი ყვავილოვანში დასახლებული ხალხისათვის, ისევე როგორც აუცილებელი გახადა კოსტასათვის მათთან მეგობრობის სითბო. მაგრამ ალექსი დიდი ხანია გრძნობდა — ილეტაქსას დამოკიდებულება დოდაშვილების ოჯახისადმი გასცდა უბრალო კეთილმეზობლურ განწყობილებას. მისთვის მოულოდნელი არ იყო ის, რაც კოსტამ სულ ორიოდე სიტყვით გაანდო.

„თუ ოლას შვილებს მშობელი მამის ნახვა არ უწერიათ, შენზე კეთილი მამობილი არ შეიძლება სხვა იყოს, — ფიქრობდა ალექსი, თითქოს ხმამაღლა ელაპარაკებოდა ილეტაქსას. — შენ ღირსი ხარ დიდი სიხარულისა. აგრე მგონია, ჩემს ადრინდელ ცხოვრებაში მინახიხარ გაჩხიკული, მყვირალა, გოგო-ბიჭებში აურზაურის ამტეხი, დაუდეგარი ბიჭი; მგონია შეეხვედრივარ ჭაბუკს, ჭკვიანი და აფხორილი ჩიტივით რომ ჩაჰკირკიტებდი ადა-

მიანის ანატომიას და ჰომეროსს. უშიშარ, თავისუფლებისათვის მებრძოლ ჯარისკაცსაც შეეხვედრივარ თითქოს. სიხარულისა და ბედნიერების ღირსი ხარ, მაგრამ ელიზბარი? იქნებ მართლაც ცოცხალია, იქნებ სადმეა ელიზბარი, იქნება გამოჩნდეს...?"

— სუმთლათ ჩაიყლაპე ენა? — ვერ მოითმინა, ბუზღუნით გაუწყვიტა ფიქრი ილეტაქსამ.

— კოსტა, იცი, ნატალია რას ამბობს? „რაკი ჩემი შვილი ცოცხალი ყოფილა, ადრე თუ გვიან, უეჭველად დაბრუნდებაო. სადაც უნდა იყოს, ის სამარცხვინოს არას ჩაიდენდაო. იცის, შინ დედა ელოდება, ცოლ-შვილი ელოდება, შინ ირმისი დარჩა, მამის საფლავი დარჩა, ის ისეთი ბიჭი არ არის, შინ აღარ მოესვლებოდესო". ნატალიას იმედი აქვს დაბრუნდებაო, გესმის?

— მესმის, ის დედა არის, შენ როგორ არ გესმის, ეგ ზღაპარი არის. თუ ქმარი თორმეტი წელიწადი არ ეტყვის ცოლს, ცოცხალი ვარ, მაშინ ის მითია, თუნდა მართლა ცოცხალი იყოს!

— რა იცი, იქნება არა აქვს მოწერის საშუალება.

— მე სუმთლათ არ ოცნებობ იმის მოკდომაზე, იყოს ცოცხალი, მაგრამ თორმეტი წელიწადი?! მორალური უფლება დაკარგა ესლა თქვას, ეგ ქალი ჩემი ცოლი არის!

— ქალი — დედას, ნატალიას ჩააბარა, თავის ოჯახში ეგულება!

ალექსის ასე აღელვებული არასდროს უნახავს კოსტა. რუსული, ქართული, ბერძნული, ყაზახური სიტყვების ნიაღვარში ძნელი ხდებოდა მისი აზრის გაგება.

— ო-ო, მე ძალიან-ძალიან პატივცემ მადამ ნატალის, ის დიდი ღირებულების ქალია, მაგრამ ის არ უნდა იყოს ახალგაზრდა ქალის მეციხე, ის ხოლოდ 32 წლისა არის! იმ ქალმა მადამ ნატალის სამი დოდაშვილი აჩუქა, და მადამ ნატალიმ თითონ უნდა თქვას, შენთვის ქმარი საჭირო არის, იქნება სამი შვილი კიდე იყოს!

ალექსის ჩაეცინა. მარტო ეს რად ღირდა, ამ კაცს თავდავიწყებით რომ უყვარდა ბავშვები!

— მერე რა იქნება, ღმერთმა იცის, კოსტა, ჯერ კი ნურაფერს გაამხელ, დაიცა, ეგ ადვილად გადასაწყვეტი არ არის, მაგას დიდი ტკივილი მოჰყვება...

— ბევრი-ბევრი ტკივილი სოფოკლეს ტრაგედიაში არის, მე

ტრაგედია არ მინდა! ჩემი სურვილი ტკივილი არის? ცუდი არის?

— ცუდი კი არა, ძნელია-მეთქი. ბავშვებს არც ოლა დასთმობს, არც ნატალია.

ილეტაქსა ისე წამოიჭრა ზეზე, ცოტას მორჩა, თავი ჭერს არ შეახეთქა:

— რას ამობ, რათ დათმონ? არც მე დათმო! მე მინდა მადამ ნატალიაც, ბავშვებიც, ოლიკოც!

— მარტო შენი სურვილი ხომ არ არის საკმარისი, ადამიანო, იქნება დოდაშვილებმა არ მიგიღონ.

— რატო არ მიმიღონ, რატო? მე ნამდვილი მუშა კლასი ვარ! ვინმეს მოკდომა უნდა — მე ექიმი ვარ! მანქანა გაფუჭდა — მე მექანიკი ვარ! ბამბა უნდა — მე ბამბის მუშა ვარ! ვენახი უნდა — ვენახში იმუშავებ, შენ არა ხარ მეგობარი, შენ ამობ, არ მიგიღონ! რატო არ მიმიღონ?

— დამშვიდდი, კოსტა, ნუ აჩქარდები, დაიცადე-მეთქი.

— მაგჟან ტასანბაევი კარგად იცის: იოი! მეც ვიყვირო: იოი! იოი! მე ეხლა წერილს დაუწერ შენ ხატულას, დაუწერ, შენი გულიცივი ქვა არის! მე ასე ფიქრობ შენზე: ნამდვილი ქვა არის! ნატურალური ქვა!..

კოსტა ყვირილით გავარდა გარეთ, შინ გაიქცა და მაგიდას მიუჯდა, ხატულასთან წერილის წერა დაიწყო, მაგრამ იმ საღამოს ყვავილოვანში წერილი ყერავინ დაამთავრა:

არემარე უცებ აიკლო შაშვის სტვენამ!

წამში გაცოცხლდა დასახლება. დიდი და პატარა გარეთ გამოეფინა იმ თოვლში და ყინვაში. ვანა ხმირია ასეთი გულადი შაშვი, ზამთარში მოფრინდეს და ამ დალამებისას გაგიჟებული სტვენდეს?!

დიდი და პატარა გაფაციცებით ათვალიერებს გარემოს.

ოზბეთელაანთ დალის გარდა. დალიმ იცის: ქვეყანაზე არც ერთი შაშვი არ სტვენს ასე ლამაზად, და თუ ზღაპარი ოდესმე მართლდება, ახლა მალხაზს დაინახავს!

და დაინახა. მოდის მალხაზი. მხარზე ხურჯინი გადაუკიდია, ცხვრის ტყაპუჭი გაუღეღია და ურჩი, შავი ქოჩორი კეფაზე მიგდებულ კრაველის ბოხოხს მიტმასნებია.

ხედავს დალი და ადგილიდან ვერ იძვრის. ვერც ხმა ამოუღია. დგას და წამწამებს ახამხამებს.

დიდი და პატარა კი ყვირის:

— მალხაზი! მალხაზ! მალხაზო!..

ქუჩის სიგრძეზე გამოფენილი ხალხი უცებ ერთ დიდ კონად შეიკრა, ბიჭი შიგ ჩაიხვია. დალი კი დგას და ბრაზობს:

„ვითომ რაო? ფასკუნჯი ხომ არ მოფრენილა? მათ თვალწინ არ იზრდებოდა ირმისში ეს ბიჭი? ზოგი დასცინოდა კიდეც, მანქანებზე გიჟდება და ტრაქტორის მიმბმელად კი მუშაობსო. ეხლა ჟველას მოუნდა იმ ბიჭთან დალაპარაკება, მისი ხმის გაგონება, მის მხრებზე და ბეჭებზე ხელის დატყაპუნება!.."

ბრაზობს დალი, მაგრამ განა არ იცის? ირმისიდან გამოცხადებული მალხაზი ხალხს მართლაც ჰგონია, შაშვიაო, სიკეთისა და გაზაფხულის ჩიტი-მახარობელი. მაგრამ ერთიც ვნახოთ და ამ სულელმა, გზააბნეულმა შაშვმა ბოლო მოიქნიოს, გაფრინდეს, გაქრეს... იტყვიან, დალი გაგიჟდა, ამ ყიამათ ზამთარში შაშვის სტვენა რამ მოაჩვენაო...

— მოგნახეთ... — ყველა კითხვაზე იმეორებს და იმეორებს მალხაზი. შორი გზა გალია, ნებართვა მიიღო, ყვავილოვანს კითხვა-კითხვით მოაგნო და არა სჯერა, რომ უკაცრიელ, უკიდეგანო, თოვლიან ტრამალებში ჩაკარგული გოგო იპოვნა. „მოგნახეთო", — იმეორებს და კისერწაგრძელებული უყურებს გოგოს. დგას გოგო, ისევ ისეთი ყარაჩი, ისეთი წვრილი, რომ სამაჯური წელზე მოსწვდება, დგას და ნამიანი ბალახივით მოღალანე თვალებით ანათებს იქაურობას.

„მოგნახეთო", — ესმის უმოძრაოდ მდგომი დალის ამხტარ-დამხტარ გულს.

ჯერ ან ერთს, ან მეორეს რა უცხოვრია ქვეყანაზე, რა იციან როგორ უნდა გრძნობების მიჩქმალვა?! ვერც მიჩქმალავდნენ, მაგრამ ირმისიდან ჩამოსული ბიჭის სტვენამ შესძრა ყვავილოვანი და იმ საერთო მღელვარებაში ვინ მიხვდებოდა, ეს ერთი გოგო რამ მიაჭედა ადგილს, ან ეს, საიდან სად ჩამოსული ბიჭი ასჯერ ვის უმეორებს, „მოგნახეთ"?!

ვერც ალექსი მიხვდებოდა, ირმისში, ოზბეთელაანთ ღობესთან თვალი რომ არ მოეკრა ამ გოგოს და ბიჭის შეხვედრისათვის.

ალექსი კი მიხვდებოდა, მაგრამ კოსტა ილეტაქსა? ეს შეყვა-

რებული რაინდი საიდანღა მიხვდა, ალექსის გვერდით რომ გაჩნდა და თვალებმოწკურვით ჩასჩურჩულა:

„ეხლაც იფიქრობ, ელიზბარი ვერ ეტყოდა ცოლს, „დამიცადე, მე ცოცხალი ვარ?!“

სძინავს სანდრას და ბალიშქვეშიდან მოჩანს ყაზახეთიდან მალხაზის ჩამოტანილი დღიური. ხატულა კი ბუხართან ზის და ვინ იცის, მერამდენედ კითხულობს ილეტაქსას ჩანაწერებს. ჩანაწერებს „წინსიტყვა“ და „ბოლოსიტყვა“ აქვს დართული.

„წინსიტყვაში“ ილეტაქსა სწერს:

„ძვირფასო მეგობარო ქალბატონო ხატულა! მე გზავნი თქვენ და თქვენი სანდრას ბევრი-ბევრი სალამს და კეთილი მოსურვილებას და მადლობას საჩუქრების გამოთ. მეტად დიდი-დიდი მადლობა „საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორია“ და ლექსიკონების გამოთ. თქვენგან მე გავაკეთე პატარა საინტერესო ბიბლიოტეკა და შემიძლია ვიცოდე თქვენი შვენიერი ქვეყნის ისტორია. ძვირფასო მეგობარო-ქალბატონო ხატულა, თქვენ ისე იცით ჩვენი ყვავილოვანის ცხოვრება, ვითომ როგორც თავისი თვალებით ნახოთ, ეხლა შევასრულებ თქვენი თხოვნას, მიიღოთ აქაური ალექსის ნამდვილი პორტრეტი. ამის გამოთ გიგზავნით ჩემი ბლოკნოტის ცოტა ფურცლებს, იქ არი ცოტა-ცოტა ჩემი ინტიმური ამბავიც, მაგრამ არ გავაკეთე კუპიური, მე მინდა ჩემი დაუს-წრე-ბელი (ეს ძნელი სიტყვა არი!) მეგობარი იყოს ჩემი ისტორიის კურსში. ბლოკნოტი ბერძნულ ენაზე ჩემი თავისთვინ არი დაწერილი და გავაკეთე თარგმანი. მე ჯერ არა ვარ ქართული ენის მაესტრო (მაგრამ უ-ეჭ-ველად ვიქნები!) და ამის გამოთ პლატონ-მასწამ კორექტურა აკეთა, არ უშავს რომ ჩემი გულის მეგობარი პლატონ-მასწა და მასწა-ლინამ ნახოს ჩემი კორესპოდენცია. ხოლოთ წინსიტყვაც, ბოლოსიტყვაც არა აქს კორექტურა და მე ვიცი, თქვენიდან ნიშანი „2“ მექნება მაგრამ მე და პატარა ნატალი ჯიბრობთ და მალე „5“ მექნება. მოგისურვებთ თქვენ და პატარა ჯენტლმენ სანდრას ბევრი-ბევრი სიკეთეს. სუმუდამ თქვენი მონა და მეგობარი კოსტა ილეტაქსა.“

ილეტაქსას ბლოკნოტიდან:

„...თებერვლის იმ საშინელ ღამეს, როცა ტასანბაევმა წაიყვანა გამოცდილი მონადირეები და თავისი გენიალური ძაღლი „ნერონი“ და კიზილკუმში იპოვნა კაცი, მე გამაღვიძა და მითხრა: „კოსტა, რაკი ჩვენთან გადმოსახლებული ამდენი ხალხი ტირის და გვეხვეწება, გადაარჩინეთო, კარგი კაცია, არ შეიძლება რომ დაიღუპოსო, ჩანს მართლაც კარგი კაცია. მე მოგცემ, რაც დაგჭირდება, უშველე და მერე ვნახოთო!“ და კომენდანტს უთხრა: „მოეს-წრები მაგის დასჯას, დააცალე სიკვდილიო“.

იმ ღამეს მე ღმერთებმა შემრისხეს და ვულკანზე დამასახლეს, წამართვეს მუშაობისა და ანტიკურ სამყაროში ხეტიალის დრო. დღე და ღამე მე იმ კაცთან ვიჯექი და ვუვლიდი, იმიტომ რომ მისი ხალხი ამბობდა: „ეგ კაცი ჩვენთვის ძალიან-ძალიან საჭირო არისო“.

ამ კაცის ქვეყანა საქართველოა, და მის სოფელს „ირმისი“ ჰქვია. ირმისელებმა ძალიან-ძალიან საიდუმლოდ მითხრეს, რომ ეს კაცი მათთვის „გონჯაურა“ არისო, არ ვიცით, ვინ დაარქვა, რად დაარქვა, ან რას ნიშნავს ეგ სიტყვაო. ვერც ერთ ლექსიკონში მე ასეთი სიტყვა ვერ ვიპოვნე, და მას შემდეგ სულ ვფიქრობ, რა არის „გონჯაურა“...

„...იქნება „გონჯაურა“ — ახალ დასახლებას ნიშნავს?

ეს კაცი წამოდგა თუ არა, იმ დღესვე ისეთი გეგმები დააწყო, მეგონა, ყიზილყუმის უდაბნომ გააგიჟა. მერე ის მაგუან ტასანბაევს შეხვდა. მე არ ვიცი, რა ილაპარაკეს, მაგუანმა მარტო ის მითხრა, „აქამდე შენ ერთი შაითანი იყავი, ახლა ორნი ხართო!“. მაგუანმა ირმისელებს ყველაფერში დიდი დახმარება აღმოუჩინა, საშენი მასალაც მისცა და ამ ხალხმა ძალიან-ძალიან ჩქარა ააშენა ორმოცი ალიზის ქოხი, და მანამდე უკაცრიელ ტრამალში გაჩნდა დასახლება, რომელსაც ბავშვებმა „ყვავილოვანი“ დაარქვეს. ერთი ქუჩაა, ერთმანეთის პირისპირ ოც-ოცი სახლი დგას. მეც მომინდა ამ დასახლებაში ცხოვრება და აბაი-ბაზრის რაიკომის ძალიან-ძალიან კარგმა მდივანმა მომცა ამის ნება. ახლა მეც „ყვავილოვანში“ ვცხოვრობ. ამ ხალხს მეზობლობა უფრო მეტად სწამს, ვიდრე რომის პაპს სახარების უპირველესი პარაგრაფი, და ახლა ირმისელები ჩემი მეზობლები არიან.

მე ძალიან შემიყვარდა ირმისელები და მეტადრე პატარა ნატალი. ეს კაცი ავად რომ იყო, ნატალი ჩემი ასისტენტი იყო და მე დავინახე, რომ მის გულში ძალიან ბევრი სიკეთე და დიდი ნაღველია. მე მიყვარს მისი ბავშვური ენა და სიბრძნე. სიბრძნე ალბათ მემკვიდრეობით მიუღია თავისი დიდედა ნატალიასაგან. ის ნამდვილი ფილოზოფოსია და მე ძალიან პატივსვცემ მას. მე შემიყვარდა პატარა ნატალის ტყუპი ძმა — პაატა და ზურიკო. ისინი ცელქი და ცნობისმოყვარენი არიან, ყველგან ცხვირს ყოფენ, ისეთები არიან, როგორიც მე ვიყავი მაგათ ტოლობას. და კიდევ მე შემიყვარდა ამ ბავშვების დედა. ის ყოველთვის მუქი ფერის ტანსაცმელშია, მაღალი თეთრი ყელი აქვს და შავი ნაწნავები თავზე აქვს დახვეული, თითქოს ძალიან-ძალიან ძვირფასი გვირგვინი დაადგესო. როცა ის მოდის ყვავილოვანის ქუჩაზე, მე მგონია, რომ ის ბეატრიჩეა... და მე მიხარია, რომ ყაზახეთის ტრამალში გაჩნდა ეს დასახლება, და მე ვფიქრობ, რომ „გონჯაურა" ნიშნავს ახალ-ახალ დასახლებას ყველგან, ჩვენს პლანეტაზე...

„...იქნება „გონჯაურა" — წყალია?

ამ კაცმა თავისი ხალხით არხი გათხარა და დიდი სირ-დარია მოვიდა ყვავილოვანში. წყალი მოვიდა ახალდარგულ, შორიდან ჩამოტანილ ალვის ხეებთან, ქარსაფარი გაიზრდებაო. წყალი მოვიდა ორმოც სახლში და ბაღში, სადაც ჩემმა მეზობლებმა დარგეს ხეხილი, ბოსტნეული და მწვანილეული. როცა ირმისელები ბამბის პლანტაციაზე მუშაობენ, დალი და ოსიკო ოზბეთელაშვილი, პატარა ნატალი და სხვა ბავშვებიც რწყავენ ბაღებს და სიხარულით ასრულებენ თავის მოვალეობას. დალიც და ოსიკოც ძალიან კარგი ბავშვები არიან, ხშირად დადიან თავისი ბაბუა ივანიკას საფლავზე. ამ კაცმა ივანიკას საფლავზე ბროწეული დარგა და ის მალე-მალე იზრდება, იმიტომ რომ ამ კაცმა ბროწეულთანაც მიიყვანა წყალი. და მე ახლა ვფიქრობ, რომ „გონჯაურა" წყალია, ის სჭირდება ადამიანებსაც და ხეებსაც...

„...იქნება „გონჯაურა" — მიწაა?

მე მაგუან ტასანბაევს ვუთხარი: — შენ მოგვეცი ერთი დამტვრეული ტრაქტორი, ჩვენ კი ორი კარგი ტრაქტორი გვინდა.

მაგუანი, როგორც ყოველთვის, ბურთივით ახტა-დახტა:

— საიდან მოგცე მე ორი კარგი ტრაქტორი? მე ტრაქტორების ქარხანა მაქვს, თუ რა?

— რატომ ყვირი, მაგუან? კომუნისტები ამბობენ, „დეპუტატი ხალხის მსახურია". შენ წადი მთავრობასთან და თქვი, „მე ხალხის სამსახურისთვის ორი კარგი ტრაქტორი მჭირდება!"

— იოი! — ისევ დაიყვირა მაგუანმა. — არ შეიძლება სულ იძახოთ: ეს მოგვეცი, ის მოგვეცი! თქვენ, ორი შაითანის გულისთვის მე პარტიულ ბილეთს დავკარგავ!

— ნუ ყვირი, მაგუან! — ისევ მშვიდად ვუთხარი მე, — რა არის პარტიული ბილეთი? ვალდებულება. ბევრი-ბევრი ვალდებულება. როცა შენ ეგ ბილეთი მიიღე, შენ აიღე ვალდებულება, გააკეთო ბევრი-ბევრი კარგი საქმე, და შენ ახლა ისეთ კარგ საქმეს აკეთებ, რომ მეორე ბილეთიც უნდა მოგცენ!

— იოი! — ისე დაიყვირა მაგუანმა, თითქოს მე თოფი დავუმიზნე.

— ნუ ყვირი! — კიდევ ვეუბნები მე, — აბა დაფიქრდი, შენ დანგრეული ტრაქტორით გახდი სოციალისტური შრომის გმირი? არა. კარგ ბრძოლას და კარგ შრომას კარგი იარაღი სჭირდება, არ იცი?

მაგუანმა თმებში იტაცა ხელი (ხოლოთ მაგუანს ძალიან ცოტა თმები აქვს) და გამექცა.

ვფიცავ ღმერთებს, კარგი ადამიანი კარგი საქმის გამარჯვებაა! ყვავილოვანში ორი ტრაქტორი მოვიდა, შაგრამ... ამ კარგი საქმისგან მე ტვინი მტკივა ძალიან... რა თქმა უნდა, ღვთიური სინკლიტი ოლიმპიდან აიყრებოდა, როცა ადამიანმა ტრაქტორი მოიგონა! დღეც და ღამეც ჩვენს დასახლებაში არ წყდება ტრახ-ტრახ-ტარარახ! ლეონ რჩეულიშვილი მაღალი კლასის ტრაქტორისტია და მე მიხარია, რომ ლიზამ მას პატარა გოგონა აჩუქა. მას ირმისიდან გამოუგზავნეს სახელი „ია", და მე ძალიან მომწონს ეგ სახელი, იმიტომ რომ ამ პატარა ქალბატონს პარმის იასავით ლურჯი-ლურჯი თვალები აქვს.

გუშინ ლეონ და მისი მეწყვილე, ყაზახი ისათაი დაიღალნენ, და ალექსიმ მითხრა:

— კოსტა, შენი „მერსედესები", „ბიუკები", „ფორდები", „ოპელები" — სისულელეა, მოდი, ტრაქტორზე შემეჯიბრე, ვნახო, ვინ უფრო ყოჩაღიაო.

მე დავჯექი ტრაქტორის საჭესთან და ვფიცავ ღმერთებს, ძალიან-ძალიან მიხარია, რომ ვაჯობე ამ კაცს!

როცა ხვნა გათავდა და გუთანი წაიღეს, მე ვიფიქრე, ახლა კი დავისვენებდით, მაგრამ ამ კაცმა ტრაქტორებს კულტივატორები გამოაბა და ისევ დაიწყო: ტრახ-ტრახ-ტარარახ!.. მაგრამ კულტივატორებმაც რომ გააკეთეს თავისი საქმე, მე დავინახე, რომ დავარცხნილი, შავი, მბზინავი მიწა — ირმისელი ბეატრიჩეს გაშლილი თმებივით იყო...

ტრაქტორები რომ წავიდნენ, ამ კაცმა თქვა:

— დაისვენოს მიწამ, ჩვენ კი ბამბის საკრეფად წავალთ.

მე დავყურებდი ლამაზ, არომატულ შავმიწას და ვფიქრობდი, ალბათ „გონჯაურა" — მიწაა, რომელზეც ვენახები ხარობენ...

„...ერთხელ მე ვიჯექი თივის ზვინზე და ბეატრიჩეზე ვფიქრობდი. ამ დროს ის კაცი მოვიდა ოფლიანი, ტალახიანი, ერთ ხელში წერაქვი ეჭირა, მეორე ხელით თოხი გაედო მხარზე, და მე უცებ ვიფიქრე, რომ „გონჯაურა" ნიშნავს პროზას, უბრალო, რეალისტურ პროზას, ის კი მოვიდა ჩემთან ახლო და მითხრა:

— კოსტა, გაიხედე, ხედავ, მთების ტეხილი ხაზი ცასა სწვდება! უყურე, ხედავ, ჩაუქრობელი ცეცხლივით ანთია თეთრი ტაძარი ალავერდი!

მე ვიცოდი, რომ ირგვლივ, შორეულ ჰორიზონტებამდე ტრამალების მეტი არაფერია, მაგრამ მას ისეთი სახე და თვალები ჰქონდა, რომ მე დავიჯერე, დავინახე ყველაფერი, რასაც ის მაჩვენებდა... მაშინ ვიფიქრე, რომ „გონჯაურა" ძალიან-ძალიან მაღალი პოეზია ყოფილა. და მე მინდოდა მეთქვა მისთვის ძალიან-ძალიან თბილი სიტყვები, მაგრამ მან მოიხედა ჩემსკენ და მითხრა:

— კოსტა, თუ ძმა ხარ, მიეხმარე გოგო-ბიჭებს, ირმისში პეპლების გაგზავნა უნდათ!

და ღმერთებო, რა გგონიათ თქვენ? მე მაგჟანის ჯორცხენასავით დავკუნტრუშობდი ველზე, დავდევდი პეპლებს, მერე ის პეპლები დავაკარით დაფებზე, დაფები ჩავალაგეთ ყუთში, მე ის ყუთები წავიღე აბაი-ბაზრის ფოსტაში, ფოსტის ქალბატონს შევეხვეწე, რომ ყუთებს დააწეროს „ფრთხილად", იმიტომ, რომ ის ყუთები იგზავნება ირმისის სკოლაში, რომელშიც სწავლობს სანდრა, ალექსი რჩეულიშვილის ბიჭი.

ფოსტის ქალბატონმა ყველაფერი გამიკეთა და მე წამოვედი ძალიან-ძალიან ჩაფიქრებული, იმიტომ რომ მე ისევ არ ვიცი, რა არის „გონჯაურა...“

„...ერთხელ იმ კაცმა მითხრა:

— კოსტა, პირველი სექტემბერი მოდის. ბავშვებმა როგორ უნდა იარონ სკოლაში?

მე საიდან ვიცი, როგორ ივლიან ბავშვები სკოლაში. სკოლა ბამბის მეურნეობაშია, ყვავილოვანიდან 12 კილომეტრზე. იმ სკოლაში მუშაობენ ჩემი მეგობრები „პლატონ-მასწა“ და „მასწა-ლინა“. პლატონი ცხოვრობდა პარიზში და ირმისი ენატრებოდა. „მასწა-ლინა“ პარიზელი ქალბატონია, მას ირმისელი კაცი შეუყვარდა. მერე შეუყვარდა ირმისი, ირმისელები, სკოლა და კლასები, რომელშიც ის ფრანგულ ენას და ხატვას ასწავლიდა. ქალბატონი „მასწა-ლინა“ ოპტიმისტია. მუშაობს ყაზახეთში, ბამბის მეურნეობის სკოლაში და ბედნიერია, რომ თავის პლატონთან ერთად არის. ვივა, მასწა-ლინა!..

მე შევედი მეურნეობის დირექტორის კაბინეტში და ჩვენ ასეთი დიალოგი გვქონდა:

— საღამო მშვიდობისა, მაგჟან, გისურვებ ბამბისთვის ხელსაყრელ ამინდს!

— რა გინდა, კოსტა, სიცოცხლეს რად მიშხამავ?

— ჩემი პროფესია მკურნალობაა და არა ხალხის მოშხამვა.

მაგჟანი ადგა და ძალიან ზრდილობიანად მითხრა:

— სამწუხაროდ, მე დრო არა მაქვს შენთან სასიამოვნო საუბრისათვის, ემტეესში მელოდებიან.

— სწორედ ეგ უნდა მეთქვა, ემტეესში სიურპრიზი გელოდება.

მაგჟანი უცებ უსურიის ვეფხვი ვახდა.

— სავსე ვარ შენი სიურპრიზებით, მეყო, დამანებე თავი!

მაგჟანს უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ მე წინდაწინვე ჩავიჭირე მისი ხალათის კალთა.

— იოი... — საცოდავად თქვა მაგჟანმა, — რა გინდა, თქვი, ჩქარა, თქვი!

— შენგან სულ-სულ არაფერი არ მინდა, ხოლოთ დამიგდე ყური: ირმისელები პლანტაციებზე ძალიან კარგად მუშაობენ,

ხომ? მერე ისინი არ ისვენებენ, მუშაობას განაგრძობენ ყვავილოვანში, ხომ? მერეც არ ისვენებენ და მუშაობენ ემტეესის ეზოში — ეს შენ არ იცი. გადაგდებული, გადაყრილი ნაწილებიდან შენთვის ააწყეს „გაზიკი", საღებავიც იყიდეს და ახალთ-ახალი მანქანა მზად არის. და საბჭოთა ქვეყანაში არის მესანიშნავი კანონი — ყველა ბავშვმა უნდა ისწავლოსო. ყვავილოვანში რომ ცხოვრობენ, იმ ბავშვებმა არ უნდა ისწავლონ, როგორა ფიქრობ?

— ისწავლონ, ჩვენ კარგი სკოლა გვაქვს.

— ჰოო? მე ვიცი, სკოლა კარგია და შენ კანონს არ დაარღვევ, მაგრამ მითხარი, როგორ უნდა იარონ ყვავილოვანიდან იმ შენ კარგ სკოლაში?

— შენ რა მოიფიქრე? — დაიკვნესა მაგჟანმა.

— აი ეს ძალიან-ძალიან სწორი შეკითხვაა! პასუხიც სწორია: სკოლა-დასასლება, დასასლება-სკოლა, სატვირთო მანქანის ორი რეისი. მეც იმათთან ვივლი და შენთვის ეკონომიაც იქნება.

— არა მაქვს სატვირთო მანქანა! „გაზიკი" გაუკეთებიათ და იარონ!

— მეც და ისინიც — „გაზიკში" ვერ ჩავეტევით, დირექტორისთვის ვაკეთებულ პატარა, ლამაზ მანქანაში ვერ ჩავეტევით. ბავშვები ვერ ივლიან სკოლაში და შენი სალიმა იფიქრებს, რომ მეურნეობაში ბევრი სატვირთო მანქანებია, ოღონდ დირექტორს ბავშვები არ უყვარს და არ უნდა, რომ სალიმას ირმისელმა ამხანაგებმა სკოლაში იარონ!

მაგჟანს გაგიჟებით უყვარს თავისი მეხუთე გოგო. სალიმას ხსენებაზე თვალები მილულა, მერე თმებში იტაცა სელი და კაბინეტიდან გავარდა.

პირველ სექტემბერს ყვავილოვანში სატვირთო მანქანა მოვიდა. თავზე ჩარდახი აქვს გაკეთებული და შიგნით — გრძელი სკამებია.

მთელი დასასლება აცილებს ბავშვებს სკოლაში. მეც მივდივარ მათთან ერთად. მხიარულად მივდივართ. გზაში ბავშვები მეკითხებიან:

— ძია კოსტა, მანქანა ვინ მოგვცა?

მე არ ვიცი. მაგჟანმა? კოსტა ილეტაქსამ? არა. „გონჯაურამ".

„...ახლა კი მე ვიცი, რა არის „გონჯაურა".

შაბათ საღამოს დავბრუნდი შინ, ვოცნებობდი ძილზე და და-

სვენებაზე, მაგრამ ვიცოდი, რომ დილაზე ირმისელები მთავარ საქმეს უნდა შესდგომოდნენ, და ვერ დამეძინა. კარგად გათენებული არ იყო, გარეთ რომ გამოვედი.

დამუშავებული მიწა განაწილებულია ექვსი ბრიგადის შორის. ყოველ ბრიგადაში ირმისელებიც და ყაზახებიც არიან. მიწაზე დახაზულია მეტრიანი კვადრატები და ხაზების გადაკვეთაზე ამოთხრილია პატარ-პატარა ორმოები. ქალები დადიან კალათებით და ყოველ ორმოსთან სტოვებენ თითო ნერგს. კაცები ნერგს შვეულად სდებენ ორმოში, ძირში ნამიან მიწას მაგრად უტკეპნიან და ზემოდან უფრო ფხვიერ მიწას აყრიან. ალექსი უვლის, უვლის, უვლის ორმოებს და მეც ფეხდაფეხ დავდევ. ის ყაზახებს ასწავლის ვაზის ჩაყრას და მეც ვსწავლობ ვენახის გაშენებას.

სამოცი ათასი ძირი საფერავი, კაბერნე და ბაიან-შირეი ჩაყარეს. ყვავილოვანში მაგჟანი მოვიდა. ხალხმა ქუჩაში დიდი ცეცხლი დაანთო. ქალბატონმა ნატალიმ ჭერმით და შემწვარი ცხვრით ფლავი გააკეთა. ქალებმა მიწაზე დიდი-დიდი სუფრა გაშალეს. როცა ყველანი დასხდნენ, ალექსიმ ფიალა ასწია და თქვა:

— ქვეყანას კარგი ხალხი აშენებს და ეს ქვეყანა სავსეა კარგი, კეთილი ხალხით. სიცოცხლე, სიხარული და გამარჯვება ქვეყნად სიკეთის მთესველ ადამიანებს!

ყველამ სიხარულით დალია ეს სადღეგრძელო და მერე ალექსიმ განაგრძო:

— მაგჟან, შენ იქნება შენი მდგომარეობა გიშლის ხმამაღლა გვიწოდო „მეგობრები", მაგრამ იცოდე, ჩვენ, ირმისელები — შენი და ყაზახი-მევენახეების ერთგული მეგობრები ვართ და ვიქნებით მარადჟამს. და იცოდე, თუ ამ ვაზმა არ გაიხარა, ჩვენი ქვეყანა დიდია, უფრო შორს, სადმე ყინულოვან კუნძულზე გადამაგდე...

მაგჟანმა სიტყვა გააწყვეტინა:

— ჩემო ძმავ და მეგობარო ალექსი, ამ ვაზმა თუ ვერ იხარა, ყველაზე ძალიან შენ იდარდებ, და თუ კაცს დარდი აქვს, იმისთვის ყველგან ყინულოვანი კუნძულია!

ო, ღმერთებო, პეპერო, უსაქმურო ღმერთებო, დაცალეთ ოლიმპი, გზა მიეცით ჩემ მეგობრებს, გზა!..

მე ეს გავიფიქრე და ირმისელებმა სიმღერა დაიწყეს. ისინი მღეროდნენ და მე მეგონა, რომ მე ათონის სობოროში ალდგომის

ლიტურგიაზე ვარ და ორგანო ძლიერად ეღერს: „ისმინე, ისმინე, კოსტა ილეტაქსა, „გონჯაურა" არის ვენახი, ბევრი-ბევრი ვენახი!.."

აქ მთავრდებოდა ილეტაქსას ჩანაწერები. „ბოლოსიტყვაობაში" ეწერა:

„ჩემო ძვირფასო მეგობარო-ქალბატონო ხატულა! რაც თქვენ იკითხეთ, ეს ფურცლები მე ძალიან წინათ დავწერე, ახლა კი, მაპატიეთ, სუმთლათ არა ვფიქრობ ასე. ეხლა მე ვიცი, რომ თქვენი მეუღლე არი ნამდვილი, ნატურალური, ცივი ქვა. ის ძალიან-ძალიან შვიდათ ამობს: „დაიცა, კოსტა, დაიცა!" ქვა არი და ამის გამოთ არ გაიგებს: თუ დოდაშვილები ირმისში წავა, მე როგორ უნდა დარჩე აქ მარტოკა? მე მოკდომის შიში სუმთლათ არა ბაქს, მაგრამ როგო უნდა დაკარგო პატარა ნატალი და დიდიც ნატალი, ცელქი ტყუპა პატიკო-ზურიკო და ჩემი ბეატრიჩე? თუ ადამიანი მარტო დარჩეს, ეს მოკდომაზე მეტათ-მეტათ ცუდი არი. მე არ შევიძლებ მარტო დარჩე, მე ამის ძალიან-ძალიან შიში მაქს. ალექსის არ უნდა, კოსტას ქონდეს დიდი ოჯახი, არ გაიგო, რო ჩემი ბრალი სუმთლათ არ არი, თუ ბერძენი ადამიანი პლანეტის შორ წერტილში შეხვდა ადამიანს საქართველოდან იმისათვის, რო მოკდომამდე ერთად იყონ. ალექსიმ ეს არ გაიგო, იმის გამოთ, რომ არის ნამდვილი ცივი ქვა და მე ძალიან-ძალიან გთხოვთ, ჩემო დაუ-სწრე-ბელო მეგობარო ხატულა, უთხარით თქვენ მეუღლეს ჩემი აზრი.

მიიღეთ ბევრი-ბევრი კეთილი სურვილი თქვენთვინ და პატარა სანდრასთვინ, თქვენი მორჩილი მონა კ. ილეტაქსასაგან".

ხატულამ ფურცლები გადადო და უცხოსავით შეათვალიერა ოთახი. ო, რა შორს იყო აქედან ის გარემო და ის ცხოვრება, რომელსაც ახლახან მთელი არსებით ეზიარა! მწვავე სინანულით გათანგული ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს მიაჩერდა.

„რა შორიშორ და რა ახლო არიან ერთმანეთთან ბედი და უბედობა. ისინი ხვდებიან იქ, სადაც მათი შეხვედრა თითქოს წარმოუდგენელია. ელიზბარის ფრონტზე წასვლის დღიდან გაუცინარი, გულჩათხრობილი ოლიკო, დასჯილი და სასოწარკვეთილი იქ, იმ დასაკარგავში შეხვდა ქვეყნიერებამოვლილ საოცარ

კაცს!.. ალექსი, ნუთუ მართლა ვერ გრძნობ, როგორ ეშინია კოსტა ილეტაქსას სიმარტოვის? არა, ნუ გაიმეტებ მაგ შესანიშნავ ადამიანს სიმარტოვისთვის, შენ არ იცი, ეგ რა საშინელებაა? მე ვნახე სიმარტოვით დასჯილი ადამიანი და მართლაც, ეგ სიკვდილზე უარესი ყოფილა...“

ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლს უცებ რამაზ მელითაურის სახე აეფარა — თაბაშირის ნიღაბივით უსიცოცხლო, სიკვდილის ნატვრის მსგავსი. ოთახში თითქოს გამკრავი ქარი შემოიჭრა.

ხატულამ შალი მოიხურა და ცეცხლს შეშა მიუმარჯვა.

„კოსტა, ჩემო კარგო, მართლაც საოცარი „და-უს-წრებელი“ მეგობარი, გთხოვ, გეხვეწები, არ შეუშვა შენს გულში სიმარტოვე, არ შეუშვა, თუნდ შენს კერასთან არასდროს არ იჯდეს შენთვის სასურველი ქალი. ღმერთმა დაგიფაროს სიმარტოვისაგან, ეგ ყველაზე მძიმე წყევლა ყოფილა... ალექსი კი არასდროს არ იგრძნობს მარტოობას. მშობლიურ კერას მოწყვეტილმა, უფლებაწართმეულმა, უდაბნოს მრისხანებას სასწაულით გადარჩენილმა მაინც შესძლო, უკაცრიელ ტრამალებში „ყვავილოვანი“ გააშენა, ხალხით დაასახლა, იმ ხალხს მისცა მიწა, წყალი, სინათლე, საყვარელი საქმე. კოსტა, შენ ეს ყველაფერი შენი თვალით ნახე და ისე შესანიშნავად აღწერ ყველაფერს, თითქოს მართლაც მიხვდი, რა არის „გონჯაურა“, მაგრამ... მაგრამ შენ არ იცი მთავარი: თქვენისთანა კეთილ ადამიანებს რომც არ შეხვედროდა და ვერაფერი გაეკეთებინა, დილიდან დაღამებამდე მხოლოდ ბამბა ეკრიფა, დღე და ღამე მაგ საძაგელი კომენდანტის შემყურე ყოფილიყო, სულერთია, ალექსი მაინც არ იქნებოდა მარტო. მის გულში მაინც აშენდებოდა ყვავილოვანი, დასახლდებოდა ხალხით, იმ ხალხს ექნებოდა მიწა, წყალი, სინათლე, საყვარელი საქმე, გაიზრდებოდა ვენახი, ექნებოდა რთველი და მოწყურებულს მიაწვდიდა მზით დამტკბარ წვენს... იმიტომ რომ, მის სულში ცოცხლობს და მოქმედებს ოცნება, ოცნება იცოცხლებს და იმოქმედებს მის სულში, ვიდრე ის ცოცხლობს, სუნთქავს, ფიქრობს. ამიტომ ის არასდროს არ იქნება მარტო, და არ გაგიკვირდეს, კოსტა, მე ეს მავსებს სევდით... ალექსი!.. არ გესმის? მე მინდა, შენ მწვავედ იგრძნო მარტოობა, როცა მე არა ვარ შენთან, მინდა, რომ დამიძახო, და მე დავძლიო ყველა დაბრკოლება, შენთან გა-

ვჩნდე. მაგრამ... შენ მიბრძანებ აქ ვიყო და მე უხმოდ გემორჩილები...“

თვალებზე ცრემლმომდგარ ხატულას მოეჩვენა, რომ თეთრი ნიღაბი ცეცხლში არ იწვოდა. მცხუნვარედ მოელვარე ალი თეთრ სახეზე რაღაც შტრიხებით ამუქებდა სიკვდილის ნატვრას. ხატულა მოერია გამკენწლავ სიბრალულს და თვალი მოსწყვიტა ცეცხლს.

„როდემდე უნდა ვიჯდე ამ ბუსართან მარტო? რას ვყარაულობ? რამ გააგიჟათ, რა მოხდა? რას შველის ამდენი განცხადებების წერა? არსაიდან არც პასუხია, არც შედეგი, სულ ერთია დღეს არა, ხვალ მაინც ამოძირკვავენ ვაზს, ჩემი აქ ყოფნა რას უშველის? რატომ არ უნდა ვიყო მეც იქ, ყვავილოვანში? ჰო, მეც იქ უნდა ვიყო!“

ხატულა ადგა და ისეთი აჩქარებით შევიდა სანდრას ოთახში, თითქოს ბიჭი უნდა გააღვიძოს, ახლავე მოემზადოს წასასვლელათო. ბავშვის მშვიდმა სუნთქვამ საწოლთან შეაჩერა, ერთბაშად დაუმშვიდა აფრთხიალებული გული. სძინავს სანდრას და ბალიშქვიშიდან მოჩანს ნათუკას დღიური. წინათ სანდრა ფარიკაობით იყო გატაცებული, ნათუკა — თოჯინებით. ახლა სანდრას მამა ენატრება, ნათუკას კი — ირმისი. ფარიკაობას და თოჯინებს დღიურის წერა ურჩევნიათ, უნდათ დაწვრილებით იცოდნენ ერთმანეთის ამბავი... სძინავს ბიჭს. რა საოცრად იმსგავსა ალექსის ხასიათი და თვისებები. კერპი. ჯიუტი. და მეოცნებე... მამა, ისე ენატრება, რომ ძილშიც არ უქრება ეს სასაცილო ნაოჭი წარბებშუა, მაგრამ კრინტს დავძრავ თუ არა ყაზახეთში წასვლაზე, ყვირის: „რას ამბობ, დედი, შენ გინდა ჩვენ ერთად ვიყოთ, კარგად ვიყოთ, და ვაზი? რას იტყვის მამა? აქ რომ წამოსულხართ, იქ ვენახებს ვიღა დაიცავსო?!“

— დამცველი... — გაეცინა ხატულას, დაისარა და ბიჭის გაშიშვლებულ ქუსლს აკოცა. სანდრამ ძილში შუბლი შეჭმუხნა და ფეხი საბანქვეშ შემალა.

ხატულა ნელა გამოტრიალდა, ისევ ბუსართან დაჯდა.

თეთრი ნიღაბი ცეცხლში უცნაურად იცრიცებოდა. თითქოს ცოცხალი სახე იწვოდა. თითქოს ტკივილმა თვალები აახელინა, ტუჩები დაუკლაკნა, დააკვნესა...

ხატულამ თავისი კვნესა გაიგონა. ქარცახი ჩაჰკრა დანაკეერჩხლებულ შეშებს და უაზროდ გააყოლა თვალი საკვამურისაკენ კონა-კონად აშლილ ნაპერწკლებს...

თავი მეოთხე

ზამთარი რომ მიილევა, სოფლად დღეები ძვირფასი სამკაულებით დატვირთული ქარავანივით მიჰყვებიან ერთიმეორეს. ყოველთვის ასეა. მაგრამ იმ გაზაფხულის პირველი თვე — სტალინის გარდაცვალების თვე იყო და დღეთა ქარავანს თითქოს გზა აერიაო.

— მზე დაგვიბნელდა!

— ცა ჩამოგვენგრა!

ბორგავდა ხალხი, ერთმანეთს აწყდებოდა ნაცნობ-უცნობი, გაზეთებს იტაცებდნენ, რადიომიმღებებს შესწებებოდნენ, სუნთქვაშეკრული ისმენდნენ, კითხულობდნენ, გაფაციცებით ადევნებდნენ თვალყურს, რა ხდებოდა მოსკოვის სვეტებიან დარბაზში, სადაც მიცვალებული ესვენა.

— მერე რა იქნება? — ჰაერში ხმაურობდა კითხვა.

მერე ცხრა მარტი იყო — მისი უკანასკნელი გზის დასასრული. მსოფლიო უსმენდა მოსკოვის რადიომაუწყებელს, სამგლოვიარო პროცესიას რომ მიუძღოდა და დეტალურად აღწერდა ჭეშმარიტად გაუგონარი და არნახული მსვლელობის ყოველ ნაბიჯს, ყოველ წამს.

უკლებლივ ყველა გაზეთი საბჭოთა კავშირში, უთვალავი გაზეთი მის ფარგლებს იქით დაწვრილებით ბეჭდავდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს იმ დღის, იმ უკანასკნელი გზის შესახებ. და საბჭოეთის მემატიანე — გაზეთი „პრავდა“ აკადემიური დიდებულებით, საისტორიოდ აღბეჭდავდა თავის ფურცლებზე იმ დღის უმწუხარეს საათებს:

„...10 საათსა და 05 წუთზე, — იტყობინებოდა „პრავდა“, — ამხანაგებმა მალენკოვმა, ბერიამ, მოლოტოვმა, ვოროშილოვმა, ხრუშჩოვმა, მიკოიანმა, ბულგანინმა, კაგანოვიჩმა ფრთხილად ასწიეს კუბო და ნელა გამოიტანეს სვეტებიანი დარბაზიდან...

„...10 საათსა და 45 წუთზე სამგლოვიარო კორტეჟი წითელ მო-

ედანზე, მავზოლეუმთან მივიდა და მოედანზე დაიხარა უჭკნობი დიდებით მოსილი უთვალავი საბრძოლო დროშები...

„...10 საათსა და 52 წუთზე, — განაგრძობდა საბჭოთა ქვეყნის მატიანე, — დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვმა გახსნა „ლენინის თანამებრძოლის და მისი საქმის გენიალური გამგრძელებლის, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ყველა დროის და ყველა ხალხის უდიდესი მხედართმთავრის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის, მსოფლიო პროლეტარიატის ბრძენი ბელადის, მამის და მასწავლებლისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი...

„...და ფიცივით ჟღერდნენ, — განაგრძობდა მატიანე, — ხელმძღვანელთა კლდესავით უტეხი სიტყვები, მღაღადებელნი იმისა, რომ „კაცობრიობის უდიდესი გენიოსის, მშვიდობის დიდი მედროშის, მსოფლიოს მშრომელთა ყველაზე ახლობელი და საყვარელი ადამიანის ხსოვნა, სახელი და საქმე უკვდავია, რომ ის მარად იცოცხლებს ხალხის გულში და მარად იქნება კომუნიზმის მშენებელთა ეედროშე...

„...11 საათსა და 38 წუთზე ამხანაგებმა მალენკოვმა, ბერიამ, მოლოტოვმა, ვოროშილოვმა, ხრუშჩოვმა, მიქოიანმა, ბულგანინმა, კაგანოვიჩმა კუბო შეიტანეს მავზოლეუმში, რომლის თავზე ამოკვეთილია ორი უსაზღვროდ ძვირფასი, უკვდავი სახელი:

ᲚᲔᲜᲘᲜᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

სამშობლო გამოეთხოვა ბელადს, მამას და მასწავლებელს...“

აი, გადაიგვირგვინეს სამგლოვიარო ზალპებმა და სალუტებმა ჩაჩუმდნენ გლოვის საყვირები. დადუმდნენ ჭირისუფლები.

და ყოველთვის ასეა:

იყო კაცი და აღარ არის.

ის აღარ არის, სხვა არის.

ზოგი წასულს მისტირის, ზოგი მის შემცვლელს ეგებება.

ზოგი მოზარეც არის და მოზეიმეც.

ზოგი არც გლოვობს, არც ზეიმობს.

გაზაფხული კი აინუნშიც არ აგდებდა ადამიანთა დაუოკებელ ვნებებს. ის თავისას მოითხოვდა — სოფელს დროულად და სრუ-

ლად უნდა მიეძღვნა მისთვის სარკი. და დღეთა ქარავანმა სძლია უეზოობას. ცხოვრება ჩადგა კალაპოტში და აჩქარდნენ ირმისელები — პირნათლად უნდა მოიხადონ გაზაფხულთან თავისი ვალი, შრომობენ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე.

მაგრამ ზოგი...

— მელითაურო! — დასჭყივლა სარდიონ მაღალაშვილმა რამაზს, და ღვინით სავსე ჭიქა ჭიქას მიუჯახუნა. — დარდს ნუ ეშმევინები, შენ ნამეტანს გლოვობ, ჩემო ძმაო!

— სამელოვიარო მაქვს და ვგლოვობ, — ღრჯუდ ჩაილაპარაკა რამაზმა და ხელი აიქნია, შეეცადა თვალიდან მოეცილებინა ხატულას და სანდრას სახეები.

— ვინც სად არი, იქ გაუმარჯოს! — ჭიქა გამოცალა სარდიონმა, გამეტებით იკრა მჯიხი მკერდში, კართან მივიდა და დაუსტვინა:

— ჰეი, ბიჭო!

„ჰეი, ბიჭო", — მორიგე მილიციელია, ორმოცდაათს მიტანებული კაცი. იცის, რას ნიშნავს უფროსის დასტვენა, და მყისვე შემოაქვს კაბინეტში ორივე ხელის თითებშუა ჩაჭერილი სავსე ბოთლები. მარჯვედ შეცვალა დაცლილი ბოთლები და შემდეგი ბრძანების მოლოდინში, გაიჭიმა. იცის, რასაც უბრძანებს უფროსი — უკვე მერამდენედ ვამოცალა განსვენებულის სულის მოსახსენიებელი და ვალმოხდილი გავიდა.

მაღალაშვილს რამაზის დათრობა განუზრახავს, ამიტომ თვითონ შიგადაშიგ იპარავს ღვინოს, მაგრამ მაინც ძალზე მთვრალია. რამაზი კი ზედმეტსაც სვამს, დათრობა უნდა, მაგრამ ღვინო არ ეკიდება, ვერ უმსუბუქებს ნაღველს, ვერ უვსებს მარტოობას. შეზარდა მაღალაშვილის ქმენაც, უწმაწური ბლუუნიც, უთავბოლო წუწუნიც და წამოდგა.

— ე-ე, არ გაგიშვებ ესეც დაცლაზეა, ეს ჩვენ დიდ სამშობლოს გაუმარჯოს! ჩვენი ქვეყნის ახალ მთავრობას გაუმარჯოს! ჩვენ მამაპაპეულ მიწას გაუმარჯოს! ჰა, რატომ არა სცლი? დალიე-მეთქი!

— შენ გიცდი, დალიე, არ მოიპარო!

— გიჟი ხო არა ხარ, რა უნდა მოვიპარო? ამისთანა სადღეგრძელოსთვის თუნდა სავსე ქვევრს დავცლი!

მაღალაშვილმა ღვინო გადაჰკრა და გაოგნებულმა მიიხედ-მოიხედა, ცდილობდა გაეხსენებინა, რისთვის მოიპატიჟა მელითაუ-

რი, რისთვის ცდილობდა მის დათრობას, რაზე წუწუნებდა. თავს ძალა დაატანა და, როგორც იქნა, გაახსენდა. ძლივსძლივობით ასწია დამძიმებული სხეული, ბარბაცით მივიდა სეიფთან, პატარა, წაგრძელებული ქაღალდების დასტა გამოიღო და ენის ბორძიკით, სლოკინ-სლოკინით, თვალებგადმოკარკლული ისევ აწუწუნდა:

წელანაც გითხარი, ყურს არ მიგდებ, ეს ქაღალდები გამაგიჟებენ-მეთქი! ლამის ჭლექი გამიჩნდეს, ამის რჯულიც არ იყოს, ყრია აქ, ხო ხედავ, ჩაყვითლდა. ერთი მითხარი, რა თავში ვიხლი, რად მინდა? სეიფის ყოველ გახსნაზე, გული ყბას გააღებს ხოლმე!..

მელითაურმა უცებვე იცნო ქაღალდები. ომის დროს ამისთანები ბევრი უნახავს ატირებულ ოჯახებში. მაღალაშვილს რად უნდოდა, მის სეიფში რატომ ყვითლდებოდნენ ფრონტიდან მოსული უწყებები?

რამაზი ისევ დაჯდა და ჭიქა შეუვსო სარდიონს.

— აბა, დავლიოთ, ესეც დაცლაზეა! ეს ჩვენი გულის ვარდს, ჩვენ საყვარელ პროკოფინა ილარიონიჩს გაუმარჯოს, დალიე!

— დავლევ, რო ეგ შენი პრომკა მალე ჩაძაღლდეს! მაგისი ბრალია, მაგისი... ეს ქაღალდები... ეს ქაღალდები, იცი როდინდელია? ორმოცდა ორი წლიდანაა, მე რო რაიონის სამხედრო კომისარი ვიყავი, მაშინდელებია...

გაფითრებული რამაზი სიტყვას არ აწყვეტინებდა, ღვინოს უმარჯვებდა.

— ჰო, იმის ჩაძაღლებისას დავლევ-მეთქი! თუ გინდა მიუტანე ამბავი, ფეხებზე მკიდია. მე თუ ჩავვარდი, არც მაგას დაადგება კაი დღე. ბევრიაო, სოფელში პანიკა ატყდებაო, ვეღარ იმუშავებენო, სახელმწიფოსთვისაც ზარალია ამდენი პენსიის გაცემაო, შეინახე და მერეო. მერე მე ამ ოხრადდასარჩენი სეიფის გასაღები დამეკარგა, მერე ათასი სადავიდარაბო საქმე არ დაილია და ესენი დამავიწყდა!..

მელითაურს შეაჟრჟოლა. დასტას თვალს ვერ აშორებდა.

— ჰოდა, შენ თითონა თქვი, მერე რაღა დროსი იყო?! — წყენით გადმოაბრუნა მაღალაშვილმა სქელი, ჩალურჯებული ტუჩი.

— მაშ, ამათმა ახლობლებმა როგორ გაიგეს თავისიანების ამბავი? თუ... თუ არ იციან?

— ახლობლებმა? ყაზახეთში ელოდებიან ამბავს! ელოდონ ბებრის ყვავილობამდე! ეი, ეი, ჭიქების დამტვრევა დაიწყე? ჰი, ხო

დაგათვრე, საცა შენი დაიკვეხო, ჩემიც იქა თქვი!.. რაფოც, რაფიელა ბრეგაძეც, — უარესად აზლუქუნდა უცებ მაღალაშვილი, — ნეხვის გოდორი! სარმა უნდა გამომდოს, თავისი ქვისლისთვის უნდა ჩემი ადგილი. იმდღეს მეუბნება, რაღაცა ქაღალდები უნდა იყოს შენთანაო. აი იმას, აი, აი! — ორ თითშუა ცერი ჩაკეცა და ჰაერში შეატრიალა სარდიონმა.

რამაზი თვალდახუჭული მიეგდო სკამის საზურგეს. „ოჰ, რა ბოროტები არიან ეს ნაძირალები! ვინ აძლევს, რად აძლევენ ამათ შეუზღუდავ უფლებებს? სათარეშოდ რადა აქვთ გამხდარი დარიანის რაიონი? ამაზე ფიქრი ჭკუიდან შეგშლის. თავი მისკდება. ოჰ, როგორ მეზარება თვალის გახელა... ამის სიფათი მზარავს..."

— შენ არხეინად დაბრძანდები, — განაგრძობდა ზლუქუნს მაღალაშვილი, — ოჯახი შენ არ გაწუხებს, შვილი და ძირი. მე მკითხე! მთელი ოლქა მაწევს კისერზე, რამდენი უფროსი უნდა დავაპურო, მაშ როგორა? ჰოდა, ადვილი გგონია?.. ის ბებრუხანა ფოსტალიონიც აღარ ჩაძაღლდა, საკუთარ ხელში ჩამაბარა ეს უწყებები. ჩაძაღლებულიყო, იმის საფლავზე ავანთებდი ამ ქაღალდებს!

„დასწვავს, გააქრობს ამ ქაღალდებს და მერე ვინღა მოიცლის ძველი უწყებების საძებრად? აქამდეც გააქრობდა, მაგრამ იმ გულღვარძლსაც სცოდნია, ბრეგაძესაც აუღია სუნი... მე მაინც რისთვის გამენდო ეს არამზადა?.."

— მერედა, ჩემგან რა გინდა? — თავს ძალა დაატანა, თვალები გაახილა და ჰკითხა უხეშად.

— შენ ქვეყანას უყვარხარ, რა ვიცი, შენში რა ნახეს, დიდი და პატარა რო გელოლიავება?! — სიმთვრალით ცრემლმორეული, ენას ძლივს ატრიალებდა მაღალაშვილი, — ქვეყანა შენი მეგობარია, გავლენიანი კაცი ხარ, თბილისშიც ათასი ნაცნობ-მეგობარი გყავს. დამეხმარე. მოიფიქრე რამე, მოვუხერხოთ რამე ამ ოხერ ქაღალდებს. სამაგიერო სამსახურს მეც გაგიწევ, ძმობას გეფიცები! სული მთხოვო, არ დაგიჭერ. რაფო ისეა შემოჩენილი, რომ... იმ ჩასაძაღლებელ პროკოშასაც რაფოსთან პირი აქვს შეკრული, დამღუპავენ, დამეხმარე...

— გეყო ყბედობა! უეჭველად დაგღუპავენ. ერთი გამოსავალი მომეფიქრა, სხვა ვერაფერი გიშველის, მოიტა ეგ დასტა, მომეცი და...

— მოგცე? შენ მოგცე? მერე? — დააჭყიტა თვალები სარდიონმა.

— სათითაოდ ფოსტის შტემპელს დავაკვრევინებ, ახალს, დღევანდელი თარიღით, ვითომ დარიანში ღღეს მოვიდა ეგ უწყებები. წავიდნენ და ეძიონ, ვის სეიფში ყვითლდებოდნენ, გაიგე?

მაღალამვილი იმდენ ხანს იჯდა თავჩაქინდრული, რომ რამაზმა ველარ მოითმინა და შეანჯღრია. სარდიონმა მძიმედ ასწია თავი' და ხრინწიანი ხმით ჰკითხა:

— შტემპელს ვინ დაგიკრავს? მატყუებ?

„ამას უყურეთ, შიშმა ტვინი აუმუშავა ამ პირუტყვს, მიხვდა?!" — გაუკვირდა რამაზს. ჭიქები შეავსო.

— გატყუებ რომელია? ასწი, ამ საქმის გამარჯვებისა დავლიოთ! ჰოო, ეერე, ყოჩაღ! ნუ გეშინიან, ბეჭედს მე თითონ, საკუთარი ხელით დავკრავ, სხვას თითს არ დავაკარებინებ.

— ეგ როგორა, ჰა? ვაითუ...

მელითაური წამოდგა და სკამს ფეხი დაჰკრა.

— კაცმა მკითხოს, თავს რაზე ვიწუხებ? მთვრალი ხარ, გახეთქილი, დაიძინე, მე ჩემი საქმეც მეყოფა, წავედი!

— დაიცა, სად მიხვალ, შე სახეძაღლო, შენა? — იყვირა სარდიონმა, — კარგიდა, ბეჭედი დაუსვი, მერე?

— რესპუბლიკის სამხედრო კომისარი ჩემი მეგობარი კაცია, უარს არ მეტყვის, ამ უწყებებს ის მოუვლის, მერე სდიონ შენმა რაფომ და ვულვარდმა!

— იმ ხალხმა რო იჩივლოს, დავიდარაბა ატეხოს?

— ვის უჩივლებენ, ვის უნდა აუტეხონ დავიდარაბა? ოსტატურად მოჩხლართულ თქვენ მამაძაღლობაში სოლომონ-ბრძენიც ვერ გაერკვეოდა! დამეხსენ, კაცო, რას გადამეკიდე?! წავედი, კარგად მენახე!

— აჰა, აჰა, დაიჭი! — ისევ იყვირა სარდიონმა, — შენ კარგი ბიჭი ხარ, არ გამიმეტებ, ყელს არ გამამჭრი... — დაილუღლუღა და უწყებების სხვის ხელში დანახვამ, თუ ღვინომ დაუკარგა აზროვნების უკანასკნელი ნიშნებიც, მთლად გამოლენჩებულმა, დორბლიანმა ჩაჰკიდა თავი.

მელითაურმა უწყებები უბის ჯიბეში შეინახა, გავიდა ოთახიდან, დინჯად ჩაუარა ფეხზე წამომხტარ „ჰეი ბიჭოს" და ქუჩაში გავიდა.

მეორე დილით ის უკვე თბილისში იყო და რესპუბლიკის სამხედრო კომისართანაც შეაღწია.

პოლკოვნიკმა გულისყურით მოუსმინა მელითაურს და გუნებაში ვანსაჯა: უწყებების ამბავი რომ გახმაურებულიყო, კაი დღე არც მას დაადგებოდა. მართალია, ამ საზარელ დანაშაულში მას უშუალო ბრალი არ მიუძღოდა, მაგრამ მიზეზად ისიც იკმარებდა, მაღალაშვილზე მრავლად შემოსულ საჩივრებს უყურადღებოდ რომ სტოვებდა, მაღალაშვილს უჯერებდა, დარიანელები ერთიანად ინტრიგანები არიანო.

პოლკოვნიკმა ყველაფერი გაიაზრა, აწონ-დაწონა და ამოქმედდა. მელითაურის თანდასწრებით შეადგინა წერილი, რომელშიც დიპლომატურად ხსნიდა უწყებების ირგვლივ „სავალალო გაუგებრობას".

კვლავ რაიმე „სავალალო გაუგებრობის" ასაცილებლად, მელითაურმა თავისი გაიტანა: საიდუმლო პაკეტი წერილით და უწყებებით, ყველა საჭირო ფორმალობის შესრულების შემდეგ ხელზე მიიღო და თვითონ გაგზავნა ყაზახეთში.

დარიანში რომ ბრუნდებოდა, რამაზს მთელი გზა უკვირდა, აქამდე რომ არ შეუნიშნავს გაზაფხულის მოსვლა...

...ყვავილოვანში კი მზემ უკვე მოიკრიბა ძალა და გაზაფხული სიმწიფეში შეიყვანა.

ათვისებული შავმიწიდან ჯიქურ მოიწევდნენ თანაბრად ტანაყრილი ვაზის მწკრივები. აჯანყებული ფერებით აელვარებულ ტრამალებში ვენახი ოაზისივით ასვენებდა თვალსა და გულს.

მომრავლებული ტოროლები სისხამ დილიდან დაღამებამდე სერავდნენ ჰაერს. აღმა აფრენილნი ხან ცისფერეთში იკარგებოდნენ, ხან დაღმა დაფრენილნი თავს აფარებდნენ ყვავილნარს, ვაზს, ხეხილებს, და თითქოს ყვავილნარიც, ვაზიც, ხეხილებიც მღეროდნენ, ხმას უწყობდნენ პაწაწინა შავ-ნაცარა მგალობლებს.

უსაზღვროებაში ჩაკარგული დასახლება, კოსტა ილეტაქსას თქმით, გენიალური იმპრესიონისტის ქმნილებას დაემსგავსა. ერთმანეთის პირისპირ მდგომ ალიზის ქოხებს ყაყაჩოები უწვავდნენ სახურავს, და კედლებზე შანდლებივით ეკიდა ნაირფერი ტიტა.

აქაური მზე ირმისის მზეზე ადრე იწყებდა გაცხარებას და „ყაზახელი" ირმისელები, ვინც კი არ იყო ბამბის პლანტაციაზე წასული, ერთობლივ გამოსულიყვნენ ვენახში. თავაწყვეტით წამოსული ვაზი დაუნელებელ ზრუნვას და ყურადღებას მოითხოვდა.

— ადამიანო, შენ არ გასვენებს ვამწენი და ჩვენც აღარ დაგვაყენებ ხოლმე, თითო თავსახეთ საქმეს არ დაგვილევ! — უსაყვედურა ალექსის წვრილშვილმა მოსე ბეჟიაშვილმა.

მოსე ომში დაკარგული ძმის გამო იყო დედაბუდიანად ყაზახეთში გადმოსახლებული. გამწარებული კაცი ერთთავად სწყევლიდა თავის თავს, ძმას რომ ვერ შეელია, დროზე არ გამოეყო, და ახლა მისი რაღაცა დანაშაულის გამო ისჯებოდა. გულის ჯავრს ძმის ოჯახზე იყრიდა, თუმცა ალექსიმ ისინი ცალ-ცალკე დაასახლა და შრომისმოყვარე, მოკრძალებული რძალი არაფრით არ აწუხებდა ბუზღუნა, მუდამ კოპებშეკრულ, ბავშვებთანაც კი უღიმილო მაზლს.

— რაღაცა სთქვი, მოსე, ვერ გავიგონე, — წელში გასწორდა, ბარს დაეყრდნო ალექსი.

— ამ არამოსასვლელს რას აკვდები-მეთქი! — თქვა მოსემ, მუშაობა არ შეუწყვეტია, გულდაგულ უბარავდა ვაზებს ძირს. — ვაზის გამო თავი წააგე და შენ შენსას არ იშლი!

— ჰოო... — ვერ ვიშლი...

— ბამბის მოსაყვანად მოგვრეკეს და ბამბა იმყოფინონ, ვაზი კი არა, შავი ქვა და ნაცარცხელი ჩვენ ამწიოკებლებს!

— ამინ, — გაეცინა ალექსის. — ისინი კი არიან მაგის ღირსი, მაგრამ ამ დალოცვილმა ყამირმა და ამ ყაზახებმა რა დაგიშავეს?

— ყველამაც დამიშავა, დიახ! სამართალი გამქრალა და სიმართლის დამდგენი გაწყვეტილა მთელ დუნიაზე!

— მართალს ამბობს მოსე! — თქვა ყაზახეთში ლაპარაკს გადაჩვეულმა ციცერომ.

— მართალი ვარ, მა რა?! — ბარი ჩაჰკრა მიწას გაგულისებულმა მოსემ. — ჩვენი საჩივრების წამკითხავი ძე ქრისტიანი არ გამოჩნდა!

— ჩვენ კი მაინც იმედით გვიდგია სული... — ჩაილაპარაკა დაბალმა, კოჭლმა აბრია ბეგიაშვილმა. მას საზღვარგარეთ ვილაცა მოგვარე გამოუტყვრა, წერილები მოაყარა, იმისი ღდინი ამოვარდა, იმის გამო დაისაჯა. აბა, რა სიკეთეს შეჰყრიდა იგეთი კაცი, ირმისიდან რო სადღაცა ჯანდაბაში გადაიხვეწებოდა და თავის ბალღებს „ჟაკსა“ და „ფლორას“ დაარქმევდა?! ჩემი შვილები ჟაკი და ფლორა გულითად სალამს გიგზავნიანო, გეგონება, აბრია იმათ ნათლობაში დავლურს უვლიდაო... — ჰო, იმედით გვიდგია სული, — გაიმეორა დაღონებულმა.

— ჩანს, პატიოსანი ხალხისთვის ჯერ ვერ მოუცლიათ, — ირო-

ნიით და საყვედურით თქვა ტყვედნამყოფმა გიორგი ალიაშვილმა. — ეშმაკმა იცის, ვინ როდის რას გაარკვევს...

— გაგირკვევენ, მაშ, არა?! — უყვირა მოსემ, — „აცე, ვირო, ნუ მოჰკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო". შენც დაჯე და ითვალე, რამდენი იონჯობა მოგისწრებს!

— შენც ჩემთან ერთად დაითვლიდი, მაგრამ „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია..." — მიუგო გიორგიმ. — მოთმინებაა საჭირო, არ შეიძლება არ გამოჩნდეს ჩვენი გამკითხავი.

„გამკითხავიო?.. გამკითხავი... ნუთუ უსამართლოდ დასჯილთა უთვალავი წერილებიდან ერთმა მაინც ვერ გააღწია ჯეგირს, ვერ მიაღწია იმ დალოცვილ გამკითხავს..." — გაეფიქრა ალექსის მრავალჯერ განაფიქრი და თვალები აეწვა.

მოსე ჩივილს განაგრძობდა. დანარჩენები უხმოდ მუშაობდნენ.

ყველაზე ახალგაზრდამ, გიორგის შვილმა ბიძინამ ასწია თავი. საფეთქლებისკენ წარბებგაქცეული ბიჭი ფრონტზე მოხალისედ წავიდა. საბრძოლო მედლებით მკერდდამშვენებული დაბრუნდა, მაგრამ ტყვედნამყოფი მამის გამო, ისიც ოჯახიანად იყო გასახლებული ირმისიდან.

— მოსიკო ძია, — ყასიდი ლაქუცით მიმართა მან ბეჟიაშვილს, — გიხაროდეს, რომ ღმერთსაც და ეშმაკებსაც დავავიწყდით, ეგებ აქაური რთვლობა დაგვცალდეს! აქ დაყენებული ღვინის პირველი მოჭაშნიკე შენ იქნები, არ გიამება?

— მე შავი მიწის მეტი აღარა მიამება რა!

— ი! მაშ, ის ბალღები უსიამოდ იჩეკებიან? — გადაიხარხარა ბიძინამ.

მოსეს ცოლი ფეხმძიმედ იყო მეხუთე ბავშვზე. ბიძინას სიტყვებზე ზოგს ფხუკუნი წასცდა, ზოგმა ჩუმი სიცილით გაარიდა თავი მოსეს აფეთქებას.

— ენა ნუ წამოგიგდია, ლაწირაკო, დიდ-პატარა იცოდე, — მოულოდნელი თვინიერებით თქვა შეცბუნებულმა მოსემ.

— მოსე, ორიოდე დღით აბაი-ბაზარში არ წამოხვალ? — ჩაერია თენგო მათ სახიფათო-სასაცილო წალაპარაკებაში. — ტასანბაევმა განაწერი მოგვცა, მე და ლევანი მავთულზე მივალთ, შენც წამოსულიყავი.

— მავთული რა ჩემ ჭირად მინდა? ამ ენაამოსაჭრელ ლაწირაკებს თუ ჩამოჰკიდებს კაცი! — დაგვიანებით აყვირდა მოსე.

მავთულების ჩამოსატანად აბაი-ბაზარში თენგო და ლევანი წავიდნენ.

დღეები და მოვლენები სცვლიდნენ ერთმანეთს...

ь . .

მწვანედ დაგვირისტებული აკაციის ტოტები სურნელოვანი თეთრი მტევნებით დაწინწკლულიყვნენ. ნაწყენი შრიალებდა პატარა აკაცია: კაცმა, ალერსიანი სიტყვით და განუწყვეტელი ზრუნვით რომ გაანებივრა, დღეს ზედაც არ შეხედა. გარიჟრაჟზე მოვიდა, გულხელდაკრეფილი დადგა და თავის უჩინარ მეგობარს ჩურჩულით გამოელაპარაკა:

„ამ ცხრა მაისსაც აქა ვხვდებით მე და შენ, ოლეგ, ყვავილოვანში... უსტალინოდ ვხვდებით ამ ცხრა მაისს... ვინ იფიქრებდა, რომ ის კაცი გამარჯვების მერვე წლისთავსაც კი ველარ შეესწრებოდა... მე ჯერ ვერ შევჩვევივარ აზრს, რომ ის აღარ არის. აქამდე ვინახავდი იმედს, რომ კვლავ გავიგონებდით იმის ხმას, აი ისეთს, აუწერელს, როგორიც გავიგონეთ 1941 წელს, „ძვირფასო თანამეამამულენო...“ სულ ველოდი, რომ დაილაპარაკებდა, გაჰფანტავდა იმ ბურუსს, ახსნიდა ყველაფერს, რაც ჩვენ, ეგებ ჩვენი უმეცრებით დაგვრჩა გაუგებარი და საშინელებად მიგვაჩნია... მაგრამ ის წავიდა და სათქმელი უთქმელი დარჩა... მე და შენ კი ძტკიცედ ვიცით ერთი რამ, ისე მტკიცედ ვიცით, რომ ვერავინ და ვერაფერი ვერ გადაგვარწმუნებს. ვიცით, რომ საბჭოთა სახელმწიფო მისმა გენიამ აძლიერა, რომ მისი სახელით ვიბრძოდით და ვიმარჯვებდით... გახსოვს მე რომ ხანდახან წავიმღერებდი ხოლმე ჩვენ ხალხურ სიმღერას „მუმლი მუხასა“? შენც გიყვარს ეს სიმღერა იმიტომ, რომ იმას უყვარდა. აი, ეხლაც მესმის ის სიმღერა, ალბათ, იმიტომ გამკრა გულში ტკივილმა... მაგრამ გიჟივით ვიცინი... იცი, რა მაცინებს? ეს ტკივილი მოულოდნელად, ყაჩაღივით რომ ეამომივარდება ხოლმე, მე კი შეიარაღებული ვხვდები. ეს „იარაღი“ მუდამ თანა მაქვს. თუ კოსტას წამალი ხელთ არა მაქვს, არ შეიძლება მაისი ჩემთვისაც მაისობდეს, არ შეიძლება სანდრას დღიურისა და ხატულას წერილის წაკითხვა, არ შეიძლება იმ სიმღერის გახსენებაც.. თუ მომავალ მაისობასაც აქ გვიწერია შეხვედრა, მაშინ სანდრა და ხატულაც აქ იქნებიან. ჩემ თხოვნას ძალა ეკარგება — აღარ დგებიან

ირმისში. წამოვიდნენ. ისინიც ყვავილოვანში დასახლდებიან. იქ-ნებ მე მართლაც ზედმეტი ვარ ჩემს მშობელ მიწა-წყალზე?! აქ ვი-ქნებით, რა უშავს? აქ ვერ ვიქნებით ბედნიერები?.. ჰა? როგორა ეგონია?"

პასუხად სიჩუმე იყო... ნელა წამოვიდა შინისკენ. რა იცოდა, რომ მეორე დღესვე, ახალი ძალით აზვირთებული გრძნობები, ახა-ლი კითხვები ისევ მოიყვანდნენ „თავის" აკაციასთან?!

აბაი-ბაზრიდან გულხეთქებით დაბრუნებულ თენგოს და ლე-ვანს, ბამბის პლანტაციაზე მომუშავე ირმისელებიც მოჰყვნენ და აღგზნებული ყვირილით მოედვნენ ყვავილოვანს.

— ამნისტია, გამოსულა!

— ყველას უშვებენო!

— დღესვე შეგიძლიათ წასვლაო!

— მოვემზადოთ! დღესვე წავიდეთ!

— ველირსეთ! მივდივართ!

— ამნისტია, ხალხო, გაიგეთ, ამნისტიაა!..

„ამნისტიაო?" — ლახვარივით ეცა გულზე ალექსის. ბაღის და-ნა დაუმძიმდა ხელში. ნელა წამოვიდა ვენახიდან. შორს მოუარა ახმაურებულ-აზრიალებულ დასახლებას და თავის აკაციამდე მისუ-ლი, არიკთან ჩამოჯდა. ჩუმი ბუბუნით მოგორავდა სირ-დარიის მო-ცისფრო, გაუმჭვირვალი წყალი.

„ამნისტია... შეწყალება... მიტევება... პატიება... რის პატიება? რა დანაშაულისა?.."

სირ-დარიის ყრუ ბუბუნმა, აკაციის სურნელებამ, თუ სიტყვა „ამნისტიამ" თავი აატკივა. სხვა უფრო დიდი ჭრილობები აღარც ახსოვდა, ეს ერთი ბეწვა ნაიარევი საფეთქელთან კი ისე დაიჭი-მება, ისე აუკვნესდება, გეგონება, თავის ქალა ეხდებაო... ისევ მოწყალება? არა, არა და არა! მაშინ იქ სანდრა იყო და ხატულა. იმათი ბედი წყდებოდა. არ შეეძლო ის მოწყალება არ მიეღო. ეხლა აქ მარტოა. არ უნდა ეს მოწყალება, არ მიიღებს პატიებას, არა!..

ირმისში გატარებულ უკანასკნელ ღამეს განცდილმა სიმწარემ თვალებდათხრილივით რომ მიიყვანა უდაბნოში, უცებ ახალი ძა-ლით გაუღინთა და გულს ისე მიაწვა, თითქოს მისი უკანასკნელი ფეთქვა ხანჯლის წვერზე აიტაცაო...

მთრთოლვარე ხელის ფათურით მოძებნა ჯიბეში ილეტაქსას

მიცემული პატარა შუშა და წამალი ენაზე დაიწვეთა. წუთიც და... ხანჯალს წვერი მოსტყდა. გულმა თითქოს ამოიოხრაო და განაგრძო ფეთქვა...

„დაილოცე, კოსტა, მისწრებაა შენი წამალი. შენ თითონაც ხარ მისწრება, უებარი წამალი. გონჯაურას კი ეგონა, სიცოცხლის უკანასკნელმა წამმა უწიაო. ჯერ რა დროსია? შორაა, შორს ის წამი. დაგავიწყდა რომ იქამდე თოთხმეტი დღე-ღამის სავალი გზაა? განა აივსო შენი ხარბი თვალი და გული სიცოცხლის მშვენიერებით? განა დაიღალა შენი გონება პასუხის მოლოდინში? განა არ გინდა გაიგო, რა მოჰყვება ამ უსამართლო სამართალს? დაგელია მოთმინება? დამშვიდდი, გაიხედ-გამოიხედე, უყურე რა სილამაზეა ირგვლივ!..“

აიხედა და დაინახა: აკაციასთან მოდის ხალხი, მოდის დიდი და პატარა, ყველა, ვინც კი იყო ყვავილოვანში. მოსე მოუძღვებათ...

— აქ სარაოდ გამოქცეულხარ? — შორიდანვე შეუყვირა მან ალექსის. — უდარდელი კაცივით დამჯდარხარ არხეინად, მაგის დროა? არ უნდა ვილაპარაკოთ, არ უნდა მოვემზადოთ? შენ გიცდით. დღესვე ავიყაროთ თუ რა ვქნათ, რა გადავწყვიტოთ?

ალექსი დამჯდარი არასდროს დახვედრია ხალხს, მაგრამ ხანჯლის წვერზე დატრიალებული წამი, უკანასკნელი რომ ეგონა, ახალი გარდასული იყო და ზურგი ვერ მოაცილა აკაციის ღეროს, ჯერ ლაპარაკიც არ შეეძლო.

„ოო, უცებ როგორ გამოცვლილან, როგორი თვალებით შემომყურებენ! შენ თუნდა „პატიება“ დაარქვი, თუნდ „მოწყალება“, — ამნისტია ამათთვის — ირმისია. უძინარი ნატვრის შესრულებაა. რა დააკავებთ? ან ვინ და რად უნდა დააკავოს? იქნება ეს არის ჩვენი „საქმის“ დაბოლოება, იქნება სხვა აღარაფერი იყოს და მართლაც სჯობდეს წასვლა? რა უფლება აქვს გონჯაურას, რომ ამნისტიაზე უარით, თავისი გიჟური ნაფიქრალით ამათაც მოუშალოს ნაოცნებარი გზა ირმისისაკენ? არა, ვერაფერს იტყვის. ვერაფერს ურჩევს. ჰო, მართალია, არ უნდა, რომ გულთან მისულმა ამ პატიოსანმა ადამიანებმა ბრმა მადლობით მიიღონ „პატიება“, მაგრამ უარის თქმას მაინც ვერ ურჩევს. ისე მოიქცნენ, როგორც გონება უკარნახებთ. მე რას მიყურებენ? ჩემი უარით მე იქნება კლდის პირზე ვდგები, ამათაც ხომ ვერ ავიყოლიებ? არ

შეიძლება. მე რათ უნდა ავიყოლიო? თავისი ბედი თითონ გადაწყვიტონ...“

ალექსის გაუნძრევლად დარჩენა ადგილზე და მისი სახის ფერმა, ღრმად შეკუჭული თვალებიდან გადმომსკდარმა ნაღველმა შეაკრთო წინ მდგომნი. მხოლოდ მოსე არ ეპუებოდა არაფერს:

— რამ დაგამუნჯა, თქვი, ამოიღე, ხმა! — შეაყვირა ისევ.

— არ ვიცი, რა გირჩიოთ, — თქვა ალექსიმ ჩუმად.

— შენა? შენ რას აპირებ? როდის აპირებ? — ახმაურდა ხალხი.

და სიბოროტის წილ უსასრულო გაბოროტებამ უცებ მოუმაგრა გული, ძალა მისცა ალექსის.

— მე ამნისტიას არ მივიღებ! — მოკვეთა და წამოდგა.

— გაგიჟდი? — შეაძახა გასასტტებულმა მოსემ.

— ჰო, იქნება გავგიჟდი, მაგრამ მეკითხებით, და რასაც ვფიქრობ, იმას გეუბნებით. ამნისტია ქურდს — ქურდობას აპატიებს, მკვლელს — კაცის მოკვლას, ყაჩაღს — ძარცვას, გამფლანგველს — ხალხის ქონების დანიავებას, და ჩვენ? ჩვენ რა უნდა გვეპატიოს?

— ჰოდა, რო არაფერი დაგვიშავებია, ჩვენზე უფრო უპრიანია ის ამნისტიაა თუ რაღაცა ოხრობა! — თქვა აბრიამ.

— თუ ამნისტიას მივიღებთ, მაშ, დანაშაულსაც ვკისრულობთ! — ისევ მოკვეთა ალექსიმ.

— მაშ, რას ვუცადოთ? — ისევ ახმაურდა ხალხი.

— არ ვიცი. ეგებ მართლაც აღარაფერს არ უნდა ვუცადოთ, მაგრამ მე დავუცდი... თუ შემცდარი დავრჩი, ჩემს თავს დავსჯი, სხვას არავის.

— აბა ჩვენი დიდგულობით რა გამოვა? — ჩაილაპარაკა ციცერომ.

— მე ეგრე მნებავს და თქვენ თავში ქვა გიხლიათო, გესმით ხალხო ამისი სიტყვა? — დაიყვირა გააფთრებულმა მოსემ.

— დაიცა, მოსე, ღმერთი გიშველის, რა დროს ჯიჯღინია? — გაუწყრა მას ნატალია და წინ წამოდგა, ალექსის მიმართა: — თქვი, ბოლომდე გვითხარი რასაცა ჰფიქრობ, ეგებ ჩვენც დაგვიჯდეს ჭკვაში.

— ჩემი ფიქრით, ამნისტია არა ხსნის ადამიანს დამნაშავის დამღას. სიკვდილამდე ვიღაცის მოვალედ უნდა სთვლიდე თავს, მადლობელი უნდა იყო, დანაშაული მეპატიაო. სადაც საქმეზე შეგვეკითხებიან, ყველგან უნდა ვთქვათ და ჩავწეროთ, ამნისტიამ

დამაბრუნაო. ყველგან და ყველაფერში უკან უნდა დავდგეთ. რაფიელა და ჯიბოსთანები განა მოისპნენ? სიტყვის თავში და ბოლოში წამოგძახებენ, ნაპატიებელიაო, აი ამ ბალღებსაც წამოსძახებენ, გაამწარებენ...

აკაციის მსუბუქი ფოთლებიც კი არ შრიალებდნენ. სიჩუმეს მხოლოდ სირ-დარიის ნაკადის ყრუ ბუბუნი არღვევდა.

— თენგო, ლევან, თქვენ რა წყალი დაიგუბეთ პირში? — უსაყვედურა მათ ბიძინამ, — რაო, ქალაქში კიდევ რა გაიგეთ?

— სხვა რა უნდა გაგვეგო? — უგუნებოდ უთხრა თენგომ მარტო ბიძინას კი არა, ყველას, — ამბავი ეგ არი, რაც იცით. ამნისტიაა და მიდიან...

— ჰოდა, აკი მეც ვიძახი, ავიყაროთ-მეთქი! — აწრიალდა, ისევ აყვირდა მოსე. — ალექსი ტყუილად დროს გვაკარგვინებს!

— „ავიყაროთ"! რასა ბრძანებ? რატო არ იკითხავ, ვინ მიდისო, ან როგორ მიდისო, ჰა? — თენგომ ცხვირსახოცი გადაისვა გაოფლილ სახეზე და უფრო უგუნებოდ განაგრძო: — აქეთ მხარეს, ჩვენ რა ვიცოდით, სპილენძის საბადოები ყოფილა. რაც ჩვენ ქვეყანაში ქურდი, ყაჩაღი, კაცისმკვლელი, თავზე ხელაღებული დაუჭერიათ, იქა ყოფილან, შრომითი გამოსასწორებელ ბანაკში. ამნისტია იმათ ყველაზე წინ გაუგიათ, ისინი პირველები მიცვენილან ეშელონებთან...

ეშელონის გახსენებამ ყველა შეზარა.

— რაკი გვიშვებენ, რითაც გვინდა, ჩვენ იმით წავალთ, — დაუწია ხმას მოსემაც კი.

— მოგართმევენ! კიდეც შეგეკითხებიან, მოსე ბეჟიაშვილო, რბილ კუპეში ხო არ ინებებთ წაბრძანებასო! იმ ეშელონებზე ისეთი ზედახოცვაა, ვისაც თავზე ხელი არ აუღია, ახლოც ვერ მიუდგებაა... სწორეთ ისეთები არიან მიძალებული, აღგილის გულისათვისაც კი დანას რომ ჩაჰკრავენ ადამიანს. რა ვიცი, ამის ოხრობაც არ იყოს, მაგათი გაშვება ვის რაში მოეპრიანა, ზოგისა დანახვაც შეგზარდება, სიფათზე აწერია, დარდისა და ტანჯვის შეტს არავის რას მიუტანს... იმათ მარაქაში გარევაღა გვაკლია...

— ლევან, შენ რა გაჩუმებული ხარ, ეს კაცი რეებს იგონებს, ჰა? — ახლა უმცროს რჩეულიშვილს წაასტა მოსე.

— იგონებს კი არა, რაც ჩვენ ვიხილეთ, იმას ენა ვერ აღწერს, მეორედ მოსვლა იმაზე მეტი რაღა იქნება? — თქვა ლევანმა.

— ეგებ თანდათან შეცოტავდნენ, — ჩაილაპარაკა გიორგამ.

— ამასობაში გზა რო ჩაგვიკეტონ, მემრე სადღა მიხვალთ? — ისევ გაანჩხლდა მოსე.

— სადღა მიხვალ და, აქ ეგდები! — აფეთქდა უცებ თენგო.

ბევრმა, და თვითონ მოსემაც იგრძნო, რომ მართლაც მეტად მძიმე სანახაობას გამოეყვანა წონასწორობიდან ეს მშვიდი და თავაზიანი კაცი. თენგომ არ დაირიდა, საყელოში სწვდა მოსეს:

— მიბრძანდი და შენი თვალითა ნახე! იქ ჩვენებურებსაც შეხვდები, გაისეირნე, ნახე იმათი ყოფაც. ჩვენ აქ ბატონებივით რომ გამოვიჭიმეთ, განა ყველანი ეგრე არიან? განა ყველას ტასანბაევისთანა და კოსტასთანები ერგოთ წილათ? ძაღლუმადურად ყრიან, მაგრამ იმ ეშულონებით წასვლაზე ფიქრსაც ვერ ჰბედავენ!

— პლატონმა და მისმა მეუღლემაც თქვეს, ჩვენ არდადეგებამდე მაინც ვერ წავალთ, სკოლას ვერ მივაგდებთ, ყაზახებთან უმადური ვერ გამოვალთო, — დაუმატა ლევანმა.

— ჰო, ალექსი, — გაახსენდა თენგოს, — იცი, ვინა ვნახეთ? ნატაძრელი გაბო ნაცვლიშვილი! ყვავილოვანში ჩამოსვლა უპირებია.

„უყურე შენა, — გაეფიქრა ალექსის, — იმისი ხმის გასაგონად, ყაზახეთში გადმოსახლება ყოფილა საჭირო..."

— ხალხო, რას გაიტრუნეთ, ამასობაში რომ გამოაცხადონ, ამნისტიას ყავლი გაუვიდაო? — კინაღამ ატირდა მოსე და ისევ ალექსის მიუხტა: — ეგრე რომ გამოაცხადონ, რაღა ვქნათ, ჰა?

— არ ვიცი, მოსე, ეგებ პირიქით გამოაცხადონ, „თუ პატიებაა, თქვენ გვაპატიეთ, ტყუილუბრალოდ დაიტანჯეთო".

— გეყურებათ, ხალხო? ეს კაცი საჩვენოს მოსწყვეტია, მიწაზე აღარ ეტევა, ჰაერში დაფრინავს! — ქეჩოზე ხელი იტკიცა გამწარებულმა მოსემ.

— თუ სხვა სამართალი აღარ გამოჩნდა, მე აქ ჩავკვდები, გესმის, მოსე, აქ ჩავკვდები, შენი საქმისა კი შენ იცი... — დაღლილი ხმით უთხრა ალექსიმ და შინისაკენ წავიდა.

ყვავილოვანიდან არავინ აყრილა, მაგრამ იმ საოცარმა საყოველთაო აღგზნებამ და ნატვრის შესრულების თითქოს ისეთი რეალური შესაძლებლობის დათმობამ, მოულოდნელი და არასასურველი რეაქცია გამოიწვია, ამნისტიით გაშვება რომ შეწყდა, თქვენი

საქმე სათითაოდ უნდა გავარჩიოთო, რეაქცია უფრო უცნაური და არასასიამოვნო გახდა.

ადამიანები ერთმანეთს მოერიდნენ. ბამბის მეურნეობაში წამსვლელნი უთენია მიიკრიბებოდნენ დასახლებიდან და ღამეებსაც იქ ათევდნენ. თავისუფალ დროს კი თავ-თავის კარ-მიდამოში იყვნენ შეკეტილი. ქუჩაზე ბავშვებიც კი აღარ ჩანდნენ, და ყვავილოვანმა თითქოს დაკარგა სიცოცხლის ნიშანწყალიო.

ალექსის თავისიანების მიმართ დანაშაულის გრძნობა აღეძრა და თანდათან გაუძლიერდა. თვითონაც მოერიდა მათთან შეხვედრას. მთელ დღეებს ვენახში ატარებდა, ყაზახებს ასწავლიდა მავთულის დაჭიმვას, ზედ ვაზის აკვრას, მორწყვას, ზედმეტი ყლორტებისა და ნამხრევების წაცლას. უხსნიდა ვაზის მოვლის პროცესებს და ამ პროცესების თანამიმდევრობის მნიშვნელობას. უხარო და ყაზახები გულით რომ მოეჭიდნენ მათთვის უცნობ საქმეს, დაუღალავად, ხალისიანად მუშაობდნენ და სწრაფად ითვისებდნენ კახელ მევენახეთა ადათ-წესებს.

იშვიათ თავისუფალ საათს კი თავის აკაციასთან განმარტოებას ირჩევდა, ოლეგთან ფიქრის გაზიარებას:

„შევცდი?.. ალბათ, მე ხშირად ვცდები, არ ვიქცევი, არ ვაკეთებ ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ შენ იცი, ოლეგ, სვინდისის დაუკითხავად მე არასდროს არაფერი მიკეთებია. ეხლა კი სწორედ ეს მაწვალებს. გული მეთანაღრება — იქნება ამხელათ უნდა გამეჩუმებინა სვინდისი?.. ის დიდი სათქმელი რომ არ ითქვა, და დღემდე ისევ ბევრი რამ არ მესმის, იქნება იმიტომ ჩავდექი ამ ხალხის ცოდოში? ვაითუ, ჩვენი საქმის გარჩევა ძალიან დაგვიანდეს, ან სულაც არ იყოს, მაშინ მე რა გამამართლებს?.. შევცდი?.. თუ სამუდამოდ აქ დარჩენა მოუწიათ, შეცდომის აღიარება გამამართლებს? უშველის რამეს? თვალებში როგორღა ვუყურო? სანამ იცოცხლებენ, გულში საყვედური ექნებათ, „შენ რომ მოგეწადინა, გავასწრებდით აქედანო..." მიჯავრდებიან. მემდურიან. მიწყრებიან. ოო, ნეტა ჩემს გულშიც ჩამოახედათ, ნეტა იცოდნენ, რომ თანახმა ვარ ტყვია მკრანგულში, ოღონდ ირმისში ერთხელაც გამატარა პირნათელ კაცად... მაგრამ, მგონი, ეხლაცა ვცდები! იციან, განა არ იციან? მე კი არ მემდურიან, ენაღვლებათ. იტანჯებიან. სხვის მიწაზე ყოფნა გაუსაძლისდათ, და მაგათი ტანჯვით მოშხამული რომ დავდივარ, ალბათ იმიტომ მეჩვენება, რომ მე მემდურიან... არ ვი-

ცი, მართლაც ეგრეა თუ არა, მაგრამ მეც გამიჭირდა ამათი საყვედურიანი თვალების ატანა. ერთი პატარა იმედიღა დამრჩა: დავიბარებ, ჩამოვლენ სანდრა და ხატულა. ისინიც რომ აქ დასახლდებიან, ეგება მაშინ შემირიგდნენ. ჰა, ოლეგ, შემირიგებენ, შენ როგორა გგონია?..“

დაუზოგველად აწყდებოდა თავის გულს ალექსი.

მზე კი თანდათან იგრძელებდა ციურ მანძილს.

და მთვარე თვალდათვალ სივდებოდა ჩაყრუებული ყვავილოვანის ყურებით...

...და ასეთ ჩაყრუებულ ყვავილოვანში ერთ დღეს გაბო ნაცვლიშვილი გამოცხადდა!

გამოცხადდა ცოლით, ორი ბავშვით და ბოხჩაში გამოკრული თავისი ავლადიდებით. „ირმისელების დასახლების ამბავი რომ შევიტყე, იმ დღიდან ადმინისტრაციის კარები ავატალახე, ვიდრე ყვავილოვანში წამოსვლის ნებართვას მივიღებდიო...“

ნაცვლიშვილი ისე იყო გამოცვლილი, რომ ირმისელები თვალებს არ უჯერებდნენ — ნუთუ ეს ის გაბო იყო, მშობელ მიწაზე „უქნარას“ სახელი რომ დაიმსახურა? ნუთუ იმ „ბეჩავმა“ კაცმა შესძლო სხვა რაიონიდან ყვავილოვანში გადმოსახლების ნებართვა მიეღოო?

აქეთ-იქიდან კითხვები დააყარეს, მაგრამ ნაცვლიშვილმა მეტი არა თქვა რა, ცოლ-შვილი ქალებს დაუტოვა და თვითონ ალექსის სანახავად წავიდა ვენახისაკენ.

— ალექსი, ჯერ სალაპარაკო მაქვს შენთან. ვილაპარაკოთ, და თუ ღირსად ჩამთვლი, მაშინ ჩამომართვი ხელი, — მისალმების ნაცვლად, უთხრა აღელვებით.

— გავიაროთ, — შესთავაზა ალექსიმ.

ძნელი იქნებოდა თქმა, რომელი უფრო იყო აღელვებული, ნატაძრელების ბაღში გაყრის დღიდან თორმეტი წლის უნახავი მეზობლების შეხვედრით.

კარგა ხანი დასჭირდათ დასამშვიდებლად, კარგა ხანს იარეს უხმოდ, და ბოლოს გაბომ დაილაპარაკა:

— იცი როგორ მიხარია, ყაზახეთში რომ ვართ?! ნუ გიკვირს, ციალასაც უხარია. შეიძლება ითქვას, ბედნიერები ვართ!..

კაცი საოცარს ამბობდა, მაგრამ მართალს ამბობდა. და აღარ ჰგავდა უცნობელი შორეთიდან მომავალ, უზომოდ დაღლილ მგზავრს, როგორიც ახსოვდა ალექსის ამ წლების მანძილზე. მშვიდი, დაწყნარებული სახე ჰქონდა და ვაჟკაცური იერი ამშვენებდა.

— ნუ გიკვირს, ალექსი, მოკლედ გეტყვი და შენ ყველაფერს გამიგებ. მე და ციალამ ოცდაჩვიდმეტის აგვისტოში მოვაწერეთ ხელი, და სწორედ იმ ღამეს წაიყვანეს ციალას დედ-მამა. იმათ წასაყვანად რაფიელ ბრეგაძე იყო, მაშინ თბილისში მუშაობდა, ჰო, ის, შენი „ნაცნობი" ბრეგაძე...

ისევ კარგა ხანს იარეს უხმოდ და ისევ გაბომ განაგრძო:

— ციალა ნატაძარში წამოვიყვანე. ის იყო ნატაძრელებმაც თავმჯდომარედ ამირჩიეს. ხალისით შევუდექი საქმეს, დარწმუნებული ვიყავი, იმედს გავუმართლებდი ხალხს, მაგრამ არ დამცალდა. ბრეგაძე დარიანში გადმოიყვანეს. დამიბარა და მეუბნება: „იცი, რა მოგელის, ცოლის მშობლების ამბავს რომ მალავო?", რა უნდა მეთქვა? ცოლის მშობლებზე არავინ რას მეკითხებოდა და რაზე ვიყვირებდი იმათ ამბავს, მეშინოდა, ციალასაც მომტაცებდნენ. ენაჩავარდნილი ვიდექი. აღარც იმან მითხრა რამე, გამიშვა. ჰო, გამიშვა, მაგრამ დახვრეტა მანატრებინა. გაშვების საფასურად, სისხლს გვწოვდა მეც და ნატაძარსაც. იმიტომ არ მინდოდა კარგი თავმჯდომარე ვყოფილიყავი, არ მინდოდა ნატაძარი გამდიდრებულიყო. შინ დღეღამ ვკანკალებდით, მე ციალას დარდი მკლავდა, ციალას — ჩემი. გაუთავებელი ჯვარცმა იყო. სადაც კი მივმართე ნატაძრიდან განთავისუფლების თხოვნით, ყველგან ჩამეჩხირა. დაბმული ძაღლივით ვყავდი და თითონაც ძაღლივით უდარაჯებდა ყოველ ჩემ ნაბიჯს. გულვარდი სათოფეზეც არ მიკარებდა, ჩანს, მიხვდა ბრეგაძის ავანტიურას და ჩემი გულისთვის გადაიკიდებდა? იმ დილას, ჩვენ რომ დავშორდით, თბილისში წასვლა გადავწყვიტე, ვიფიქრე, მოხდეს რაც მოსახდენია-მეთქი. შინაგან საქმეთა სამინისტროში ორშაბათისათვის დამინიშნეს მიღება, კვირას კი ომი დაიწყო. აბა, ალექსი, წარმოიდგინე, რა ზომამდე მიმიყვანა იმ არაკაცმა, თუ ომის დაწყებამ ვამახარა?! მივდექ-მოვდექი, სად თხოვნით, სად ძალახელად და ნაცნობების დახმარებით გავიტანე ჩემი და ფრონტზე წავედი. ვფიქრობ-

დი, მომკლავენ, ციალა ჯარისკაცის ქვრივი დარჩება და მოასვენებენ-მეთქი. მაგრამ არ მომკლეს. გაგებული გექნება, ორმოცდასამში დავბრუნდი, დაჭრილი და დაჯილდოებული. ფეხზე ძლივს ვიდექი, მაგრამ ცოლ-შვილს დავავლე ხელი და ქუთაისში გადავსახლდი. ციალას მაინც ეშინოდა — მოგვძებნის, არ მოგვასვენებსო, და მართლაც... 26 დეკემბრის ღამეს მოგვაკითხეს. მაშ, არ უნდა გაგვხარებოდა? ერთად ვეგზავნიდნენ, მთელი ოჯახით. მუდმივ მოლოდინს, ეს არა სჯობდა? ამდენი წლის შიშისა და ტირილის შემდეგ, ციალამ იმ ღამეს პირველად გაიცინა, ნამდვილი, ეხიარული სიცილით. აი, ალექსი, ეს არი ჩემი ამბის თავი და ბოლო...

იმდენი იარეს, ფეხისგულები აეწვათ.

— საიდან დაიწყო ეგ თქვენი ამბავი, ციალას მშობლების ამბავი? სათავე სად იყო, არ იცი? — მოგვიანებით ჰკითხა ალექსიმ.

— როგორ არ ვიცი! ჩემი სიმამრი ერთი პატიოსანზე პატიოსანი კაცი იყო, მშენებლობაზე მუშაობდა. იმ დღეს სათვალიანი ურჩხული მისულიყო მშენებლობაზე. ამ უსსენებელს, ხო იცი, ყოვლისმცოდნედ მოაქვს თავი. აბდაუბდა შენიშვნებით შეუბეზრებია ხალხი, მაგრამ ერთი ისეთი უვიცი რჩევა მიუცია მუშებისათვის, რომ საცოდავ ჩემ სიმამრს გაღიმებია. ეს იყო და ეს. ეს სისხლით გაუმაძღარი კაცი გაღიმებას ან გამოხედვას შეარჩენდა ვინმეს? იმავ ღამეს წაიყვანეს, „ხალხის მტერიაო"...

ისევ იარეს ხმაამოუღებლად.

— ეს ამნისტია შენ არ გეხება? — ისევ ალექსიმ დაარღვია დუმილი.

— არ ვიცი, არ მაინტერესებს. თავკაცი აღარ არის და ვინც დარჩნენ, თავის მხარდამჭერთ იმრავლებენ, იმადლობებენ. ამნისტია თავისთვის შეინახონ, ეგებ თითონ დასჭირდეთ... ჩვენ აქედან მაშინ წავალთ, როცა გამოუცხადებელ სასჯელს მოხდილად მიიჩნევენ, არადა, აქ ვიქნებით. თუ მიგვიღებთ, ჩვენც ყვავილოვანში დავსახლდებით...

— გაიხარე აქ მოსვლისათვის! — ძმურად გადაეხვია ალექსი.

დაღამებული იყო, ყვავილოვანში რომ დაბრუნდნენ.

ამასობაში კი, ოზბეთელაანთ თხოვნით, ნაცვლიშვილები მათთან დაესახლებინათ.

ამნისტიით სარგებლობაზე ნაცვლიშვილების მტკიცე უარმა საგრძნობლად დაანელა ირმისელების დაძაბულობა.

თანატოლების შემატებით გახარებულმა ბავშვებმა კვლავ აახმაურეს ყვავილოვანი.

თიბათვე განახევრებული იყო, ყვავილოვანში თბილისიდან გამოგზავნილი ვაჟა კვერენჯაძის დეპეშა რომ მოიტანეს.

წლის დროისათვის შეუსაბამოს იტყობინებოდა ვაჟა: „გილოცავთ პურის ჩაბარების გეგმის შესრულებას ვაზი მთლიანად გადაურჩა დასეტყვას სათვალეები ზვავმა დაიტანა მოუთმენლად გელით" — ო.

დეპეშა ხელიდან ხელში გადადიოდა. კითხულობდნენ და აღელვებული იჩეჩდნენ მხრებს. რას უნდა ნიშნავდესო?! ეგებ რუსულად როა დაწერილი, რამე გვეშლებაო, ან ეგებ ნაცნობი ვინმე დაილუპა და გვარი ფოსტაში შეეშალათო? თუ ასეა და ვაჟა რას მოგვილოცავდაო?.. ერთმანეთს ეკითხებოდნენ და ცდილობდნენ გულშივე ჩაეყრუებინათ რაღაც გაურკვეველი იმედით აღძრული წინათგრძნობა, თუ შემაშინებელი რაღაც მიხვედრა. საგონებელში ჩავარდნენ.

ღმერთმა უშველოთ, უდროო დროს მოგრიალებული ბამბის მეურნეობის მანქანიდან ტყაპატყუპით გადმოცვივდნენ ბიჭები, ზოგი გაზეთის ფრიალით ვენახებისკენ გავარდა, ზოგი ქალებთან მიიჭრა:

— სამახარობლო გვერგებაl თქვენი წყევლა მიეწიაl სათვალებიანი ურჩხული მახეში გაბმულაl სამაღარიჩო სუფრა გაშალეთl — ყვიროდნენ ისინი, და თუმცა ქალები ახლა კი მიხვდნენ ვაჟას დეპეშის აზრს, თუმცა აუხდათ სასიხარულო წინათგრძნობა, მაგრამ შიშისაგან ჯერ ვერ განთავისუფლებულიყვნენ, ხმაცრემლიანი იხვეწებოდნენ:

— სსუ, ჩუმად, თქვენი ჭირიმეთ, ეგებ ტყუილია, ემანდ ამბავი არ მიუვიდეს, სუერთიანად არ ამოგვწყვიტოს!..

...და ამ აურზაურში, რაიონული ცენტრიდან გამოგზავნილი შიკრიკი მოტოციკლეტით მოადგა ყვავილოვანს, ამხანაგ ალექსი რჩეულიშვილს სასწრაფოდ იბარებენ სამხედრო კომისარიატშიო.

კომისარი დიდი თავაზით და მოკითხვით შეეგება ალექსის. პოლკოვნიკს აშკარად ეუხერხულებოდა სათქმელის თქმა, ასსნა-განმარტებაც ვერ დაელაგებინა და ბოლოს ხელი ჩაიქნია, მეგობრული თანაგრძნობით გაუწოდა თბილისიდან მიღებული „დაგვიანებული" უწყებები.

— ფრონტზე გმირულად დაცემული ამ ვაჟკაცების ოჯახებს, როცა კი მოისურვებენ, შეუძლიათ შინ დაბრუნება... პირადად თქვენი საქმე... ერწმუნეთ ჩემს პატიოსან სიტყვას, თქვენი საქმეც სულ მალე გაირკვევა. თუ ნებას დამრთავთ, მე ყვავილოვანში გინასულებთ!..

...ნელა ცხრებოდა ყვავილოვანში სიხარულის პირველი ტალღა და ომში დაღუპულებზე დაგვიანებული გლოვა.

თვალცრემლიანმა მოსემ ძმა მოიხსენია, რძალს ბოდიში მოუხადა ჯავრიან გულზე უხეშობისათვის და გიჟივით მიახტა ალექსის:

— ამაშიც შენ გამოხვედი მართალი, გენაცვალე სულში და გონებაში, ჩვენო იმედო, ჩვენო გონჯაურავ!

— დაეხსენ შე პირძაღლო, შენ ალექსისთან სალაპარაკო პირი არა გაქვს! — შეუტია მოსეს დაბალ-აბრიამ.

— ჩემ საკრიტიკოდ შენ ჯერ სიგრძე უნდა მაიმატო! — მოუჭრა მოსემ და ხალხს მიუტრიალდა: — შევიშალე ჭკუიდან, მეგონა, იმ ოხრადდასარჩენი ამნისტიის მეტი, ჩვენი ხსნა არსაიდან იქნებამეთქი! ესლა ბოდიშს ვუხდი ამ კაცს, განა თქვენი ცალია, წყენა გულში დაიგუბოს, მაგან იცის, მე რა ჯავრი მაყბედებდა!

— დროს ნულარ კარგავ, მოსე, — გაიცინა ალექსიმ, — მოემზადე წასასვლელად.

მოსემ ბეჯითად შეათვალიერა სიხარულისაგან ჯერ ისევ გაბრუებული ხალხი და ყველას გასაგონად გამოაცხადა:

— მე, ქაჯან, პატახან აქედან ფეხს ვერ მოვიცვლი! ჰო, რას შემომყურებთ, რა გიკვირთ? ამ დალოცვილი ყამირიდან ჭირნახული იგრე მაამტვრევს, გეგონება, მიწიდან ქაჯები ერეკებიანო. ჰოდა, როგორა? ყველაფერი ოხრად დავაგდო?

— გუნებაში თუ ეგა გქონდა, აქაურობას რაღას აქოთებდი, შენ აგიქოთდა სამარე! — შეუტია ციცერომ.

— ოჰ, მოხვედი ყბედობის გუნებაზე? ეგ სარეკელა ენა ღმერთს

შენთვის იმისთვინ მოუცია, რო მტერი დააოსო, განა მოკეთეც? ეხლა რაკი ჩემი ნეიაა, როცა მინდა, როგორც მინდა, ისე წავალ, გაიგე? რას ავჩქარდე? ე ბალღები ცარიელზე სად წავასხა? განა იქ გახურებული თონე მიცდის რა?!

— მე ისეც ვიცოდი, პირველ ჭაშნიკს მოსე ძია არავის დაანებებდა! — გაიცინა ბიძინა ალიაშვილმა.

— მაგ პატივს მე შენისთანა ბუმბერაზებს დავუთმობ! კაცო, გიორგა, ე შენ შვილს ჰაიჰარად ცოლი შერთე და დიდ-პატარაობა ვერ ასწავლე?

— მაინც როდემდე აპირებ აქ დარჩენას, ჰა? — პასუხის ნაცვლად ღიმილით შეეკითხა გიორგა.

— სანამდე ყველა საქმეს თავს მოვაბამ. გზის ხარჯსაც ამოვიღებ, ხელის მოსანაცვლებელსაც, მაშაა, ეგრე არა სჯობია?

ჰოდა, რაკი მოსწრებაზე აღარ იყო, წამსვლელები დინჯად და საზრიანად შეუდგნენ მზადებას.

დოდაშვილებიც ემზადებოდნენ წასასვლელად. ოლა კი არსადა ჩანდა.

კოსტა ილეტაქსა გახდა, ფერი დაეკარგა კაცს!

ერთ საღამოს ნატალიამ ბავშვები შინიდან გაიგულა, კარი მაგრად მიხურა და ოლას მიუტრიალდა:

— ეხლა რას აპირებ ჩემო რძალო?

ოლას ტირილი აუვარდა.

— ქმარზე ერთი ცრემლი არ ჩამოგვარდნია და ეხლა ვისა გლოვობ ასე ცხარედ, ჰა?

ოლამ ცრემლი შეიმშრალა, მაგრამ ისინი თავისთავად წვეთავდნენ და წვეთავდნენ.

— ირმისხევი ნუ დაადინე აქაურობას, ღმერთი გიშველის! გეკითხებიან და სთქვი, ხმა ამოიღე.

— რა ვთქვა? როცა ელიზბარის ამბავი გვიანდებოდა და მეტირებოდა, თქვენ მიკრძალავდით, ცოცხალ კაცს არა ტირიანო, მერე დარდი ჯავრით შემეცვალა, ცოცხალი თუა, რატო არ ვახსოვარ-მეთქი. ხანი რომ გავიდა, აღარც მეტირებოდა, აღარც მებრაზებოდა. თორმეტი წელიწადი განა ცოტაა? ესეც ჩემი ქმრის უბედურებამ შემყარა, ამ ტიალ ადგილას რომ არ მოვხვედრილიყავით, ირმისში იგრეც მოვკვდებოდი...

— ვაიქის! მე შენზე პატარა ვიყავი, როცა დავქვრივდი, აქ კი

არა, ტრაპიზონშიც რომ გავესახლებინე, მეორედ გათხოვებაზე ფიქრს არც ვიკადრებდი. დასწყევლოს ღმერთმა ეხლანდელების თავქარიანობა, ყველაფერს სიყვარულს ეძახით! რა ჭირმა შეგაყვარა ეს ანჩისხატი, ეს საფრთხობელა, ეს ბეცი კაცი, რამ, ჰა?

— ანჩისხატია თუ რაც არის, მაგისი ქებით თავათ თქვენ გაგვიჭედეთ ყურები დიდსა და პატარას. განა არ ვიცი, ელიზბარისთანა მეორე არ დადის ქვეყანაზე...

ნატალია ბეჯითად დააცქერდა რძალს და თვალებში სითბო მოერია.

— მე რო ვაქებდი, საქმეზე ვაქებდი! მაშ არ უნდა მექო, გონჯაურა გადაგვირჩინა სიკვდილს, და რა მოსთვლის, რამდენი კაიკაცობა გამოიჩინა, მაშ შენი შიშით, შენ არ მოგაწონო-მეთქი, მეძაგებინა?

— ჰოდა, თქვენც იცით, ყველაფერს სიკეთე და პატიოსნება აკეთებინებს, ბავშვებისთვისაც სულსა ჰლევს...

— ძაღლი მიაკვდა სულში! რაო? საით კუდი იღლიაო? ხო არა გგონია, დოდაშვილები უცხო კაცთან გაგატანო?

— მე არაფერიც არა მგონია. თხუთმეტი წელიწადი ჩვენ რძალ-დედამთილობაში ურიგო სიტყვა არა თქმულა. „დედას“ მარტო სიტყვით ან სხვის მოსაჩვენებლათ ხო არ გეძახოდით? ეხლაც, როგორც თქვენ იტყვით, ისე იქნება, — ახლად ატირდა ოლა.

— ვერ უყურებთ, ამ უნამუსომ, როგორ შემომიტრიალა?

შვილის ფრონტზე დალუპვის შესახებ დაგვიანებულ ცნობას, თითქოს უნდა განეახლებინა ნატალიას დარდი, მაგრამ ნატალია — დოდაანთ ქალი იყო, მრუდობას არც სხვას შეარჩენდა, არც თავის თავს, სისწორე კი ის იყო, რომ თავის დროს ფრონტიდან ბაიბურად მოსულ ამბავს ელიზბარის დალუპვის შესახებ, საკუთარი გულიც და ელიზბარის გახანგრძლივებული გაჩუმებაც უდასტურებდა. დეკემბრის იმ წყეულ ღამეს სახლში შემოვარდნილი ჯიბო ჭიმიაშვილის ნათქვამმა, „შენი შვილი მოღალატეა, გერმანელებთან დარჩენილაო“, თითქოს იმედი გაუღვიძა, ცოცხალი ყოფილაო, მაგრამ ის რა იმედი იყო? გულს უნდოდა და მიიღო, გონებამ კი არ მიიკარა, არ დაიჯერა, შვილის პატიოსნებას ჩრდილი არ მიაყენა. და ეხლა, სიმართლე რომ დადგინდა, ოლას თქმისა არ იყოს, დროს თურმე თავისი გაეტანა, დარდს მახვილი დასჩლუნგებოდა...

ნატალიამ ამოიოხრა: დრო უსწორდება დარდსაც და სიხარულ-

ხაც. ეგრე ყოფილა წუთისოფელი. გინდა არ გინდა, დრო თავისას მკის, შენ არას გეკითხება რას... აბა, რა გითხრა, შვილო, დედა მოგიკვდეს, უდროოდ მზედაბნელებულო... შენც და შენთან დაღუპულებსაც მუდმივი ნათელი დაგადგეთ, საზრუნავი კი — თქვენი სიცოცხლის ფასად ცოცხლად დარჩენილთა ბედია...

სადღაცა შორეული ძმათა საფლავში მიძინებულ შვილზე თვალმომდგარი ცრემლი ნატალიამ გულშივე ჩაიბრუნა და შვილივით საყვარელ რძალს შესედა. თავისთვის ამ სევდიან საათს, მის მომავალზე მძაფრი შეშფოთება იგრძნო. „რა ლამაზია ეს გულმკვდარი. სამი შვილის დედაა. ალქაჯ ბიჭებს სწორეთ ესლა სჭირდებათ ვაუკაცის ხელი. წესიერად უნდა მოხდეს, რაც მოსახდენია. ამ გოგოს დღემდე სუფთა და პატიოსანი სახელი ჰქონდა, ურიგოს არც ესლა ვათქმევინებ არავის“.

ასე გადაწყვიტა ნატალიამ, მაგრამ სითბოც და მზრუნველობაც ხმის სიმკაცრით შენიღბა:

— ჰო, ყველა ყველაა, მაგრამ ირმისელებს რა პასუხი გავცე? ვათქმევინო, დოდაანთ ნატალიამ რძალი ყაზახეთში გაათხოვაო?

— ყაზახეთში რა მინდა! — აენთო ოლა. — ზედმეტი ერთი დილაც ნუ გამთენებია უცხო მხარეში. ჩემს მიწა-წყალს იმდენი პირშავი და ქვემძრომი ასევია, განა ეს ერთი პატიოსანი კაცი დაამძიმებს?

— ოჰ, ძალიან თავი შემაბრალე, არაფერი ვიციო, და კარგად დაგილაგებია!

— არა, ნატოს შერჩენამ, მე მაგაზე ფიქრისაც კი მეშინოდა. დედა, საწყენად ნუ მიიღებთ, და მე სხვა გამფიქრებია ხოლმე: მართალია, ელიზბარს არ დასცალდა, მაგრამ, რაც ამ კაცმა გაჭირების ჟამს ჩემ შვილებს ამაგი დასდო, რა ვიცი, მშობელი მამა მეტს შესძლებდა-მეთქი?!

შუბლშეკრულმა ნატალიამ არაფერი თქვა.

— რა ვიცი, — ჩუმად განაგრძო ოლამ: — ქვეყანაზე ყველაფერი უკულმართად რად არის მოწყობილი, მაგისთანა კაცს მარტოობაში რად უნდა ამოუვიდეს სული...

— კარგი ერთი, თავი ნუ მოგიკვდება! — წამოდგა ნატალია, — რამდენი ირაოდ დადის ქვეყანაზე, ყველას დარდი მე შემომყარე! ეგ რაღაცა ეშმაკის სახელი შეგარქვა „პეატრიჩეო“, მაგით თუ მოგაჯადოვა, ტყუილად კი არ უთქვამთ, „დედაკაცი თმაგრძელი და ჭკუამოკლეო“!

მოვვიანებით, ბავშვები რომ დაწვნენ, ნატალიამ სუფთა თავშალი მოიხვია, კაბის კალთას ჯაგრისი დაუსვა და დინჯად გადასჭრა ქუჩა, ილეტაქსას კარს მიუკაკუნა:

— კოსტა, შინა ბრძანდები?

ნატალიას ხმის გაგონებაზე ილეტაქსა ისე შეკრთა და დაიბნა, რომ მზად იყო დამალულიყო, მაგრამ ოთახში დასამალი არსად იყო და ნატალიამაც კარი შეაღო.

— დილას პერანგები დაგიუთოვე და უთო აქ დამრჩა (უთო ნატალიამ განზრახ დატოვა).

— ოო, ქალბატონო ნატალი, ძალიან-ძალიან მადლობთ პერანგებისთვის, დიახ, უთო აქ არის, დაბძანდით, გთხოვთ.

— დასაბრძანებლად არ მოვსულვარ. — ნატალიამ უთო აიღო და ჩაგონებით დაუმარცვლა მასპინძელს: — ჩვენ ყველანი მივდივართ, მთელი ოჯახი, ყველანი.

— დიახ, ქალბატონო ნატალი, ვიცი, ყველანი, — უბრალოდ დაუდასტურა ილეტაქსამ, თუმცა ნატალიას არ გამოეპარა მის შავგვრემან სახეს მოდებული სიწითლე.

— ჰოდა, შენ თუ მაგ შენ ფიქრზე დარჩები, მერე ჩამოხვალ.

— მე მოკდომამდე მაგ ფიქრზე დარჩები, ქალბატონო ნატალი.

— შენ ჯერ ქართულიც არ იცი ხეირიანად.

— მე უკვე ვიცი ხეირიანად, ხოლოთ გრამატიკა არის ძალიან მეტად ძნელი, მაგრამ ეგეც ხეირიანად იქნება. როდის მოვალ ირმისში, როდის იქნება თქვენი ნებართვა?

— როცა ჩვენი გასდები, ჩვენებური პასპორტი გექნება, შენ ჯერ უცხოელად ითვლები.

— არა, ქალბატონო ნატალი, ჩემი ქაღალდები უკვე ალმა-ატადან მოსკოვში წავიდა, სულ-სულ მალე იქნება პასპორტი.

— ჰოდა, რომ მიიღებ, შეგვატყობინე. მე ეგ ქალი გზაზე კი არ მიპოვნია, შვილივით მყავს გამოზრდილი. რაც წესი და ლაზათია, ყველაფერი ისე უნდა იყოს.

— მე ძალიან თანახმა ვარ თქვენი მოაზრების, ქალბატონო ნატალი, თუმცა ძალიან მინდა თქვენი ქალიშვილიც, შვილისშვილებიც, თქვენც, ირმისიც...

კოსტამ სათვალე მოიხსნა და გაცნობის დღიდან ეს მეორედ დაისარა ნატალიას ხელის საკოცნელად.

ამ გულცხელზე ნატალია სხვას უთოს დაახლიდა თავში, ამას

კი... „ეჰ, ცული კაცი ხომ ცუდია, მაგრამ ეგეთი კარგიც — ხათაბალაა! ქვეყნის სათქმელი მოვამზადე და ერთიც ვერ შევკადრე", — დაინანა გულში და ცივად უთხრა:

— ცხრამეტი წლისა არც შენა ბრძანდები, არც ჩემი ოლა, გაცილებისას დარბაისლად უნდა გეჭიროთ თავი, შენც ისე გაგვაცილებ, როგორც სხვები.

— დიახ, ქალბატონო ნატალი, მე ამისთვის მოემზადებული ვარ, ხოლოთ ჩემთვის ძალიან-ძალიან ძნელი იქნება პატარა, ჭკვიანი ნატალის გაცილება, — სევდიან ჩიტს დაემსგავსა კოსტა.

— არა უშავს რა, გაუძლებ.

— დიახ, გაუძლო უნდა, იმის გამოთ, რომ პატარა ნატალის ჩქარა-ჩქარა უნდა ირმისი. მე დილით მოვიტან აეროპლანის ბილეთებს.

— ოზბეთელაანთვისაც სამი ბილეთი არ დაგავიწყდეს!

— დიახ, არ დამავიწყდება, ქალბატონო ნატალი, დალი და ოსიკო კარგი შვილები არის, დედას ფევრონიას ძალიან მიეხმარებიან...

„ეს გულმკვდარი, თებროს ეძახის ფევრონიას!.." — ჩაეცინა ნატალიას გუნებაში.

— და დალი და ოსიკო ძალიან-ძალიან კარგი შვილის შვილები არის, — ჩუმად განაგრძობდა კოსტა, — მე სულ-სულ მალე მორჩები პაპა ივანიკას მემორიალს...

— ეგ კეთილი საქმეა, კოსტა, მადლია, გაგახაროს და გაბედნიეროს ღმერთმა, დაიძინე, ღამე მშვიდობისა!

ნატალიას ახლა კი ნამდვილად დაავიწყდა უთოს წაღება.

წამსვლელები რომ გააცილეს, ტასანბაევმა ჩაიხანაში შეიპატიჟა ალექსი. ლაპარაკ-ლაპარაკში ოთხი ჭიქა ჩაი გამოცალა, მეხუთეს — ხელისგულები შემოუმრგვალა და თავისი თვალ-ბურღები დაასო ალექსის.

— რას იტყვი? — ჰკითხა ალექსიმ, იცოდა, მნიშვნელოვანი სათქმელის თქმას რომ დააპირებდა, მაგჟანი თანამოსაუბრეს აი ასე, ჩანგრძლივად და გამომცდელად მიაჩერდებოდა ხოლმე.

მაგჟანმა ის ჩაიც დალია, ლამბაქზე დაყირავებული ჭიქა განზე

ვასწია, აუჩქარებლად დატენა ჩიბუხი, მტრედისფრად ააბოლა და მერე დაილაპარაკა:

— მთელი ამ ხნის განმავლობაში მე ბეჯითად ვაკვირდებოდი შენებურებს. კარგი ხალხია, ძალიან კარგი — მშრომელი, პატიოსანი, თავაზიანი, თავის მიწა-წყალზე შეყვარებული, ასე მგონია, სამოყვროდ, სამეგობროდ გაჩენილიო... და მე აქამდე ვერ გამიგია, რა დააშავეს, რაზე დაისაჯნენ... ჩუმადა ხარ. ჰო, ვიცი, შენთვის ძნელია, შენ არ გინდა ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მე მინდა ვიცოდე... იქნება შენც არ იცი?

იცის ალექსიმ, როგორ არ აცის, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ უნდა, არ შეუძლია. რისთვის? ყოველ მოვლენაზე ყველას თავისი აზრი აქვს. რასაც მაგუანი მეკითხება, ამაზე უთუოდ აქვს თავისი აზრი, იმიტომ წამოიწყო ეს ლაპარაკი, მაგრამ რა საჭიროა? განა ამგვარი ლაპარაკი გაარკვევს ადამიანთა გაუგებარ განსჯას?..

და სდუმდა ალექსი.

— ამას წინაზე ალმა-ათაში რომ ვიყავი სესიაზე, — ჩაფიქრებით დაილაპარაკა ისევ მაგუანმა, — ბევრ მეგობარს, ძმაკაცს ველაპარაკე, თქვენი ამბავი არ მასვენებდა და იმათაც ვეკითხებოდი. ზოგმა ჩემსავით არაფერი იცოდა ამის შესახებ, ზოგს ბაიბურად ჰქონდა გაგონილი... ბოლოს შემთხვევა მომეცა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ველაპარაკე. აი, რა მითხრა: „1951 წლის დეკემბერში საქართველოდან ბევრი ოჯახი გაასახლესო. ისეთივე ბრძანება მიუღიათ სომხეთში და აზერბაიჯანშიც, მაგრამ, — ჰო, ასე მითხრა, — „იმათ ხელმძღვანელებმა ეგ ბრძანება არ შეასრულეს, გზა ნახეს და სტალინთან იჩივლესო,“ შენ ეს იცი? — დაჟინებით ჰკითხა მაგუანმა.

— რა მნიშვნელობა აქვს? ვიცი, მერე რა? — თვალებჩამქრალმა, უხალისოდ თქვა ალექსიმ, თქვა მხოლოდ იმისათვის, რომ მისი გაჩუმება არა სწყენოდა მაგუანს.

— თქვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელმა რატომ არა ნახა ის გზა: იმასაც ხომ შეეძლო ეთქვა, ჩვენ არა გვყავს დასასჯელი ხალხიო?!

ისევ გაჩუმებული იჯდა ალექსი. ის სიტყვა-სიტყვით იხსენებდა თავის საუბარს ნიკო ხელაშვილთან იქ, ირმისში, 9 მაისის დილას. ცხარე კამათი ჰქონდათ, მაგრამ კარგად ესმოდათ ერთმანეთის ტკივილი და ეს ბუნებრივი იყო — ორივე საკუთარი მხრებით

ზიდავდა მათ მსარეში შექმნილი ვითარების სიმძიმეს. მაგჟანს კი წარმოდგენა არა ჰქონდა იმაზე, რაც მათთან ხდებოდა. საიდან ეცოდინებოდა, რომ სისხლით გამტყვრალმა სათვალებიანმა ურჩხულმა მოსკოვში რომ გადაინაცვლა, თავის ადგილზე თუმცა წესიერი კაცი დასვა, მაგრამ საქართველოს ფაქტიურ განმგებლად თვითონვე დარჩა. იმიტომ არ იცის მაგჟანმა, რომ სხვა რესპუბლიკის ხელმძღვანელს შეეძლო სტალინთან ჩივილით მისვლა, თავისი ხალხის დაცვა, ჩვენსას კი... ნიკომ თქვა: „კაცი შეიძლება ჭკვიანიც იყოს, განათლებულიც, პატიოსანიც, მაგრამ თუ ვაჟკაცობა აკლია, საქვეყნო საქმეზე თავს ვერ დასდებსო...“ მაშინ ის კამათი ვენახებს დამუქრებული ავბედით იყო გამოწვეული და რას წარმოიდგენდნენ, რომ კაცს, რომელსაც ვაჟკაცობა არ ჰყოფნიდა ვაზის დასაცავად, ადამიანების დაცვა დასჭირდებოდა?! და ვერც გამოდგა თავისი ხალხის დამცველად. უბრძანეს, და უსიტყვოდ გასწირა თავისი თანამემამულენი...

გაჩუმებული იჯდა ალექსი. როგორ აეხსნა მაგჟანისათვის, რომ ქარიან უდაბნოში დაბადებულ სიძულვილს ზიზღიც შეერია — ქართველთ ხასიათში მუდმივი ძნელბედობით გამოკვეთილი თვისება — სიმხდალისადმი ზიზღი. სხვას ეგებ ნაწილობრივ მაინც გაუზიარებდა თავის მწველ გრძნობას, მაგრამ მაგჟან ტასანბაევს?.. კაცს, რომელმაც არ დაირიდა, ძმური ხელი გამოუწოდა კანონგარეშე დაყენებულ ადამიანებს? როგორ აეხსნა სხვა ტომის კაცისათვის — თვისტომმა რატომ ვერ დაიცვა თავისი უდანაშაულო, მშრომელი, პატიოსანი ხალხი?..

და სიმხდალისადმი, სულმოკლეობისადმი ზიზღით ყელამდე აღვსილმა, კბილებში ძლივს გამოსცრა:

— რა ექნა, ბრძანება შეასრულა...

— ბრძანება შეასრულა... — გაბმით გაიმეორა მაგჟანმა, ჩაიხანის დაცარიელებულ დარბაზში გაიარ-გამოიარა, მერე ალექსისთან გაჩერდა, მხარზე ხელი დაადო: — უბრალო ცნობისმოყვარეობად ნუ ჩამითვლი, ალექსი, ძმაო ჩემო, მე შენი ხალხის სიყვარული მალაპარაკებს, გესმის? მითხარი, როგორა ჰფიქრობ, რად სჭირდებოდა სტალინს ეგ ბრძანება?

— საიდან დაასკვენი, რომ ეგ სტალინის ბრძანება იყო?—თითქოს შოლტი გადაუჭირესო ალექსის. — მაგის პასუხი შენ ალმა-ათაში მიგიღია! შენ არა სთქვი, ვინც სტალინთან მისასვლელი გზა ნახა, იმან დაიცვა თავისი ხალხიო?!

— დამშვიდდი და მითხარი, მაშ, რათა ხდება, რომ როცა ის ალარ არის, ამნისტიაც მაშინ გამოვიდა, დაჭერილ და გადასახლებულ ხალხსაც ეხლა ანთავისუფლებენ? — უზომო ტკივილით ხმაში ჰკითხა ალექსის, თუ თავის თავს მაგჟანმა.

— დაგვიწყებია, მაგჟან, ამნისტია რომ გამოვიდა, შენ ძალიან ბრაზობდი — გამოუსწორებელ ბანდიტებს, ქურდებს, ნაძირალებს უშვებენო!

— მაგაზე ეხლაც ვბრაზობ, მაგრამ ფაქტი მაინც ის არი, რომ მისი სიკვდილის შემდეგ დაიწყეს ხალხის გაშვება!

ეჰ, რახან ეგრეა, ალექსი იტყვის თავის სათქმელს!

— მაგჟან, მე ირმისში დაბრუნება თუ არ მიწერია, უარესს ვერავინ რას დამმართებს, გეტყვი, რასაც ვფიქრობ: ეხლა რომ „გულკეთილობენ", წინათ სად იყვნენ ეს ვაჟბატონები? თავისთვის მხარდამჭერთა ძებნაში სხვა ვერაფერი მოიფიქრეს და ჯერ, აჰა, თქვენ ამნისტიაო, ბრალიანი და უბრალო ერთ ტაფაში მოაქციეს, შენ ჩემზე უკეთ იცი, ერთ-ორ წელიწადში რამდენი გამოუსწორებელი ავაზაკი დააბრუნეს აქაურ შრომა-გასწორების ბანაკში! ვიდრე ის კაცი ცოცხალი იყო, იმის ქებათ-ქებაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ეხლა კი საკუთარი განდიდებისათვის, იმისი ადგილის დაკავებისათვის, ხომ ხედავ, არ დაინდეს ერთმანეთი, მთავარი მეტოქეების სათვალავიდან, მადლობა ღმერთს, ურჩხული მაინც ამოაგდეს, სხვები დააქვეითეს, ზოგი კუთხეში შეჭყუნეს. ყველაფერი ცუდი რაც იყო — ეხლა შეიძლება მკვდარს მიაწერო, ის ხმას ვერ ამოიღებს, ყველაფერი კარგი რაც იყო — შეიძლება ეხლა შენ მიიწერო, მკვდარი ვერ შეგედავება. იციან, იმ მკვდარს ჩრდილი რომ არ მიაყენონ, თავისი თავის დამკვიდრება გაუჭირდებათ, ძალა და ჭკუა-გონება არ ეყოფათ, იმის სიმაღლეს ვერ შესწვდებიან! ჰო, ჰო, მაგჟან, მე აგრე ვარ დარწმუნებული! ყოველ წესიერ, პატიოსან კაცს უნდა ესმოდეს, უნდა ახსოვდეს, რომ რწმენა თუ დაარღვიე, შეიძლება ტაძარიც გაიბზაროს...

— იოი... — ჩუმად ჩაიძახა აღელვებულმა მაგჟანმა და თვალი ვერ მოსწყვიტა ალექსის დაღლილ, სევდიან სახეს.

ყაზახეთიდან რამდენიმე ოჯახი რომ დაბრუნდა ირმისში, ზაფხული განახევრებული იყო. „დაგვიანებული უწყებების" ირგვლივ ათასნაირი ხმა დადიოდა.

სარდიონ მაღალაშვილი არა ჩანდა, იძახდნენ, მანქანის ავარიაში დაღუპული რაფიელ ბრეგაძის შესანდობარსა სვამდა, თბილისში რომ გაიწვიესო.

რამაზ მელითაურსაც იშვიათად ხედავდა ვინმე. იმ დღეს კი მან ჩვეულებრივი სითამამით შეაღო გულვარდიშვილის კაბინეტის კარი.

მდივანმა სალამზე არ უპასუხა, არც დაჯდომა შესთავაზა.

— უწყებებს შენ ვინ გაკითხებდა? მაღალაშვილი გასწირე? — ჰკითხა კუშტად.

— შენ მაღალაშვილის ბედი გაწუხებს, თუ შენი საკუთარი? — შეაგება კითხვა მელითაურმა.

— შენ ძალიან გათავხედდი! — წამოხტა გულვარდიშვილი საკარძლიდან.

— ნუ ჰყვირი, თავი მტკივა, — ხმადაბლა უთხრა მელითაურმა.

— როგორ მიბედავ? დაგავიწყდა, ვის ელაპარაკები?

— ნუ ჰყვირი-მეთქი, — ისევ ხმადაბლა და მკაცრად შეაწყვეტინა მელითაურმა და თვალი თვალში გაუყარა მდივანს.

გულვარდიშვილს მოეჩვენა, რომ ელვამ გაარღვია ყომრალი ნისლი. მოეჩვენა, რომ ვიღაცა სხვა, უცნობი კაცი ელაპარაკება, რომელსაც უფლება აქვს ელაპარაკოს და მოექცეს ისე, როგორც მოეპრიანება. და უცებ სიტყვაგამწყდარი დაეშვა საკარძელში.

მელითაურმა შეიცადა, ვიდრე საკარძლის სახელურებზე დალაგდებოდნენ მოწითურო ბალნიანი ხელები, და მერე თვითონაც დაჯდა.

სახელურებს რომ ჩაეჭიდა, გულვარდიშვილს გულზე მოეშვა. გუნებაში ჩაეცინა კიდევაც თავის წამიერ სისუსტეზე. მადლობა ღმერთს, მის საკარძელს არსაიდან რა ემუქრება. გუშინ ჩამოვიდა პროკოფი თბილისიდან. იქ, ცენტრალურ კომიტეტში ჩვეულებრივი პატივისცემით მიიღეს და გამოაცილეს. ვითომ რას თავხედობს ეს ვაჟბატონი? ეხლავე დაითხოვს კაბინეტიდან და აუკრძალავს აქ შემოსვლას!

— ყვირილსა და მუქარას მოეშვი, — მიუხვდა განაფიქრს მელითაური. მშვიდად უთხრა: — მე საჩხუბრად არ მოვსულვარ. ეხლა შენთან და შენისთანებთან ჩხუბს ვაჟკაცობა აღარ ეთქმის...

— რათა, რა გგონია? — მთლად გამოეგო წუთით შემდგარ ეჭვს გულვარდიშვილი და თხელი წარბები დაცინვით აჭიმა.

მელითაურმა კვლავ შეიცადა, ვიდრე პროკოფის დანაოჭებული კანი გახუნებული ნარმასავით აიკეცებოდა თხემამდე და ყურის ნიჟარამდე. „მართლაც არ იცის, რა მგონია. არასდროს არ იცის, ვინ რას ფიქრობს. თავის ქალა კუბოს მიუგავს. აზროვნების კუბოს. შიგ ერთადერთი ფიქრი ფუთფუთებს — „მე!" სხვა ყველაფერი ამის ირგვლივ ტრიალებს..." — ფიქრობდა მელითაური, ვიდრე მდივანი წარბებს ადგილზე დაუშვებდა. მელითაური ახლა მის შეყვითლებულ, მქრქალ კანზე დარჩენილ, დაშლილი ნაოჭების წვრილად დახაზულ ნაკვალევს მიაჩერდა. თავის ტკივილისაგან იყო, თუ ხრწნის სუნი ეჩვენებოდა — გული ერეოდა.

არც მდივანი აშორებდა თვალს მელითაურს. იგრძნო: რაც უნდა ეთქვა, როგორც უნდა დაეტუქსა თუში, სასაცილო თვითონ გახდებოდა. სჯობდა, ყველაფერი ხუმრობად და მეგობრულ წაქილიკებად მიეღო.

— მითხარი, როდისმე თუ მოგსვლია აზრად, ადამიანს ადამიანი რად ჰქვია? — ჰკითხა ამ დროს მელითაურმა.

— ო, ეგ მართლაც თავსამტვრევი და საინტერესო საკითხია! — გაიცინა გულვარდიშვილმა და ხანგრძლივი საუბრისათვის განეწყო.

რისთვის ჰკითხა? სულერთი არ არის, რას უპასუხებს პროკოფინა? აქ ჯდომა, მისი ყურება, მისი ხმის გაგონება არ შეუძლია. მოვიდა იმისათვის, რომ მის შეზღუდულ გონებაში ის ერთადერთი ფიქრი და საზრუნავი „მე" აუმოქმედოს. და რადგან ამისი მიღწევა წარმოუდგენლად ადვილია, დროს დაკარგვაც არა ღირს.

— შენ გაინტერესებს ეგ თავსამტვრევი საკითხი? მე რომ წავალ, მაშინ არკვიე, ეხლა მომისმინე, ხოლოთ ნუ აყვირდები, თავი მტკივა და გულიც მერევა. მოვედი, რომ გირჩიო. იცოდე, მალალაშვილი შენ არ დაგინდობს, ხელს არ დაგაფარებს. მის სეიფში გაყვითლებული უწყებები თქვენი ბოროტების ერთი მარცვალია, რომელიც გამოიღებს ნაყოფს — ბოლოს მოუღებს შენს მდივნობას. დაიცა, ნუ ღელავ, მათქმევინე, შენს სასიკეთოს გეუბნები! ვიდრე ჯერ კიდევ დრო გაქვს, ეცადე ზოგიერთი დანაშაული მაინც გამო-

ასწორო. ამას შენთვის დიდი მნიშვნელობა ექნება. კარგად დამიგდე ყური. ალექსი რჩეულიშვილის გასახლება საკუთრად შენი დანაშაულია. იზრუნე იმის დაბრუნებაზე. ეცადე, ყოველგვარი ღონე იხმარე, სწრაფად გამოასწორე ეს დანაშაული. ხო იცი ის კაცი როგორ უყვარს ხალხს, ამას დიდ სიკეთედ ჩაგითვლიან, დაგიფასებენ, ბევრ სხვა წყენას გაპატიებენ. ზევითაც დიდ დამსახურებად ჩაგითვლიან, მოგიწონებენ. ვაჟკაცობას შეგიქებენ, გაიმაგრებ შენ მდგომარეობას, ეგებ უფრო წინ წაგწიონ, ხომ ხედავ, ეხლა ჰუმანიურობა დიდად ფასობს.

— რა ჰყოფილხარ, მელითაურო? შენ კი დამიფასე ზრუნვა და მხარდაჭერა? გზათა უკან დაყიალობდი, ჩემ რაიონში შეგიკედლე, კაცად გაქციე, საუკეთესო სამსახური მოგეცი და შენ კი...

— მიმიფურთხებია შენი მოცემული სამსახურისათვის. თბილისიდან პასუხი მივიღე, თავისუფალი ვარ. ზრუნვა დაგიფასე და შენთან იმიტომ მოვედი, მიიღე ჩემი რჩევა, ამ წუთიდანვე დაიწყე, იმ კაცის დაბრუნებაზე ჩალიჩი.

— გიჟი ხო არა ხარ, იმის დაბრუნებას მე ვინა მკითხავს?

— არა, გკითხავენ. შენი და რაფოსთანების მოჩხლართულ საძაგლობას არკვევენ, მაგრამ დაჩქარდი, შენც ჩაიდე წილი, მოახერხე ჩარევა. შენი ბედი, რომ რაფომ ადრე მოსატეხი კისერი გვიან მაინც მოიტეხა. დაუყოვნებლივ იმოქმედე. ვიდრე მდივანი ხარ, შენ სიტყვას ძალა და გასავალი ექნება. დღესვე გაგზავნე წერილი. შენ ფაქტების დამახინჯების და ტყუილების ოსტატი ხარ, დაწერე, რომ იმ უწყებების აღმოჩენაც შენი დავალებით მოხდა. დაწერე, რომ იმ ხალხის გასახლების ისეთი წინააღმდეგი იყავი, რომ ბრეგაძემ კინაღამ პარტიული ბილეთი დაგატოვებინა, რომ მიუხედავად ამ საშიშროებისა, შენ მაინც შესძელი და ალექსი რჩეულიშვილის ცოლ-შვილი გადაარჩინე. დაწერე. შეგიძლიან დარიანის რაიონის მშრომელების სახელით მოითხოვო ბრეგაძის მიერ დარღვეული სიმართლის აღდგენა. დროს ნუ დაკარგავ, შენთვის ყოველი საათი ძვირფასია, დაწერე, მე ხელს აღარ შეგიშლი...

მელითაურმა ხმაურით დასწია სკამი და წამოდგა.

— შენ გვიან დაიბადე, პატარა, ღვარძლიანო ფეოდალო, ტაკიმასხარა პროკოფინავ! — უთხრა და გატრიალდა, აუჩქარებლად გავიდა კაბინეტიდან.

გონს მოსული გულვარდიშვილი ფანჯარას ეცა. დაინახა, მე-

ლითაურმა მოედანი გადაჭრა და თვალს მიეფარა. მიხვდა, თუშმა დიდი ხნის წადილი შეისრულა — გაექცა ბარს...

მელითაურის ნასროლი ისარი ზუსტად მოხვდა მიზანს. საკუთარ ბედზე აფორიაქებული ფიქრები პროკოფის თავში ისე აირივნენ, დაედევნენ ერთმანეთს, როგორც რკალები ამღვრეული ჭაობის ზედაპირზე. „ამ ლაპარაკს მოწმე არ შესწრებია, აქედან ამბის გამტანი არავინ იყო", — გაიმაგრა გული და ყველაფერი საწყენი, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი, რაც ასლასან მოისმინა, თვალთაგან მიფარებულ თუშს გააყოლა. დარჩა მხოლოდ ფიქრი თავდაცვაზე.

ნელა მოშორდა ფანჯარას. მალალჭერიანი კაბინეტი, ლამაზი ახალთახალი ავეჯი, ბროლის ჭაღი შეათვალიერა და შუქის ჩამრთველი გადაატრიალა. ჭაღის რვა ნათურა აინთო. მეორედ გადაატრიალა და კიდევ რვა ნათურა აინთო, მესამედ — კიდევ რვა. თვალებმოჭუტულმა ერთ ხანს უყურა გაჩახჩახებულ ჭაღს, მერე სწრაფად მივიდა სეიფთან, „საიდუმლო" საქაღალდე გამოიღო, საწერ მაგიდას მიუჯდა და ზარის მილაკს თითი დააჭირა.

— სასწრაფო სამუშაო მაქვს, ჩემთან არავინ შემოუშვა, გესმის, ა-რა-ვინ! — მკაცრად უთხრა შემოსულ მდივან ქალს, და ქალმა კარი რომ გაიხურა, საქაღალდე გადაშალა. ქაღალდებს სინჯავდა და თან თავის თავს ელაპარაკებოდა:

— რამდენი სულელი ჰყავს ღმერთს! ღირსეულად მოპოვებულ ჩემს მდგომარეობას რა საფრთხე უნდა ემუქრებოდეს? „ფეოდალი". ეს შურია და იდეურ-პოლიტიკური ჩამორჩენილობა. მე პარტიამ გამზარდა. მე ძირითადი პარტიული კადრი ვარ. დიახ! განა ბევრსა აქვს ამდენი წლის პარტიული მუშაობის გამოცდილება? სხვა ვინ გაუძლებდა ამდენ ხანს ნერვიულ, დაძაბულ მუშაობას რაიონში? ალბათ მალე პარტიის ცენტრალურ აპარატში გადამიყვანენ. მე ამის უფლება მოვიპოვე ჩემი უმწიკვლო, თავდადებული მუშაობით, იქ სწორედ ჩემისთანები არიან საჭირო. მე ვერავინ ვერავითარ ნაკლს ვერ მომიძებნის და ვერ წამომაძახებს. პარტიისა და მთავრობის ღონისძიება გავაკრიტიკე როდისმე? ბრძანება არ შევასრულე როდისმე? უფროსებს პატივს არა ვცემდი თუ რა? ჩემ სანიმუშო დისციპლინას ყოველთვის აღნიშნავდნენ. ამის დასამტკიცებლად თუნდა აი, ეს დოკუმენტები...

მან საქაღალდედან ძველად წარდგენილი მოხსენებითი ბარა-

ოების ასლები ამოიღო, გადაათვალიერა და ყველას ერთად ასანთი მოუკიდა, დაიცადა ვიდრე ქაღალდები დაიწვებოდა, ფერფლი ჯერ წაუკითხავ გაზეთში ბეჯითად შეახვია და პორტფელში ჩადო. თავი დაიმშვიდა:

„მე ვალდებული ვიყავი სათანადო რეაგირება გამეკეთებინა. მაშ არ მიმეწერა სათანადო ინსტანციებში, რომ ჩემს რაიონში პურის დამზადებისა და სხვა საკითხების ირგვლივ რჩეულიშვილი გამოდიოდა მთავრობისა და ხელისუფლების წინააღმდეგ?! მე იძულებული ვიყავი გამეგზავნა სათანადო სიგნალი...“ — დაიმშვიდა თავი და კალამი მოიმარჯვა, აჩქარდა მელითაურის ნაკარნახევი და საკუთარი აზრების ქაღალდზე გადატანას:

„...დიახ, ამხანაგი რჩეულიშვილი გმირულად გამოდიოდა მაშინდელი მცდარი კურსის წინააღმდეგ და მე დიდად ვაფასებდი მის პრინციპულობას, გულში მთლიანად ვიზიარებდი მის პოზიციას, მაგრამ როგორც პარტიულ ხელმძღვანელს, არ შემეძლო ამის აშკარად გამჟღავნება. განა ადვილი იყო, პირადი დამოკიდებულების და სიმპათიის მიუხედავად, სიგნალის გაგზავნა? მაგრამ რა მექნა, მე იძულებული ვიყავი. ასე იყო საჭირო... ის მერე, როცა რეალური სიტუაციის მიხედვით შეიცვალა ჩვენი პარტიისა და პოლიტიკის კურსი ამ საკითხში, მაშინ გავიგეთ, რომ პურის საკითხში დამახინჯებებთან გვქონდა საქმე. კინაღამ კახეთში ვაზი მთლად ამოვძირკვეთ, მაგრამ ჩვენ გააზრებულად მივდიოდით რისკზე, ვაით იყო თუ ვაგლახით, ზვრების დიდი ნაწილი მაინც გადავარჩინეთ აოხრებას. რჩეულიშვილისადმი ჩემი სოლიდარობა და დამოკიდებულება იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ მიუხედავად რაფიელ ბრეგაძის დიდი წინააღმდეგობისა, მე მას პირდაპირ ხელიდან გამოვტაცე ამხანაგ რჩეულიშვილის ცოლ-შვილი, საუკეთესო სპეციალისტი შევუნარჩუნე დარიანის რაიონს. რაც შეეხება დანარჩენ ოჯახებს, მე ისეთი წინააღმდეგი ვიყავი, ბოღმისაგან კინაღამ ინფარქტი დამემართა, მაგრამ ბრეგაძესთან ვერაფერი გავაწყე, ეს ღონისძიება ბრეგაძის ხაზით ტარდებოდა, სიაც იმისი შედგენილი იყო. მე ისეთი წინააღმდეგი ვიყავი, რომ დამემუქრა, პარტიის ბილეთს დაგატოვებინებო. რაფიელ ბრეგაძის ბოროტმოქმედების გამოსწორება მე მაშინღა შევძელი, როცა ჩვენი რაიონის მილიციის უფროსის სარდიონ მალალაშვილის სეიფში უნარიანად მივაკვლიე ჩვენი ბიჭების ფრონტზე გმირულად დაცემის უწყებებს...“

უწყებებთან დაკავშირებით უცებ გაახსენდა „დარიანის რაიონის გაჯანსაღების“ მიზნით ბრეგაძესთან ერთად შედგენილი „პროექტი“, ციებ-ცხელებიანი სიჩქარით მოძებნა იგი საქაღალდეში, საკუთარ ხელმოწერას დააკვირდა და გულგახეთქილმა მოუკიდა ასანთი. მერე საქაღალდედან წერილი ამოაძრო.

ეს ბელორუსიის სოფელ იაბლონკაში დაწერილი წერილი იყო, თბილისის სამხედრო კომისარიატიდან გადმოგზავნილი დარიანში — ის წერილი იყო, გულვარდიშვილი ტრიბუნაზე რომ აფრიალებდა სავსე დარბაზის თვალწინ. ცოლ-ქმარი რომანიუკები და მათი შვილი სერიოგა იწერებოდნენ. მათ არ იცოდნენ, დაბრუნდა ფრონტიდან თუ არა მათი ნაცნობი ზემდეგი ალექსი რჩეულიშვილი, ამიტომ დაწვრილებით გვატყობინებდნენ მის შესახებ ყველაფერს, რაც იცოდნენ, და რაც მოგვიანებით შეეტყოთ დივიზიის კვალდაკვალ მისი ძებნის შედეგად. წერილში ეწერა, რომ ზემდეგი წარდგენილი იყო უმაღლეს ჯილდოზე, მაგრამ კონტრდაზვერვის უსინდისო მაიორ მედვედევთან მომხდარი გაუგებრობის გამო შეფერხდა საქმეო, მაგრამ იაბლონკაში ზემდეგს მაინც სთვლიან გმირად, თუნდაც ეს არ იყოს ოფიციალურად აღიარებულიო. იწერებოდნენ, რომ ისინი მოუთმენლად ელიან პასუხს და არ კარგავენ იმედს, პირადად გადაუხადონ მადლობა ზემდეგსო...

გულვარდიშვილმა ამ წერილის დაწვაც დააპირა, მაგრამ უცებ გადაიფიქრა და ასანთი ჩააქრო. „გაგიჟდა? კინაღამ ასეთი ძვირფასი დოკუმენტი მოსპო. დეპეშას გაგზავნის ბელორუსიაში, რომ ყოფილი ზემდეგი, ეხლა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ალექსი რჩეულიშვილი მივლინებაშია და დაბრუნდება თუ არა, გიპასუხებთო. ამ წერილს და დეპეშის ასლს კი ჩემ მოხსენებით ბარათს დავურთავ და სპეცკომისიას შევატყობინებ, რომ წერილს ბრეგაძემ გაუკეთა კომენტარები და წერილიც უწყებებთან ერთად აღმოვაჩინე მაღალაშვილის სეიფში!“

თავისი მრავალგვერდიანი „მოხსენებითი ბარათი“ გულვარდიშვილმა ასე დაასრულა: „ყველა ზემოთაღნიშნული ფაქტების საფუძველზე, პარტიის დარიანის რაიონული კომიტეტი, რაიონის მშრომელებთან ერთად გადაჭრით მოითხოვს უსამართლოდ დასჯილი მაღალიდეური შეგნების ამხანაგის, შრომის ბრწყინვალე ორგანიზატორის და შეუდარებელი სპეციალისტი-მევენახის ალექსი რჩეულიშვილის დაბრუნებას.“

თავისი მახვილგონიერებით და შორსმჭვრეტელობით კმაყოფილი გულვარღიშვილი პარათის ვადათეთრებას შეუდგა. რას წარმოიდგენდა, რომ ამ დროს ივი საოცრად წააგავდა იმ მაიორ მედვედევს, რომელმაც მისი თქმით, „ნაწილის მეთაურები იხსნა საკალალო შეცდომისაკან". და რას წარმოიდგენდა, რომ მოედნის მოპირდაპირე მხრიდან მელითაური უყურებდა მის ფანჯრებს.

„ჭალი აუჩახჩახებია, მაშ, ღამჯდარა საწერად. უ-უფ, პროკოფინავ, რად ვანდეს, როგორ განდეს შენ ეგ კაბინეტი? ან ეგეთი უვიცი და გამოთაყვანებული როგორ ახერხებდი წლების მანძილზე მაგ ადგილის შენარჩუნებას? ჰოდა, რაკი იმასა, ვისაც ევალებოდა შენი ავ-კარგიანობის გარკვევა, აქამდე ვერ გაარკვიეს, ეხლა დარიანელები დაგიდგენენ ჭეშმარიტ ღირებულებას, ესენი მოგიძებნიან შესაფერ ადგილსამყოფელს..." — რამაზმა გამეტებით მოისრისა ცხელი შუბლი, თვალი მოსწყვიტა ფანჯრებს და სწრაფად გაეცალა იქაურობას.

ორიოდე დღის შემდეგ გულვარღიშვილი „პობედით" მიაქროლდა ნათესავებისაკენ. გზა კირიანზე გადიოდა. პროკოფის ჭირიკეთ ეჯავრებოდა იმ დანგრეულ-გალატაკებულ სოფელზე გავლა, იმიტომ ეჩქარებოდა ნათესავებისათვის თბილისში ბინის მიღებას, ჯერჯერობით კი რა ჩარა იყო, ამ გზაზე უნდა ევლო.

უკანასკნელ ღობემონგრეულ სახლს რომ გასცდნენ, კირიანელმა შოფერმა ხელმარცხნივ სერს გახედა, კვამლის ბოლქვები შენიშნა, ცერად გამოხედა გვერდით მჯდომ მდივანს, მოკლეულვაშიანი ტუჩი კბილით ჩაიჭირა და გაზს უმატა. მალე იძულებული გახლა მანქანა დაემუხრუჭებინა — წინ გზა ისეთი აყრილი დახვდათ, მანქანით კი არა, ფეხითაც ვერ გაიელიდა კაცი... მანქანიდან გადმოსულმა შოფერმა გზა შორამდე დაათვალიერა, ხელი უიმედოდ ჩაიქნია, საყვირი საგანგაშოდ ასმაურა და ხალხის დასაძახებლად ღობე-ღობე დაიარა.

აღრენილი მდივანი წინა სავარძლიდან უკან გადაჯდა, რაც შეეძლო ღრმად შეიკუჭა. „ისეთი უტიფარი ხალხია, გზაზეც გადაგიდგებიან და თავისი გაუთავებელი თხოვნა-წუწუნით სულს ამოგსდიანო", — ხშირად შეუჩივლია თავისი შინაკაცებისათვის.

საყვირის ხმაზე ბლომად კაცები გამოვიდნენ გზაზე, თითქოს

სამუშაოს მიანებეს თავიო, ზოგს ბარი, თოხი ან ფოცხი შერჩენოდა სელში!

„ერთი შესედვით ეს კირიანი უკაცრიელი გეგონება და უყურე, რამდენნი ყოფილან“, — გაუკვირდა პროკოფის, არავის იცნობდა, საიდან მოხვდებოდა, რომ კირიანელების გარდა, იქ ახლომახლო სოფლებიდანაც იყო ხალხი მოსული.

ხალხი თავაზიანი სალამ-ქალამით შემოესვია მანქანას.

გულვარდიშვილი იძულებული გახდა ფანჯრის მინა დაეწია და თავმდაბლობაც კი გამოეჩინა.

— გამარჯობათ, ამხანაგებო, როგორ გიკითხოთ?

— შენი წყალობით რა გაგვიჭირდება?! — მიუგეს დინჯად.

— ამ გზას რა დაემართა?

— აიმ ავდრიანზე ნიაღვარმა ჩამორეცხა და მერე ტრაქტორებმა მოუღეს ბოლო! გვცოდნიყო აქეთ აპირებდით, ღამეს დავათენებდით, რაღაცას მოვუსერხებდით! — უპასუხეს აქეთ-იქიდან.

— ვიდრე გზა გაიწმინდება, იქნება დასვენება ინებოთ, — შესთავაზა ერთმა დარბაისელმა გლეხმა.

— ძალიან მეჩქარებოდა...

— მაინც დაცდა მოგიხდებათ, ვიდრე გზა გაიწმინდება.

— ღღეობა ხომ არა გაქვთ, ბევრნი შეკრებილხართ! — ღიმილით შენიშნა მდივანმა. „დღეს როგორღაც არა ჩანან წუწუნის გუნებაზე“, — გაიფიქრა თან.

— ღღეობაზე უკეთესი ამბავი გვაქვს, თუ პატივს დაგვდებთ და წამობრძანდებით, საკუთარი თვალით ინახულებთ!

თავაზით, მშვიდად, გულიანად სთხოვდნენ და მეტი უარის თქმაც აღარ შეიძლებოდა. მდივანი მანქანიდან გადმოვიდა და ხალისიანად მობაასე ხალხით შემოხვეული, სოფლისკენ წავიდა. დარწმუნებული იყო, რომ თავისი გაჭირვების საჩვენებლად მიჰყავდათ, მაგრამ არა ჯავრობდა. „ზოგი ჭირი მარგებელიაო, — ფიქრობდა გზადაგზა. — მაჩვენონ. თუ რამე მთხოვეს, დახმარებას შევპირდები, ეხლა სწორედ მისწრება იქნება გზის შეკეთებაც რომ შევპირდე... — მან ჩალის პანამა მოიხადა, ზოგიერთი გლეხივით თავზე ბოლოებგამონასკული ცსვირსახოცი დაიფარა და გაზეთის მარაოს რხევით განაგრძო აუჩქარებელი სვლა.

საუბარში გართულნი შეუმჩნევლად მიადგნენ ერთ პატარა, სუფთა და პირიან ნაგებობას.

- ხელმარჯვე მშენებლები გყოლიათ! შიე რა გაქვთ მოწყობილი? — ვითომ ძალიან დაინტერესდა, დარდიმანდულად იკითხა გულვარდიშვილმა.

— ჩამოდექით, კარებში რას ჩამდგარხართ? პირველები რომ მიიმტვრევთ თავპირს, არ გინახავთ თუ რა?! — გაუწყრნენ უფროსები შესასვლელში შეჯგუფებულ ახალგაზრდებს.

ფართოდ გაღებულ კარს ყველანი ჩამოეცალნენ. ვიდრე შიგ შესული გულვარდიშვილი სიბნელეს თვალს შეაჩვევდა, დანარჩენებმა შენობა უცებ დაცალეს და კარი დახურეს.

— დაბრძანდი, უფროსო, მანდ სკამიც არის, ლოგინიც, ლამპაც, დაბრძანდი და მოისვენე, — უთხრეს გარედან და კარი ჩარაზეს.

ჯერ გაოგნებულმა, მერე ეაასპიტებულმა გულვარდიშვილმა იყვირა და იწივლა, კარს მუშტები და წიხლები დააყარა.

— დამშვიდდი, გეთაყვა, ტყუილუბრალოდ გულს ნუ იბრუსებ. კარს ჩვენ არ გაგიღებთ, შენ კი ვერაფერს დააკლებ. წამოწექი, დაისვენე. პური და ხახვიც მოგიმარაგეთ, არ გვისაყვედურონ, კაცი შიმშილით მოგვიკალითო, თორემ შენ ჩვენი პურის ნამცეცის ღირსიც არა ხარ.

— გააღეთ ახლავე! მოიავრობის შეურაცხყოფისათვის მთელ სოფელს ავყრიან! გააღეთ-მეთქი! გააღეთ, თორემ...

— ეეყო ყვირილი, — მკაცრად შეაწყვეტინეს გარედან, — შაკ დღეს შენ ისე შეგვაჩვიე, მუქარა აღარ გვაშინებს. დაბრძანდი და დაისვენე.

— რა გინდათ ჩემგან, რა? მითხარით, რა ეინდათ? — ისევ ფანდი სცადა გულვარდიშვილმა.

— რაც აქამდე მივიღეთ შენგან, ისიც გვეყოფა. ეხლა ცოტა მოითმინე, შენი მანქანით ქალაქში კაცებს გავგზავნით, უფროსები ჩამობრძანდნენ და თითონა გნახონ, რა დღეში ხარ. მერე შეს იცი და იმათ. როგორც თქვენ მორიგდებით, ჩვენ ყაბულს ვიქნებით, ამაზე კაი სიტყვა რაღა იქნება?

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს დამიძახეთ! ეე არის თქვენი სინდისი? თქვენი უგუნურობით ღუპავთ იმ კაცს!

— შენ იმის დარღი ნუ შეგაწუხებს, ჩვენ დავუმოწმებთ, რომ ის არაფერ შუაა, მესამე დღეა ალაზანზე ქეიფობს და ამ საქმის ბაიბურშიც არ არის. ეხლა დაისვენე, ჩვენ ჩვენ საქმეს უნდა მივხედოთ!

ჩარეთ ლაპარაკის ხმა მიწყდა. ნაპიჩუი აღარ ისმოდა. გულვარდიშვილმა ირწმუნა, რომ პირიანად საგებ ბოსელს მართლაც ვერაფერს დააკლებდა და ტვინარეული, გატრუნული მიეგდო ტახტზე. „აი ბიურმე რა ეოუფიქრებიათ? ეს როგორ დამემართა, ამ ყანაღლებს როგორ ვენდე? ნუთუ მართლა ჩამოიყვანენ ვინმეს? არა, შაგას ვერ გაბედავენ, განა არ იციან, რა დღე დაადგებათ? პასუხისმგებელი პირის გაბიაბრუებას აპატიებენ? ნეტა შოფერმა განგაში არ ატეხოს. შინაურულად უნდა გავათავოთ ეს საქმე. ხუმრობად ჩავთვალოთ. მითხრან, რა სჭირდებათ, და ყველაფერს შევუსრულებ... არა, არაფერს არ იფიქრებს, მართლაცდა, გული რად გადაიბრუნოს, გავიდეს აქედან და აჩვენებს სეირს ამ ველური თვითსებობისათვის...“

ხალხმა ამასობაში მანქანასთან მიაცილა თბილისში გასაგზავნად არჩეული კაცები. დანა პირს არ უხსნიდათ. განა თვითონ კი უხაროდათ? გასახარი რა ჰქონდათ, თუ, აუტანელმა მდგომარეობამ ეს საოცრება ჩაადენინათ?

შოფერი საჭეს მიუჯდა. ნაფრონტალი კაცი იყო, ცალი ჭაჭა ამოქრილი ჰქონდა. გულვარდიშვილის გვერდით ჯდომა ჰაი-ჰაი, ბევრჯერ შეზიზღებია. „თავი ცოცხალი რაღად უნდა, საქმე ისე გაიხადა, ღორივით ბოსელში შეაგდეს, — ფიქრობდა დაძმარებული, — პასუხს მეც მომკითხავენ, უნდა დაგეცვა მდივანიო, მომკითხონ! რსეულიშვილმა თავი საციმბიროდ გაიხადა, მე კი შევშინდე? ცოლშვილს სოფელი მიმიხედავს და ჩემი თავი ამ ხალხის ჭირის სანაცვლო იყოს!“

აბა, — უკანასკნელად დაიძახეს გამცილებლებლებმა, — მაგრა დადექით, ყველაფერზე ერთნაირად უპასუხეთ: „არაფერი ვიცით, წამობრძანდით და ადგილზე ნახეთ თქვენი თვალითა-თქო!“

სერზე შემდგარმა მელითაურმა თვალი გააყოლა ქალაქისაკენ მიმავალ მანქანას და შვებით ამოიოხრა. მერე დანაკვერჩხლებულ ფიჩხს მიწა წააყარა, უკანასკნელად გაიხედა ირმისისაკენ და „ტრედანას“ მოახტა.

კარგა სნის ჭენებით დაღლილს, ეთა-თუშეთიდან წამოსულ ცხვარს შემოსვდა. გახარებულმა ეწყემსებმა ფარები დააყენეს და ღამის თევა იქვეს. ცეცხლის ირგვლივ შემომსხდარნი, გულისნადების ამოსაღებს ვერ ილევდნენ. რამაზი შიგადაშიგ ძველებურად

„აურევდა“ ხოლმე. დარიანელ რომელიმე „ჩინონიკს“ ისე სასაცილოდ წარმოუდგესდა, რომ მწყემსები სიცილისაგან დაოსებული გორაობდნენ.

ეპიზოდისას აიშალნენ და დიდხანს, ძალიან დიდხანს აცილებდნენ ერთმანეთს. ასე არასდროს ეასჭირვებიათ განშორება. მწყემსები ეხვეწებოდნენ, წამოდი კასპიისპირეთშიო, ზამთარში უჩვენოდ მთაში რა გაგაძლებინებსო, მაგრამ ვერასგზით ვერ დაიყოლიეს.

— გაზაფხულზე რომ დაბრუნდებით, მთაში მე ვიქნები თქვენი მასპინძელიო! — სიცილით არწმუნებდა მწყემსებს.

როგორც იქნა, გაიყარნენ. „ტრედანა“ მოსახვევში გაუჩინარდა.

სარქალმა, ცალთვალა ფირანამ თავი გააქნია და ისე ნაღვლიანად თქვა, გეგონება, გულმა უგრძნოო, გეგონება, ენამ უყივლაო:

— ნეტა ვიცოდე, ეს ჩვენი რამზა რას მოუტეხია? იმ თოვლიან მთაში რას მიდის? ეგზანდ არსად გადაინეხოს დაა...

თავი მეექვსე

ვაჟა კვერენჯაძეს — დარიანის რაიკომის ასალ მდივანს დარიანელების გაცნობაზე დრო არ ეკარგება. მათთან ენაც საერთო აქვს და თვითონაც არა ერთი სტრიქონი ჩაუწერია ამბავში, ირმისში რომ იწერება და სოფელ-სოფელ იკინძება. საკუთარი ოჯახივით ნაცნობ სოფლებს უვლის და თანდათან უფრო უკვირს, როგორ მოახერხა იმ „გულვარდმა“, ისე როგორ აიმხედრა ეს პატიოსანი, მშრომელი, მრავლად ჭირისმომენი ხალხი, რომ ის საოცარი, არგაგონილი განაჩენი გამოატანინა?!

გულში უკვირს, პირად კი არც თვითონ, არც ხალხი აღარ ახსენებს დარიანის ცხოვრებიდან ამოძირკულ „ფეოდალს.“ ვაჟას სწადია, ამბავში დაწყებული ახალი თავი ბოლომდე ლამაზად გაიტანოს, მაგრამ მის წადილსა და წადილის შესრულების შუა ჯერ ისევ დგას ბოროტების ჩრდილი.

ძილი უკრთის ვაჟას. ყურში ერთთავად ჩასწივის დარიანელების სათქმელი: „მოხვედი შენ, ახალი ხელმძღვანელი. იქნებ ძალიანაც ივარგო, ჩვენ ყველაფერში ხელს დაგახმარებთ, მაგრამ ჩვენი გული კი განზე იქნება, სანამ შენ სიმართლის კვალს არ გაიტან ბოლომდე“.

იცის ვაჟამ. ადვილად მისაბრუნებელ-მოსაბრუნებელი გული სასდო არ არის, მაგრამ დარიანელების გულის მობრუნებას თუ შესძლებს, მომავლისაკენ საიმედო თანამგზავრები ეყოლება. ამათი გულის მობრუნება კი ძნელია, მის ხელთ არ არის, და ძილი უფრთხის ვაჟას. „ყაყაჩო" კი დამშვიდების ნაცვლად, ჭინჭარივით სუსხავს:

— ეს საქმე თუ არ მოაგვარე, შენი რწმენა საიდან ექნებაო? იტყვიან, ძველი და ახალი მდივანი რას გაურჩევია, თუ რჩეულიშვილი როგორც დაგვიკარგეს, ისევ ისე იქნება გადაკარგულიო!

— რაიკომის მდივანი შენ ყოვლისშემძლე ხომ არა გგონია? — დუღს ვაჟა, უბრაზდება ცოლს: — მე მხოლოდ იმის გამოსწორება შემიძლია, რაც ჩემზეა დამოკიდებული. პურიც ბევრი გვექნება. ცხვარსაც ვამრავლებთ. აბრეშუმიც ბევრი გვინდა. ეთერზეთოვანთა პლანტაციებსაც გავაფართოვებთ. სიმინდსაც მოვიყვანთ, ოღონდ ყველამ უნდა იცოდეს, შეიგნოს, რომ ჩვენთვის მთავარი — ვენახებია, რომ კასეთის თვალიც და დედოფალიც — ვაზია! ზვრები უნდა შევიმატოთ, ჯიშები უნდა ვაუმჯობესოთ, მაგისთვის არ დაიცვა ხატულამ დისერტაცია? ბევრი და კარგი მევენახე გვჭირდება. ალექსი რჩეულიშვილი ყველაზე ძალიან მე მჭირდება, მაგრამ მე ყოვლისშემძლე არა ვარ, გაიგე, არა!

— მაგას, რაც შენა ბრძანე, დარიანელები უშენოდაც კარგად მოუვლიან, მაგით ვის მოხიბლავ? — არა ცხრება მაკა, — სიმართლეს თუ ვერ დაადგენ, ეს ხალხი ცოტას გიყურებს და მერე შენც გამოგიტანს შესაფერის განაჩენს!

— რას შემომიჩნდი, ქალავ? გგონია, რაკი ცუდი ხელმძღვანელი გამოცვალეს, ყველაფერი ერთბაშად მოწესრიგდა? სიბოროტის მოჩხლართული საქმე იმდენია, რომ ყველაფრის გასწორებას დრო უნდა, დრო! მოთმინებაა საჭირო, ყველაფერი ერთი შებერვით არ გამოვა, მე არა ვარ-მეთქი ყოვლისშემძლე, ვერ გაიგე?

— უყვარდათ ვაჟა კვერენჯაძე, „კარგი ბიჭიაო", — მაინც იკბინეა ჭინჭარი, — რაიკომის მდივნისთვის ეგ ალარა კმარა, ჩემო კარგო. ვინც ვერ გაიგებს, რით არის ხელმძღვანელი კარგი, ის ბოსელისკენ გზას იმოკლებს, დიახ!

— არაფერიც არ გესმის! გეჩიჩინები და ვერ გაგაგებინე, დრო, ცოტა მოთმინებაა საჭირო! ეეგონება, მე გულხელდაკრეფილი ვიყო ანა არსეიასად მძინავს! — ეავარდა სახლიდან ვაჟა.

მაკა გულს იოხებს, თორემ განა არ იცის, ყველაზე უკეთ იცის,

როგორა ცდილობს ვაჟა, რომ დაარქაროს ალექსის დაბრუნება. იცის, მოთმინებაა საჭირო, მაგრამ ხატულასთან შეხვედრა უძლიმს და უხატულობა კი ძალზე აკლია, გულსა სტკენს.

და მოლოდინით, იმედით, შრომით დადენთილი დღეები გარბიან. ისე გარბიან დარიანის დღეები, რომ შეუმჩნევლად ილეკა ის ზამთარიც, ხეში წვენი იღვინებს, მაღლდება ზვირთი ირმისსევში...

* * *

...ყაზახეთის შორეულ დასახლებაში კი ირგვლივ დღეები გულსალევად მიზოზინებენ. ზამთარს ბოლო არ უჩანს. ისევ ჰყინავს. ქვენა ქარი განუწყვეტლივ ზუზუნებს, უთვალავი თეთრი კალთით აყრის და აყრის თოვლს ალიზის ქოხებს, თავბრუდამსვევად ატრიალებს ოთხსავ მხარეს შემოიმდგარ, აუტანლად გადათეთრებულ ტრამალებს.

მოლოდინი აქ ხასიათის წრთობად იქცა.

ილეტაქსას ქოხში გათენებამდე ანთია შუქი. ბერძნული, ქართული, ყაზახური, რუსული წიგნები, სამედიცინო, ტექნიკური და მსატვრული ლიტერატურა, ჰომეროსი, ვერგილიუსი, სოფოკლე, დანტე ცდილობენ გაუთავებელი ღამეების შემოკლებას, მაგრამ რა უმადურია ადამიანი! აზროვნების გიგანტებს ირმისელ ბეატრიჩეზე ფიქრი ჩრდილავს, და წვა-დაგვით ნაშოვნ ფოლიანტებს სძლევენ მელნით მოთხუპნული, წერტილ-ძძიმეებთან დაუმზრახებული პატარა ნატოს წერილები.

ოო, ძია კოსტას ძალიან-ძალიან ენატრება პატარა ნატალი. ილეტაქსას უკვე აქვს საბჭოთა პასპორტი და ქალბატონ ნატალის ნებართვაც ირმისში ჩამოსვლაზე, მაგრამ... კოსტა ილეტაქსა — ირმისში, ალექსი რჩეულიშვილი — ყაზახეთში?! ეს ნამდვილი პარადოქსია, და კოსტას არ უნდა პარადოქსები. რა დააძინებს მას ირმისში, თუ ყაზახეთში უძილობა სტანჯავს მის მეგობარს?! მოთმინება, კამარად, მოთმინება! შენ ხელს არ გიშლიან ტყუპი ცნობისმოყვარე ბიჭები პატიკო-ზურიკო, იჯექი ოლიმპზე და ესაუბრე შენს ღმერთებს!

ილეტაქსას მეზობელ ქოხში თითქმის მუდამ ბნელა. თითქოს არაფერს აღარ ძალუძს დაამშვიდოს პროტესტით გადაღლილი ბუნელი.

ჩამქრალ ბუხართან ზის ალექსი და საკვამურში ღმუის, ზუზუ-ნებს, სკლუკუნებს ქარი.

ეჰ, რა თქმა უნდა, მოლოდინის ატანას პოეზიაც შველის, ალი-ზის აგურების კეთებაც, ჟანგიანი ნაწილებისაგან მანქანების შეკო-წიწებაც, ახალშენი ვაზის მოვლაც, ყინვაგამძლე ჯიშის გამოყვანაც, ქარდამჭერი ჯუბირების აგებაც, ბამბის თოხნაც, კრეფაც, მაგრამ...

მაგრამ ვინ ასსნის, რად გაჩენილა ადამიანი აერე, თავის მშობ-ლიურ მიწაზე ამოსული პაწაწინა სამყურა რად ურჩევნია უცხო მსა-რეში გაშლილ ყვავილნარს? რა ჯადო აქვს იმ უმწეო სამყურას, რომ კაცის გულს ჯაჭვივით დააბამს მშობლიურ მიწაზე და გაწყვე-ტილი ჯაჭვის ბოლოები გულისფიცარს ურტყამენ, ურტყამენ, ურ-ტყამენ, არცა ჰკლავენ კაცს, აღარც არჩენენ...

ეჰ, კარგია, ეს უსაზღვრო ცაც და უსაზღვრო ტრამალებიც უსას-რულობას რომ გაზიარებენ. კარგია, ყაზახები გულით რომ მოეჭიდ-ნენ მევენახეობას, კარგია, მაგჟანის სალიმამ ნატუკას გამოგზავნი-ლი „დედა ენა“ რომ დაიზეპირა და ირმისში სტუმრობას აპირებს, ძალზე კარგია, შენს კალთაში რომ მიიძინებს ამ ტრამალებში და-ბადებული შენი ძმისწული, და რა მოსთვლის, რამდენი რამ ააშენებს კაცს უცხო მსარეშიც, მაგრამ...

თუ გაწყვეტილი ჯაჭვის რგოლი შორს დარჩა სადმე მთის ქარვა-ში, ან ნამეხარი მუხის ძირას, ან თეთრ ტაძართან, ან ხევისპირას, ან ნაბაღზე, ან მოსუც სანდრა-პაპას ნატერფალზე—იმ შორს ჩარჩენილ რგოლს ვერაფერი სცვლის და გაწყვეტილი ჯაჭვის ბოლოები ურო-სავით ურტყამენ გულისფიცარს...

„...ოლეგ, შემჯავრდა თავი, გოდებას რომ ვეღარ ვიკავებ. მაგ-რამ გაწვრილდა, გაწყვეტაზეა მოთმინების ძაფი. წრთობა აღარა მშველის და ამ ყიამათ ზამთარში გიხმე. ეგებ ეს იმის ბრალია, რომ ქარი მშიერი მგლების სროვასავით ღმუის და ღმუის; ეგებ იმისი, რომ თოვლმა „ყვავილოვანი“ დაკარგული სამარხის ყორღანს დაამ-სგავსა, და აქა-იქ აჩენილი ბოლი ცოცხლად დამარხულთა სუნთქვად მეჩვენება. ეგებ იმის ბრალიც არის, რომ თოვლიან ტრამალებში აღარ გათავდა თეთრი კუდიანების ფერსული... წარამარა მისდება შენი სიტყვების გამეორება: „მაგრად იყავი, ალექსი, ირმისის იქით შენ არსად მიწა არ მიგიღებსო!“ ვიმეორებ, და აღარც ეგა მშველის. მელეკა ის ძალა, ირმისისათვის რომ მინასავდა, ძალა, რომელზეც შენ ამბობდი, „ყოფიერების სიხარულით არის შობილიო“. მართა-

ლი იყავი, ოლეგ, უსიხარულოდ მე ერთი წუთიც არ მიცოცხლია, ის ჩემში იყო, ჩემთან განუყრელი იყო, ის მინახავდა, და იმიტომ ვერ მერეოდა ვერც ხიფათი, ვერც ტყვია, ვერც დარდი და უსამართლობა. ეხლა კი... წამერთვა, დამეკარგა ის ძალა, და ველარ მიპოვნია, მისი პოვნის იმედიც მეკარგება, გესმის?..»

ვიღაცა დაეჭიდა გარეთა კარს, გახსნა და შიდა კარი შემოაღო. ქარი შლეგიანივით მოაწყდა ოთახს, თოვლის ბელტები შემოყარა, მაგრამ სწრაფად მიხურულ კარსუკან დარჩენილი, ღმუილით გაქანდა საითკენღაც.

ლევანი იყო. ალექსი მოიღუშა.

— ბნელში რათა ზიხარ?

— ჩამბინებია.

— ცეცხლიც ჩამქრალა, ოთახი საყინულია, ვერა გრძნობ?

— ჩამბინებია-მეთქი.

სარკმლის შუშებზე სქლად დადებული ჭირხლის ანარეკლი თეთრ ლაქებად ეყარა იატაკზე დაგებულ ჭილოფზე.

ალექსი არ ჩქარობდა შუქის ანთებას. ლევანიც აუჩქარებლად ახვავებდა ბუხარში წივას და ბულულებს. ორივესათვის საჭირო იყო ის ჩაბნელებული და უჩუმარი წუთი.

ლევანმა გააღვივა ჩაფერფლილი ცეცხლი და ალექსიმაც ჩართო შუქი. ძმის მოსვლა ახლა გაუკვირდა. ის ბამბის მეურნეობაში თუ არ იყო წასული, შინიდან არ გამოდიოდა, თითქოს თავისი ცოლშვილის მეტი არავინ ახსოვდა. ალექსის ისიც გაუკვირდა, რომ ლევანის დაწმენდილსა და დამშვიდებულ, ვაჟკაცურ სილამაზეს როგორღაც არ ეთანხმებოდა თვალების მოუსვენარი ციალი. ეგონა, ნასვამიაო.

— ია როგორ არის?

— ჟინიანობს. ლიზა ამბობს, ძია ალექსი მოენატრაო.

— ბალღებს სჩვევიათ უცნაურობა.

ლაპარაკი გაწყდა.

— კეთილ საათს შემოვდგი ფეხი ირმისში... — დაილაპარაკა მერე ლევანმა. — დიდხანს არ მეჯერებოდა, იცი? დილით თვალის გახელა მეშინოდა, მეგონა, სიზმარივით გაქრებოდა ყველაფერი. შენ იცი, რა იყო ის „ყველაფერი“, მაგრამ არ იცი, რომ მთავარი შენ იყავი...

ალექსი თავდახრილი იჯდა. ლევანმა არ იცოდა, ძმა უსმენდა თუ არა, მაგრამ ასე ერჩია, სათქმელი უადვილდებოდა.

— შვიდი წლისა დაგშორდი. ჩვენი ძმობის შუა მძიმე წლები ჩადგნენ. ზოგს ერთმანეთის სახელიც კი დაავიწყდებოდა, მე კი სულ მენატრებოდი. ბოლოს მაინც მოგაკითხე. გახსოვს, როგორი მოვედი შენთან?..

ლევანმა წივა აჩეჩა, ცეცხლს გზა მისცა და მერე განაგრძო:

— იცი, შენთან რამ მომიყვანა? რაც მე თითონ მახსოვდა შენზე, იმას მამაჩემისგან გაგონილი თითო-ოროლა სიტყვა, დედაჩემის ნაამბობი და ჩემი მოგონილიც მივუმატე და ჩემებურად წარმოგიდგინე. არ მახსოვს, როგორი წარმოგიდგინე. ალბათ ჩემს უზღაპრო ბავშვობას სჭირდებოდა და შენ გამიხდი ზღაპარიც, გასართობიც, მესაიდუმლეც. ის გამოგონილი ძმა ჩემთან ერთად იზრდებოდა, მერე ყველგან დამყვებოდა, ყველგან, გესმის?

ალექსის მოეჩვენა, რომ ლევანს ხმა გაებზარა. „ყველგანო, ალბათ უნდა ეთქვა: ტყვეობაშიცო", — გაეფიქრა და თავის თავისა გაუკვირდა: ლევანის მოსვლაც, მისი ხმაც, ლაპარაკიც, თვალების შემაღონებელი ციალიც აბეზრებდა, მხოლოდ აბეზრებდა, მეტი არაფერი!

ლევანმა თითქოს შეატყო და აჩქარებით განაგრძო:

— ირმისში ჩამოსვლას იმიტომ ვაჭიანურებდი, რომ მეშინოდა — ყოველთვის კარგს ველოდი და ცუდი მხვდებოდა... ბოლოს ძალიან რომ გავმწარდი, მაშინ კი ვთქვი, ამისი რჯულიც არ იყოს, ამ მოგონილ ძმას რაღას ვუფრთხილდები, ბარემ ამ ბოდვასაც დავეღწევი და რაც იქნება იქნება-მეთქი. მაშინ მოგნახე. და პირიქით მოხდა... რაც მთელი სიცოცხლე მაკლდა, ის დამხვდა, რაც მენატრებოდა, ერთიათასად მეტი ვიპოვნე. მართლა ასე იყო, იცი? მართლა. სასაცილოა?

— ზღაპარი სასაცილო უნდა იყოს.

— არა! არ მინდა სასაცილო იყოს, არ მინდა ირმისში ჩამოსვლა მანანებინო!

— მე რა ვქნა? რაც მაბადია, იმაზე მეტი საიდან ავიღო? მეც ერთი უბრალო კაცი ვარ, ხან სხვაზე უკეთესი, ხან უარესი, ზოგჯერ სხვაზე ამტანი, ზოგჯერ ყველაზე სუსტი და სულმოკლე... — თავაუღებლად, უგრძნობელი სმით წაილაპარაკა ალექსიმ.

— მე რაც შენში დავინახე, იმაში მეტნაკლებობის საწყაო ჯერ

არავის მოუგონია. მარტო მე რომ დამენახე ისეთი, როგორიც გნახე, ვიტყოდი, ძმობის სასხლი თავისას იძახის-მეთქი, მაგრამ მე ისეთი ვნახე, როგორსაც ქვეყანა გიცნობს... პატარა ბიჭმა მამას რომ უთხარი „ვერ წამოვალო" — აი ისეთს. მაშ იმ დღიდან ხომ არ ატყუებდი ქვეყანას?

თვალები, ხმა და მთელი არსება გამოხატავდა ლევანის საოცარ ღელვას. თუმცა ის ისე იკავებდა თავს, თითქოს ხელში სასწორი ეჭირა და მცირე მოძრაობას, სუნთქვასაც კი შეეძლო მისი გამრუდება. შინაგანად ერთიანად დაძაბულმა, ოდნავ გასაგონად თქვა:

— არ მინდა ირმისში ჩამოსვლა მანანებინო, არ მინდა მოტყუებული დავრჩე, გესმის?

კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ალექსი ისე წამოდგა, თითქოს ხმის ამოღება აუკრძალაო.

— ჰო, გატყუებდით! გვიან მიმხვდარხართ, რომ გატყუებდით! მე მაგ სულელური ტყუილით დავტანჯე ცოლიც და შვილიც, ამოდენა ხალხიც და შენც! ჭკუა არ მეყო, დროზე ვერ მომეფიქრა მეც მყოფნოდა ის ვაზი, რაც ლოზუნგებს გადაურჩებოდა, მეც დავჯერებულიყავი იმ ცხვარს, რაც ავდარს გადაიტანდა. რა მესაქმებოდა მე იმ იაბლონკასთან? ჭკუა არ მეყო მეამებინა რაფიელა და მედვედევებისათვის, დავძმობილებულიყავი ჯიბოსთანა ქვემძრომებსა და ჭილყვავებს, თითო ლუკმა მიმეგდო ყველა ძაღლი-მამაძაღლისათვის. ამ უტვინო ტყუილებისათვის დასჯამაც ვერ მომიყვანა ჭკუაზე. აქ, ყაზახეთშიც ტყუილით ჩაგითრიეთ საქმეში, დაგტანჯეთ ვაზის გაშენებით, გატყუებდით, მე არ მინდოდა ირმისში წასვლა და შეგაცდინეთ, რომ არ გესარგებლათ ამნისტიით. ჰო, დიახ, ბალღობიდანვე ტყუილში იყო ჩემი სიხარული, ეგრეც ვიცხოვრე ირგვლივ ყველას მოტყუებით, და ახლა რომ ველარ გატყუებთ, იმიტომ წაიმწარდა სიხარული, გაიგე?

ფრთამოტეხილი არწივის მრისხანე ყაშყაში ესმოდა ლევანს. ნანატრ მხარეს დახრილ სასწორს უშვა ხელი და ღრმად ამოისუნთქა.

უცებ გონსმოსულმა ალექსიმ ძმის უცნაური გაღიმება შენიშნა და თითქოს წყალი გადაასხესო, სახე უცებ ცივი, და ხმაც ძალზე ყრუ გაუხდა.

— აბა მე რით გიშველო? ეგ რაღაცა ზღაპარი მოგიგონია, ბოლოც თითონ მოაბი, როგორიც გინდა, ისეთი. და წადი, ცოლ-შვილს მიხედე, ზღაპრები იას უამბე.

— ვუამბობ, შენმა სიცოცხლემ! ვუამბობ გონჯაურაზე, ომის ცეცხლში რომ ვერ დაიწვა, უკაცურ კაცთა გულნამცეცობამ ვერ დაანელა, ძნელმისაწვდომზე გახიზნულ მის ოცნებას ფრთები ვერ მოსტეხა; ვუამბობ, როგორა ცდილობდა ბოროტება ჯვარზე გაეკრა ადამიანი, და ის ადამიანი კი, თავისი ტანჯვის, წამების, თუნდ სიცოცხლის ფასადაც — ბოროტებას აკრავდა იმ ჯვარზე...

* * *

მარტოდ დარჩენილმა ალექსიმ დიდხანს იარა ოთახში. ნაბიჯიც არეული ჰქონდა, ფიქრიც.

— ძმა ჰქვია! სასაკლაოზე მითრეული მოზვერივით ვირქინები და იმისთვის ეს ზღაპარია. სულელი. ზღაპრის სათქმელად რომ მოდიოდა, რა ეგონა? ვინმეს რამე შევჩივლე თუ რა? ჩემს ოთახში მე რასაც მინდა, იმას ვიფიქრებ, აღარც ამის უფლება მაქვს? ვინ ეკითხება, ჩემს ფიქრებს დაუდარაჯდიო? სულელი. მე ჩემს გაჩენას ვწყევლი, ის კი „ირმისში ჩამოსვლა არ მანანებინოო!"

უცებ მოტრიალდა, თექის ჩექმებში ჩადგა ფეხი, ჯუბაჩაზე ბრეზენტის ლაბადა შემოიცვა და ზედ ქამარი შემოიჭირა, ყურებიანი ქუდი ჩამოიფხატა, ხელჯაგები წამოიცვა და გარეთ გავარდა.

სიცილ-ხარხარით ეკვეთა ქარი, თოვლის ნემსები შეაყარა თვალებში, ცსვირ-პირში, თოვლის ზვინი აუგორა ფეხქვეშ, კინაღამ კალთები წააგლიჯა, მაგრამ ალექსიმ ქამარი გაიჭირა, ქუდი უფრო ჩამოიფხატა და წავიდა.

უკიდეგანო თეთრ სიბრტყეზე მეჭეჭებივით ეყარა, რაც კი მიწის პირს იყო აცილებული.

„იქ ხეში წვენი იქნება ჩამდგარი. ირმისხევში ზვირთს ააქაფებდა მთაში დამდნარი თოვლი..."

ნამქერში მიიკვლევდა გზას.

„მალე აქაც დათბება. იმიტომ იღრინება თებერვალი. სიასპიტე რას გიშველის, მაინც შეადნები უცებ გაცხარებულ მზეს... არ გეგონოს, მე მართლა ავწუწუნდი უთავშავო დიაცივით. უყურე, რა ლამაზ და თბილ ქურქშია შეფუთნული ჩვენი აკაცია. ყურადღებას ნუ მიაქცევ გახელებული კაცის ბოდვას. შეხედე, რა ლამაზად ათოვს ჩვენს ყვავილოვანს, როგორ აცეკვებს ქარაშოტი თეთრ ტრამალებს, მართლაც ჰგავს კუდიანების ფერხულს, სხვაგან სად ნახავ ასეთ სილამაზეს? სულელია ჩემი ძმა..."

აკაციიდან გამობრუნებული, ისევ ნამქერში მიიკვლევდა გზას.

„ნეტა რას ანიჩხლობს ქარი, ტყუილად რას ეხეთქება ამ კედლებს, ხომ არ ჰგონია, სადღეხვალიოდ არი ნაგები? ჭკუა ჭკუას რომ ემატება, საქმე ყოველთვის მოგებულია. ირმისელებმა ვერ მოვიფიქრეთ, ყაზახებმა თქვეს, „იზარდონ ალვის ხეებმა, მაგრამ ალიზის აგური უსასყიდლოდ გვაქვს, მოდით ვენახებს კედელი დავუყენოთ ქარის წინააღმდეგო“. ოჰ, რა სანახავი იქნება აქაურობა ოდნავ რომ გამოთბება! მწვანე ვენახი და ირგვლივ ყვავილებიანი კედელი. ლიოშა ბოგუჩაროვი იტყოდა „ზორბააო!“ ჩემი სულელი ძმა კი ამბობს...“

შეუჩერებლად მიიკვლევდა გზას ნამქერში.

„ხედავ, ეს ჩვენი საცდელი ნაკვეთია. საცოდავი ნერგები. მეგონა იტყოდნენ, რა გულქვა ყოფილა ეს გონჯაურა, მიწის ზემოთ დაგვტოვა, არ იფიქრა, რომ შეგვცივა, გავიყინებითო. მაგრამ ზოგი კაცივით კი არ აწუწუნდნენ, ვაჟკაცურად აიტანეს სიძნელე. ვიდრე თოვლი არ იყო და ხმელად ჰყინავდა, ვუბოლეთ და ვუბოლეთ ამ ჯიშდალოცვილებს, მერე თოვლი მოვიდა, საბნად დაედო. ეხლა აღარა სცივათ. მალე მზეც გაუღიმებთ. აბა რა, თუ წრთობაა, წრთობა იყოს, ესენიც უნდა შეეჩვიონ აქაური ზამთრის ატანას! მე აქამდე არ ვიცოდი, ჩემ სულელ ძმას ზღაპრებიც რომ ჰყვარებია...“

გამობრუნდა. ნამქერში ძლივს პოულობდა თავის ნაკვალევს.

„ჩვენ ისევ გამარჯვების დღეს შევხვდებით ერთმანეთს, როცა ირგვლივ მაისობა იქნება. გახსოვს ჩვენი შეთანხმება? თუ ამ მაისობასაც აქა ვხვდებით, სანდრა და ხატულაც აქ იქნებიან. და მე მეყოფა ეს სიხარული, არა? იმ სულელ ლევანს კი რაღაცა ზღაპრები მოუგონია...“

ქარისაგან სახეამწვარი, ხელფეხდამზრალი, გამჭვალული და ერთიანად გათოშილი ბრუნდებოდა, ქარი უხიაკი მასპინძელივით ხან ზურგში უთხლაშუნებდა, ხან ლაქუცით უვლიდა გარს, ხან ავაზაკივით ესხმოდა თავს და კივილით ახტებოდა ზედ.

„საცაა სანდრა-პაპას დარგული ნაძვი გამოჩნდება. საკვამურიდან შორეული ცეცხლის შთამომავალი ნაპერწკლები აიშლებიან ჰაერში. ჩაიდანი ადულდება, გონჯაურა ცხელ-ცხელ ჩაის დალევს და ენძელები გაიღიმებენ, და ვიღაცა ბიჭი დაიძახებს: მამი-ი!..“

თოვლით მოიხეხა სახე და შინ შევიდა.

„ჰოდა, კარგია ბუხარი რომ ჩამქრალა, რა დროს ჩაია? ლოგინში

გათბება, ორი საბნის ქვეშ. ეს ირმისიდან გამოგზავნილია, ეს კი ნატალიამ აქ შემიკერა. აქ ბამბაც ბევრია და ჭრელი ჩითიც, ნატალიამ ყველას შეუკერა საბანი. ჩემს ლურჯთვალება ძმისწულსაც ნატალიას შეკერილი საბანი ჰხურავს. კოსტა ილეტაქსასაც. კოსტას საბანი ყველაზე ჭრელია. სასიძოს ყველაზე ჭრელი ეკუთვნის, აბა რა?! ზორბაა, არა? თავი დამანებე, ლიოშკა, დამანებე თავი, ზემდეგს სცივა და ეძინება, აცალე გათბეს და გამოიძინოს...“

...ალბათ კარგა ხანი გამოხდა, ალექსი გათბა, დაისვენა, გამოიძინა. ახლა რასაც ხედავს სიზმარს არა ჰგავს: ოთახში სინათლეა. ბუხარში ცეცხლი ანთია. მაგიდაზე სამოვარი თუხთუხებს. ქალი, უწინ რომ კოლმეურნეობის მოანგარიშე იყო და „სანდრას იავნანა“, და ხატულას „შინაბერა“, ეხლა კი ლურჯთვალება იას დედაა — ჭიქებში ისეთ კარგ ჩაის ასხამს, რომ ალექსის სწვდება მისი სურნელება. ალექსის წელან ლიოშა ბოგუჩაროვი ელანდებოდა, ეხლა კი მაგუან ტასანბაევი ეჩვენება. ადამიანს შეიძლება მოეჩვენოს პატარა, ცეცხლისფერი სეხნია ბიჭი, მაგრამ არ შეიძლება მოჩვენება იყოს ღიპიანი, ჩიბუხს აბოლებდეს და წვრილი ხმით ვიღაცას ეკამათებოდეს...

აჰ არა, ეს ყველაფერი ცხადად ხდება! ოთახი სავსეა ხალხით, და ის ხალხი ჩაის სვამს, იცინის, კამათობს...

— ჰა? — თოფნაკრავივით წამოიჭრა ტახტიდან ალექსი.

— ჰო!.. ჰო!.. — რაღაცა დაუდასტურა მაგუანმა და პატარა ქაღალდი გაუწოდა.

სტრიქონებს აურზაური აუტყდათ, ალექსიმ ვერაფერი ვერ წაიკითხა, მაგრამ წაუკითხავადაც მიხვდა. წელანვე მიხვდა. სისხლისაგან თითქოს მთლად დაცლილი, გათეთრებული სახე ანთებული კელაპტრებივით გაუნათეს საფარის კიდეს მომდგარმა თვალებმა.

„ეხლა მართლად ვიცი, „გონჯაურა“ ძალიან-ძალიან დიდი სიხარული არი!“ — გუნებაში მიულოცა თავის თავს კოსტა ილეტაქსამ.

„დაილოცოს ირმისში ჩემი მოსვლის საათი“, — გაეფიქრა ლევანს.

„რა ვიქნებოდი დღეს, იმ დილას ნატაძრის ბაღში რომ არ შემსწრებოდა ალექსი?!“ — ააღელვა გაბო გაელვებულმა ფიქრმა.

„ხატულა, რა ბედნიერები ვართ მე და შენ!“ — კინაღამ იყვირა ჯაფარაანთ ლიზამ.

„ვიცოდი, ასე იქნებოდა!“ — წაიჩურჩულა თენგომ.

„იოი...“ — გაბმით ჩაიძახა გულში მაგჟანმა და ჩიბუხი განზე გასწია, ბოლი უშლიდა ალექსის სახის ყურებას.

— რამ გაგაჩუმათ? — იკითხა ალექსიმ. სითეთრემ გადაუარა და ახლა ღიმილის ნათელი მოეფინა ნაიარევ, უდაბნოს ნაკვალევ, მზით დამწვარ და ყინვით ატრუსულ სახეს. — მაგჟან, ხომ არ გეწყინა ამ ქაღალდის მიღება?

— მე უქაღალდოდ გიცანი, — მიუგო გრძნობამორეულმა მაგჟანმა.

— ეგ კარგი ქაღალდი მაინც საჭირო იყო, — თქვა თენგომ.

— ეგ პატარა ქაღალდი ჩვენი ყველას დღეობა არი! — გამოაცხადა კოსტა ილეტაქსამ.

— ჩვენი დღეობა — ქაღალდები კი არა, სიმართლის გამარჯვებაა, სინდის-ნამუსის დღეობა, — თქვა ლევანმა.

— აი ეგ სწორეა! — დაუდასტურა მაგჟანმა, — ქაღალდი მტერსაც და მოყვარესაც ერთნაირად იტანს. თქვენი კომენდანტი მთელი დღე ქაღალდებს სწერს თქვენზეც, ჩემზეც, ყველაზე და თან ყვირის: გაუმარჯოს კომუნიზმს!

— ვინც ყვირის, ის არ მოვა ჩვენს დღეობაში! — დაადგინა კოსტა ილეტაქსამ.

— მე შენ დღეობას მაშინ გაგიმართავ, როცა ახალი საავადმყოფო გაიხსნება, — უთხრა მას ტასანბაევმა.

— შენ გიჟი ბრძანდები, ამხანაგო მაგჟან! — აღშფოთდა კოსტა, მაგისთვინ კიდე ერთი თვე უნდა, მე ალექსის ველოდე, ირმისში ერთად წავიდეთ უნდა, მე თუ მოვკვდი, საავადმყოფო არ გაიღება?

— იოი!.. — აღშფოთდა მაგჟანიც, — შენ დღეობაზე გეჩქარება და თუ ხალხის საქმე მოითხოვს, ერთ თვეც არ გინდა დაიცადო? შენ კამარადი კი არა, შაითანი ხარ, ვფიცავ ალაჰს!

— ჰოპლა! შენ ალაჰი და შაითანი ერთად დასვი? — შესძახა კოსტამ, — მე ვფიქრობ, ეგ უკვე არი დიდი-დიდი დღეობა!

ყველას სიცილი აუტყდა, მაგჟანმა კი რატომღაც უსერხულობა იგრძნო.

— იცინით? თქვენ იცინით და მე... — ეაბმით თქვა მან.

— მიგიხვდი, — ნიშნის მოგებით უთხრა თენგომ, — ჩვენ ალექსიზე ნაკლები მევენახეები გგონივართ?

— არა, მე ეგ არა მგონია, მაგრამ... თქვენ ალექსის უცდიდით, ეხლა ყველანი წახვალთ, ჩვენ კი ახალი ვენახების გაშენება დავაპირეთ, — ისე ამოიოხრა მაგჟანმა, რომ კვლავ სიცილი ატყდა.

— ჰოდა, მე მიგიხვდი საგონებელს! მერედა, ვინ მოგახსენა, ყველანი წავალთო? — უთხრა თენგომ. — აღებულ ვალდებულებას შესრულება არ უნდა? მე პირობა დავდე აქაურ ახალგაზრდებს რთველიც ჩავატარებინო, ღვინის დაყენებაც ვასწავლო. რათა გგონია, ჩემ სიტყვას უპატრონოდ დავაგდებ?

— თენგოს ეტყობა დაავიწყდა, ეგ ვალდებულება მე და მაგან ერთად ვიკისრეთ, — თქვა ლევანმა.

— მე კი ადრევე ვაპირებდი წასვლას, მაგრამ რა ვქნა, ამ ბიჭებს ვერ გავეყრები, ერთად წავალთ! — გაიცინა გაბო ნაცვლიშვილმა.

მიხვდა ალექსი, მეგობრები მას უადვილებდნენ წასვლას. უადვილებდნენ გულით და სულით და ღიმილით. მადლობა? მადლობის გამოხატვა არ შეეძლო. სიყვარულმა ატკინა გული. და ჩუმად თქვა:

— მაგჟან, განა მე კი შორს მივდივარ? ჩემი მეორე სამშობლო და კერა ამას იქით აქ მეგულება, შენთან...

— იოი! — სასაცილოდ გაასავსავა ხელები ტასანბაევმა, — მე თავიდანვე დავინახე, ირმისელები ყველანი მაგარი შაითანები ხართ! ეხლა ჩემთან წავიდეთ. ალექსის ძალიან უყვარს კუმისი და ახალთასალი კუმისით გაგიმასპინძლდებით, წავედით! ლიზა-ხანუმ, წამობრძანდით!..

და ბოღო თავი

ირმისხევთან ბინდი წამოეწია.

მანქანა მიატოვა და მსუბუქი ხელბარგით წამოვიდა სოფლისკენ. როგორც ოდესღაც, რომელიღაც გარდასულ ცხოვრებაში, ნაომარი რომ ბრუნდებოდა. აუჩქარებლად შედიოდა თავის სამყაროში, ნელნელა ეჩვეოდა დაბრუნებას.

ფიქრობდა რამეს?

არა.

შუახიდზე შეისვენა. „მგალობელი შაშვივით ბიჭი-მალხაზის

მამის გაკეთებულია ეს ლამაზი ზუქურთმა", — კი არ გაიფიქრა, თითებმა შეიგრძნეს ხელოსნის მარჯვენის სითბო, ხიდის მოაჯირს რომ შეენახა.

„მართლაც აქაფებულა ირმისსევი", — არც ეს გაჰფიქრებია, მისი ღიმილი შეეგება მთიდან ბევრჯერ ერთად ნამგზავრ, ნაცნობ ზვირთს.

„აი ნარიყალიც". — ისევ არ იყო ფიქრი, თვალმა შენიშნა — ყორეს ერთი ქვაც არ დაპკლებია. ატირებულა ვაზი, დაზრდილან ხეხილები..."

ბინდი ჩამუქდა.

გაღმა-გამოღმა შუქის წერტილები აკიაფდნენ. ფიქრზე უმალ თვალი რბის სახლიდან სახლზე, იცის ახლა სად გაიკრთომებს შუქმფინარი ციცინათელა.

რა მკვეთრად დაილანდა ფერდობიც და მუხაც! ყურს ხვდება ძველი წისქვილის სარეკელას რაკარუკი. ახალი საბჯენები უყენია დაფერდებულ კედლებს. და უცინის თავით ფეხამდე ფქვილით შეთეთრებული ტიტიკო: „ეჰეიი, გონჯაურავ, შენ შეგინახა ხალხმა ეს წისქვილი, იმას უყვარსო!.."

სსუ, არავინ გაიგონოს მისი გულის ძახილი, არავინ დაინახოს. ჯერ ლაპარაკი არ შეუძლია. ჯერ გულს არ მოუძებნია თავისი ადგილი. აი, ამ ტირიფთან დაისვენებს. ქოლგის წკირებივით ჩამოზრდია დახრილი ტოტები. ამ ტირიფთან იყრიან თავს ირმისხევიდან ამოსული გოგო-ბიჭები. ცხელ ქვიშაზე გორაობა უყვარს სანდრას...

და ხსენებაზე, ცისქვეშეთი უცებ გაჭედა ძახილმა:

— მამიი-ი!..

„პირგამტეხი ყოფილა ის შოფერი", — მოასწრო, მიხვდა ალექსი და მკერდთან იგრძნო სანდრას აფართხალებული გული. უსირცხვილოდ მოვარდნილმა ცრემლმა დაუნამა ბიჭს ქარვისა და წაბლის ფერით შეზავებული ქოჩორი...

მერე კი, თვალებს აფარებული ბადე დაიხია, და დაინახა: მოდის ირმისი ირმისხევთან. მოდის ირმისი მრავალხმიანი ძახილით:

— მშვიდობა შენს დაბრუნებას, ალექსი! ალექსი! ალექსი!..

* * *

ახალი სახლი კარგია. ლამაზი, მზიანი, აივნიდან მოჩანს შორეული მთების ქარგა, გათენება, ალაზნის ველი, თეთრი ალავერდი.

ახალი სახლი ძალიან კარგია. ლამაზი, მაღალჭერიანი, ხალვათი. აქეთ ფანჯრიდან მოჩანს კენტად ნაზარდი, ტოტებგაფარჩხული ნაძვი და სანდრა-პაპისეული ქოხი.

ახალი სახლი ძალიან-ძალიან კარგია. მაღალჭერიანი, წითელ-კრამიტიანი. ეზოდან მოჩანს მშვიდობის ქუჩა და დოდაანთ უბანი.

და ახალ სახლში არ ილევა წამსვლელ-მომსვლელი, მეზობელი, მეგობარი, თანასოფლელი, სხვასოფლელი, კაცი, ქალი, დიდი, პატარა, ნაცნობი და უცნობიც კი.

სანდრას არავინ ეუბნება, სკოლაში რატომ არ დადიხარო, დროზე რატომ არ იძინებო. გაზრდილა ბიჭი, მაგრამ ისევ ისეთი მგრძნობიარეა, ძნელად მშვიდდება. მისმა გონებამ ჯერ ვერ ირწმუნა, რომ მამას აღარავინ წაართმევს, მამა ახლა კი განუყრელად იქნება მასთან. მისი თვალები ვერ გამძღარან მამის ცქერით. მაგრამ სანდრას ვინ აცლის, დილიდან დაღამებამდე ქვეყანა ირევა მათ სახლში.

ხატულასაც არავინ უსაყვედურებს, სამუშაოზე რატომ არ დადიხარ, არსად სჩანხარო. იციან, შინ არის. მაგრამ ალექსისთან ყოფნას არც მას აცლიან, დილიდან ღამემდე არ ილევა მომსვლელ-წამსვლელი.

აი, რახანია შუაღამე გადავიდა. ალექსი აცილებს მეგობრებს.

— ხვალ ათისთვის გიცდი რაიკომში, — თხოვნით უმეორებს ვაჟა წასვლისას.

— ხვალ კი არა, დღეს, — იღიმება სახეგაბადრული ხელაშვილი.

— ჰო, დღეს! — უხარია ალექსის. აი, დახედავს ბიჭს, მერე ცოტას წაიძინებს და ათ საათისთვის მიეა რაიკომში...

გულგაღეღილს დასძინებია სანდრას. რამ გაუჩინა წარბებშუა ეს ნაოჭი? სასაცილოა, როგორ საქმიან იერს აძლევს ეს პაწაწინა ნაოჭი, და სასაცილოა, რა ცხარედ იცავს ნათქვამს ეს ბიჭი, ცხარედ და საზრიანად. დამოუკიდებლობას იჩენს, ვაჟკაცობს ჩემი ჩიორა...

ფეხაკრეფით გამოტრიალდა, საძილე ოთახში შევიდა. ეგონა, ხატულასაც დაეძინაო, და ფრთხილად გადასწია საბანი, ჩუმად შეწვა ლოგინში.

ხატულა თვალდახუჭული წევს და მის უსაზღვრო, უკიდეგანო სიხარულს ნიღაბის მსგავსი, უსიცოცხლო სახე ჩრდილავს.

— ხატო, რა იყო? — კარგა ხნის მერე ჰკითხა ალექსიმ.

— რაზე მეკითხები?

— დაიკვნესე...

კედლის საათი სიჩუმეში ხმამაღლა ითვლის ჟამის მაჯისცემას.

— გაწუხებს რაღაცა, — თქვა ალექსიმ, სათვალავი რომ დაეკარგა.

ხატულამ არ უპასუხა.

ალექსის შესცივდა.

ღია ფანჯარაში ღამე იყურებოდა.

სიჩუმე და ოთახში შემოჭრილი ღამე უშლიდა ალექსის. ნელა წამოდგა, წყალი დალია. უცაბედად ჭიქა ლამბაქს დაახალა. მიაყურა. სანდრას ოთახიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. არც ხატულა ვანძრეულა.

ალექსიმ დარაბა დახურა და ისევ დაწვა. მოეჩვენა, რომ ხატულა შორს არი, ძალიან შორს. ახლა დახურული დარაბა უშლიდა. სულს უხუთავდა.

— მთელი სიცოცხლე სხვის შეცდომებს დაათრევ ზურგით... — დაილაპარაკა ხატულამ, თითქოს ადრე დაწყებული ლაპარაკი განაგრძოო. ეს არ იყო ბუნებრივი, და ალექსი იცდიდა.

— მთელი სიცოცხლე სხვის უნამუსობაზე აგებ პასუხს... — თქვა ხატულამ.

რაღაცა მოახლოვდა.

— ზოგი საკუთარი შეცდომის საზღაურსაც ვერ უძლებს...

„ვინ“? — ვერ მოსწყვიტა ენას, უხმოდ იკითხა ალექსიმ.

— შენ ძალიან დააშავე... — თქვა ხატულამ.

„რა, რა?“ — ისევ უხმო იყო ალექსის კითხვა.

— დამაჩვიე გულახდილობას... მაზიარე უსაზომო სიკეთეს, ჭერშიმყოფის თანაგრძნობას, პატიებას... — თქვა ხატულამ.

„პატიება — ამნისტიაა. ამნისტია — დაწერილი კანონის დარღვევის პატიებაა. დაუწერელი კანონის დამრღვევი არ ისჯება, მისი პატიებაც გამორიცხულია“, — გაუკრთა გონებაში ალექსის.

— უკურნებელი სენით შეპყრობილი ვნახე ის კაცი და შემეცოდა... ვუთანაგრძნე, ვაპატიე...

„ვინ კაცი? ვის რა აპატიე?“ — უხმოდ აყვირდნენ კითხვები, დაუჭიმეს კუნთები, ძარღვები, სახსრები, კანი.

— ყველაფერზე მძიმე სენი შეჰყროდა — სიმარტოვე. სიმარტოვე თურმე ადამიანის სახეს ნიღაბივით ხდის, და ნიღაბი სიკვდილის ნატვრას გამოხატავს... და შემეცოდა. ვაპატიე...

— შენ უნდოდი? — ამოაძრო კითხვა ბალღამით გატენილ ყელს.

— მე არც კი, შვილი...

— შ ვ ი ლ ი?

— და ვერ გაუძლო საზღაურს. სიკვდილის ნატვრა შეისრულა, იქ, შორს, მთებში... მკვდარიც ვერ იპოვნეს და... მეცოდება.

ალექსის თვალებმა სატულას სახესთან გაიკრთომეს, მერე მოშორებით გაიკრთომეს, მერე საწოლის ფერხთით დამდგარ სილუეტს ჩაეკერნენ. და ხატულამ გაიგონა:

— ჰაერზე გავიელი, ხატო. შენ ბუნებით რომ არ ჰყოფილიყავი მართალი და პატიოსანი, სხვა ვერავინ გაზიარებდა კეთილ თვისებებს. იყავ ასეთივე ბოლომდე. ყველაზე მეტად ჩემს ცხოვრებაში ჩვენი ურთიერთობის სასაცილო დაბოლოება შემზარავდა. ცოტას გავიელი ჰაერზე...

თვალებმა ერთხელაც გაიკრთომეს შორს, კართან და კარი ჭრიალით გაიღო...

...უთენიის სუსხი მოლილისფრო ტალღებად მიეძალა ოთახიდან გამოსულს. მან ისე ღრმად ჩაისუნთქა გრილი ჰაერი, რომ შავი სატინის ხალათი სალტესავით შემოეკრა მის განიერ გულ-მკერდს. თავი თაღიანი აივნის სვეტს მიაყრდნო და დასალიერს გახედა. იქ ჯერ ისევ ღამე იყო, მაგრამ ის ხედავდა ერთმანეთზე მიჯრით მილაგებული მთების ქარგას. უკუნეთშიც დაინახავდა — ისეთი ნაცნობი იყო ის ქარგა. მთების გამოღმა, ხელისგულივით გაშლილ ველზე ალავერდი ილანდებოდა, და მისი სითეთრით შემკრთალი ბინდი ულიმღამოდ ეურჩებოდა გათენებას, ფერწასული ედებოდა ველისპირა ღობეყორეს, სახლებს, ხეებს, ბუჩქებს.

სადღაცა მჭახედ იყივლა მამალმა.

სადღაცა ძაღლმა წამოიყეფა.

ალვის ხეზე ყვავმა წამოიჩხავლა.

საკვამურები უსაქმურად ისხდნენ სახურავებზე — ადამიანებს ეძინათ ჯერ.

ჰო, ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო — თვალმი-

საწვდომი სამყარო მშვიდობიან ღამეს ითევდა. და ალექსიმ ნელა ჩაიარა კიბე. მიწაზე დავარდნილ გამხმარ ფოთოლს შეასწრო თვალი, დასწვდა და აიღო — ის ხომ ჭადრის ტოტზე უდარდელად მოშრიალე უნახავს... გზა განაგრძო. წყაროს გაღვიძებოდა. გასიფრიფანებული ყინულის ნაბზარებში ამოხეთქილი წვრილი ნაკადები ბროლის ციგურებზე შემდგარი ეშმაკუნებივით მისრიალებდნენ ქვიდან-ქვაზე, ქვიდან-ქვაზე და მოსასვევში უჩინარდებოდნენ. წყაროს უბეებში შერჩენილი თოვლის ჩამუქებულ ქუფთებზე ენძელები ტრიალებდნენ, ენძელები!..

მან ქვიშით მოიხეხა დიდრონი, ძარღვიანი ხელები, პეშვით შეისხა სახეზე წყალი, სველი ხელი გადაისვა საფეთქლებთან შეთეთრებულ თმაზე, საკინძეშეხსნილ მკერდზე და წელში გასწორდა. შეიცადა სანამ სიო შეუშრობდა აწითლებულ-ახორკლილ კანს და მერე ისევ განაგრძო გზა. მალე გვერდი უქცია თემშარას, ფერდობს აჰყვა. მანძილი დაიმოკლა და დროც დაზოგა. იცოდა, სხვა არავინ და არაფერი, მხოლოდ დრო იყო სიკვდილ-სიცოცხლის მომრიგებელი და სიკვდილისთვის კი ენანებოდა სიცოცხლის ყოველი წამი...

ფერდობის ქიმზე წამომდგარ ნამეხარ მუხას რომ მიაღწია, დადგა და პირი იბრუნა.

გარიჟრაჟი ოქროს ხაზებით დატიხრული ფერადი მინანქრის ხატივით ეკიდა სივრცეში და თეთრი კელაპტარივით იწვოდა ალავერდი.

ის უძირო და უკიდეგანო, ის ხელთუქმნელი და მიუწვდომელი ხატი აღიარებას მოითხოვდა, და ეს კაცი ალბათ წარმართი იყო, ალბათ შორად-შორეულ წინაპრებმა დაანათლეს თავისი რელიგია — გარესამყაროს აღქმის საწყისიდანვე ბავშვი — ბავშვურად, ჭაბუკი — ჭაბუკურად, კაცი — კაცურად უჩინრად და უთქმელად აღიარებდა ამ რელიგიას...

და ახლაც... ბუდის კიდეს მომდგარი მისი შუქიანი თვალები, უბრალო რუხი ქვიდან გამოთლილივით მისი სახე — მწუხარე ზოლებით მოხაზული და უხეში ნაჭრილობევით საფეთქელთან; მთელი სხეული მისი — დიდი, ვაჟკაცური და ნატანჯი; სული მისი — ძლიერი და ნაზი, ბრძენი, კეთილი და თავისუფალი, და მთლიანად ის — უძრავად მდგომი და მოწყვეტილი არსებითობას, შეუკავებელი სწრაფვით მიილტვოდა იქით, სადაც დიად იდუმალებაში იბადებოდა ახალი დღე...

„მხოლოდ ხელთუქმნელ მშვენიერებას შეუძლია აზიაროს მოკვდავი მარადისობას...“ — გაუკრთა ფიქრი და უცებვე გაწყდა:

— მა-მიი!.. — ააკანკალა ჰაერი შორეულმა ძახილმა.

ტყვიასავით ეცხელა ალექსის ეს ძახილი. არ უნდა გაეპასუხოს, არა, თორემ ეს იქნება ამტანობის ის წვეთი, რომლის იქით აღარაფერია...

ლოდზე ჩამოჯდა და ტუჩები ჩარაზა.

— მა-მიი! — მოჰყვა ბიჭიც მოახლოებულ ძახილს, სირბილისაგან სულს ძლივს იბრუნებდა.

— უჩემოდ რად წამოხვედი, ჰა? რატომ არ გამაღვიძე? მე უშენოდ აქ ერთხელაც არ ამოვსულვარ, აქაც და ყველგანაც, ყოველთვის შენთან მინდა ყოფნა, შენთან, ეს როგორ არ გესმის?

სანდრაც ლოდზე ჩამოჯდა, მამის გვერდით. აკეცილი მუხლები მკლავებით შემოისალტა, შორეული მთების ტეხილ ხაზს თვალი გაადევნა და ხმადაბლა თქვა:

— მინდა მეც გონჯაურა დამიძახონ, რამდენი ათასჯერ უნდა გითხრა?.. — და მცირე დუმილის შემდეგ, ურღვევი სიმტკიცით, როგორც ოდესღაც ალექსიმ უთხრა თავის მამას, „არ წამოვალო“, ისე გაუმეორა: — მინდა მეც გონჯაურა ვიყო! ნუ ხარ ჩუმად, მითხარი რამე.

ის გაჩუმებული იყო იმიტომ, რომ სიხარულისაგან გულატკიებულს ხმის ამოღება ეძნელებოდა, თვალმოუშორებლად მისჩერებოდა დასალიერს და ხედავდა:

მზემ მთებისგაღმიდან სხივების ლეგიონები ამოისროლა და აალებულ სივრცეში სანდრასტოლა გოგო-ბიჭებად ქცეული ლეგიონები მოისწრაფოდნენ ნამეხარ მუხისკენ, მოჰქონდათ ახალი, სხივფენილი სამყარო, და მოუძღოდა მათ ი ს — ერთ-ერთი გარდასული ცხოვრების ქარტეხილში, უკვალოდ შთამნთქავ ჭანჭრობისპირას მის გულის ძახილზე რომ გამოეცხადა ღვთიშობელ დედასავით — ხელში ბავშვით... და ეს საოცარი ხილვა თითქოს უდასტურებდა განვლილი ცხოვრების უზენაეს გამართლებას...

— მამი, შენ ხო გჯერა ჩემი? დამიჯერე, მე ვიქნები გონჯაურა! მითხარი რამე, რათა ხარ ჩუმად, რათ?

გაჩუმებული იყო ალექსი. იმიტომ, რომ ილეტაქსას წამალმა ვეღარ მოუზომა ასატანი სიხარული.

1964 წ.
აღაზნის ვეები
თბილისი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ნაწილი პირველი	3
ნაწილი მეორე	97
ნაწილი მესამე	167

ДОНЖАШВИЛИ ТИНА ГЕОРГИЕВНА

ГОНДЖАУРА

Роман

(На грузинском языке)

Издательство «Мерани»
пр. Руставели, 42
Тбилиси
1988

გამომცემლობის რედაქტორი ნ. ლოლაძე
მხატვარი ა. თოდრია
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები: რ. გოცირიძე, ნ. ლომაძე
გამოშვები ნ. ხაფთასი

ს. ბ.—3994

ჩაბარდა წარმოებას 12.01. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.07.88 წ. უე 06807 ფორმატი 60×84 1/16. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,28. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 14,35. პირობითი საღებავგატარება 16,28. ტირაჟი 20.000. ეგზ. შეკვეთა № 201.
ფასი 1 მან. 10 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", თბილისი, რუსთაველის 42.
საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР, по делам издательств полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.